

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ა. კაკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი

ნიკო მაჩისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოხილვა (1888—1931 წწ.)

გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს
რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა



თბილისი
„მეცნიერება“

1991

ნაშრომში შესულია 224 წერილი ორი გამოჩენილი მეცნიერო ქართველოლოგის, ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის, მრავალი წლის მიმოწერიდან (1888—1931 წწ.). მიმოწერა შეიცავს მეტად მდიდარ მასალას ამ პოლვაწეთა სამეცნიერო ინტერესებისა და შეხედულებათა შესასწავლად, აგრეთვე ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისა და კავკასიოლოგიის განვითარების გასათვალისწინებლად.

რედაქტორი: ელ. მეტრეველი

რეცენზენტები: მ. ქავთარია, ც. აბულაძე

შესავალი

„ადამიანი, როცა ის კვდება ინდივიდუალურად, სომატური სიკვდილით, არ კვდება საზოგადოებრივად, ერწყმის რა თავისი საქციელითა და შემოქმედებით ცოცხალ გარემოცვას, საზოგადოებრიობას. ის განაგრძობს სიცოცხლეს მათში, ვინც ცოცხალი რჩება, თუკი სიცოცხლეში მარტლაც ცოცხლობდა და არ ემგვანებოდა მკვდარს. და ცოცხალი კოლექტივის წყალობით აღსდგებიან მიცვალებულნი“.

ნ. მარის ეს სიტყვები თანაბრად შეიძლება გავავრცელოთ როგორც თავად ნიკო მარზე, ისე ექვთიმე თაყაიშვილზე, რადგან ორთავემ იცხოვრეს ნამდვილი, ქეშმარიტი მეცნიერული და საზოგადოებრივი ცხოვრებით. დღესაც განაგრძობენ ისინი თავის სიცოცხლეს ქართულ მეცნიერებაში, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და, საზოგადოდ, მთელი ერის შეგნებაში იმ ღვაწლის გამო, რომელიც დასდეს მათ ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეს. მეცნიერთა ეს ღვაწლი, ნ. მარისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძეგლად არის ამოყვანილი“ მათსავე შრომებში და შესანიშნავად წარმოჩენილი წინამდებარე მიმოწერაში.

წარმოდგენილი წერილები უხვ და საინტერესო მასალას შეიცავენ ნ. მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივსა და მრავალფეროვან საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობის შესახებ. წერილებში აისახა ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მეცნიერულ ინტერესთა სიფართოვე, თავდაუზოგავი შრომის უნარი და დაუსრეტელი ენერჯია, მათი შეხმატკბილებული, გეგმიანი ერთობლივი საქმიანობა.

წერილების რიცხვი 224-ია და 1888—1931 წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ეს წლები ფაქტიურად მოიცავს მთელ მათ ცხოვრებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მის უდიდეს მონაკვეთს მაინც.

მიმოწერის მნიშვნელობა ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ იგი საოცრად მდიდარია ფაქტობრივი მასალით და მთლიანად საქმიანი ხასიათისაა.

წერილების გაცნობისას ჩვენს თვალწინ გაივლის ქართული მეცნიერების, კერძოდ, ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის განვითარების ვრცელი გზა. არსებითად ეს არის ქარ-

თველოლოგიის შექმნისა და ჩამოყალიბების ისტორია, რომელიც დიდად არის დაკავშირებული ორი მეცნიერის სახელთან და მათს მოღვაწეობასთან. ესაა, ამასთანავე, ქართულ ფილოლოგიაში ახალი მეცნიერული მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისათვის ბრძოლის ისტორია. მაგრამ ნ. მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა მარტო იმით როდია მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რომ მასში სრულად არის წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის განვითარების ისტორია გარკვეულ მონაკვეთში. წერილებში მოწოდებულია აგრეთვე უხვი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1888—1931 წლების საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

ცხადია, მიმოწერა, რომელიც წარმოებდა ამ ორ ახლობელ ადამიანს — ყრმობის მეგობრებს — შორის, გამოსაქვეყნებლად არ ყოფილა გათვალისწინებული. ამიტომ სავესებით ბუნებრივია, რომ მათში გადმოცემული ამბები, ემოციები თუ შთაბეჭდილებები, ისევე როგორც მათი შეფასება ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენისა, სრულიად გულწრფელი და უშუალოა. ამდენად, ექვის შეტანა მათში წარმოუდგენელია, რადგან ისინი სწორედ თავისი დიდი გულახდილობით და პირუთენელობით გამოირჩევიან. თქმა არ უნდა, წარმოდგენილი მასალა ამის გამო უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, რაც თავისთავად დიდ ღირებულებას ანიჭებს ნიკო მარისა და ე. თაყაიშვილის წერილებს.

✓ წერილები იმ თვალსაზრისითაცაა საყურადღებო, რომ მათი საშუალებით ჩვენ თვალწინ ცოცხლდება საოცარი მოქალაქეობრივი და ადამიანური ღირსებების მქონე პიროვნებები, თავისი ერი, საქმისა და მეცნიერების ჭეშმარიტი პატრიოტები, თავისებური, ძალზე საინტერესო, რთული, განსხვავებული და თან მონათესავე ბუნებისა და ხასიათის ადამიანები. წერილებში გამჟღავნებულია ამ ორი დიდი პიროვნების ადამიანური თვისებები, მათი ზრახვები და ინტერესები, მათი მისწრაფებები და სურვილები. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, პირად წერილებში გაცილებით უფრო გულწრფელი, უშუალო და უტყუარია, ვიდრე მშრალ მეცნიერულ შრომებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში.

წერილები სავესა არაჩვეულებრივი ადამიანური სითბოთი და გულითადობით. მიუხედავად მიმოწერის საქმიანი ხასიათისა, თითქმის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის შეფარული სინაზე, განუზომელი ერთგულება და სიყვარული, რომელსაც ისინი უხვად უნაწილებდნენ ერთმანეთს. ასე მეგობრულად და შეხმატბილებულად საუბრობდნენ ისინი 43 წლის განმავლობაში და ცხოვრების ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთმანეთის ყველა წერილმანი იცოდნენ, ერთმანეთის კი-

რი და ლხინი ახლოს მიჰქონდათ გულთან: პირადი, საზოგადოებრივი თუ მეცნიერული გამარჯვება ერთისა იყო მეორის სიხარული და წარმატება. ამგვარ პიროვნებებზე წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი ამ წერილების მიხედვით.

მიმოწერის სტილი საერთოდ საქმიანი და ოდნავ მშრალია; ხშირად ზედმეტად ლაკონიური და სქემატურიცაა იმისდა მიხედვით, თუ რა თემას ეხება ესა თუ ის წერილი; სიტყვა, როგორც წესი, ზუსტია, მოზომილი და აწონილი. დროდადრო ისინი გრძნობდნენ მიმოწერის ზედმეტად საქმიან კილოს და მის შესარბილებლად თუ შესამსუბუქებლად, ხშირად მიმართავდნენ იუმორს, რომელიც ორთავეს უხვად | ჰქონდათ მომადლებული ბუნებისაგან, ზოგჯერ ე. წ. მათი „გურული იუმორი“ სარკაზმში გადადიოდა, ეს განსაკუთრებით იგრძნობა ნ. მარის წერილებში, მეტადრე მაშინ, როცა მისი დაცივნის ობიექტები ძველი თაობის წარმომადგენლები არიან.

ჩვენი მიზანი არაა ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული პროდუქციის შეფასება. ვცდილობთ წერილების კვალდაკვალ, შეძლებისდაგვარად, თვალი გავადევნოთ საკითხთა იმ წრეს, რომელიც დასმულია ამ მიმოწერაში. ¹ ძირითადი საკითხები, რომელთა ირგვლივ წარმოებს ამ ორ მეცნიერს შორის მიმოწერა, ეხება ხელნაწერთა შეგროვებას, სისტემატიზაციას და კატალოგიზაციას, წერილობითი ძეგლების დაცვა-პატრონობას და მათს პუბლიკაციას, ძველ ქართულ საეკლესიო, საერო და ფილოსოფიურ მწერლობას, ისტორიოგრაფიასა და არქეოლოგიას. წერილებში დიდი მასალაა დაცული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის შესახებ, როგორცაა ზრუნვა საზოგადოების ბიბლიოთეკის მოწყობისა და მუზეუმის შენობის აგებინათვის; მიმოწერაში ასახულია ექვთიმეს მიერ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების ისტორია და მისი მუშაობის ხასიათი, ნ. მარის თაოსნობით კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტის დაარსების ისტორია და მრავალი სხვა. ამ საკითხთა ერთობლიობა ნათლად წარმოგვიდგენს ქართული ფილოლოგიის და ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინების, აღმოცენებისა და მათი განვითარების გზებს.

* * *

ნიკო მარსა და ექვთიმე თაყაიშვილს სიყრმიდანვე დიდი და გულთაღი მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. ეს გრძნობა მათ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ. ერთად გატარებული გიმნაზიისა და სტუ-

დენტობის წლები, საერთო ინტერესები და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მისწრაფებები შემდგომ უკვე სერიოზულ და საქმიან ერთობლივ მეცნიერულ მუშაობაში გადაიზარდა. ეს თანამშრომლობა თავის გამოხატულებას პოულობს ამ მდიდარ მიმოწერაში, რომელიც დღემდე გამოუყენებელია მეცნიერთა ბიოგრაფიებში.

ზოგორც წერილებიდან ჩანს, ნ. მარმა და ექვთიმე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაისახეს მეცნიერული მოღვაწეობის სრულიად რეალური, პრაქტიკული გეგმა-პროგრამა¹. ამ პროგრამის მიხედვით მათი მთავარი მიზანი იყო ქართული ბექდვითი ორგანოს შექმნა: „თუ ტექსტები არ აღიდგინება და არ დაიბეჭდება, ქართული ენის გამოცვლზე ვერ წავა კარგად“. ქართული ენის, ისტორიისა და მწერლობის კვლევა იყო იმჟამად მათი მთავარი ამოცანა. პირობის თანახმად, ნიკო მარი პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უნდა ჩამოსულიყო საქართველოში და აქ დაეწყო ექვთიმესთან ერთად მეცნიერული მოღვაწეობა, საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. გარკვეულ მიზეზთა გამო, ნ. მარი პეტერბურგში დარჩა, მაგრამ ამას სრულებით არ შეუშლია ხელი მათი ერთობლივი მეცნიერული მოღვაწეობისათვის, პირიქით, ამ ფაქტორმა ერთგვარად თითქოს გააძლიერა კიდევ მათი კონტაქტები. ნ. მარს არც გიმნაზიის ამხანაგებთან გაუწყვეტია კავშირი და არც ქართული ყურნალის დაარსების იდეისთვის უღალატნია (მასალებსაც კი აგროვებდა ამ ყურნალისთვის). თუ რა მიზნებს უსაზღვდნენ ამ ყურნალს ნ. მარი და ე. თაყაიშვილი, კარგად ჩანს მათი წერილებიდან.

პეტერბურგში ნიკო მარმა მეცნიერული ნათლობა მიიღო ისეთი დიდი ორიენტალისტებისაგან, როგორებიც იყვნენ მისი მასწავლებელი ბარონ ვიქტორ როზენი, ბარტოლდი, ჟუკოვსკი, ოლდენბურგი და სხვ. პეტერბურგის ორიენტალისტურმა სკოლამ და უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დონეზე მოღვაწეობამ როზენის თაოსნობით რუსული ორიენტალისტიკა გამოიყვანა იზოლირებულ მიზგომარეობიდან. როზენის იდეა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების კულტურული ერთობის, ერთიანი საკაცობრიო ლიტერატურის აღიარებით გეზსა და მიმართულებას აძლევდა პეტერბურგის სკოლას; სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტმა იკისრა ამოცანა, ბარტოლდის თქმით, „ყოფილიყო მეცნიერული აღმოსავლეთმცოდნეობის სანერგე“.

¹ ე. ლენე მეტრეველი, ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერადან, შრავალთავი, I, თბ., 1971, გვ. 382.

ამ დიდ მეცნიერთა გვერდით და მათი ხელმძღვანელობით ნიკო შარი მიზნად ისახავს პეტერბურგის სკოლის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდებისა და ფილოლოგიური მეცნიერების ფორმების დანერგვას საქართველოში. ამ საქმეში მას პირველ დამხმარედ ექვთიმე თაყაიშვილი ეგულებოდა.

მარი ბროსეს თეორია საქართველოს ისტორიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისაგან იზოლირებულად განხილვის შესახებ, ნ. მარის სიტყვით, „გადაჭარბებით აკმაყოფილებდა იმდროინდელ აღმოსავლეთმცოდნეობის მოთხოვნილებას არა მარტო რუსეთში, ევროპაშიც კი“². ამიტომ გაიხადა მ. ბროსემ თავისი სამეცნიერო მიმართულების ქვაკუთხედად და ამოსავლად XVIII—XIX საუკუნეების ქართველ მეცნიერთა თეორია.

იმდროინდელმა მეცნიერულმა აზრმა, რომლის სულის ჩამდგმელი საქართველოში იყო ძველი თაობა, მარი ბროსეს მიერ შემუშავებული, ტრადიციაზე დამყარებული ცალმხრივი თეორია აირჩია. ამ თეორიით საქართველო სხვა ქვეყნების ისტორიული წარსულისგან იზოლირებით შეისწავლებოდა. თუ რომელიმე მეცნიერი მკვლევარი ისტორიკოსი მიმართავდა სხვა ქვეყნის ისტორიას, მხოლოდ მშობლიური წარსულის უპირატესობის საჩვენებლად და საილუსტრაციოდ.

ნიკო მარი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ამ იზოლირებულ მდგომარეობიდან გამოიყვანა საქართველო, მისი ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის საქმე. ნაციონალური კულტურის სხვა ხალხის კულტურათაგან განცალკევებულად, მოწყვეტილად შესწავლა მას მიაჩნდა პროვინციული, ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენად. ნ. მარი კი იღვწოდა იმისათვის, რომ ქართული კულტურის ძეგლები სათვის მისი კუთვნილი ადგილი მიეჩინა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამიტომ ცდილობდა იგი, რომ ქართული და საერთოდ კავკასიური კულტურა ზოგადაღმოსავლური მსოფლიო კულტურასთან კავშირში განეხილა და შეესწავლა. ამის გამო მოექცა მისი ყურადღების ცენტრში მთელი კავკასია და მისი ისტორია. ნ. მარის აზრით, ქართულ-სომხურ ფილოლოგიასა და ისტორიაში ვერც ერთი პრობლემა ვერ დამუშავდება და გადაიჭრება საერთო კავკასიური პერსპექტივის გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც შეიყვანა მან ქართული ფილოლოგია „ზოგად კავკასიური ფილოლოგიის უფრო ფართო ფარვატერში, სრულად გარკვეული ორიენტაციით „წინა აზიის მსოფლიოზე“. კულტურის იზოლაციის ტრადიციული თვალსაზრისი, ნ. მა-

² Н. Я. Марр, К столетию дня рождения М. И. Броссе, СПб, 1902

ჩის აზრით, საქართველოს თიშავდა საკაცობრიო ლიტერატურის განვითარების პროცესიდან და მის გენიას ვიწრო, ადგილობრივ ჩარჩოებში ამწყვდევდა. ნ. მარი ამტკიცებდა, რომ ქართული კულტურა ძველადაც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა სხვა კულტურულ ხალხებთან, ზოგჯერ რამდენიმესთან ერთდროულად. სწორედ ამ თვალსაზრისს აღუდგა წინ ძველი თაობა, რომელმაც თავის დევიზად გაიხადა: მამულიშვილობა მეცნიერებაში. ეს თაობა იღვწოდა მთელი ძალით გამოეკვითა ქართული კულტურის იზოლირებული, გავლენებისაგან თავისუფალი, თავისთავადი და თვითმყოფადი ბუნება და ხასიათი. ტრადიციული მეცნიერების და ამ ახალი სულისკვებითების გამომხატველი მეცნიერების დაპირისპირებამ გარდუეალი გახადა კონფლიქტი ძველსა და ახალ თაობათა შორის; ეს კონფლიქტი მთელი სიმწვავეით აისახა ნიკო მარისა და ექვთიმეს წერილებში. ბრძოლა იყო მძაფრი, დაუზოგავი, ხან აშკარა და ხან მალული, შეფარული და, ჩვეულებრივ, როგორც ამას ადგილი აქვს ხოლმე მწვავე კონფლიქტების დროს, ხშირად შეუფერებელ, არამეცნიერულ ხასიათსაც კი ღებულობდა.

ყველაფერი, რაც ნიკო მარის ხელიდან გამოდიოდა, ძველი თაობის დაუნდობელ და მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა და, პირიქით — თავის მხრივ, არც ნიკო მარი ზოგავდა ცოდნას, ენისა და გონების სიმახვილეს მათი მცდარი თვალსაზრისის გასაკრიტიკებლად და განსაქიქებლად (ამ ბრძოლის გარდა, წერილებში აისახა აგრეთვე უთანხმოება ნ. მარსა და ა. ცაგარელს შორის). უთანხმოება მოსე ჭანაშვილსა, თედო ჟორდანიას და ექვთიმე თაყაიშვილს შორის, როგორც წერილებით ირკვევა, წარმოებდა სხვადასხვა მეცნიერულსა და კულტურულ-საზოგადოებრივ საკითხებზე. ძველი თაობის წარმომადგენლებს ხშირად ნ. მარის მოღვაწეობით გამოწვეული გაღიზიანება გადაჰქონდათ მის მოწაფეებსა და თანამზრახველებზე. სხვა მიზეზთა შორის, ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რატომაც აღმოჩნდა ე. თაყაიშვილი განსაკუთრებულად მძიმე პირობებში საქართველოში თავისი პირველი მეცნიერული ნაბიჯების გადადგმისთანავე და რატომ შეხვდნენ ასე მტრულად ძველი თაობის წარმომადგენლები მის მეცნიერულ საქმიანობას. საგულისხმოა, რომ ასეთი დამოკიდებულება ექვთიმესადმი მათ დიდხანს გაჰყვათ. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს 1935 წელს ე. თაყაიშვილის მიერ იროდიონ სონღულაშვილისადმი ემიგრაციიდან მოწერილი ბარათი: „მაქ ხომ შენს გარდა არავინ მყავს, მეგობრობას ვინ ჩივის, რომ მტრულად არ იყვენ განწყობილნი. მოხარული არიან რომ მოგშორდი და, თუ რამე გამოიკეთებია, იმის ამოფხვრასა და განქიქების არაფერი ურჩევნიათ. მე მაინც სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი, ვი-

ცი ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა და ორ-სამ ღირსეულ ადამიანს რომ მაქ ვხედავ მიხარის და მამხნევებს. ნურც შენ გაიტეხ გულს“...³

მიმოწერა მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდათ ნიკო მარსა და ექვთიმე თაყაიშვილს ახალი ქართული მეცნიერების შენების გზაზე, რა თავდადებით იბრძოდნენ ისინი იმისათვის, რომ ქართული ფილოლოგიური მეცნიერება იმდროინდელი რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის დონეზე აეყვანათ.

„საფუძველი ყოველგვარი სერიოზული მუშაობისა ლიტერატურის დარგში, — წერდა ნ. მარი, — არის კატალოგიზაცია“. ამიტომ უთმობდა იგი ასეთ დიდ ყურადღებას ხელნაწერთა აღწერის საქმეს. მიმოწერის პირველ ხანებში თითქმის ყოველ წერილშია საუბარი ხელნაწერთა კატალოგიზაციის საკითხებზე. 1888 წელს ნ. მარი მუშაობდა თბილისში დ. ალექსი-მესხიშვილის მიერ წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის შეწირულ ხელნაწერთა სიის შედგენაზე და მათ გარჩევაზე. 1900 წელს ის აქვეყნებს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგს (23 ხელნაწერის აღწერილობა). ნ. მარის ყურადღების ცენტრშია შინაარსისა და სიძველის მიხედვით გამორჩეული ხელნაწერები, რომლებიც აღმოსავლეთის სხვადასხვა წიგნსაცავებში იყო თავმოყრილი: ათონსა, სინასა და პალესტინაში. ნ. მარმა იმოგზაურა ამ ადგილებში, შეისწავლა ისინი და შემდეგ გამოაქვეყნა ამ მოგზაურობათა ანგარიშები („Из поездки на Афон“, „Предварительный отчет...“), რომელთაც დიდი რეზონანსი მოიპოვეს ევროპაში. სწორედ ამ ანგარიშებმა ათქმევინეს ა. პარნაკს ცნობილი სიტყვები: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც! გამოჩნდებიან განა ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია იმ ხალხის, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და ახლოგაგვაცნონ მისი საუნჯე“⁴.

წერილებში უხვადაა წარმოდგენილი ისეთი მასალაც, რომლის მიხედვით კარგად ჩანს, რა მონდომებით და ენთუზიაზმით შეუდგა პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული მეცნიერული გემებით შეიარაღებული ე. თაყაიშვილი სამეცნიერო და საზოგადოებრივ

³ ირ. სონდულაშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 163.

⁴ ციტირებულია ვ. მიხანკოვას წიგნიდან: „Николай Яковлевич Марр“, М.-Л.,

შრღვაწობას, კერძოდ, ქართული სიძველეების შეგროვებას და მათი დაცვისა და შესწავლის საქმეს. საქართველოში ის დაუახლოვდა დიდ მამულიშვილსა და მეცნიერს დიმიტრი ბაქრაძეს და მისი დახმარებით ხელი მიჰყო ქართული წერილობითი ძეგლების, ხელნაწერებისა და საეკლესიო ნივთების შეგროვებასა და შესწავლას. მთავარი ამოცანა ამჟამად იყო სწორედ ქართული სიძველეების მოპოვება და მათი შეგროვება.

1889 წელს თბილისში გაიხსნა საეკლესიო მუზეუმი, რომლის წევრი ექვთიმე იმავე წელს გახდა. იგი აქტიურად ჩაება მუზეუმის სამეცნიერო ცხოვრებაში. ამ ფაქტის შესახებ ის ნ. მარს აცნობებს: „ეხლა საეკლესიო მუზეუმში შეგროვდება ყველა მონასტრიდან წიგნები. მე იქ წევრი ვარ გამგებობისა და ვეცდები მეცნიერული ხასიათი შივეც ჩვენს შრომას და გამოცემას. ეხლა მე და ბაქრაძე მცხეთაში უიყავით და იქაური ხელნაწერები აღეწერეთ და წამოვიღეთ კიდევ“ (ნ. მარს არქ. № 119, 1889 წ.). ექვთიმე კარგად იცოდა, რომ ეკლესიამონასტრებს გარდა ძველი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და სხვა ისტორიული ნივთები კერძო პირებსაც ჰქონდათ ოჯახებში. ამიტომ იგი ამ ნივთებისა და ხელნაწერების მოპოვების სხვა გზებსაც მიმართავდა, კერძოდ, პროპაგანდას. ექვთიმე მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებას ოჯახში დაცული სიძველეები შეეწირათ მუზეუმებისათვის. წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში ექვთიმემ საგანგებო ოქროს დაფის გაკრა გადაწყვიტა, სადაც შეტანილი იქნებოდა იმ პირთა სახელები, რომლებიც შესწირავდნენ ბიბლიოთეკას ხელნაწერებსა თუ სხვა ისტორიულ სიძველეთ. ეს ზომა, მისი აზრით, ბევრ ხელნაწერს შესძენდა ბიბლიოთეკას (ნ. მარს არქ. № 119, 1889 წ.), ბევრი ხელნაწერი შეიძინა ექვთიმემ საკუთარი სახსრებით, ბევრიც აღმოაჩინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური მოგზაურობების დროს. სიძველეებს ის თავს უყრიდა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში და ამიტომაც ზრუნავდა იგი თავგამოდებით ამ ბიბლიოთეკის მოწყობაზე, რომელიც, მისი აზრით, ქართველი ერის „ერთადერთი“ სიმდიდრე იყო: „ჩვენ ქართველებს, — წერდა იგი ნ. მარს, — მეტი არაფერი გვაქვს, ჩვენი ავლა-დიდება და ჩვენი აკადემია ეს ბიბლიოთეკა“. ექვთიმემ შეიმუშავა ბიბლიოთეკის მოწყობის პროექტი და პირველ რიგში ნ. მარს გააცნო იგი (ნ. მარს არქ. № 119, 1889 წ.). ამავე წერილიდან ჩანს ისიც, როგორ ზრუნავდა ექვთიმე ბიბლიოთეკაში დაცული ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემისათვის საჭირო თანხის შეგროვებაზე.

ნ. მარს ხელმძღვანელობით ექვთიმე შეუდგა ამ ბიბლიოთეკის მდიდარი ხელნაწერა ფონდის დამუშავებას და კატალოგიზაციას. ეს

საპატრიო საქმე მას წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მიანდო. „ჯერ მოვაწყობთ რეთიც შეიძლება ბიბლიოთეკას, — აცნობებდა იგი ნ. მარს, — და მერმე შევადგენთ კატალოგს (კატალოგის შედგენა ჩემს ამხანაგების თუმცა ჯეროვნათ არ ესმით), მივყოფთ ხელს საუკეთესო მასალების გამოცემას. ეხლა შენ მომწერე შენი პლანი კატალოგის შედგენის (ერთნაირი პლანი გვექონდეს საჭიროა) და აგრეთვე, თუ რა ენაზე დავებუქლოთ კატალოგი, მივყვეთ პატრიოტობას და გამოვსცეთ მართო ქართულად, თუ რუსულად დავებუქლოთ? მეცნიერების საინტერესოდ, რასაკვირველია, რუსულად სჯობს, მაგრამ აქ არ დამეთანხმებიან და თავისი ხარჯით არ გამოსცემენ, მე კი ჯერ ქართულად ვადგენ“ (ნ. მარის არქ. № 119, 1889 წ.) წერილებიდან ჩანს, რომ აღწერილობის ინსტრუქცია ექვეთიმეს ნ. მარმა მიაწოდა⁵. ეს ინსტრუქცია დაედო საფუძვლად ექვეთიმეს აღწერილობას⁶. თავდაპირველად ექვეთიმე ხელნაწერთა აღწერილობას „ივერიის“ ნომრებში ათავსებდა⁷, შემდეგ მან განიზრახა კრცელი კატალოგის შედგენა.

როგორც ყველა დიდ წამოწყებას, ექვეთიმეს კატალოგის შედგენასა და გამოცემასაც დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ. საქმე ისაა, რომ ვრცელი სამეცნიერო კატალოგის პუბლიკაციას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში ამის თაობაზე ატყდა სერიოზული კამათი. 1891 წელს „ივერიის“ ფურცლებზე ფართო „დისკუსია“ გაიშალა ამ საკითხზე. დაიბეჭდა თედო ჟორდანიას წერილი სათაურით: „როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი“⁸, რომელსაც მოჰყვა ე. თაყაიშვილის პასუხი „წერილი რედაქციის მიმართ“⁹. თ. ჟორდანიამ კვლავ „ივერიაში“ მოათავსა საპასუხო წერილი: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველ მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შედგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა“¹⁰. წერილებში თ. ჟორდანიამ იწუნებდა ე. თაყაიშვილის მიერ შემოთავაზებულ ხელნაწერთა აღწერის პრინციპებსა და გეგმას და, საერთოდ, ეჭვის ქვეშ აყენებდა სამეცნიერო

⁵ ამის შესახებ იხ. რ. კ ა ვ ი ლ ა ძ ე, ე. თაყაიშვილი და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1975, № 3, 68—77.

⁶ Е. С. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей библиотеки ГОбщества распространения грамотности среди грузинского населения. 1902, т. I, вып. I.

⁷ ე. თაყაიშვილი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, „ივერია“, 1890, № 3—4, 6, 8,—9, 11; 13, 14—15, 20; 28—29, 46, 57—58.

⁸ „ივერია“, 1891, № 120.

⁹ „ივერია“, 1891, № 134.

¹⁰ „ივერია“, 1891, № 231.

კატალოგის მოკლე ვადაში შედგენის შესაძლებლობის საკითხს. ამინ გამოძახილი არის ნ. მარისა და ექვთიმეს წერილებში, რომელთა საფუძველზე ირკვევა, რომ ექვთიმემ ბრწყინვალედ გაართვა თავი აღწერილობასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას. როგორც ნ. მარა უჩივდა, „გაიტანა თავისი“ და ენერგიულად შეუდგა კატალოგის შედგენას. ნ. მარმა აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა ექვთიმეს მიერ შედგენილ აღწერილობას¹¹. გარდა ამ ოფიციალურად გამოთქმული აზრისა, ნ. მარმა მიმოწერაშიც გამოხატა თავისი დამოკიდებულება დასახლებული ნაშრომისადმი.

თუმცა ფუნქციები მეგობრებს შორის იმთავითვე ასე იყო განაწილებული: ნიკო მარმა თავისი მოღვაწეობის სამოქმედო ასპარეზად ქართული ენა და მწერლობა აირჩია, ხოლო ექვთიმემ — ისტორია, წყაროების მოძიება და არქეოლოგია, მაგრამ, დროის მოთხოვნის შესაბამისად, ორივემ გადაუხვია წინასწარ დასახულ გზას: გაფართოვდა კვლევის არე, გაღრმავდა მათი მეცნიერული ინტერესები და მათმა მოღვაწეობამაც უნივერსალური ხასიათი შეიძინა.

უნივერსალიზმი ერთადერთი გამართლებული ფორმა იყო ექვთიმესა და ნ. მარის მოღვაწეობისათვის. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ის ხანა, რომელშიც ექვთიმეს მოუხდა მუშაობა, თავისი ხასიათით შემგროვებელურ პერიოდად არის აღიარებული. ექვთიმემ იღვა თავს ხელნაწერი მასალისა თუ სხვა ქართული სიძველეების შეგროვების, აღწერის, მოვლა-პატრონობისა და პუბლიკაციის მისია და ამით საფუძველი ჩაუყარა ქართული ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიური მეცნიერების მკვიდრ შენობას, მის შემდგომ განვითარებას. ე. თაყაიშვილის მოღვაწეობა ამ მიმართულებით, მისი ღვაწლი ქართულ სიძველეთა შეგროვებისა და დაცვის საქმეში შესანიშნავად არის წარმოდგენილი წინამდებარე წერილებში¹².

ქართული ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთების და სიძველეების უკეთ შეგროვების, დაცვისა და შესწავლის მიზნით ე. თაყაიშვილმა გადაწყვიტა დაეარსებინა ჰაქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამჯერადაც თავისი ახალი ჩანაფიქრი მან პირველად ნიკო მარს გაანდო და სთხოვა, გაეწია მისთვის დახმარება: „თუმცა მუშაკნი მცირენი არიან, მაგრამ მაინც ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ვაარსებ, რომ როგორმე მუზეუმში ცალკე ვიქონიოს

¹¹ Н. Я. Марр, Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили, „Описание...“ ЗВО, 1904, т. XV.

¹² იხ. რ. კავილაძე, ე. თაყაიშვილი ქართულ სიძველეთა შეგროვებელად დამკველი, „მაცნე“... 1984, № 1, 42—58.

და სამუშაო ცენტრი შეექმნათ, იმედი მაქვს თავდაზნაურობა დაგვეზარება და სიძველენის გამოცემას შევუდგებით. შენ უნდა დაშეხმარო (ხაზგასმა ჩვენია) — (ნ. მარის არქ. № 161, 1907 წ.). 1907 წელს ექვთიმემ ხორცი შეასხა თავის ჩანაფიქრს და დააარსა ახალი საზოგადოება. ამ საზოგადოების გახსნის ამბავი პირველმა საქართველოს ფარგლებს გარეთ ნიკო მარმა შეიტყო. ექვთიმემ წინდაწინვე აუწყა მას, რომ ჩატარდა ორი სხდომა და აპირებს საზოგადოების კრებულის გამოცემას სათაურით „საქართველოს სიძველენი“. აქვე აღცნობებს აგრეთვე, რომ ამ საზოგადოების წევრებად არჩეულია ის და ივანე ჯავახიშვილი.

ახალი საზოგადოება ბევრ დროს თხოულობდა და ექვთიმეც თავისი დროის უდიდეს ნაწილს ამ საზოგადოებაზე ზრუნვას ახმარდა. ცხადია, მეცნიერული მუშაობისათვის თავისუფალი დრო ნაკლებად რჩებოდა, მაგრამ ამას აღარ დარდობდა, რაკი საზოგადოების საქმეები წესრიგში ჰქონდა, ეს კი მისთვის მთავარი იყო. „მე მგონია, — წერდა იგი მ. მარს, — ამით უფრო მკვიდრ საფუძველს დავუდებ ჩვენი წარსულის შესწავლას, ვიდრე წერით ან სხვა მოღვაწეობით“ (ნ. მარის არქ. № 167, 1910 წ.).

ექვთიმეს ინიციატივით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება რეგულარულად აწყობდა ექსკურსიებსა და ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აქ აგროვებდა ექვთიმე ჩვენი წარსული კულტურის ნაშთებს, ისტორიულ დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს, ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკულ მასალას.

თბილისში, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, ხშირად ტარდებოდა ლექციები სხვადასხვა თემაზე. ამ მოხსენებებსა და ლექციებს ესწრებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლნი. პირველ ხანებში დამსწრე საზოგადოების მსმენელთა რიგები ძალზე თხელი იყო. ექვთიმე საკმაოდ შეშფოთებული შენიშნავდა ამას და ნ. მარს აცნობდა ყოველი ახალი ლექციის ხარისხსა და დამსწრეთა რაოდენობას. წერილებიდან ჩანს, რომ მეცნიერული ინტერესები იმ-ხანად ბევრს არა ჰქონია. ექვთიმე გრძნობდა, რომ საზოგადოების გამოღვიძება, მისი დაინტერესება იყო საჭირო და ხშირად სთხოვდა ნ. მარს წაეკითხა ლექციები საზოგადოებაში ნებისმიერ თემაზე.

ქართულ სიძველეთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში სიძველეთა თავმოყრის შემდეგ ექვთიმე მიზნად ისახავს ამ სიძველეთა გაერთიანებას და მათთვის საერთო მუზეუმის დაარსებას. მუზეუმისათვის ცალკე შენობის აგებაზე ზრუნვა

ქართულ მოწინავე საზოგადოებას ადრევე ჰქონდა დაწყებული. როგორც ცნობილია, დავით სარაჯიშვილის ანდერძის თანახმად, მუზეუმისათვის უნდა გამოეყოთ 600 ათასი მანეთი. სამუზეუმო კომისიამ, რომლის თავმჯდომარე იყო ე. თაყაიშვილი, შენობების აგება ფიქრის გორაზე გადაწყვიტა. ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს ე. თაყაიშვილის ენერგიული მოთხოვნის წყალობით დაუთმეს სათავადაზნაურო გიმნაზიის მესამე სართული. 1912 წელს ექვთიმესავე რჩევით ამავე შენობაში მოთავსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი. 1916 წელს იმავე ე. თაყაიშვილის ინიციატივით აქვე გადმოვიდა საეკლესიო მუზეუმიც¹³. ასე მოუყარა ერთად თავი ე. თაყაიშვილმა ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებს.

თითქოს ყველაფერი მომზადდა იმისათვის, რომ გაშლილიყო ფართო მეცნიერული მუშაობა და შეგროვილი მასალის იმ მასშტაბებით დამუშავება, რომელიც ნ. მარსა და ე. თაყაიშვილს ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ხელნაწერთა კატალოგიზაციის შემდეგ ნ. მარი და ე. თაყაიშვილი შეუდგნენ ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაციას. ამისათვის საჭირო გახდა მუშაობის სტილში თავისებური გარდატეხის შეტანა მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდების დანერგვით. ძეგლების გამოცემას ისინი შერჩევით ახორციელებდნენ და ამ შერჩევას საფუძვლად ყოველთვის მეცნიერული პრინციპი ედო. წერილებიდან ჩანს, რომ შერჩეული მასალების პუბლიკაციის პრინციპებს ექვთიმეს ნ. მარი სთავაზობდა¹⁴. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეიმურაზ II-ის „სარკე-თქმულთას“ გამოცემასთან დაკავშირებული ისტორია. ნ. მარი წერილში დაყინებით ითხოვდა ექვთიმეს დაეცვა თავისი პოზიციები და ყოველი ღონე ეხმარა იმისათვის, რომ გამოეცა ძეგლის კრიტიკული ტექსტი. „სარკე-თქმულთას“ გამოსაცემად შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც არ თანხმდებოდა გამოცემაზე ვარიანტების დართვას. „თავისი გაიტანე, — წერდა ექვთიმეს ნ. მარი, — თუ ღმერთი გწამს, ხომ იცი, რომ ერთხელ რომ წიგნი გამოვა ქართული, მეორე გამოცემა მისი არავის მოსდის თავში, მამ ეგრე გამოეც, რომ მეორე გამოცემის საბუთი სხვა რა საბუთი არ იყოს, გარდა პირველის (გამოცემის) დალევისა“. ამავე წერილში ნ. მარი დაწვრილებით ეხებოდა თვით გამოცემის პრინციპებს¹⁵. ეს იყო სინამდვილეში წინასწარი.

13 რ. მეტრეველი, შ. ზადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, 1962, გვ. 29—30.

14 ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 384—385.

15 იქვე.

ზოგადი სამუშაო გეგმა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ექვთიმეს ნებისმიერი პირველწყაროს პუბლიკაციის დროს. გეგმა გულისხმობდა ამა თუ იმ ძეგლის გამოქვეყნების დროს ძირითად ტექსტად ყველაზე სანდო და კარგი ხელნაწერის შერჩევას, დანარჩენ ხელნაწერ-ვარიანტების სქოლიოში ჩვენებას და სხვ. „სარკე-თქმულთას“ ამ გეგმით გამოცემა ვერ განხორციელდა, რადგან კომისიამ არ დაუჭირა მხარი ექვთიმეს. სამაგიეროდ, ამ გეგმით გამოსცა ექვთიმემ „ქართლის ცხოვრების“ მარიაამისეული რედაქცია, „სამი ისტორიული ხრონიკა“, „წმ. ნინოს ცხოვრება“ და სხვა.

ძეგლთა პუბლიკაციაზე მუშაობა რომ დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული, ეს კარგად ჩანს მიმოწერიდან. ჯერ ერთი, ექვთიმეს ყოველთვის არ მიუწვდებოდა ხელი იმ მასალებზე, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ამა თუ იმ ძეგლის გამოქვეყნება. წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ექვთიმე ძალიან ხშირად სთხოვდა ნ. მარს ხელნაწერების დაძებნას პეტერბურგის წიგნსაცავებში: „ჩვენი ხელნაწერები ზოგი მაქაა და ზოგი აქ და ერთიმეორის შეუღარებლად არცერთის შესწავლა და გამოცემა არ შეიძლება და არ ვარგა“ (ნ. მარის არქ.: № 122, 1890 წ.). მთავარი სიძნელე მაინც ის იყო, რომ ახალი მეცნიერული პრინციპებით ძეგლების ბეჭდვა გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში ძველი თაობის წარმომადგენელთა მხრიდან. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ისევ „სარკე-თქმულთა“-ს გამოცემის ისტორიის გახსენება. ძეგლის კრიტიკულ გამოცემას არ დაუჭირა მხარი კომისიამ, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობას შეადგენდა ძველი თაობის წარმომადგენლობა. ქართულ წყაროთა პუბლიკაციას მეცნიერული გეგმით ექვთიმე მხოლოდ მაშინ ახერხებდა, როცა ძეგლს საკუთარი ხარჯებით სცემდა. ცხადია, ამის საშუალება ექვთიმეს ყოველთვის არ ჰქონდა. ძველი თაობის წარმომადგენლებთან შეთანხმების მიღწევა კი დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული და რიგ შემთხვევაში — შეუძლებელიც. რა უკიდურესობამდე მიდიოდა ეს ურთიერთობა, ჩანს იმდროინდელი ქართული პრესიდან. და აგრეთვე წარმოდგენილი მიმოწერიდან.

თავისი პირველი ნაშრომი „სამი ისტორიული ხრონიკა“ ე. თაყაიშვილმა, სხვათა შორის, საკუთარი ხარჯებით გამოსცა. ძეგლზე მუშაობა მან ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძის სიცოცხლეშივე დაიწყო. ქრონიკა შეიცავს მესხიშვილის მიერ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეწირულ „შატბერდულ კრებულში“ შემავალ თხზულებას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, და წმინდა ნინოს ცხოვრებას. ნაშრომში ე. თაყაიშვილი ახლებურად ათარიღებს ძეგლს მის მიერვე მიკვლეული პარხლის სახარების საფუძველზე. პარხლის სახარება და შატბერდის კრებული, როგორც გაარკვია ექვთიმემ, ერ-

თი და იმავე პირის — კერძოდ, „იოანე ბერაჲ“-ს მიერ იყო შესრულებული. ამგვარად, შატბერდის კრებულიც იმავე X საუკუნით დათარიღდა და არა IX-თი, როგორც ეს ადრე იყო დათარიღებული. „სამი ისტორიული ხრონიკის“ გამოცემის ირგვლივ დიდი პოლემიკა ატყდა, ბევრი კრიტიკული სტატია დაიწერა იმდროინდელ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ „ივერიაში“. ძველი თაობა ძალზე მტრულად შეხვდა ექვთიმეს გამოცემას. იმდროინდელი პრესიდან ჩანს, რომ ძველის პუბლიკაციას დიდი გაუგებრობა გამოუწვევია ძველი თაობის ქართველ მეცნიერთა შორის და ექვთიმეს მათგან უსამართლო კრიტიკაც კი დაუმსახურებია (ვევლისხმობთ თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, ვ. კარბელაშვილის მიერ „ივერიის“ ფურცლებზე გაჩაღებულ პოლემიკას). წერილებიდან ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ასეთი დამოკიდებულებით სრულიად დაბნეული და გაოგნებული ექვთიმე, რა მარტო იყო იგი „თავისიანებს“ შორის. მართლაც, თანამგრძნობი და გულშემმატკივარი ექვთიმეს საქართველოში არავინ გამოუჩნდა. ისევ ნ. მარი ამხნევებდა ექვთიმეს ამ მძიმე წუთებში.

უფრო დიდი შიშქმა-მოთქმა და კამათი გამოიწვია ექვთიმეს მოკიგმა ნაშრომმა — „წმ. ნინოს ცხოვრების“ გამოსვლამ.

წერილებში ექვთიმე დაწვრილებით და გულახდილად უამბობს ნ. მარს ტექსტის გამოცემის ისტორიას. ნ. მარი გააოცა ექვთიმეს უანგარო და თავდადებული საქმიანობისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მხრიდან და ვრცელი, საოცრად თბილი და მეგობრული წერილი გამოუგზავნა ექვთიმეს, რომელშიც სასტიკად ამათრახებდა ჩვენ მეცნიერულ საზოგადოებას, რომელმაც დაუშვა ამ მშვენიერი, „თავიდან ბოლომდე მეცნიერული გეგმით“ შესრულებული ნაშრომის ამგვარი „კრიტიკა“ და განქიქება. აქვე შეაფასა ნ. მარმა ობიექტურად ექვთიმეს საპუბლიკაციო შოლჯაწეობა, როგორც მისმა პირველმა კრიტიკოსმა და პირუთენელმა შემფასებელმა: „კიდევ გიცხადებ სრულ ჩემ თანაგრძნობას და მომავლის იმედს ნუ დაიკარგავ, გულს ნუ წავიხდენთ, შენი ფასი და ნუგეში ძეგლად არის ამოყვანილი შენივე შრომაში, შენ პირველ შრომაში (ე. თაყაიშვილის არქ., № 1198/106 — ხაზგასმა ნ. მარისა)“.

ეს წერილი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში ნ. მარი ურჩევს ექვთიმეს „შეგნებულმა ახალგაზრდობამ“ დააარსოს თავისი დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანო, თუნდაც ერთკვირეული, რომლითაც მას მიეცემა საშუალება აწარმოოს ნამდვილი, ობიექტური

პოლემიკა მეცნიერების სხვადასხვა სადავო და საპირბორბოტო საკითხებზე.

უდროობის გამო, ე. თაყაიშვილს ხშირად რამდენიმე ძეგლის გამოცემაზე პარალელურად უხდებოდა მუშაობა. ასე მაგალითად, თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთას“ რომ ამზადებდა დასაბეჭდად, იმავე დროს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს ამუშავებდა საპუბლიკაციოდ. ეს არჩევანი შემთხვევითი როდი იყო. ექვთიმეს ესმოდა „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის და ისტორიოგრაფიისათვის, ამიტომ „მისი ნამდვილი ტექსტის აღდგენა მიუცილებელი და საჭიროა როგორც ისტორიისათვის, აგრეთვე ლინგვისტიკური გამოკვლევისათვის“, — წერდა იგი მარს. ძეგლის გამოცემა მან გადაწყვიტა ყველა არსებული ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, მან ნ. მარს მიმართა თხოვნით დაეძებნა მისთვის საჭირო ხელნაწერები, აღეწერა ყველა მინაწერი და მიეწოდებინა მისთვის. თითქმის ყველა წერილში ვხვდებით (განსაკუთრებით პირველ ხანებში) ექვთიმეს თხოვნას გამოუგზავნოს „ქართლის ცხოვრების“ „ვარიანტები“ ანუ რედაქციები, ან ცნობები სხვა ხელნაწერების შესახებ. მიმოწერაში დაცულია „ქართლის ცხოვრების“ მარიაამ დედოფლისეული ვარიანტის გამოცემის მთელი ისტორია.

ე. თაყაიშვილს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების აღწერილობის მოთავსება როზენის კრებულში ჰქონდა განზრახული. როდესაც ექვთიმემ მიიღო თანხმობა აკადემიიდან, ნ. მარს აცნობა, რომ სურს „იმ ვარიანტების გამოცემა, რომელიც ჩვენ ტფილისში გვაქვს და ურომლისოდაც „ქართლის ცხოვრების“ ეხლა გამოცემა დიდი დანაშაული იქნება. მარიაამის ვარიანტი და ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრება პარალელურად უნდა გამოიცეს... არ დაანებო ისე გამოცემა, როგორც გამოცემულია“.

წლების მანძილზე მუშაობდა ექვთიმე „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე. სამუშაო მძიმე და შრომატევადი იყო. მიმოწერიდან კარგად ჩანს, როგორი სიყვარულით მუშაობდა იგი ამ ძეგლის გამოცემაზე; ბევრი დრო დაიხარჯა მის საპუბლიკაციოდ მომზადებაზე და, ვიდრე იგი გამოქვეყნდებოდა, ექვთიმემ სხვა ტექსტები უფრო ადრე გამოსცა.

ე. თაყაიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მარიაამ დედოფლისეული ნუსხა დაბეჭდა ცალკე ორი დამატებითურთ, რომელთა თაობაზე ნ. მარის შენიშვნა დაიმსახურა: „მიკვირს დამატებანი რატომ დაგირთავს ეგეთნი, რომელთა არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს დედა თხზულებასთან. ცალკე დაბეჭდვით თვით მარიაამის დედანსაც და ამ დამა-

ტებითაც უფრო სამართლიანად მოიქცეოდი. გვიან რომ არ იყოს, ეხლაც მასვე, აგეთ დანაწილებას გირჩევდი“. მართალია, ექვთიმემ მარიამ დედოფლისეული რედაქცია ცალკე გამოსცა, მაგრამ იგი პირველთაგანი იყო ქართველ მეცნიერთა შორის, რომელიც გრძნობდა „ქართლის ცხოვრების“ ყველა რედაქციის შედარებითი შესწავლის საჭიროებას, რისთვისაც „დიდი თეორიული ცოდნის გვერდით აუცილებელი იყო ასევე დიდი წყაროთმცოდნეობითი სამუშაოების შესრულება“¹⁶. კვლევის შედარებითი მეთოდი ჩვეულებრივ წესად იქცა ე. თაყაიშვილისათვის ძეგლების პუბლიკაციის დროს. ასე მუშაობდა იგი ბალავარიანის, კათოლიკოზ-ბაქარიანის, თიმსარიანის და სხვა ქართული ძეგლების გამოცემებზე.

ნ. მარი თავის სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობდა, როდესაც ე. თაყაიშვილმა „მელის წიგნის“ ქართული თარგმანის შესწავლას მიჰყო ხელი. ძეგლი იქამდე უცნობი იყო, რომ ამ აღმოჩენამ, ალაფრთოვანა ნ. მარი. სიხარული რომ ვერ შეიკავა, მან დეპეშა აფრინა ექვთიმესთან: «Поздравляю. Ты открыл грузинский перевод сборника Вардана. Вношу из письма в работу. Убедительно прошу, выслать на неделю рукопись для внесения в эпилог диссертации еще несколько строк о грузинском переводе. Твой приоритет гарантирован».

უფრო დაწვრილებით თავის აზრებს და შთაბეჭდილებებს ექვთიმეს მიერ აღმოჩენილ ხელნაწერზე ნ. მარი უზიარებს მას წერილით, რომელშიც თავისებურად „ამშვიდებს“ რომ „ჩემი აზრის გამოთქმით არა წაეკიდება რა შენ გამოცემას, რადგან 1) შენი წინაურობა (პრიორიტეტი) დაწვრილებით მოხსენებული იქნება, 2) ქართული გამოცემისათვის შენი მომზადება მოხსენებული იქნება, 3) ჩემ შრომაში შენ ხელნაწერს აგრე მოვექცევი, თითქო უკვე შენი გამოცემა მზა გქონდეს ხელში და უფრო მოწინააღმდეგეობაც, რადგან ატყერთ სტრიქონს არ შევიტან ქართული დედნისას, გარდა სათაურისა“ (ე. თაყ. არქ., 1104/115, 1899 წ.) ეს წერილი ნ. მარის მეცნიერული კეთილსინდისიერების მაჩვენებელიცაა. თავის მხრივ ექვთიმემ „მელის წიგნის“ ბექტური ტექსტი ნაწილ-ნაწილ გაუგზავნა ნ. მარს და თან დახმარებაც სთხოვა, თუ რამ ნაკლს შენიშნავდა, ეცნობებინა მისთვის. „მელის წიგნი“ მან გამოაქვეყნა 1899 წელს და ნიკო მარს უძღვნა. ინტერესს მოკლებული არაა ნ. მარის რეაქცია ამ მიძღვნაზე.

¹⁶ ნ. ბეგაიანიშვილი, აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი, კრებული, თბილისი, 1966, გვ. 10.

მიმოწერით ჩანს, რომ ნ. მარი და ე. თაყაიშვილი ერთად ირჩევ-
დნენ საპუბლიკაციოდ მოსამზადებელ ძეგლებს. საკმარისი იყო რაიმე
ექვი აღძვროდა ნ. მარს რომელიმე ძეგლის მეცნიერული ღირებულე-
ბის თაობაზე, რომ ექვთიმე ხელს იღებდა მის გამოცემაზე (ასე მოხდა
მაგალითად, ფარსადან გორგჯანიძის ისტორიის პუბლიკაციის საკითხ-
თან დაკავშირებით). ნ. მარის აზრი უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი
იყო ექვთიმესთვის.

ნიკო მარი იყო ექვთიმეს მეცნიერული საქმიანობის წარმმართვე-
ლი, მისი არბიტრი, პირველი შემწე და დამხმარე, მისი მოღვაწეობის
პირველი შემფასებელი და ამავე დროს მისი პირველი კრიტიკოსიც —
დაუზოგავი და ობიექტური.

ნ. მარი იყო ექვთიმეს ყოველი ახალი წამოწყების კურსში, ხან
როგორც ამ წამოწყების ინიციატორი და ხან მისი მხურვალე მონა-
წილე. იგი მუდამ მხარში ედგა ექვთიმეს და მზად იყო დახმარების
ხელი გაეწოდებინა მისთვის საქმითა თუ მორალური მხარდაჭერით.
ნ. მარი ურჩევდა ექვთიმეს მომავალი მუშაობის გეგმას, ამავე დროს
იგი იყო მისი მუხრუჭი. ნ. მარი კარნახობდა ექვთიმეს იმასაც, თუ რა
არ უნდა გაეკეთებინა მას. ამის საუკეთესო მაგალითია ადინის სახა-
რების გამოცემის საკითხი. წერილებში ასახულია სახარების გამოცე-
მის ისტორია. როდესაც ექვთიმემ შეიტყო, რომ მოსკოვის არქეოლო-
გიურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ადინის სახარების გამოცემა, ექვთი-
მემ კატეგორიულად მოსთხოვა მათ: თუ სახარება გამოიცემა, უთუოდ
ჩემი ხელმძღვანელობითა და წინასიტყვაობით უნდა გამოიცესო —
სხვანაირად მე „პროტესტს გამოვაცხადებო“, — წერდა იგი ნ. მარს.
ნ. მარმა ამის პასუხად მკაცრი და დაუნდობელი წერილი გამოუგზავნა
ექვთიმეს, რომელშიც შეფარვით ისიც აგრძნობინა, რომ ექვთიმესგან
ასეთ პირობებში გამოცემული სახარება არაფრით არ იქნება გან-
სხვავებული ტრადიციული მეთოდით გამოქვეყნებული ძეგლისაგან.
იგი პირდაპირ წერს მას, რომ სახარების გამოცემას, გარდა „სინდი-
სიერი“ გამოცემისა, სჭირდება სომხური, სირიული და ებრაული ენე-
ბის ცოდნა და მათი დედნების ისტორიის გათვალისწინება. „ნუ და-
არღვევ, — წერს იგი ექვთიმეს, — უმთავრეს ცნებას — სპეციალის-
ტობას. წინააღმდეგ შემთხვევაში „ჩვენი დარგი არასდროს აღარ აიდ-
გამს მეცნიერულ ფეხს კავკასიაში, რადგან სხვა სპეციალისტს ჯერ
დღევანდლამდე ვერავის ვხედავ“ (ე. თაყაიშვილის არქ., № 1198/69,
1916 წ.).

სპეციალისტობა — აი, რას მოითხოვდა ნ. მარი ექვთიმესგან.
ამ გზიდან არ უნდა გადაეხვია ექვთიმეს, რადგან ყოველგვარი გადა-
ხვევა დილექტანტიზმით ემუქრებოდა მას. ექვთიმეც სიფრთხილით ეკი-

დებოდა ძეგლების პუბლიკაციას და მათ მეცნიერულ შესწავლას. ამ უკიდურესი სიფრთხილის გამოვლინებაა ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი უნიკალური ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ გამოცემის ცდა. ისტორია ძეგლისა, დღიდან მისი აღმოჩენისა პუბლიკაციამდე, წერილად არის გადმოცემული ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის წერილებში.

ქართლში, ერთ-ერთი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს (ატენის ხეობაში) ექვთიმემ ერთ გაპარტახებულ სახლში იპოვა გიორგი ბრწყინვალის დროინდელი „ძეგლის დება“, რომელსაც მოსდევდა „განგება მეფის კარისა“. — კელმწიფის კარის გარიგება. ამ აღმოჩენით აღტაცებული ექვთიმე, თავის სიხარულს წერილით პირველად ნ. მარს უზიარებს. პეტერბურგიდან ივანე ჯავახიშვილიც ეხმიანება და ულოცავს ექვთიმეს ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ხელნაწერის „მოპოვებას და სთხოვს მის შეძლებისდაგვარად მალე გამოქვეყნებას. „გიორგი ბრწყინვალის „კარის გარიგების“ პოვნამ ძალიან გამახარა, — წერდა ივ. ჯავახიშვილი ექვთიმეს, — გულწრფელად მომილოცავს და გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოთ. მოუთმენლად ველი დაბეჭდვას“ (ე. თაყაიშვილის არქ. № 1334). მალე დაბეჭდვა ასეთი მნიშვნელობის მქონე ძეგლისა, პირველ რიგში, თქმა არ უნდა, თვითონ ექვთიმეს სურდა, მაგრამ ხელს ის უშლიდა, რომ ხელნაწერი ძალზე ნაკლები იყო. საჭირო იყო რიგ შემთხვევაში ტექსტის გაუგებარი ადგილების დადგენა, აუარება სიტყვების და ტერმინების მნიშვნელობის გარკვევა. ექვთიმემ, ჩვეულებისამებრ, ნ. მარს მიმართა თხოვნით, რადგან ყოველთვის ის ჰყავდა მწედ და მეშველად ასეთ შემთხვევაში. ნ. მარი უმარტავედა ტექსტის გაუგებარ და ბუნდოვან ადგილებს, უცხო სიტყვებსა და ტერმინებს (ამისი მაგალითები უამრავია მიმოწერაში). თავდაპირველად ექვთიმემ განიზრახა ძეგლის პუბლიკაცია წერა-კითხვის საზოგადოების პირველ კრებულში, შემდეგ გადაიფიქრა და გადაწყვიტა მისი გამოცემა ნ. მარის მიერ ახლად დაარსებულ „Bibliotheca Armeno — Georgica“-ში. ამის შესახებ მან აცნობა ნ. მარს. მოუცლოლობის გამო ექვთიმემ დედანი დიდხანს ვერ მიაწოდა მას. ერთ-ერთ წერილში იგი წერს ნ. მარს, რომ ქართულად წაიკითხა მოხსენება ძეგლის შესახებ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე და ჰპირდება, რომ დაამზადებს ტექსტის თარგმანს რუსულ ენაზე და მიაწოდებს ამ სერიაში დასაბეჭდად. ექვთიმემ დროზე ვერ მოახერხა „კარის გარიგების“ ქართული ტექსტის გაგზავნა BAG-ში. რუსული თარგმანის გამოქვეყნება მათ გადაწყვიტეს „Христианский Восток“-ში. 1912 წელს ექვთი-

მემ მიაწოდა ნ. მარს ძეგლის ქართული ტექსტი უკვე დასაბეჭდად და-
მზადებული, თარგმანზე კი მას სთხოვს გაჰკრას ჩაღბი, ახსნას სიტ-
ყვები და განსამარტი ტერმინები. „ერთი სიტყვით, სრული რედაქ-
ტორობა და დახმარება იკისრე, უიმისოთ ისეთი მნიშვნელობა არ ექ-
ნება მის გამოცემას. შენზე მომინდვია. როდესაც ამისთვის მოიცალო
და დაამთავრო, მაშინ დაბეჭდე, ისე როგორც შენ გინდოდეს“ (ნ. მა-
რის არქ., № 169, 1912 წ.). წერილიდან ჩანს, როგორი მოწადინებული
იყო ექვთიმე, რომ გამოცემა რიგიანი და ხარისხიანი გამოსულიყო.
აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ ნ. მარის გარეშე მას გამოცემის და-
მუშავება უჭირდა. საბოლოოდ გადაწყდა „ქარის გარიგების“ პუბ-
ლიკაცია ნ. მარის კომენტარებით XB-ში. ექვთიმემ გაუგზავნა ნ. მარს
ტექსტი წინასიტყვაობის გარეშე. ნ. მარმა ტექსტი დროზე ააწყო-
ბინა თავისი მეთვალყურეობის ქვეშ. იგი ყოველ წერილში ახსენებდა
ექვთიმეს XB-სთვის მიუწოდებინა წინასიტყვაობა. რომ ველარაფერს
გახდა, ბოლოს შეუთვალა: „იქნებ არც აპირებ აქ დაბეჭდვას, მაშინ
ესეც შემატყობინე აწყობილს დავაშლიებ“ (ე. თაყაიშვილის არქ.,
№ 1198/77, 1913 წ.). ამ დროისათვის ექვთიმემ კვლავ შეიცვალა აზრი,
ახლა ჯერ ტექსტის გამოცემა გადაწყვიტა ცალკე, ხოლო მერე კი —
რუსული თარგმანისა. ნ. მარი ურჩევდა თარგმანის გამოცემამდე ცალ-
კე დაებეჭდა ქართული ტექსტი, თარგმანზე კი წერდა „იქნებ ვინმემ
მიაქციოს ყურადღება და რეალურათაც შეისწავლოს, მგონი ივანე
ჯავახიშვილი ფიქრობდა“ (ე. თაყაიშვილის არქ., № 1198/78, 1913 წ.).

ექვთიმეს, მოუცლელობის გარდა, აბრკოლებდა ისიც, რომ სულ
ეძებდა „ქარის გარიგების“ ახალ ხელნაწერს შესადარებლად. ნ. მარს
იგი ამის შესახებ წერს: „რატომ წარმოიდგინე, რომ მაქ არ მსურს
დაბეჭდვა. მოუცლელობის გამო კიდევ იმიტომ შევაჩერე, რომ იმედი
მქონდა, ერთ ადგილას სხვა დედანს აღმოვაჩენდი, ისეთი ნიშნები
იყო, მაგრამ ამ უქმეებზე წავედი და იმედი გამიცუდდა“. კიდევ
ბევრმა წყალმა ჩაიარა და წინასიტყვაობის გაგზავნა ვერ იქნა და ვერ
მოახერხა ექვთიმემ. ნ. მართან მიწერილ წერილებში ექვთიმე თავს
იმით იმართლებდა, რომ წინასიტყვაობა ვრცლად და მასშტაბურად
აქვს ჩაფიქრებული. ამისთვის კი დიდი დრო იყო საჭირო: „არ მინდა,—
წერდა იგი, — რომ ასეთი წყარო სხვებსავით შეუმუშავებელი გამოვ-
სცე. ჩემთვის ის ისაა, რაც შენთვის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
იყო და დაგვიანება უნდა მაპატივო“ (ნ. მარის არქ., № 174, 1914 წ.).

ნ. მარმა გადაწყვიტა ჯერ რუსული თარგმანი გაემზადებინა სა-
ბოლოო სახით და შემდეგ ეზრუნა უკვე ქართული ტექსტის ბეჭდვაზე.
ექვთიმე დაეთანხმა მას და გაუგზავნა თარგმანის ნაწილი, თან მი-
ყოლა საკუთარ სახელთა, საგანთა და იმ სიტყვების სარჩევი, რომე-

ლიც ახსნა-განმარტებას საჭიროებდა; მომავლისათვის შეჰპირდა ტექსტის სრულ ფოტოს და მერე წინასიტყვაობის გამზადებას. ვერც ეს პირობა შეასრულა ექვთიმემ, რადგან ვერ მოასწრო რუსული თარგმანის მეორე ნაწილის გამართვა და წინასიტყვაობის დამთავრება: „ძრიელ შემთხვევარა ეს „ქარის გარიგება“, — წერს იგი ერთ-ერთ წერილში, — და დაე დაგვიანდეს — ამით უსათუოდ გამოცემა მოიგებს“ (ნ. მარის არქ., № 175, 1914 წ.).

წინასიტყვაობის დასრულება ძალზე გაჭიანურდა, რადგან ექვთიმეს წინაშე ბევრი ისეთი საკითხი წამოიჭრა, რომელთა გადაჭრა მას უძძიმდა: მრავალი საკითხი იყო გასარკვევი, აგრეთვე ტექსტის შეჭერება სხვა წყაროთა მონაცემებთან, გასარკვევი იყო ძეგლის დაწერის ადგილისა და თარიღის დადგენის საკითხი და მისთანანი.

ნ. მარი ხელადდა, რომ ექვთიმეს უჭირდა ერთდროულად თარგმანის გამართვა და წინასიტყვაობაზე მუშაობა. ამიტომ შესთავაზა: „ვიკმაროთ დედნის გამოცემა. შემდეგში იქნება დრო უფრო ხალისს მოგცემს თარგმანის დამთავრებისა და ცალკე დაბეჭდვით, ახლაც თარგმანის დაბეჭდვა ცალკე შეგვიძლია“ (ე. თაყაიშვილის არქ., № 1198/86, 1915 წ.).

ექვთიმე დაეთანხმა, მაგრამ ვერც ამის გაკეთება მოახერხა.

1912—1916 წლების მათ მიმოწერაში თითქმის ყოველ წერილშია საუბარი ამ ძეგლის გამოცემის ირგვლივ. მათში დაუსრულებლად მეორდებ, ერთი მხრივ, ნ. მარის მუდარა „ქარის გარიგების“ დროზე გამოქვეყნების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ექვთიმეს გაუთავებელი თავის მართლება დროის სიმციროს თუ სხვა მიზეზთა დესახელება. ყოველ წერილში კვითხულობთ ექვთიმეს ერთი და იმავე პასუხს: „ქარის გარიგების შესავლისათვის ველარ მოვიცალე“, ანდა „ეხლა შევეუდგები ქარის გარიგების წინასიტყვაობას“ და მისთ...

ამასობაში დადგა 1917 წელი, იფეთქა თებერვლის რევოლუციამ. ცხადია, „ქარის გარიგების“ გამოქვეყნებისათვის აღარავის ეცალა და მაშინ თავისთავად მოიხსნა საკითხი მისი რუსეთში გამოცემისა. ექვთიმემ იგი მხოლოდ 1920 წელს გამოაქვეყნა რუსული თარგმანის გარეშე, სრული მეცნიერული აპარატის დართვით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

ასეთია მოკლედ „ხელმწიფის ქარის გარიგების“ აღმოჩენისა და პუბლიკაციის ისტორია ნ. მარისა და ექ. თაყაიშვილის მიმოწერის მიხედვით.

თუ როგორ მუშაობდნენ ნ. მარი და ექვთიმე ძველი წერილობითი ძეგლების შესწავლა-პუბლიკაციაზე და როგორ დახმარებას უწევდნენ ისინი ერთმანეთს ამ ტექსტებზე მუშაობის დროს, შესანიშნავად აისახა

წინამდებარე წერილებში. ორივე მეცნიერი სისტემატურად მიმართავდა ერთიმეორეს სხვადასხვა სახის დახმარებისათვის. ექვთიმეს მარისაგან მეტწილად ესაჭიროებოდა ცნობები ამა თუ იმ ხელნაწერის შესახებ, უცხო სიტყვებისა და ტერმინების განმარტება, სიტყვათა ეტიმოლოგიები, ზოგჯერ კი რომელიმე ძველ ტექსტში დამოწმებული სპარსული ან სომხური სიტყვებისა თუ მთელი ფრაზის განმარტება, გაუგებარი ადგილების ამოკითხვა-ამოწიფრვა და სხვა მისთანანი. ნ. მარი უსწორებდა ექვთიმეს ამა თუ იმ ხელნაწერის წაკითხვას. ასეთი მაგალითების გამრავლება უსასრულოდ შეიძლება, რადგან თითქმის ყველა წერილი შეიცავს რომელიმეს მხრიდან ასეთ თხოვნას ან დავალებას. ორივე დიდი ხალისით და მზადყოფნით ასრულებს ერთმანეთის თხოვნასა თუ დავალებას. მიუხედავად დიდი დატვირთვისა და მოუტყლლობისა, ნიკო მარი ყოველთვის დაუზარებლად უსრულებდა ექვთიმეს ნებისმიერ თხოვნას, ასეთი „თხოვნები“ კი, როგორც ითქვა, ყოველ წერილში იყო. მიიღებდა თუ არა ექვთიმე პასუხს თავის შეკითხვაზე, ხშირად უკონტროლოდაც სარგებლობდა ნ. მარის განმარტებებითა და პასუხებით, იქამდე ენდობოდა მის ცოდნასა და მომზადებას. თუმცა არაიშვიათად კამათიც იმართებოდა ხოლმე მათ შორის ამა თუ იმ განმარტების თაობაზე. ნიშანდობლივი ისაა, რომ ბოლოს ექვთიმე მაინც ნ. მარის თავდაპირველ განმარტებას უბრუნდებოდა და ტექსტშიც საბოლოოდ მისეული წაკითხვა შეჰქონდა. თავის მხრივ ექვთიმეც მზად იყო მუდამ პირნათლად აესრულებინა ნ. მარის ესა თუ ის თხოვნა ან დავალება, მით უფრო, რომ ნ. მარსაც ხშირად სჭირდებოდა ექვთიმეს შემწეობა. მაგრამ საგანგებო თხოვნის გარეშეც ორივემ შესანიშნავად იცოდა, რა ლიტერატურით, რა წყაროებითა და მასალით იყო საჭირო ერთმანეთის მომარაგება, რადგან გამუდმებით იყვნენ ჩართული ერთიმეორეს საჭიროებაში. ასე რომ, ხელის შეწყობა მათს მუშაობაში ორმხრივი იყო. ნ. მარი რომ ძველ ქართველ მეზობლების გამოცემაზე, მუშაობდა, ექვთიმემ მას ბევრი საინტერესო ცნობა მიაწოდა ძეგლისა და ავტორის შესახებ. სწორედ ექვთიმემ მიაქცევინა ყურადღება ნ. მარს იმ ფაქტზე, რომ იოანე შავთელი თამარის ისტორიაში თამართან დაახლოებულ პირად არის მოხსენიებული: „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, „ლექსთა გამომთქმელი“. თვით ხელნაწერებსაც აწვდიდნენ ხოლმე ერთმანეთს: თბილისის და პეტერბურგის წიგნსაცავებიდან, ანდა იწერდნენ ერთმანეთის დავალებით მთელ პასუხებს ხელნაწერებიდან და უგზავნიდნენ ხოლმე ერთიმეორეს.

მას შემდეგ, რაც ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციაში გაემგზავრა, ნ. მარი მას საფრანგეთში უგზავნიდა მისთვის საჭირო ლიტერატურა-

სა თუ გამოცემებს, რომელზეც, ცხადია, ექვთიმეს ხელი აღარ მიუ-
წვდებოდა¹⁷.

ნ. მარიცა და ექვთიმეც, ორივენი სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს თბილისისა და პეტერბურგის სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში დასაბეჭდად გაგზავნილ-სტატიებსა თუ ისტორიულ დოკუმენტებს. ბუნებრივია, ნ. მარს უფრო ხშირად უხდებოდა ამ ხასიათის დახმარების აღმოჩენა. ЗВО, ХВ — ეს ის სერიები იყო, სადაც ექვთიმე ხშირად ბეჭდავდა თავის წერილებსა თუ სიგელ-გუჯრებს. მათი სწორება, დედნებთან შეჯერება, კორექტურის კეთება ნ. მარის მუდმივი საზრუნავი იყო. ასეთივე თხოვნით მიმართავდა ექვთიმეს ნ. მარი. იგი თითქმის ყოველ წერილში სთხოვდა მას ჩაეხედა ხელნაწერში და დაეხუსტებინა რომელიმე ადგილი ან წაკითხვა, თან დასძენდა: „სხვას ნუ მიანდობ, სჯობს შემდეგში იყოს და შენი გაშინჯული ცნობები მივილო, სხვას ვერ ვენდობი“ (ე. თაყ. არქ., 1198, 1900 წ.). ნ. მარი მხოლოდ მას ანდობდა საკუთარი სტატიების სწორებას: „შენდა დაუკითხავად ყორღანოვს KB-ის გამომცემელს ვთხოვე, რომ ჩემი სტატიის მართვა შენ მოგანდონ. იმედია, უარს არ იტყვი და არც დააგვიანებ“ (საუბარია აბდულმესიანის შესახებ). გთხოვ, კიდევ ძველი ვადავლო და, რაც მე შემისწორებია, არცერთი შეუსწორებლად არ დაბეჭდონ... თავი მოგაწყინე, მაგრამ, იმედია შემინდობ“ (ე. თაყ. არქ., 1198, 1899 წ.). სათხოვარი და დასახმარებელი იმდენი ჰქონდა ნ. მარს, რომ ეუხერხულებოდა კიდევ ექვთიმეს წარამარა შეწუხება. ერთ-ერთ წერილში ის პირდაპირ სწერს მას ამის თაობაზე: „ისე საკითხავი ათასი მაქვს, მაგრამ არ გაწუხებ“ (ე. თაყ. არქ., 1198/43, 1909 წ.).



იმ ძეგლს, რომელზეც ნ. მარი მუშაობდა, ექვთიმე ხელს აღარ ჰკიდებდა და, პირიქით, ეს ერთგვარი დაუწერელი კანონი იყო მათთვის. წერილებში ამ თვალსაზრისითაც საინტერესო მასალაა დაცული. მაგალითისათვის კმარა „დილარიანისა“ და „ფიზიოლოგის“ გამოცემის საკითხის განხილვა. „ფიზიოლოგი“ ექვთიმეს უკვე სტამბურად ჰქონდა გაწყობილი, რომ დაბეჭდვა ძეგლისა შეაჩერა, როცა გაიგო, რომ ნ. მარსაც ჰქონია განზრახული მისი გამოცემა. ექვთიმეს კარგად ესმოდა, რომ ნ. მარის, მიერ გამოქვეყნებული ძეგლი ბევრად

¹⁷ ე. კელენჯერიძე, ექვთიმე თაყაიშვილი საზღვარგარეთ, „მაცნე“, ვნისა და ლიტ.-ის სერია, 1983, 2. გვ. 15.

უფრო მაღალმეცნიერულ დონეზე იქნებოდა შესრულებული, ვიდრე მისეული გამოცემა, რომ თვით ძეგლი და ქართული ფილოლოგია ამით მხოლოდ მოიგებდა. მართლაც, წერილებიდან ჩანს, რომ „ფიზიოლოგის“ გამოცემა ნ. მარს ძალზე ფართოდ ჰქონდა ჩაფიქრებული. ქართულ ტექსტთან ერთად მან გამოიკვლია სომხური და ბერძნული ვერსიებიც.

ნ. მარმა იცოდა ექვთიმეს ეს თვისება და ხშირად აფრთხილებდა ხოლმე წინასწარ, არ დაეთმო მისთვის რომელიმე ძეგლი, თუკი თვითონ სურდა მისი გამოცემა. მაგალითად, ნემესიოსის თხზულების გამოქვეყნების დროს იგი ეხვეწებოდა ექვთიმეს: „ნემესიოს მე ნუ მითმობ, გამოეცი და, რაც შემიძლია, დაგეხმარები (სიტყვათ ახსნაზე) დიდი სიამოვნებით“ (ე. თაყაიშვილის არქ., 1198/120).

დროის უქონლობასა და მის უკმარობას ორივე მეცნიერი უჩიოდა: „ყველაზე ძვირფასი შენთვის, — წერდა ნ. მარი ექვთიმეს, — უნდა იყოს დ რ ო და დ რ ო (ხაზგასმა ნ. მარისაა), რომელიც, მისი აზრით, ექვთიმეს უნდა გამოყენებინა ბევრი კითხვისათვის. განსაკუთრებით მაშინ შეახსენა ნ. მარმა ეს ჰეშმარიტება ექვთიმეს, როცა გაიგო, რომ იგი აპირებდა ინსპექტორის თანამდებობის მიღებას. იგი ასე მოძღვრავდა ექვთიმეს: „სჯობს ნიეთიერად წააგო“, ოღონდ იყო თავისუფალი და გქონდეს დრო კითხვისა და მეცნიერული მუშაობისათვისო. მაგრამ ექვთიმეს ამჯერად მაინც არ ასცდა ინსპექტორობა. მიმოწერიდან კარგად ჩანს, რომ ორივეს ძალიან უჭირდათ (განსაკუთრებით მოღვაწეობის პირველ ხანებში) მატერიალურად (სხვათა შორის, ეკონომიური სივიწროვე ხშირად განსაზღვრავდა მათ საქმიანობასაც). ექვთიმე იმ ხანებში, როცა ნ. მარი ის-ის იყო ფეხს იკიდებდა პეტერბურგის მეცნიერულ წრეებში, ცდილობდა ყოველნაირად დახმარებოდა ნ. მარს ეკონომიურად, რომ როგორმე შეემსუბუქებინა მისთვის არსებობა და მეცნიერული მუშაობა; იგი ხშირად აქეზებდა გრიგოლ გურიელს, ნ. მარის ნიჭის დიდ თაყვანისმცემელსა და დამფასებელს, მატერიალურად დახმარებოდა მას. მართლაც, გურიელი, არცთუ იშვიათად, უგზავნიდა ნ. მარს პეტერბურგში ფულს, რომელიც, ნ. მარისავე თქმით, სწორედ „სულზე მიუსწრებდა“ ხოლმე; მის გაჭირვებას. გარდა ამისა, ექვთიმე სისტემატურად უყიდდა მას წიგნებს, ბროშურებს თბილისში და ფულს ფოსტით აწვდიდა. ამით ექვთიმე ერთდროულად ორ კურდღელს იჭერდა: ეკონომიურად ეხმარებოდა მეგობარს და თან მისი შრომების პოპულარიზაციას ეწეოდა ქართულ საზოგადოებაში. ამ მიზნით, ის ხშირად თვითონაც აქვეყნებდა სარეცენზიო წერილებს ნ. მარის ნაშრომებზე „მარუშიანის“ ფსევდონიმით.

წერილებიდან ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ ნ. მარი და ექვთიმე დიდ ანგარიშს უწევდნენ ერთმანეთის შენიშვნებსა და სხვადასხვა სახის რჩევა-დარიგებებს. ნ. მარცა და ექვთიმეც თითქმის ყოველთვის აცნობდნენ ერთიმეორეს ხან დედანში და ხან თეზისების სახით თავის ნაშრომებს, ისინი გულდამშვიდებით ანდობდნენ ერთმანეთს სამეცნიერო წერილებისა თუ გამოსაცემად მომზადებული ძეგლების ტექსტთა ბედ-იღბალს. მომეტებულად ექვთიმე ენდობოდა ამაში ნ. მარს. ნ. მარსაც სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული შეეტანა მათში ნებისმიერი ხასიათის შესწორება. ასევე ექვთიმეც უფლებამოსილი იყო თვალი ედევნებინა ნ. მარის ნაშრომების ბეკდვისათვის და საჭიროების შემთხვევაში შეეტანა შიგ ცვლილებები. უფრო მეტიც, ექვთიმე იმასაც „ბედავდა“ კრიტიკული შენიშვნები გამოეთქვა ნ. მარს ზოგიერთი მოსაზრების თაობაზე და ემხილებინა მათი უსაფუძვლობა თუ უმართებულობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩვენთვის ერთ-ერთი წერილი, რომელშიც ექვთიმე აკრიტიკებს ნ. მარს „История Грузии“-ის თაობაზე.

ექვთიმე უწუნებს ნ. მარს წიგნის იმ ნაწილს, რომელშიც მიმოხილულია ქართული კულტურის საკითხები: „ერთი ნაწილი შრომისა, — წერს იგი, — რომელიც შენ ვრცლად გამოკვლეული გაქვს, მაგალითად ლიტერატურის შესახებ, ძრიელ მოკლეთ გაქვს ნახსენები, სხვები ისეთ საგნებს ეხება, რომელიც მეცნიერულად ჯერ არ გამოვცია, თუმცა გიმუშავია. აქ სიტყვიერად უნდა გენდოს მკითხველი. ასეთია ქართული ენის კუთვნილება იაფეტურ ჯგუფის ენების, ქართული ენის შესახებ, შესახებ იმისა, რომ ქრისტიანობამდის ქართველებს მწერლობა ჰქონდა, რომ ანბანი თანდათან შეივსო, შესწორდა და სხვა. ყველა აქ აღძრული კითხვები უნდა გაიზარდოს და დასაბუთებული გამოკვლევა უნდა უძღვნა. ქართულ ხუროთმოძღვრებაზე თითქმის არაფერია ნათქვამი. რამდენადაც ვოსტოროგოვის წინამდებე სტატიებში კულტურული სიდიადე რიხიანად არის გატარებული, იმდენად აქ ეს აზრი, რუსები რომ იტყვიან, рѣско проводитсѣ. მიზეზი, რასაკვირველია, სიჩქარეა, დროის უქონლობა. მაგრამ იმედია, ეს მიმოხილვა გაიზარდება, გაკვრით გამოთქმული აზრი დასაბუთდება და „Культурный очерк Грузии“ — გადაიქცევა დიდ ტომად, სადაც ყველა დარგი კულტურული ცხოვრებისა სრულად და სავსებით იქნება წარმოდგენილი. ეს ძრიელ საჭიროა და შენს მეტი ვერც შეასრულებს“. ნ. მარი დაეთანხმა ექვთიმეს კრიტიკას, მაგრამ თავი იმართლა არა უდროობით, არამედ იმით, რომ გამომცემელთ შეუცვლიათ სათაური და, ნაცვლად „Культурно-исторический набросок-ისა, დაუბეჭდავთ, Культурно исторический очерк“. და იქვე დას-

ძენს: „ერთი მხოლოდ შენიშვნა, სიჩქარით არ არის, რაც ნაკლისია, არამედ იმით, რომ ბევრი მხარე გამოუკვლეველია და რაზედაც დამთავრებული აზრი არა მაქვს შედგენილი, ამაზედ არ ვლაპარაკობ“ და ჩამოთვლის მაგალითებს. ამ წერილიდან ჩანს, როგორი ობიექტური არიან ვრიტიკის მამართ მეგობრები. არსად კრიტიკულ შენიშვნებსა და მათზე პასუხებში წყენის ნატამალიც კი არ გამოსქვივის, პირიქით, ნ. მარი ისეთი სიყვარულით და ხალისით იღებს ამ შენიშვნებს და იმგვარად პასუხობს მათზე, რომ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნ. მარს უხარია კიდევ, რომ ამ შენიშვნების ავტორი ექვთიმე თაყაიშვილია.

თუ რა ზომამდე ჰქონდა ექვთიმეს უფლება ჩარეულიყო ნ. მარის მეცნიერულ საქმიანობაში, ეს კარგად ჩანს ამ მიმოწერაში. 1908 წლით დათარიღებულ წერილში ექვთიმე ნ. მარს ურჩევს, რა მიმართულებით უფრო უპრიანი იქნებოდა ნ. მარისათვის მისი მეცნიერული მუშაობის წარმართვა. ე. თაყაიშვილის აზრით, ნ. მარის ძირითადი საკვლევი დარგი ლინგვისტიკა იყო: ქართული ენის ბუნებისა და თვისების გამორკვევა, ხოლო არქეოლოგიას, ფილოლოგიას და სხვა ჰუმანიტარულ დარგებს სხვებიც გაუძღვებოდნენ — პირველ რიგში თვითონ და „მისთანები“, ან მომავალში გამოჩნდებიან ახალი კადრები; რომლებიც მეტ-ნაკლებად შესძლებენ ამ ხაზით მუშაობას, „ხოლო ენის გამომკვლევს კი შენისთანას ჩვენი საზოგადოება, — წერდა იგი ნ. მარს, „ძნელად თუ ოდესმე იშოვის... სხვა ნიკო მარი ძნელად თუ ოდესმე ეღირსება ჩვენს ერს, თაყაიშვილები კი ბევრი იქნება და ამის ნიშანი ახლაც არის“.

ჩანს, ექვთიმეს სიტყვები ენიშნა ნ. მარს, რადგან საპასუხო წერილში სავსებით დაეთანხმა ექვთიმეს თავის „ამეამინდელი“ და სამომავლო მეცნიერული მუშაობის უფრო მიზანშეწონილად წარმართვის საკითხში. ნ. მარი თვითონაც ისე თვლიდა, რომ მთავარი მის მოღვაწეობაში სწორედ ენათმეცნიერება იყო, ქართულ ენის ბუნების და ხასიათის კვლევა, რომელიც შემდგომ უზარმაზარ დარგად იქცა. იაფეტოდოლოგიის წარმატება და მისი განვითარება შეუძლებელი იყო, თუ მას გეზად არ ექნებოდა არქეოლოგიური, ფილოლოგიური და, საზოგადოდ, კულტურული წარსულის კვლევა-ძიება. ამიტომ სჭირდებოდა მას ანისის გათხრებიც და ქართულ-სომხური ფილოლოგიის კვლევა. ამ წერილიდან ჩანს, თუ რა ღრმა და ორგანული კავშირი აქვს, ნ. მარის აზრით, იაფეტურ თეორიას (ანუ იაფეტოდოლოგიას) ხალხთა სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მისი კულტურული წარსულის მეცნიერულ შესწავლასთან. ამიტომაც ვერ

თქვა მან უარი ვერც ძველი მწერლობის შესწავლაზე და ვერც არქეოლოგიაზე.

წერილებში გამჟღავნებულია ნ. მარსა და ექვთიმეს პიროვნება, მათი საოცრად ემოციური ბუნება, ტემპერამენტი; ადვილად ფეთქებადი ნატურა. როცა ერთი აენთებოდა, მეორე მას მუხბრუქად ევლინებოდა. ასეთი მომთვინიერებელის როლში უფრო ხშირად ექვთიმე თაყაიშვილს უხდებოდა ყოფნა¹⁸. მეტწილად მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა ეროვნულ-ნაციონალურ, ანდა ლიტერატურულ კავშირებსა და გავლენებს. ასე მაგალითად, როდესაც ნ. მარმა ქართულ მწერლობაზე უცხოური გავლენების საკითხში გარკვეული გაზვიადებული თვალსაზრისი შეიმუშავა, ე. თაყაიშვილმა სწორი და დროული რეაქცია მისცა. სწორედ მან იკისრა ნ. მარის მომეტებული და ქარბი ემოციების განულება, მათი ზომიერ კალაპოტში ჩაყენება. საქმე ისაა, რომ იმხანად ნ. მარმა საკმაოდ გაზვიადებული წარმოდგენა შეიმუშავა ქართულ სასულიერო მწერლობაზე სომხური და ქართულ საერო მწერლობაზე კი სპარსული ლიტერატურის გავლენის თაობაზე. ნ. მარმა მთელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურა სომხურიდან მომდინარედ ჩათვალა და თითქმის მთლიანად გამორიცხა ამ ძეგლების უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობის შესაძლებლობა. ადრეული ლიტერატურული კავშირების გზა ნ. მარისათვის გადიოდა სომხეთზე: *Via Sirica — Via Armenia*. სომხური ლიტერატურის ქართულზე გავლენის დამადასტურებელი მასალების ძიებამ ნ. მარი ათონზე მიიყვანა. აქ იმედოვნებდა იგი იმის გამორკვევას, თუ რა ზომისა და რა ხასიათის შეიძლება ყოფილიყო ეს გავლენა. ამის დადგენა კი ნ. მარს იმისათვის სჭირდებოდა, რომ გაერკვია, როგორი ხასიათისა იყო სირიის, სომხეთისა და საქართველოს ქრისტიანული კულტურებისა და, საზოგადოდ, ლიტერატურული ურთიერთობები.

ნ. მარი დარწმუნებული იყო, რომ ქართული ლიტერატურის შესწავლა სომხურისგან იზოლირებულად შეუძლებელია, ისევე როგორც არ შეიძლება სომხურის კვლევა ქართულისაგან იზოლირებულად. სომხურ-ქართული ფილოლოგიის კვლევას იგი ანიჭებდა არა მარტო დიდ მეცნიერულ, არამედ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. ეს პრობლემები, რომლებზეც ასეთი გატაცებით მუშაობდა ნ. მარი თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში, გარკვევით ატარებდა უკიდურესი შეხედულებების დაღს. ექვთიმეში ნ. მარის ამგვარი მაქსიმალიზმი პროტესტის გრძნობას იწვევდა. დასაწყისში იგი მოკრძალებულ

¹⁸ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.

საყვედურებს გამოთქვამდა და სავსე იყო სურვილით, როგორმე შე-
ერბილებინა ნ. მარის კატეგორიული ტონი, ემუდარებოდა მას ამგვარ
დასკვნებისაგან შეეკავებინა თავი, ვიდრე არ შეისწავლიდა ამო-
წურავად და დეტალურად მთელ მასალას. „შატბერდის გამოკვლე-
ვამდე მოიცადე, — წერდა იგი ნ. მარს, — ის ბევრს აგვიხსნის, მგო-
ნია. ამის გარდა, ეს ბევრი ფაქტების შეგროვებას თხოულობს“. გამო-
საკვლევი და გამოსავლენი მართლაც ბევრი იყო.

ექვთიმე თვითონ ამარაგებდა ნ. მარს ახალ-ახალი მასალით, ისე-
თი მონაცემებით, რომლებიც არა მარტო ცალმხრივ, არამედ მეზო-
ბელი ხალხების კულტურათა ურთიერთგამომხატველ კავშირებზე მე-
ტყველებდნენ. მორიდებული და მოკრძალებული საყვედურები თან-
დათანობით გადაიზარდა ცხარე კამათში, რომელიც ყოველთვის პრინ-
ციპულ ხასიათს ატარებდა. ცხარობდა ორივე, ნ. მარიცა და ექ. თაყაი-
შვილიც. საბოლოოდ ნ. მარი იძულებული გახდა, ყური მიეგდო ექვ-
თიმეს საყვედურებისათვის, იმ ექვთიმესი, რომელც, ნ. მარის ღრმა
რწმენით, ქართული კულტურისა და მწერლობის შესანიშნავი მცოდ-
ნე იყო. ვერც ექვთიმეს მენციერულ კეთილსინდისიერებაში შეიტანდა
ნ. მარი ეჭვს და ვერც დილეთანტიზმში დასდებდა მას ბრალს. წერი-
ლებიდან ჩანს, რომ ე. თაყაიშვილი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა
უფრო ძლიერად მიეჩაქვა ნ. მარი ქართულ კულტურასთან დაკავში-
რებული საკითხების კვლევასთან და უფრო ღრმად შეესწავლა ამ
კულტურის გენეზისის პრობლემა, რათა უკეთ დაენახა და ეცნო ქარ-
თული კულტურის თვითმყოფადობა იქ, სადაც ნ. მარი ხშირად მხო-
ლოდ გავლენასა და მიბაძვას ხედავდა.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ, თუ
ადრე კამათი ცხარე და დაუნდობელი იყო, ხშირად უკომპრომისოც,
მომდევნო წერილებში ნელნელა შეიმჩნევა ნ. მარის განულებული
ვნებები, ზომიერი და თავშეკავებული ტონი, ზოგჯერ ფრთხილიც კი.
ბუნებრივია, კონფლიქტური სიტუაციები ნელდება, მცირდება და
შესაბამისად იზრდება საქმიანი, მეცნიერული კონტაქტები — ერთობ-
ლივი მეცნიერული მუშაობა. სულ უფრო და უფრო ღრმავდება და
ფართოვდება.

მიმოწერაში ურთიერთობა ძველსა და ახელ თაობას შორის გა-
ზეღავნებულია უფრო მწვავედ და გაშიშვლებულად, ვიდრე ეს გამოი-
ყურებოდა. ოფიციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ბუნებრი-
ვიცაა, რადგან ნ. მარისა და ექვთიმეს პირუთვნელი და გულახდილი
წერილები იმის შესანიშნავ საშუალებას იძლეოდა, რომ მათ სიცხა-
რის უამს შეუზღუდავად, ყოველგვარი პირობითობის გარეშე ამოე-
ფრქვიათ თავისი ნამდვილი, გულახდილი აზრები და ქეშმარიტი დამო-
კიდებულება გაემჟღავნებინათ საკამათო საკითხებისადმი.

საქმე ისაა, რომ ნ. მარის მეცნიერული მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე მოულოდნელი არ იყო ასეთი დასკვნები, რადგან იგი როგორც: არმენოლოგი, სომხური მწერლობის უკეთ მცოდნე იმ პერიოდში, ვიდრე ქართულისა, უფრო ღრმად იყო გათვითცნობიერებული იმ დარგში, რომლის საპეციალისტად გვევლინებოდა. როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართულ კულტურას ნ. მარი უყურებდა არმენოლოგის თვალით¹⁹. არმენოლოგია კი, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ამ დროისათვის ბევრად უფრო დამუშავებული და შესწავლილი დარგია, ვიდრე ქართველოლოგია, რომელიც ეს-ესაა იდგამდა ფეხს. ცხადია, სრული და მით უფრო ზუსტი წარმოდგენის შექმნა, არა თუ ლიტერატურულ ურთიერთობებზე, თვით ქართული კულტურის რაობაზეც კი ძნელი საქმე იყო, მაშინ როდესაც ვენის და ვენეციის ძველ გამოცემებში ევროპულ დონეზე გამომზეურდა სომხეთის დიდი სულიერი მემკვიდრეობა. რა თქმა უნდა, ესეც, გარკვეულად განსაზღვრავდა ნაწილობრივ მაინც იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა თავდაპირველად ამ საკითხში ნ. მარმა. ამ ტენდენციით იყო გაელენთილი ყოველი მისი ადრეული ნაშრომი. ეს ის წლებია, როდესაც თვითონ ნ. მარი აღიარებდა, რომ ჯერ სწავლის პროცესშია და ფიქრის დროც კი არ რჩება. აი, რას სწერდა იგი ექვთიმეს ამასთან დაკავშირებით: „რომ მოგწერო ამას და ამას ვფიქრობ-მეთქი, არ დამიჯერო, ხვალ რასმე ახალს შევიტყობ და მაშინ იმას და იმას ვიფიქრებ“. ეს სიტყვები შესანიშნავად ახაზიათებს მის მეცნიერულ მუშაობას, იმას, თუ როგორ იყო დამოკიდებული იგი იმ წყაროებზე, რომელსაც ეცნობოდა გარკვეულ მომენტში. ამიტომ იყო, რომ ქართული მატერიალური კულტურის ჩადრმავებულმა კვლევამ, ხელნაწერი ფონდების უფრო ფართო გაცნობამ, თბილისისა და საზღვარგარეთის წიგნსაცავებში ძალაუნებურად ჩაახვდა იგი ამ პრობლემის სიღრმეებში, აიძულა შეესწავლა ქართული კულტურის გენეზისის საკითხები, დაენახა, და ეცნო ქართული კულტურის თვითმყოფადობა იქ, სადაც ადრე მხოლოდ გაელენასა და მიბაძვას ხედავდა. იგი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ არ არსებობს კულტურული იზოლაცია, რომ ერთადერთი სწორი და უტყუარი გზა არის კავკასიის საერთო, მთლიანი კულტურის კვლევა. სომხური და ქართული კულტურა მას წარმოდგენილი ჰქონდა ერთიანი კავკასიური კულტურის სახით. ამიტომ მათი ერთად, ერთდროულად შესწავლა სრულიად აუცილებლად მიაჩნდა. კავკასიის კულტურის საფუძვლიანმა კვლევამ მისთვის გამოკვეთა ქართული კულტურ-

¹⁹ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 383.

რის როლი ამ კულტურის განვითარებაში. ამის დასამტკიცებლად მან შრავალი მიმართულებით გაშალა მოღვაწეობა როგორც სომხეთში, ისე საქართველოში.

როგორც აღვნიშნეთ, სომხური და ქართული კულტურის კვლევას იგი დიდ მეცნიერულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. წერილებში მისი მოღვაწეობის ეს მხარეც კარგადაა აღბეჭდილი. ჭერ კიდევ 1906 წელს წერდა ნ. მარი ექვთიმეს: „საზოგადოდ, მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ ერთა განცალკევებით არავითარი ხეირი არ მოელის და რადგან ახლანდელი ცხოვრება თავისი ბრმა სტიქიური მსვლელობით უარყოფდა ამ მარტივ, მაგრამ ქვეშარიტ აზრს, მეცნიერების იდეალურ არემარეში, მისი დასაფუძვლიანება მეტადრე საჭიროა. მისი არ ცნობა და გამოუკვლევლობა აუარებელ შეცდომებს გამოიწვევს. ჩემი ТИР თუმცა ცალ-ცალკე წიგნებით ყოველთვის ამ ერთობის გამომკვლეველი არ იქნება სამწერლო კითხვებში, მაგრამ სრულად განცალკევებით, მხოლოდ სომხური ან მხოლოდ ქართული რომელიმე კითხვა შეიმუშავება შიგ, მაშინ დედა აზრისათვის სამსახურებელი იქნება, რადგან წინდაწინ გავიცნობთ მას, რაც ამ ორ ერთა კულტურის დაშორების და განსხვავების მიზეზი ყოფილა“ (ე. თაყაიშვილის არქ., 1198/28).

ნ. მარისათვის ადრე გახდა სრულიად აშკარა, რომ ამ ორი ერის კულტურის კვლევა უფრო მასშტაბურად და ფართოდ უნდა გაშლილიყო, რომ კავკასიის კულტურის შესწავლის მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდია და სცილდება კავკასიის ქვეყნების ფარგლებს²⁰.

ასე გლობალურად საკითხის დასმა, ცხადია, ტრადიციული ქართული აზროვნებისათვის ძნელი მისაღები და მოსაწინააღმდეგელი აღმოჩნდა. საქართველოს პოლიტიკური ვითარება მათ იმ მომენტში სულ სხვა ამოცანების წინაშე აყენებდა და, შესაბამისად, მიზნებიც სხვა იყო, შემოფარგლული უფრო ვიწრო ნაციონალური ინტერესებით. ვფიქრობთ, ამიტომ დარჩა უცხრ და გაუგებარი ქართული ტრადიციული მეცნიერებისათვის ნ. მარის საერთო-კავკასიური კულტურის კვლევის საპირობება და ამ კვლევის შორეული პერსპექტივები. ესეც რომ არ იყოს, ნ. მარის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩენილი მასალა ქართული წერილობითი ძეგლების და, საზოგადოდ, ქართული სულიერი კულტურის სულ სხვა კვალიფიკაციას და მიდგომას თხოულობს. გაირკვა, რომ ნ. მარი ცალმხრივად უდგებოდა ამ პრობლემას და მისი „აკვიატებული“ აზრი ბერძნული გზის გამორიცხვის შესახებ მცდარი იყო.

²⁰ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 385—386; იოსებ მეგრელიძე, ნიკო მარის ცხოვრება და მოღვაწეობა, „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 298.

თავისი მეცნიერული გეგმებით და პრობლემატიკით განსაზღვრული პერსპექტივებით აღფრთოვანებული ნ. მარი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმის ორგანიზაციას. სომხეთში ის თვით უძღვებოდა ანისის გათხრებს. წლების მანძილზე დიდძალი არქეოლოგიური მასალა დაგროვდა, რომელსაც მოვლა-პატრონობა და მეცნიერული შესწავლა სჭირდებოდა. ამ უზარმაზარი მასალის ორგანიზება, წესრიგში მოყვანა, სისტემატიზაცია და შემდგომ მეცნიერულად გამოკვლევა მეცნიერთა მთელ არმიას მოითხოვდა. საჭირო იყო სათანადო მეცნიერული კადრების მომზადება, სამეცნიერო საზოგადოებებისა თუ დაწესებულებების შექმნა²¹. ნ. მარმა დაიწყო იმით, რომ ჩამოაყალიბა ანისში კავკასიის სიძველეთა შესწავლის ლაბორატორია, მოაწყო ე. წ. „ანისის სიძველეთა მუზეუმი“, ბიბლიოთეკა-გამომცემლობით, რაც, მისი პროექტით, საფუძვლად უნდა დასდებოდა „ანისის საარქეოლოგიო ინსტიტუტს“²². ნ. მარის ცდა და მისი ენერგიული მოღვაწეობა ამ გეგმათა განხორციელებისა და რეალიზაციისათვის კარგადაა ასახული ნ. მარისა და ექვთიმეს ამ პერიოდის მიმოწერაში. ანისის გათხრებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ნ. მარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში და სრულიად ბუნებრივია, რომ წარმოდგენილ წერილებშიც აისახა ანისის გათხრების ისტორია დღიდან პირველი გათხრებისა ანისის დაკარგვამდე. მიმოწერიდანაც ჩანს, რომ ანისის ყველა ხელნაწერი და ბეჭდვითი მასალა, ნახაზები, სურათები, ფოტომასალა, დღიურები, სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები — ყველაფერი ეს უგზო-უკვლოდ დაიკარგა გზაში არმავირსა და ბაქოს შორის 1918 წელს. მაგრამ, რაც შემთხვევით გადაარჩა, ისიც ცხადყოფს, თუ რა დიდი შედეგები მოჰყვა ამ გათხრებს მეცნიერული თვალსაზრისით. გათხრების შედეგებმა ნათელი მოჰფინა სომეხ-ქართველთა და, საზოგადოდ, კავკასიური ხალხების კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას. ანისში ნ. მარმა გამოავლინა და მოიპოვა უზარმაზარი მასალა, ამოატივტივა ახალი საკვლევი ობიექტები. ნიშანდობლივია ის, რომ გათხრების შედეგად ნ. მარმა ყურადღება გაამახვილა ისტორიული წყაროების სოციალურ მნიშვნელობაზე. სწორედ ამის შემდეგ დაარწმუნდა იგი, რომ ქართული და სომხური ისტორიული წარსულის, კულტურული ურთიერთობის საკითხის კვლევისათვის, კავკასიის და წინა აზიის ისტორ-

²¹ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 386.

²² იქვე.

რიული პერსპექტივის კვლევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უპირატესად მატერიალური კულტურის ძეგლებს ენიჭება.

გათხრებისას ნ. მარმა აღმოაჩინა მეჩეთები და ეკლესიები ძველი ნაქალაქარის ადგილას, რომლებიც იმაზე მეტყველებდნენ, რომ ქალაქში ერთდროულად, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ერთმანეთს შეთვისებულნი განსხვავებული სარწმუნოების წარმომადგენლები — ქრისტიანები და მუსლიმანები.

თუ ნ. მარმა თავისი ადრეული ქართველოლოგიური ხასიათის შრომებში ფეოდალური ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიის მეცნიერული ტრადიციების წინააღმდეგ გაილაშქრა, ანისის გათხრებმა და მისმა შედეგებმა შეარყია სომხური ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. ქალაქი ანისი მარტო სომეხ ფეოდალთა და ვაჭართა „დედაქალაქი“ როდი იყო ნ. მარის დასკვნით, არამედ ის ერთდროულად ეკუთვნოდა თურქ-სელჯუკებს, ქართველებს, მონღოლებს, ქურთებს და სხვ. მიმოწერაში ასახულია ამ საკითხთან დაკავშირებით სომხეთის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ნეგატიური დამოკიდებულება ნ. მარისადმი.



უზარმაზარი მასალა, რომელიც დაგროვდა, როგორც ენობრივი, ისე მატერიალური კულტურის სფეროდან, არნ. ჩიქობავას აზრით, ექვემოთქანლად ამტკიცებდა ნ. მარის დასკვნას, რომ კავკასია არის კონგლომერულად შემდგარი სხვადასხვა ეთნიკური და ენობრივი ერთეულებიდან და რომ ეს ცალკე ერთეულები განუყრელ კავშირშია ერთმანეთთან და შეადგენენ იაფეტურ ენათა ერთ სისტემას. გაირკვა ისიც, რომ კავკასიაც არაა იზოლირებული, არამედ მჭიდრო კავშირშია წინა აზიის კულტურასთან.

ნ. მარის თქმით, კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობა იაფეტურმა ენათმეცნიერებამ წარმოშვა. ნ. მარის ახალი მოძღვრება ენის შესახებ იყო ის თეორიული ბაზა, რომელმაც დაასაბუთა აზრი კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტის დაარსების საჭიროების შესახებ.

მაგრამ ანისის არქეოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბების ზრუნვამდე ნ. მარს ჩაფიქრებული ჰქონდა ქართულ-სომხური ფილო-

ლოგის მუშაკთა ყრილობის მოწვევა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ნ. მარს მიანდო ამ ყრილობის მოწვევა, რომელიც უნდა ჩატარებულიყო თბილისში 1909 წელს. შედგა ყრილობის მოწვევის საგანგებო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ქალანთარი და ექ. თაყაიშვილი თავმჯდომარეობდნენ. ყრილობის მოწვევის ორგანიზაციის, მისი მიზნების და საბოლოო ბედის შესახებ მასალები დაცულია წინამდებარე წერილებში, სადაც საკმაოდ დავწრილებით არის მოთხრობილი ამ ყრილობის მოწვევის ირგვლივ ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე. ეს საკითხი ამომწურავადაა განხილული ელ. მეტრეველის დასახელებულ წერილში და ამიტომ ჩვენ მასზე აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ²³. ვიტყვიტ მხოლოდ იმას, რომ ყრილობის მოწვევის ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან ნ. მარმა უარი თქვა იმ პირობებზე, რომლებიც მას მეფისნაცვალმა წაუყენა. ამის შემდეგ ნ. მარმა დაიწყო ზრუნვა და ბრძოლა კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტის დაარსებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის ამ მძიმე წლებში ნ. მარი ე. თაყაიშვილის თანადგომითა და დახმარებით თბილისში აარსებს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს. ნ. მარის თაოსნობა და ექვთიმეს ღვაწლი ინსტიტუტის შექმნის საქმეში, ზრუნვა ინსტიტუტის შემდგომი საქმიანობის წარმართვისათვის, ინსტიტუტის ბინაზე და ამ ინსტიტუტისათვის საჭირო სხვა საორგანიზაციო საკითხებზე, რომელთა მოგვარება საქართველოში ძირითადად ექვთიმეს მხრებზე გადადიოდა, საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი მიმოწერაში.

† რუსეთში რომ რევოლუციამ გაიმარჯვა, კავკასია ფაქტურად მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდა მისგან. შექმნილ ვითარებაში ნ. მარი და ექვთიმე, ერთმანეთთან საქმით ასე დაკავშირებულნი, ორ სხვადასხვა სახელმწიფოში აღმოჩნდნენ. ძნელი იყო ექვთიმესთვის ამ რთულ სიტუაციაში გარკვევა. დაბნეული ე. თაყაიშვილი ნ. მარისგან მოითხოვს პასუხს: „მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის რესპუბლიკა სამ რესპუბლიკად გაიყო, ჩვენ ოფიციალური წერილი გამოვგზავნეთ შენთან აკადემიის მიმართ, რომელშიც გთხოვდით ინსტრუქციას, განმარტებას და ცნობას, სტოვებს თუ არა აკადემია საარქეოლოგიო ინსტიტუტს საქართველოს რესპუბლიკაში და თუ სტოვებს, ხომ ამის მიხედვით წესდებაც უნდა შეიცვალოს“ (ნ. მარის არქ. № 193, 1918 წ.).

²³ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 386—87.

საქმე ისაა, რომ ნ. მარის დავალებით თბილისში ე. თაყაიშვილს ყველა არსებული საზოგადოების მონაწილეობით უნდა შეემუშაებინა ძეგლთა დაცვის წესდება. ცხადია, რომ შექმნილ ვითარებაში ექვთიმეს წინაშე მრავალი გაუთვალისწინებელი საკითხი წამოიჭრა, რომელსაც იგი ნ. მარის გარეშე თავს ვერ გაართმევდა. ამიტომ დასჭირდა მას ახალი ინსტრუქცია. 1918 წელს დაწერილ წერილში იგი ნ. მარს დაწვრილებით აცნობს ინსტიტუტის თითოეული წევრის საქმიანობას; ატყობინებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის საღაროდან სესხად მიიღეს გარკვეული თანხა, რომ სოფლად გამეფებული ანარქია და ამის გამო სამეცნიერო მოგზაურობა და ექსპედიციების ჩატარება შეფერხებულია, რომ მიღებულია ზომები წრომის ეკლესიის გადასარჩენად და სხვა მისთანანი. მართლაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ე. თაყაიშვილი. მას უხდებოდა ზრუნვა ქართული სიძველეების და მუზეუმების გადარჩენაზე, ანისის ევაკუაციაზე. მის მხრებზე იყო ინსტიტუტის საქმეების მოგვარება და წარმართვა როგორც მეცნიერულის, ისე საზოგადოებრივის. „მინდა გავძლო, მანამ შენ ჩამოხვალ, — წერს იგი ნ. მარს იმავე წერილში, — მერმე ინსტიტუტს ჩაგაბარებ და მე კი ოფიციალურად თავს დავანებებ, ისე, თუ ინსტიტუტი დარჩება, აქ მუშაობაში მონაწილეობას ყოველთვის მივიღებ, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ შეიძლება დარჩეს ინსტიტუტი, თუ რუსეთმა არ იცნო დამოუკიდებელი საქართველო“ (ნ. მარის არქ., № 193, 1918 წ.).

ეს არის ექვთიმეს ბოლო წერილი მიწერილი ნ. მარისადმი საქართველოდან, თბილისიდან. მორიგი, 1921 წლით დათარიღებული წერილი, უკვე ემიგრაციიდან არის გავზავნილი, კერძოდ — მარსელიდან. წერილში ექვთიმე აცნობებდა იმ დროს გერმანიაში მივლინებით მყოფ ნ. მარს, რომ ზოგიერთი სამუზეუმო, საეკლესიო და სახაზინო ნივთების საფრანგეთში ევაკუაცია მოუხდა და სთხოვს მას, შეხედეს სამეცნიერო დაწესებულებების თაობაზე მოსალაპარაკებლად. ექვთიმე შეშფოთებული იყო, რომ სამეცნიერო დაწესებულებებსა და ქართულ სიძველეებს საქართველოში საფრთხე ემუქრებოდა. „სამეცნიერო დაწესებულებებს შეეღა უნდა, — წერდა იგი ნ. მარს, — და შექმნილი პირობების მიხედვით ეს ახლა შენ ყველაზე უკეთ შეგიძლია, ვინაიდან ახლად მოვლენილ პატრონებთან კარგი განწყობილება გაქვს“ (ნ. მარის არქ., № 194, 1921 წ.). ნ. მარის პასუხი ამ წერილზე არ ჩანს, ისევე როგორც ე. თაყაიშვილის მომდევნო წერილებზეც.

ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერის ერთი საინტერესო ფურცელია მათი დამოკიდებულება რევოლუციისადმი. წერილების უმეტესობა 1905—1921 წლებზე მოდის. ეს კი ის პერიოდია, როდესაც რუსეთსა და საქართველოში დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ძვრები ხდებოდა: ჯერ 1905 წლის, ხოლო შემდეგ 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები; ინგროდა ძველი რუსეთი, ირღვეოდა ცარიზმის საფუძვლები, საყოველთაო ნგრევისა და მსხვრევის სტიქია მძვინვარებდა რუსეთსა და კავკასიაში, ისახებოდა ახალი, რევოლუციური რუსეთი — მყარდებოდა საბჭოთა ხელისუფლება. წერილები ძალზე საყურადღებო მასალას შეიცავს ნ. მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის, იდეოლოგიური პოზიციის ჩამოყალიბების შესახებ.

✓ თავისი ბუნებით ნ. მარი მეამბოხე სულის ადამიანი იყო, ჭეშმარიტი „რევოლუციონერი“ ცხოვრებასა და მეცნიერებაში, ამიტომ არც გასაკვირი და არც მოულოდნელი არ ყოფილა მისი საბოლოოდ მარქსისტულ მსოფლმხედველობამდე მისვლა და ლენინური პარტიის რიგებში შესვლა ცხოვრების 66-ე წელს. დინჯად, აუჩქარებლად და ლოკუური კანონზომიერებით მიდიოდა იგი ამ დასასრულისკენ.

ჯერ კიდევ ყრმობის წლებში გამოამყლავნა ნ. მარმა თავისი მეამბოხე ბუნება და ხასიათი, როცა აკაკის ლექსზე „გაზაფხული“ ასეთი აზრი გამოთქვა: „მერცხლის ჭიკჭიკი კი არა მდღგარი ბრძოლითა და იარაღით არის საჭირო მოქმედებაო“²⁴. სტუდენტობის დროიდან იყო იგი ჩაბმული უნივერსიტეტის რადიკალ-პატრიოტთა წრეში — ფიცი ჰქონდა დადებული თავის ერთ-ერთ ამხანაგთან ერთად, რომ იარაღი არ გაეგდოთ ხელიდან, სანამ საქართველოს არ გაანთავისუფლებდნენ ცარიზმის მარწუხებიდან: „შემდეგ, — წერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში, — ეს ამხანაგი ბანყის დირექტორი გახდა, მე კი — აკადემიკოსიო“²⁵.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში ნ. მარი ფრიად სკეპტიკურად იყო განწყობილი რევოლუციური მოძრაობისადმი, არავითარ პარტიას არ სცნობდა და მტკიცედ იღგა აზრზე, რომ მეცნიერებას არავითარი კავშირი არა აქვს და არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკასთან. მეცნიერება მისთვის ზეპოლიტიკური კატეგორია იყო. „მე არა მყავს პარტია“, — იმეორებდა ხშირად, მაგრამ როდესაც 1905 წლის რევოლუცია მოახლოვდა, ჭვეყანას მღელვარება მოედო და რუსეთსა

²⁴ ნ. მარის, Избранные работы, 1933, т. 1, 8.

²⁵ იქვე, გვ. 9.

და კავკასიაში დაიწყო გამოსვლები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ნ. მარმა ხალხის მხარე დაიკავა და დიდად თანაუგრძობდა მათ ამ მოძრაობაში. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მშრომელი ხალხის დუხჭირა მდგომარეობა შევლას მოითხოვდა, რომ რალაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო, მაგრამ, ამასთანავე, ძალზე აშინებდა, პირდაპირ აძრწუნებდა ანარქია, ნგრევის სტიქია, აღიზიანებდა სტუდენტთა გაფიცვები და მათი პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები და დემონსტრაციები. იმხანად ასეთ გაფიცვებს ადგილი ჰქონდა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. წერილებში უხვად არის დაცული ამის ამსახველი მასალა. სტუდენტთა გამოსვლებით შემოფოთებული ნ. მარი ერთ-ერთ წერილში წერს ე. თაყაიშვილს, რომ „სხვა აქ ჰკუა ერევა ყველას და მისდაგვარად საქმეც მიმდინარეობს — პროფესორებიც დასნეულდნენ და ქუჩის ბრბოს მისდევენ მყვირალა ნაწილი. მეცნიერების დარდი არავის აქვს, ძალიან გულნატკენი ვარ, რომ ჩვენმა ჯავახიშვილმაც ზურგი მიქცია“ (ე. თაყაიშვილის არქ. № 1198, 113, 1905 წ.). „ზურგის ქცევაში“ ნ. მარი გულისხმობს იმას, რომ ივანე ჯავახიშვილმაც მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა გამოსვლებში. ექვთიმე, თავის მხრივ, „ამშვიდებს“ ნიკო მარს, რომ ამგვარი გაფიცვები თბილისშიც არის, რომ ფეხის ხმას აყვენენ პროფესორებიც და სტუდენტებიც. „მაგათი რა გიკვირს, — წერს იგი ნ. მარს, — აქ გიმნაზიელები გაიფიცნენ და ზოგი გაფიცვას აპირებს: მანამ კონსტიტუციას არ მიიღებენ, არ გვინდა სწავლაო“ (ნ. მარის არქ., № 154, 1905 წ.).

გაფიცვებმა და მღელვარებამ მოიცვა მთელი კავკასია, სომხეთი, საქართველო და განსაკუთრებით აზერბაიჯანი.

გურიაში ნიკო მარმა საკუთარი თვალთ იხილა აჯანყებული ხალხი და ორ მიტინგშიც კი მიიღო მონაწილეობა (საყვავიასა და წითნარის ტყეში). ამ მიტინგებში მონაწილეობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები მან გადმოგვცა თავის წიგნში: „Из гурийских наблюдений и впечатлений“²⁶. ნ. მარის სიტყვებით, ამ შეკრებებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე: განსაკუთრებით ერთ-ერთი ბოლშევიკის გამოსვლა ჩარჩენია მეხსიერებაში, მისი დინჯო, დარბაისლური და ლოგიკური მსჯელობით. მიტინგის დასასრულს მეცნიერს ირგვლივ გარს შემორტყმია ხალხი და ყველა ერთი და იმავე კითხვას უსვამდა თურმე: „რა იქნება ხვალ?“ ნ. მარმა უპასუხა, რომ ხვალ „სიმართლე და გამარჯვება თქვენ მხარეზე იქნება, ცარიზმი ადრე თუ

²⁶ Из гурийских наблюдений и впечатлений (по поводу бакинских событий), СПб., 1905; იოსებ მეგრელიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 29ა.

გვიან დაინგრევა და მთელი ხელისუფლება თქვენს ხელში გადმოვა და გაიმარჯვებს სახალხო მთავრობა — ამისთვის ყველა პირობა არსებობს და ამიტომ ვერაფერი იხსნის რუსეთს — ვერც მონარქია, ვერც რეპრესიები და ხალხის დევნა-შევიწროებაო“²⁷. საკუთარი თვალით ნანახმა და განცდილმა შეძრა ნ. მარის მთელი არსება. განსაკუთრებით იმოქმედა მასზე ხალხის მისწრაფებამ ცოდნისა და სინათლისაკენ. დანაწევრებით აღნიშნავდა ნ. მარი, რამდენი პოტენციური მეცნიერი იკარგება ხალხის მასებში. თავის დამოკიდებულებას რევოლუციისადმი საჯაროდაც ამჟღავნებდა პრესაში, გამოსვლებით, საგაზეთო წერილებით. იგი ხშირად ბეჭდავდა სტატიებს, რომლებშიც ნიღაბს ხდიდა ცარიზმის პოლიტიკას კავკასიაში, ამხელდა მეფის რუსეთის თვითმმართველობის სურვილსა და მცდელობას ჩამოეგდო ერებს შორის გათიშულობა, იცავდა საქართველოს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, აცხადებდა ცარიზმს კავკასიის დაუძინებელ მტრად და მისთ. მაგრამ ეს ნ. მარის ნაციონალურ-ეროვნული პოზიციის მაჩვენებელი უფრო იყო, ვიდრე მისი მსოფლმხედველობრივი, რევოლუციური მრწამსის გამომხატველი. რევოლუცია მასში იწვევდა შიშს, ძრწოლას და ამ გრძნობისაგან ის დიდხანს ვერ განთავისუფლდა.

როდესაც გენერალ ალიხანოვის რაზმმა ჩაახშო 1905 წლის გურიის აჯანყება, დაღუპულთა მოსაგონებლად ნ. მარი გაზეთ „Рассвет“-ში ათავსებს სტატიას „დე პროფუნდის“, რომელშიც მთლიანად თანაუგრძნობს ხალხს, მის უუფლებობასა და ჩაგვრას, მაგრამ მაინც ჩამოყალიბებულ რევოლუციონერად იმხანებში მას ვერ გამოვაცხადებთ. ისე კი, ექვთიმეს თქმით, ყველა მენშევიკის მრწამზობით, იგი პირველი რევოლუციის დროს (1905 წ.) „ბოლშევიკებისაკენ იხრებოდა და ეს მართლაც ასე იყო“²⁸.

როგორც ნაციონალურ-ეროვნული პოზიციების დამცველი, ნ. მარი იბრძოდა რუსული დიდმპყრობელური შოვინისტური ნაციონალიზმის წინააღმდეგ. სწორედ 1905 წელს გამოაქვეყნა მან დეკანოზ ვოსტოროვოს სიტყვის წინააღმდეგ მიმართული წერილი „ქართველთა ეროვნება“²⁹. ნ. მარი წერილში ამხელდა დეკანოზის უვიცობას და სიბეცეს, ისტორიის, რელიგიის ისტორიის და გეოგრაფიის სრულ მის უცოდინარობას. მოგვიანებით იგი ბეჭდავს ნარკვევს „История Грузии“³⁰. ნ. მარმა იგი მოხსენების სახით წარუდგინა რუსეთის საეც-

27 იქვე.

28 ე. თაყაიშვილის პირადი არქივი, № 687.

29 ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, 1905, ქუთაისი.

30 „История Грузии“, СПб, 1906 г.

ლესიო კრების წინასწარ კომისიას, რომელიც განიხილავდა საკითხს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ³¹. ამ ნარკვევში ნ. მარი მოკლედ და სხარტად, მაგრამ ამომწურავად და გამოწვლილვით არკვევს იმ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გზასა და ხასიათს, რომელსაც XVII—XVIII საუკუნეთა საეკლესიო მწერლობა ეწოდება. ამ ორივე ნარკვევის შესახებ არის საუბარი ნ. მარისა და ექვთიმეს წერილებში. ამ ფაქტით აღტაცებული ე. თაყაიშვილი ხოტბას ასხამს ნ. მარის პუბლიცისტურ ნიჭს. „ეს საპოლემიკო სტატიები იმით კი არ დაიფასება, — წერს იგი ნ. მარს, — თუ რამდენათ ეოსტორგოვის აზრებს არღვევს. არა, იმის აზრების დარღვევას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ იმით, თუ რამდენათ საქართველოს ყოფილი დიადი კულტურა იხატება შით და რამდენად შეაფერხა ეს კულტურა რუსეთის უკუღმართმა პოლიტიკამ. ასეთი სტატიები მიუცილებელი საჭიროა, რომ შენივე მეცნიერული გამოკვლევა საამდროვო ცხოვრებას შეუფარდო, რომ მეცნიერება ცხოვრებას დაუახლოვო. და მათ შორის წინააღმდეგობა თუ თანხმობა გამოაშჸარაო“ (ნ. მარის არქ. № 156, 1906 წ.).

როგორც ითქვა, ნ. მარის ამ ხასიათის გამოსვლები უფრო მის ნაციონალურ-ეროვნულ აზროვნებას გამოხატავდა, ვიდრე მის მსოფლმხედველობრივ პლატფორმას. დამოკიდებულება რევოლუციისადმი ამ ასპექტით იყო მისთვის საინტერესო და შემაშფოთებელი. ცარიზმი რომ უნდა დამხობილიყო, ეს მისთვის აქსიომა იყო, მაგრამ როგორ და რით უნდა შეიცვალოს იგი კონკრეტულად, ნ. მარს არ ჰქონდა წარმოდგენილი და სწორედ ამიტომ აშინებდა რევოლუცია, როგორც ყველაფერი გაუგებარი და გაუცნობიერებელი. ნ. მარს კარგად არ ესმოდა სოციალ-დემოკრატიის პარტიის პროგრამა: ეს ჩანს ამ მიმოწერიდანაც. ამიტომ აღიზიანებდა ე. თაყაიშვილის ოპტიმიზმი (პირველ ხანებში). ეს ოპტიმისტური დამოკიდებულება რევოლუციური მოძრაობისადმი მხოლოდ გაცეხას იწვევდა მასში. მას არა სწამდა, რომ რუსეთში კონსტიტუციის მიღება საქართველოს რაიმეს მისცემდა, რადგან, მისი ღრმა რწმენით, საქართველო ჯერ არ იღვა კულტურული განვითარების იმ დონეზე, როდესაც ცნობიერდება, რისთვის იბრძვი და რა გინდა, რა არის საჭირო უკეთესი მომავლის შენებისათვის; შას მიაჩნდა, რომ საქართველო არ იყო მზად სოციალური რეფორმების ჩასატარებლად და მისთ. მიმოწერაში ამ ხასიათის ბევრი წერილია დაცული ნ. მარისა ექვთიმესადმი, რომლებშიც იგი, თავის დაბნეულობასთან ერთად, უკიდურეს პესიმიზმსაც ამჸლავნებს. წერილებ-

³¹ Журнал заседания предсоборного присутствия, 1906, № 6.

ში ჩანს ნ. მარის უიმედობა, მომავლის პერსპექტივის დაუნახობა, შიში და ძრწოლა იმის წინაშე, რომ ყველაფერი იმსხვრევა და სანაცვლოდ საიმედო და სანუგეშო არაფერი ჩანს. ეს არის დამახასიათებელი და ტიპური რეაქცია იმდროინდელი მოაზროვნე ინტელიგენტისა, პოლიტიკას მოწყვეტილი, მთელი არსებით მეცნიერებაში წასული იდეალისტისა, რომლისთვისაც ყოველგვარი ძალადობა გამოირიცხულია. რევოლუცია კი თავისი ბუნებითა და ხასიათით არის, პირველ რიგში, მსხვრევა და ძალადობა, ძველის ნგრევით ახლის შენების გზა. ძველის მსხვრევის წინააღმდეგი ნ. მარი არ იყო, პირიქით, იგი თვლიდა, რომ ცარიზმის დამხობა გარდუვალია. წერილებში პირდაპირ და აშკარად არის განცხადებული ნ. მარის სურვილი მეფის რუსეთის დამხობისა, მაგრამ გაურკვეველობა სუფევდა მის სულში იმის გამო, თუ რა უნდა მოჰყოლოდა შედეგად ძველის ნგრევას: „ღანგრევაზე კაი ბიჭი, — წერდა იგი ექვთიმეს ერთ-ერთ წერილში, — ზოგჯერ მთებსაც უქადის წალკევას და ზვიადდება და ზვიადდება და რომ საკვები გამოეცლება, თავის ძველ კალაპოტსაც ვეღარ აავსებს. მახლას, სომხები რომ იტყვიან, ერთი სანუგეშოა, რომ მეცნიერება მაინც დარჩება, როგორც მიწა იტრიალებს და მზე თავის სინათლეს არ მოიშლის, ვერც მოიშლის“ (ე. თაყაიშვილის არქ., № 1198/99, 1917 წ.).

როგორც ვხედავთ, მხოლოდ მეცნიერება რჩებოდა ნ. მარს შექმნილ ვითარებაში ერთადერთ ნუგეშად, მეცნიერება, რომელიც იმხანად მისთვის აპოლიტიკური იყო. გაივლის დრო და ნ. მარისათვის გახდება იგი პოლიტიკური და კლასობრივიც, სწორედ მეცნიერებაში და მეცნიერებისათვის მოიმარჯვებს იგი მარქსისტულ-დიალექტიკურ მეთოდს, მისთვის ერთადერთ სწორ და მეცნიერულ მეთოდს, რომლის შემუშავებისაკენ ის წლების მანძილზე სტიქიურად მიდიოდა.

წერილებში მკრთალად, მაგრამ მაინც აისახა ნ. მარის ლინგვისტური კვლევის საფუძვლები. იგი თანმიმდევრულად იკვლევდა ჰანურს, სვანურს და უფრო გვიან აფხაზურს. 1909 წელს იგი სწავლობს ადგილობრივ, თურქეთის ლაზისტანში: ათონურს და ხოფურს. 1910 წელს რუსეთის აკადემიის მოამბეში იბეჭდება შრომა „თურქეთის ჰანეთში მოგზაურობანი. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“. ეს შთაბეჭდილებები გარკვეულად წერილებშიც გაჟონავს. 1911—14 წლებში ნ. მარი მოგზაურობს სვანეთში და ამ მგზავრობის ორგანიზაციაში, წერილების მიხედვით, ექვთიმეც ხელს უწყობს. შემდეგ ის გადადის აფხაზურის შესწავლაზე. ეს ენები მას აინტერესებს ქართულისა და სემიტური ენების კავშირისა და ნათესაობის დასამტკიცებლად.

დებულება სემიტურ ენებთან ქართულის ნათესაობის შესახებ, როგორც წერილებიდანაც ჩანს, ნ. მარმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, კერძოდ 1888 წელს, წამოაყენა. ეს ის დებულებაა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო მისსავე იაფეტურ თეორიას, მაგრამ მისი მასწავლებლის ვ. როზენის დაჟინებითი თხოვნით ნ. მარი დროებით აჩერებს მასზე მუშაობას. მაგრამ ნ. მარის გულისყური, როგორც მიმოწერიდან ჩანს, მუდამ ამ საკითხის კვლევისაკენ იყო მიმართული. ნ. მარი იძულებული იყო დაეოკებინა თავისი ლინგვისტური ინტერესები დისერტაციის დაცვამდე. ვ. როზენს ეშინოდა, რომ სადოქტორო დისერტაციამდე იგი ხელს არ აიღებდა ქართულის სემიტურთან ნათესაობის თეორიის დამუშავებაზე³².

20 წლის შემდეგ, ე. ი. 1908 წელს, ნ. მარმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“, რომელსაც წინ უძღოდა: „წინასწარი ცნობა ქართულის სემიტურთან ნათესაობის შესახებ“. ეს შრომა ნ. მარმა მიუძღვნა თავისი მასწავლებლის ვ. როზენის ხსოვნას. ავტობიოგრაფიაში ნ. მარი წერს: „ტაბულების წინასიტყვაობა ... წაუვკითხე ვ. როზენს მისი გარდაცვალების სამი დღით ადრე. რამდენჯერმე შემაწყვეტინა კითხვა: „თქვენ ყველაფერი მოფიქრებული და დამუშავებული გქონიათ! ყველაფერი ცხადი და დამტკიცებულაო!“³³. ასე შეაფასა ვ. როზენმა ნ. მარის თეორია, რომელსაც თავის დროზე (ე. ი. 1888 წელს) დაცინვით გაუმასპინძლდა: „ასეთი ნათესაობა რომ არსებულებოდა, არ დაელოდებოდნენ კავკასიიდან ვისამე მოსვლას, ეს აქამდე ცნობილი იქნებოდაო“³⁴.

ნ. მარის მოძღვრება ენის შესახებ მწყობრი მეცნიერული სისტემის სახით არაა ჩამოყალიბებული მიმოწერაში, მაგრამ ზოგჯერ ქაოსურად, ზოგჯერ გაკვრით, ზოგადი ფრაზებითა თუ საგანგებო მსჯელობით, მინიშნებებითა და ქვეტექსტებით წერილები მაინც იძლევიან საშუალებას გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მოძღვრებაზე, თვალი გავადევნოთ მის ევოლუციას. ყველაზე მეტად საყურადღებო კი მათში არის ე. თაყაიშვილის დამოკიდებულება ნ. მარის თეორიისადმი, რომელიც, მისი თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ პრობლემათა შორის, ნ. მარი რომ იკვლევდა, რადგან სწორედ ამ კვლევამ მიიყვანა ნ. მარი იმ აზრამდე, რომ „დღეს იქნება თუ ზვალ ქართული ენის შეუსწავლელათ და მის აღმოჩენილ“

32 მიხანკოვა, დასახ. ნაშრ. გვ. 27.

33 ნ. მარო, Извр. работы, т. 1. 10.

34 მიხანკოვა, დასახ. ნაშრ. გვ. 27.

საშუალებათ გაუცნობლათ ვერცერთი კაცობრიობის კულტურულ სიძველეთ საკითხი ვერ გადაიჭრება, ვერცერთი უნივერსიტეტი კუთვნილ დარგში უქართულ საგნოთ წარმოსადგენი ვერ იქნება³⁵.

1917 წლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ნ. მარი მთლიანად ჩაეფლო მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. მიმოწერიდან ჩანს, რომ სწორედ ეს წლები იყო მეცნიერისათვის ყველაზე აქტიური და ინტენსიური მუშაობის წლები. როგორც ზევითაც აღინიშნა, ნ. მარმა ამ პერიოდში ჩაუყარა საფუძველი ექვთიმეს თავდადებული ქომაგობით კავკასიის არქეოლოგიურ ინსტიტუტს; მთელი არსებით ჩაერთო საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მას ზედიზედ ირჩევენ მეცნიერ მუშაკთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ და სხვა საზოგადოებრივ თანამდებობებზე. ყველაფერი მთავრდება იმით, რომ 1930 წელს 66 წლის ასაკში ნიკო მარი შედის მარქსისტულ-ლენინური პარტიის რიგებში. ამ დროს უკვე ემიგრაციაში მყოფი ექვთიმე თაყაიშვილი ამ ფაქტის შესახებ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე შემდეგს წერდა: „სულ სხვა საკითხია რამდენად შეგნებულად მიემხრო ნ. მარი ბოლშევიკურ იდეოლოგიას, ბოლოს და ბოლოს ეს მისი რწმენა იყო თუ ფარისევლობა, მიიღო ის პირადი ინტერესებით, რაც არ სწამდა, თუ მართლა ირწმუნა და რაც ირწმუნა, თავისებურად გატაცებით მიემხრო? ვინც ნ. მარს არ იცნობს სიყრმიდანვე, ის პირველ დასკვნას გააკეთებს და ამის საბუთს თვით მარი თავის მოქმედებით და ნაწერებით მრავლად აძლევს, მაგრამ ვინც მას ახლოს იცნობს, მისი მერყეობა მიმართულების და საგნის არჩევაში არაერთხელ უნახავს და მისი ექსცენტრული ხასიათი განუცდია, ის მას ფარისევლობას ვერ შესწამებს“. ექვი არაა, რომ ნ. მარის ეს ნაბიჯი არც შემთხვევითი იყო და, მით უფრო, არც ფარისევლობით ნაკარნახევი.

დაახლოებით ასე გვესახება ნ. მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის შიმოწერაში დასმული ძირითადი საკითხები და მათი მნიშვნელობა.

ამ წერილების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მასალასთან, რომელიც საინტერესოდ მოგვიჩვენებს არა მარტო ამ ორი დიდი პიროვნების, შეცნიერისა და მოქალაქის ცხოვრების უდიდეს მონაკვეთზე და მათი ჭანგრძლივი მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ; მიმოწერა ერთგვარად ავსებს აგრეთვე ჩვენს წარმოდგენას გასული საუკუნის დასას-

35 ნ. მარი, ქართველი ერის კულტურული მუშაობის ენათმეცნიერების მიხედვით, „მნათობი“, 5-6 (13-14), ტფილისი, 1925, გვ. 328.

ერულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივ-კულტურული და მცენიერული ცხოვრების შესახებ.

წერილებში კუპიურები და ტექსტის ხარვეზები მოცემულია მრავალწერტილით. ზოგიერთი კომენტარის დაძებნა ვერ მოხერხდა.

ყველა წერილში დაცულია ავტორისეული სტილი და ორთოგრაფია. ნ. მარის წერილები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყაიშვილის ფონდში № 1198, ე. თაყაიშვილის წერილები (ფოტობიურები) ნ. მარის ფონდში № 117—207, ხოლო წერილის დედნები — ლენინგრადის აკადემიის არქივის ნ. მარის ფონდში.

ნ. მარის წერილები გადაწერილია ა. ჭკადუას მიერ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე!

შენ აგრე მწერ, თითქო რამეში დანაშაული ვიყო შენ წინაშე. მართალია, ძალიან სუსტი ხაზით გაქვს ეგ აზრი გამოთქმული და იმ სუსტ ხაზზე ხელის ჩაქედა ჩემგან უფრო მტყუანად გამომაჩენს, თურმე და კი ყოფილა რაღაც დანაშაული ჩემ მხრით, რომ აგრე მსწრაფლ ვიგოძენი შენგან გადმონაკრავი, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად უნდა ვიცნოთ და მამ შენ მამბრალეხ ხოლმე რასმე. მე აქ გამართლებას კი არ ვაპირებ თავისას, რადგან გასამართლებელი ჩემი სინდისის წინაშე არა ჩამიდენია რა, მხოლოდ დალაგებით ჩემ წარსულს და ახლანდელს ლტოლვილებას გაცნობებ, რომ თუ დასტურ რამე ექვი გაქვს ჩემ სიწრფეობაზე და არა მე მომეჩვენა, რაც, უკანასკნელი, დიად შესაძლებელია, იგი ექვი გაქრეს, რაოდენად უსაფუძვლო ექვს არ დაეცანები კი ვიცი.

ორ-სამჯერ უკანასკნელ დღეებში შენი აქ, პ-ში მყოფობის[სას]! ლაპარაკი გვექონდა ჩვენი წარსულის შესწავლაზე და საზოგადოთ ქართული გამოცემების დაწყებაზე! და საბოლოოდ სიტყვა და საქმე თფილისში უნდა გადაგვეწყვიტა, სადაც ველარ გნახე რუსეთიდგან ჩამოსვლისას, მაგრამ პ-შივე იმდონად კი გვექონდა ლაპარაკი, რომ, ჩემი მომავლის დაწყობა, რაზედ იყო დამოკიდებული, ნათლად შეგეტყო. პირველი და თავი ჩემი საქმე ქართული ენის სემიურობის დამტკიცება იყო და არის, ორი წლით აქ, პ-ში, დარჩენა უსათუოდ საჭირო იყო და არის, რომ სანსკრიტულს და ზენდურს, როგორც საშუალებას ლინგვისტიკაში საზოგადოთ და ჩემგან ჯერ შეუსწავლელ სემურ ენებს კერძოდ ჩემი აზრისთვის გაცნობოდი². მაშინ ოლონდ არ ვიცოდი, დავრჩებოდი თუ არა აქ, ესე იგი მექნებოდა ღონისძიება თუ არა თავის რჩენის პეტ-ში. თუ მექნებოდა, კი უნდა გახსოვდეს, უნდა დავრჩენილიყავი და თან კატალოგიც შემედგინა³. რაღაც სას-

წაუღოთ მოხდა, რომ ცაგარლის⁴ უნებურად და წინააღმდეგ დავრჩიო და თვეში სამოწყალო ოცდახუთი მანეთით ვიკვებები, ღმერთმა იცის, როგორ; და მე არ მგონია, რომ რამე აღრე პირებულზე ზურგი მიმექციოს და პირი ჩემთვის პირადად საუმჯობესოსკენ მექნას. მინდოდა გრძლად მოვყოლოდი და მოკლედ ვთქვი, ეგრეც სჯობს, თან წუთის წუთზე მირზა ფირას ველი, ჩემ სირიული ენის შინაურ მასწავლებელს, და ახლა თუ ვერ მოგწერე, ერთი კვირით მაინც დაგვიანდება წერილი. ყოველ შემთხვევაში, თუ რამე გამოცემას შეუდგები პერიოდულად, ჩემი ღონის დაგვარად თანაშემწეობას გაგიწევ.

ჩემი ტემა⁵ ისტორიული იქნება. შენგან ჩამოთვლილი ტემები ყველა შევნიერია და მეც ვფიქრობდი განსაკუთრებით სიღვანელოდ გადმოითარებინა ჩვენ ენაზე დაბად. და სახარება, მაგრამ ჯერ ამას აღრე — იერუსალ. და ათონის მოხილვა. ჩემ ტემაზე ცალკე შემოგითვლი დაწერილებით. შენ თხოვნას⁷, ხელში რომ მომიწევს მისი მატთან (sic) განხილვა ჯერით, მაშინ აღგისრულებ, თუ გვიან არ იქნება. სხვა ცხოვრებებში წმინდათა ვარ ძალიან გართული და ბევრი საინტერესო რამ მოინახება ჩვენ ხელნ-ში საზოგადო და მსოფლიო დაგიოგრაფიისთვის, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ამ მხრითაც ათონს და სინა-იერუსალიმს ეკუთვნის.

ძალიან გაჭირება გამოვწიე ყველიერში; შვიდი კაქალი დღე უსადილოდ ვიყავი, მაზედ გავცივდი, თან მოხერხებაც არ მქონდა, არც გულმა მიქნა ლექციების და ბიბლიოთეკაში ვლის დათმენა, ჯერეც ავად ვარ მას აქეთ, საქმენი კი გამოიორკვედა: სომხურ გამოცემების გაცენზორება⁸ მთხოვეს, და რადგან რამოდენიმე თვე გაუსინჯავი იყვნენ ხელნაწერები, ერთად ბევრი დარჩა. ისე ცოტა სამუშაო აქვს სომხურ ცენზორს და ეგ აღგილი დამპირდენ, თუმც ცოტა შემოსავლიანია (50 მან. თვეში), ცოტა საქმეც აქვს და მე მაინც მყოფნის. შემომესწრა მირზა და შევიღობით.

მ. მ.

2

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო წ ი კ ო ს

სტორეთ დანაშაული ვარ, რომ ამდენხანს წერილი ვერ მოგწერე. ეხლა გრიგორ გურიელი⁹ ვნახე აქ, მკითხა შენი ამბავი, თუ გაჭირებაში არ არის მატერიალურის მხრითო, მე უთხარი: 25 მანათის ამარა კაცი პეტერბურგში შევიწროებული იქნება, რა-ლა ლაპარაკი უნდა

მეტქი. ეს 25 მანათი გადმომცა შენდა გამოსაგზავნათ და დაუყოვნებლივ გიგზავნი. ისთე, სულ შენს ქებაშია გრიგორი, ძრიელ ლარიბათ ვარო, თვარა ამდენხანსაც გაუგზავნიდიო, თუ მოხვრება მექნა, მერმეც გაუგზავნიო ფულებს, — მითხრა მან. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ეხლა გვარიანათ ვარ, მხოლოთ ეგ თვე ნახევარი ძრიელ ავით ვიყავი ცივებით. ისთე საზოგადოდ, სტუდენტურათ ვცხოვრობ აქ და ცოტ-ცოტა ვალებს ვიხთი, ასთე რომ მომავალი წლისთვის ვფიქრობ სულ მოვიშორო ვალები. ცოტცოტა ისტორიის მასალას აქაც უყრი თავს. შენი შრომა რათ დაბოლავდა ვერცხლის მენდალით?¹⁰ ცაგარელმა გა-
 არჩია მარტო თუ სხვამაც, მომწერე თუ ძმა ხარ. ამასთანავე გთხოვ დაწვრილებით მომწერო რას აპირებ გათავების შემდეგ, მოხვალ აქ, როგორც დამპირდი და შეუდგები ჩვენ განზრახულ საქმეს, თუ ფიქრობ მაქ დარჩენას, ან რა ქენი და როგორ მოილაპარაკე ჩუბინოვ-
 თან¹¹ სერებრიაკოვის¹² ადგილზე? ყველა ესენი ჩემთვის ძრიელ საჭი-
 როა ვიცოდე: თუ შენ არ მოხვალ აქ, მაშინ მე სხვა გზას დავადგები. პირველათ, რასაკვირველია, ქართული გამოცემები ლუკმა პურს არ მოგვეცემს და იძულებული ვიქნებით სხვა რამე კერძო სამსახურით ვირჩინოთ თავი, მაგრამ მერამე და მერამე, ექვი არ არის, გაიზრდება. მე იმედი მაქვს, რომ თუ ხეირიანათ დავაყენეთ ჩვენში ბექდვის საქმე და მასთან თავის ორგანოც გვექნება, გაზეთი იქნება თუ ჟურნალი, საქმე კარგათ წავა. მანამ ძველი ტექსტები არ აღიდგინება და ძველის ძველი სახარებები არ დაიბეჭდება, ქართული ენის გამოკვლევაც ვერ წავა კარგა. მე, ეხლა მენგრელსკის ბიბლიოტეკის¹³ „ქართლის ცხოვ-
 რების“ ვარიანტს უდრი ნაბეჭდ „ქართლის ცხოვრებას“¹⁴ და ბევრ რამ საინტერესო განსხვავება არის. ქართლის ცხოვრებაც ერთი უძვე-
 ლესი მწერლობის ნაშთია და მისი ნამდვილი ტექსტის აღდგენა მიუ-
 ცილებელი საჭიროა როგორც ისტორიისათვის, ეგრე ლინგვისტიური გამოკვლევისათვის. ამა: გარდა თეიმურაზის „სარკე თქმულთა“-[ს]
 ვამზადებთ გამოსაცემათ და ეგრეთ წოდებულ კომისიაში მეც ურე-
 ვივარ, მაგრამ ვერ დავაჯერე სხვები, რომ ყველა ვარიანტები შეგვე-
 ტანა შენიშვნებში, ასთე რომ ეგ ჩვეულებრივი აქოური გამოცემა იქ-
 ნება; სწორეთ გითხრა ვერაფერი შეილია პირველი ნაწილი „სარკე-
 თქმულთა“-სი, მეორეს კიდევ აქვს ინტერესი, რადგან ბევრი ეტნო-
 გრაფიური ფაქტებია შით. ჩვენ სამი დედანი გვაქ, ორი მეცხრამეტე
 საუკუნის და ერთი უფრო ძველი, მაგრამ არა სჩანს რომელ დროს
 ეკუთვნის. იქნება მაქ იყოს ღირსშესანიშნავი ვარიანტები და მომ-
 წერე, თუ ძმა ხარ, რა ღირსების არიან და ან რომელ დროს ეკუთვ-
 ნიან. თუ შენ კანიკულების წინ აქ წამოსვლას დააპირებ, მომწერე და

მე მოგწერ სად გაგიშაღებ ბინას, რომ პირდაპირ ჩემთან მოხვიდე. ძრიელ სიცხე იცის ამ თფილისში, თვარა გაკვეთილებს ბევრს ვიშოვიდით აქ კანკულულებისთვის. კურსი როდესაც გაათავო, პრაგონი მაშინათე ითხოვე პეტერბურგიდგან ოზურგეთამდის (до места родины) და ერთი 146 მანათი მოგიწევს, რომელიც ცოტა სულს მოგათქმეებს, მაგრამ მაქ არ გამოგიგზავნიან, აქ უნდა ეცადო. ყველა ჩვენი სტუდენტები უადგილოთ არიან, არაფერ დაწესებულებაში ადგილი არ არის. ასთე წარმოიდგინეთ მედიკებიც უადგილოთ არიან. გოცირიძე¹⁵ იყო აქ მეორეთ, მაგრამ ვერსად ადგილი ვერ იშოვა, ამდებანს აქციზში იყო ადგილები და ეხლა არც იქ არის. გურიელი¹⁶ რას შობა მაქ, რათ არ მოდის, აქ კარგი ხანია ელოდენ. მომიკითხე თუ ნახო და თხოვე ჩემ მაგიერ ფილოლოგების გრუპა აილოს ჩემი, ფული მიცემულია და კეიტანცია დამეკარგა, იქნება მისცენ უკვიტანციოთ. ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს შენთან: როდესაც მომწერეს დისერტაცია დამტკიცებული არისო¹⁷, მე ფული 6 მანათი და თხოვნა გამო[ე]გზავნე, რომ დიპლომი გამოეგზავნათ და ჭერეც არ მიმიღია, შემიტყვე სეკრეტართან მიზეზი რა არის, რომ არ მიგზავნიან, ან თუ გამოგზავნეს, სად გამოგზავნეს. ფული და თხოვნა დეკემბერში გამოგზავნე.

სხვა, ჩემო ნიკო, შენი ამბევები ყველაფერი მომწერე. აქ არაფერი არ არის ახალი, გურიასი ჭერე მეც არ ვყოფილვარ, ამ სააღდგომოთ ბინდოდა წასვლა, მაგრამ ავათყოფობის გამო ვერ წავედი. აქ ხელმწიფეს¹⁸ მოელიან და ამთავით ეშაღებთან მიღებას და სათხოვრების შაღებას. პირველათ რომ წერილი მოგწერე, მაშინ გთხოვდი ბროსეს ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის¹⁹ ფასის შეტყობას და ცაგარელის მოგზაურობის²⁰ (რომელიც ჩემსობას იბეჭდებოდა) გამოგზავნას. ეხლა ბროსეს ბიბლიოგრაფია ვიშოვე აქ, მხოლოთ ცაგარელის შრომა არ მინახავს და გაახსენე ჩემ მაგიერ, დამპირდა მოგცემო, და თუ მოგცეს, გამომიგზავნე, თვარა მომწერე რა ღირს, იქნება მას აღარ ქონდეს, რადგან სხვის ხარჯით გამოიცა.

სხვაფრივ მშვიდობით.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

27 апреля
1888 года
г. Тифлис

. ჩემი აღრესი В Дворянскую школу Е. С. Такайшвили.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე !

შენ წერილმა ძალიან მაამა, რომ დრო მქონდეს დალაგებით მოსათხრობელად, თუ რა სულის მდგომარეობაში ვიყავი მის მიღების დროს, სრულებით დამეთანხმები, რომ თუმც ცხოვრების საჭიროების მხრითაც, მოგესხენება, არა მცირედ შევიწროებული, მაინც ზნეობითი სიხარულმა ჩაშთილა უკვდავების წყაროსავით დროზე მოსწრებული ოცდახუთი მანათის გამოწვეული სიხარული (დიდი მადლობა გრიგოლს და არა უმცირესი შუამდგომს!)²¹, ოღონდ აქვე უნდა გამოვაცხადო მრავალისგან ეგ ერთი, რომ მე ვრაცხდი თავს დანაშაულად შენ წინ და შენი წერილის პირველ სიტყვებმა უცებ გული გამინათა, გავს, არად მიგიჩნევია ან გიპატივებია, რომ დროზე ვერ გიპასუხე. ცაგარელის წიგნი²² არ გამოსულა ამ კვირებში, სულ ასწორებს. იქნებ ამ დღეებში გამოვიდეს; რასაკვირველია ვიშოვნო, თუ ახლა გამოვიდა, ან გამოგიგზავნი ან ჩამოგიტან; მე მასთან აშლილსავით ვარ. ბროსეს წიგნი²³ რახანია ვიყიდე, მაგრამ უნამუსომ სახმარად დავირჩინე და ქე ჩამოვიტან, თუ არ გიყიდი (შენ წერილიდგან ვერ გავიგე: ს ხ ვ ი ს ხელში ნახე, თუ შენ გაქვს შენაძენი (ვაი ჩემო სირცხვილო, თუ გამონაწერი!), გინდა კიდევაც ვიყიდი მეორე ცალს; აუცილებლად საქიროა და იაფიც (აქადემიის გამოცემა არის), დიახ, ვიყიდი თუ არა გაქვს, მე რაც, ესე იგი, ჩვენ რაც ვთქვით მაშინ, განა მიტევება შეიძლება, უსათუოდ, უსათუოდ ვიქნები ერთი მუშათაგანი, ოღონდ პატარა მიზანი და სპეციალური მიზანი და პატარა წრე ჩვენი (ყველა შემადგენელთ) აზრით რჩეული. ზეგ ეგზამენი მაქვს ისტორიაში და მალე (20 მაისს შემდეგ) უფრო დაწვრილებით მოგწერ და თუ რას ვაპირებ, მასაც.

ახლა წასრულზე, მაგრამ ჯერ შენზე. თავისი გაიტანე, თუ ღმერთი გრწამს, ხომ იცი რომ ერთხელ რომ წიგნი გამოვა ქართული, მეორე გამოცემა მისი არვის მოსდის თავში, მამ ეგრე გამოეცი, რომ მეორე გამოცემის საბუთი სხვა არა საბუთი არ იყოს, გარდა პირველის (გამოცემის) დაღვეის: ეძიე, სისრულე თხზულების მისი სხვა და სხვა ნაირობით; კიდევ უკეთ იქნება, თუ არ გაასწორებ (გარდა თვალსაჩინო შეცდომის, იგიც შენწმენით); ბექდე იგი ხელნაწერი, რომელიც საზოგადოთ უკეთესად ამოღდეს და თუ ზოგ ნაწილში სხვა სჯობდეს, ნუ შეურევ მაინც, ისევ იმ კარგი ხელნაწერის თუმც იმ ადგილში ვარესი კითხვა (lectio) ბექდე და სხვა ხელნაწერის უკეთესი კითხვა სხოლიოში მოუქციე. ეგ შენ არა ნაკლებ იცი, მაგრამ, გეხევეები, ნუ გადახვალ მას, რაც იცი, ნუ ეწინააღმდეგები. თან აუცილებლად

მაჩვენებელი მიაყოლე საკუთარ სახელთა, ჩვენებით ხანის და ტაე-
პის თუ არა, გვერდის მაინც²⁴. არ დაიფიწყო გამოცემა (გეცოდინება,
მაგრამ მაინც გწერ, რადგან თფილისელი არ არი) არის სარკეთქმულ-
თას ნაწილის: „სარკე თქმულთა, თქმული მეფის თეიმურაზის მეო-
რისა. გამოცემული გრიგოლ ქორქაშვილისაგან²⁵, ქუთაისი. ქუთაისის
ღუბერსკის სტამბაში. 1870 წ.“ მე მაქვს პირველი ნაწილი მხოლოდ
(დიდი 8°, გვ. 63), მეორე არ გამოსულა მგონი.

აქაურ ხელნაწერებზე მხოლოდ ეგზამენების შემდეგ გეტყვი (რო-
ცა გადავათვალიერებ ყველას) რასმე. აზიური მუზეუმის მე არ მი-
ნახავს. საჯარო ბიბლიოთეკაში, რაოდენ იქაურ კატალოგიდან (ნუს-
ხებად დაწყობილი რომ არის) სჩანს, ორი ცალი არის: ერთი № 13.
(სარკე თქმულთა) Зеркало Теймураза, в л. 191 текста и 7 оглав.;
მეორე მე მქონდა ხელში და ამონაწერებიც მაქვს, რომლებს უფრო
საინტერესოებს ახლავე მოგახსენებ; მეორე ცალი ცალკედ არ არის
დაწერილი, მას უჭერია მეორე ადგილი ერთ სხვა და სხვა თხზულებ-
ბათ შემცველ ხელნაწერში: № 37²⁶, მას უჭერია რია — როც ფურცე-
ლი. პირველი თხზულება ამ ხელნაწერში „ჩ ა რ დ ა რ ვ ი შ ი ა ნ ი“²⁷
არის (ა-რ-თ ფურც.). ამ მოთხრობის დასასრულს გადაწერის მიწე-
რილობა არის, მოვიყვან ამ ადგილს, რადგან სხვა ალაგს ამ ხელნა-
წერში არც ბოლოს გადამწერი არ იხსენიება და არც პირდაპირ გადა-
წერის ხანი. ხელი მთელ ხელნაწერში ერთის უნდა იყოს, მაგრამ გა-
დაწვევებით ვერ ვიტყვი. აი რას სწერს ჩარდარვიშიანის, იქნებ მთელი
ხელნაწერის გადამწერის და მამასადამე, „სარკე თქმულთა“ისაც: „ამის
მკითხველნო, ამის ასე დაწერისათვის ნუ მწყევთ, ახალი მოსწავლე
ვიყავ, კალობანში შეგირდათ ვებარე, წიგნს ვკითხულობდი, ვიყავ
წლისა (ი გ), ნასყიდაშვილი სიმონ, ქკს უოთ ჭებერულსა (sic)“.
შემდეგ „სარკე თქმულთა“ მოყვება სათაურით:

„დღისა და ღამისა გაბაასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის მეფის
თეიმურაზისაგან, რ ლ ი იქმნა ცხებულ შ რ დ წელიწადსა ცხრისა თქმი-
სა ამისსა. აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“.

პირველი ხანა აგრე იკითხება:

„ვით ველეპყო აღძრჳად სიტყუათა ვერ
სიბრძნის ღირსმან სწავლობით,
ვერცა ღრმად გამომეტყველი რიტორებ ენა
მრავლობით,
ვბედავ კრძალვით და რიდობით გამოთქმად
ართუ მძლავრობით,
და ვადიდებთ ერთ არსებითა ჩვენ ღ ს ა
საბრწყინვალობით“ (sic).

მე ამ ხელნაწერის კითხვის დროს რომანები მაინტერესებდა და კითხულობდი მხოლოდ ამბებს ნესტან-დარეჯ., ვისრამ. და სხვას. რომელნიც ამოწერილი მაქვს ზოგი მთლა, ზოგი შემოკლებით, მაგრამ ისინი შენ არ გპირია ახლა. მე მგონია მთლა შედარებაც ბევრს არაფერს გარგებს, რადგან ხელნაწერი ოთხმოცდათ წლების არის, შენ უადრევესი გექნება, ვნახოთ სხვები. ჩემი აზრით ამ ხელნაწერსაც უნდა შევადაროთ, მაგრამ აი როგორ: ხელში უნდა მქონდეს დაწვრილებითი შედგენილი სათაურები შენი დედა ტექსტის და თუ ვინცობაა რამე მეტია, გამოჩნდება, მაგრამ იქნება არ დაგანებონ ვარიანტები და მაშ კუდათ ვწერ მაზედ.

განეაგრძობ. ბოლო ხანა ეგ არის:

„მეფისა სიბრძნით ნაშრომი უსიტყვ ყვნა

ბრძენთა მისრისა,

ომიროს ბირგვილ* ღალინოს ელიებ სიტყვის

(vergil) მისრისა

დღე-ღამის ბჭობა ბევრგვარად, შესხმა

ბაღ-წალოტ მისრისა

და ვინ სწავლის შევებით შეყარანა, ვინ

ქელი არბოლა** მისირსა***

საზოგადოთ, ზოგი ალაგების ახსნა და მაშასდ. მართლა დაწერა; თუ კარგი ხელნაწერი არ გაქვს, გაგიჭირდება, იცოდე, ყველა (ოთხვე) „მისირსა“ მნიშვნელობის გაგება მე ძალიან გამიძნელდა: თითოში ხომ სხვა და სხვა აზრი აქვს, მაგრამ თეიმ. II არ არის ისე მდიდარი ამხელა რითმებით, როგორც I. დაუზბრუნდეთ ჩვენ ცხოვრებას. ამავ ხელნაწერში შემდეგ „სარკე თქმულთას“ წერია სიტყვა ვინმე ვარლამის, შემდეგ სარიდანის ამბავი, მერმე არაჯნი, წერილნი ისტორიულნი, ირაკლის რესკრიპტი და სხვა. ესენი სულ აღარ ეხება „სარკე თქმულთა“-ს. თეიმურაზ II რაღაც დღესასწაული უდგება, მეც ვემზადები მის „თიმსარიანი“-ს გამოცემას²⁸, ამ წიგნს გასავეალი ექნება, რადგან იგავებია, როგორც სიბრძნე ჰიცრუის წიგნი. არ ვიცი ვითხარი თუ არა, რა შინაარსის ყოფილა „თიმსარიანი“.

ახლა ჩემზე: „ვერც[ხ]ლის მედალით რათ დაბოლოვდა შენი შრომა? ცაგარელმა გაარჩია მართო თუ სხვამაცო? — მკითხავ. მართო ცაგარელმა გაარჩია და ისეთი უსინდისობა იხმარა, რომ აზრის წი-

* ბირგვილ-ს ქვემოთ მიწერილი აქვს vergil.

** სიტყვის ქვემოთ მიწერალია: sic, თუმც ცხადია, მეტია ეგ ა.

*** სიტყვის ქვემოთ მიწერილია: sic, თუმც რითმით ველოდი მისრისა.

ნააღმდეგობისთვის მთლა წახდენა უნდოდა ჩემი საქმის²⁹. დაწერი-
ლებით პირადად გაიმბებ; ახლა მხოლოდ გეტყვი, რომ, თუ არ „სოვე-
ტი“, არც ვერცხლისას მომცემდენ. მთელი (ჩვენი) პროფესიონობა
ოქროს მედალს ნდომობა ჩემდა (აგრე მითხრა როზენმა³⁰ — (ჩემ
ამხანაგს), პატკანოვმა³¹. (მე) და ზალემანმა³² (ჩემ ამხანაგს) და მხოლოდ
ცაგარელის ჯინის გამო, რადგან იძახოდა და რჩევაში — „პატივის-
ცემითი მოხსენების“ მეტი ღირსი არაფრის არ არისო, — იძულებული
იყვნენ ვეცხლის მედალი მიეცათ. პროფესორებმა მაინც ოქროდ მო-
მილოცეს. მე ეგ მეშინია, რომ 1 დამსვამს ეგზამენზე და ვინ არი
მოწინააღმდეგე, ეგზამენზეც ასე იტყვის: „Я специалист, и это мое
дело, господа!“ როგორ გეპირიანება?!... პირველად შემრია აგეთ
უსინიდილობამ და ჯერეც ვერ მოვიგონებ გულგრილად. იქნებ ეგზამენ-
ზე ახალი სიურპრიზით დამავიწყოს ძველი, მაგრამ იგნაცვალე, მაპატი-
ვე, მეტს ვერ მოგწერ, ესეც დიდ ხანს ვწერ, იქნებ ეგზამენები დავათა-
ვო, როგორც იქნას, დანარჩენ შენ კითხვებზე 20 მაისიდან ვეცდები
პასუხს; შემომითვალე, ოღონდ, გაქვს თუ არა ნაყიდი ბროსე. ძალიან
მადლობელი ვარ, რომ შენით გირგოლიდან ფული მივიღე და მისიც
რასაკვირველია. რ ა ც ხ ა ბედი აქვს გირგოლის ფულს, მისი ფული
არც ერთი წამავალში არ დამიხარჯავს, უკეთესი წიგნები ჩემი მით
ნაყიდი; დღეს სპარსული გრამატიკა დ. ჯონსის, შვიდად თუ ექვსად
ღირებული. 1 1/2 მანეთ. ვიყიდე და აგრევე იფუად სომხური გრამატ.
სირბიდის კლასიკური, ძალიან მიხარია, ძალიან მადლობელი ვარ.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ ი.

ჩემი ადრესი: Зверинская улица, д. 5.

кв. 10. СП., Петерб. сторона,

სახლი გამოვიცვალე არა ნებით, მაინძელს წაყევი.

4

[1888]

5 ივნისი

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი წერილები ორივე მივიღე და ძრიელ სასიამოვნოთ დამჩა.
ეხლა მარტო სავნების გარემოებაზე მოგწერ მხოლოდ, და სხვას რომ
გნახავ, მაშვინ მოვილაპარაკებთ ყველაფერზე. მე ეხლა გურიში ვა-

პირობ წასვლას მცირე ხნის ვადით, მერმე მინდა სადმე წყლებზე აგარათ წავიდე, ავთ ვარ და უამისობა არ იქნება. გრიგორ გურიელი აქ არის, ლევანი³³ მოკცტა გურიელი, და მის ცოლ-შვილთან არის. შენს ამბავს ყოველდღე მკითხავს, როდესაც ვნახავ. მე და იგი დიდი მეგობრები ვართ და ხშირათ ვლაპარაკობთ შენზე. დამპირდა გადაწყვეტით, როგორც ჩასივარდება ხელში, ას მანათს მოგცემთ და სა-რსტორიო და სალინგვისტიკო წიგნები შეიძინეთ, და მისწერე მარ-საო საზოგადოდ წიგნების და მასალაების ყიდვა ჩემზე იყოსო. ამას გარდა ოცდახუთ ამთვემდის ველი აქაო, და თუ მოვა, მე წავიყვან გურიანშიო და აქ ბაქრაძეს³⁴ და სხვებს მოველაპარაკე და ადგილს უშოვითო დამპირდენო. ამას გარდა, პირველ ხანებში თფილისში რომ შოვაო, მანამ ადგილს იშოვიდესო, ხუთ თუმანს დაუნიშნავ თვეშიო. ასთე, ჩემო ნიკო, რაც შეეხება ფულებს, თქმას აასრულებს გრიგორი მგონია, მაგრამ ადგილის შოვნა მას რომ ესმის, ის ჩვენ არ გვარგებს და მე აქ ვაგაგებიებ, თუ რა ადგილი აქვს მას სახეში: დიმიტრი ბაქ-რაძემ მითხრაო, მე პამოშნიკი მჭირია და ჩემთან დავაყენებო. მხო-ლოთ ბაქრაძის პამოშნიკობა მე არ მესმის კარგათ და ამისთვის ვამ-ბობ — მისი ადგილი ჩვენ არ გვარგებს შეთქი. სხვა ჩემი აღრესი აქ იქნება ჩემ ძმასთან დატოვებული (ჩემი ძმის აღრესი ასთეა: Мебли-рованные комнаты мухранского, второе отделение № 27) სადაც არ წავიდე, აღრეს ძმასთან დაგიტოვებ. ბროსეს ბიბლიოგრაფია მე ვიყიდე აქ და შენ ნულარ იყიდი მაქ, მხოლოთ ცაგარელის წიგნი კი წამომიღე უსათუოთ, აგრეთვე გთხოვ გაისარჯო და მაქ ერთ ჩემ ამხანაგიდგან ლექციები წამომიღე (Пантелеймон[овск]ая улица, д. № 11, кв ... Константин Семенович Тычинкин), თუ არ შეგეზარება იმის წამოღე-ზა, მე ძრიელ მადლობელი ვიქნები. ამას გარდა, მეორე ნაწილი ჩუბინო-ვის ლექსიკონის თუ გამოვიდა, გაახსენე და მოქცემს ჩემდა. წამოსლის ხანს ჩემი აღრესი დაიტოვა, უსათუოთ გამოგიგზავნიო, მითხრა, პირვე-ლი უკვე მომცა. რაც შეეხება წერა-კითხვის გამავრც. საზ. ბიბლიოტე-კას³⁵, იმის გადათვალეობა კი შეგეძლება, თუ მოასწარი ეგრე ცოტა ვადით. ზაფხულში აქ ისეთი სიცხეები იცის თურმე, რომ ძალი ვერ გასძლებს, როგორც ამბობენ. სადაც არ ვიყო ზაფხულში, იმედია, მნახავ. ბორჯომში თუ ვიქენი, ბევრათ გზა არ ვაგიმრუდდება და ერთხანს დარჩები ჩემთან და მოიკეთებ. ამას გარდა ეცადე გრიგორს მოუსწრო აქ და უსათუოთ ბევრს დაგეხმარება (აი მისი აღრესი: Коджорская улица дом .. Лоладзе). სხვა, ჩემო ნიკო, მე... არ

ვიცი რას აპირობ და იმედია ამისათვის... მნახავ. აქ მასალა ძრიელ ბევრია, როგორც დავინახე, და არც შიმშილით მოკვებება კაცი უჩინოვნიკობით. თეიმურაზის „სარკე თქმულის“ შედარება ამ კანიკულებზე შეჩერდა და მის შესახებ, რომ მოხვალ, მაშინ გეტყვი. არ ვიცი ეგ წერილი მოგისწრებს თუ არა მაქ?

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი

5 ივნისი

5

1880, 1 იანვარი, 12 ს. დღის.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე!

სულ ნუ დავივიწყებთ ერთმანეთს და ხან გამოშვებით მაინც ვაცნობოთ თავიანთ თავის ორძილი. რას ადგიხარ, რასაკვირველია, მასწავლებლობის გარდა, რას აკეთებ და რას აპირებ, ნუ დაიხარებ მოწერას. ჩვენი პ-ში დაწყებული მოლაპარაკება შენ წასვლის ხანს თფილისში უნდა დამთავრებულიყო, ეს ვერ მოხდა და ვერც მე მოვცილდი პ-ს, რაც მაქვს ჯერ აზრი მოცილების, მაგრამ ეს ნუ იქნება. მიზეზი, თუ რამე საერთო საქმეს ხელს კი მოკიდებ, მე დამივიწყო, ის ზომ ფიქრშიც არა მაქვს, ფარემოება მოქმედებდეს შენზე და მაშ უსათუოდ ცნობებს ველი შენგან.

ჩემი გეგმა უკვე ცნობილი უნდა გქონდეს, რადგან აღრევე გწერიდი, თუ ისე არ მოხდა, ასე ვაპირებ მოქცევას მეთქი და ასეც არი, ესე იგი ამ ორ-სამ წელს მინდა ნიშანი მივიღო მაგისტრობის და კატალოგი შევადგინო აზიურ მუზეუმში და საჯარო წიგნსაცავში დაცული ქართული ხელნაწერების. კატალოგის შედგენა ენკენისთვის განვე დავიწყე და თითქმის ეგ არი თავი და თავი ყოველ დღიური ჩემი სასაქმო, თუ ორიოდ ლექციას გამოვაკლებ, რომელთ სმენა საკიროდ დავინახე ჩემთვის. ჯერ საქმე ნელა მიდის, მაგრამ შემდეგში

ველი გავივარჯიშო და სისწრაფე მოვიგო. სამაგისტროდ თითქმის დაწყებული მქონდა და ზოგადად შემუშავებულ იც ერთი კითხვა (სემიტობაზე მუსაფი ღმერთმა მაშოროს ჯერე)³⁶, მაგრამ მგონი შემოდგომის დღეს საქმე და ტემა გამოსაცვლელად დამირჩეს³⁷. ჯერჯერობით მას ვადგივარ. ეგ არი: „ქართული თარგმანი ცნობილი ამბვის ჰინდო ხელმწიფის შეილზე, მისი წარმოება და დაწერა ქართულად და განწყობილება მახედვე. მოამბე თხზულებებთან“. ამ საგანს ვრცელი ლიტერატურა აქვს და მეც საყოფი მასალა, არც უმნიშვნელოდ მიჩანს მსოფლიო მწერლობის ისტორიისთვის აგეთი კერძო განხილვა ჩვენ ენაზე დაწერილი მოთხრობის, მაგრამ დაქინება კი არ შემოძლია, ჩვენი თარგმანი მაინც და მაინც დედანი ყოფილიყო სუველა ევროპიელ ვერსიების, ჯერ ჯერობით მაინც. ამ გვარად, მარტო თეორიულ მხარეს და მსჯელობას ვერ მივედლომი სამაგისტრო დისერტაციისთვის, თავი ადგილი უნდა ეჭიროს ტექსტის შემუშავებულ გამოცემას, ამაში კი, შენც გეცოდინება, ცაგარელმა კეთილინება დასწრება, რა სურს ამით პროფესორს, არ ვიცი, ოლონდ მე კი ცოტა არ იყო შემობრკოლა საქმე, და, თუ მის გამოცემას მეორე გამოცემა არ სჭირია; იქნება კიდევაც მივატოვო ეგ შრომა, ამ გვარად წელიწადი დავიჯარგო ერთი მხრით და ყოველ შემთხვევაში არა ორი, არამედ სამი წელი შევერჩე აქაურობას. მიტომ დიდი მოსწრაფებით ველი, „სიბრძნე ბალავარისას“, რომელი გრ. ჩარკვიანმა³⁸ უნდა გამომიგზავნოს. ჩემ ბროშიურას ბალავარზე ამ დღეებში გამოგიგზავნი, დაბეჭდილია, დღესასწაულებმა შეაჩერეს გამოსვლა.

სხვა, მე ნახავარი სტიპენდიით ვიკვებები და, რომ გირგოლ გურიელი არა, სული ამომძრებოდა ამდენ ხან. ააშენა ღმერთმა, სწორედ გაჭივრებაზე მეხმარება.

აქაურებზე რა მოგწერო, მხალთ არ ვიცნობთ, ძველთ შენც კი იცნობ. დათიკო ქუთათელაძე³⁹ და იასონ ლორთქი⁴⁰. მოდიან მანდ, პირველი მგონი რამდენიმე კვირით ადრე. ვისურვებ კეთილ შეხვედრებისას (sic) თქვენგან ერთმანერთის.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

შენი წერილი ამ დიდი ზამთრის გამო გვიან მივიღე და უფრო გვიან მე გწერ პასუხს. ვიცი მემდური ამ გარემოების გამო, მაგრამ საქმე აი რაშია: მე მინდოდა შენთვის მომეწერა წერილი მაშინ, როდესაც წერა-კითხვის ბიბლიოტეკის მოწყობის აზრს, ანუ პროექტს მივალბინებდი მართველობას ამ საზოგადოებისას. ამ საქმეზე ეგ ექვსი თთვეა ვზრუნავ და როგორც იყო ეხლა დავაბოლოვე ფორმალურათ მაინც⁴¹. მე თავის აზრი, რაზედაც ჩვენ მოვილაპარაკეთ პეტერბურგში, არ გამომიცლია, მაგრამ საქმით კი ჯერ ვერაფერ ბევრს ვაკეთებ, რადგან ბევრი დრო არა მაქ სამსახურის გამო და არც ისეთი ჯანმრთელი ვარ, რომ ერთობ ბევრი შრომა ავიტანო. შენმა აზრის შეცვლამ ერთობ მაწყენინა, მაგრამ, რასაკვირველია, მე ვერ გირჩევ მანდამაინც წინანდელ აზრს დაადექი მეტი, რადგან თუ შენ მაქ პროფესორათ გახთები, შენთვისაც ჯობს და საქმისთვისაც, რადგან უფრო მეტს გააკეთებ მეცნიერებისათვის და ჩვენ ქართველებისათვის და ლუკმა პურის შონას ნახევარ დროს არ მოახმარ. მე სულ იმაზე ეფიქრობდი, რა გამომეგონებინა ისეთი, რომ საზოგადოებისათვისაც და ჩვენი მეცნიერებისთვისაც გვეზრუნა და არც შიმშილით მომკვლარიყავით, რაკი შენ აქ ჩამოხვიდოდი, ამ აზრით მე არავითარი აღგილი სახელმწიფო სამსახურში შესავალათ არ მიძებნია და ამ ბედშავის საზნაურო შკოლის მცირედი გაკვეთილებით ვემაყოფილდებოდი⁴², წელს მგონია პროგენაზიული კლასები საზნაურო შკოლისა იკეტება (ქართველების საქმეს საზოგადოთ, მოგეხსენება, დიდი სიცოცხლე არა აქვს) და მე მაინც არ მინდა მოვსცილდე თფილისს, თუმც კერძო გაკვეთილები მაინც ვიშოვე. მე რომ მტკიცეთ არ ვყოფილიყავი ჩვენგან მოლაპარაკებულ აზრზე, ამდენხანს მეც შევეხებტებოდი რამე სამსახურში. შენ მწერ ანგარიში ვაძლიოთ ერთმანეთს რას ვაკეთებთო და მე ჩემის მხრით მზათა ვარ ეგ აღვასრულო, მხოლოდ ნურას უკაცრავათ, თუ ბევრი საანგარიშო ვერაფერი მოგწერო. მე ეხლა, როგორც შენ, კატალოგის შედგენისთვის ვმუშაობ⁴³ და თანდათან ვვარჯიშობები ძველი ხელთნაწერების კითხვაში და ეგ საქმე, როგორც შენ თავის თავზეც იწერები, ჯერჯერობით ნელ ნელა მიიწევს წინ, მაგრამ აწე უფრო იმატებს; ზოგიერთი საისტორიო წიგნების კატალოგი მზათაც მაქვს. ამას გარდა გასული წელი მოვანდომე უმეტესი

ნაწილი ქართლის ცხოვრების ტექსტის შესადარებლათ მენგრელიის ბიბლიოტეკის ხელთნაწერ ქართლის ცხოვრებასთან და სიტყვა-სიტყვით შეუდარე ერთმანეთს და ვარიანტები დაწვრილებით აღვნიშნე. ზოგიერთი ეს ვარიანტები ერთობ საინტერესოა არიან და ბევრ ადგილს ქართლის ცხოვრებისას გასაგებათ ხოიან, ეხლა სურვილი მაქვს მარაამ დედოფლის ვარიანტს⁴⁴ შეუდარო და როდესაც დარი დაგვიდგება, გამოვსცე კიდევ. წერაკითხვის გამე. საზოგადოების ბიბლიოტეკის მოსაწყობ წესებს, რომელნიც მე მივალბინე, დაწვრილებით ვერ მოგწერ ეხლა, და უმთავრესი აზრი ის არის, რომ ჩვენ ბიბლიოტეკის პრაგრამმა უფრო გავავრცელე და მთელი ბიბლიოტეკის საქმე კომისიას გადაეცა; ამ კომისიაში არის ბაქრაძე, მე, ჟორდანიას⁴⁵ და მთვარელიშვილი⁴⁶. გამგეობას იმედია აქ, რომ ამ მომავალ წლისთვის საკუთარს სახლს ავაშენებთ ბიბლიოტეკისათვის. ბიბლიოტეკა ჩვენი ისეთ დაარსებულებათ უნდა გადიქცეს ჩემის პროექტით, სადაც შეკრებილი უნდა იყოს უმთავრესი საუნჯე ქართველების გონების ნავარჯიშევისა და იყოს დაახლოვებით გამომხატველი ჩვენო კულტურისა; ამისათვის, გარდა ხელთნაწერებისა, ვაპირებთ შეკრებას გუჯრებისას, სიგელებისა და ყოველგვარი საისტორიო და სალინგვისტიკო აქტებისა, აგრეთვე ეტნოგრაფიის მასალას და საარხეოლოგიო ნივთებს; ის წიგნები რომელნიც საქართველოს ეხებიან, ან ქართული შრიფტით არის დაწერილი და აგრეთვე პალეოგრაფიული კოპიები და ძველი ნანგრევების და მონასტრების პლანები შეძლებისამებრ შეგროვილი იქნება; ამას გარდა, მიქცეულია ყურადღება, რომ შევიძინოთ დაწვრილებით აღწერილობა ყველა ქართული ხელთნაწერებისა, რომელნიც საქართველოს გარეთ არიან და ცუდი ბიბლიოტეკებში, ამ კედრით შენც ჩვენ მიზანს ემსახურები, რადგანაც მაქოური წიგნების კატალოგს ადგენ. ბიბლიოტეკაში შემოღებულ იქნება ოქროს დაფა. სადაც დაწერილი იქნება სახელი და გვარი იმ პირთა, რომელნიც ბიბლიოტეკას დიდ სარგებლობას მოუტანენ. ეს ზომა ჩვენ ბევრ ხელთნაწერებს შეგვქენს. ამ თავით ჩვენ ორასი მანათი დაგვინიშნეს ბიბლიოტეკისათვის, რომელიც გვინდა უმთავრესი ხელთნაწერების დაწყობას, ყტის გაკეთებას და ბიბლიოტეკის სისტემაში მოყვანას მოვახმაროთ, ასთე გადასწყვიტა კომისიამ ჭერჯერობით. ეს არის უმთავრესი აზრი ჩვენი პროექტისა და აწ როგორ წავა საქმე, ეგ ჩვენზეა დამოკიდებული. რა მდგომარეობაში იყო და ჭერეც არის ჩვენი ბიბლიოტეკა, კარგათ მოგახსენება; აწე მგონი ცოტა წინ წაიწიოს საქმემ. კომისიაში თუმც ბაქრაძე ურევია, მაგრამ საქმით ის ნაკლებათ იღებს. მონაწილეობას და საქმე მივარდნილია ჩვენ სამზე. ჭერ მოვაწყობთ რეთიც შეიძლება ბიბლიოტეკას და მერმე შევადგენთ ვრცელ კატალოგს (კატალოგის შედგენა ჩემს ამხანაგებს თუც ჭეროვანათ არ ეს-

მით⁴⁷, მაგრამ ამაში მე დავიყოლიებ მათ ნებაზე) და როცა შეძლება გვექნება, მივყოფთ ხელს საუკეთესო მასალების გამოცემას. აზრი ასეთი მაქ ჯერე და განხორციელება, ხომ იცი, ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. ამას გარდა აქ საეკლესიო მუზეუმში⁴⁸ ოხსნება და იქაც უნდა ჩავიწერო წევრათ და შეძლებისამებრ ვიმუშავო. იქ უფრო ბევრი საინტერესო მასალა შეგროვდება. ესლა შენ მომწერე შენი პლანი კატალოგის შედგენისა (ერთნაირი პლანი გექ(ო)ნდეს საჭიროა) და აგრეთვე, ის თუ რა ენაზე დავბეჭდოთ კატალოგი, მივყვეთ პატრიოტობას და გამოვსცეთ მარტო ქართულათ, თუ რუსულათ დავბეჭდოთ. მეცნიერების საინტერესოთ, რასაკვირველია, რუსულათ სჯობს, მაგრამ აქ არ დამეთანხმებიან და თავის ხარჯით არ გამოსცემენ. მე კი ჯერ ქართულათ ვადგენ. ესლა ერთი სათხოვარი საქმე მაქ შენთან და იმედია აღმისრულებ: მე მინდა ვიცოდე რა ქართლის ცხოვრების ხელნაწერებია მაქ, ან აკადემიაში, ან საჯარო ბიბლიოტეკაში, ნუ დაიზარებ და პირველათ იგინი აღწერე და გამომიგზავნე; მხოლოთ ამ აღწერაში უნდა იყოს ყველა მინაწერები და წარწერები, აგრეთვე მოსაზრება, თუმც ეს წარწერით არა სჩანს, როდის არის გადაწერილი. ამას გარდა თუ შეიძლებოდეს გამომიგზავნე რამოდენიმე სტრიქონი პალეოგრაფიულათ გადმოწერილი თეიმურაზის ვარიანტისა⁴⁹, რომელიც აკადემიაშია და რომლიდანაც უმთავრესად ბროსე⁵⁰ აღბეჭდა ქართლის ცხოვრება; ხოლო ამ წიგნის ორნაირი პალეოგრაფიული ნიმუში უნდა გამომიგზავნო; ერთი წინა სიტყვაობის, რომელზედაც ბროსე ამბობს მერმინდელი სხვა ხელიაო, და მეორე თვით ტექსტის. იმედია ამას აღმისრულებ. ამას გარდა ოცს ამ თვეს ერთ თუმანს გამოგიგზავნი და ცაგარელის მოგზაურობა გამომიგზავნე, აქ არ იყიდება. აგრეთვე ველი შენ ბრამურასას⁵¹, რომელიც დამპირდი. ნუ იფიქრებ, რომ აწე წერილი დაგიგვიანო, შენც თუ არ დამივიწყებ. მომწერე საზოგადოთ ყველაფერი, თუ როგორი გეგმა გამოვიმუშავოთ მუშაობის, შეიძლება ჩვენი შრომანი ერთათ გამოვსცეთ, რაც შეეხება შენს სამაგისტრო დისერტაციას, ჩემის აზრით, სჯობს სხვა რამე გამოარჩიო სადისერტაციოთ უფრო თვალსაჩინო, თორემ ბალავარი, თუმც დიდი საინტერესოა, მაგრამ მაინც კერძო ხასიათი აქვს და ბევრ საკბილო მასალა ექნება ოპონენტებს. მე ასთე მგონია, ამისთვის არ გირჩევ; შენ: ლინგვისტიკური ტემა აირჩიე და ერთი გაემგზავრე სვანეთში, ტრაპიზონში და მეგრელიაში და ამ თემურ ენებიდან გამოკვეთე კანონები, თუმც სემიტობაც, რომ ჯერ კუთხეში დატოვო ან და თვით სამხთო წერილის. სხვადასხვა დროს თარგმანი აიღე, და გამოიკლიე საიღამ და როდის არის ნათარგმნი და შეუღარე სხვადასხვა დროს ნათარგმნი ერთმანეთს. ცაგარელი აქ იყო, მაგრამ ისთე ამპარტავნათ და ცხვირ აბზეკილი დადიოდა, რომ კაცს ვერ ცნობილობდა, შენდა

შკიობა — ადგილი თუ იშოვნაო, მე უთხარი — მე მგონია თქვენ უშოვნით იქ უნივერსიტეტში ადგილს მეთქი, თვარა აქ რათ უნდა ადგილი მეთქი. ბევრი აღარ მილაპარაკია მასთან, რადგან ერთობ შედიდურათ იყო. ქუთათელაძე(მ) გამოიარა აქ თბილისში და ვნახე და ჩემთანაც იყო. უნდა აქ იშოვოს ადგილი და ჩვენერთი შემწე კიდევ გვეყოლება, თუ აქ მოეწყო. ამ უამათ თავის სახლში წავიდა. მე ერთი სათხოვარი კიდევ დამავიწყტა, ე. ი. თუმც მაქ მოკლე კატალოგია აკადემიის ბიბლიოთეკის ქართული ხელთნაწერებისა, რამენიარათ გამომიგზავნე. აგრეთვე თუმც ჩუბინოვსთან დადიხარ (მგონი ის მორჩა ავთყოფობისაგან), ბანი დაგვიძინე — მისი ბიბლიოტეკა იქნება შემოგვწიროს, ჩვენ ვეძებთ ღონეს ის შევიძინოთ⁵². მე ეხლა ჯანზე გვარიანათ ვარ და თუ ზაფხულში აქ გავსქელი, მაშვინ მაქ იმედი ბიბლიოტეკისათვის უფრო ნაყოფიერათ ვიმუშავო. ასთე, ჩემო ნიკო, ნუ დამემღურები წერილის დაგვიანებისათვის. ვიცოდი ბიბლიოტეკის საქმე შენ გიამებოდა, და მის გარჩევამდის აღარ მოგწერე. ოცჯერ იყო დანიშნული სხდომა ამ საგანზე, არცეთჯერ საკმაო წევრები არ დაესწრა, ბიბლიოტეკა მათ პრასათ მიაჩინათ, და ამდენხანს პადვალში ქონებოდათ, სადაც ბევრი წიგნები სინოტიეს გაუფუჭებია. არც ჭავჭავაძეს ესმის რამე ამ საქმეში. უორდროჰსა⁵³ რამდენიმე მასალა აქვს ნაჩვენები თავის მოგზაურობაში კავკასიის შესახებ, და გაიკვირვა — რამდენი მასალა ყოფილაო, ის შევიძინოთ, და სხვა რა იქნებო მეთიო, მეტი მგონი არ არისო. ერთი სიტყვით ჩემი პროექტი ძალაუნებურათ მივალეზინე. ეხლა მინდა ვეცადო საბიბლიოტეკო თანხა შევადგინო, და იქნება ისეთი დრო მოვიდეს, რომ ერთ კაცს დაუნიშნოთ ჯამაგირი და მივანდოთ ბიბლიოტეკა და გამოცემის საქმე. ჩვენ ქართველებს მეტი არაფერი არ გვაქ, ჩვენი ავლადიდება და ჩვენი აკადემიის ბიბლიოტეკაა და საჭიროა მცოდნე კაცებიც იქ შევყაროთ. სხვაფრივ მშვიდობით. ოცს ამ თვეს კიდევ მოგწერ წერილს. ვანო გურიელი დასა(ხ)ლდა მაქ? მომიკითხე თუ ნახო.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი .

21 თებერვალი, 1889 წელი

7

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

გიგზავნი ერთ თუმანს და ცაგარლის წიგნი⁵⁴ გამომიგზავნე, და თუ ზამე დაგრჩეს, კონკის ფულათ იხმარე. შენი ბროშურა ბალავარზე შვილე და გმადლობ. ერთი ბალავარის ვარიანტი მე ჩამივარდა ეხლა

ზელში, ეს არის სფირიდონ (sic) ბერის სიმონ ყოფილის გძელიევის ვარიანტი⁵⁵, რომელზედაც ცნობები შენც გქონდა. ყველა სტატიების კრების აღწერას, რომელშიაც ბალავარი არის მოქცეული, ცალკე გიზზავნი, და აქ საჭიროდ ვრაცხ გაცნობო, რომ ეს ვარიანტი გადაწერილია 1866 წელში და წარმოგვიდგენს დიდად განსხვავებულ ვარიანტს. მე ჯერ ცაგარელისაგან დაბეჭდილი ბალავარი არა მაქვს და შენ ბროშურაში რომ ტექსტია, იმას შეუდარე და თითქმის ყოველ სტრიქონში (სიტყვაში რომ ვთქვა იქნება გადავაჭარბო) შესამჩნევი განსხვავებანი ვიპოვე. ეჭვი არ არის, რომ ეგ სულ სხვა ვარიანტიდგან არის გადმოდებული, ვიღრემ დაფქვიევის⁵⁶, და არხაიზმებიც უმფრო მეტია ამაში და აზრიც უფრო მოკლე სიტყვებით არის გამოხატული. ცაგარელის დაბეჭდილი ტექსტი გამომიგზავნე და ვეცთები თლათ შევადარო და თუ გინდა, შედარებულ ტექსტს გამოგიგზავნი, იქნება ცაგარელსაც მოუსწრას და ვარიანტები აღნიშნოს. მე კიდეც იმედი მაქვს, რომ ძველ ვარიანტს ვიშოვი სადმე ძველ წიგნებში, რადგანაც ესლა საეკლესიო მუზეუმში შეგროვდება ყველა მონასტრებიდგან წიგნები. მე იქ მწევრი ვარ გამგეობის და ვეცთები მეცნიერული ხასიათი მივსცე ჩვენ შრომას და გამოცემას. ესლა მე და ბაქრაძე შცხეთაში ვიყავით⁵⁷ და იქაური ხელთნაწერები აღვსწერეთ და წამოვიღეთ კიდეც. ამისათვის ესლა გამოცემულს ბალავარს დიდი მნიშვნელობა არ ექნება, თუმც ეგ ჩემი ვარიანტი⁵⁸ მაგ თქვენ ვარიანტს ზევრათ ჯობია და ყოველ შემთხვევაში საინტერესოა. ეგ წიგნი შემთხვევით ჩამივარდა ხელში და ვცთილობ წერ. კ. საზოგად. ბიბ. შევაწირვიო და ამისთვის არ ვამცხადებ ჯერ, თუმც მე რამდენხანსაც შინდა მექნება. ახლო ხანში ჩვენი მუზეუმის გამგეობა გამოსცემს ნინოს ხრონიკას⁵⁹, რომელზედაც ბაქრაძემ და ჟორდანიამ გაზეთში ივერიაში⁶⁰ შენიშვნები დასწერეს⁶¹, ეს ხრონიკა ძრიელ საინტერესოა და ესლა მე მის გარჩევაში ვარ.

სხვაფრიე მშვიდობით.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი

„ბალავარიანის“ შემცველი ხელნაწერის
აღწერილობა)

წიგნი, რომელშიაც მოქცეულია სიბრძნე ბალავარისა წარმოგვიდგენს სხვა და სხვა სასულიერო სტატიების კრებას. ზელთ ნაწერი მხედრულია, ნაწერია გაკრული ხელით, მაგრამ ადვილად გასარჩევით; in 4. სიგრძე წიგნისა არის ხუთი ვერშოკი, განი — ოთხი ვერშოკი. მელანი

ვერ ყოფილა კარგი და ცოტა ყვითლის ფერი მისცემია. ზოგიერთი სტატიების სათაურები წითელი მელნით არის ნაწერი, სასათაურო ასოები ხუცურია, თვითვეული სტატია ცალ-ცალკეა დანომრული. მთელი წიგნი არის დაწერილი სქელ მოშაო ქახალღზე; ყტა აქვს-წიგნი გადაწერილია 1866 წელს. წიგნის ბოლოში კანზე მიწებებულ ქახალღზე სწერია: „ესე წიგნი არის ს ფ ი რ ი დ ო ნ (sic) გძელიევისა. წიგნის შუაში წდ ღვთისმშობლის მიცვალების წიგნის დასაწყისის წინ დახატულია ფერადებით ღთს მშობლის მიცვალება და ბოლოს აწერია: „ს ი მ ო ნ ბ ე რ ი ს არის, ვინც წაიციტხოთ, შენდობა უბძანეთ. ღვთის მშობელო, შემეწიე მსასოებელსა შენსა ს ფ ი რ ი დ ო ნ ს ი ე რ ო - მ ო ნ ა ხ ს ა“.

აი რიგი სტატიებისა: 1) წიგნი თეოდორე სულელ-ქმნილისა, შეიცავს 16 გვერდს. იწყება ასთე: „ქვეყანასა სირბისასა, რლ-სა აწ სახელ-სდებენ ბულარად, ამას ქუყყანასა სარასი ქალაქსა შინა იყო კაცი ერთი, რლ-სა ეწოდებოდა თეოდორე“. ბ ო ლ ო შ ი ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ თ: „მე საქართველოს არხიმანდრიტმან იოაკიმ მთაწმინდელმან ჩვენსა მონასტერსა შინა და ასკალოს ამფილოქეს კელიარსა შნ აქვნდა და მუნ ვპოვე მამათ ცხოვრება ერთი და მას შა ეწერა და მუნით ბერძულისა ენისაგან ქართულსა ზა გარდმოვიღე, და აღმომკითხველთა ზა ამისთა იყავნ მადლი წი-სა სამებისა ლოცვითა თვისითა ყსა მისსა მისითურთ სულით და ჯორცითურთ, და ჩვენიცა მონასტერი და ჩვენიცა მოხსენებულ ვიქმნეთ; მადლიცა მათივე და კურთხევითა იყავთ თქნ ზა საუკუნოდა“.

2) ღთივ თხრობანი სულისა ფდ სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვრგვნი (17—88), განყოფილი „მა“ თხრობად, გათავებული არ არის უკანასკნელი თხრობის მხოლოდ სათაურია. იწყება: „მღდელთა მოქმედებისათვის...“ თავდება: „თუ ვითარ გლახაკი მიმცემი ქესა მისცემს“.

3) წიგნი ბალავარისა, ცალკე დანომრული (1—82 გვერდი), იწყება ასთე: „გვითხრობდა მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალავარისა, რლი იმყოფებოდა უდაბნოს მძოვართა თანა. მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ჰინდოთ სწიგნესა შა, რლ-სა შა სწერიან საქმენი ამის სოფლისაანი ფდ სარგებელნი სულთანნი, რომლისა ხსენებასასა აღასრულებს დღითი დღე ნოემბრის 70:“ (ეს რაც აქ ხაზგასმულია, უფრო შავი მელნით არის დაწერილი და მგონი მერმე მიმატებულია, თუმც ხელი ერთია); იყო ვინმე მეფე ქყანასა ჰინდოეთისასა....

წიგნი განყოფილია რვა თხრობად. მე-66 გვერდამდის ყოველ

პირველი ფურცელის სათაურში აწერია: „წიგნი“ და მეორეს — „ბალავარისა“, მხოლოდ მე 66 გვერდიდგან დაწყებული სწერია — „წიგნი იოდასაფისი. ბოლოში ვკითხულობთ: „სრულ იქმნა წიგნი ბალავარისა იანვრის: 27:1856 ჩყნვ. დედოფალო მოჰხედე ვედრე-ბასა მონათა შენთასა და გვხსენ ჩნ ყლთა განსადელთა და სნეუ-ლებათაგან მონანი შენნი, ამინ“.

4 მოთხრობა ჰსჯულის უღთთა მაჰმადიანთა გამოკრებული და სიტყვის საგებელი ქეანეთაგან, ქმნილი ბატონის შეილის ბაგრატიან-გან. იწყებთ: „უამთა უკუჲ ჰერეკლე მეფისათა...“ თავდება: „სრულ იქმნა მაჰმადის მოთხრობა ესე 1856“. (შეიცავს 1—111 გვ.).

5) „ცხოვრება და მოქალაქეობა წისა ყდ ქებულისა იოანე ღვთისმეტყველისა“ (115—185) იწყებთ: „ესე კაცი ... თავდება: „ცრემლი ვჰყაროთ ტირილითა“. ამ სტატიის წინ დახატულია ფერადებით იწეღთ. მეტყ. და ბოლოს აწერია: „იოანე მახარობელო, შეიწყალე საწყალობელი ბერი სფირიდონ ყოფილი სიმონ“.

6) „მიცვალება ყდ წისა ღთის მშობლისა ნახატეითურთ“. იწყებთ: უამსა იგი ... თავდება: აწ და მარად და უკ უკი, ამინ“. (1—74 გვერდ.).

7) „ცხოვრება წდისა და ნეტარისა მამისა იოანესი, რომელი ვლახაჲ იქმნა ქრისტესთვის...“ ნახატეითურთ (1—25 გვ.).

8) „ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღთსა ნახატეითურთ (27—38).

9) „ცხოვრება და მოქ. წმ. მამისა ჩესა ქსენოფორესი“ (40—58).

10) თხრობა სულიერი ფდ სარგებელი სულთა ღს-მოყვარეთა“ (58—66).

11) „წამება წა მოწამისა იაკობ დაჰრილისა“ (67—94).

12) „ცხოვრება მარიამ მეგვიტელასი“ (95—116).

13) განგრძელება ცხოვრება და მოღვაწეობა ონოფრესი და სხვათა მეუღაბნოეთა მამათა“ (117—139).

14) „ცხოვრება და წამება წსა დიმიტრისა და ნესტორისა“ (141—155).

15) „წამება წ-ის მოწამისა პარასკევასი“ (156—164). აქ მოხსენებული ყველა ცხოვრებაები შემკულია გაფერადებული სურათებით, გარდა ბალავარისა და ის სტრეიქონი, რომელიც ბალავარის აღწერილობაში ხაზგასმულია, მგონი, უჩვენებს, რომ ბალავარს ეკლესიაშიც კითხულობდნენ აქ მოხსენებულ სტატიებში თითქმის ყველაშია მოხსენებული, თუ რომელი რომელ დღეს იკითხება. ვიმეორებ რომ ეს ვარიანტი ძრიელ განსხვავდება ამდენან ცნობილ ვარიანტზე.

მარკებს გიგზავნი დასაბრუნებლად.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე !

მე ძალიან მაამა შენ წერილმა და ცნობებმა ბალავარზე. ვწუხ, რომ ერთი ვარიანტიც არ მაცნობე, მაგრამ სრულზე მჯერა, რომ, როგორც შენ მარწმუნებ, საინტერესო და მძიმე ვარიანტებს უნდა წარმოადგენდეს მაგ ცალი. ხომ იცი, მე თუმც გამოცემას, უკეთეს კარგად და სრული სხვაკითხვაობით გამოსცემს ცაგარელი, მეორე ხელ არ ვაპირებ, თვით ტემის შემუშავებას კი ხელს არ ვუშვებ, კარგი სხვა და სხვა გვარი მასალა შეგვკრიბე, ლიტერატურაც ხელში მაქვს — ზოგი ნაყიდი, ზოგი ნათხოვი, და თან ახალი უძველესი სპარსული თარგმანი ამოჩნდა⁶², რომლის დაბეჭდვას „ვაпноки“⁶³—ში ყოველ დღე ველი, მაშინ სრული ღონისძიება მექნება; გარდა ჩემგან კერძო შეგროვებული მასალების, დასკვნას მივიღე რამე გვარს — შედარებით ვრცელით, არაბ. — სპარს. — ებრ. — ბერძნ. — ხან დასავლეთურ, თუ საჭიროდ გამოჩნდა, და ქართულის. მიტომ, თუ შეიძლება, ვარიანტები ამ ჩემ ხელნაწერზე შემიდგინე, ცაგარელის გამოცემა როდის გამოვა, არ ვიცი, დაცდა რამდენ ხანს დაგვკვირდება. მე გიგზავნი რვეულს... მაგრამ რა გამოგზავნა სჭირია, უბრალო რვეულს, აიღებ დაუწერელს და ვარიანტს ზედ მიაწერ ამგვარად, ვთქვათ მაგიერად ჩემი ხელნაწერის: „აწ ვითარ გრწამ, თუ ვით არის ჩინჩახესა ჩემსა მარგარიტი ესე ოდენი, რ თვით ბუნბულითურთ არცა თუ...“ შენ, — თუ გრძელიევის ხელნაწერში სწერია: „აწ როგორ დაგიჯერო პატიოსანო, თუ აგეთ ყორყში ამხელა მარგალიტი, როდესაც თვითონ ფრთით არცა თუ...“ შენ მაშინ დაწერ გვერდს ჩემი ხელნაწერის (61) და პირველ სტრიქონს სავარიანტო აღგილის (II) და ზედ მხოლოდ შენ ვარიანტს მიაწერ: როცა მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვა განირჩევა ან სამი. ან მხოლოდ დაბოლოვება—ზედ დააწერ სავარიანტო სიტყვას ჩემ ხელნაწერში და ვარიანტს გვერდით ფრჩხილებში ჩაუჯენ გ. რაიც მაცნობებს რომ გრძელიევის ვარიანტია, აგრე (გ). უკეთესი იქნება, რომ სააღდგომოდ მათხოვდე, ახალკვირეს გამოგიგზავნიდი, გინდ ადრეც, ერთ კვირას მეყოფა ჩემ ხელში მისი ყოფნა, მაგრამ იქნებ არ შეიძლება? თუ ეგ არც ერთი არ შეგეძლება, არც ვარიანტების შედგენა, არც ხელნაწერის

გადმოცემა, ჩემი ხელნაწერი მაინც გამომიგზავნე საჩქაროთ. შიგ ჩემი ხელნაწერში, როგორც ხედავ, ბალავარის ბოლოს ქართლის მოქცევა-
ცი⁶⁴ არის, სია მე შეუდგინე მესხიშვილის ხელნაწერებს⁶⁵, მაშინვე:
ვთქვი, ახალი საბუთი აღმოჩნდა მატთანეთ pro თუ contra-სთვის.
მეთქი.

ბალავარი უნდა იყოს ქვათახევის თუ ქვაბთახევის მონასტრის.
ერთ ხუცურ ხელნაწერის „ეფრემ ასურის“ ბოლოში, ეგ თუ ამოჩნდა,
ყველაზე უძველესია. სამაგისტროდ ბალავარს არ ვწერ, მაგრამ სულ
ცხოვრებებში ვარ ახლა წმინდათა და ნელა ნელა და ვანიტ ვანიტ მისი:
დაწერა შემეძლება და შემუშავება. თუ ამისრულებ თხოვნას, მასვე
დღეს მაცნობე წერილით: თუ გამომიგზავნი, თუ ვარიანტს შეუდგენ,
თუ ვერც ერთის ქმნას ვერ შეგაძლებინებს უღრობა. აქ თუ გამომი-
გზავნი, $8 \times 2 = 16$. და 7, სულ 23 დღე დარჩება შენგან და შენი ოთა-
ხიდან absence-ში გრძელიძის ხელნაწერი. ფარსადანი გიორგიჯანის⁶⁶
ხელნაწერს უნივერსიტეტი ითხოვს ჩემთვის და იმედია, არ დაუკავე-
ბენ. თუ რამე შეგვხვდეს ფარსადანზე, მაცნობე, მეც არ დაგიჩებო
ვალში შენ კითხვებზე.

გიგზავნი ცაგარლის თხზულებას, მრჩება $5\frac{1}{2}$ მან. ფოტოში ათ
შაურზე მეტს არ გამომართვენ მგონი, თუ გამომართვეს, შენც შეა-
ტყობ, ის გამოაკელი. მე ახლა ფულიანად ვიქნები და ვარცა, და
უფულოთაც შეგიძლია დაიკვეთო წიგნი, მაგიერში მაქ გაყიდვინებ
ზოგ სომხურ და ქართულს.

შენი ძმა ნიკო მარარი.

ხელნაწ-ის სიგძე და ვანი მერტული სის-
ტემით სჯობია, ყოლგან ეგრეა მიღებუ-
ლი კატალოგებში, გარდა. მცირეთა, მათ
შორის ცაგარელის.

9

10 მარტი 1889 წ.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ორივე შენი წერილი მივიღე... პირველ წერილში იწერებოდო
ბალავარს აღარ ვიღებ სამაგისტრო ტემათო და ამის გამო ის ვარიან-
ტი⁶⁷ ცაგარელს გამოუგზავნე, რადგანაც მან წერა-კითხვის საზოგა-

დოებას მომართა თხოვნით გაეგზავნათ მისდა, თუმც ახალი ვარიანტები იპოვებოდა, და გამგეობას მიეწერა, რომ მე მაქვს ვარიანტი, და რაკი შენი წერილი მივიღე, რომ შენ სხვა ტემა აგერჩია, მეორე დღესვე ცაგარელს გაუგზავნე; იქნება ბალავარის გამოცემას მეტს ვერ მოვესწრათ ახლო ხანში და სასურველია ამთავით კარგათ გამოიცეს. ცაგარელთან შენც შეგიძლია ნახო და ისარგებლო, თუმც გსურს, თუ საჭირო იქნება მე მივსწერ ცაგარელს, — შენ გადმოგცეს, როდესაც გაათავებს შედარებას. შენ ხელთნაწერს⁶⁸ გიგზავნი უკან, უკაცრავათ ვარ ცოტა დაგვიანებისათვის, მაგრამ ამის მიზეზი ჩემი ახალ ბინაზე გადასვლა იყო. რაც შეეხება მარკებს, უკან გიგზავნი შენგან წარმოდგენილს, რადგანაც, ისთე ღარიბი არა ვარ, რომ ეს და ამგვარი საქონელი ჩემი ხარჯით ვერ გამოგიგზავნო. აქ თუ რამე წიგნი დაგჭირდება, მომწერე და გამოგიგზავნი. გორგიჯანიძის ისტორია ჩვენ წ. კ. საზ-ში არ არის სრულებით და არ ვიცი შენ საიღამ ამოიკითხე, რომ ჩვენ გვაქვს. ჩუბინოვის ბიბლიოტეკაში კი არის. რაც შეეხება „ქართლის მოქცევა“, ვხედავ გადაგიწერია. მაგრამ არ მესმის რათ არ დასწერე შენიშვნა ამ საგანზე და მისი აღმოჩენის სახელი ტყუილათ სხვას გაატანე.⁶⁹ გეტყობა ბალავარს გაუტაცებინარ. ბაქრაძეს ძრიელ მოსწონს შენი წერილი ბალავარზე და თავის ისტორიაშიც⁷⁰ შოიხსენა შენი ბროშურა და მე მითხრა — მისწერეო, აქ წარმოგვიდგინოს, თუ სურს, რეფერატები საეკლესიო-საარხეოლოგიო საზოგადოებაში და წავიკითხავთ და დავბეჭდავთო. ჩემს ისტორიას ერთ ეგზემპლიარს გაუგზავნიო (მისი ისტორია იმის გამეორება არის, რაც ამდენხანს უწერია და მაისის დამლევები გამოვა). ამ საგანზე კიდევ მოგწერ უფრო დაწვრილებით სხუმის. პირველ წერილში იწერები, რომ ჩემი წერილი ისთე გაგიგია, ვითომც შენ დიდი დანაშაულობა შეგიძლოდეს ჩემს წინაშე და თავის სიტყვას გადასულიყო და სენინდისის წინააღმდეგ რამე ჩაგედინოს. მე სულაც ამგვარ დანაშაულობას არ გეწამები და თვითონაც მოგწერე შენდაც და საქმიზაც სჯობს, რომ მაქ ღარჩი, მხოლოდ პირადათ ჩემდა და ჩემის შრომისათვის ვტირი, რომ აქ არა მყავხარ და აქ ამ საქმეში შენისთანა დამხმარე და გულშემატკივარი არა მყავს. შენ რომ აქ მყოლოდი, იქნება ყოველგვარ სამსახურისათვის დამენებებინა თავი, ახლა კი თითქმის მთელ დროს სამსახურს და ლუკმა-პურის შოვნას ვანდომებ და ამ საქმეს სხვათა შორის ვეკიდები და ამისთვის ჩემი შრომა თითქმის უნაყოფო იქნება. მე ჯერ ბევრის შესწავლა და ვარჯიშობა მინდა ამ საქმეში და ვსწუხვარ, რომ დრო არა მაქვს საკმაო ამისათვის. ცაგარელის წიგნის გამოგზავნისათვის მადლობელი ვარ. ჩუბინოვმა გამო-

მიგზავნა მეორე ტომი მისი ლექსიკონის და ცაგარელმაც დაძვირდა მაქ რომ ვიყავი, მაგრამ აღარ გამოუგზავნია თავის შრომა. ველი შენგან უფრო დალაგებულ წერილს შენს მუშაობაზე.

შენი ძმა ე. თაყაიშვილი.

P. S. ჩემი მამის სახელი ს ი მ ო ნ ი ა.

10

2 იანვარი 1890 წ.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო!

მომილოცავს ახალი წელი და ვისურვებ მრავალ წელ შენ სიცოცხლეს. ერთობ ნამეტარი დავივიწყეთ ჩვენ ერთმანეთი და ეს ჩვენ შორის არ ჯერ არს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, საზოგადოთ ჩვენ საქმეებს არ მოუხდება და ნამეტნავად იმ საქმეს, რომელსაც შენ ემსახურები და რომლის სამსახური მეც მწადია შეძლებისამებრ ძალისა ჩემისა. ჩვენი ხელ-ნაწერები ზოგი მაქაა და ზოგი აქ, და ერთი მეორის შეუღარებლად არც ერთის შესწავლა და გამოცემა არ შეიძლება და არც ვარგა, ამას შენი მოთხოული ხელ-ნაწერიც⁷¹ ამტკიცებს. შენი წერილი ბაქრაძემ წ. კ. ს. გამგეობას გადმოსცა და სწორედ გითხრა ყველანი წინააღმდეგი იყვნეს გამოგზავნის, მაგრამ რადგანაც ბიბლიოტეკის საზოგადო ზედამხედველობა და ავი. და კარგი მე მბარია, ამიტომ ყველამ ჩემზე მოათითა; თუმც ის იტყვის, — გაუგზავნოს; მე აუსხენი საჭიროება იმ ხელ-ნაწერის შენი მიზნისთვის და გამოგზავნაც ვიკისრე, ამას გარდა ის ბაქარის⁷² „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაილითა... და „სიტყვისგება ქრისტიანეთა მიერ“ გამოგიგზავნე⁷³, რომელიც შენ დ. ქუთათელაძის პირით გეთხოვა; იმის ეგზემპლარი მეორეც გვაქ, 1815 წ. გადწერილი,⁷⁴ მაგრამ მაგაზე უკეთესი ეგზემპლარი კი არ არის აქ. თუმც აწე რამე დაგჭირდეს, უნივერსიტეტის მოწერილობით მოითხოვე და თუ ეგრე საჩქაროთ გინდოდეს, პირდაპირ გამგეობას მომართე, გინდა მე მომწერე გამგეობის გადასაცემად, ეგრე სჯობს. ეხლა ორიოდე სიტყვას ჩემზე მოგწერ. პირველი ორი წელიწადი ბევრი ვიშრომე და როგორც იყო წელს ზაფხულში ვალეები მოვიშორე, მერამე, თუმცა ჯამაგირი ცოტა მაქვს, მაგრამ კერძო გაკვეთილი აღარ ამიღია და სულ ხელნაწერების შესწავლაში ვარ. ამ თვის დამლევაძის დაბეჭდილი

იქნება უსათუოთ „სამი ისტორიული ხრონიკა“⁷⁵ (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონებზე და მესხური დავითნისა), რომლის გამოცემა ჩემი ხარჯით ვიკისრე და იმედი მაქვს წლის დამლევამდის, ანუ კანკულებამდის იმის გამოსაცემის ფულს გადავიხთი ცოტ-ცოტაობით (ეხლა უმეტესი ნაწილი კასილგან ვისესხე), განზრახვა მაქვს, რაც იმიდგან ფული გამოვა, ხელი არ ვახლო და საზოგადოთ ძველი წიგნების გამოსაცემ ფონდათ გადავდო, იქნება ვინმემ ისურვოს შემოერთება და გაიზარდოს. ამას გარდა, შეუდგევი წ. კ. ს. ხელ-ნაწერების სრულ აღწერას და ცოტ-ცოტა დაიბეჭდება „ივერიაში“ ამთავიდგან დაწყებული, პირველად ახალ შემოწირულ ხელ-ნაწერების აღწერა იქნება ყოველთვის და მერმე ძველებისაც. როდესაც გავათავებ ყველა ხელ-ნაწერის აღწერას, მაშინ ბიბლიოტეკის ნუმერაციას სხვა სისტემას მივსცემ და ცალკე წიგნათ დაიბეჭდება, აღწერილობას გაზეთში წაიკითხავ⁷⁶ და იმედია შენს აზრსაც შემატყობიებ, თუ რამე აკლია, ხოლო აქოური ტიპოგრაფიის უჯეროვანობას ნუ დაივიწყებ. ჩემი „ხრონიკები“ სამი თვე ყრია იქ, არც პატივი ჰქონდენ და არც დიდი ფრჩხილები (СКОДКИ) და არ დავბეჭდე მანამდის, სანამდის არ ჩამოვასხმიე. საზოგადოთ პატივში ისეთი სიტყვებს ვტიებ, რომელნიც რაიმე ექვს წარმოადგენენ, სხვას პირდაპირ ვწერ. ამას გარდა ბევრს ვმუშაობთ მე და დ. ქუთათელაძე „ქართ. ცხოვრების“ ვარიანტების შედარებაზედაც. შარშან მეგრელიის ვარიანტს⁷⁷ შეუღარე და წელს მარიამ დედოფლისას და ერთს კიდევ სხვას ვადარებთ და დ. ქუთათელაძე ძრეელ მენხარება და ძრეელ კარგი მუშაიკ არის და იქნება ჩვენი წასული ცხოვრების გამოკლევისათვის; ამდენანს უჯამაგროთ იყო და ეხლა ადგილს აძლევენ და მგონია კარგსაც. ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ გაცნობო და იმედია, შენ ხელს გაგვიწყობ, რადგანაც სულ შენზეა ეს დამოკიდებული, რომ წ. კ. ს. ძველი წიგნები გამოსაცემათ ეხლა 600 მან. შეიძლება დავხარჯოთ; ჩემზეა დამოკიდებული გამორჩევა და მე კარგი ხანია გორგიჯანიძის ისტორიის გამოცემაზე შევჩერდი, აქ არც ერთი ეგზემპლიარი არ მოიპოვება. შენ მგონია წინააღმდეგი არ იქნები იმის ისტორიის გამოცემაზე და რამენაირათ მაქოური აკადემიას ხელნაწერი⁷⁸ უნდა გამოგვიგზავნო; შენ გათხოვებენ უსათუოთ, და გაბედე, ნუ გეშინია, გამოგზავნა და დრო იმდენი დაუნეშნე, რამდენიც გინდა, თუნდ ერთი კვირის ვადითაც გამოგვიგზავნო, მაინც წავესევით და დღიან ღამიანა ვიმუშავებთ. რაც დაბეჭდილია, ის საჭირო არ იქნება გადმოვიწეროთ, და დანარჩენს დიდი დრო მანდამაინც არ უნდა მოუნდეს, თუმც მე თავის დღეში არ მინახავს ის ხელ-ნაწერი. ამას გარდა, ყველა ცნობები მოგვწერე — არის ნაქ ერთი ეგზემპლიარის მეტი, თუ არა, და ან თუა, რომელი სჯობს.

შენ გორგიჯანიძეს, მგონია, სპეციალურად სტავლობდი და გეცოდინება. ვიმეორებ, ესლა საქმე შენზეა დამოკიდებული, და იმედია, თავის მხრით არაფერს დააკლებ, თუ ესლა არ დაიბეჭდა ის, მერმე გამოსაცემი ანგარიში აღარ გვექნება. მომავალში, იმედი მაქვს, ფულიც შევეკრიბო და გუჯარების გამოცემას შეუდგე; ამაზე დიდი ლაპარაკი გვაქვს ესლა ჩვენ მეცენატებთან და მგონი კარგათ მიდის საქმე. სხვა კიდეც ბევრი მაქვს სახეში გამოცემები, მაგრა ზოგიც სხვა დროსთვის გადავდევთ, რადგანაც იმედია აწე უფრო ხშირათ გაუზიარებთ თავის აზრებს ერთმანეთს. ესლა გთხოვ კიდეც ორს რამეს, ერთი მაცნობო, არის მაქვს სადმე ხელ-ნაწერი „კათალიკოზ-ბაქარიანი“, თქმული იესეს მღვდლის ტლაშაძის მიერ კონსტანტინეპოლს „ჩ დ კ ზ“ წელს, თუ არა? ეს ლექსათ არის დაწერილი, მაგრამ მშვენიერი ისტორიული მასალაა და სურათი მაშვინდელი დროისა, აქ ერთი ხელნაწერი გვაქვს და სამწუხაროდ ბოლო აკლია⁷⁹, თუ მოიპოვება მაქვს, გადააწერიე ჩემი ხარჯით, ხელნაწერი დიდი არ არის, და გამომიგზავნე, და ცალკე წიგნათ გამოვსცემ.

მეორე სათხოვარი ის არის, რაც შარშან გთხოვე, ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ აღწერა თეიმურაზის ვარიანტისა და თუმც შეიძლება სწავებისაც, განსაკუთრებით თეიმურაზის ვარიანტის შესახებ მაცნობე ყველაფერი, ან რომელი გვერდის ფურცლები და რომელი სიტყვიდამ რომლამდის არის სხვა ხელით ნაწერი, ან რომელ დროს შეიძლება მიაწეროს კაცმა პალეოგრაფიული ხასიათით ის ხელნაწერი, იხმარება იმ ხელნაწერში საზოგადოთ უ (უ ბ რ ჯ გ უ) თუ არა? — რასაც მაცნობებ იმ ხელნაწერის შესახებ, შენდა მოწერილად შევიტან იმ წერილში, რომელსაც საზოგადოთ „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებს უნდა უძღვნა. მე კარგათ ვიცი, რომ შენ ბევრი საქმე გაქვს და ესლა დისერტაციას ამზადებ, მაგრა ერთი ორი დღე მიიცალე როგორმე, ესეც საქმეა არამცირადი, რასაც გწერ და რამენაირათ მაცნობე (წარწერები თუ რამე აქვს, რასაკვირველია, არ დაგავიწყდება).

ილიკო ნაკაშიძე⁸⁰ გულითადის სიყვარულით მომიკითხე და უთხარი, რომ ჭერ წიგნების საყიდელი ფული ვერ მოვირჩინეთქო, და მომავალში კი შეგაწუხებთქო. ამასთანავე ილიკო არ გამაწუხილებს, რამოდენიმე სტრიქონი პალეოგრაფიულად გადმოიღოს იმ თეიმურაზის ვარიანტიდგან, როგორც მერმე მიმატებული ტექსტის, აგრეთვე პირველისაც, და გამომიგზავნოს; შენ არ გექნება იმდენი დრო, რომ ეგეც შეასრულო. სრული იმედი მაქვს, რომ ყველა ამებების პასუხს აღრე მომწერ და ნამეტნავად სათხოვარს შემისრულებ. თუ მანდამაინც

აღარაფერი ეშველება გორგიჯანიძის „ისტორიის“ გამოგზავნას, მაშინ იქნება გადააწერიო რომელიმე სტუდენტს ჩვენ ხარჯით, თუმცა ეს ჩვენთვის არ იქნება მანდაპინც მოხერხებული საქმე. გადამწერს საკმაოდ გასარჩევი ხელი უნდა ჰქონდეს, და გადაწერილი უნდა შეადარო შენ დედანთან, რაც ბევრ დროს დაგიკარგავს. ერთ სიტყვითა, რამე ნაირათ გამოგვაცემიე ის გორგიჯანიძე, თუ ღირს შენი აზრით გამოსაცემათ.

ერთი შემატებოიე, ცაგარელი რას შობა, „ბალავარი“ დააბეჭდია აქ და ამდებანს არ გამოუცია, ისე უსვინიდისოთ მომეპყრა მე შარშან ზელნაწერის თაობაზე, რომ აწე არაფერს აღარ გაუგზავნით. „ვეფხვისტყაოსანის“ ეგზემპლიარები დასტირებოდა და ჩვენ კი არ მოგვწერა, ილია ჭავჭავაძეს მოსწერა და მთელი 6 თვე ხმა არ გასცა კაცმა, მერმე იკადრა ჩვენ მომართვა (ვეფხის ტყ.-ნი ნაბეჭდი უნდოდა). წ. კ. გამგეობასთან მიწერ-მოწერას არ კადრულობს. ასე, ჩემო ნიკო, შენი ამბავი მომწერე ყველაფერი, — რას ამზადებ, რა გწადია და ან რაზე უფრო მუშაობ?

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

(შენ აღრესი მომწერე).

P. S., თიმსარიანი⁸¹, ანუ „შვიდვეზირიანი“⁸² დაბეჭდილიც არის ახბეტელოვის⁸³ მიერ. მე პეტერბურგშიაც მქონდა, და მგონია კი გიჩვენე. რასაკვირველია გამოცემა ცუდია. თ ი მ ს ა რ ი ს ი დო უ რ ი ს ი ტყვა(ა)? ამას გარდა მომწერე თუ მონახე და ან თუ იცი რა სიტყვაა „დასტავი“ ანუ რას ნიშნავს? ილიკოს უთხარი: დედ-მამა შენი აქ არისთქო და ყველანი კარგათ არიანთქო. სალომე ანდრონიკაშვილისა გარდაიცვალა და მიტომ მოვიდენ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე !

ჯერ თავსაქმეს შევეხები. თუ სხვა გზა არ არის, მაშინ დიან ავიღებ და გამოგიგზავნი, მაგრამ ეგ მოხერხდება მხოლოდ ორ კვირას შემდეგ — რატომ? ქვემოთ შეიტყობ — მანამდღე კი ამ წერილის

გამოგზავნას და პასუხის მიღებასაც მოვასწრებ, იქნებ არ დარჩეს სრულებით საჭირო ფ. გ-ძის ისტორიის ხელნაწერი. ფ. გ-ძის ისტორიულ წერილებში მხოლოდ იმ ხანის შესახებ თავებია საყურადღებო და ღირსაცნობელი რა ხანსაც თვითონ ცხოვრებდა; როგორც თანამედროვე ქართველი ცხოვრების (პოლიტიკური ცხოვრების) ჩამკვირვებელი მეთვალყურე, წვრილმანებისაც მოამბე, თუმც კერძო და ვიწრო შემხედველობით მსჯელი მოვლენათ და პიროვნებათ, ძვირფას მასალას გვაძლევს მხოლოდ სეფევიდების⁸⁴ დროს სპარს-ქართველთ განწყობილებისთვის და თვით ქართველთ ბატონების — ერთმანერთს შორის; ეგ ნაწილი კი თითქმის მთლა დაბეჭდილია, როგორც მოგეხსენება, ჩუბინოვის მიერ და ბროსესაგან თარგმნილი⁸⁵. დასაწყისი კი ფ. გ-ძის ისტორიის უფრო და მხოლოდ თვით ავტორის ისტორიულ ცნობათ დასაფასებლად გამოდგება და მასალას კი ვერას შეგვეძენს. თვითონვე აღიარებს, რომ წერის დროს ხელში წიგნი მათიანე არ მქონდაო და შეცდომებს ავად ნუ ჩამომართმევთო, თან ისე მოკლედ და ახირებულად მოყვება ხოლმე მოთხრობას, რომ არც ფარსადანის ცოდნას და არც მის ლიტერატურულ გემოს არავითარ პატივს არ მატებს. თუ ის ცოტა ნაწილი (რამდენიმე ფურცელი), რომელი სეფევიდების დროს შეიცავს და გამოცემაში ჩატანიებული არ არის, თუ მართო ის ნაწილი დაგიჭდება თვალში დასაბეჭდათ, მაშინ — ვეცდები ვადმოწერას და გამოგიგზავნი. რამდენიმე ალაგს გამომცემლებსაც შეუშოვლებიათ, მაგრამ ეგ ალაგნი რამდენიმეა მხოლოდ და ამ წერილთანვე გიგზავნი აღნიშვნასაც იმ ალაგთა (რუსულად) და გამოშვებულ „დაუბეჭდავ ტექსტსაც“; ეგ შედარება მე არ დამიმთავრებია, რადგან დრო აღარ მქონდა უფრო საჩქარო საქმეების და საინტერესო ხელნაწერების ჩაზიდულს (საზოგადოთ ფარს. გ-ძემ ბევრი დრო დამაქარგვინა და უსარგებლოდ, მთელი ზაფხული დღეში ორი საათი მისი 21 გვერდი ლექსიკონის⁸⁶ გარჩევას და ჰისტორიულ დაწყობას მოუხდი, და რო დაეთათვე შრომა, მაშინ დავინახე, რომ ნაყოფილა თუ არ ცუდი. მცირე!). რაც მაქვს გიგზავნი ჭაშნიკად, მე მგონია გაუგებ თავ და ბოლოს ჩემ ნაწერსა ABCD-ნაწყვედებს იგარდა, თვით ფარსადანის შესახებ ნაწყვედსაც გიგზავნი, რომელი გამოცემის § 28 შეუფარდე: ხელნაწერი მეტს შეიცავს, როგორც ვხედავ, ფარსადანის შესახებ. დაუბეჭდავ ნაწილიდან ბროსეს უსარგებლია ფარსადანის ცხოვრების შესადგენად, რომელი მის თარგმანს მიუძღვის წინ.

ახიური მუზეუმის ხელნაწერი⁸⁷ ახალი ხელნაწერია და საჭიროა მისი — პლატონ იოსელიანის⁸⁸ კუთვნიული — დედანი⁸⁹ გამოჩნდეს. ჩამატებაც არის ბევრი, თუმც ჩამატებულიდან სინდისიერად ნაჩვენები თავთავის ალაგს.

კატალოგის (შენი კატალოგის) შესახებ მალე შემდეგში მოგწერ.— ხელნაწერები რომ მივიღე, მაშინვე მივხვდი, რომ შენი ხელი ერია გამოგზავნაში. სწორეთ ვერე, როგორც მომწერე, ავიხსენი ორი ხელნაწერის გამოგზავნა, თუმც მიკვირს — სულერთია... დათიკო(მ) მოკითხვა და სურვილი არ დამაეიწყოს, (არ) გამიმჯავრდეს სიჩუმისათვის. მე ვალებითგან მხოლოდ მაისში ვიქნები თავისუფალი. — სწავლა და ცადილი ბევრ — სულ რაც მაქვს — დროს მართმევს, დილიდგან შვალამემდი სომხური, სომხური და სომხური და მაინც ვერ ვასწრობ უგზამენს გაზაფხულისთვის, როგორც ვხედავ. ახლა კი სულ გამიკირდა სიცოცხლე, რადგან აქით შინაურული სომხური და საეგზამენო და აქით სომხ. ხელნაწერი მივიღე პარიჟის ბიბლიოთეკიდგან, ახლა შევიტყვე, თურმე ექვსი კვირით უთხოვიათ სულელებს, ოთხი უკვე გაიარა, და მე მხოლოდ ოთხმოცდაათი გვერდი გადმოვიწერე, სულ $139 \times 2 = 278$ გვერდია. მსურს დარჩენილ ორ კვირას მოვასწრა, სხვა ყველაფერი უნდა მივაგდო!! — შენ სხვა თხოვნებზე მხოლოდ მაშინ მოვისაზრებ და ვიფიქრებ. ახლა რა გითხრა არ ვიცი. — „თიმსარიანი“ ჯერ არ დაბეჭდილა. ახპატელოვის გამოცემული შვიდეზირიანი, სომხურიდგან თარგმნილი ამბავია იგივე თიმსარიანული, ოღონდ აღმოსავლეთიდგან დასავლეთს წაღებული და დიოკლეტიანეზე⁹⁰ ამბად შეთხზული. სომხური უკვე თარგმნილი ორმოცდაათ წლებში რუსულად და ლერხისგან⁹¹ „orient und occident“-ში (1864, 11. B) გარჩეული. თიმსარიანი კი სომხურიდგან არ არის, არამედ სპარსულიდგან არის თარგმნილი, ჯერ სპარსული დედანი გამოუცემელია და უთარგმნელი. თიმსარიანი ჰქვია, რადგან მასში ბევრი არაკია ანუ თიმსალი. ეგ სიტყვა არაბულია, სპარსულადაც და თათრულადაც ხმარებული, ქართულად კი ჩემმიერ პირველ მხოლოდ აქ ნანახი, ისიც არა თიმსალ, არამედ თიმსარ. დასტავი ბევრს რასმე ნიშნავს, აგეთ შემთხვევაში ყოველთვის სჯობს მთელი ფრაზის მოყვანა. დასტავი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს: 1) ხელის საფარს თუ ხელთათმანს, რომლით ბაზიარნი ხელს იცავენ მიმინოს და ქორის ჭანკებინგან ხელზე დაჯენის დროს, 2) მომხმარე, მშველელი, 3) სოფელი (МНР), ქვეყანა. დუნია, 4) საწიგნე ჩანთა და თვით სამახსოვრო წიგნაკიც. თუ არც ერთი ეგ მნიშვნელობა არ გამოგადგა, ფრაზა მომწერე — იქნებ დასტავი იყოს და არა დასტავი, აგეთი შეცვლა ადვილი მოსახდენია, მაშინ სულ სხვა საქმეა და მნიშვნელობაც სხვა — ილიკომ მოგიკითხა. ჩემი ტემა სადისერტაციო არაკებია⁹², არაკები ძველ სომხურ მწერლობაში, ცალკე გაფანტული და მოყვანილი სადმე თუ შეგრო-

ვილად, კრებულად, ყველასი შეკრება და განხილვა. ტემა პატარა მე-გონა, ბევრი და გამოდგება. სულ ყველაფერი გადავიციტხო მსურს, სომხურ ისტორიკოსებიც, რადგან ზოგჯერ ისინიც იხსენიებენ არაკებს. — საზოგადოთ, უფრო ახლა ვსწავლილობ და უფრო ვსწავლილობ, ვიდრე წერას ვფიქრობ, წერის მადა სულ მეკარგვის, რადგან რასაც ვეხები, ყველგან ასი გოდორი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული სტატიები მოჩვენებასავით მიდგება წინ, ეხლა სხვათა შორის ძველსომხურ ჟურნალებს ვუნდები, საზოგადოთ, ეგრე ვარ ამ შეუწყნარებელ კითხვაში გართული, რომ თავისუფალ ფიქრისთვის დრო ცოტა მაქვს და რომ მოგწერო ამას და ამას ვფიქრობ მეტი, არ დაიჯერო, ხვალ რასმე ახალს შევიტყობ და მაშინ იმას და იმას ვიფიქრებ. სინამდი ლიტერატურას საგნისას სრულიად არ გავიცინობ, არაფრის გადაწყვედილის თქმა არ შემიძლია, ჯერ ეგ შორეა და თან უგზამენი, უგზამენი დროს მართმევს და წამართმევს. მე მგონია აგეთი. ერემიდა არაფერი მოსაწონია და ვსწყვედ. კინალამ ცოლი შევირთე, ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზის გამო რალაც მოხდა ისთე, რომ აღარ ვირთავ, თუმც ძალიან მიხარია ერთი მხრით, მაგრამ მეორე მხრით ამხანაგის ყოლას აუცილებლად საჭიროდ ვრაცხ ჩემთვის და სარჩევიც ხომ აქ არა მაქვს, პრეტენზიონები კი ბევრი... ამხანაგები რომ მყავდეს... მაგრამ ეგ შემდგეში — ტკბილი ძილისა და ნახვამდი მშვიდობით.

ნ. მ ა რ რ ი

გთხოვ შემდეგი ადგილები ამომიწერე ჩვენი სახარების უძველეს ხელნაწერებშიდგან, თუ შეიძლება ზ. ბაქრაძისგან მე-V თფილ. არქ. კრების ნაწერებში აწერილიდგანაც: სახარებალუკასი — თავი 22, სტიქნი 43—44 (და ერეენა მას ანგელოზი ზეციით და სხვა; სულ ოთხი სტიქი — 42 და 46 დაუმატე) და სახარება იოანესი, თავი 8, სტიქნი 1—12. ხოლო ი-სო წარვიდა მთასა მას და სხვა.

იქნებ არც ერთი ეგ ალაგი არ იყოს ძველ ხელნაწერში, ისიც შემატყობინე, იქნებ მე-8 თავი იონ. სახარ. სულ ბოლოში იყოს.

24 იანვარი 1890 წ.

12

ძ მ ა ო ნ ი კ ო!

შენი წერილი მივიღე და დიდათ მასიამოვნა, გორგიჯანიძის დიდი იმედი მქონდა, უცნობი წყაროებიდგან ექნება ამოკრეფილი ძველი ისტორია მეტი, და გამიცულა ეს იმედები შენმა წერილმა, გამოცემა

ცალკე წიგნათ მაინც საჭირო იქნება, მაგრა ეხლა არა (ეხლა სხვა უფრო ადრე გამოსაცემიც ბევრია), შეიძლება კარგი დედანი გამოჩთვის, პლატონ იოსელიანის ეგზეგეზული მაქ უნდა იყოს, როგორც მახსოვს, სადღაც სწერს პლატონი პეტერბურგში გავაგზავნეო, შეიძლება ჩუბინოვს ჰქონდეს. ეხლა მე და დათიკოს სათხოვარი ეს არის, რომ თეიმურაზის ქართლის ცხოვრების ვარიანტი გამოგვიგზავნო, იმდენხანს გავაჩერებთ აქ, რამდენსაც შენ მოგვწერ, მიუხილებელი საჭიროა ჩვენდა; სამი ქართლის ცხოვრების დედანი⁹³ გვაქ ეხლა ხელში და ძრიელ საინტერესო კითხვები აღძრა ამ ვარიანტების შედარებამ, მაგრა თუ თეიმურაზის ვარიანტს თვალი არ გადავავლეთ, შეუძლებელია რამე დასკვნა გამოვიყვანოთ. შენ დამეთანხმები, რომ ჩვენ ხელნაწერს თავსავით უვლით და ამკედრით ეჭვი არ გექნება, მართალია, ყველას არ გაეგზავნება ხელნაწერი, მაგრამ ჩვენ შორის ეს წესი კი ადათი უნდა შემოვიდეს, რადგან კარგათ ვიცნობთ ერთმანეთს და სულით და გულით გვიყვარს ეს საგანი. ბევრი ვარჩიეთ, იქნება არ დაგვჭირდესო, მე და დათიკომ, მაგრამ არ მიეწყო უმისობა. სრული იმედი გვაქ, რომ გამოგვიგზავნი ჩემი წიგნი ორი ფურცელი, ე. ი. 14 გვერდი დაბეჭდილია და რაეც გამოვა, გამოგვიგზავნი, ეხლა ნინოს ცხოვრება მაქვს მზათ დასაბეჭდათ და როგორც ხრონიკას⁹⁴ გავათავებ, მას შეუდგები. რასაკვირველია, შენ ბევრი საქმე გექნება, ერთი მორჩი მაგ ეგვზამენებს და მაგრათ შედგი ფეხი უნივერსიტეტში, და მერმე ჩვენი გრუზინოლოგიის საქმე კარგათ იქნება! ბევრმა არ იცის შენი გარემოება, რატომ ბევრს არ სწერსო — გისაყვედურებენ, და ხახანოვს⁹⁵ გადარებენ, ხახანოვი ბევრს სწერსო, მაგრამ ასეთი მოკლე მსჯელობა მართო უმეცრების ბრალია. დილეტანტობას მეცნიერებიდგან ვერ არჩევენ; ხახანოვი მართლა ცას და ქვეყანას ედება და ერთი ხეირიანი ჯერ მისი არაფერი მინახავს, ბედი არ გვაქვს ქართველებს, უნიჭოს უნიჭო მემკვიდრე აღმოუჩნათ... ცოლს რომ არ ირთავ, ძრიელ მიხარია ჩემდა თავათ, და ყველას გაუხარდა, ვისაც შენი კეთილი უნდა. არ იფიქრო, რომ მე წინააღმდეგი ვიყო საზოგადოდ ცოლის შერთვის, არა, ცოლი ძრიელ საჭიროა ჩვენისთანა ოთახში დამწყვედელი ხალხიზა, ეს ერთათ ერთი სიამოვნება იქნება მუშაობის გარეთ, მაგრამ ცოლიცაა და ცოლიც, ცუდი რომ შეგხთვის ყველა შენს იდეალებს და პირდაპირ მოვალეობას გაგიფუჭებს და სიცოცხლეს დაგაწყველიებს. ცოტა მაგ ეგზამენებს მორჩი და ერთი ჩამოდი აქ რამოდენიმე თვეობით და ყოველთვის შეგეძლება შეიყვარო და ამოირჩიო მართლა შენ რომ გამოვა-

დგება ისეთი საამხანაგო ქალი. მე შენს საცოლოს არ ვიცნობდი, და ვისაც ვკითხე, არ მიქვს, და რასაკვირველია ძრიელ მწყინობდა გულში, ერთი — როგორც ამხანაგური გრძნობის გამო, და მეორე — გრუზინოლოგიის შეფერხებისათვის.

დათიკომ მოგიკითხა, კარგათაა, ერთი ხუთ თუმნიანი ვაკვეთილს უშოვნე და ადგილსაც ამ დღეებში ელის სახელმწიფო სამსახურისას, ჯერ შტატის ადგილი არ უჭირავს. ბევრი საქმეს გაკეთება გვწადია, თუ ბედმა არ გვიმუხთლა... ლატიშოვის⁹⁶ შრომა რაეც გამოვიდეს, გამომიგზავნე, ფულს გამოგიგზავნი, რეთი უნდა მომწერე. საზოგადოთ ახალი რაც გამოვიდეს ჩვენი მხარის შესახებ, ეცადე დროზე გამოგზავნო თითო ეგზემპლარი და ფულს არ დაგიგვიანებ, აქედგანაც, რაც საჭირო იქნება, გამოგიგზავნი. თიმსარიანი, რომ გაათავო, რაც აკლით ის გადაწერე მაქოური ვარიანტიდგან და გამოგიგზავნე. იქნება გამოვსცეთ აქ, თუ შენ არ აპირებ გამოცემას. ცაგარელი მგონია აღარ სცემს ბალავარს, თუ რა დაემართა ამდენხანს⁹⁷ და სტაგის განმარტება არც ერთი არ მიუდგა. ეს სიტყვა ქართლის მოქცევის ხრონიკაშია, როდესაც ამბობ რომ ალექსანდრე მაკედონელმა ქსნით რუი გამოილოო „და დასხნა კაცი მერუვენი დასტავითა რუისაჲთა, და ჰრქვან ადგილსა მას დასტაგისი“. დასტავი დედანში ძრიელ მარტივად სწერია და კითხვაში საეჭვო არაფერი არ არის. „კათალიკოზ-ბაქარიანზე“ ველი შენგან ცნობებს. ამ წერილს საჩქართ ვსწერ და რაეც შენგან თეიმურაზის ვარიანტს მივიღებ, მაშინათვე შევატყობიებ, მივიღე მეთქი. და არავის არ უჩვენებ რასაკვირველია, და არ გავამხელ — მომივიდა მეთქი, მხოლოდ თუ შენ მომწერ, ბაქრადეს უჩვენებ, როცა მოვრჩები, თვარა და არა. შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი. ველი, ველი იცოდე თეიმურაზს!

[შენი აღრესი მომწერე. თიმსალის განმარტებისთვის
მადლობელი ვარქ]

ექვთიმე

ძმაო ექვთიმე, ცოტა მოითმინე... და როცა მიილო... არ დამლუპო, დიდხანს არ დაირჩინო. ჩვენებით ნურვის უჩვენებ, ნურც თხრობით გარდა თავის და დათიკოსა. ახლა სხვა არა ფერს გწერ, დაღალულს

ვარ საშინლად ტვინდალული, მოსაზრებას ვერ ელონობ — ხელნაწერს⁹⁸ ერთ კვირეში გამოვგზავნი, მგონი მარხვის მეორე კვირაში მიიღებ. ეჩმიადინში იქნებ ზაფხულზე წავიდე, ტემა დიდნაყოფიერი არ გამომიდგა, დიდი დროს დახარჯვა მშურს მახე, პარიზელი ხელნაწერი გადმოვიწერე, დამრჩა მიუხსენის და ბერლინის, თუ გამოვზავნეს მაგრამ შემდეგ. ახლა ორიოდ სიტყვა დასტავზე: მე მგონია „და სტაგითა“ იკითხო, სჯობია; მაშინ ყველაფერი ადვილად აიხსნება: „და პრქვიან“ — ხშირად შემხვედრია ძველ ხელნაწერში და ახალშიც „დაარქვიან“-ის მაგიერ, ეგ შემოკლებული წერა უნდა იყოს განგებ. ან შეცდომით ან ძველ „ჰ“-ს იქნება ახლანდელი „აჰ“ მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაფერი საეგებია, ოლონდ დაპრქვიან, ჰემმარიტად — დააპრქვიან, მაშ მთელი პასაჟი აგრე წაიკითხების: ხ სარკინესა ქლქსა ებრძოლა ათერთმეტა თთუქ და დადგა სარკინესა დასაველით კერძო და დასცა ვენაჟი და რუჟ გამოილო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი და სტაგითა რუჟსაჟთა და(ა)პრქვიან ადგილსა მას „ნა სტავისი“. რომ „დასტავი“ იკითხებოდეს ერთ სიტყვად, ნა დასტავისი იქნებოდა, თან სტავი ნაჩვენები აქვს სულხანს თავის ლექსიკონში — „რუს სათავე“-აო ამბობს! იქნებ კიდევაც ამ ადგილიდგან აქვს ამოღებული და ახსნილი, რადგან ეგ. ახსნა ვერ მაკმაყოფილებს მაინც და მაინც.

„თიმსარიანს“ მე გამოვცემ თავის დროზე წინასიტყვაობით, ჯერ გადავწერო. — ცაგარელი არ ვიცი როდის გამოსცემს „ბალავარს“ ხოლო როზენმა მიაკვლია არაბულს ძველს⁹⁹. ამასწინეთ სპარსული¹⁰⁰ მიაკვლევინა ოლდენბურგს¹⁰¹, ხოლო არაბული უძველესია. — რომელი „კათალიკოზ ბაქარიანი“?

ცოტა წერაზე, -- რაც ვწერე, იმასაც ვნანობ. Тяжела шапка Мономаха: როგორც შეიტყვეს, — ქართველი და სომხურის მცოდნეა, გავიცნობ თუ არა პროფ. არაფერს^x, ყველა კი მთხოვს, ეგ როგორ არის სომხურში და ან ამ კითხვაზე რა იცი სომხურში. თავდაპირველში ყველას პასუხი მოვიწოდებ და უხლა მივხვდი, — ამ შეკითხვამ ძალიან მავნო ჯერ ცოდნა იმდენი არ მაქვს, ვფუჭურობ, ვფუჭურობ — დავიბენი და დრო დავკარგე. — ნახვამდი. დათიკოს მოკითხვა. ლმა ქნას ჩვენი საქმის ხეირი. საცენზუროდ მომივიდა თფილისიდან 600 ფურც. in-fol სომხური ხელნაწ.!!!!

ნ. მარრი.

^x დედანში ასეა.

თავი და ბოლო სამკურნალოს რად არ მოიხსენიე, მგონი, სომხურიდ-
გან ნათარგმია, ზოგიერთი სახელი სომეხთ მკურნალის არის.

1. ფებ. 90.

Вас. Ост., 6 л., д. 29 (дом Лихачева), ком. № 77.

14

1890 II/11

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე

ხელნაწერს¹⁰² ჯერ ვერ გიგზავნი, რადგან მეზიბლიოთეკე იცვ-
ლება. მგონი ზალემანი ამოირჩიონ (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდ-
გან) ლემის¹⁰³ მაგიერ, ლემი ერმიტაჟში სურვობს ადგილის მიღებას.
ზალემანი აკადემიკოსად მიიღეს (ადრე კორეპსონდენტი იყო ექს-
ტრაორდ. ხარისხით და უნივერსიტეტ)ში მეზიბლ(იოთეკო)ბას თავი-
ლობს, ავი ენანი ანგარიშით ხსნიან მის სურვილს აკადემიის წიგნსა-
ცავში ჩაბუღრებისას. ერთი სიტყვით შეიჭურვენით მოთმინებით სა-
სუფეველის მოსაპოვებლად. — როზენმა მითხრა შენზე, იქნებ ისურვოს
კატალოგის ჩვენ ქურნალში ბეჭდვაო¹⁰⁴. მე არ მგონია, დათანხმდე —
თუ დათანხმდები, კეთილი. ყოველშემთხვევაშიო ზოგიერთებზე ცნობა
გვაწვდინოს დასაბეჭდათო, როგორც ვთქვით სამკურნალოზე, რომელიც
არაბულიდგან არის ნათარგმნიო. თუ გამოგვიგზავნი, მე გამომიგზავნე
და კორექტორობას მე გაუწევე შენ სტატიებს ბეჭდვის დროს. — „თიმ-
სარიანი(ს)“ გადაწერა მიგრძელდება, ჯერ მე 7 გვერდზე ვარ! „თიმსა-
რიანი“ ადრე ნუ მოითხოვთ¹⁰⁵, შემდეგ სხვაა და ახლა-კიდევ მე-1000-
ზელ გითხრა განა, რომ დრო ცოტა მაქვს. — თუ „Записки-თვის სამ-
კურნალოზე თუ კარაბადინზე ცნობას გამოგზავნი, აწერა იკმარებს,
რაც ივერიანია, ოღონდ თავში და ბოლოში 20—20 სტრიქონი გადმო-
წერე და თარგმანი რუსულიც მიაყოლე.“

ნ. მ ა რ რ ი.

დათიკოს სალამი! იასონ. სად არის? (იასონ ლორთქიფანიძე).

15

26 თებერვალი 1890 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი ორი წერილი მივიღე და მგონი არც პირველის პასუხი მო-
მიწერია. ძრიელ დაჯავრიანებული ვარ. ორი უბედურება ერთი ერთ-
მანეთზე გვეწია. ერთი ბაქრაძის სიკვდილი, რომელთანაც ძრიელ და-

ახლოვებული ვიყავი და დიდი ერთობა და სიყვარული გვქონდა ერთმანეთის, კვირე არ გავიდოდა, ერთმანეთით მაინც ორჯერ არ გვენახა და თავის აზრი არ გაგვეზიარებია ერთმანეთიზა, მისი ბიბლიოტეკა ჩემი ბიბლიოტეკა იყო და ძრიელ უხაროდა მე რომ ვმუშაობდი. საამხანაგო კაცს უკეთესს ვერ იშოვიდი. შენზე საწყალი ძრიელ დიდი აზრის იყო და ყოველთვის მკითხავდა შენს ამბავს. კარგათ წარმოიდგენ, თუ რა თავზარი დამცა მისმა სიკვდილმა. დიდის ამბით დავმარხეთ, მაგრამ ეს რა სანუგეშოა. როცა იმის დამარხვის შემდეგ სახლში დავბრუნდი, სტოლზე ტელეგრამა დამხდა: იოსებ თაყაიშვილი¹⁰⁶ მოკტაო, შენც მგონია კარგათ გახსოვს იოსები, და მგონია არ შევცთებო რომ ვთქვა, რომ ჩვენ მისგან დიდი დავალებული ვიყავით, იმან მოგვცა და ჩაგვინერგა თავში ის მიმართულება, რომელზედაც ესლა ვადგივართ და სურვილი გვაქ მაინც რამე გავაკეთოთ. ყველას არ ახსოვს და არ ესმის, თუ რა არის ბოვშისათვის პირველი ხელმძღვანელი, მე დარწმუნებული ვარ რომ დობტური ერისთავი¹⁰⁷, ძნელადე, ქიქოძე¹⁰⁸, ერმილე ნაკაშიძე¹⁰⁹, მე და შენც და სხვანი კიდევ ბევრი იმიდგან ვართ გზაზე დაყენებული, იმან რაღაც ახალი შუქი მოიტანა ოზურგეთში, და ყველანი მას შევხაროდით და შევეტრფიალეზბდით, მერმე სულ გურიის სამსახურს შესწირა თავი, გურიის დატოვება არ უნდოდა და მიტომ სულ უბრალო პრისტაობის ადგილს სჭერდებოდა, ყველა ჩავრულ კაცს ეხმარებოდა და ეწეოდა საქმით, თუ რჩევით. ბევრი მტრები აღმოუჩითა, რა დანოსები არ აგზავნეს, მაგრა ვერა რა აწყინეს, ძრიელ ენერგიის გამოჩენა შეეძლო, როცა მოინდომებდა, ისე კი ზარმაცი იყო, ნიჭი გასაკვირალი ქონდა და გასაკვირალი შეწყობა იცოდა დაბალი ხალხის, რაიმე აზრს მასავით ხალხში ვერვინ გაავრცელებდა. მამული ძრიელ უყვარდა და ახალგაზრდობას შეტრფიალეზბდა, ისე წერილს არ მომწერდა, რომ შენი ამბავი არ ეკითხა, საქებრათ და სანუგეშოთ შენ ყავდი სახეში და საზოგადოთ ყველა ჩვენზე მის შეგირდებზე დიდი აზრის იყო, გული ძრიელ გამსჭვალული ქონდა კატთმოყვარეობით, თუმცა ისე ავათყოფი კაცი იყო, და ყველა კარგათ ვერ იცნობდა. გამოუთქმელათ შემაწუხა მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა, ამ ბოლოს ლეჩხუმში იყო მირავთი სუდიის თანაშემწე, და უბრალო საფალარათო ზეთი დასჭირებოდა, აფთთიქში ზეთი არ ყოფილიყო და სხვა საფალარათო მიეცა აფთთიქარს, რომელსაც ანთება გაეჩინა მუტელში მისდა, და როდესაც ექიმი მოეხზო, ერთი ლოთი და სულელი, ჩავგონებინა, რომ არ მორჩებო, წამალიც ისეთი მიეცა, რომ თლათ გაეძნელებინა ანთება, იფიქრა უბედურმა, აღარ მოერჩები და რათ ვიწვალო თავიო და ლევორვერი იკრა პირშე და თავი მოიკლა. ხალხს ისე ყვარებოდა ლეჩხუმში, რომ ითხოვეს

იქ დაემარხათ, მაგრამ ჭირისუფლები არ დათანხმდნენ, და ხალხმა 300-მდე კაცმა ხელით მოასვენეს ლეჩხუმიდგან ქუთაისში, იქიდან გურიაში ჩამოასვენეს და მე წავედი გურიაში და დავესწარი დამარხვანზე. იქიდან ძრიელ დამჯავრიანებული დავბრუნდი.

ამ სამწუხარო ამბების შემდეგ საქმეზე გადავიდეთ. შენ მიერ მოწერილს სახარების ტექსტს გამოგიგზავნი, მაგრამ არა მგონია ის ადგილები იყოს იქ, ჯერ ცოტა მოითმინე, მუზეუმის საქმე შეჩერებულია და არც დავდივართ, ვინ იქნება პრედსედატელი¹⁰, არ ვიცი, არც ის ვიცი ვინ ურჩიო და ვეცადო დანიშნონ, ოქრომჭედლიშვილი მქონდა სახეში, მაგრამ არ მიეწყო, ის სულ ვაჭრათ არის გადაქცეული და ეხლა მილიონის საქმე აულია და დადიანის ტყეში მუშაობს, არხეოლოგიის ჯაერი არა აქვს, არც არაფრად ვარგა, მაგრამ მაინც სახელისთვის, ან როგორც იტყვიან „для представителя“. „თიმსარიანს“ არ გთხოვთ ჯერ, რამდენხანსაც გინდა იმდენხანს გქონდეს¹¹. „Записки“-ებში კი მივიღებ მონაწილეობას და საჭიროც არის ჩემდა მივიღო, თუ შენ დამეხმარები. ძველი ნომრები გამოგიგზავნე და მომწერე რომელ რიცხვებში გამოდის და როდის უნდა გამოგიგზავნო მასალა. როზენს ასე უთხარი: ჯერ „ქართლის მოქცევის“ ხელნაწერის და მე რომ სახარება ვიპოვე¹², იმის სრულ აღწერას გამოვაგზავნი და მასთან სხვა არხეოლოგიურ შენიშვნას, მერმე ბაგრატ IV გუჯარს, რომლის შესწავლას მე დიდი დრო მოვანდომე და კარგათაც შევისწავლე ძველი მხედრული ხელი. შეიძლება, ერთი თამარის დროის გუჯარიც გამოვაგზავნო და „ქართლის მოქცევის“ თარგმანი და იმ კარაბადინის აღწერაც და მასთან ერთი XI საუკ. ხელნაწერის აღწერა, რომელიც, მგონია, ეფრემ მცირეს ავტოგრაფი არის; ამას ყველას, რასაკვირელია, ცალკ-ცაქე და დრო გამოშვებით მოვამზადებ. წერაკითხვის ბიბლიოტეკის აღწერას ცალკე ქართულად დავბეჭდავ, როდესაც გავათავებ, და მერმე შეუდგები რუსულათ შედგენას მუზეუმის ბიბლიოტეკისას, და თუ საქმაო ადგილი დაგვითმეს მაგ. „Записки“-ებში, იმას რალა ემჯობინება. აქ არავითარნი ორგანო არ არის, რომ რაიმე დავბეჭდოთ; „ივერიის“ რედაქციაში ბევრი მაქ გადაცემული ზელთ-ნაწერების აღწერა, მაგრამ ვერ ბეჭვდენ ადგილის უქონლობის გამო და ერთობ ნაწყვეტ ნაწყვეტად ბეჭვდენ. თუ ხარჯს მიიღებს „Записки“-ების გამომცემელი თავის თავზე, ანუ „Записки“-ების ხარჯით მაშინ ბაგრატის გუჯარი რომ პალეოგრაფიული ნიმუშებით დაიბეჭვდებოდეს, ძრიელ კარგია, იქ სამგვარი ხელია: ერთი მწიგნობართ უხუცესის, მეორე კათალიკოსის გიორგის და მესამე ერისთავთ ერისთავის იოვანეს, ლიბარიტ ორბელიანის შვილის. დათანხმდება თუ არა როზენი ამაზე, მომწერე, თუ დათანხმდება მე გადავალებიებ პალეო-

გრაფიულ ნიმუშებს და გამოგიგზავნი. გუჯარი 1058 წელს ეკუთვნის, გუჯარი გარჩეული და გადაწერილი მაქვს, მხოლოდ ჯერ არ გადამი-თარმნია რუსულად, რასაც გამოვაგზავნი, ყველას შენ გამოგიგზავნი და შენ იცი როგორც დამეხმარები. ამას გარდა მომწერე, რომელ სპეციალურ გამოცემაში შეიძლება კიდევ დაბეჭდვა საარხეოლოგიო მასალების? პარხლის სახარების მინაწერები ძრიელ შესანიშნავნი არი-ან და მზათაც მაქვს თარგმანი. თეიმურაზის ვარიანტი-საიდგომოთაც რომ მომივიდეს, მაშვინიზაც მადლობელი ვიქნები, და ბევრს არ გავა-ჩერებ და არც მოვლას დავაკლებ. იასონ ლორთქიფანიძე აქაა, „ვასუ-დარსტვენნი იმუშჩესტვოს“ უწყებაში მსახურობს და 65 მან. აქვს ჯამაგირი, და ახლო ხანში მეტს ელის. დათიკო კარგათაა, მაგრამ სიგ-ნალში აგზავნიან დროებით და მერმე აქ გადმოყვანას პირდებიან. ძრიელ ვსწუხვარ მის მოცილებას. ეხლა მეტი გვმართებს ყველას მუშაობა, რადგან ბაქრაძე მოგვიცტა. ეხლა რომ გურიაში ჩავედი, გრიგოლ გურიელი ვნახე, ძრიელ დაბერებულა, შენი ამბავი მკითხა და ერთი ძრიელ კარგი საქმე შემპირდა, უსათუოთ ჩუბინოვის ბიბ-ლიოტეკა უნდა ვიყიდო და თქვენ წერაკითხვის საზოგადოებას შე-მოგწიროთო, ახლა ნავთი ამოუჩათათ მამულში და მომავალ წელში ბევრ ფულს ელის; ვალიც რომ ავილო, მაინც ვიყიდო, და შენ გთხო-ვა, ჩემის პირით, შეადგინე სია ანუ მოკლე კატალოგი ჩუბინოვის ბიბლიოტეკისაო და გამომიგზავნეო; კარგათ იცი, თუ რა განძი იქნება ჩვენდა ის ბიბლიოტეკა და ჩვენზე უმეტესადაც გული შეგტკივა, რა-საკვირველია, და ამიტომაც იმედი მაქ, მოცლისდაგვართ შეასრულებ ამ საქმეს. სიჩქარე უნდა, გრიგოლ ძრიელ დაბერდა, სულის შებერვის მეტი არ არის. ჩუბინოვის ლექსიკონი მალე გამოვა თუ არა? შარშან გამომიგზავნა, მგონია, წელსაც გამომიგზავნის, ჩემი ადრესი დაწერი-ლი აქვს, მოაგონე, თვარა მიზდაც ტყულად გაფუქდება — ორი პირ-ველი გამოცემა¹³ მაჩუქა ჩემდა მიუკითხვათ, მე არც მეგონა თუ გა-ვახსენდებოდი. ხრონიკებს გამოუგზავნი, როდესაც გამოვა. გაგრძელ-და კი, მაგრამ ეხლა წინასიტყვაობის მეტი მზათ არის ყველაფერი, წინასიტყვაობა დაავიანებს. შენი „დასტავის“ ახსნა და ნამეტნა-ვად „დაარქვიან“ ძრიელ მომეწონა და თუ თლათ მართალი არ არის, ჭკუაზე ძრიელ ახლოა, შენიშვნაში ვედარა და წინასიტყვაობაში მოვიხსენიებ. სტაგი მეც ვნახე, მაგრამ რქვიან არ ეწყობოდა. ამას

გარდა განსვენებულმა ბაქრაძემ მითხრა, მე შემხვედრია დასტაგიო, მაგრამ იმ წყაროში, რომელიც დამისახელა არ აღმოჩნდა.

სხვაფორივ მშვიდობით, ველი შენგან წერილს.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

16

1890. მარტი 7.

ეს ეს არი მივიღე შენი წერილი. ზოგს ახლავე გწერ, ზოგს როზენთან მოლაპარაკების შემდეგ დაუმატებ. — ხელნაწერს ვეცდები დროზე გამოვაგზავნო¹¹⁴. ახლა დახშულია აზ. მ-ისკარი: ზალემანი თვით „ღირექტორად“ ამოირჩიეს და ახლა ახალ წესებს იღებს. 15 მარტამდე შესვლა შეუძლებელია. — შენი სტატიების ბეჭდვა დიხსაც შეიძლება და კატალოგს რამდენიც გასურს იმდენ ადგილს დაუთმობს დიდის სიხარულით, სხვაზე (გუჯრის პალეოგრ. გამოცემაზე) მოველაპარაკები; საქმე იმაშია, რომ აგეთი გამოცემა ბევრს ხარჯს ითხოვს და წელს საზოგადოების ფინანსი შეავიწროვა ნ. ვესელოვსკის¹¹⁵ გამოცემაზე რუსეთ-სპარსეთის განწყობილებაზე სეფევიდების დროს¹¹⁶. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ შემდეგ ნომერში, რომელიც ზაფხულზე გამოვა, ვერ დაიბეჭდება, რადგან 20 აპრილიდან — 1 აგვისტომდე ეჩმიადინში ვემგზავრები¹¹⁷ და როზენს ქართულის კორექტორობა არ შეუძლია.

იოსების აგეთი სიკვდილი და საზოგადოთ მისი სიკვდილი სამწუხაროდ, ძრიელ სამწუხაროდ ამიჩნდა. მისი მოგონება, როცა მოვიგონებდი, ძალიან ახლოს, სულით ნათესავის მოგონებას წაგავდა. — მაგრამ სიკვდილზე კმარა. მე თვითონ დაფრთხობილი ვარ და მაზედ ბაას ვერიდები, თუმც გზა ვიწრო ვერცა მავალი, ესე იგი ვერც მკმუნვარება, ვერც სიხარული ვერ დაგვიხსნის, თუ მართალი ამოჩნდა, რომ კვალში მომსდევს. ეჩმიადინის განმარტოებაზე და იქ მუშაობაზე დიდ იმედს ვსდებ, რომ სულითაც, უკეთ ვთქვა, გულითაც, გავმაგრდები. თფილისში მიისობას ერთი დღის მეტს ვერ დავრჩები და იმედი მაქვს ყველას განახვ, ესე იგი დათიკოს, იასონს და შენ თუ ზღვით წამოვედი, ერთ დღეს შინ დავყოფ, ოზურგეთს გამოვიარ და გირგოლს ვნახავ. — ჩემ მგზავრობაზე ჩვენების მეტს ნურვის ეუბნები, განსაკუთრებით ნაკაშიძეებს (პეტრეს¹¹⁸ სახლობამ) თუ ნახულობ, ნურას ეტყვი: მაგათ (ახალთაობამ) ეგეთი თავსლაფი დამაყარეს, რომ გული წამხლარი არ მქონდეს — არ უნდა დავივიწყო. — სხვა ჩემ მუშაობაზე

არას ვამბობ, ბევრი ბევრი მჭირია და ვცოდვილობ შეძენას. ერთიც რამე ვნახე ამ კვირაში — „მეფე“ ქართული სიტყვა წარმოიღვინე „გირაოთ“ ან „დაქირავებული“, ესე იგი ნასესხი სიტყვა ყოფილა. ეგ სემიტურს არ ეკუთვნის. მე არ მეგონა, თუ სესხად აღებული სიტყვა აგრე ფერს იცვლიდა, როგორც „მეფე“ სიტყვას უცვლია. წარმოიღვინე ჩვენი „მეფე“ იგივე ყოფილა, რაც ზენდური viço-puthra. ამის განმარტებას ზამთარში დავბეჭდავ „Записки“-ებში და ახლა კი, თან ფანტაზიით რომ არ მიიჩნიო, თან სიტყვა არ გაგრძელდეს, მოვიყვან რიგს თანისთანს, თუ რა რიგათ წამომგზავრებულა ეგ სიტყვა და სპარსეთიდან სომხეთს გამოვლით ჭერ ტაო-კლარჯეთში, შემდეგ იმერეთს და ქართლში შემოსულა: აი ეგ რიგი:

ზენდური viço-puthra

სომხური vçë—puh—çeruh, çeph—akan

მოსე ხორენელის¹¹⁹ მოწმობით ტაოკლარჯეთში, საქართველოში ს ე ფ ე (შეადარე სომხურ ceph-akan იმერეთ-გურიაში ნ ე ე ფ ე, ქართული მ ე ფ ე).

ს ე ფ ე ქართულ ძველ მწერლობაში იხმარება ხშირად, როგორც შენაც მოგეხსენება. ზენდურად ეტიმოლოგიით ნიშნავს „სახლის-შვილი“, მაგრამ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა სომხეთშიც დაკარგული იყო, და თვით სპარსეთშიც იხმარებოდა სემიტურის, ეტიმოლოგიურად იმავე მნიშვნელობის მექონის „ბარ-ბეთ“-ის მაგიერ და ნიშნავდა „დიდებულს“, თავადს. თუ რამე ეჭვი მაქვს ამ ზემო მოყვანილ სიტყვების ნათესაობაზე, ეგ ეჭვი მხოლოდ „მეფე“ სიტყვას შეეხება, იქნება ნე-ფე-მეფე სხვა რამე იყოს და სეფე სხვა, მაგრამ საშვალეზაც მაქვს სიპართლეს მივაწიო იმ საშვალეზაზე შემდეგ.

9 მ ა რ ტ ი.

აი მესამე დღე და მე როზენი არ მინახავს, მისას მისვლის დრო არ მაქვს, ცენზურიდან კისერზე ერთი ქილა სიმიინდი მაყრია საფუკვევად. თუ სამე სიტყვა მ ა მ ფ ა ლ ი შეგვხვდეს, დააკვირი კარგად: ნამფალი ან მანფალი ან ნანფალი ხომ არ წერია. — გუშინ მეთვალე ექიმთან ვიყავი (თვალის მეკვება, მიშველე მეთქი), არა გიშავს რა, ოლონდ კითხვაზე წიგნი შორით დაიჭირეო, ცხვირი მაინც შემოიკაზმა პენსნეთი. კითხვაზე კარგად ვხედავ და არც მტკივა, ოლონდ ხანდისხან მეკურცხვლის და გარეთ — ქუჩაში ოცნაბიჯზე კ ა რ გ ა დ ვეღარ ვცნობ კარვ ნაცნობს. კითხვაზე სათვალის ხმარება ამიკრძალა. ვწერ ამას, იქნებ შენც გკონდეს რამე საფიქრალი თვალის შესახებ: კარგადაც ხედვიდე, წიგნის ახლოს ჰერას ეკრძალე, ოკულისტმა მითხრა, ერთ თვეში გაგიარს „თვალნაკლებობა“, თუ წიგნის შორითკითხვას თავს

იღებ და შეასრულებო! თაფლი მის პირს. — ხელნაწერები არ მომდის არც ბერლინიდან არც მიუნხენიდან (სომხური) და თუ გვიან მივიღე, დროზე წამოსვლას შემეშლიან.

ღღეს (10) როზენი ვნახე და ღიდის კმაყოფილებითო. რასაკვირველია, საჭიროა პირველ ნომერში უფრო საინტერესო მოამწყვდიო, ყოველ შემთხვევაში კარაბადინის აღწერა სხვათა შორის. აღწერის ფორმა ეცადე ერთი მეორეს წაგავდეს, სრული, მაგრამ მოჭრილი და მოკლე იყოს. ძალიან მომწონს ამ მხრით ბერლინის ბიბლიოთეკის კატალოგები, სხვათა შორის სომხური. მოვიყვან აქ ფორმას, რომელზედაც ყველა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ა წ ე რ ი ლ ი ა რ ი ა ნ : ნომერი ხელნაწერის კატალოგში. ნომერი ხელნაწერის წიგნსაცავში:

პაგინაცია (როგორი), რვეულთა ან ფურცელთა ან გვერდთა რაოდენობა. ფორმატი (fol. თუ 8° თუ 4° და სხვა). ფრჩხილებში ტექსტის (და არა ხელნაწერის) სიდიდე, ვთქვათ 12,5×8 სმ. რაც (12,5) ტექსტის სიმაღლეს ანიშნავს და (8) — სტრიქონების სიგრძეს. სტრიქონების რიცხვი (შვათა რიცხვით, ვთქვათ 21—25, ან 18—22!) თითო გვერდზე. ქალაღი, ეტრატი (სისქე, ფერი, გასანთლულობა). აკინძულობა (переплет — ტყავის, ხის თუ ოქროით და სხვა). მდგომარეობა (შევსებულია თუ გაახლებულია, აკლია თუ არა რამე, საღ აკლია). — ასონი, ხელი ხუცური თუ მხედრული, თუ ასომთავრული თუ სტრიქონული. მხედრულია: მრგვლოვანი (ნაბეჭდს გავს, მხოლოდ ჩვიდმეტ საუკუნემდე წერდენ) ყვავისფრჩხილოვანი თუ შვათაგანი სულბოლონდელი, შაგირდული ხელია შეკაზმულობა (украшения палеографические): წითელი მელანი, ესე იგი კინოვარი, მხატვრობა. — ქორონიკონი. გადაშწერი. ვის კუთვნებია. — სათაური თხზულების (როგორი და რომელ გვერდზე!). ავტორი, მთარგმნელი. — შემდეგ მოყვება თვით თხზულების აღწერა, რომლის პლანი თვით თხზულების ხასიათზე და შემდგენელის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, არც წვადი დაიწვეს, არც შამფური, არც აღწერილობა გამოდგეს არაფრის მომცემი და არც ნამეტარ ვრცლად (ეს სრულებით არ არის საჭირო) იყოს,

1) ზოგიერთ კარგ დახაზულ ხელნაწერში მათი რიცხვი ერთია ყოველ გვერდზე.

1 თუ გვერდი აღნიშნულია, კეთილი. თუ მხოლოდ მეორე — მეორე გვერდია აღნიშნული, ესე იგი თითო ფურცელი ცალკე, მაშინ არაბული ციფრით ფურცელს უჩვენებ და ლათინური ანბანით მის პირველ ან მეორე გვერდსა. ვთქვათ — 7, a ან 7, b. და სხვა. თუ რვეულების გვერდია აღნიშნული, მხოლოდ, (თითო რვეულში ხან რვა, ხან 16, ხან 12, ხან 24 და სხვა გვერდია), მაშინ რვეულის რიცხვს ქართული ასოთ აღნიშნავ, და მის გვერდს არაბულის ციფრით.

ოღონდ კაცს შეეძლოს მიხედვს, თუ რა თხზულება და ვისი თხზულება აქვს ხელში და სხვა. თვით თხზულების აწერის შემდეგ დასაწყისი თხზულების ოთხი სტრიქონი და დასასრული იმდენივე. შემდეგ მიწერილობანი, დედანიც და (თუ საინტერესოა) თარგმანი. შემდეგ შენი მოსაზრებანი ან დატაზე, ან ავტორზე, ან რომელიმე ადგილზე თხზულების. ამას ყველაფერს ეგრე ვწერ, შენ ან შეაფსებ ან შეამოკლებ, როგორც ჰკუთა გაგიჭრის. ეცადე პირველი ნომერისთვის (ბევრი არა მაგრამ) ხორციანი და შინაარსოვანი გამოვიდეს. პალეოგრაფიულ ტაბლიცაც მოხერხდება, ოღონდ ჯერ ეგ წავიდეს წინ. თუ ამ ნაირად მანდაური ხელნაწერები უმეტესი (რატომ არა ყველა) აწერე, შენც იცი რა საქმეს შეასრულებ მაგ გვარი მოქმედებით. ყოველ დაბეჭდილ სტატიას ოცამდე და თუ დიდია მეტსაც ასამდე ცალკე დაბეჭდილს მოგაწვდენენ, შემდეგ წევრად ამოგიჩვენენ, და ჟურნალს თავიდან დაწყებულს ყველას ერთად უფასოდ მიიღებ, მიტომ ნუ ჩქარობ ყიდვას.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

17

[1890]

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე !

ხელნაწერის ვერა მოვახერხე!²⁰ — ბლოს თან წამოღება მიმდოდა. მაგრამ წიგნები უკანვე მომთხოვეს და თან ხელნაწერიც რასაკვირველია. — ძალიან გეწყინება, ვიცი, მაგრამ შენი ბრალი ხომ არ არის, რაც იშოვე, მის დაბარად გამოეცი. მაინც ნუ ჩქარობ ამ ორ თვესაც და მგონი ისე მოეწყოს საქმე, ხელში ჩაგივარდეს ის ხელნაწერი. თუ მოეწყო, ან წერილით გაცნობებ ან პირადად. ერთიც სათხოვარი მაქვს — ძალიან უნდა შეიწუხო თავი და პომტაზე მიხვიდე — ფული მიიღე შენს სახელზე ჩემდა გადმოსაცემი (როცა უწყებას მოგაწვდენენ). საქმე იმაშია, რომ 19 მოვდივარ აქიდგან, ხოლო ჯამაგირს 20-ს გვაძლევენ. ერთი დღის მოცდაც არ შემიძლია, რადგან ორშაბათს ცეცხლის გემს უნდა მივასწრა ნოვოროსისკში (ზღვით მოვდივარ დედასთან გამორების მიზეზით და თან გზის სი(მო)კლისათვისაც). მაშ, თუ ძმობას, არ იწყინო და ფოშტაში მისვლა დამავალე. ორმოცდაათ მანათს მიიღებ და 29 თუ 28 თფილისში გამოვიარ და უსათუოდ განახავ, თუ გამოვიარე, (დამოკიდებულია ამ ოხერ ფულზე), თუ ვერ გამოვიარე, მეორე დავალებას მოვითხოვ. ეჩმიადინოდგან წე-

რილს მოგწერ და ადრესს და იმ ადრესსით გამომიგზავნი. ესეც ჩემი თხოვნა.

შენი ძმან. მარარი.

P. S. ზაფხულზე სად იქნები? ივლისის დამდეგს მე თავისუფალი ვიქნები მგონი მოსასვენებლად. მაშინ მაინც გნახავ. მე კიდეც იმედს არ ვკარგავ... სხვა შემდეგში.

ნ. მარარი.

18

ეჩმიაძინი 1890 VI/9

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე!

ჯერ ვერაფერი მაინ და მაინც. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოველი. ცოდნის (თავის) გამოსაცადათ გამომადგა. გძელი წერილის მოწერა არ შემოძლია უღრობით. წასვლისას თბილისიდან შენი ადრესი მომწერე. თუ აბასთუმანში — იქნებ შევხვდებით ერთმანერთს. ყარსი კი საზაფხულოთ საექვო ადგილი ავირჩევი. ჯერ აქ სიტხე არ მაწუხებს. როდის წამოვალ აქიდგან, არ ვიცი. აქიდგან წამოსრული ერთ კვირას სევანში დავრჩები და შემდეგ თუ თფილისში იქნები, — თფილის, თვარა — აბასტუმანს ცხენით პირდაპირ (ახალქალაქით და ახალციხით). იასონი სად არის. ხომ არ გადაუწესებიათ, და სად?

შენი ძმან. მარარი.

19

[1890]. XI.17

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

წიგნები ადრე მივიღე და ახლა წერილი, ათორმეტი წერილი, ეგრეთვე როგორც შენი საქმიანი და საპასუხო, სტოლზე მიდევს და პასუხს ელის და შემინდობ, თუ მხედველობაში მიიღებ ჩემ მდგომარეობას. სტატია, კორრექტურა, დისერტაცია, ცენზურა, ლექციები (სანსკრიტულს და ფეჰლევანურს განვავრცობ), ეგზამენები, ახლა ეჩმიაძინში მგზავრობისგან ვალი (200 მანეთი!), ცოლის შერთვა, მე მი-

კვირს, სულს როგორ ვითქვამ. ამას დართე ალ. ცაგარელის დაუსრულებელი პოდლოსტი (ქართულად არ ვიცოდი ეგ სიტყვა). სხვათა მრავალთა შორის, როცა რექტორმა¹²¹ ჩემ თხოვნაზე განკარგულება მოახდინა სამაგისტრო ეგზამენი დაუჭერინეთო, ალექსანდრე ანტონიმა¹²² წერილი მოსწერა ფაქულტეტს, რომ რადგან სომხური ენა (!!?) ჩემ კათედრას ეხება და რადგან ვილაც იოანისიანს ეგზამენი არ დააქერვინეთ, და რადგანც მარსს თხოვნა არ შემოუტანიო, მარსის ეგზამენი არ მოახდინოთო. ჩემი ეგზამენი (ნაწილი), რასაკვირველია, მოახდინეს, მაგრამ მისი უსინილისობის და სულელობის ნამუშეირი საქმეში ჩააქერეს გასართობათ მომავალ მოდგმათა¹²³. მეტ წვლილმანს უფრო საზიზღარს აღარ გწერ. ეგზამენების დასრულებამდი წერილს ვერ მოგწერ, ვერც შენ და ვერც იასონს. თუ ძმობასა, აცნობე (შენ გამოცემამ¹²⁴ შევნიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ასტვაწ ჰაჯოლი:¹²⁵ ნ. მ.).

20

[1890] დეკ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

8—12 შვა იანვრის ჯვარს ვიწერ. როგორც აღრე გითხარი თუ მოგწერე, პროფ. უუკოვსკის¹²⁶ დას¹²⁷ ვთხოულობ. ეგზამენები დაეასრულე. მე ავად ვარ. სისხლს მახველებს. ექიმები ნუგეშს მაძლევენ და რალაც უბედურებას მასმევენ ჩაის კოვზით. საუბედუროთ სწავლის შეწყვედა არ შემიძლია. არც შინ გამომგზავრება. შენ წიგნის შესახებ ჩემი რეცენზია იბეჭდება (Записки В. Отделения)¹²⁸ და მიიღებ. თუ მოვკვდი, ხუმრობას გარეშე, ძალიან მეწყინება. ათი წელი კიდევ მაინც მეტოცხლა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

აღრესი: СПб., Вас. Остр., 4 л. д. 6. кв. 6.

(ლიხაჩევის სახლში ცეცხლს ძლივსღა გადვურჩი, ისიც სომხების დახმარებით).

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი წერილი მივიღე, რომლისათვისაც გამადლობ. ძრიელ შემაწუხა შენმა ავთოყოფობამ. თუ მართლა ცუდათ გრძნობ თავის თავს, უსათუოთ უნდა აიღო „ოტპუსკი“ და წამოხვიდე. შენ ბუნებით ისე ჯან-მრთელი ხარ რომ აქ აღრე მოიკეთებ. რათ გინდა, კაცო, რამე, თუ კარგათ არ იქნები? თავი და თავი საქმე ის არის, რომ კარგათ იყო და მაშინ ბევრსაც შესძენ სამშობლოს შესწავლას. თუ ცუდათ ხარ და არ გამოდიხარ პეტერბურგიდგან ეს ჭიუტობა არის და ჰკვიან კაცს არ ეკადრება. მე შენ გეტყვი, ბევრი გვყავს ახალგაზრდა მუშაკი თუ? თუ შენ შენს თავს არ მოუარე და ბევრი არ გააყეთე საქართველოს შესასწავლათ, ეს სამშობლოს ღალატი იქნება, ასე, ჩემო ნიკო, თუ ცუდათ ხარ ჯანზე, უსათუოთ უნდა წამოხვიდე. ცოლი ეხლა შერთული გეყოლება და გილოცავ. შენ რომ იწერებოდი, ისე თუ გივლის, ჯანზეც უკეთ შეიქნები. მე წინა წერილში ზოგიერთი რამ გთხოვე და რას მიშერები? გამომიგზავნი თუ არა თეიმურაზის ვარიანტს „ქართლის ცხოვრებისას“, მე ყოველ დღე მოველი. ამას გარდა, ცაგარელის მეორე გამოცემა ხელ-ნაწერებისა¹²⁹ და კონდაკოვის მოგზაურობა¹³⁰, თუ მოახერხო, გამომიგზავნე, აქ არ იყიდება და ჩემთვის საჭიროა, ფული რაც დაუდება, გაახლებ. ამ საქმეების მონდობით გაწუხებ, მაგრამ შენს მეტი მაქ არავინ მყავს მეგობარი და ისევე შენ უნდა შეგაწუხო, შენი რეცენზია როდის გამოვა?¹³¹ „ნინოს ცხოვრების“ ბეჭდვა გავათვე და ამ დღეებში გამოვა. წიგნების გამომცემელი საზოგადოებაში სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე ვარ და თუ რამე იცი ისეთი, რომ ხალხში გასაღდებოდეს და სასარგებლოც იყოს, მომწერე, რა უნდა გამოიცეს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მე ვერა ვარ კარგათ, ეხლაც ამ წერილს რომ გწერ, ავთ ვარ, საქმეები ბევრი მაქვს და აჯა ცოტა, ძრიელ ბევრი სამუშავო გვექონებია და კაცი ყურს არ უგდება. შენი ჭირიმე ნიკო, კიდევ გავიმეორებ, თეიმურაზის ვარიანტი რამენაირათ მალე გამომიგზავნე და რამდენ დროსაც შენ დამითქვამ, იმდენ დროს გავაჩერებ. აქედგან თუ რამე გინდა ხელ-ნაწერი, გამოგიგზავნი. მაგისტრის ეგზამენი თუ გაათავე, აწე იმდენი საქმე აღარ გექნება. ეს დიდი ტვირთი მოგიცილებია. სხვაფრივ როგორ ხარ. მომწერე. დისერტაცია დაამზადე, თუ არა?

სხვაფრივ მშვიდობით.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ამას წინეთ წერილი მოგწერე, ალბათ არ მიგიღია, თორემ პასუხს იმედა, მომწერდი. მას შემდეგ „წ. ნინოს ცხოვრება“¹³² გამოგიგზავნე, მიიღე თუ არა? რეცენზია შენი რათ დაგვიანდა?¹³³ აქ ამგვარ შრომის თანამგრძობელები იშვიათია და პირველი წიგნი მხოლოდ 18 ეგზემპლიარი გაიყიდა. ამისათვის ჩვენში უფრო საჭიროა ღირსეული დაფასება და წახალისება ამგვარი შრომისადმი. ამ დღეებში დიდი დავიდარაბა გადამწყდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში, მაგრამ როგორც იყო ჩემი გავიტანე და ნება ავიღე ვრცელი კატალოგის გამოცემისა. რომლის ბეჭდვას მომავალ სექტემბერში შეუდგები. გამოსაცემათ 1200 მანათია გადაღებული. საჭიროთ არ ვრაცხ აგიწერო რა ცთა და რა რეპლიკები გამოვიარე, რომ ეს აზრი გამეტარებინა¹³⁴. შენთვის სასიამოვნო ის იქნება, რომ ეს გადაწყვეტილია და თუ დარი დამიდგა, წელეწად ნახევარში გავათავებ. იმას გარდა რაც შარშან მომწერე. თუ რამე გაქვს დასამატებელი კატალოგის შედგენის პროგრამის¹³⁵ და აწერილობის შესახებ, მაცნობე. საჭიროა, რომ ქართული ხელნაწერების აწერილობა ყველა ერთ გეგმაზე იყოს დამყარებული. მანამ კატალოგს გამოვცემდე, მინდა თქვენი გამოცემისათვის რაიმე გამოგიგზავნო და სხვათაშორის ვახტანგის რედაქციის კითხვის გამორკვევაც მაქვს სახეში, ამისათვის ვიმეორებ ჩემს თხოვნას და გთხოვ თეიმურაზის ვარიანტი გამომიგზავნო ერთი კვირის ვადით მაინც. ჩემი მიზნისათვის მაგის სხვა ვარიანტებსთან შედარება არ დამჭირდება, მხოლოდ გადაშინჯვა და გარეგანი განხილვა ძრიელ საჭიროობს. არასტერი ამით არ დაგიშვებ. სულ სამი კვირა დაშჭირდება, მანამ უკან დაგიბრუნდებოდეს. თუ არ გამომიგზავნი, ადრევე მაცნობე მაინც. მაგრამ მე სრული იმედი მაქვს, არ გამაწბილებ. ჩვენ შორის ამგვარი დავალება სავალდებულოა. ასე, ჩემო ნიკო, მე ეს თხოვნა წინა წერილშიც მოგწერე და რომ მიგელო, უსათუოთ პასუხს მომწერდი. შენი ადრესი კარგათ მომწერე. ეხლა ცოლიანი ხარ და როგორ გრძნობ თავის თავს ცოლიანობაში? ჯანზე მოიკეთე თუ არა? საზაფხულოდ უსათუოთ აქეთ წამოდი, მოვიხთება. შენ მოვალე ხარ შენ თავს გაუფრთხილდე, რომ ჩვენ გრუზინოლოგიას სარგებლობა მოუტანო. ხახანაშვილი ერთობ ნამეტარი ქების წიგნს იწერება როგორც პირველის, ისე ამ მეორე ჩემი გამოცემის შესახებ¹³⁶. მისი რეფერატი (Об источн. введения

ხრისტ. в Грузии) სამერმისოთ გადაუღვია, ვინაიდან შესწორება ეკირება შენი გამოცემის და კვალად¹³⁷.

ამ დღეებში ერთი საყურადღებო წიგნი გავარჩიე, რომელიც წარჩოადგენს კრებულ[ს] არსენი, ვაჩეს ძის¹³⁸, თარგმანს¹³⁹. მისი ყველა შრომა ერთ წიგნშია მოქცეული, წიგნი ათონურის ხელითაა ნაწერი ქალაღზე, მე XI—XII საუკუნისა და როგორც ეტყობა თვით ავტოგრაფიდგან არის ვადმოღებული და ავტოგრაფის შენიშვნები დაცულია. სხვათა შორის აქ მოქცეულია ერთი რთული სტატია შემდეგის სათაურით: „ეპისტოლე მქონებელი წმიდისა და უბიწოისა სარწმუნოებისა, წარცემული ნეტარისა თუმას მიერ იმრუსალიმელ პატრიარქისა სასომხეთოისა მწვალებელთა მიმართ, არაბულად ვიეთმე (ვეშე) თეოდორეს (თეს) მიერ, აბუკურად სახელ-დებულისა, ხარანელთა ეპისკოპოსისა, აღწერილი და ჩემ უნდოისა მიხაელ ხუცისა და სამოციქულოისა იმრუსალიმისა საყდრისა სენკელოხისა მიერ ბერძულად თარგმანებული, რომელსა შინა განცხადებულად ჩანს, ვითარმედ მხოლოდ ხალკიდონს ოდენ შეკრებულისა კრებისაჲ ჭეშმარიტ არს ქრისტეს ღუთისა ჩუჭნისა ძლით „განსაზღვრებულისა სარწმუნოებისა სიტყუა“.

მე მგონია, ჩვენ წყაროებში მოხსენებული „აბუკურა“ აქ ამ ქარანელ ეპისკოპოსის¹⁴⁰ შრომას უნდა ერქვას, როგორც არჩილის¹⁴¹ შრომას „არჩილიანი“ და სხვა. მაგრამ ეგ როგორ არის, რომ ეფთჳიმეს¹⁴² ბიოგრაფი მას მიაწერს ბერძულად თარგმანს და აქ როგორც სჩანს ბერძულიდგან უთარგმნია არსენის ეს შრომა, ვინაიდან ხელნაწერში მარტო მისი თარგმნილი შრომებია მოქცეული და ყოველგან სწერია „თარგმანი არსენი“. ან ეს მიხაელ ხუცესი ვინ უნდა იყოს? იქნება ქართველია. ექვთიმე რომ თავის წერილში (იხ. ბაქრაძის ისტორია) „აბუკურას“ აპოქრიფიულ შრომათ იხსენიებს, ვგონებ ესაა ძრიელ მიამა აბუკურას სახელის ნახვა, მაგრამ ვერაფერი ვადაწყვეტილი აზრი ვერ შევადგინე ჭერჯერობით. შენ დამეხმარე და მომწერე ცნობები თუ სადმე ნახო, ვინ არის ეს თეოდორე, აბუკურად წოდებული, ხარანელთ ეპისკოპოსი, ან როდის ცხოვრობდა. წყაროებიც მაეცნობე. როზენი დაგეხმარება. „სენკელოსი“ რას ნიშნავს, თუ ტიტულია, რა ტიტულია? ეს შრომა იმდენი სხვადასხვა წერილებიდგან შესდგება, რომ ვადაჭრით ძნელია თქმა; სად თავდება ეს შრომა. ზოგიერთ სტატიების სათაურებს, რომელიც აბუკურას უნდა შეადგენდეს, აქ უჩვენებ: 1) ხუთი სიტყვა, ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტითათისაჲ განსაქიქებელი მგომბარისა მის წვალებისა სომეხთაისა. 2) სხვადასხვა წერილები იმავე ნიკიტასი სხვადასხვა პირებთან. ა) ევსები მონაზონისადმი, ბ) ნიკიტა ხარტოფილაკისა და სენკელოსისა კორონიდისადმი;... ე) ხუთი წერილი

ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტიქიათისა ნიკიტა ხარტოფილაქისა და სენკელოსისა კორონიდისა მიმართ.

უკანასკნელი წერილის ბოლოში სწერია კინოვართი: „აღიწერა წიგნი ესე... კელითა სიტყუათა ამათ მამისა, კაცისა მდებალისა და არა რაჲს ღირს მქონებელისა, თთუჴსა იანვარსა, ინდიქტიონსა სამსა, დასაბამითგანთა წელთა „ხვლჴ“ მილოცეთ უკუჴ (მერმე ბაიათებია უმნიშვნელო, ვის მილოცეთ — არა სჩანს). ეს წელი 1030 წელს უღრის ბერძული სათვალავით, და ეს სტორეთ ბაგრატ მე-IV¹⁴³ მესამე ინდიქციონია. მაგრამ ამას უშლის შემდეგი შენიშვნა აშიაზე ტექსტისავე ხელით: „თუთ ამის ღირსისა მამისა საკითხავთა ამათ გამომეტყუშლისაჲ არს ანდერძი ესე“. აქედგან სჩანს, ჩემის აზრით, რომ ეს ანდერძი არსენის კი არ ეკუთვნის, არამედ ნიკიტა მონაზონს. ამისათვის საჭიროა, გამოიკვას ვინ არის ეს ნიკიტა მონაზონი, ან ის ნიკიტა ხარტოფილაქი კორონიდი, რომელსაც სწერს. თუ რამე მონაზონი, მაცნობე. და იმ ტიტულების მნიშვნელობა, რომელთაც ხაზი გასმული აქვს, მომწერე. თუ ეს პირები ქართველები არ არის (და არც მე ვფიქრობ, რომ იყვნენ), ვისი ინდიქტიონი უნდა იგულისხმებოდეს იმ ინდიქტიონში. შემდეგ კიდევ ასეთი სათაურის სტატია, რომელიც აბუკურასვე ეკუთვნის: „სიტყვისგებაი თეოდორე (თ^ე) ხარანელ ეპისკოპოსისაი, რომელსა ეწოდა ავეუკურა (sic), ქმნილი მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა, რომელმან. ითხოვა მისგან, რათა მოპოვნებითა გულის სიტყუათა მიერ გამოაჩინოს და უჩუქნოს მას, ვითარ არს ღმერთი“. მერმე კიდევ: „სიტყვის გებაჲ სარკინოსთა მიმართ თეოდორე ავეუკურაჲსი (sic)“. ავეუკურა რომ თავდება, იქ აკროსტიხი არის და მით ვგონებ სად არის მისი/დასასრული. თუ საჭირო იქნება გაზეთში დავბეჭდავ ამ წიგნის აწერილობას, როდესაც შენ ზოგიერთ ცნობებს მომწერ, თუმცა გაზეთში არ მინდა კი დაბეჭდვა. ამას გარდა არსენის შესახებ ერთი ასეთი შენიშვნაჲ ამ წიგნში: არსენისსა მისრული მღვმედ იტყვის დავით (დ^თ) მეფე: „მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ჰამა. მარჯუშნასა გუჭრდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვიდა და დოღმატიკონსა აწამებდა და ცკლისა სოფია წმიდასა იგივე მარტოჲ იქმოდაო“. ნუ ვინ დააგდებთ, არამედ დაწერეთ. რა სიტყვაჲ] „დაროჯიდი“ არ ვიცი. რო ჰ ი კ ი ვ გონებ, როგორც მახსოვს, საზრდოს, ჯამაგირს ჰქვიან. აქ მოხსენებული დავით მეფე, დავით აღმაშენებელია, რომლის დროსაც არსენი ცხოვრობდა. ამ არსენის შრომა აქამომდე სრულებით არ ყოფილა ცნობილი. ხელ-ნაწერში იხსენიება დავით პეტრიწონელი¹⁴⁴ ეფთვი-მე გრძელი¹⁴⁵ და სხვები. ერთი სიტყვით ძლიერ საყურადღებო ხელ-ნაწერია. იასონ ციციშვილის¹⁴⁶ შემოწირულია, ვგონებ ანტონ II

კათალიკოსის¹⁴⁷ ნაქონები. შეიცავს 312 ფურცელს in folio დიდ ფორმატისა.

ამას გარდა ერთ თამარის დროის გუჯარში შოთას სახელი ამოვიკითხე. ეს შოთა ამტიციებს გუჯარს. ასე, ჩემო ნიკო, ვიცი გიამება ამგვარი ამბევები და მიტომ გწერ. ველი შენგან თეიმურაზის ვარიანტს, რაცა დღეს გამოავზავნო, ტელეგრამით მაცნობე, გავემზადები მის გასარჩევათ, ხარჯს ყველას გიძღობ. არ დამიგვიანო, ჩემო ნიკო, ძრიელ მეჩქარება. ცაგარელის მეორე გამოცემა „Свед-о пам. груз. письм.“ მასტვინე. აქ არ არის.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი:

23

[19 apr. 1891]

ძმაო ექვთიმე.

გწერ შეძლებისამებრ. ხელნაწერს თუ გამოიწერ, თორემ გამოავზავნა შეუძლებელია¹⁴⁸. დამალვა არ შემეძლო და პირდაპირ უთხარი ლემს. ლემმა კი ზალემანს და მათ, როგორც ადრე გწერდი, მირჩიეს შენთვის — წერაკითხვის საზოგადოების წიგნსაცავეის სახელზე გამოიწეროსო. — ჩემი დისერტაცია ენკენისთვისთვის იქნებ სტამბას ვაწვდინო, ნაწილი მაინც. — შენი მეორე გამოცემა¹⁴⁹ პირველსავით ძვირფასია. — ჩემი შენიშვნა პირველ ნომერში არ დაიბეჭდა, ახლა იბეჭდება შენი პირველი გამოცემის შესახებ. მგონი ეს ყველა კიდევაც მოგწერე ამას წინეთ წერილით, მაგრამ სამახსოვრო წიგნში არ შემიტანია და იქნებ არა მომიწერია რა და მიტომ გწერ ამ სტრიქონებს.

შენი ძმა ნ. მარარი.

24

[1891 წ.]

ძმაო ექვთიმე!

თუ ხელნაწერის¹⁵⁰ მიღება გჭირა, საზოგად-ბას წერაკითხვისას გამოაწერიე შენ სახელზე (Кандидату С. Пет. Университета и т.д.)

თფილისის საჯარო წიგნსაცავში სახმარებლად (на пользование в публич. библ. в Тифлисе აღრესი ზედ).

დარჩა აკადემიაში მხოლოდ ორი სხდომა, და მეორე სხდომას მიუსწრებს შენი. თხოვნა (Директору Аз. Музея Карлу Германовичу Залеманну). ზალემანს მოველაპარაკე და კარგიო, ოღონდ ჩქარა გამოაგზავნოს თხოვნაო წერაკითხ. საზოგადოებასაო.

ბ. მ ა რ რ ი.

25

[1891] ივნისი

აქ დიდი პარტიობა არის და თუმც არც ერთს პარტიას არ ვეკუთნი და არც ერთი პარტიის არაფერი არ მწამს, მაგრამ მაინც ვილასაც პარტიაში მრიცხვენ¹⁵¹. უორდანიას ქურდობა დაატყდა. მე არ ვიცი, ვინ სწერს და ქექს იმის საწინააღმდეგოთ, მგონი მძის მეგობარი ჯანაშვილია¹⁵². მე ბევრი შემიძლია განვმარტო და მისი მცრუობა აშკარა „ნოვოე აბაზრენიაში“ დაბეჭდილი წერილისა დავამტკიცო, მაგრამ ვდუმებ, რომ პირადობის ანგარიშს არ მიაწერონ. მგონი, უჩემოთაც გამოხობორიკდა და ბევრმა ეხლა მაინც გაიგო, რა გვაში ყოფილა „ივერიის“ გმირი. „ივერიას“ ეგონა შკოლას დაებრალეზობდა დაკარგვა და, რასაკვირველია, მეც, და ამისთვის უძღვნა მოწინავე წერილი, მაგრამ გაუმტყუნდა იმედი. აუარებელი მასალა იყო შეკრებილი იმ კრებულში, მე ერთხელ კიდევ გადმომცა ბაქრაძემ წ-კ-ის ბიბლიოტეკაში დასადებათ¹⁵³, მაგრამ მერმე უკანვე წაიღო — ჯერ დაიცადე, მჭირიაო. იმ დროს წაიღო უორდანიამ და ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ მოვსთხოვეთ, ივარა. ვარი უთხრა მქვრივსაც¹⁵⁴, და ენლა ამბობს, ვითომ ქვრივს განუცხადა, მაგრამ ანტონ ფურცელაძემ¹⁵⁵ (ნათესავია უორდანიას, რაკი ავაზაკობა შენიშნა, გადუღვა) უორდანიას წერილი ჩაიგდო ხელში, სადაც ეხვეწება მქვრივს, ნუ დამლუპავ, დაემემოწმე, რომ შენი თანხმობით მაქვსო და სხვა. წარმოიდგინე, ბაქრაძეს რა ცილს სწამებს: დახია მაგარ ყდაში უზარმაზარი ფოლიანტი და მე გამიყო. თურმე სიბოროტე და ცუდი კაცობა ყოველთვის არ დაიმალება. შენ ერთი, ნიკო, არხეოლოგიურ საზოგადოებას ეგზარზიზა¹⁵⁶ წერილი უნდა მოაწერიო, რომ ხელი შემეწყონ მუზეუმში

სამუშაოთ, თორემ ეგზარხი ისეთი ჭორებით გაბერა ჟორდანიამ, რომ იქილჯან ჩემი სარგებლობა შეუძლებელია. ზაფხულში სად აპირებ, ან როდის მიხვალ ყველაფერი მომწერე. შენი მეუღლე მომიკითხე. შენი შრომა ყველაფერი ორ ეგზემპლიარათ გამომიგზავნე, ერთი თამამშევიზა¹⁵⁷ და ერთი ჩემდა, მშვენიერი ბიბლიოტეკა ჰქონია, მისგან წიგნების წამოღება დავიწყე, შენ გიმზადებს ფულებს corpus-სისათვის, თუმც ამბობს, ცუდი ხალხი ვართო, მაშინვე ინტრიგები დაიწყესო, მაგრამ თავისას გაიტანს. ეხლა არგუთინსკის¹⁵⁸ ბიბლიოთეკა უნდა გავზინჯო, ვიცნობ.

შენი ძმა ე. თაყაიშვილი.
ილიკო მომიკითხე, რათ არაფერს იწერება? მამამისი მორჩა?

20

[1891] 9 ივლ.

ძმაო ექვთიმე,

იქნება მიწყრები, რომ ხელნაწერი¹⁵⁹ ვერ გაწვდინე, და იმიტომ არა მწერ არაფერს, მე მაინც მოგწერ ამ ორ სტრიქონს სრული და გულითადი თანაგრძნობისას შენ მხნე მოღვაწეობაში ამ უსამართლო და უსინდისო მოწინააღმდეგეთ წინააღმდეგ, რომელთაგან გამოკამათება სწორეთ რომ სრულიად დროს კარგვა არის. როგორც მივიღე ჟორდანიას წერილი „ივერიაში“ დაბეჭდილი¹⁶⁰, მინდოდა გამეცა პასუხი, მაგ დაწყულულ და ბოროტ თავმოყვარეობის ბოროტ მოვლენაზე, მაგრამ მაშინ „როსტომიანის“ შესახებ დამირჩა გამოგზავნილი წერილი „ივერიაში“¹⁶¹ და ერთ თვეს არ დამიბეჭდეს. ხახანაშვილის შემდეგ გამოგზავნილი შენიშვნა ადრე დაბეჭდეს და ვიფიქრე, ჩემსას არაფერს დაჰბეჭდავენ მეტეი, ივერიაში და, ღმერთი ხატი, შენზე იქნებ მეტს ვიტანჯებოდი მაგ ბარბაროსულ მოქმედებისთვის, რომელსაც შენ ძვირფას შრომების და კიდევ უფრო პირადობის შესახებ წაადიან. ყოჩაღ, ძველო თაობა, ისახელა თავი, რომ უნდა ისე. ღმერთმან ბევრი მოთმენა მოქცეს მაგისტანა კაცებთან, თუ კაცის ჩასათვალში მაგენი ჩაიდგებიან, მოთმენა მოქცეს გაძლების. ჩემი მდგომარეობაც ხომ შენებრია აქ ბ. ცაგარლის, იეზოვის¹⁶² და ტომსონის¹⁶³ გამოისობით, რომელთ იმდენი მოახერხეს პირადი ანგარიშისთვის, რომ აგრე მე-ოთხე თვეა უკაპეიკოთ ვარ, არც სტიპენდიას მაძლევენ და არც პრივატ-დოცენტად დაანიშნვიეს მინისტრს ჩემი თავი, ტომსონმა კი ვირის ყურები გაიზარდა და გინებით სავსე პას-

კვილი დაბეჭდა ჩემი დამჯდარი კრიტიკის პასუხად, სადაც მისი სა-
ლოქტორო შრომის უეარგისობა არის გამოაშკარავებული, მაგრამ ჩე-
მი მდგომარეობა მით უკეთესია, რომ ყველას ესმის უნივერსიტეტის
წევრთაგანს ჩემ მოწინააღმდეგეთ უსინდისო ქცევა და ყველა თანა-
გრძნობას მიცხადებს, ზოგი მათგანი თავისი მხრით პასუხს უმზადებს
ტომსონს ჩემ მაგიერ და მანდ კი განა ესმის ვისმე რა, განა გყავს
ვინმე თანამგრძნობი და თუ ესმის, მიმხვდარა, თუ რა ძვირფას დროს
გაკარგვინებენ, როცა იძულებული ხარ ყოველ უწმაწურ ნაშობის
უწმაწურ ნაშობს პასუხი მისცე. კიდევ გიცხადებ სრულ ჩემ თანა-
გრძნობას და მომავალის იმედს ნუ დაიკარგავ, გულს ნუ წავიხდენთ,
შენი ფასი და ნუგეში ძეგლად არის ამოყვანილი შენვე შრომაში,
შენ პირველ შრომაში.

შენი ძმა ნიკო.

27

1 სექტემბერი 1891 წ.

საყვარელო ძმაო ნიკო!

შენი წერილი, 9 ივლისს გამოგზავნილი, დამიხთა ტფილისში
და ეხლა მელირსა ამ სასიამოვნო წერილის წაკითხვა. 8 ივლისს მე
გურიაში წავედი და აქამომდე იქ ვიყავი, ერთი ორი კვირე მე და
გრიგოლ გურიელმა ქობულეთშიც გავატარეთ (მე ზღვაში ვბანაობდი).
ცუდათ ვიყავი ჭანზე და სულიერ მარტოობასაც ვგრძნობდი, გურია-
ში ყოფნა ცოტა მომიხთა და მოვიკეთე. იქნება მემღურიო, იწერები,
რას უნდა გემღუროდე, ხელნაწერის!⁶⁴ გამოგზავნის იმედი იმ რი-
გათ, რა რიგათაც შენ მომწერე, ეხლაც მაქვს, და ამისათვის როგორ
დაგემღურები. მხოლოდ მიკვირდა, რომ წერილი დამიძვირე და და-
პირებული რეცენზიაც!⁶⁵ არ გამოვიდა (იქნება იყო, მომწერე, ჩვენი
საზოგადოებრიზა პირველ რომ ერთათ გამოგვიგზავნეს წიგნები, მერ-
მე ცალკე ნომრები აღარ მოგვსვლია და, თუ შეიძლება, გამოაგზავ-
ნიე), ასე ვიფიქრე, იქნებ არ მოეწონა და კარგს ვერაფერს იტყოდა
და ცუდი აღარ თქვა მეთქი. ხახანოვმა დიდი ქების წიგნი მომწერა
და ეტყობოდა გულწრფელადაც იწერებოდა, როგორც პირველის ისე.
მეორე წიგნის შესახებ რეცენზიას „სამინისტრო ჟურნალში“ დავ-
ბეჭდაო, მაგრამ მე არ მინახავს. პროფესსორ მორფილიდგანაც!⁶⁶ ქე-
ბის წიგნი მომივიდა (ჩემი წიგნები მას ჩემ მაგიერ ილია ჭავჭავაძემ

გაუგზავნა) და მწერდა ერთერთ სალიტერატურო ჟურნალში უნდა დაებეჭდო მაგ წიგნების შესახებ წერილიო, მაგრამ დაბეჭდა, თუ არა, არ ვიცი. ყველა ამას მაგიერ ვიგემე ლანძღვა-გინება ჟორდანიასი, მოსესი!⁶⁷ და ეხლა კიდევ კარბელაშვილისა!⁶⁸ (ივერია № 175). სტორით რომ იცოდე დაწვრილებით ამათი განზრახვა, საზიზღარი ხერხები, შური და ქუჩა-ქუჩა მითქმა-მოთქმა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდები კაცი. თურმე ჩემი წიგნები ლახვარივით დაესოთ გულზე და ისეთი მტერი არიან ჩემი, რომ ტყულა რომ ჩემს სახელს გაახსენებთ, ღობლს ყრიან პირიდვან. სტატიებშიც ეტყობათ ეს, მაგრამ ჟორდანიას სტატია სამ დღეს ერეცხათ და მერმე დაებეჭდათ, თორემ სულ ლანძღვა გინება ყოფილიყო უმაღლესი. კარბელოვი ჟორდანიას მომხრეა ეტყობა და ასე გასინჯე, ხელ-ნაწერიც არ უნახავს, მაგრამ მაინც იგინება და მერმე რა საბუთით? ჩემივე გასწორებულ შეცდომას შეცდომათ მითვლის. ამ პირებთ შენ კარგათ არ იცნობ და მინდა ცოტაოდნათ გაგაცნო... მოსე და იგი ძაღლ და ღორსავით იყვნენ გადაკიდული ამდებანს. მეო, ერთხელ თქვა მოსემ, არ დავმალავ არაფერსაო, თუ რომ საჭირო იქნება ოდესმეო. ამ ათი წლის განმავლობაში, რაც რომ ხელ-ნაწერები და გუჯრები გადუციან მისდა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის გადასაცემათ, სულ მას წაუღია, და ეხლა მას არ აჩენს, თვარა ბევრი ხელ-ნაწერები აქვს. სხვათა შორის გრიგოლ გურიელის მიცემული ხელ-ნაწერებიც არ მოუტანია. ბევრებმა მითხრა — წვილო ხელნაწერები ჩემგანო წერა-კითხვის საზოგადოებისათვისო, მაგრამ ჩვენ საზოგადოებაში არ მოუტანია. ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ ორი დიდი საისტორიო მასალების კრებული დამალა, არ მაქვსო. ბაქრაძეს პლატონ იოსელიანის ბიბლიოტეკიდგან ჰქონდა წამოღებული ერთი კრებული საისტორიო მასალათა, სადაც სხვათა შორის მცხეთა არის დაწვრილებით აწერილი, ყველა წარწერაები შეკრებილია, ყველა კათოლიკოსები ჩამოთვლილია და სხვა. ეს კრებული მთვარელიშვილმა ინახოვრა ბაქრაძითგან ბაქრაძის სიკვდილის წინ, მერმე მე წავიღე. წ-კითხვის საზოგადოებას გადავსცემ, სჯობს იქ ინახებოდეს მეტი. ბაქრაძეც დამეთანხმა და წავიღე, მაგრამ მესამე დღეს გამომიგზავნა საწყალმა კაცი, მჭირია და გამომიგზავნე ერთ წამო. მე, რასაკვირველია, გაუგზავნე, მერმე მივაკითხე და მითხრა ჟორდანიამ წვილოო, არ გასულა მას შემდეგ ერთი კვირა ბაქრაძე მიიცვალა, მე ჟორდანიას მოვსთხოვე ის კრებული მაგრამ ივარა არ მაქვსო. მეორე კრებული პლატონისავე ბიბლიოტეკისა შეიცავდა პლატონისავე ხელით გადმოწერილს სინოდის არხივების საქმეებს, რომელნიც საქართველოს შეეხებოდენ. ესეც ჟორდანიას ჰქონდა წაღებული და ეგეც დამალა. ეხლა თავის სტატიაში

რომ უჩვენებს „Дела св. Синода“, იქიდან არის და მთვარელო-
შვილმა შეედავა ჩემთან და ჩვენ უთხარით ის კრებული შენ გქონე-
ბია, თვარა საიდგან ამოიღე ეს ფაქტები მეთქი. ჯერ ივარა, მაგრამ
მერმე, როგორც იქმნა, გავსტეხეთ. ის მე მაჩუქა ბაქრაძემო. წიგნი
გახია შვაზეო, ნახევარი მე მაჩუქაო და ნახევარი მან დაიტიო. წარ-
მოიღვინე ბაქრაძე გახვედა რკინასავით შეკრულ წიგნს, და მერმე კი-
დეე მასალებს გააჩუქებდა! უნდა რომ მთლათ არ გავგატანოს. წინეთ-
რომ ივარა, სრულბით ზრ მაქვსო, ის არაფერი. იმ აირველ კრე-
ბულიდგანაც უჩვენებს ფაქტებს თავის სტატიაში, მაგრამ ეხლა იმას:
„Мой снорник“ დაარქვა... მუზეუმის გამგებლათ ამოვარჩიეთ ბაქრა-
ძის ღროს და ეხლა მუზეუმში მას დარჩა, ზასედანიები აღარ არის,
ის მისდა დადის მუზეუმში და მე თუ უთხარი საქმე მაქვს მეთქი,
არ მცალიაო, ასე რომ მთელი წელიწადი შარშან მუზეუმში არ ვყო-
ფილვარ. რასაც მოვატან ხელს, ეს მე მაქვს გამოკლეული და წაღება
საჭირო არ არისო, რაც მე გამოვეცი, ის მე მინდოდა გამომეცაო —
მითხრა ერთხელ. ერთი სიტყვით არ უნდა, რომ რამეს ხელი მოვ-
კიდო. ბაქრაძის სიცოცხლეში მუზეუმიდგან წიგნები დამქონდა; შარ-
შან მოვიდა და წვილო, რაც წამოღებული წიგნები იყო ჩემთან, და
ასე მითხრა, რომ მე „ვიგოვორი“ მივიღე ეგზარხოსიდგან, რათ მი-
გაქვთ სახლში წიგნებო, ეს უსტავში არა სწერიო, სულ ტყუილია,
ვიცი, ეგზარხოსს არაფერი არ უთქვამს, მან შეწმანა. თავმჯდომარე
მუზეუმის⁶⁹ არ ვარგა, მამაძალი რამ არის და მუზეუმის დარდი არ
აქვს. ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ არ შეუკრებივართ. მუზეუმს გა-
ცარცავს ჟორდანიო, ყვიროდა წინეთ მოსე, მაგრამ ეხლა ჩემს წი-
ნალმდეგ შეუერთთა. სემენარიაში ჟორდანიო ყურ-მოჭრილი ყმაა
რექტორის⁷⁰. უროკებიც ბევრი მისცეს, სამაგალითო შკოლაც ჩააბა-
რეს და რევიზიებზეც აგზავნიან (რაც მისდღემჩი არ ღირსებია ქარ-
თველს). ბაქრაძე რომ მოკვდა და ლაპარაკი გქონდა, ვინ ურჩიოთ
ეგზარხოსს მის ადგილზე დასანიშნავათო, მან რექტორი დაასახელა.
რჩევახე, თუ რომელი ენიდგან დაიწყონ სწავლება სამრევლო შკო-
ლებში, ჟორდანიამ მოაწერა ხელი რუსული ენიდგან დაიწყოს სწავ-
ლებაო. ამასე ერთი გოგებაშვილმა⁷¹. შელანძლა ძალიანი ჩემთან პირ-
ში. ყველაზე უფრო სასაცილო მისი მოქცევა შარშან გამოაშკარავდა.
„ჩევილის“ რედაქტორის⁷² უქებდა პირში ყურნალს და უთხრა წარ-
მოადგინე სემენარიაში, მე მომანდობენ გარჩევას. მოვიწონებთ და
სასულიერო შკოლების ბიბლიოტეკებში მზიდებენო. რედაქტორმა
წარადგინა და ვარი მიიღო. სჯულის წინააღმდეგი სტატიები და ლექ-
სებია შითო. შეხთა ჟორდანიას და ჰკითხა, ეს რა არისო, ჟორდანიამ
განცვიფრებით გაიკვირა, რას ამბობო, მე თვალთ არ მინახავს შენი

ეურნალი, ჩემთვის არ გადმოუციან და არც ვიცი წარმოადგინე თუ არაო. რედაქტორი წავიდა რექტორთან განჩინების კოპიო აიღო და განჩინებაზე ჟორდანიას ხელით იყო დაწერილი სჯულის წინააღმდეგი არისო. შენც არ მომიკტე ამიზა მას არ შერცხვენოდეს. ყველა მისი ამბები რომ მოგწერო, ოცდაათ ფურცელ ქალაღლზე ვერ დავატევი... ილიას აქებს პირში და უძვრება, და რედაქციის თანამშრომლებს. პატიჟობს და ათრობს და ამიტომაც კარგათ არის შათთან.

მოსე მისი მოსისხლე მტერი იყო ამდენხანს, რასაც ის დასწერდა, ამას კრიტიკა მიჰქონდა „ივერიაში“, მაგრამ „ივერიაში“ ჟორდანიას წინააღმდეგ არაფერს უბეჭდვიდნენ. ეხლა მე მოვეჩვენე მძლავრ მტერათ, და კული კულზე გადასკვნეს. ვერ წარმოიდგენ მოსეს საქციელს. ჯერე მიძვრებოდა, მაქებდა და ჟორდანიას აძაგებდა ჩემთან, ჩემი წიგნები ღლესაც აქვს მას. ერთხელ მითხრა, მე პირში მთქმელი კაცი ვარო, ქართველიშვილს!¹⁷³ უთხარი შენზეო, დ. ბაქრაძეს ღლესაც სჯობნხარ შენაო და შენი შრომა სჯობია მის შრომებსო. როცა სეკრეტარათ ვირჩევდიო. მოვიდა ჩემთან, მომეხმარეო მითხრა, კატალოგის შედგენაზე, ხომ იცი როგორ დაგეხმარებო, მასწავლებლობიდან მაგდებენო და მაინც უნდა დავანებო თავიო. მე არ მოუსყიდვიარ ამ ხვეწნით, ვიცოდი რომ არ ივარგებდა სეკრეტარათ, და ჩემი აზრი არ დამიძალავს, არ ვარგა მეთქი ვთქვი, მაგრამ ხმის უმეტესობით ამოირჩიეს. მაგრამ აღრე დარწმუნდნენ, რომ არ ვარგებულა. თურმე არც მას უნდოდა გულით. მასწავლებლობას თავი როცა დანება, ხუთი თვის ჯამაგირი, როდესაც საქმე არ იყო, აიღო, და ეხლა მიდის. რომ ნებით არ წასულიყო, მაინც დაითხოვდნენ, ნახე მე რა ცილადამწამა, ვერ წაუკითხავსო. მან თვითონ ჩემს შრომას გაყვა და ისე ისწავლა კითხვა, თვარა ხუტუტს არ კითხულობდა. მე და ბაქრაძეს გვთხოვა, ხელ-ნაწერი მათხოვეთ რამეო, კითხვა უნდა ვისწავლოო. სიცილით კინალამ დავიხოცეთ, ჩვენ გვეგონა იცოდა, თურმე არაფერი არ სცოდნია. ეხლა ხომ ისე გაკადნიერდა, რომ მე მტკნარ უმეცარს. მეძახის. ბეჭდვის დროს მართლა გამომჩა აქ-იქ სიტყვები ნინოს ცხოვრებაში. უფრო დაიხვია ეს ხელზე; ეს ჩემი პირველი კორექტურის დაჭერა იყო. ვერ წარმოიდგენ რა რიგათ გამაწვალეს ტიპოგრაფიაში იმ წიგნების ბეჭდვაზე, მანამ დაიბეჭდებოდა, ტიპოგრაფია სამჯერ გაიყიდა, იმ მდგომარეობაზე მიმიყვანეს, რომ ბედს ვსწყევლიდი, რა ჯოჯოხეთში ჩავარდი მეთქი; აწე როდესაც ნინოს ცხოვრების კორექტურას ვიჭერდი, ქალაქს გარეთ ვიყავი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, შეცთომები იმდენი არ არის, რამოდენათაც გააზვიადეს. მგონი შენ კი გაჩვენე, თუ რა წაბღალული ადგილები აღვადგინე, მაგრამ ვინ დაგიჭერა. მოსეს ჩემი წერილის პასუხად¹⁷⁴

დიდი ლანძღვა გინება დაუწერია კიდევ და „ივერიაში“ აღარ დაუბეჭდეს, ეხლა ცალკე წიგნათ სცემს და უწოდს „ალვადგინე“¹⁷⁵. მე შინდა, თუმც შენც მიჩრევე, დამატებითი შეცთომების გასწორება დავებუდო. თითო წიგნის თითო გვერდს არ ააფსებს, ისე ცოტა იქნება, და მთვარელიშვილს და არისტო ქუთათელაძეს¹⁷⁶ შევადარებებ და ისინი გამოსთქვამენ თავის აზრს „ივერიაში“. მისი „ალვადგინე“ დარჩება შშრალზე. მერმე თუ მიიცილი, შენი წერილი იქნება საჭირო, რომ მაგათი უწმაწური ქცევა და შური გაეციხო, და ასეთი მოვლენა დააფასო და სამართლიანი მსჯავრი დასდვა. აქ არც ვინმე თანამგრძნობი მყავს, და არც ვინმე ღირსეულად დამფასებელი ჩემი შრომისა. აქ ფელეტონებია მოწონებაში. მე ყოველთვის მქონდა შენი იმედი და ყოველთვის მწამდა, რომ საცა არ ვიქნებოდი, ერთობა გვექნებოდა და ერთი ერთმანეთს მხარს მივსცემდით. ამან ახა ერთხელ გვიღაპარაკია მე და შენ და არა ერთხელ პირობა დაგვისკნავს. მე საზოგადოთ ვერ გადამახოვიებს ვერაფერი თავდაპირველი მიზნიდან, რაც არ უნდა მაგინონ და მემტერონ. თუ ამის საჭიროება შეგნებული არ მქონებოდა წინეთ, მე არც ფილოლოგიურ ფაკულტეტზე წავიდოდი და არც ამ საქმეს მოვატანდი ხელს. სხვები მარტო ფულბის შოვნას მისდევენ, მე რომ ანგარების სურვილი მქონებოდა. დიდ ფულსაც შევიძენდი ამდებანს, თუ ეხლანდელ ჩემს შრომას ფულის შოვნას მოვანდომებდი. აქ არა თუ ხელის მომწყობი არავინა მყავს, არამედ ყველანი ხელს მიშლიან. დიდი ბრძოლით და დავიდარაბით გამაქვს, რაც გამაქვს წერა-კითხვის საზოგადოებაში და გარეშენი კიდევ უფრო მტრულად მიყურებენ. იმათაც, ვისგანაც თანაგრძნობას მოველოდი და თანამგრძნობი მეგონა ჩემი, პირზე ღიმილი შევსწამე, როდესაც დამესიენ გაზეთში. პასუხის გაცემა არ შინდოდა, მაგრამ არ მიეწყობოდა ღუმილი აქ, ივინის გამარჯვება იქნებოდა, და ყველანი მოულოდნელათ ელოდნენ ჩემგან პასუხს. მე სტორეთ არ ვიციოდი, რა პასუხი გამეცა, რომელი ცილისწამებიდგან გამემართლებია თავი. მე ვერ წარმოვიდგინე, თუ რათ იყენენ ასე გაბრაზებული ჩემზე, ან სკიდგან გამიჩითენ ასეთი მტრები, რომ აღარაფერს არ ზოგვიდგენ ჩემ დასამცირებლათ. ერთი კაცი არ გამოჩთა, რომ ჩემ მაგიერ შეენიშნა მაინც, კაცს თავის თავზე შრომა მოუღია უანგაროთ და ლანძღვა-გინებას რას ემართლებითო, ერთმა არ შენიშნა, რომ კარგი ვთქვათ შეცთომები შეცთომებია, მაგრამ ეგ ბრაზიანი გინება რიდასიაო. ერთმა არ უჩვენა, რომ რამე ღირსება მაინც არის შითო. ყველა ხედავს, რომ მე ყოველ დღე ვმუშაობ ბიბლიოტეკაში, გარჩევე ახალ შემოწირულ წიგნებს და სისტემაში მომყავს ბიბლიოტეკა. რომ იყო წიგნები, მე ერთი იმდენი შევსძინე თითქმის ჩემი

პირადი მეცადინეობით. ორბელიანს და ქობულიებს მე გამოვართვი წიგნები და გუჯარები. რაც საქმეები ქალაქდები ჰქონდნენ, ყველა მე გადმომცეს, რაც შენთვის ვარგოდეს ამოარჩიე და რაც არ — დაგვიბრუნეო. ორი თვე მოუხდი მათ გარჩევას. ნლობა დიდი მაქვს მათგან, რათგან გულწრფელათ მომუშავეთ მიყურებდნენ და როგორ შემომხედვიდნენ მერმე, როცა ეუბნებიან, რომ თაყაიშვილი მტყნარი უმეცარი არისო, ამით ფასს და ნლობას მიკარგვენ. რომ არ ვიცნობ, იმფერი კაცებიდგან მომდის გუჯარები, თუ სხვა რამე გასარჩევათ, და ეგ ვერ აუტანიათ, რომ რატომ ისინი არ იცვენეს ავტორიტეტათ და მე მცნობილობენ; ვერ მოუხელებიათ, თუ რათ დავიმსახურე მე ასე უცებ და ასე მცირე შრომით (მათი აზრით) ასეთი ნლობა. მაგრამ გავათავოთ ამაზე ლაპარაკი, მგონია არც ის ღირდა, რაც ვსთქვიო.

შენ როგორ ხარ ჯანზე, — მომწერე, როგორ შეეწყვე ცოლიანობას; მე დარწმუნებული ვარ მოგიხთებოდა, თუ კარგი ქალი შეგხთა. წერილებს ნუ დამიძვირებ. შენ წინააღმდეგ ვერც ერთი შენი მტერი ვერაფერს ვერ გაახერხებენ, მაქ შენის არ იყოს, ყველა კარგათ ხელავს ჭეშმარიტებას. ტომსონის სამაგისტრო დისერტაციას რომ მე დავესწარი, მაშინ ვთქვი, თუ ზოგჯერ რა იდიოტები შეიპარებიან უნივერსიტეტში მეთქი. ცაგარელი წასვლას აპირებს, თუ აღარ სტოვებენო, ვილაცამ მითხრა, და კარგი იქნება რომ შენ ცაგარელის შემდეგ ქართულის კათედრას დაიჭერდე, მაშინ ადვილათ მიიღწევ შენს მიზანს ქართული ენის და მწერლობის გამოკვლევას, თუმც ისეც დარწმუნებული ვარ, სომხურიც რომ დაგრჩეს სულ, შენს თავს მიზანს, რომელიც შენ შეგიძრობის დროდგან ჰქონდა გამორკვეული, არ გადუბოვ. ჩემი მოწინააღმდეგენი შენზეც ცუდი აზრის არიან, თუმც ამას საჯაროთ ვერ ამცხადებენ ისე, როგორც ჩემზე. წიგნს მე ამდენხანს მოგწერდი, მაგრამ არ ვიცოდი, თუ პეტერბურგში იყავი. შენი აღრესი მომწერე და ნუ დამივიწყებ.

შენი ძმა ექვთიმე.

28

IX
91—
15

Вас. Остр., 9 лин., д. 6, кв. 7.

ძმაო ექვთიმე,

შენი წერილი დიდის სიამოვნებით მივიღე, თუმც წერილში ბევრი დიახ სამწუხარო ამბავია მოქცეული. კარბელაშვილს რაღა ნიორი უქამია, რომ გამოსულა და საქვეყნოდ შენ სახელს ჩირქი წასცხოს

7. 6. მარი, ექვ. თაყაიშვილი

97

ცდილობს? „ივერია“ ვის ხელშია, რომ აგეთ უკუღმართ მიმართულებას ფრთას ასხამენ და, აძლევენ რა ადგილს, მით ერთგვარად მხარს უწევენ და თანამგრძნობათ იჩენენ თავს. თუ ღმერთი გაუწყრა ყველას, სისხლი გაუშრო და ტვინი, არც სინდისი შერჩენიათ და არც ოდნა[ვ] ცნება, ერთად ერთი გზა, რაც დაგვრჩენია, ისევ ღუმილია. გირჩევე, ძმაო, გულწრფელად — ქენი და იმდენი მამაცობა გამოიჩინე, ხმას ნუ გასცემ, ხმა გაიკმიდე და საქმე, როგორც პატიოსნად დაგიწყია, ისე პატიოსნად განაგრძე. შეცდომა აქვსო თაყაიშვილსო, განა უშეცდომოდ მეცნიერებაში ფეხი-ნაბიჯი ერთი ქმნილა წინ? განა თვით შეცდომანი იმას არ მოასწავებენ, რომ გარჯილხარ, შრომა გიკისრია და გიმუშავნია? აბა რომელ მეცნიერს დამისახელებენ, რომ შეუცდომლად წარემართოთ მათი მსვლელობა? თუ იმ ქვეყანაში, სადაც მეცნიერები გუნდობით ესევა თითო კითხვას და სადაც თითო ნაშთს სამწერლო ასობით ყავს გამომცემელი, მთარგმნელი, ამხსნელი, მსჯელი და ათასგვარი მხრით შემსწავლელი, იმ ბედნიერ ქვეყანაშიც შეუცდომლად გამოცემის დაჩეხება ხეპრობა და მეტიჩრობა[ა], ჩვენში, დალოცვილ საქართველოში, რა საკვირველებათ უნდა მივიჩინოთ, რომ კაცს პირველ ხელ უცნობ ნაშთის გამოცემაში, ისიც თავის პირველ შრომაში და ათას გვარ ხელმოუწყობლობაში, შეცდომებო შეეპაროს. ერთი, თავის გამოცალიერებულ ფუტურო გულზე ხელო დაიდვან და ღმერთს შეხედონ, თავის თავს ჰკითხონ, ჯერე გამოცემა რა მე ქართული მწერლობიდან იმ გეგმით, თავიდან ბოლომდე მეცნიერული გეგმით, რომელიც შენ გამოცემაში სახეში გქონია? რა ვქნათ მერე, რო შეცდომაც ჩაგედინოს. განა იმდონივე მთელი საზოგადოების ბრალი არ არის და უფრო მისი, ვიდრე შენი, იგივე შეცდომანი? შენ შენი გიქნია, მაგრამ სხვას — საზოგადოებას რა ჰუნარი გამოუჩენია, რომ აგეთი თვალით შემოგყურებს. მერე რა შეცდომები?!.. მაგრამ კმარა. აგეთი უსინდისობის დროს და უსამართლობის, მერწმუნე, სასაცილო იქნება კალმით საზოგადოების წინ საზოგადოთ ბაასი. განა ამ საზოგადოებას თავში სინათლე აქვს, თავში ცოდნა აქვს და გულში სურვილი, მართალი გამოიკვლიოს? თუ ჰქონდეს, აგეთი უსინდისობის განხორციელებას პირველვე ნაბიჯზე არ შელახავდა და ლაფს არ დაასხმიდა თავს? სჩანს საზოგადოებას არა ესმის რა, სჩანს ჩვენ მოწინავეებს არ აქვსთ არაფრის ჯავრი და გულში ფინთის და მყრალის მეტი არა უდევს რა, როცა გზას აძლევენ აგეთ ჰორებს შენი შრომის და პიროვნების შესახებ. და როცა აგეთ აზრს საზოგადოების და ინტელიგენციის უმეტესობაზე (მეტი ილაჯი არ არის) უნდა შეაჯერო გული, რა ნაყოფს მოიტანს შავათთან გამობაასება? ნეხვს გზა უნდა ავუაროთ. სინამდი დარწმუნ-

ნებული არ ვიქნებით, რომ საზოგადოებაში არის ცუდი და კარგის შემგნე, საზოგადოებასთან მუსაიფი დაკარგული დროა, როცა მოსენი და ამხ. მეთაურობენ და მეცნიერების ალამით ასპარეზზე გამოსვლას ბედავენ. მართალი ვითხრა, მე არც „ივერიის“ ყოფაქცევა მომწონს და სულით და გულით მსურს ახალგაზრდობამ შეგნებულმა ფაივისი დამოუკიდებელი ორგანო გაიჩინოს, გინდ ერთკვირეული. მაშინ შეიძლება მხოლოდ საჯაროთ სხვისი წუნკლობის დადაღვა და წუნკალთ ფაქვეითება. —

მეც ხომ კარგ საქმეს მკიდებს ცაგარელი. ახლა რომელი თვე მიდის და მისი სამინისტროში მიემოთობის გამოისობით არ დამტკიცდა ჩემი პრივატ დოცენტობა. აპრილს აქეთ მარტო ცენზურის¹⁷⁷ ხუთი თუმნით ხომ ვერ ვიცხოვრებდი ცოლითურთ — ვალში ჩაფლული ვარ. თუ რამე ცოლს გააჩნდა, სულ დაწინდრებულია და ამ ორ სამ დღეში არ გამოაშქარავდა ცაგარლის და ამხ. გაიძვერობა, რით ვიცოცხლებ აღარ ვიცი. ტომსონი[ს] პასუხს განათლ სამინისტრო ჟურნალში (№ IX) წაიკითხავდი¹⁷⁸.

აქ ხახანოვმა იჩინა თავი. რა ოხრობა გვემართება, რომ ჩვენსას, თუ რამე თავს იჩენს, სასიკეთო ჯუნი არ სდის. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა აქ, რომ „ქართველი“ს სახელი ურიას დაუდარეს. ამ დღეებში ეგზამენზე ჩაჭრეს სპარსულში; კაცმა არ იცის რა სპარსულად და მაინც იმდენი „НАХАЛЫСТВО“ გამოიჩინა, რომ წავიდა, მზრუნველს არცა მიართო — ეგზამენატორ ჟუკოვსკიმ კერძობით ჩამჭრაო. წარმოიდგინე, ეგზამენზე მთელი კომისია იყო და ერთი პირი როგორ ჩაჭრიდა, სპარსულად ასოს ამოკითხვას ვერ ძლებულობს და რა პირით გამოჩნდება მეორეჯერ ეგზამენზე, აღარ მესმის. იქნებ იმის იმედი აქვს, მზრუნველი¹⁷⁹ დაუკითხავად გაათავისუფლებს სპარსულიდგან. ახლა ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ვისთვის ან რისთვის უნდა ასეთი გამოთხოვილი და გამოწეწილი დიპლომი?!

O tempora—O mores¹

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი

ცოლი და მე ძალიან შეწყობილი ვართ.

ი გ ი ვ ე.

P. S. კარგი იქნება, გამოცემის შესწორებათ დამატებას თუ დაბეჭდ¹⁸⁰.

1 ლათ. ოპ, დრონი, ოპ, ჩვეულებანი. (შემდგ.).

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

მოლოცვისათვის მადლობელი ვარ. დღეს ერთგვარად მიწვენილი ვარ მიზანს, ოღონდ დისერტაცია, რომელიც რაც დრო მიდის, მიდიდდება მასალისა გამო და მოთხოვნილებაც მეცვლება და მის თანაბარად გეგმაც. საზაფხულო(დ) ვერ ძალმიძს წამოსვლა, მაშინ ველი დისერტაციის დასრულებას, იქნებ შემოდევზე დავიცვა. მალე ჩემი ზაფხულის (1890 წ.) სომხეთში მიმოსვლის დასრულებას გაახლებ¹⁸¹. დათიკო მომიკითხე და მადლობა მოლოცვისათვის ჩემგან.

აქ ორი მსმენელი მყავს, თუმც ქართველი (მ. ქართველიშვილი) დროგამოშვებით ცდილობს, მაგრამ დიდი ხეირი მისგან მოსალოდნელი არ არის — ყოველშემთხვევაში მეცნიერის ძარღვი აკლია. მეორე რუსია და სანსკრიტულ განყოფილების და იმდენი არ ეკითხება სომხურიდან, თან ავადმყოფობს. საზოგადოთ არ ვარ კმაყოფილი არც ვითარებით, არც რაოდენობით მსმენელთა და ძალიან გული მტკივა, რომ ჩვენი ახალგაზრდობასავით სომხებიც გულაგდებით ეპყრობიან თავის ძველის მწერლობის შესწავლას. ჯერ მაინც იმდენი სიმხნევე მაქვს, მამლის თქმული დევიზად ავიჩნო, მე თავისას ვიცივლებ, გათენდება თუ არა, ის ჩემი საქმე არ არის. საზოგად კავკასიელთ გულცივობის შემხედვარე, უფრო ვეტანები რუს მსმენელს. გაისისთვის ორი ფილოლოგიურზე კურსდასრულებული მეყოლება მსმენელად, ორვე უნივერსიტეტში დატოვებული. ამით ვასრულებ წერილს, თან გაცნობებ თავის მამობას. 30 გიორგობისთვის ვაჟი შეგვეძინა, რომელს სახელად დავარქვით ანდრია¹⁸². ბავშვი მაგარია და მრთელი ჯერ ჯერობით.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

P. S. კარგი იქნება, თუ გრიგორის სახელზე რამე კრებულს გამოსცემთ¹⁸³. ჩემი მხრით რასმე მოვამზადებ. იქნება ჩახრუხაძის გარჩევამ ივარგოს, რომელიც დათიკოს აქვს ხელში¹⁸⁴. თვარა სხვას რასმე მოგაწვდენ ან ქართული ან სომხურის მწერლობის შესახებ. იცის რედაქტორობა. შიგ მისვე გრიგორის სურათს ჩაურთავთ და წიგნს სახელად უწოდებთ „სამახსოვრო გრიგორის“ ან მსგავს[ს]ად რასმე.

o გ ი ვ ე.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ამ წერილზე მაინც არ შევრცხვებ და მიღებისთანავე პასუხს გაძლევ.

თავ საქმისას მე ვერ გეტყვი ვერაფერს, რადგან «главное правление»-ში დაბეზლებული ვარ, ჩემზე „დანოსი“ არის შეტანილი საქმე ეგ არ გათავებულა¹⁸⁵.

თფილისში, იმედია, გნახავ და ამბავს გიამბობ „ძველსა დია სანზიზლარსა“. წელს ანისში¹⁸⁶ მივდივარ ხელმეორედ და ცოლშვილს კი ვორონეჟში ვტოვებ, რადგან ხელმოკლედ ვარ ჩვეულებრივ. დისერტაცია მრჩება დაუსრულებელი. ზამთარს დასრულდება. კორექტურამ¹⁸⁷ სული ამომაძრო და ყველასთან შევწყვიდე მიწერამოწერა, მაინც ვერ მოვასწარი.

რას შევება შენი თხზულების თარგმანი. როზენი მეკითხება ხშირად — „Записки“-სთვის თუ გსურს. მართალია შენი ნათხზით სხვათ ისარგებლეს უკვე, მაგრამ დაწერილებითი თარგმანი შენივე ხელით ყოველთვის უკეთესი იქნება.

კანდაკოვის თხზულების შესახებ რასაც იწერები, ავასრულებ. ტიქინაძე¹⁸⁸ ხუთი თვეა არ მინახავს.

ამ წერილს ვჩქარობ უფრო მიტომ, რომ იქნება ნინოს ცხოვრების მე-25 გვერდზე მოყვანილი ფრაზის ვითარება გესწრათებოდეს. თარგმანი გამბედავობას მაძლევს მოყვანილი ტექსტი შევიასწორო. დაბეჭდილია: „ჰეჰე რაჲთმებოჲ ხოჯათ სთაბანუბ რასულ ფსარ ზად“.

ეგ სპარსულია და უნდა დაინაწევროს აგრე: „ჰეჰე რაჲთ მებოჲ ხოჯათსთა ბანუბ რასულ ფსარ ზად“

ხაზგასმული ასოები ხელნაწერს კიდევ შეუუპირდაპირე და თუ უცვლელი აღმოჩნდენ, კელნაწერის შეცდომად უნდა ჩაიგდოს, რადგან წიგნობრივი სპარსულ ენაზე რაჲთ, მებოჲ, ხოჯათსთა, ბანუბ შეუძლებელია და თუ რომელიმე დიალექტზე ამბობდნენ იმ დროს ამ სიტყვებს, სხვა საქმეა. ჩემი ფიქრით, უკანასკნელი მხარის შეტანა ამ კითხვის აღსნაში პედანტური საქმის გაძნელებაა და სჯობს გადამწერს მივაწეროთ აღნიშნული შეცდომანი. აქ ვწერ ამ ფრაზას სპარსულათ, მის ქვეშ სპარსულ ტექსტს ქართული ასოებით და უკანას-

კნელ ქართულ თარგმანს შედარებით სიტყვათა თავთავის ადგილს; ახლა ვკითხულობთ ფუსერს:

ها ها راست ميگوي خجسته بانو رسول پسر [ازاد]

(ი)ზად ფსარ რასულ ბანუ ხოჯასთა მეგოჲ რასთ ჰეჰე

|| || || || || || || || || ||

ლუთისა ძისა მოციქულო დედოფალო ბედნიერო იტყვი მართალსა ჰაიჰაი აქიდან სჩანს თუ რა ცვლილება მომხდარა გადამწერისგან.

რათ — რასთ, მებოჲ — მეგოჲ, ხოჯათსთა — ხოჯასთა, ბანუბ — ბანუ, ჴად — იზად.

იქნება „ბანუბ“-ის მაგიერ ამოიკითხო ბანუ — ვ ან უ დედო-ფალო და.

საზოგადოდ, რაც ერთი ფრაზისგან შეიძლება, კარგი სპარსუ-ლია, და წმინდა, თუმც ერთი არაბული სიტყვა კი ურევია. ეს არის „რასულ“ მოციქული. ამ გვარად, თუმც არ მართლდება ამ ნაწყვეტის არაბულობა, შენი აზრი მაინც მართალია, რომ ეგ ფრაზა არაბთა შემდეგ შედგენილია, ესე იგი მას შემდეგ, რაც მუსულმანობით არა-ბულ ენამ სპარსულზე გავლენა იქონია და თუ სხვა ფაქტებიც გაქვს ამავე მნიშვნელობის, ძლიერ საინტერესო კითხვას დაამთავრებ ხოლმე.

შენი ძმა ნიკო მარო.

პეტერბურგიდგან გამოვალ 10 მაისს, 20—25, თუ არ აღრე, თფილისში ვიქნები. ვწუხ, რომ შენი აღრესი არ ვიცი. მე ისევ „სე-ვერნიე ნომერა“-ში ჩამოვხტები, მაგრამ მონახვა გამიძნელდება შენი და ამიტომ თუ ახლოდ დარჩე მიკითხე. სულ ორ დღეს დავრჩები თბილისში მხოლოდ.

ნაცნობთ მოკითხვა, დათიკოს მეტადრე.

5. 8.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

ერთობ ნამეტარი გამივიწყე. გურიაში ვიყავი ზაფხულში და შენ(ი) იქ ჩამოსვლა ვერ შევიტყვე, თვარა მოვიდოდი. შენ როგორ ხარ, რასა იქ, დისერტაციის რა ქენი, ნუ დაიზარებ მომწერე. აქაური

ამბავი რა უნდა მოგწერო, ბედნიერი ხარ რომ მოშორებული ხარ ჩვენზე და აქაურ სისაძაგლეს არ უმზერ. ყველა ხეირიანი კაცი ერიდება ჩვენ საზოგადოებას და ცხოვრებას. ვინაიდან იცის, რომ ნამეტარ ცუდ და მანენ ელემენტებს აქვს გზა ჩვენი გახსნილი. ერთათ ერთი გაზეთი ჩვენი როგორ მიდის, მოგეხსენება, მგონი ჩვენი მტრების ხელშიც რომ იყოს ჩავარდნილი, ვარესათ არ იქნებოდა დაყენებული¹⁸⁹. გამომცემელს საზოგადოებას სურს ჟურნალის დაარსება, მაგრამ ისე გვინდა საქმე დავიწყოთ, რომ ნება მოგვცენ. ამის თაობაზე მერმე მოგწერ. ეხლა კი, თუმც რამე შეგიძლია, ყველაფრით უნდა დაგვეხმარო შემდეგ საქმეში: „ჩეჯილის“ რედაქტორმა¹⁹⁰ ითხოვა საკვირაო დამატება ჩეჯილისა¹⁹¹ სტორეთ იმ პროგრამით, რა პროგრამითაც გამოდის სომხური ჟურნალის „ალბიურის“ დამატება „ტარაზი“. სხვა ცვლილება სრულებით არაფერი არ არის. იმედი გვაქვს, რომ ამგვარი დამატების ნებას მისცემენ, რა კი სომხურ ჟურნალსაც აქვს, პროგრამა იმდენითაა ვრცელია, რომ თითქმის ყველაფერია, რაც კი გაზეთისთვის საჭიროა, გარდა პოლიტიკისა. ეხლა თუ ამას ნება დართეს, მერმე ამგვარი გაზეთის დღიურათ გადაქცევა უფრო ადვილია, ვიდრე ეხლა დღიურის გაზეთის გამოცემის ნების მიღება. ცენზურნი კომიტეტიდან კარგი აზრი წარადგინეს და აიმედოვნებენ რედაქტორს, რომ უთუოდ იანვრისთვის ნება-რთვა იქნებაო. ეხლა შენ უნდა მოგვეხმარო, რაც შეგიძლია. ჯერ ერთი, რომ ნება დართონ და მერმე, რეთიც შეიძლება, მოკლე ხანში, რომ იანვრისთვის გაზეთი გამოვიდეს. აქ ამ თხოვნას არ ვახრიალებთ, რადგანაც ვიცით, რომ „ივერიის“ რედაქცია ჩაფუშვას მოინდომებს. ეს ამბავი ჩემს მეტმა აქ არავინ იცის, და ნურც მაქ ეტყვი სხვებს. იმედი, დაგვეხმარები, სხვა, ჩემო ნიკო, შენი ბროშურები არ მიმიღია, და არც შენი რეცენზია წამიკითხავს ჯერ, თუმც გაქვს და ერთს მაინც გამომიგზავნი, დაგიმადლებ. ამას წინეთ იანოვსკის¹⁹² დანოსი გაეგზავნა განათლების მინისტრიზა, რომ სამრევლო შკოლებში რუსულს ენას არ ასწავლიანო, სამღვდლოება ქართველებიაო, ეპისკოპოზებიც ქართველებია, რუსები და რუსული ენა სძულთო და საქართველოს აღდგენის აზრი უტრიალებთ თავშიო, ამიტომ ის შკოლები მე გადმომეცითო. ამის შესახებ ობერ-პროკურორს¹⁹³ პასუხი მოეთხოვა ეგზარხიზა¹⁹⁴ და ეგზარხოს გაბრიელ¹⁹⁵ და გრიგოლ ეპისკოპოსიზა¹⁹⁶ დანოსის პირი გამოეგზავნა. გაბრიელს, გრიგოლს და ეგზარხოს პასუხი გაუგზავნათ და ეს პასუხები და იანოვსკის დანოსის პირი წავიკითხე, როგორც იყო პირები ვიშოვეთ, და უნდა გითხრა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხმა გული გამინათლა. ვერ წარმოიდგენ რა გაბედულობით, უში-

შრათ, ლოგიკურათ და ნიჭიერათ არის დაწერილი. გრიგოლის პასუხიც კარგია, ნამეტნავად მეგრულის ენის შესახებ. იანოვსკი ატეისტათ და მანე ლიბერალათ გამოყავანს ქორდანისა შესახებ დიფირამბებს წაიკითხავდი ივერიაში¹⁹⁷, წარმოიდგინე! ეპარხიალურს სოვეტში აზრი შეიტანა „დედა ენა“ და „Русское слово“ გოგებაშვილისა მანე და ატეისტური წიგნებია და სამრევლო და სასულიერო შკოლებში აკრძალეთო. ამაზე აქ დიდი ამბავი იყო, თვით ჭავჭავაძე გააგზავნა წერა-კითხვის საზ.-ს გამგეობამ ეგზარხოსთან; ჭავჭავაძე ეგზარხოსთან იყო, და გამოჩთა, რომ ეგზარხოსიზა ჩაეგონებინ, გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში სწერიაო, ეგზარხოსი არაფერს არ აკეთებს, ტყვილა დაეთრევიაო! ამას შემდეგ იყო დიფირამბები მამბეზლარის შესახებ გაზეთში.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

შენი ადრესი მომწერე. მე სააზნაურო შკოლაში მომწერე წერილი.

შენი მეუღლე მომიკითხე.

ე ქ ვ თ ი მ ე .

82

27 ივნისი 1898 წ.

ძ მ ა ო ნ ც კ ო !

ეს ორი დღეა რაც მოვედი ბელი-კლიუჩში¹⁹⁸. შენს მერე დაპირებული სტატია¹⁹⁹ გაუგზავნე ბ. როზენს. ადრესი დამეკარგა და მოგონებით ასე დავსწერე Угол Надеждинской и Кировной, არ ვიცი მართალია, თუ არა. ზაკაზნოთ გავგზავნე. სტატია დიდი გამოვიდა. როზენიდგან არაფერი ამბავი არ მიმიღია, გარდა იმ სტატიისა. დავამზადე გამოსაცემათ „ბალავარი“ 1779 ხელ-ნაწერიდგან²⁰⁰. ბოლოს დაურთე ლექსიკონი და აწერილობა ყველა ოთხი ვარიანტისა, რომელიც ხელში მქონდა (ერთი ამ სამი კვირის წინ შემოწირეს, ამ საუკუნის). წიგნი ამ ზაფხულში გამოვა. წინასიტყვაობა ეხლა უნდა გაუგზავნო ტფილისში, მაგრამ შენი სტატიის და ბ. როზენის რეცენზიის გარდა არაფერი არ მაქვს ხელში. შენ რომ ეხლა სტატია მომიტანე სომხური ხელ-ნაწერების შესახებ²⁰¹, ის მეორე ნაწილია და ეტყობა რაღაც პირველ ნაწილში დაგიწერია ბალავარის შესახებ და მომეწოდე, თუ გაქვს, იქნება გამომადგეს ის ვარიანტი „ბალავარისა“, რომელიც შენ გქონდა ხელში შენი სტატიის დაწერის

დროს, მერმე განვრცობილათ ვიცანი და უარ ვყავი სიძველე ორის ვრცელის წერილისა, რომელიც ორ ჩემს ვარიანტში არ იყო, და აგრეთვე ზოგიერთი სხვები ადგილისა. განსხვავებანი დაწვრილებით ყველა ვარიანტებისა არ ამინიშნავს, მაგრამ უმთავრესი განსხვავებანი, (უფრო თვალსაჩინო) კი აღვნიშნე. გამოცემა კარგი უნდა იქნეს. ბევრი შრომა მოვანდომე. ოც აგვისტომდის მე თფილისში ვიქნები და შკოლაში ჩამოვხტები. შენც იქ მოდი, ადგილი ბევრია. თუ ახალ ბინაზე ვერ მოვასწარი გადასვლა, იქ ვიქნები დროებით, ოთახები ბევრია. აქ ეხლა უნდა შეუდგე „ქართლის მოქცევას“ და „ნონოს ცხოვრებითურთ“ გავათავო. გუჯრები აქ ბევრი ვიპოვე, ზოგიერთი ხელ-ნაწერებიც არის, არა ძველი. ახლო-მახლო ადგილებშ უნდა დავიარო და მანგლისშიც წავიდე. ხახანოვი ჩამობრძანდა ტფილისში, მე წ.-ვის საზოგადოებაში შევხთი. რაღაც არ იამა ჩემი ნახვა. რას მუშაობო — მკითხა, ვგონებ მასალა შემოკლებია და უნდა კიდევ რამე მომალღიტოს. მე არაფერი არ მითქვამს. ჩემი ადრესო დაიწერა, ვითამ მოსლას აპირებდა, მაგრამ არ მოსულა. ჩემი გიმნაზიაში დანიშვნა შეფერხთა (ისტორიის ადგილი არ არისო და ძველენებზე პირდაპირ ვერ დაენიშნავთო — იანოვსკიმ) ჭერ არ გათავებულა საქმე და არ ვიცი რით გათავდება. ეს ამბავი მას შემდეგ მომწერა იანოვსკიმ, როდესაც მესამე გიმნაზიის დირექტორმა დამიბარა და გამომიცხადა ექვსი უროკი გექნება ლათინურის პირველ კლასშიო. ის დირექტორი აბასტუმანშია ეხლა და იანოვსკიმ მისწერა — ერთი ორი გაკვეთილი ისტორიის მიეციო. არ ვიცი რით გათავდებო საქმე. შენ როგორ ხარ, რა ნახე; როზენმა რა მოგწეოა, ცოლიდგან რა ამბავი მიიღე — ყველაფერი მომწერე. ბელი-კლიუჩში ჩემ სახელზე როზენის აღრესიცი მომწერე. შენი „საბას მოგზაურობა“ არ დამიბეჭდია, ის დაბეჭდილი ყოფილა და მერმე კიდევ კარგათ გავშინჯავ, როინოვი²⁰² იყო ბორჩალოში. არავითარი ლურსმური წარწერა არ უნახავს, რაღაც დაფხაჭნილი ქვა ყოფილა და ლურსმურ წარწერათ მოჩვენებით უბრალო ქვა. ამით გათავდებო სეკრეტო მოსკოვის არხ-ურის საზოგადოებისა. მონასტრების სურათი კი ვაღმოუღლია²⁰³. ქართული რა ნახე? სინამდის დარჩები ანში, მომწერე.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი -

ქ მ ა ო ე ქ ე თ ი ვ ე ,

გუშინ მივიღე როზენიდან წერილი და ვისწრაფი შენი წერილის პასუხში შეგატყობინო, რომ ძლიერ მადლიერია შენი მოწვევისათვის თანამშრომლად. სტატია დროზე მისწრებია²⁰⁴, ახლა კიდევ მიღებული გექნება კორექტურა, გავუგზავნეო, იწერება. თუ აღრესი თფილისზე გქონდა მიწერილი, მიაკითხე თბილისის ფოშტაში, რომ დროზე დაუბრუნო გასწორებული.

სომხური „ბალავარის“ შესახებ მცირე შენიშვნა მაქვს, მაგრამ ხელად არ მაქვს და არ ღირს მისთვის გამოცემის დაკავება, რადგან სომხური ბალავარი ცნობილი შემდეგი დროის ახალის შედარებით ნაწარმოებია და ძველი ჯერ არ მინახავს. არის სხვა წერილები, მათ რიცხვი ლეგიონი „ბალავარის“ შესახებ, მაგრამ შენ შრომას ფაქტიური მიმართულება უნდა მისცე და მაინც და მაინც საჭირო არ არის მათი გაცნობა ჯერჯერობით.

იანოვსკის ქცევა მაკვირვებს, ვნახოთ, ბოლოს რას იქს. დაბრუნებისას კიდევ ვნახავ, მაგრამ საუბედუროდ გვიან იქნება, ჩემი კომანდიროვკა გამიგრძელეს ოც სექტემბერამდე, სექტემბერში ვბრუნდები ისევ ბორჩალოს უეზდში, სადაც ჩემი წერილის ანახმად სამარეები კერპთმსახურთა მომანდევს სათხრად და გასასიჩქვათ. თფილისში ვიქნები 10 — 12 — 15 სექტემბერს. წერილი მანამდე მომწერე შემდეგი აღრესით. (Эрив. губ., Эчмиадзин, Н. Як. Марр, до вост-
:pre.) საბას მოგზაურობა დაბეჭდილია ვიცი, მაგრამ ჩემი ამოწერილი ნაკვეთი ბროსეს ხელნაწერიდგან არ უნდა იყოს დაბეჭდილი, თუ თერთონ შენ კარგად არ ვაგიშინჯავს. ცოლის ამბავს იკითხავ, მადლობელი ვარ, კარგად არის, ბავშვიც კარგად არის, მაგრამ ქმრის ამბავი იკითხე, ძნელი და გასაჭირია. ცოლქმრობის მხოლოდ ეს მინახავს უსიამოვნება, რომ დაშორება, მანავად ხანგრძლივი, ძალიან დაადონებს კაცს. ისე კარგად ვარ, ცივებამ ორჯელ დამეტაკა, მაგრამ გადაურჩი. თხრამ შედეგი იქონია შარშანდელზე უმეტესი, დაწვრილებით მოვალ, გიამბობ. აქ ვრჩები ოგოსტა 7—10 რიცხვამდე, შემდეგ მივალ დვინის საძებრად²⁰⁵, დაბრუნდები ბორჩალოს და სხვა.

შ ე ნ ი ქ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

არ დაივიწყო დაპირებული ხილვად გრიგორი განმანათლებელისა და საუბარი მისი ანგელოზთან²⁰⁶. აგრეთვე გთხოვ, თუ გრიგორი განმანათლებელის ან რიფსიმესიანთა ცხოვრება ან მოქცევაა სომეხთა წერილი ცალკე ან სვნაქსარში შეგხვდეს, თუ გადმოწერა არ შეიძლება, ცნობა მაინც შემიწახე. აგვისტოს დამლევს ჩემი ცოლისგან წერილს მიიღებ ჩემზე გადმოსაცემლად. მოსელამდი შემიწახე.

ი გ ი ვ ე .

ამ წერილის გამოგზავნა დღემდი ვერ შევიძელი. დღეს, 13 აგვ. მოვედი ალექსანდროპოლს²⁰⁷. შენი წერილი ეჩმიძინს ვერ მომასწრობს. სჯობს შემდეგი ადრესი: Борчалинский Уезд. Джалал-оглы Михрану Багдасарову для передачи Н. Марр.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ო

ანის თხრა ამ წელს დაეასრულე. მივალ დვინს. იქიდგან ბორჩალოში. თფილისში სექტემბერში ვიქნები 18—30 დი, ან 18—25 დი.

34

11 დეკემბერი 1893 წ.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო !

უცდი, უცდი შენ წერილს და ვერ ველირსე. ერთი ორიოდე სიტყვა როგორ ვერ მომწერე, როგორ ხარ, რასა იქ. ეხლა გთხოვ, როდესაც ეს წერილი მიიღო „თიმსარიანი“, „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ ცნობები რომ დამპირდი, ნუსხა იმისი, თუ სად არიან ქართული წარწერები და სხვა, რაც დამპირდი, გამომიგზავნო, ის სტატიაც, სადაც წარწერების გადაღების რეცეპტია მოყვანილი. როზენს სტატია გამოუგზავნე და ამ დღეებში მინდა კიდევ ნიკორწმინდის შესახებ შენიშვნები გამოუგზავნო. ის სტატია ერთი ვადიკითხე და თუ რამ შესასწორებელი ნახო, შეასწორე. ო და უ-ნის შესახებ ვერ მივედი ჯერ ვერაფერ დასკვნაზე, იქნება შენ გაუყეთო შენიშვნა. ამას გარდა მაინც, რას ამბობს როზენი. ჩემი სტატიის²⁰⁸ ოტტისკები მშვენივრად დასტამბული ყველა მივიღე, ძრიელ მიამა. წევრობაზე როზენი არაფერს იწერებოდა, როდის გამოვა შემდეგი წიგნაკები „ზაპისკებისა“ მომწერე, იქნება ბარათაანთ გაყრილობის წერილის

შემუშავება მოვასწრო. ესლა ამ ზაფხულში შეკრებილის მასალის შემუშავებას შევეუდექი აქ პაპეჩიტელის „ზბორნიკში“²⁰⁹ უნდა დაე-
ბეკდო. „ბალავარი“ არ დაბეკდეს ჯერ. უნდა მეორე მოამბის ნომერ-
ში დამატებათ დაბეკდონ. შენი პარტრეთი და შენი მეუღლის რომ
დამპირდი, რათ არ გამომიგზავნე? დათიკო ქუთათელაძე ნახეჩევანში
გადაიყვანეს პოდატნოი ინსპექტორად და ხვალ მიდის; სომხური
ტექსტების გადმოღება დავაბარე. მომწერე ყველაფერი ამბავი. ილი-
კო ნაკაშიძე მომიკითხე, რა[ს] შერება, მიიღეს თუ არა უნივერსიტეტ-
ში? შენი მეუღლე მომიკითხე.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

85

[1894]

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

გვიან გწერ პასუხს. არ იფიქრო, მოსაწერი არ მქონდეს ან მო-
წერა არ მსურდეს, მაგრამ რა ვქნა. დისერტაციამ სულ დამატუსადა-
ერთ ნაწილს, მესამეს, მალე მიიღებ, მეორე მანში გამოვა და პირ-
ველი, თვით გამოკვლევა, მზათა მაქვს, ოღონდ ბეკდვას ვიცდი, რად-
გან ზაფხულზე იქნება სამზღვარ გარე წავიდე²¹⁰.

წევრად არქ. საზოგადოების ამ დღეებში ამორჩეული იქნები,
თუ უკვე ამორჩეული არ ხარ. თვეზე მეტია, რაც როზენმა მითხრა,
რომ ამოირჩევენ ამ დღეებში²¹¹. კანცელარიის მიწერ-მოწერა და
ქაღალდის მომზადება დიდხანს მოინდომებს.

წარწერებისას ჯერ არ გწერ არაფერს, რადგან ფიქრში სხვა ან-
გარიში მქვს, არ ვიცი მხოლოდ, ამისრულ[ლ]დება თუ არა სურვილი-
მე მსურდა კომმისიისთვის რჩევა მიმეცა, რომ შენ მოგანდონ სა-
ქართველოს არქეოლოგიური შესწავლა, ესე იგი მგზავრობა, აღწერა
და თხრა, თუ სადმე საჭირო აღმოჩნდა. მაშინ თვით კომისია გამო-
ვიგზავნიდა ჩემ შეკრებილ ცნობებს ქართული წარწერების შესახებ
ბორჩალოს მაზრაში, თვით მოგანდობდა ამ საქმეს და უფრო სასარ-
გებლო განწყობილება ჩამოვარდებოდა შენთვისაც და საქმისთვისაც.
საუბედუროდ ცუდ წიშნებს ვხედავ ამ დალოცვილებშიც. აქაც ხმას
და სახელს მიზღვევენ და არა საქმეს. ნამდვილად და დარწმუნებით
არ ვიცი ჯერ და იმიტომ არ გწერ დაწერილებით, მაგრამ ვხედავ კი,
რომ ჩემი მგზავრობა უფრო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოე-
ბასთან ქიშპრობის შედეგი იყო, ვიდრე კავკასიის ნაშთებთა შესწავლის

სურვილი. აუარებელი მასალა შემიკრებია. არავინ თავს არ იტყენს და არ ფიქრობს გამოცემას. მაგრამ ეს ჩვენ შორის დარჩეს, ვნახოთ.

ამბობენ (ილიკომ მითხრა), რომ მე „მოამბეს“ თანამშრომელთა შორის აღრიცხული ვარ. თუ მართალია და მსვლელობა გაქვს „მოამბის“ რედაქციაში, ჩემი სახელი აღმორიცხონ. „გრუზინოლოგია“-ზე ზელი ამიღია და „მოამბის“ თანამშრომლობა სრულებით არ შემიძლია უდროობის გამო. რადგან სამუდამოდ გადამიწყვეტია ქართულის შესახებ არა დავწერო რა ჩემის ნებით, იწუ მიწყენ, რომ ხელნაწერ დისერტაციის გამოგზავნაზეც ვარი უნდა გითხრა.

სომხური ენა და სომხური მწერლობის შესწავლა იმდენ დროს ითხოვს და იმდენ მასალას მაძლევს, რომ შეუნდობელი ცოდვა იქნება ორ ყურდელს გავზდიო. დისერტაცია თავის რიგად; სხვა კითხვები არა ნაკლები საინტერესოა. თვით „კლასიკური“ (მე-V საუკ.) სომეხთ მემორიეთა შესწავლა დღემდე ურიგოდ, გასაშტერებლად უმეცრებით „ხელშეხებულია“ და დაწყებული. ამ ბოლო დროს ვითომ კრიტიკულად არჩევენ და უარყოფენ ტრადიციონულ ცნობებს მწერლების შესახებ, მაგრამ ყველა ამ კრიტიკას ტექსტის მიუხედავად ღონისძიების მიუძღვის. ფებერვალში წასაკითხავად ვამზადებ რეფერატს მოსე ხორენელის შესახებ²¹². რუსული თარგმანი რადლოვის²¹³ თხზულების (წარწერების შესახებ)²¹⁴ ავტორსაც არა აქვს. წევრად რომ ამოგიჩვენ, თვითონ ვეტყვი როზენს, რომ როგორც წევრს გამოგიგზავნონ ძველ გამოცემათაგან იგი ტომი, სადაც რადლოვის სტატია არის. გამოგიგზავნი აგრეთვე Сбор. Палест. Общ, სადაც ჩემი თარგმანი და გამოცემა (სომხურ.) ფოტის მიწერ მოწერა სომხებთან²¹⁵. ბ. ქერამევსმა²¹⁶ მითვისა გამოცემა თვით და ასიოდე მანათი ჩემ მაგიერ აიღო პალესტ. საზოგადოებისაგან. ძალიან დამავალე, თუ ბეგიჩევთან²¹⁷ ან სადმე Кавказский Календарь 1850 г. მიშოვნი და გამოგიგზავნი. ფასი ზედ დააწერე ან ცალკე ქალაქზე. მუზეუმისთვის²¹⁸ არის საჭირო. ფულს მე გამოგიგზავნი. სამ მანეთზე მეტი არ უნდა ღირდეს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

გიგზავნი პორტრეტს. 2 იანვ.

(P. S. ილიკო გვარიანად ითვისებს სომხურს და სურს დედანს შეადაროს ქართულ მატრიანეთ სომხური თარგმანი. სემინარიაში რა მოხდა?²¹⁹ გეცოდინება მომწერე).

(PP. S. ცოლი მადლობას გითვლის მოკითხვისათვის).

(PPP. S. ჟორდანისგან მივიღე მისი დიდი გამოცემა:²²⁰: ბეერს მას-
ლას უნდა იძლეოდეს. ჟერ არ გამისინჯავს).
(შენი პორტრეტი გამოგვიგზავნე).

86

[1894 წ.] იანვარი..

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ვიჩქარი გაცნობო ერთი ამბავი, რომელიც, ვგონებ, გასიამოვ-
ნებს, კომისიამ (Им. Археолог. Коммиссия) ისურვა შენი გა-
ცნობა, რომ შემდეგში თავის თანამშრომლად გრაცხვიდეს, თუ რამ
კითხვა აღიძრვის კავკასიის, განსაკ. საქართველოს არქეოლ. შესახებ.
სურდათ, ჟერ დაეკითხათ, ისურვებ-თუ არა კომისიისთვის შრომას,
მე დაეარწმუნე, რომ შრომას არ დაზოგავ. და ახლა პირდაპირ მო-
გმართავენ, რომ ამ ზაფხულზე რაიმე მცირე საქმეს ხელყო და თხა-
რო მცხეთას ან სხვაგან (ცოდევ უკეთესი, თუ გეგულვება სხვა კერპთ-
მსახურთა სამარენი). დასაწყისისათვის ფულს ცოტას მოგცემენ, მაგ-
რამ იმედია ფულის ანგარიში არ შეგაჩერებს: აქ თავი და პირველი
საქმის დაწყება არის. შენ კარგად იცი, რომ უკეთესი ჭილდო ის
იქნება, რომ მეცნიერებას შესწევ. კომისია დროზე „открытый лист“-
სა²²¹ და სხვასა გაწვდენს. ეს წერილი ჩვენ შორის დაჩჩეს. გიგზავნი
აღრე, რომ მოიფიქრო და ვარი არ თქვა, თუ დალისტანს გეგულვება-
ან (ბათუმის მხარეში ან საქართველოს სხვა კუთხეში ხელშეუხებელი
სამარენი კერპთმსახურთა, ცნობები შეკრიბე).

(P. S. პირველ ხანს რაც გთხოვონ, ის აასრულე. ჩვეულებრივი გულს-
მოდგინებით).

PP. S. პატრიოტული მხრით თუ შეხედავ საქმეს, ამ მხრითაც
სასარგებლოა. ამის შესახებ ახლა არ გწერ. ველი შენს პასუხს.

ნ. მ ა რ რ ი.

(P. P. P. S. თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, შემდეგ — ნახვის დროს.
სამწუხაროდ წელს ვერ ვნახავ. სამზღვარ გარეთ ვაპირებ)²²².

(P. P. P. P. S. წაიკითხე Morgan²²³-ის Mission Scient au Caucase
1 ნაწილი. თუმც მაინც და მაინც მეცნიერული არ არის, მაგრამ
თხრის როგორაობას გაგაცნობს).

NB შენი პორტრეტი არ დაივიწყო.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ორივე შენი წერილი მივიღე. პარტრეთისთვის დიდი მადლობა, ძრიელ მამე. უკანასკნელი შენი წერილი დღეს მივიღე; რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით ვეცთები ავასრულო ყველაფერი კომისიის მონდობილობა. მათი გამოცემანი გამოავაზენიე, იქიდგან შეისწავლის კაცი პრაქტიკულათ თხრის გარემოებას. მე მგონია, პირველ წელს ისეთ ადგილას უნდა დავიწყო თხრა, რომ რაიმე აღმოჩენეს, თვარა გლახა შთაბეჭდილებას მოახდენს კომისიაზე ხელ-ცარიელობა. ამისთვის მეშინია მცხეთას და სხვა ადგილას საქმის დაწყობა ჯერხანად. და თუ შენ გამაპირდები ბორჩალოში, სადაც შენ და მორგანმა თხარეთ, იქ მოვთხრი მეც, იქ კი უქვევლი იქნება ბრინჯაოს საქონლების პოვნა. მელიქოვებიც დამეხმარებიან. შენ როგორ ფიქრობ, მომწერე და გამიპირდი, როგორც ჯობდეს. იქ წარწერებსაც ვნახავ. ძველი საფლავების მონახვას მოგზაურობა უნდა და კომისიაც არ დამიშლის მგონი ამ მიზნით მოგზაურობას. შენი ჳირიმე ნიკო მომწერე, როგორ მოხდა ეს ჩემი დანიშვნა. ნუ დაიზარებ. ბარათების სიმოკლისათვის გულნატკენი ვარ. წარმოიდგინე მაქ ვარ შენთან და ღროს გართმევ ბაასით. ერთი-ორი საათი მიიცალე და ყველაფერი, რასაც ორთავე წერილში მოკლეთ იწერები, დაწვრილებით მომწერე, ძრიელ მეინტერესება, რათ არ ბეჭდვენ შენ გამოკვლევას და მასალას²²⁴. მაქაც შარლატანობაა?

როზენის საზოგადოების (Археол. Общества) წევრობა არა ნაკლებ საპირთა ჩემდა და თუმც ამომირჩიონ იქ, მათ მოწერადის შემეტყობიე; მაქიდგან თუ გავიმავრებ ზურგს, თორემ აქ ლამის შემქამონ. ჩემი სტატიები როდის დაიბეჭდება მომწერე. უსათუოთ კორექტურა „უსვიორსტკოდ“ (ესე იგი დასაბეჭდათ მომზადებამდის) გამომიგზავნეთ კორექტურისათვის; აქ შესწორება დასპირდება და იქნება „სვიორსტკის“ შემდეგ არ მოხერხდეს. როზენმა სნიმკები მომთხოვა, ერთი თვეა რაც მაგ საქმეზე დავრბივარ და ყორდანიას ინტრიგებით და დანოსებით დღემდის ვერა გავხთი რა. დღეს გადაუცია ფოტოგრაფისათვის მხოლოდ. ბაქრადის სიკვდილის შემდეგ მუზეუმის კლიტე ჩაიგდო ხელში, კაცი პატრონი არ არის, მუზეუმის საქმე იკითხოს. პრედსედატლათ არხიმანდრიტი ნიკოლოზი²²⁵ ირიცხება, მაგრამ მუზეუმში თავის დღეში არ ყოფილა. მე რომ სნიმ-

კები ვსთხოვე, ასე ეგონა ვატყუებდი და ეს საქმე მუზეუმისათვის დიდი საზარალო იქნებოდა ეგონა. უეგზარხოთ არ იქნებაო, ეგზარხთან გვაგზავნენ და ეგზარხმა ნება დართო, მაგრამ ჟორდანიამ არ მიუტანა ფოტოგრაფს გუჯარი, არც დრო დანიშნა მუზეუმში მიმეყვანა ფოტოგრაფი. ერთ დღეს სიტყვა მისცა არხიმანდრიტს, ამ დღეს მე მივიტან ფოტოგრაფთანო, მაგრამ არ მიიტანა, თუმც უგუჯროთ მივიდა და უთხრა, არ ვიცი როდის მოგიტანო. მე წავედი ეგზარხთან (ერთი ვიღაც საცოდავი გლახაა, არაფერი არ გაეგება). ეგზარხმა თქვა: მე რა ვქნაო, განკარგულება მოვახთინეო და თუ არ აასრულებენ, ჩემი რა ბრალიაო. მერმე უთხარი, ტელეგრამას გავაგზავნი პეტერბურგში მეტქი და მართლაც ვაპირებდი, მაგრამ დღეს შევიტყვე მიუტანია ფოტოგრაფისათვის. ჟორდანიას ეგზარხთან ყოფილა და გაუბერავს დანოსებით. ყველაფერს ამის შესახებ ეხლა ვერ მოგწერ. სწინამკებს რომ გამოვაგზავნიებ (თვითონ პრედესედატელმა თქვა: ეგზარხმა მითხრა შენი სახელით გააგზავნეო, და მე რა მენაღვლება), მაშინ წერილს მოგწერ. ჟორდანიას წიგნი ერთი წაიკითხე და მის მამაძაღლობას, მაშინ შეიტყობ, როგორ ეზუიტურად უქცევს ვითამ გზას ჩემს აზრებს და იმავეს თავისათ იმეორებს, სუდის დროს გატყდა²²⁶, რვეული მე მივეციო და ეხლა რას ამბობს, თუმც პირობაც აქვს დადებული — სამედიატორო საგნის შესახებ სამუდამოთ არაფერი კითხვა არ აღეზრათო. ყველა მასალები ცნობილებიდან არის გამოკრებილი. მე თლათ გაუფცქნივარ. უპირებენ პასუხის გატყმას, მაგრამ მე ჩემის მხრით პასუხს, შენც თუ მირჩევ, არ გავსცემ, თუმც აუარებელი საბუთები მაქვს მის განსაქიქებლად. „ივერია“ ეწევა და ყველა ხეირიან ქართველებს დანოსს უკეთებს, სემენარიის ბუნტში ურევიაანო. სემენარიელებმა არცა მიართვეს ეგზარხოსს, — ქართულს არ გვასწავლიან, გვლანძღვენ-გვაგინებენ ამღზრდელები და ჩვენს ენას ძაღლის ენას ეძახიანო. და ჩვენი მდგომარეობა გააუმჯობესეთო. ამას ბუნტი დაარქვეს და დაითხოვეს შეგირდები. საქმე სინოდშია და რით გათავადება, ვნახოთ. სხვა არაფერი უწესობა არ ყოფილა. თუმც წვერათ ამომირჩიონ მაქ, შემდეგ საზოგადოებას ეგზარხოსისთვის წერილი მოაწერიე, რომ оказать содействие при за-
НЯТИИ В ЦЕРК. Музее და იქნება რამე გავახერხოთ, მაინც მინდა აღძრა კითხვა და ეგზარხოს მივსცეთ ქალაღდი ჩლენებმა მუზეუმის შესახებ. ასე წარმოიდგინე როზენის წერილსაც ექვის თვალით შეხედეს. რა ხალხში ვართ, არ გიკვირს? როცა სწინამკებს გამოვაგზავნიებ, მაშინ როზენს წერილს მოვსწერ, მაგრამ ინტრიგებზე დავიდუმებ, თუ საპირო იქნება, შენ ეტყვი. შენი ჰირიმე, კარგათ გამოა-

ცემიე „სნიმკები“. ნიკო! თუმც „გრუზინოლოგიაზე“ ახალს არაფერ დასწერ, დაწერილი და გამოკლუელი რომ ვაქვს, იმას რაღათ არ აჩენ, ნუ იქ მაგას, თუ ღმერთი გწამს. მე გამომიგზავნე და მე დავაბეჭდიებ. „თომსარიანი“ რათ არ მომაწოდე? აგრეთვე ის წარწერები და იმ ადგილის სახელები, სადაც წელს და შარშან ქართული წარწერები²²⁷ ნახე, ასე თუ ისე მომაწოდე. მწყინს, რომ წელს ვერ გნახავ. არ გერჩია, რომ დისერტაციის შემდეგ წასულიყავი საძლვარს გარეთ, თუ წასვლას რაიმე დამოკიდებულება აქვს დისერტაციასთან. შენი სტატიები ყველა მომაწოდე თავ თავის ღროზე და ერთიც მიხ. ივან. თამაშვევისათვის მომაწოდე. დიდი მეგობრები ვართ (შენ გიამება — სომხებს გაუამხანავდი, სულ კითხულობს შენს ამბავს). პარტრეთი მოგეცი მგონია აქ რომ იყავი, მაგრამ მაინც გამოგიგზავნი შემდეგის წერილით. შენი ცოლი მომიკითხე. მომიკითხე ილიკო და უთხარი მისი ადრესი მომწეროს.

კორრექტურა უსათუოთ გამოგზავნიე იცოდე²²⁸, ჩემო ნიკო,

შენი ძმა ე. თაყაიშვილი.

(P. S. ჩემ სამსახურის შესახებ მაქვს ბევრი მოსაწერი და შემდეგ მოგწერ. Календарь-ს მოვკითხავ უსათუოთ).

(Emilio Teza-ს²²⁹ წერილი მომივიდა და პასუხიც მიცსწერე. არმენისტი ყოფილა: მექნება სახეში შენი თხოვნა. მაგრამ ახლო ხანში ვერ დაგპირდები-მეთქი).

88

[1894 წ.] თებ.

ძ მ ა თ ე ქ ე თ ი მ ე ,

თარგმანში უმნიშვნელო რამ შევცვალე და მგონია შენც დამეთანხმები: 1) მამასა შიოს ლავრასა მლუიმესსა — „შიოს ლავრასა მლუიმესისა მამას“ ნიშნავს, განა არა? 2) ...კვეის ადგილი ბურტუის ჯუარი = местность Буртуис — Джуари в ущельи, ან ущелья, ესე იგი ეგ „ადგილი“ ყოფილა ნაწილი რომელიმე „კვეის“.

საკოდრისა: შეტდომა ხომ [არ] არის „საკოდრისა“ მაგიერ: კორდი = невспаханное поле, пустошь.

გიგზავნი გაუსწორებელ ეგზემპლიარს კორრექტურის²³⁰. არ დააყოვნო. მიღებისათნავე გაასწორე. შეგიძლია კიდევაც დაუმატო, მაგრამ ეგ უკანასკნელი იქნება. თუ ვერ მოასწარი, მე VIII-ში ვეღარ

შევა. შენგან მიღებამდი აღნიშნულ შეცდომებს გაასწორებენ.
Н. Материалы по Арм. Эпигр. ხომ მიღებული გაქვს. მ. თამამ-
შევთან შენი მეგობრობა ძალიან მიამა. მე დარწმუნებული ვარ, რომ
ვიდრე ქართველნი და სომეხნი: მტრულად ან გულგრილად უყურებენ.
საუბრითიერთო განწყობილებას, ვერც ერთი თვალსაჩინო წარმატებას
ვერ შეიძლებენ. საუბედუროდ, დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რამ-
დენიმე მოდგმა უნდა გამოიცვალოს, რომ ერთმანერთს დაუახლოვ-
დენ შეგნებულად და იგიც, თუ მწერთნელი მწერლობა გამოჩნდება.
არის იმედი? მე აქიდგან ვერაფერს ვხედავ.

დისერტაციის ტექსტი სომხური ამ წლის დამლევს (მაისში) მზათ
იქნება. თვით გამოკვლევა გაისს. ვ[ი]ჩქარი. კომისია ყველაფერს მოა-
წყობს. შენი აზრი გამოთქვი ჩემი ნათხრის გაგრძელებისათვის ბორ-
ჩალოში, როცა მოგიწოდონ, რეკომენდაციას ძალიან გაწვდენენ. მო-
თმინებითა შენი მოპოვო და სხვა. „კრიტიკას“ ნუ რას ეტყვი.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

1 თებერვალი, Кавказский календарь 50 г. ვიჩქარი გრაცში.

89

12 თებერვალი 1894 წ-

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი წერილი მივიღე და კორრექტურა მესამე დღეს მომივიდა.
სტორეთ ორი დღე დავაყონე, მაგრამ შენ თუ ძრიელ არ დამეხმარე.
ჩემი ერთი კორრექტურა არ იქმარებს. ტექსტის შესასწორებელი ნუს-
ხა ცალკეა და ეს საქმეს გაგიადვილებს. მე მაგი სიგელი²³¹ ბაქრაძის
სიცოცხლეში გადმოვსწერე და ეხლა მომეცა შემთხვევა მხოლოდ
შემესწორებია. რაც გავასწორე, ისე უნდა დაიბეჭდოს. პალეოგრა-
ფია²³² გამოვგზავნე და შენ დამეხმარე, რომ კარგათ დაბეჭდონ, დი-
დი მნიშვნელობა ექნება. რუსული ტექსტი შეძლებისამებრ შეუთან-
ხმე ახალ განასწორებს, მაგრამ თუ ყველა ვერ მოვასწარი, ერთი შენი
მადლიანი თვალი გადააველე და ტექსტი ქართულიც პალეოგრაფიას
შეუდარე, ნამეტნავათ წერტილებს მიაქციე ყურადღება და სკოპებიც
სადაც არ უნდოდეს, ამოშალე. ამას გარდა, ერთი ადგილი სადაც სწე-

რია: „მან ვინ უმაღავთ“ რაღაც არ მოდის და ნახე „მათ ნუ (ანუ ნო) უმაღავთ“¹ ხომ არ არის, ან „უმაღავთ“ და როგორც გაჩვენოს პალეოგრაფიამ, ისე გაასწორე ქართული და რუსული ტექსტიც. „საკორდისა“ დამიჯდა ჭკუაში და ისე გადავასწორე, იქნება მეორე ჩემი მოსაზრებაც უადგილო არ იყოს და თუ ისიც საჭირო დაინახო, მიუმატე с некоторою натяжкою можно объяснить и так თქო; თუ საჭიროთ არ დაინახო, დაეთხოვე: „შიოს ლავრასა მღუიმისასა მამას“ გადაასწორე. „კევის“ მაგიერ „კევს“ უნდა და საქმე მაშვინ აშკარაა, პირველ შემთხვევაში „ბურცუის“ დატიე და სხვა „ბორცოის“. თუმცა პირველში „ბურცვის“-აც შეიძლება წაეთხვა მგონია, მაგრამ უკანასკნელი შემთხვევანი, სადაც „უ“ მაგიერ „ო“ უჩვენებს, რომ პირველში „ბურცუის“ არის და მაგი „უ“-ც „ვ“-ს არ გავს. სხვა ტექსტის შესწორება ყველა აღნიშნულია ნუსხაში. „ა“ ყველგან „ი“-თ შესცვალე. პალეოგრაფია მშვენიერი გამოვიდა, რადგან მე თვითონ დავადექი თავზე და უჩვენე ხაზები. ტატიშვილი²³³ მაინც ძრიელ დახელოვნებულია. ხარჯი მე ჩემ თავზე მივიღე ამ პირველ ხანში. მე-5 შენიშვნა რუსული დაჩხაბნილია, მაგრამ კი მიხთები მგონია. მე ორი წერილის პასუხი არ მომსვლია როზენიდან. თუ თამარის „გუჯარს“ ცალკე პალეოგრაფიით დაბეჭდავთ შემდეგ №-ში, მაშვინ შენიშვნა გაუკეთე სტატიას: ის გუჯარი შემდეგ გამოცემაში დაიბეჭდება თქო. თუმც ცალკე არ დაბეჭდავთ, უსათუოთ სამი უკანასკნელი პალეოგრაფიული წერილები დაბეჭდეთ ამ სტატიასთან. უკანასკნელი ხელის მომწერის სახელი „იოანე ურბნელია“, აქ კორექტურაში „ორბელი“ სწერია. ავად მხარგრძლათ არის ცნობილი, როგორც მოგეხსენება, და აქ ორბელათ სწერია. ეს პირველი შემთხვევა არის ქართულ წყაროში, რომელნიც გვარს საზოგადოთ არ იხსენიებენ. ამას გარდა. „Заметки о Никорциминдских древностях“²³⁴ რათ არ დამიბეჭდეთ? თუ ჩვეულებრისამებრ გაგრძელდეს „Записк“-ების გამოსვლა და შეიძლებოდეს კიდევ მოსწრება კორრექტურის, გამომიგზავნე, თვარა კიდევ გთხოვ დამეხმარო და გულდადებით შეასწორო ყველაფერი. არქეოლოგიური კომისიიდან, წინააღმდეგ შენი წერილისა, მომივიდა შეკითხვა, ვიღებ თუ არა თავის თავზე თხრასო. მე შენი უკანასკნელი წერილის მიღებამდის გავგზავნე პასუხი ნაჩქარევით და თანხმობა გამოვამცხადე. ვრცელი მოხსენება არ გამომიგზავნია, თვარა ჩამოვთვლიდი დაწვრილებით, მაგალითათ: შარშან

¹ ან და ნო ვინ უმაღავთ (ან „უმაღავთ“. ძრიელ დაუკვირი, „ღ“ მოკლეა ყოველთვის მანზე) ნარს თუ თავი გაგრძელებული აქ, ის გაგრძელება „ით“ უნდა წაეკითხოთ. მაშინ რუსული თარგმანი ასე იქნება „И никто пусть не нарушит“.

ქორიძემ ჩამოიტანა აქ საჯავახოდგან ეგრეთ წოდებული კოლხიდური ფულები და თქვა რაღაც შენობები გამოჩნდა მიწაშიო. შარშან ერმილე ნაკაშიძემ მომიტანა ბრონზის ნატეხები იმერეთიდან და ზეთ ირმებია დახატული, მიწაში ეპოვა გლეხებს სასაფლაოში. საგურამოში მეგულება კიდევ სასაფლაოები, მაგრამ ბორჩალოში მისთვის სჯობს, მგონია, რომ ეპიგრაფიულ მასალასაც შევკრებ. ყოველ შემთხვევაში მცხეთაშიც რომ ვთხარო, არ გავწპილდები მგონია და ვეცთები ყურადღება დავიმსახურო საზოგადოების. ვინ მწყალობს რეკამენდაციებით, მომწერე. დამეხმარე, რომ კომისიის გამოცემანი გამომიგზავნონ²³⁵. შენი თხრის მასალა როდის დაიბეჭდება? ჩლენობის ამბავი არხეოლოგიურ საზოგადოებისა როგორ არის? წიგნები მინდა და მით მეშურება. კარტოჩკას გიგზავნი. Материалы к эпиграфике ოტტისკათ არ მომსვლია. 75 წლის იუბილეი დიდის ამბვით გადვიხადეთ²³⁶, ერთი თუმანი დამიჯდა. ეხლა მინდა ჩემ შესახებ მოეწერო, როგრო მირჩევ, ან როგორ სჯობია. აქ სააზნაურო შკოლაში ინსპექტორის ადგილი იხსნება, ჭიკინაძეს²³⁷ სახალხო სკოლების ინსპექტორობას აძლევენ და მიდის. მე ვყავართ სახეში, თუ ვისურვებ, და რა ვქნა, არ ვიცი. იქ იმდენი საქმეა, რომ ეხლაც ვერაფერს ვაკეთებ საქართველოს შესასწავლათ და მაშვინ სულ ვერაფერს გავაკეთებ. გიმნაზიაში ჩემი ძრიელ ყმაყოფილი არიან დირექტორიც და სხვებიც, მაგრამ როდის დამნიშვნენ შტატნათ, არ ვიცი. ტფილისში გიმნაზიაში სამსახურიც ძრიელ ძნელია, ბევრი შეგირდებია და აუარებელი შრომა. ასეა ეხლა ჩემი საქმე და ჯერ ვერაფერ გადაწყვეტილ გზაზე დავადექი. შენ რას იტყვი? ყველაფერი ეს ჩვენ შორის დარჩეს და ნურავის ეტყვი. შენი ცოლი მომიკითხე. კალენდარი ჯერ ვერ ვიშოვე, ვცთილობ.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

P. S. სიტყვების იქით „публичному решению“ მგონი ტექსტის შესწორების შემდეგ ასე სჯობია მიმატება: „Не скрывайте ее“ (აქ შესწორება უნდა ტექსტის მიხედვით პალეოგრაფიაში). კათალიკოსის იოანეს მინაწერის თარგმანს კარგათ დაუკვირდი, არ აგერიოს.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ინსპექტორობაზე ხელი უნდა აიღო, რადგან მეცნიერებისთვის შრომას, ჩემი ფიქრობ, შეგაწყვედინებს და ყოველშემთხვევაში დაგაბრკოლებს. ერთი რომ ინსპექტორობა ბევოს დროს და დაეიდარაბას თხოულობს და თუ ამ მხრივ ვცდები, სხვა მიზეზსაც ვხედავ შენთვის ინსპექტორობის უვარგისობისას. პარტიულ ბრძოლაში გაგიტაცებენ. ესეც ვთქვით არაფერი. თავი და ბოლო: დღეს ინსპექტორი და ხვალე არაფერი. ჩვენ იმდენი შეძლება არ გვაქვს, რომ თავის თავად თავი ვირჩინოთ და წიგნები შევიძინოთ და მეცნიერებას არ ჩამოუვარდეთ უკან, თორემ თავისუფლად დავჯდებოდით თვით გურიში, თავის დროს თავის საყვარელ საგანს მოვანდომებდი; მე თუმც იღბალმა ამ მხრით თავისუფალ ადგილზე დამაყენა, შენი მდგომარეობა სულ სხვა არის და, თუ არ ვცდები, გიმნაზიის მასწავლებლობა უფრო ხელს მოგცემს ამ მხრით, ოდესცავე იყოს, ვიდრე სააზნაურო სკოლის ინსპექტორობა. მართალია ნივთიერი მხრით წააგო იქნებაც, მაგრამ თუ მეცნიერებას რამე გასურს შესძინო, ამ ნივთს მუდმივ ზურგი უნდა უქციო. ყველაზე უფრო ძვირფასი შენთვის უნდა იყოს დრო და დრო, რომელიც საჭიროა კითხვისათვის და ბევრი კითხვისათვის. სრულებით დაწმუნებული ვარ, რომ სჯობს მუდმივ თვეში ათი თუმანი, თვით სამოცდა თუთხმეტი მანათი ქონდეს მეცნიერს, და რამოდენიმე საათი დღეში სრულებით სულით და ხორციით თავისუფლებით იყოს, ვიდრე განუწყვეტელ ძრწუნებაში იყოს, რომ სამას ოთხასიანი მანათი ხელიდან არ გაუსხლტეს. ყოველ შემთხვევაში, მე უფრო გამიხარდება, რომ შევიტყობ შენ თავისუფლობას, ვიდრე ინსპექტორის უღელის კისერზე დადებას.

შენი განწყობილება კომისიისთან ახლა სრულებით შენგან არის დამოკიდებული. რეკომენდაციად არავის არა უქნია რა შენთვის. კომისიას კაცი სარწმუნო და ძველ ნაშთთა განათლებული მიმდევი სჭირდება და მე შენი ამბავი დაწვრილებით უამბე. ვესელოვსკიმ ხელი შემეწყო (კომისიის შტატზედა წევრია) და შენი მოწვევა გადაწყდა. შენი წერილი კომისიისადმი წავიკითხე. ყარგად არის ავქსონილი. კომისიამ შენი აზრი მიიღო. შეტყობილი გექნება.

როზენი ძალიან გართულია ათას საქმეში და წერილი დაგივკიანა. შენი სტატიის შესახებ: სიგელის ნამდვილი ისე გამოვიდა ლიტო-

გრაფიით, როგორც შენ დაამზადებზე მანდაურ ოსტატს. შევნიერია და იმავე სიდიდით, როგორც ნამდვილი. შენ წაქითხვაში ერთი საექვოდ, ძალიან საექვოდ მიჩნს, მაგრამ ახსნა ვერ გავებდე. „საკოდ-რისა“ ჟორდანია კითხულობს „საკომრისა“ სრულებით უსაფუძვლოდ, მაგრამ შენი კითხვაც საექვოა. ჩახედე ნამდვილს და დამიჯერებ, რომ საკომრისა სწერია. შ ესე შეადარე შ-ს სიტყვა შ(დ)ში მე-22 სტრიქონში. და საზოგადოთ სულ სხვა ხასიათი აქვს დ-ს და შ-ს, თუმც სიდიდით გავან ერთმანერთს. რა უნდა იყოს საკომრისა? გწერ მოკლედ: სქეს. საკომრისა, როგორც საბანჯრისა, სახელობითი საკომრე, როგორც საბანჯრე და როგორც საბანჯრე წარმოებულია სომხური ბანჯარ სიტყვისგან, ისე საკომრე წარმოებული უნდა იყოს კომარი—კუშარ ან კომირ—კუშირ სომხური სიტყვისგან, ხოლო სომხურად *կეშიუ* késhiu ნიშნავს „წონა“-ს (вес, весы). ხალხი ზოგან სწერს აგრეთვე *კეშაუ* kěshau:Ⴣ სომხურად *ქ* არ იწერება ჩვეულებრივ, მაგრამ როცა სომხური ქართულად დაუწერიათ ამ სომხურის *ქ-ქ* მაგიერ ყოველთვის ან „ო“ მინახავს ან „უ“. მაშასადამე საკომრე ან საკუშრე რაიმე საყანთრე ბაჟია. გთხოვ ყურადღება მიექციო ბაჟებს ხელნაწერებში თუ შეგხვდეს. მომწერე შენი აზრიც. გამოთქმას ჭერ ვერ ვბედავ...

კარტოჩკისთვის მადლობელი ვართ. ცოლი მოგიკითხავს.

შენი ძმა ნიკო მარრი.

წარწერებს გამოგიგზავნი. არ დაივიწყო კალენდარი.

41

25 მარტი 1894 წელი

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შემდეგი სიტყვების ახსნა საჩქაროდ მომაწოდე: **ზ ი ა რ ა თ ი**, **შ ო ა ს ა რ ა**, **შ უ რ ა ხ ა ხ ი**, **თ ი ფ ი**. ფრაზები, რომლებშიაც ეს სიტყვები არიან ნახმარი: 1) შაჰნადირ ციხე (მოსულისა) შემოსაფრა მრავალი ფეშქაში, გამოართო, გამობრუნდა, იმამ ჰუსეინს **ზ ი ა რ ა თ ი** ჰქმნა. 2) სურხავის შვილი აღსუს ციხეზედ მოვიდა და **შ ო ა ს ა რ ა** უყო. 3) მეფემან ირაკლიმ დაჭერილთა **შ უ რ ა ხ ა ხ ა ს ი** უყო და თავიანთ ქვეყანაში გაუშვა. 4) გორხანის თავზედ ხუთი დიდი თიფი

ყიზილბაშის (ჯარისა) დაამარცხეს. მუ რ ა ხ ა ს ი აქვს ჩუბინოვს —
 отпуск, повеление: ასე თარგმნის ამ სიტყვას ბროსეც, მაგრამ იქვე
 შენიშნავს, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით (H. G II, 2, p.
 123). მ ო ა ს ა რ ა. ლექსიკონში არ არის. მე გადავთარგმნე —
 окружилъ, обложилъ — თ ი ფ ი ერთი პოლიცია, თუ რამდენი კაცი
 (სპარსული უნდა იყოს)? ზ ი ა რ ა თ ი. მშვიდობა ხომ არ არის „мир“?
 ამას გარდა სიტყვა „ქ ო ჩ ი“-ს кочевой народ ახსნა ჩუბინოვის არ
 მაყმაყოფილებს. შემდეგ ფრაზებში შემხდა: 1) შამახია აპყარეს, ახსუს
 ციხეში ჩამოასხეს ქალაქის ქ ო ჩ ი. მარტის ე. 2) შაჰნადირ მაშათის
 ქოჩში თავისი ღამის მცუელნი ჰამაშა კეშიკები დაესხნენ და ღამით
 ხმლით დაკაფეს. 3) შაჰნადირმა ლეკის დიდი ქოჩი წამოქაშა. მეორე
 ფრაზაში ასე გადავთარგმნე: В кочевне Мешедя, და ო რ სხვა ფრაზა-
 ში — улус. ეს სიტყვები ერთ ხრონიკის მსგავს ჟრონოლოგიურ ცნო-
 ბებშია, რომელიც მე პაპეჩიტელის სბორნიკისთვის დავამზადე, სხვა-
 თა შორის, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ხრონიკის ცნობების მწერალი
 სომეხი ყოფილა (შენ გაგებხარდება) აი რატომ: ერთ ადგილას სწე-
 რია: დაიღუპა სოფელი (მიწის ძვრიდგან) მთვარის ოთხს, მკათათვის
 კლ, ვ ა რ თ ე ვ უ რ ი ს შაბათს ღლეს (1742 წ.). ეგ „ვ ა რ თ ე ვ უ რ ა“
 სომხ. Вардавар—Преображение მგონია. მეორე ადგილას სწერია:
 ო ქ ე ვ ა რ ტ ე რ ი (პატრების, ფრანგების) თფილისში იყოვო — ეგ
 ო ქ ე ვ ა რ ტ ე რ ი ც სომხური უნდა იყოს, მაგრამ არხიმანდრიტს ნი-
 შნავს, თუ სხვას არ ვიცით. ამას გარდა მელიქები როდის მომკლარან
 ტფილისის — ხშირათ არის ნაჩვენები და ქართულ ხრონიკებში არ
 არის. და მასთან ავტორი ზოგიერთ საქმეში ჩვენ მეფეებს არ ამარ-
 თლებს, როგორც ქართული წყაროები, და სხვა ამ სიტყვების ახსნას
 თუ მალე მომაწოდებ, კორექტურის დროს გავასწორებ თარგმანს.

ეხლა შენი წერილის პასუხი: მიამა ძრიელ შენი წერილის მიღება.
 ვეცთები კომისიის ყურადღება დავიმსახურო. მე ჯერ კომისიიდგან
 არავითარი ცნობა არ მიმიღია. რა და რა სათხარი იარალი გქონდა შენ,
 ან რა უყავი იგინი, ან სად, რა ფასათ იყიდე, მომწერე, გამომადგება.
 არა ნაკლებ მიამა გუჯარის პალეოგრაფიულათ დაბეჭდვა, მაგრამ თა-
 შარის გუჯარს რა უქენით, რათ არ მომწერე. შენი „საკოშრე“ არ
 დამიჯდა ჭკუაში და კარგი რომ არ გავისწორებია, ის უსათუოდ ან
 საკორდღა, ან საკუდრე. საკოდრე მე მით მომეწონა, რომ წინა სიტ-
 ყვასაც მიწის მნიშვნელობა აქვს, საყანთრე ჩვენში მგონია მე XVIII
 საუკ. არ ყოფილა ბაჟათ. სომხურ კულტურაზე ჯერ ნუ არაფერს
 იტყვი, ბევრია კიდევ გამოსაკლავი. თუ გავლენა იყო და გავთავისუფ-

ლთით, უფრო ადრე უნდა ყოფილიყო ამის დაწყება, დავით აღმაშენებელიდგან მაინც. მაგრამ არაბულ გავლენას მე უფრო ვხედავ კულტურულს, ფულები ყველა მათი წარწერით არის. შატბერდის გამოკლევამდის მოიცადე, ის ბევრს აგვისხნის მგონია. ამას გარდა, ეს ბევრი ფაქტების შეგროვებას თხოულობს. ეხლა ჩვენი გავლენა სომხებზე რაღა იყო? ამის კვლიც უნდა მონახო. იმას როგორ ხსნი, ხორენელი რომ ამბობს, იბერიული წესწყობილება შემოიღეს ჩვენ-შიო?

ნიკო, ჩემს ჩლენობაზე რათ არ მოიწერე; წიგნები მინდა; გასაჭირი ყოფილა მაგი თქვენი ჩლენობა, ეტყობა. შემდეგი ნომერი „ზაპისკების“ როდის გამოვა, ან ჩემს „Записк“-ებს თუ ბეჭდავთ? კიდევ უნდა მოგაწოდოთ რამე. წარწერების გამოგზავნას რას უცდი? მალე მპირია. იქნება როზენმა მომიხერხოს შემწეობა აკადემიიდან, თუ სხვა წყაროებიდან, რომ შენი ნახული ნაწერები ქართული და სხვა ადგილებისაც შევაგროვო, მაშინ იქ თხრასაც მნიშვნელობა მეტი ექნება. ორას მანათის თხრა ორ კვირაში გათავდება, თუ ბორჩალოში წავედი; სად უფრო სჯობს მოთხრა, მომწერე. ბარათოვი და მელოქოვები მომეხმარება, როზენს ჩამოუგდე ლაპარაკი შენობით და რა თქვას, შემატყობიე ღონისძიების მოპოვებაზე წარწერების შესაკრებათ. კალენდარი არც ბეგიჩევს აქვს და არც სხვებს და ბევრს შეუკვეთე შონა. თუ წერაქითვის საზოგადოებაში ორი აღმოჩნდა, ერთს გამოვავლენებ. ხელნაწერი „მოთხრობა სჯულთა ისმისისათა“ თუ არ გპირა, დაუბრუნე საზოგადოებას. ა. კიქინაძე ნააღდგომევეს მიღის ვლადიკავკაზში იქ სახალხო შ[კოლე]ბის ინსპექტორათ დანიშნეს. ეხლა არის ინსპექტორობის კანდიდატობა. ყველა მართალია, რასაც იწერები. მე მასწავლებლობაც იმდენ დროს მართმევეს, რომ ვერაფერს ვაკეთებ, თუმც ვაკეთების სურვილი მაქვს. თუ რაიმე სხვა ვიშოვე, ამ მასწავლებლობასაც თავს დავანებებ.

42

]1894] 8 აპრილი

ქ მ ა ო ე ქ ვ თ ი ძ ე ,

გუშინ წერილი გამოგიგზავნე. ამას მეორეს საჩქაროდ გწერ და უსათუოდ რაიმე პასუხი მაცნობე საჩქაროდ. ძ ა ლ ი ა ნ ს ა ჭ ი რ ო ა _ მანდ ქალაქში დროებით მოსრულია ბუხარიდგან (თვეზე მეტი იქნება). რუსთა მისიის წევრი (член русской миссии в Бухаре) აბოლონ.

პეტროვიჩ ორლოვი, ჩემი უნივერსიტეტის ამხანაგი. მანდ ჩამოსულა. ოპერაციისათვის ტუბერკულოზისაგან. შემიტყვე რამენაირად მისი აღრესი და მისი მდგომარეობა, როგორ მორჩა ოპერაციის ან თუ რა დაემართა. ექიმო ქიქოძის შემწეობით შეიტყობ ან როგორმე და წერილთ მაცნობე (ტელეგრაფა არ გამოავზავნო) თუ რამ მომხდარა, თუ როგორ არის, თუ როდის და სად წავიდა და სხვა. რასაკვირველია, ყველა ეს კითხვა ისე უნდა მოახდინო, რომ თვით ორლოვმა არ შეიტყოს, რომ მის ამბავს ტყობილობენ. ძალიან დამავალბე.

შენი ძმა ნ. მარჩი.

48

1 მაისი 1894 წ.

საყვარელო ძმარჩი ნიკო!

ტელეგრაფა რომ მოგწერე, მერმე კიდევ შენი წერილი მივიღე. იმის შესახებ, რასაც ტელეგრაფაში გწერდი, მეტი ვერაფერი გავიგე. ეხლა ილიკო ცთილობს დაწვრილებით გაიგოს ამბავი, მაგრამ საავაი-ყოფოში მეტი, რაც მოგწერე, არაფერი იციან. კომისიისაგან მომივიდა „დღიურის რვეული, ოტკრიტი ლისტ“ და ფული 200 მანათი! შენ მგონია „ლისტს“ გარდა სხვა ქალაქიც გქონდა მთავარმართებელთან და ჩემთვის საჭიროა, თუ არა? დრუჟინინმა მაცნობა მწვერათ ამორჩევა და დიპლომს მერმე გამოგიგზავნითო. უთხარი, რომ დიპლომში მამის სახელი ჩემი „სტეფანეთ“ არ დასწეროს, როგორც წერილში იწერება, არამედ სიმონათ. მიამა ძალიან წვერათ ამორჩევა და იმეღია ჟურნალის ე. ი. გამორცემანის ნომრებსაც გამომიგზავნიან. ბანი დამაწიე, რომ ყველა გამომიგზავნონ, ჩემგან მადლობის თქმა? ხომ არ უნდა საზოგადოებას? წერილი მიტომ დაგიგვიანე, რომ გურიაში წავედი საადღგომოდ და გზაზე ბევრი კარგი საქმე გავაკეთე: ტატიშვილი და ფოტოგრაფი წავიყვანე სოფელ ქალაში. პარხალის სახარების პალეოგრაფიული ნიმუშები გადმოვიღე ბლომათ. ხატებო ფოტოგრაფს გადავალბე და აგრეთვე თავი და ბოლო ნახატებიანი სადღესასწაულოსი; ყველა ეს სამ თუმნამდი დამიჯდა. მერმე გურიაში ჩავედი და დაბრუნებისას საჯავახოში გამოვიარე. ცხენით წავედი იმ ადგილას, სადაც ერთი ქოთანი ეგრეთ წოდებული „კოლხიდის ფული ნახეს“, ის ადგილი დავათვალიერე. იმის ახლოს პატარა შენობის ნაშთია სერის ზურგზე და ამ შენობაში გვირახს უთავდება.

თავი. იქ, სადაც გზის გაკეთების დროს ფული ენახენ, ორ საყენზე სიგძით მოწითანო მიწა მოჩანს და მთლათ თიხის ქურჭლების ნატეხებით არის სავსე, მაგრამ სულ ნატეხებია, იქვე ლიგატურის ვერცხლი უნახავთ. სასინჯი გათხრა იქ ჩემის აზრით საჭიროა, მაგრამ ჯერ ვერ ვებედავ. იქ ისეთი ნაშთები უნდა აღმოჩნდეს, როგორც ვანში აღმოაჩინა სტოიანოვმა²³⁸, ეს ადგილიც ვანის ხაზზეა. პარხალის სახარების ნიმუშები და შატბერდის კრებულისა აღწერილობითურთ მაქ უნდა გამოვგზავნო და როზენს შემახვეწე დამიბეჭდოს, აგრეთვე მაქ უნდა დავბეჭდო „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტების აღწერა და საზოგადოთ უნდა დავიწყო წ.-კ-თხვის საზ. ხელ-ნაწერების აღწერა, თუ როზენმა დამითმო ადგილი იმ გვართ, რომ ბოლოს მთელი წიგნის გამოცემა შეიძლებოდეს, ესე იგი „ზაბისკების“ ბოლოში იბეჭდებოდეს ერთობილის სათვალავით. ამის შესახებ როზენს ვრცლათ მოვსწერ, როცა ეკზამენები გამითავდება, საძღვარს გარეთ წასვლა შენი კარგია, ორიენტალისტების კრებაზე ხომ არ ესწრები?²³⁹ აქ ხმა გაავრცელეს, რომ ხახანოვს ერთი ფუთი რეფერატი მიაქვს კრებაზე საქართველოს შესახებო. მე რომ გურიაში წავედი, შკოლის ინსპექტორობა ხახანოვს შეაძლიეს. თურმე ერთი წევრიზა მოეწერა, თუ მომცემთ, ვარს არ ვიტყვიო, მაგრამ ეხლა გაზეთში ხმა დაიბეჭდა, უარს ამბობსო, ჯერ მას ოფიციალურად არ უცნობებია. მე მგონია თავმოყვარეობიზა ქმნა ეს საქმე, თორემ „პროფესორობა“ ინსპექტორობაზე როგორ გასცვლის. ყველამ გაუმტყუნა კომიტეტს ეს ამბავი [და ბევრი ცუდი რამ ითქვა მათ კანდიდატზე]. მე კი ასე გადავწყვიტე, ის თუ აქ მოვიდა მე მოსკოვში გადმოვიდოდი, თუ მომცემდნ. ეხლა კიდევ მეხვეწებიან ამხანაგები, რომ მე უარი არ ვთქვა ინსპექტორობაზე და ისეა საქმე, რომ მგონი ძალაუფლებურათ უნდა დავთანხმდე, რომ შკოლა არ დაიკეტოს და დაილუპოს. იანოვსკისაც შე უნდებვარ და ხახანოვის კანდიდატობა არაფრათ იბიტნავა თურმე, როგორც ა. ჭიჭინაძემ მითხრა. ყველაფერი ეს ჩვენ შორის იყოს. საძღვარს გარეთიდგან ხშირათ მომწერე ბარათი შკოლაში და სადაც ვიქნები ზაფხულში გამომიგზავნიან. ბიბლიოტეკების გადათვალიერების დროს ქართული ხელნაწერებს თვალი ადევნე და დაწვრილებით აღნიშნე, თუ ნახო. არა მგონია, რომ სადმე არ შეგვხვდეს. მომწერე აგრეთვე სად სჯობია სახელდობ შენი აზრით თხრა იმ ადგილებში, სადაც შენ შარშან თხარე? მე სწორეთ იქით ვაპირებ თხრას. კალენდარი ჯერ ვერ ვიშოვე. ინსტიტუტში ძრიელ დიდი კონკურენცია[ა] შესვლაზე ყოველთვის. პროგრამმა საქალაქო სასწავლებელის არის შესასვლელათ, მაგრა მკაცრათ ჰკითხავენ. პანსიონში 25 თუმანამდის

დავიჯდება შენახვა შეგირდისა. კერძოთ, მორიგებაზეა, 1 თუმნიდან 15 მანათამდის დავიჯდება რჩენა მარტო. პანსიონში გადასახადი ხარჯისთვის მარტო 200 მანათია. აქ ამბავი სულ ბანკზეა და მის კენჭობიაზე²⁴⁰. დიდ შეტაკებას მოელიან. რამდენათ მართალია კარიერი²⁴¹ შენ რასაკვირველია წინააღმდეგი იქნები. „Византийский Временник“-იზა მგონი სუმბატის ისტორია გამოდგება. ნიკო, მე ველი შენს წარწერებს, აგრეთვე „თიმსარიანს“, რომლის გამოგზავნა დამპირდი, თუ გახსოვს, და აგრეთვე შენს დისერტაციას სამედალოთ, ქართული მწერლობის შესახებ. შე კაი კაცო, წამაკითხე მაინც. და შენ თუ არ გინდა წერო ქართულის შესახებ, იქნება ის აზრები, რაც გამოისტქვი, ჩვენ გავაგრძელოთ. რათ გინდა რომ დაგიმალავს? მე პაპეჩიტელის „Сборник“-იზა დავამზადე: „Исторический прип. двух кинк. лосов и хронологический перечень фактов по другим источникам“²⁴², მაგრამ ეხლა მითხრეს არხეოლოგიური „Сборник“-ი მომავალ წლამდის არ გამოვაო, რადგან სამი სხვა სბორნიკები იბეჭდება ეტნოგრაფიული, და ლინგვისტურიო²⁴³. იქვე მინდოდა დამებეჭდა შარშან შეკრებილი წარწერები, მაგრამ ეხლა რაკი გვიანდება, მაქ უნდა გამოგვზავნო. შენმა სიტყვების ახსნამ ძრიელ მიშველა. ილიკომ ამბავი მომიტანა, აკადემია „ქართლის ცხოვრებას“ ხელ-ახლა ბეჭდავსო და ამის შესახებ როზენს უპირებ მოწერას, რომ იმ ვარიანტებით გამოიცეს, რომელიც ჩვენ ტფილისში გვაქვს და ჟრომლოთაც „ქ. ცხოვრების“ ეხლა გამოცემა დიდი დანაშაულობა იქნება. მარიამის ვარიანტი და ვანტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრება პარალელურათ უნდა გამოიცეს. თუ ენებებათ კორრექტურა აქ გამომიგზავნონ. შენ გეცოდინება როგორ აპირობენ გამოცემას; არ დაანებო ისე გამოცემა, როგორც გაშოცემულია. ამ ზაფხულში ბევრი რამე უნდა დავამზადო. თხრა ბევრს დროს არ მოითხოვს, რადგან მარტო ორასი მანათი მაქვს გამოგზავნილი. ძრიელ დამავალე, თუ ერთ ფურცელს შენი შარშანდელი თხრის აღწერილობისას გამომიგზავნი ნიმუშათ, თუ დაგრჩა შევი. ხაშმის მეშინია, თვარა „ვაჩნარში“ გურიაში თხრაც კარგი იქნებოდა, გავიგებდი ბერძნების კოლონია იყო იქ, თუ სხვისი. შენი ცოლი მომიკითხე. და ამ წერილის პასუხი მალე მომწერე.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

საყვარლო ძმაო ნიკო!

ესე როგორ დამივიწყე, რომ ერთი წერილი არ მოიწერე არც: საძღვართ გარეთიდგან და არც პეტერბურგიდგან. ბევრმა წყალმა გაიარა მას შემდეგ, რაც უქანასქნელი წერილებით ერთმანეთს თავის აზრები გაუზიარეთ. მე თუმც ინსპექტორობა მომახვიეს თავზე და საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ჩემგან უარი არ ითქმებოდა. მაგრამ ცოტა დრო მაინც ვიშოვე ზაფხულში და რაც არხ. კომისიამ მომანდო, მგონი კარგათ შევასრულე. ჩემ გამოგზავნილ ნივთებს ნახავდით. დღიური ჭერ არ გამომიგზავნია, თუმც შავათ მზათ მაქ იმთავიდეგან. ფულის ანგარიშს ეხლა ვგზავნი. ჩემი ბევრი დავადევი ზეთ: ეკლესიებიც ვნახე ზოგიერთი, თუმც კობერს ავსცილდი, გზის მაჩვენებელი კაცი ვერ ვიშოვე. შენ რომ ქართული წარწერები და მისი სია გამოგეგზავნა, ეს არ მომივიდოდა. დაწვრილებით ამბავი მოგზაურობის შესახებ მერმისათვის გადავდვით. ჩემი სტატიის ოტტისკები მივიღე²⁴⁴. უმთავრეს კორრექტურულ შეცთომების სიას ამასთანავე გიგზავნი და თუ ჭერ არ გამოსულა წიგნაკი, შეცთომის გასწორებაში შეიტანე ბოლოს. აგრეთვე შენი „საკომრე“, — ეხლა დამიჯდა ჰქუში, თუმც ორიგინალი არ მინახავს, მაგრამ ასე უნდა იყოს. და ნება მომიცია, თუ საჭიროთ დინახო, როგორც სჯობდეს ისე შეიტანე: ნოტაბენით შესწორების ფურცელში. მაშინ რომ ჩემთვის პალეოგრაფიის კორრექტურა გამოგეგზავნა, დაგეთანხმებოდი, მაგრამ არა უშავს, გუჯარი²⁴⁵ საქმოდ შემუშავებულია მაინც, მგონია. თამარის გუჯარს ბეჭდავთ თუ არა და აგრეთვე სხვა ჩემ სტატიებს? ამის ამბავის გაგება მინდა. როზენს პასუხი მივსწერე სექტემბერში და თურმე ბიჭმა არ გაავზავნა და ეხლა ვნახე წერილი. ამ დღეებში ვაპირებ წერილის მოწერას და შენ ბოდიში მომხადე. თუ თამარის გუჯარის პალეოგრაფიულ ნიმუშებს არ დაბეჭდავთ, აქ გამომიგზავნეთ. ჭალას ეკლესიის წიგნების აწერილობა ტაბლიცებითურთ უსათუოთ დააბეჭდვიე. შენი ამბავი ყველაფერი, ჩემო ნიკო, დაწვრილებით მომწერე. ან საძღვარს გარეთ რა ქენი, ან პეტერბურგში, როგორ ხარ, როდის დაიცავ და გამოვა შენი დისერტაცია, ცოლი და შვილი როგორ გყავს და სხვა. მე თუმც ეხლა ძრიელ ბევრი საქმეები მაქვს, მაგრამ ზაფხული თავისუფალი მექნება და მინდა სასარგებლოთ მოვიხმარო. ილიკოს უთხარი, ჩემ მაგიერ ცაგარელს სთხოვოს მესამე გამოცემა „Свед. о Пам.“ 3 вып. და გამომიგზავნოს. არხ. კომისიაში

ერთი თასის სურათი უნდა გამოვგზავნო, — ახლა იპოვნეს დუშეთის მაზრაში და პატრონი გაყიდვას აპირებს. იქნება კომისიამ იყიდოს. ბარბაროსსა აწერია შვა პარტრეტზე და იქნება მართლა ფრიდრიხ ბარბაროსას დროს იყოს, თუმცა თავი დერვიშსავით აქვს შეხული. ყოველ შემთხვევაში საინტერესო თასია. ვერცხლისაა ოქროთ დაფერილი. როზენმა იმედი გადამიწყვიტა ყველაფერში, ამ წელში და მომავალ წელში ზაბისკებისათვის მასალას აღარ მივიღებო, რადგან ძრიელ ბევრი მასალა მაქო. გონორარი ქალის ნივთების აწერაში არ მინდა, თუმცა არხეოლოგიური საზოგადოება თავის გამოცემებს გამომიგზავნის ძველებს. ეს მგონი ახალი წვერიზა ადათათაც აქვთ, მაგრამ ჩემთვის არ გამოუგზავნიათ. სტატის მასალის დამუშავება მე 25 მანათი დამიჯდა. როდესაც კორრექტურა გამომიგზავნოთ, ტაბლიცის ფურცლებიც გამოგზავნეთ, შარშან დაპირებული ქართული წარწერები წელს მაინც გამომიგზავნე, რაკი როზენმა იმედი გადამიწყვიტა. მოსკოვის საზოგადოებაში ვაპირებ წარწერების გარჩევის გავზავნას, სომხეთისას და შენ როგორ მიჩვენე? მათ ბევრი შეძლება აქვთ და იქნება ზაფხულში კარგი პრაგონი მომცენ, რომ ახალციხის და რაჭის მაზრები და ახალქალაქიც დავიარო. მომწერე შენი აზრი. შენ რომ ხცი, ის კაცი, შემისლის მგონია საქმეს. წერილს კიდევ მოგწერ მოკლე ხანში. ამას საჩქაროდ ვსწერ. მომიკითხე შენი ცოლი და ილიყო ნაქაშიძე, როგორ არის ცოლითურთ?

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი

45

8 თებერვალი 1896 წელი

საყვარელო ძმაო ნიკო!

ბევრმა წყალმა გაიარა მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთს აღარ გავლაპარაკებიათ. არც ასე უნდა. ეს გულითად შეგობრებს არ ეფერების. ეხლა მე ცოლიანი კაცი ვარ²⁴⁶ და სრული ყმაყოფილი ვარ. ცოლის შერთვაში მარტო სიყვარულით ხელმძღვანელობდი, სხვა ანგარიში არა მქონია რა. ცოლის პარტრეტს გამოვიგზავნი. მკითხავ უსათუოთ, რას ვაკეთებ? მთელი დღე სკოლის საქმეში ვარ გათული. დიდი და დიდი ტვირთი მადევს თავზე. ცხრა კლასის და 323 ყმაწვილის მოვლა და წინ გაძლოა ძნელი საქმეა. შეძლებისამებრ ვემსახურები საქმეს და სხვა ჩემზე არა ჰკიდი... შენ არ იცი, რა ძნელია ჩვენში და ჩვენს ხალხში სამსახური. ძვირათ ნახავ კაცს, ხელს

რომ გიწყობდეს, უმეტესი ხელის შემშლელია... თავისუფალი დრო ძლიერ ცოტა მაქვს. შესვენებათ იმას ვთავს (ვლი) როდესაც შემთხვევა მაქვს ჩვენი წარსულის აღსადგენათ რაიმე დავაშაბდო... ეს საგანი სულ არ დამიგდია უყურადღებოთ, მაგრამ მცირე დროს მცირე ნაყოფი მოაქვს. მზრუნველის „სბორნიკში“ დავბეჭდე: „Исторические приписки двух кинклов и хронологический перечень событий по некоторым другим источникам და Два акта котликоша Доментия III, данные в Константинополе.“²¹⁷ ქუნიივნიის თვეში 1895 წელს მზათ იყო, მაგრამ ჯერ 21 вып. „სბორნიკისა“ არ გამოსულა და უიმისოთ არ მაძლევენ. როგორც იყო „ბალავარი“ დავაბეჭდვიე ამხანაგობას²¹⁸, ბოლოს დავურთე ცნობები ექვს ხელნაწერზე, რომელიც ხელში მქონდა, ვარიანტები ხელნაწერებისა (უმთავრესნი და არა ყველანი), განმარტებანი ზოგიერთთა სიტყვათა, ბოლოსიტყვაობა (რომელშიაც გავაცანი მკითხველს როზენის რეცენზია და შენი შედარება ბერძულს ბალავარსთან, ჩემი არაფერი მითქვამს საიმისო), და პალეოგრაფიული ნიმუში მეგრელიის ვარიანტიდგან. ეს წიგნი ამ დღეებში მოვივა. „მოამბის“ ყველა ნომრებში იბეჭდება საქართველოს სიძველენი²¹⁹, რომლის მასალას მე ვაძლევ და მე ვრედაქტორობ, კორრექტურაც მე მიჭირავს ჯერ ხანათ 160 გვერდია დაბეჭდილი და როდესაც 1000 გვერდამდის მივა, ცალკე წიგნათ გამოვა ვრცელი სარჩევებითურთ. თუ ეს დავამთავრე, მე მგონია დიდი მასალა შეიკრიბება მთელი კავკასიის ისტორიისათვის, ეტნოგრაფიისათვის და იურიდიული ფორმებისათვის. ამათგაოდა დავბეჭდე „კათალიკოზ-ბაქარიანი²⁵⁰, ანუ ბაქარის მოგზაურობა სტამბოლში ლექსათ მღვდლის ტლავაძის დაწერილი. სრული არ არის ხელნაწერი²⁵¹, მაგრამ მაინც ძლიერ საინტერესოა. ტექსტი დაბეჭდილი მაქვს, მაგრამ წინასიტყვაობიზა ჯერ ვერ მივიცალე და არ ვიცი როდის გამოუშობ. ტექსტი პატარაა. მე იმედი მქონდა ჩემს სტატიას მაქ ამდენხანს დამიბეჭდავდით პარხალის სახარების შესახებ²⁵². მაგრამ როზენმა არაფერი არ მომწერა, მე არც ის ნომერი მომსლია „Записки“-ებისა, რომელშიაც ჩემი ბაგრატიის სიგელია, არ ვიცი გამოვიდა, თუ არა. სიგელი კი შარშან მივიღე ამ დროს. ერთი მომწერე რაშია საქმე. თუ არ დამიბეჭდავთ, უკან გამომიგზავნეთ აქ დავბეჭდავ. მე იმაზე დიდი ხარჯი გავსწიე და მინდა პალეოგრაფიული ნიმუშები კარგათ გამოიცეს. მე მის გამოცემას უცთი, თორემ ამდენხანს „მოქცევას ქართლისას“ გამოვსცემდი. მაქ მეორე ჩემი შენიშვნაც არის ნიკორწმინდის შესახებ და იმედია ერთათ დაბეჭდავთ²⁵³. თუ როზენი მომწერს, სტატიას კიდევ გამოუგზავნი. შარშან ზაფხულში ცოლის შერთვის შემდეგ აბასთუმანში წავედი, იქიდგან გულმა აღარ

გამიძლო და ცოლითურთ ზარზმის მონასტერში გავემგზავრე, გზაზე სმადის პატარა ეკლესია ვნახე. აგრეთვე „ვალეში“ წავედი და სხვაგან კიდევ. ბევრში ცრუობს გრაფინა უვაროვის²⁵⁴ გამოცემა და მინდა ცოტა რამ დავსწერო მათ გამოცემაზე, მაგრამ დამემდურებინა ვიცი. ბევრი საბუთი მაქვს მათი უვიცობისა, მეტადრე კითხვაში. თუ ახლო ხანაში გამოვა თქვენი „ზაისკები“, მათ გარჩევას მოგაწოდებთ. ხანანოვი იყო აქ ზაფხულში და მთხოვა ბელაგლიუჩის მახლობლათ რაც არხეოლოგიური მასალა შეეკრიბე. ჩვენ გამოგვიგზავნე მოსკოვშიო, მე იქ უნდა წავიდეთ, მაგრამ რაკი შენ შეგისწავლია, მე ტყვილათ ვნახაო. ჯერ არ გამიგზავნია ეს მასალა და არ ვიცი გაუგზავნო, თუ არა. ეხლა რუმინანცევის „ქართლის ცხოვრების“²⁵⁵ აღწერა გამომიგზავნა და იმას ამბობს, რაც მე ვსთქვი, მხოლოდ მე სრულებით არ მიხსენიებს. ისე კარგია მოსკოვის საზოგადოებაში ჩაწერა: კამანდიროვკას მისცემენ კაცს, ფული ბევრი აქვთ და უთავბოლოთ ფანტავენ. კომისიის „ატჩოტი“ დამიგვიანდა, მაგრამ მინც მადლობა მომწერეს, ეხლა პლანები(ს) და სურათების გამოგზავნა მთხოვეს, მაგრამ ესენი მე არ მაქვს და არც დამიმზადებია, ეს ჩემდა ძნელი ასასრულებელია, რადგანაც ზატვა არ ვიცი და ამისთვის ვერ უგზავნი. ოტანშენიილგან ეტყობათ კიდევ მიპირებენ თხრის მონდობას, და ვგონებ ერთი თვე მოვახერხო ამ კანიკულებში კიდევ საღმე თხრა. მაშინ ბევრი გაჭირვება და დავიდარაბა გადამწყტა, მაგრამ ყმაყოფილი დავრჩი. არ ვიცი მაქ როგორ მოეწონათ. აწე მაგ ცოტა ფულებით არ ღირს წასვლა. მაშინ ჩემიც დავახარჯე ზეთ. შენი თხრის ანგარიში დაბეჭდეს, თუ არა²⁵⁶ ეხლა შენი ამბევები მომწერე, რას შვრები დისერტაციისას, როდის დაიცავ, როგორ არის შენი საქმე საზოგადოთ, იცლება, თუ არა ქართული კათედრა, თუ დაიცალოს, უნდა აიღო, მეტი გზა არ არის, შენ ქართული ენის შესახებ იმდენი ნაშრომი გაქვს, რომ თუ ის შეიმუშავე და დაამტკიცე, მარტო ის გეყოფა. გრამატიკას კითხულობ ქართულს უნივერსიტეტში, თუ არა? შენი სტატიები ორ-ორი ცალი, თუ მეტი არა, მინც გამომიგზავნე. თამამშევი მთხოვეს ყველთვის და სხვები. შენი შენიშვნა ჯანაშვილის შესახებ წაეკითხე²⁵⁷. მე რომ მწერდი, მათზე სიტყვის დახარჯვა არ ღირსო, შენ მისთვის რალათ მიიცალე? ზაფხულში აპირებ აქ ჩამოსვლას, თუ არა? ერთი სიტყვით ყველაფერი მომწერე დაწვრილებით რაც არ მოგიწერია ამდებანს და რაც გულში გდებოდეს. წიგნები თუ რამეა ახალი, გამომიგზავნე. შენი ცოლი მომიკითხე, თუ თფილისში ჩამოსვლა განიზრახათ, ჩემთან ჩამობტიო. სადგომი საყოფი გვაქვს. ჩემქმა ცოლმა მოგიკითხათ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

საყვარელო ძმაო ექვთიმე,

ეს ეს არის შენი წერილი მივიღე და ვჩქარობ ახლავე პასუხს, თვარა ვიცი შემძრება და შემძრება. მართალია, წერილის წერაში მე ძალიან ურიგო ვარ და სხვისი მტყუვნება არ მშვენივს, მაგრამ შენ მაინც ადრე უნდა მოგეწერა წერილი, რადგან აგეთ ცვლილებას ახდენდი თავის ცხოვრებაში. გვიან შევიტყვე და გვიან გილოცავთ მეც და ცოლიც და ვისურვებთ შემდეგშიც სრულ კმაყოფილებას და ოჯახის ბედნიერებას. სხვა შენი ამბები ძალიან მიამა. არ ველოდი — შეგონა მეცნიერება სულ მიაგდე. საზოგადოთ, შენი სააზნაურო სკოლის თავობა და ხალხის მსახურება არ მომწონს — დროს გართმევს და ვეჭვობ ღიროდეს, თუ ხელის შემშლელის მეტი არ ვინ გყავს.

სხვა შენი სტატიები დაიბეჭდება, მაგრამ დაიგვიანებს, როგორც ყოველი ფერი გვიანობს რუსეთში. ზაპისკი მიღებული გექნება ან ამ დღეებში მიიღებ. ჩემი დისერტაციის ორი ნაწილი დავასრულე (სომხური ტექსტია), ხოლო მესამეს რუსულს ვებეჭდავ და ვფიქრობ გაისს დასრულებას. ქართულ კათედრის შესახებ ტყვილათ მახსენებ, მე სომხურს არას დროს აღარ დავტოვ და გავცლი რასმეზე და ქართულის შესახებ თუ რასმე დავწერ, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულის შესწავლას სომხურისთვის. სხვათა შორის ქართული ენის და სომხურის პირვანდელი ნათესავობა ამოვაჩინე, იმ დროის ნათესავობა, როცა სომხურ ენაში არიული ანუ ინდოევროპეული ელემენტები არ იყო შეტანილი. საზოგადოთ ქართული ენის ნათესავობა სემიტურ ენებთან ძალიან დაწვრილებით გამოვიკვლიე და დავამტკიცე: თითქმის სიტყვა არ დამჩინია, რომ მისი ძირი და შთამომავლობა არ გამერკვიოს. გრამატიკაც კარგად შემუშავებული მაქვს. მაგრამ უნივერსიტეტში ჯერ ვერ ვიკითხავ და დავებეჭდავ კი²⁵⁸, როცა ერთხელ წავიკითხავ. ესეც იცოდე, რომ ეხლა თუმც ვამტკიცებ ნათესაობას ქართული ენისას სემიტურ ენებთან, ქართულს სემიტურათ არა ვრაცხ, არამედ ახალი ტერმინი შემომამქვს — „იაფეტური“. ადრე ამ ტერმინს ხმარობდენ არიული ენების დასასახელებად, მაგრამ ახლა ამ აზრით მიტოვებულია და მე ვხმარობ ახალი აზრით: იაფეტური ენები არიან ქართული და კავკასიური საზოგადოთ (სეანური, მეგრული და სხვა), სომხური (არიული ელემენტის გამოყოფით) და რამოდენიმე სხვა,

იაფეტურ ენათა შორის ისეთი განწყობილება[ა], როგორც სემიტურ ენათა ურთიერთ შორის, ხოლო მეორე მხრით იაფეტური ენები ნათესავი არიან სემიტურ ენათა, როგორც მაგალითად სლოვენური გერმანულთა არიულ მოდგმაში²⁵⁹. სხვა ძალიან მოწადინებული ვარ ძველი ქართული დაბადების გამოჩენის ან სახარების — სომხურისთვის ძალიან საჭიროა; გიგზავნი ჩემ ახალ სტატიებს რაც მაქვს, რუსუდანიანის შესახებ²⁶⁰ დაბეჭდილი აგრეთვე სბორნიკში სამწუხაროდ არ მაქვს. გარდა ამისა ვბეჭდავ პეტრე მაიუმელის ცხოვრებას შედარებით სირიულთან. სირიულის თარგმანს მეორე გამოსვლად, ჯერ გამოვა ქართული ნაწილი. ძალიან ვწუხვარ რომ კარგი ხელნაწერი სრული ცხოვრებით არ მქონდა. ორი ქართული რედაქცია მქონდა ზელში და ორივე შემოკლებულია:²⁶¹ არის თუ არა სრული რედაქცია ქართულად, არც ვიცი. თუ მაცნობებ, შენი სახელით შევიტან ცნობებს მეორე გამოსვლაში: ტექსტი უკვე დაბეჭდილია და მალე (ორ თვეში) თარგმანიც (ქართულის) და წინასიტყვაობაც დამთავრდება.

გიკვირს, თუ რასთვის მივაქციე ყურადღება მ. ჯანაშვილის ნაწერს²⁶². ჯანაშვილისთვის არ დამიწერია ის, არამედ მის თაყვანისმცემელთათვის, რომელნი იმყოფებიან თქვენ ქალაქში და იწოდებიან თავიანთ წერილში „Искатели Истины“. მათგან მივიღე უსახელო წერილი საესე გინებითა რუსულად შედგენილი: ჩემ ცოდნას, სინდისს, ნამუსს მსაჯულათ გაუჩნდენ და ჩემი აზრის შესაცვლელად (!) შესახებ „ამირანდარეჯანიანისა“ მოსეს ნაწერი დამისახელეს. „ივერიაშიც“ იყო ხომ იმ წერილის ნაწილი (მთელ[ს] ცენზურა არ გაუშვებდა) და სახეში უნდა მიმელო, რომ ზოგი ჰკვიანიც უსახელო კორესპონდენტთა თანამოაზრეა და ამისთვის გავარჩიე მოსეს ნაწერი. იმედია მეორე ხელ უსახელო ბარათს აღარ მომიძღვნიან და ისე, რამდენიც მათ გუნებას ჰსურთ, იგინონ. მოწვევისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ წრეულს სამძღვარ გარეთ ვემზადები — გერმანიაში და ორისამიკვირით რომში²⁶³. სომხურ ზღაპრებისთვის მინდა ცოტა რამ გამოვიკვლიო ჩემ დისერტაციის დასამთავრებლად. კავკასიაში დისერტაციის დამთავრებამდე ვერ წამოვალ. ლექციებს ვამზადებ ძველი ისტორიისას სომხეთის და მწერლობის — ძველი სომხური მწერლობის. თუ არ ვცდები, საინტერესო უნდა გამოდგეს, მაგრამ ბევრს დროს თხოულობს შემუშავება და შევსება სხვა და სხვა წერილმანების. იქნებ გაისს დავიწყო შემოკლებით კითხვა სასინჯავად. ერთი ქალაქშიც მინდა მასალების შესაკრებად სომეხთ ქართვ. ძველმწერლობის დამოკიდებულების ისტორიისთვის. მსმენელთა შორის ქრთი კარგი ქართველი აღმოჩნდა და თუ ასე განაგრძო, ორ წელის შემდეგ სომხურ[ს] სულ კარვად ისწავლის. გვარად ჯავახოვია²⁶⁴. ღმერთმან

ქმნას ხეირიანი გამოდგეს. იქნება ზაფხულზე მანდ მოგმართოს შენ და ხელი შეუწყვე — ხელნაწერების გაცნობა უნდა. სხვა კიდევ ექვსი მსმენელი მყავს ოთხი სომეხი და ორი რუსი, ერთი რუსი ივარგებს მგონი, კარგად შეითვისა სომხური. სომეხნი ყველა კარგად ცდილობენ, მაგრამ ერთი ტიგრანოვი ძალაზე მომწონს — ნათელი და მახვილი გონების პატრონია. საუბედუროდ იურისტია და მე ისე თავის ნებით მისმენს. მისგან კარგი ორიენტალისტი და სომხურის მცოდნე შეიქმნებოდა. ტიგრანოვია გვარად: მანდ თფილისში რომ ბრმა ნიკოლოზ ტიგრანოვი კონცერტს აძლევს ხანდისხან (პიანისტი), მისი ძმა არის. შინაც ერთი სტუდენტი მყავს — გიორგი მარაი:²⁶⁵ მინდოდა ქართულის სწავლება, მაგრამ დრო არ მაქვს. დილა მშვიდობის იცის და მოსე ხორენელის სახელი. სხვა ტკბილად მოგიკითხავთ ყველანი შენც, შენს მეუღლესაც.

მშვიდობით, მეორე ხელ როდის მოგწერ, ღმერ[თ]მან იცის.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ ა ი.

(P. S. იქნება შემიტყო მანდ სარკინისგზო სასწავლებელში მოსაღებად რას მოსთხოვენ ოზურგეთის სკოლის დასრულებულს და ბინა აქვთ თუ არა მიღებული?).

რუსულდანიანს²⁶⁶ საკუთარს გიგზავნი.

47

[1806] მარტი

ძ მ ა ო ნ ი კ ო :

წერილი ცოტა დაგიგვიანე. ჯერ საქმეებზე მოგწერ. „პეტრეს ცხოვრება“ ვრცელი ვერ ვიპოვნე²⁶⁷. რკინისგზის სასწავლებელში შესვლა ადვილათ შეუძლია, ვინ[ც] სამოქალაქო სასწავლებელი გაათავაო, თუმც ადგილი იქნაო. „ბალავარის“ წიგნს ამასთანავე ბანდეროლით გიგზავნი²⁶⁸. არხეოლოგიურმა კომისიამ კიდევ მთხოვა თხრა და თანხმობას ვამცხადებ. „ზაპისკის“ ის ნომერი, რომელშიაც სიგელია²⁶⁹ დაბეჭდილი, ჯერეც არ მომსვლია. ხალატიანცის²⁷⁰ თხზულებას „Армянский эпос“ ვკითხულობ და იქიდგან გავიგე, რომ შენ Аноним-ზე დაგიწერია სტატია²⁷¹ და უნდა გამომიგზავნო ისიც. სტატიების გამოგზავნისთვის ძრიელ გმადლობთ მე და მიხაილ ივანიჩი თამამშევი.

ხალატიანცის წიგნი მომეწონა, თუმც ზოგჯერ НАТЯЖК-ები აქვს. არ-
 ხეოლოგიურმა კომისიამ დაბეჭდა შენი ნათხარის ანგარიში თუ არა,
 ან ბეჭდვენ ჩემსას²⁷² თუ არა? წელს სხვა და სხვა ადგილები უნდა
 დავიარო ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში და სადაც კარგ რას-
 მეს წავაწყდები, იქ დავიწყებ გულდადებით თხრას. იქნება მანგლისის
 გარშემო ვაზონო კარგი ადგილი, სამშვილდეც მაქვს სახეში. „ზა-
 პისკებისთვის“ თუ გინდათ სტატია, მომწერეთ და გამოგიგზავნით.
 ძრიელ ზანტათ გამოდის თქვენი „ზაპისკები“. მოსკოვის საზოგადოე-
 ბას არ გაუგზავნე სტატია, რაღაც გული არ მერჩის გაუგზავნო. ეხ-
 ლა შენ ერთი თხოვნა დაუყოვნებლივ უნდა ამისრულო: რაკი მოგ-
 ზაურობაში ვიქნები წელს სათხარათ, იმედია წარწერებსაც შეხვებები
 ქართულს და სომხურს და მინდა „რადლოვის“ სისტემით გადმოვიღო,
 ამისთვის ყველა ინსტრუმენტები შეუკვეთე აკადემიის ტაოგრაფიაში
 და „ნალოჟნი პლატეჟით“ გამოაგზავნიე. ამას გარდა ეცადე ერთი ეგ-
 ზემპლიარი იმ სტატიისაც გამომიგზავნო, რომელიც იმ იარაღების
 ხმარებას შეეხება. იმედი მაქვს ამ თხოვნას დაუყოვნებლივ ამისრუ-
 ლებ. შენ როდის მიდიხარ საძღვარს გარეთ? იქნება გადიფიქრე იქ
 წასვლა, თუ საძღვარს გარეთ არ წახვიდე, გირჩევ აქ მოდი, მოიკე-
 თებ. ჩემ[მ]ა ცოლმა მოგიკითხათ შენ და შენი ცოლი. შენ ცოლს
 ჩემგანც მოკითხვა მოახსენე. შენს შვილს უსათუოთ ქართული უნდა
 ასწავლო, კარგი შვილი გყოლია, როგორც მესმის.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი.

48

რომი, VI/17 [1800]

Albergo Cesare

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

შენი წერილი მივიღე გამომგზავრების წინაღეს. ძლივსლა მო-
 ვასწარი შენი თხოვნის აღსრულება. ჩემი ბროშიურა გქონდა მეგონა
 (ანონიმი), მაინც გამოგიგზავნე. აკადემიის სტამბის მმართველს და-
 ვავალე შენთვის იარაღების მომზადება. იენისის დამლევს მიიღებ
 ზედნადები საფასით. მანვე დამპირდა რადლოვის ბროშიურის შოვნა,

თვით რადლოვისგან თხოვნა. თვითონ მე ვიყავი რადლოვთან და ვთხოვე შენთვის რუსული გამოცემის ერთი ცალი. უსათუოდ გადაეცემო აჟად. სტამბის მმართველს გამოსაგზავნადო. სხვა თუ მოწერას დააპირებ, ჩემი ადრესი (Leipzig, Poste restante prof. M.): აქ მხოლოდ ერთ კვირეს ვრჩები. ვატიკანის ბიბლიოთეკა, სადაც ვმუშაობ 27/13 ივნ. იკლიტება. რომი ასეთი შევნიერ(ი) ქალაქია განათლებული კაცისთვის, რომ მისი აღწერა შეუძლებელია, განსაკუთრებით ღია წერილის ერთ გვერდზე. მხოლოდ ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს: იტალიელთა ხელშია და სატახტო ქალაქად აურჩევიათ. ეგ არ შევინს. შენ მეუღლეს მოკითხვა და მოკითხვისათვის მადლობელია ჩემი ცოლი.

შენი ძმა ნ. მარტი.

49

2 ნოემბერი 1890 წ.

ძმაო ნიკო!

შენი გამოგზავნილი წერილი რომიდგან როგორც მივიღე, მაშინათვე მოგწერე პასუხი ლეიპციგში, როგორც შენ იწერებოდი. მაგრამ შენ იქ მგონი აღარ წასულხარ და არც წერილი მივიღია ალბათ, მას მერე ბევრმა წყალმა გაიარა. შევიტყვე, რომ ავით ყოფილხარ და ეხლა უკეთ ხარ²⁷³. ხომ იცი სიმრთელე თუ არ გექნება, ყველაფერი ფუქია და ამიტომ თავს ძრიელ უნდა გაუფთხილდე, სიმრთელე თუ გექნება ყველა განზრახვას მისწვდები. ეხლა როგორ ხარ მომწერე. ზაფხულში მე დიდი ტანჯი მივიღე, მაგრამ შედეგი იმდენი არ იყო, რამდენსაც მოველოდი. ცოტა ავითაც გავხთი. ახალი უცნობი წარწერები ბევრი ვიპოვნე. თხრითაც ბევრ ალაგას ვთხარე, ნივთები ბევრი ვერ ვიპოვნე. მაგრამ ზოგიერთი კითხვები გამოირკვევა მაინც ჩემი თხრიდგან. დღიურს დაწვრილებითს ახალს წლამდის გამოგზავნი. თუ არაფერი გარემოება შემხთა მოულოდნელი, ისე სხვა ყველაფერი გამოვაგზავნე. შენი გამოკლევა პეტრეს შესახებ გამოსულა²⁷⁴ და მე ჯერ არ მიმიღია, იმედია გამომიგზავნი. გიგზავნი ჩემი სტატიების ოტტისკებს შენთვის²⁷⁵, როზენისთვის, ცაგარლისთვის და შენი შეგირდის ჯავახოვისათვის (ეს უკანასკნელი დაუწერელია, სახელი არ ვიცოდი, სხვებ[ს] აწერია ვის ეკუთვნის). ერთი ეს მომწერე, გინდათ

რამე ზაპისკებისათვის, თუ არა? ძრიელ დაიძინა ზაპისკებმა. არც არ-
ხეოლოგიური კომისია სცემს ჩვენ ანგარიშს. შარშანის წინ ხე რომ
ვთხარე, იმ წელიწადს ლესერმაც თხარა და მისი ანგარიში ბერ-
ლინში ვირხოვს²⁷⁷ უკვე გამოუცია, კომისიას კი არ გამოუცია ჯერ,
თუმც ყველა ნივთები ხელში აქვს. მაქ აჯადომიაში წერაკითხვის სა-
ზოგადოება თხოვნით მომართავს და ითხოვს „ქართლის ცხოვრების“
თეიმურაზის ვარიანტის გამოგზავნას. შენ დაგვეხმარე და გამოგზავ-
ნიე, ვაპირებთ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას პარალელურად მა-
რიამის ვარიანტით და ვახტანგის რედაქციით. რადლოვისებური ინს-
ტრუმენტები მივიღე, მაგრამ რადლოვის ბროშურა არა მაქვს, შენ
მწერდი, რადლოვი გამოგიგზავნისო და არ გამოუგზავნია. როგორმე
ერთი ეგზემპლარი მიშოვნე და გამომიგზავნე. რომში რომ იყავი,
მომწერე რა ნახე, ქართულ ხელნაწერებს ვატიყანისას უსათუოთ
გაში[ნ]ჯავდი და მე ძრიელ მენტერესება „ქართლის ცხოვრების“
ხელნაწერი მართლა ძველი მოიპოვება იქ, თუ არა. ამის პასუხი უსა-
თუოთ მომწერე. მომიკითხე შენი ცოლი და ვაჟი და ჩემ[მა] ცოლმა
მოგიკითხათ. ველი შენგან პასუხს მოკლე ხანში, როგორ ხარ და
რასა იქ.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი

50

97.8.14.

ძმაო ექვთიმე,

შენი წერილი, თუმც დაგვიანებით, მივიღე. მეც დაგიგვიანე პა-
სუხი. თუმცა, რასაკვირფელია, არა განგებით. ჩემ ძველის ძველ ამ-
ბებს არ შეეეხები, რადგან ვეჭვობ „დაგაინტერესოს“. ძველ ამბავ-
საც დავტოვებ: ოლონდ გაცნობებ, რომ სამზღვარ გარეთ მგზავრო-
ბაში მძიმედ დავსნეულდი და კიდევ მშვიდობა არ უთხარი აქაუ-
რობას. შედეგს ჯერეც არ გაუარია: ექიმები პეტერბურგიდგან გამ-
გზავრებას მირჩევდენ დროებით, ეხლა ცოტა მომასვენეს, განსაკუთ-
რებით, როცა მიხვდენ, რომ მათი ჯავრის გარდა სხვა საქმეც მაქვს.

რომში სირიული ერთი ხელნაწერისთვის ვიყავი, მაგრამ გადავა-
თვალე რე აგრეთვე ქართული და სომხური ხელნაწერები Propaganda
de fide სკოლის²⁷⁸. ქართული ხელნაწერები თითქმის ყველა უმნიშე-
ნელოა: ხელნაწერებში ორი დაბეჭდილი წიგნიც ჩაურციხავთ, მათ
შორის დოდაევის დრამმატიკა²⁷⁹.

დისსერტაციას გაისს დავასრულებ. დიდი და ვრცელი დამირჩა, სამ ნაწილად გავყვევი. ორი ნაწილი უკვე დაბეჭდილია, მას აქეთ ერთი წელია. მესამე იბეჭდება.

შენი გამოცემა და წერილები (სამეცნ.) მივიღე. „ბალავარის“ შესახებ რეცენზია მაქვს დაბეჭდილი. Зап. Вост. Отд., X:280 ამ სა-ნიშნო თხზულების გამოცემაში შენებური ხელი არ დაგირთია; აჩქარება ატყვია. ყოველშემთხვევაში ყველა ძალიან მადლობელი ვართ. მე-XI ტ. Зап. Вост. Отд. იბეჭდება შენი გამოცემის დავგარად რუ-სული თარგმანი ბალავარისა. იქვე იბეჭდება ჩემი „Армянские и грузинские материалы для истории душеполезной повести о Варлааме и Иоасафе“. „ვარლამ და იოასაფის“ შესახებ Сопубеагé²⁸¹-ის თხზულების გარჩევა ჩემი იბეჭდება. Журн. Мин. Нар. Просвещения-ში (апрель), მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილის Сопубеагé-ის შრომისა, რომელიც სომხურ დედანს ეხება²⁸². ქართულის შესახებ კონიბირი ახალს არაფერს არ ამბობს: ჩემ სტატიის თარგმანი შეუტანია თავის შრომაში მარტის ნომერში Журн. Мин. Нар. Просвещ. წაკითხული გექნება ხახანოვის სტატიით²⁸³ გამოწვეული ჩემი შენიშვნა: К вопросу о влиянии перс. лит. на грузинскую. მეუბნებიან, ცოდვა არისო, მაგრამ მეცნიერებაში ცოდვა და მადლი რა საჭიროა? შენი გამოცემული კინკლოსი²⁸⁴ საინტერესოა. ჩემი გამოცემული პეტრე მაიუმელი მიღებული გექნება. — მე ცენზურობა დავტოვე. სიცოცხლ[ე] გამიმწარეს. თუმც ნივთიერად ძალიან შევი-წროვდი, მაგრამ რაც ცენზურა დავტოვე, მშვენიერ გუნებაზედ ვარ.

სემიტობის შესახებ ქართული ენისას დიდ შრომის²⁸⁵ გარდა პატარა სტატიას ვამზადებ²⁸⁶, ეხლა, სომხურში ვმუშაობ: დაბადება და მისი კითხვები, ესე იგი თარგმანის ვითარება, და ისტორიული თხზუ-ლებათა უკრიტიკო გამოცემების გარჩევა და სხვა და სხვა. მე და ცოლიც მოვიკითხავთ შენ მეუღლეს. გიორგის ქართულს და სომხურს ვასწავლი, მაგრამ ჭერ ჭერობით სულ ხუთხუთი სიტყვა არ იცის. ხორენელის შესხმა-გოდებაი ზეპირად ვასწავლე სასეიროდ.

შენთან ერთი სათხოვარი მაქვს: ბარ. როზენი გთხოვს თავის ერთ ნაცნობისათვის „სიბრძნეს ბალავარისას“ — შენ გამოცემას. ნაცნო-ბი იგი მიღებისთანავე ფასს გაწვდენს. გამოცემა მე გამომიგზავნე.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

ქრისტე აღდგა! მადლობელი ვარ, რომ სიბრძნე ბალავარისა დროზე გამომიგზავნე. ფასს, სამ აბაზს, მარკებით გიგზავნი. დღესვე გიგზავნი ორ ჩემ პაწაწა შენიშვნას. „თეოფილონ ისტორიას“²⁸⁷ შესახებ ხომ არაფერი შეგხვდენია ხელნაწერებში; „თეოფილონ ისტორიას“ იხსენიებს ცაგარელი და შემდეგ უორდანი ეფრემის ნათარგმნთა შორის (დაბეჭდილ ცნობებს არ გეკითხები). თუ რამე ცნობა გაქვს მის შესახებ, ძალიან დამავალებ მის შემოთვლით. იქნება პაწაწინა შენიშვნა ამ „ისტორიის“ შესახებ რომელიმე ქართულ გაზეთში დაბეჭდო: რაღაცა ექვი და აზრი მაქვს მის შესახებ, და თუ იგი გამომართლდა, დიად საქებური ძეგლის თარგმანი აღმოგვიჩნდება ქართულ ძველ მწერლობაში.

ნეშტთა ძველი თარგმანი ხომ არ შეგხვდენია, არ ჩავარდნილი ათონელთა ხელში და მათგან არ გამართული. საზოგადოთ, თქვენ წერ.-კითხვ. საზოგადოების ხელნაწერში იპოება თუ არა ათონელთა ხანის უწინარესი თარგმანი დაბადების, ძველი აღთქმის: ქართულ დაბადების გამოკვლევისთვის ბევრი მასალა მოვამზადე, სომხური და სირიული დედნების გაცნობით. საუბედუროდ, მოსკოვის გამოცემა²⁸⁸ საკრიტიკოდ არ ვარგა და ვუცდი, როდის დროს ვიშოვნი მანდ თფილისში მოგროვებულ ხელნაწერთა გასაცნობად. ნეშტთა ძველ თარგმანის შესახებ ახლავე გთხოვ თუ რამე ცნობა გაქვს. იქნება წ.-კ. საზოგადოებამ კიდევაც მათხოვოს „უნივერსიტეტში საკითხავად“ და არა „შინ“.

ეგ რა ოინები აგიტყდათ სომეხთა და ქართველთა შორის²⁸⁹. შენ როგორ უშვებ მაგ აყალ მაყალს. შორითგან ძალიან სასირცხოა, როგორც ქართველთა, აგრეთვე სომეხთა მოწინავე პირთათვის. სომეხები მაინც უფრო ტაქტით და თავდაპირით წერენ სომხურ გაზეთებში. ველიჩკო²⁹⁰ ვერა რა საიმედო და სანუგეშო კაცია: ამას გარდა დღეს ერთი ველიჩკო ქართველებს თითქო მხარს უწევს, ხვალ მეორე ველიჩკო მოვა და მაშინ ნახე აგეთი განხეთქილების შედეგი.

შენ მეუღლეს ჩვენი მოწიწებითი მოკითხვა. აქ ვრჩები 15 მაისამდე, შემდეგ „Кумис“-ის სასმელად მაგზავნიან სამარაში. ჩემი ჯანმრთელობა ახლა დიდად უკეთესია ყოფილზე. დისერტაციამ მომერია, უფრო მის ბეჭდვამ. გაის ძლივ გავათავებ.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

Поздравляю. Ты открыл грузинский перевод сборника Вадана²⁹¹, Вношу из письма в работу. Убедительно прошу выслать на неделю рукопись для внесения в эпилог диссертации еще нескольких строк о грузинском переводе. Твой приоритет гарантирован.

нетерпением Марр

[1890] 27 январ.

Васильев. Остр. 8 л., д. 19, кв. 24.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ტელეგრამა მიღებული გექნება. იმედია, ხელნაწერიც²⁹² გამოგზავნილი იქნება. შენი დახასიათება შენგანვე პოვნული თარგმანის სრულებით ჭეშმარიტება არის. ნათარგმნია ეგრეთ წოდებული სომხურად „აღუვესაგირქი“ ანუ „მელიას წიგნი“. რაც შენ მომწერე, თითქმის საკმაოა ჩემთვის და შენი ნებართვით შემაქვს დისერტაციის დასასრულში — უკანა-სიტყვაობაში. დისერტაციის ბეჭდვა დამთავრდება აპრილის დასასრულს (ერთ ცალს რასაკვირველია შენ გაწვდენ, როგორც აღრე გამომიგზავნია სხვა ჩემი ნაწერები, მიუხედავად შენი განსაკუთრებითი ინტერესის „ვარდანის“ არაკთა ძიმართ) და დიახ დიდი ნაკლი იქნება შრომისთვის. თუ გარდა შენგან მოწოდებულ ცნობებისა იმასაც არ მოვიხსენებ, თუ „მელიას წიგნის“ რომელ რედაქციას უდრის ქართული თარგმანი. თუ შენ ხელნაწერში ბოლო არ კლებოდა, ხელნაწერიდან ნათარგმნად მივიჩნევდი, ეხლა კი ექვეს-შვიდი არაკის კლება როგორ ავხსნა არ ვიცი უხელნაწეროდ. ჩემი აზრის გამოთქმით არა დაეკლება რა შენ გამოცემას, რადგან 1) შენი წინაურობა (პრიორიტეტი) დაწვრილებით მოხსენებული იქნება, 2) ქართული გამოცემისთვის შენი მომზადება მოხსენებული იქნება, 3) ჩემ შრომაში შენ ხელნაწერს აგრე მოვექცევი, თითქო უკვე შენი გამოცემა მზა მქონდეს ხელში, და უფრო მოწიწებითაც, რადგან არც ერთ ტერიქონს არ შევიტან ქართული დედნისას, გარ-

და სათაურისა, 4) სულ ერთბაშად ჩემი აზრი შენი ხელნაწერის თარგმანზე (გარდა შენი წერილიდგან აღმოლებული წინადადებებისა) ოცნაბეჭდ სტრიქონს არ გარდაემატება და შიგ იქნება მოქცეული შემდეგი მუხლი: 1) რომელ რედაქციის თარგმანი ეგრეთ წოდებული „ვარდანის არაკთა კრებულისა“, 2) მელიას წიგნის სომხური დაბეჭდილი ტექსტის თუ ხელნაწერის თარგმანია და ამისდაბარად რა დროის დაახლოვებით (XVII თუ XVIII საუკუნემდი)²⁹³, 3) რომელი მთარგმნელი სჯობს, „მელიას წიგნისა“ ქართული თუ არაბული (არაბული თარგმანიც არის) უფრო დაწვრილებითი ცნობებისთვის მკითხველს მიუთითებ შენ მომავალ გამოცემას. ერთად ერთი სასურველი კიდევცის არის ჩემთვის, რომ რამოდენიმე ბუნდო ფრაზა თუ სიტყვა სომხური დედნის შენი ქართული ხელნაწერის საშვალებით გავარკვიო და დამატებებში (Добавл. и исправления) შევიტანო თითოეული შემთხვევა (თუ აღმოჩნდა) შენი წყალობა — ხელნაწერის დასახელებით. თუ ხელნაწერის არ გამოგზავნა გადასწყვიტო მიტომ, რომ დისერტაციის დამთავრებას დამიშლის, ჯავრი ნუ გაქვს — ერთი დღის, დიდი დიდი ორის შრომა სრულიად კმარა. ყოველ შემთხვევაში პასუხს ველი. — აკადემიის ხელნაწერი²⁹⁴ ჩემ ხელშია და თუ ზაფხულისთვის ირჩევ მიღებას, ეს მაცნობე, ახლა ხანად მე თვით ვსარგებლობ ადგილ ადგილ ბროსეს შეცდომების შესასწორებლად²⁹⁵, თუ ახლავე გჭირია მაინც და მაინც, ისეც მომწერე, და რასაკვირველია დაგიტომბო (მით უმეტეს, რომ მარიამის დედანს ძალიან ველი და მისი დაბეჭდვის აზრი ძალიან მომწონს). არქეოლოგიური საზოგადოების მდივანს (სჯობს როზენს) შენ სურვილზე მოველაპარაკები. — დაეიწყებას ამბობ — с больной головы на здоровую ამას ჰქვიან; ძალიან მიკვირდა შენი ღუმელი. ამ წერილიდგან გამოგია შენი ღუმლის მიზანი ნამდვილი — აღრე (არ დაგიმალავ) ცოტა „ძაბუნობა“ დაგწამე. ახლა კი ვხედავ, რომ „среда“-ს შენც მოუწამლახარ. ღმერთმანი ლამის მანდ ხან დაყოფის აზრი უკუვდევ — „ატმოსფერა“ ჰგავს ძლიერ მოწამლულია... მახლას! აჰა Last but not least: 1 სომხების შესახები კითხვა! ვაიმე, ვაიმე, ჩემო ექვთიმე, ნუ თუ შენც იმას უყურებ, თუ როგორ ამბობს კაცი და არა მას, რას ამბობს. მე თუ მართალს ვამბობ და შენც სიმართლეს ეძებ, მაშ რაღა „злорадство“-ს ნაკლს სდებ ჩემ ნაწერებს ჩემი „злорадство“ ჩემს ვარდა ვის რას დაუშავებს, თუ სადმე, ვთქვათ (მე არ ვარ თანახმა და მე უნდა

1 იხ. უკანასკნელი, მაგრამ არა უმნიშვნელო (შემდგ.)-

დამეჭეროს, რადგან მე უფრო კარგად ვიცი, თუ რა აზრით ვწერ — „злорадство“-ისთვის თუ სხვა უფრო მაღალი მიზნისთვის). თუ „злорадство“ არის ჩემ ნაწერებში, მხოლოდ ის „злорадство“-ა, რომელშიც ჩემი ღრმა რწმუნებით ყოველ პატიოსან ადამიანთან უნდა გამეზიაროს; მწერ, აკაკი მეცნიერი არ არისო — უბედურებაც ის არის, ის აზრი, რომელიც უმეცართა საკუთრებას უნდა შეადგენდეს, შეადგენს ახლანდელი ქართველობის აზროვნული თანხმობის ანუ კონცერტის უმთავრეს კილოს²⁹⁶. ნეტა ვიცოდე (მაპატივე ჩემი ეჭვი), დასტურ გეგონა აკაკის, როგორც მეცნიერს შევეტაკე (?!)²⁹⁷ ან მის აზრს მისთვის მივაქციე ყურადღება, რომ „აკაკი“ ასე ფიქრობს? არა თუ აკაკი, როგორც აკაკი თურმე შენც ფიქრობ (წერილიდან ვხედავ) და თუ შენ ფიქრობ (სხვა საბუთი რომ არ მქონდეს ამისთანა დასკვნისათვის), ეს კმარა დასასკვნელად, რომ მთელი ქართველი „ინტელიგენცია“ აკაკისებრ ფიქრობს ან სურს თურმე იფიქროს. ეზოვის წინგში²⁹⁸ ქართველთა დამცირება დაინახე: ღმერთმანი სამჯერ ოთხჯერ გადავიკითხე ეს ადგილი შენი წერილისა²⁹⁹ და მიინც არ მრწამს, არ მსურს ვიწამო, რომ ეგ შენი ნაწერია და არა ჭანაშვილს არ ვიტყვი, ვისმე კიდევ უკეთესის. მთელ წიგნში, რომელშიაც ძირეული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისთვის ახლად დაბეჭდილ საბუთებს, მეცნიერი ხედვიდეს, რადგან მეცნიერი ქართველია, მხოლოდ იმ სტრიქონებს, რომელნიც ცნობილი მოგზავრიდგან ავტორს გამოუკრებიდა და ქართველთ ცუდად ახასიათებს, განა ეს მეცნიერების დამხობა არ არის? და კიდევ მე ვავალებ ასეთი საქმის ხელყოფას?!

Благодарю покорно! ფრანცუზი იტყოდა C'est la comble! ¹ იქნება ის საბუთებიც გამოგონილი იყოს და იქნება ისრავლ ორი არც ცხოვრებულა ოდესმე — ეგ ხომ სულ სხვა ამბავია და მე თვითონ დიდი მადლობით წავიკითხავ აგრეთ განრჩევას. რაც შეეხება მას, რომ ეზოვმან ქართველთა „აჩრდილულ“ მხარეთ შეეხებო, მას დიდი წვრთნილებითი და სწავლებითი მნიშვნელობა აქვს ქართველი ინტელიგენციისთვის? იქნება ეხლა მიხვდენ, თუ რა დიდი და მძიმე მწვავე ტკივილის ამტეხია მთელი ერის პატივის დაქოლვა, როცა გაკვირითი ორ-სამ ადგილს მათი ცუდად დახასიათება, იგიც სხვისი პირით,

¹ ეს უკვე შეტისმეტიო! (შემდგ.).

აგრეთ მწყერალად მიუღიათ. Vale¹. ძიილებ ათონზე მოგზაურობის „Предварительное сообщение“³⁰⁰ ერთ კიდეე შენიშვნას.

ნ. მ ა რ რ ი.

(მოწიწებითი მოკითხვა შენს მეუღლეს და მადლობა მოკითხვის ჩემი ცოლისგან. ნ. მარრი).

54

1890 წ. მარტი 5.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

მივიღე ტელეგრამმა. მადლობელი ვარ „ოტტისკ“-ებისათვისაც. შენ სასურველ ხელნაწერს აკადემი(ი)სას მიიღებ, თუ უკვე მიღებული არ გაქვს³⁰¹. თვით ზალემანმა გამოთქვა თანხმობა და, რასაკვირველია, დიდი სიხარულით ხელი ავიღე ხელნაწერზე, მით უფრო, რომ ამ დროებით სულ დისერტ. დამთავრებას მოუწოდებო. შეიღი რვა თაბახი დამირჩა საძიებელითურთ და სხვა. ჩემ დისერტ. ცალკე ფურცლებს ვერ გიგზავნი, რადგან ოთხი ცალი უკვე გამოტანილი გაქვს სამი ოპონენტებისთვის და ტიპოგრაფია იმასაც მიძნელებს. როგორც უკანასკნელ ფურცელს ხელს მოვაწერ, მაშინვე გაწვდენ. ბოლონდელ ნაწილებში ქართულად ნათარგმნ სომხ. რედაქციის შესახებ არა გაქვს რა თქმული და მიტომ უკანასკნელ თაბახებს არ გიგზავნი, თუმცა შემძღია, მაინც და მაინც „არა სუფთა კორექტურა“ გამოგიგზავნო. იმ რედაქციის არაბული თარგმანიც სუფევს, რომლის დედნობას ამტკიცებდენ, ვისაც არც ერთი წაკითხული არ ქონია, და მთელი პირველი თავი ჩემი დისერტაციის პირველი ნაწილისას ამ აზრის უსაფუძვლობას და სომხურის დედნობას ასაბუთებს.

ნ ა ხ ვ ა მ დ ი .

ნ. მ ა რ რ ი .

მოამბეში წავიკითხე გარჩევა ეზოვისა და გაცვრით მისი წიგნისაც და დავ[ა]სკვენი, რომ ამ წერილს თავის გავლენა უმოქმედებია შენზე. კაი გინება და ლანძღვაა, შენმა მზემ... არ ვიცი ეზოვს რა აზრი

1. ჟანბრთელად იყავ (შემდგ.).

ქონდა წიგნის დაწერის დროს და არც მეინტერესება, მაგრამ, თუ როგორც გამრჩევი ამბობს, მისი (ეზოვის) გამოკვლევა ჩემ აზრების კვალს და ნაშრომების გზას მისდევს, მაქვს კადნიერება ვთქვა, რომ ბ. ალი³⁰² ქართულ რაინდულ, უკეთ ვთქვათ მხედრულს და შეუპოვარ სიცრუეებს გვილაყბებს და თუ ეზოვის წიგნში მართლა „ფალსიფიკაცია“ სუფევს, მაშინ ხომ სწორედ ქართული რაინდული „მამაცობაც“ მაგას ჰქვია, რომ მე მაღარებს. ორივე შემთხვევაში სწორედ ამ წერილის დამწერი ბ. ალი გვისაბუთებს, თუ რა რაინდული ერი ყოფილა მთელი ქართველი ერი, უკეთუ ნება მოგვეცემა ბ. ალის საშვალეებით მთელი ერი ვზომოთ. მახლას... რა გაეწყობა?

ი გ ი ვ ი

55

14 მარტი 19 წელი-

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე!

ხელად ფოშტის ქაღალდი არ მაქვს და ვწერ უბრალოზე. ახალი ცნობებისთვის მაღლობელი ვარ, აგრეთვე რაც დამპირდი მისთვის. თუმც ვიმედობ აპრილის დასრულებამდე სრულიად დამთავრებას საძიებელითურთ და წინასიტყვაობითურთ დისერტაციისა, მაგრამ მაინც იქნება ჩემთვის საკმაოა თვალის გადავლება, შენ მიერ დაბეჭდილ ტექსტზე ოღონდ მომწერე ხელნაწერი³⁰³ ვისია, თუ სახვაშიადო რამე არ არის, კერძო პირს ეკუთვნის თუ რომელიმე წიგნსაცავს და რა ნომერი აქვს, თუ წიგნსაცავის არის, მაინც და მაინც ჩემთვის საჭირო არ არის, რადგან შენი ნაპოვნი თარგმანი³⁰⁴ წარმოადგენს შედარებით ახალ რედაქციას, მაგრამ ზოგი ადგილის შედარება მაინც მსურს. ჩხენკას დაწყება ქართული თარგმანის საშვალეებით ძნელია, რადგან ჩემ შრომას სულ სხვა ხასიათი აქვს: როცა ჩემ წიგნებს მიიღებ (სამი ტომისგან შესდგება), თვით დაინახავ. დაინახავ აგრეთვე იმას, რომ ქართული თარგმანის გასაჩხრეკად რუსული ჩემი გამოკვლევა დიდ შეღავათს არ მოგცემს, რადგან „მელიას წიგნის“ (სომხურ-რადაც აგრე ჰქვია) განსაყუთრებულ თარგმანს არ ვიძლევი. მე-11 ტომში მოთავსებულია სომხური ტექსტი, მაგრამ სომხური ტექსტი ხომ შენ არ გჭირია. მე მგონია უკეთესია, თუ რამ საეჭვო გაქვს თარგმანში, წერილით მაცნობე და ძალისაგვარად ახსნას გაცნობებ.

აი ვთქვათ შენ იწერები რამოდენიმე საექვო ადგილის შესახებ და მათ პასუხს მოგახსენებ.

1) მე-78 არაკის შესახებ შენი შენიშვნა სრულებით მართალია და უნდა იყოს თარგმანი. ყ ვ ა ვ მ ა [შე ჰ კ რ ი ბ ა]
თავის ბარტყები... შე ე ა რ ა
მ ო ა ს ხ ა

2) მე-19 არაკში სიტყვა „კურია“ სომხურისგან გადმოუტანია მთარგმნელს *կիրია* = კურია) და ნიშნავს, როგორც მიმხვდარხარ შენც, კუს ანუ რკუს.

3) მე-16 არაკში ალექს. მაქ. ცხოვრებისგან მოხსენებულია მეფე ჰოპლიოს.

4) მილოზ (უკეთ ნელოს) ნილოსია; მაგრამ მხოლოდ მე-59 არაკში, სადაც ალექსანდრეს ხსენება არ არის.

5) მე-15 არაკში „ნისაფი“ გადმოღებულია სომხური ტექსტისგან და წარმოადგენს დამახინჯებულ არაბულ სიტყვას (იხმარება სპარსულშიც და თათრულშიაც): მისი ნამდვილი ფორმა არის „ინსაფი“ (ინსაფი) და ნიშნავს „სიმართლე“-ს.

6) სათაურად სრულიად კმარა „მელიას წიგნი“. ყოველშემთხვევაში, როგორც ჩემი გამოკვლევისგან აღმოჩნდება, ვარდანს თუმც უწერია არაკები და მათგან ზოგი მელიას წიგნშიც ურევია, მაგრამ მელიას წიგნის ავტორი ვარდანი არ არის, მას შეეძლომით მიაწერენ. გამოკვლევა ჩემი მზად იქნება აპრილის შვა რიცხვებში (უსაძიებლოდ) და მას მოგაწვდენ სრულად გამოვლამდის (მაისის დასაწყისს). ცაგარელმა კიდევ მოინდომა (მგონი კიდევაც მოგწერე) ჩემი დაცემა³⁰⁶, მაგრამ... მანდ მოგახსენებ. რომში მე სიკვდილზე ავად ვიყავი და მიტომ არ დამიმთავრებია რისიც ნახვა მსურდა. ძლივს ერთი სირიული ხელნაწერი შევისწავლე ჩემი დისერტაციისთვის — სომხების და ქართველების შესახებ მუსაიფი ალბათ შენთან ეგრე შეუძლებელია, ვითარცა ყველა ქართველთან. მიუდგომელი (?) რუსი და მიუდგომელი (?) სომეხი თუმც ბევრი შეგხვედრია, მაგრამ სჩანს ცოდნა არ ჰქონათ: მარტო კეთილი სურვილი მიუდგომლობისა ხომ კაცს მიუდგომელად ვერ შექმნის. ხოლო ცოდნა რომ ქონდეს, არც ჩემს ნაწერს სამტეროდ ჩაიგდებს. შენს წერილში³⁰⁶ უკანასკნელი ერთი სტრიქონი. მაიმედებს, რომ ჯერ არ დაუნთქამხარ ცხოვრების ღელვას, ეს როცა ამბობ — „მე მგონია ორივე ხალხს უკეთესი შვილები ჰყავს“. უკეთუ ეს არის შენი აზრი, მაშ ჩემთან სადავო რა გაქვს. ბერი ბაქრაძის³⁰⁷ შესახებ ათონის მთაზე ცალკე მოგწერ. იწერები შენს შემდეგ არავის უშობენო. ჩემს წინ კი უშობდენ განა? სამი ოთხი დღით ზოგს კიდევ (ბაქრაძეს, ცაგარელს), ხოლო მეტს ხომ არა.

მე კი მისვლისთანავე შემიშვეს? ჩვენ (კონდაკოვს და მე და სხვა წევრთა) პირდაპირ ხელმწიფის ბრძანება გვექონდა, მაგრამ მაინც ბევრი ხრიკი დაგვეკირდა, განსაკუთრებით მე, რადგან ბერძნებს ქართველის როგორც გველის ეშინიათ ივერიის მონასტერში. ნახვის დროს დაწვრილებით გიამბობ. ბერს ხომ თოფის სასროლზე არ მოინდომებენ. რაც მე ივერიის მონასტერში გადავიტანე, სათქმელადაც ძნელია. შემდეგ შემომეჩვიენ და მგონია ახლა რომ წავიდე, მიმიშვებენ და კიდევაც ვაპირებ. სხვას შემდეგ გიამბობ ნახვისას.

მოკითხვა შენს მეუღლეს. აგერ თვეა მე მარტო ვარ გიორგი-ურთ, ცოლი ვარონეუშია — დეიდა უკვდება. გიორგი, ცელქია და მარტობა ძალიან გამიჭირდა. ხელნაწერი³⁰⁸ მიღებული გექნება. ნახეამდი. იენისის დასაწყისს თფილისში-ვაპირებ გატარებას.

ნ. მარტი.

56

25 მარტი 1800 წელი-

ქ მ ა ო ნ ი კ ო !

პირველი ფორმა მიღებული გექნება. მეორეს ამ წერილისთანავე გიგზავნი. მესამე მზათ არის და ხვალ ზეგ გამოგეგზავნება. ამ სახით მესამედი წიგნისა მზათ არის და იმედი, აპრილის დამლევამდის გათავდება³⁰⁹. თანდათან რაც შენიშნო შენ ტექსტის ნაკლულევანებას, სიტყვების გამოშვებას და სხვა, მომწერე. აგრეთვე ყოველშემთხვევაში კარგი იქნება, რომ შენს შრომას³¹⁰ მალე მომაწვდენდე. იმ არაკებს, რომელიც აკლია, დაუმთავრებელია ბოლოში, რა უყო? ნაკლულევანათ დაბეჭდვა არ ვარგა. კარგი იქნება აზრისათვის დაუმთავრებელ არაკებს დაამთავრებდე შენ მიერ ნათარგმნით და მომაწვდენდე (ფრჩხილებში ჩავსვამ), სულ ერთი-ორი არაკია დასამთავრებელი იქ, სადაც ფურცელი აკლია, — როგორც პირველ წერილში მოგწერე. ზელთნაწერი³¹¹ შექმნილია წერაჯითხვის საზოგადოების წიგნთ საცავისათვის და უზის № 2966. სათაური დაბეჭდილი იყო, შენი წერილი რომ მივიღე. ის სიტყვები რომელთაც ციფრები უზის დედანში, ასე სწერია: 1. რომა, 2. პური, 3. მოსამსახურედ, 4, და, 5. თავილი 6. წინეთ წერებულა — „მხარის“, მერმე ტექსტის ხელით გადაკეთებულია — „გვარის“. 7. კაცის. 8. უკანასკნელი ექვსი სიტყვა გამეორებულია დედანში. 9. ეს სიტყვა გამეორებულია, 10. მწუხარებაში, 11. სასტუფეველისათვის (ამ სიტყვას ყველა შემთხვევაში

ახლავს „რ“). 12. ორიოთ. 13. მოვიდნენ. 14. მოეკლათ, 15. მიმატებულია აქ „და“. 16. ეს ოთხი სიტყვა გამეორებულია. 17. მიმატებულია სიტყვა — მისცა. 18. მწუხარება. 19. შეუძვრა. 20. მიმატებულია: და კაკაბმა. 21. მიმატებულია: „რომ“. ამ შენიშვნებს და სხვა ამგვარს ბოლოში დაურთავ. შენი Предварительный отчет-ი წავიკითხე. ბევრი ახალი ამბევებია შით ჩვენთვის და საინტერესო კითხვები. ალბათ სომხის წმინდანების ცხოვრება რომ იყო, იმიტომ არ არიან ჩვენში გავრცელებული მათი ცხოვრება. „ბალავარის“ შესახებ ჩვენი აზრები ქართულიდან ნათარგმნის შესახებ ნუთუ ქარწყლდება? ძრიელ მწყურია მთელი отчет-ი. სომხურიდან თარგმნა არ შეწყვეტილა მე-XIX საუკუნემდის ქართულს ენაზე და რათ ჰგონია, რომ VII—VIII საუკუნის შემდეგ არ თარგმნიდენ ამისთანა რამეებს. ოტისკი გამომიგზავნე. ბაქრაძე მღვდელს რაიმე გაუხერხე. დიდ სამსახურს გავვიწევს. ერთი ეს მაცნობე, აგათანგელის სომხების მოქცევა ნახე ათონის ბიბლიოთეკაში, თუ არა, და თუ ნახე — იმ ხასიათის არის, როგორც წერაკითხვის საზოგადოებისა?³¹² სხვებზე მერმე მოვილაპარაკოთ. ამ წერილს საჩქაროდ გწერ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

57

[2.IV.1899].

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

მადლობელი ვარ. ორი თაბახი მივიღე³¹³. ვეკვობ, რომ მივიღო მხედველობაში. სჯობს მთელ მელის წიგნის დასტამბვას მოუცადო, ხოლო მაშინ ჩემი შრომა სრულად დამთავრებულა იქნება. რატომ ვარდანიის დაარქვი კრებულს? ვთქვათ აგეთ კრებულ[ს] სომხურშიაც ვარდანს მიაწერენ, მაგრამ ვარდანს ეკუთვნის მხოლოდ ზოგი არაკი. ძღვნობისთვის მადლობელი ვარ³¹⁴, თუმცა სჯობდა არ მოგეძღნო. ჯერ თავის თავი ახალგაზდად მიმაჩნია და მკვდრად ყოველშემთხვევაში არა. ნათარგმნის ენა ძლიერ მოსაწონია და სრულებითაც არ დაუვარდება დედანს. მთარგმნელი ზოგან ამოკლებს და ზოგან არ მიხვედრილა. საუბედუროდ, ჩემი გამოკვლევა მხოლოდ პირველ თავში ეხება განსაკუთრებით ვარდანული (და არა ვარდანიის) კრებულის იმ რედაქციას, რომელსაც მელიას წიგნი ჰქვია და არ შეგწევს. ზოგი

ასხვა თავშიაც მაქვს ნათქვამი ზოგიერთი ნაწილის შესახებ მელიას წიგნისა, მაგრამ გამოგზავნა პირველი თავისაც ძლიერ მოვახერხე. ისიც იმიტომ, რომ ძველი ცალის პირველი თაბახი შემრჩენოდა. ძლიერ გამიგრძელდა შრომა და თუმც აკადემიის სტამბა ახლა ძალიან კარგად მიწყობს, აღდგომამდი შავად ბეჭდვის დამთავრებას მოვასწრობ მხოლოდ, ახალკვირეს სულ მზად იქნება. აქ ვაივავალახია. ახალგაზრდობა სრულიად შეიშალა და იქნება დისპუტი³¹⁵ აღარ მოხდეს გაზაფხულზე.

ბ. მ ა რ ი.

P. S. აკაკის „ავტორიტეტს“ უარყოფ. აი, ახლა მეორე პოეტი გამოიჩემა. სწორედ, რაინდული ცრია ქართველი ერი! მაშალა!

ბ. მ.

58

[1899] 4 აპრ.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

მივიღე შენი წერილი 25 მარტისა და ორი შენი შენიშვნა ჩემი იტყუარის შესახებ თუმც შთაბეჭდილების აჩქარებით აიხსნება, მაინც შეკვირვებს და მიტომ ვჩქარობ გიპასუხო. 1) „აღბათ სომხის წმინდანების ცხოვრება რომ იყო, იმიტომ არ არიან ჩვენში გავრცელებული მათი ცხოვრება“-ო იწერები. წმინდა გიორგი რომელი სომეხია? მოგვი ეზიდბოზიდი რომელი სომეხია? მე ამ გარემოებას განგებ ყურადღება მივაქციე ჩემ მოკლე მოხსენებაშიც (იხ. გვ. 22—24)³¹⁶. მეორე მხრით სომეხობამ რად არ დაუშალა დავით და ტირიჭანს მათი შესხმით ხსენება ქართველთა თვეთა წიგნში (ძველ ხელნაწერებში)³¹⁷. 2) „სომხურიდან თარგმნა არ შეწყვეტილა მე XIX საუკუნემდის ქართულს ენაზე და რათ ჰგონია, რომ მე-VII—VIII საუკუნის შემდეგ არ თარგმნიდნენ ამისთანა რამეებს“.

ერთი რომ ჩვენი ცხოვრებათა ხელნაწერი³¹⁸ თვითონ ეკუთვნის მე-X საუკუნეს და მასში მოქცეული წერილი როგორ უნდა ეკუთვნოდეს მერმინდელ დროს. მეორედ, თვით ტექსტის გარჩევიდგან და შესწავლიდგან სჩანს ცხადათ, რომ ამ ხელნაწერის გადმოწერს ბევრ ადგილს ქართული ასოების მიმსგავსეობით უკვე დამახინჯებული ტექსტი ჩავარდნია ხელში და მაშასადამე გადამწერის დრომდი კაი

ხანი უცხოვრია. ეს უკვე საკმაოა, რომ გადმოთარგმნა მე-ათე საუკუნეს დასაწყისს აქეთ აღარ შესაძლებელი იქნეს და თუ მე-VII—VIII ან უფრო მე-IX საუკუნეს ეკუთვნის თარგმანი, ეს უკვე სომხური წყაროების შესწავლით უფრო დალაგებით გამოჩნდება და საზოგადოდ შესწავლითა ქართველთ-სომეხთა ადრინდელი ეკლესიური ერთობისა. ბოლონდელ ნათარგმნებს სომხურიდან სულ სხვა დალი ასმია. იგი სხვაა იგი სხვაა შუა უზის დიდი ზღვარი — მათ ეთქმევა.

ჩემი შრომის დასაწყისი მიღებული გექმნება. პირველი ნაწილის 30 თაბახი უკვე დაბეჭდილია, სხვა თითქმის სრულად აწყობილი (მე-II და მე-III კი სრულებით დამთავრებულია). და მხოლოდ აპრილის დამლევს (აღდგომა შემთხვევის ხელს) მოვასწრებ და გამოგიგზავნი.

შ ე ნ ი ძ მ ა

ნ. მ ა რ რ ი.

59

16. 1890.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

შენდა დაუკითხველად ყორღანოვს³¹⁹ „K. B“. გამომცემელს ვთხოვე, რომ ჩემი სტატიის³²⁰ მართვა შენ მოგანდონ. იმედია, უარს არ იტყვი და არც დაავიანებ. ერთი კორექტურა მაინც მე ვსთხოვე უკანასკნელი, რადგან ეგრე ვარ მიჩვეული. სხვა ძალიან მადლობელი ვარ (ორჯერ) შენი გამომცემისთვის. ერთი პირადად, რომ მე მიძღვენი ეგ გამოცემა, და მეორე, ვა მეცნიერი. შენ გამომცემას ლექციაზე ვადარებთ სომხურს და გამოდის, რომ ზოგად მთარგმნელს შეუცვლია მოთხრობის კილო, რედაქცია. სხვა ახალი არა მაქვს შემოსათვლელი. სემიტობაზე ვზივარ და თუ მოვასწრობ ადრე თუ არა, არ ვიცი. თან სადოქტოროს ვამზადებ. დიდის პატივისცემით გულითადი მოკითხვა ნ. ივ. ჩემგანაც და საშსაგანაც. სამწუხაროდ, საშა ავადობს, თუმცა კავკასიიდან მშვენიერად დაბრუნდა³²¹.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

ნიკო, შენი წერილი მივიღე. სტატია ძრიელ კარგია. გავასწორე და დღეს თუ ხვალ გამოგიგზავნიან. დავით აღმაშენებლის ანდერძი³²² „აპოკრიფი“ არ არის, ნამდვილი მისი ხელმოწერილი დედანი მოღწეულია ჩვენამდის. და ამ დედნიდან ხუცური ანბანი და ხელის მოწერა დაბეჭდილი *Предварительный* ოტჩოტში ტფილისის არხეოლოგიურის კრებისა. მერმე თ. ყ-ამ დაიტრაბახა — მე აღმოვაჩინე დედანიო და გამოცა ანდერძი რუსულ ქართულათ³²³. მე არ წამიკითხავს ჯერ. თუ შენი ნება იქნება, გადავასწორებ იმ ადგილს სტატიისა. ახალი ყურნალიდან³²⁴ ბევრს არაფერს მოველი. მოთავე გამოცემელი³²⁵ კარგი კაცი უნდა იყოს, მაგრამ ამ საქმის ცოტა ესმის. რედაქტორის ამბავი გეცოდინება, ანგარიანი კაცია. ერთ კრებას დავესწარი და ცული შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. შენი ცოლი მომიკითხე, და აგრეთვე გიორგი. ნინომ მოკითხვისათვის მადლობა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე .

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

უმორჩილესად გთხოვ ღია წერილით დაუცნდებლად მაცნობო, „ქ. ცხ.“ მარიამის დედანში ნახსენებია „ლექსთა მთქმელად“ იოანე შავთელი (რომელიც თამარის მახლობელთა შორის ნაჩვენებია ბროსეს ტექსტში), თუ არა. თუ განირჩევა მარიამის დედანში იოანე შავთელის მოხსენება, ძალიან დამევალებ ნაკვეთის გადმოწერით (სულ ორი სამი სტრიქონი შედგება). რასაკვირველია, „ქ. ცხ.“ ამ ცნობას, როგორც აღრე, არც ახლა ვაძლევ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდე, არის თუ არა იგი მოწყვდელი შენ შესწავლილ დედანში. — ქართული ტექსტი „გრივორის ცხოვრებისა“ ნათარგმნად სჩანს ბერძულისგან.

ბ. მ ა რ ი .

ნიკო, მარიამის ხელნაწერში ასე სწერია: და მეფე თამარ მოვიდა ოძრკვეს და ეახლნეს შავთელი კაცი „ფილასოფოსი“ და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწეებითა შინა გამოთქმული და ევლუგი სლოსად წოდებული და წინასწარ მცნობლობისა ღირს მქნილი. (ჩემი გამოცემა გვ. 501, აქ ორ ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ არ დაუსვი). მეორე ადგილი: „ხოლო ესე თქმულ არს რომელ მეფისა თამარისა ოძრკვეს ყოფასა შინა ეხილნეს (უნდა იყოს ეახლნეს): შავთელინი: ივანე: ევლოგი: და (იყო) ვედრება ოთისა და ღამეთა გათევა ლაშქართა გამარჯვებისათვის: დღესა ერთსა და ღამე მეფესა თამარს: და: შავთელსა: ევლუგის: და მეფეს: წინაშე: სხდეს: და ანასდათ განკუირვება დაეცა ევლუგის იწყო აღმართა ხედვად: ვითარ ხედვიდა ანასდა კმა ყო ევლუგი დაეცა კმუნვის სახედ და ვითარ აჰა ესერა სამგზის და მეყსეულად ახლტა კმა ყო აჰა წყალობა ოთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია და ივლტოდა და აღვიდა მთასხ რომელსა ჰქუიან არაგანნი: მაშინ შავთელმან: რქუა: უწყოდე მეფეო: რომელ ჩუენება იხილა სულელ საგონებელმან გარნა ჩუენებასა კეთილსა ვგონებ“ (გვ. 507—508 ჩემი გამოცემა) ორი წერტილები ყოველგან არ დამისვამს, თუმც ჩემს გამოცემაში არის. თამარის მეფობა საზოგადოთ ძრიელ გადუქეთებია და განუერცია ვახტანგს, მაგრამ იოანე შავთელი მარიამის დედანშიაც იხსენიება. მე იმ აზრისა ვარ, რომ „ქარ. ცხ-ბა(ს)“ არა ერთი ვახტანგის რედაქცია გამოუცდია, არამედ მრავალი და ეს მეტად უნდა დასტუობოდეს თამარის მეფობას. ყოველ შემთხვევაში მე მგონია ეს უენი სტატიის აზრს ვერ დაარღვევს. სხვა ადგილას შავთელი მარ[იამისეულ] ვარ[იანტ]ში არ იხსენიება.

ე ქ ვ თ ი მ ე.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

ხვალ ჩემი სტატია³²⁶ უკვე დაებრუნება რედაქციას. გთხოვ კიდევ თვალი გადაარო და რაც მე შემისწორებია, ატყ ერთი შეუსწორებლად არ დააბეჭდინო. უენი წერილისთვის შესახებ ანდერძისა მადლობელი ვარ, წაკითხული არ მქონდა, თუმცა ვიცოდი მისი არსებობა. მაგრამ

ის დავითის ანდერძი სულ სხვა ანდერძია, შიო-მღვიმეს შეეხება და არა გელათს. ახლა წაიკითხე და ვხედავ, რომ სულ სხვა არის, ჩემ სტატიას არ ეხება, მაგრამ რადგან ბევრს, როცა დავითის ანდერძზე ვამბობ, ეს ანდერძი ეგონება, შენიშნავს უმატებ. შიო მღვიმის მიმართი ანდერძი დიახ საინტერესოა ენის მხრივაც, მაგრამ გამომცემელს ბევრი ვერ გაუგია მისი რუს. თარგმანის მიხედვით. შავთელის შესახებ აგრეთვე მიუმატე შენიშვნა. დახე, შენი წერილიც ამა მოვიდა. რასაც შენ სწერ, უკვე გამოთქმული მაქვს შავთელის შესახებ დამატებულ შენიშვნაში, თუმცა მარიამის დ[ედნის] შესახებ მე არავითარი ცნობა არ მქონდა, არის თუ არა შიგ შავთელი. თამარის ცხოვრება უსათუოდ ნამართი მე-XVI—XVII საუკუნეში მარიამის დედნის დაწერამდე, მაგრამ ვნახოთ ჯერ მარიამის დედანი.

მესამე შენიშვნა დაურთე დიმიტრის შესახებ³²⁷ ახალ ამოჩენილ სპარსულ წყაროდან, სპარსული ხელნაწერის მინაწერიდან. კორექტურაში წაიკითხავ. გულითად გევედრები, ყურადღებით შეუფარდო ჩემ მიწერილს აწყობილი, თვარა ძალზე ბევრ შეცდომებს ვხედავ. შენი გასწორებული ზოგი არ გაუსწორებიათ. აგრეთვე გვერდების შეცვლა დასჭირდება, თვალი უგდე, აქ არ მოახდინონ რამე ხიფათი. როცა გაასწორებ, თხოვე დაგიბრუნონ ისევ, რომ გული დააჯერო შესწორებაზე. ისეთი შეცდომებია შიგ შეუსწორებელი, რომ ერთი იმისთანა რომ დამიტიონ შეუსწორებლად, თანამშრომელი იისგან ხელს ავიღებ. ეს მათ საცნობლად. ხოლო შენ კიდევ გეხვეწები, ყველა ჩემი შესწორება შეატანინე და გაასწორებინე. ორჯერ არაბული სიტყვებია აწყობილი (عبد المسيح) და ორვეჯერ შეცდომა (حسام المسيح) იქნება, ვინმე ნაცნობი სპარსი ან თათარი გეგულება (არაბული ასოები ხომ იცი არ განირჩევა სპ. და თათრ.) და თვალი გადაავლოს, თორემ ისევ ვერ შეასწორებენ ჩემ ნაჩვენებს. სხვა მადლობელი ვარ ძალიან შენი მეორე წერილით რომ დროზე ასე მომიხწარი. თუმცა შეცვლა აღარ მჭირია არაფრის, მაგრამ რომ ახლა სრულებით დაჯერებული ვარ, რომ მარიამის დ(ედან)ში შავთელის შესახებ არის ნათქვამი. მოკითხვა გულითადი შენ მეუღლეს.

ნ. მ ა რ ი.

Еще вспомнил: в цитатах цифры набраны небрежно, так напр. на стр. 3 цифра «26»: первая (2) простым шрифтом, а вторая (6) жирным! Это, собственно, дело корректора типографского, но так я не имею основания на него надеяться, обрати внимание, пожалуйста, я на это (я исправляю). Надо что

ნიბუდ ადნო. (Кое пде арабския цифры набраны римскими! — კიდევ. შავთელის და რუსთაველის შედარებაში ყოველი სტრიქონი იწყება ასომთავრულით; როცა სტრიქონი ტაეპს შეიცავს, კეთილი, მაგრამ რუსთაველის თითო ტაეპი ორ-ორ მუხლად არის დაყოფილი და მეორე მუხლების ასომთავრულად დაწყება სრულიად უსაფუძვლოა. ამიტომ ამ წერილმან შეცდომებსაც ვასწორებ და შენ იცი, თუ როგორ გაასწორებები. თავი მოგაწყინე, მაგრამ იმედია, შემინდობ. რუს სტუმარმა წერილის წერა შემაწყვედინა და როცა წერილს დაუბრუნდი, მოუსაზრებლად რუსულად განვაგრძე ქართულად დაწყებული ბარათი.

სამ ახლად შემოსატანი შენიშვნათაგანი ერთი 19 გვერდზეა, და ორი 20: უკანასკნელი ორი ცალკე ქაღალდზე მივაწერე და მივაწებე მე-20 გვერდს. პირველ[ი] შენიშვნა იქნება სიტყვაზე «Абдулмесия», სადაც ვამბობ: «...более популярной являлась арабская форма прозвища «Абдулмесия». მეორე შენიშვნა ქვემოთ სიტყვაზე «преданий».

მშვიდობით
ნ. მარრი:

64

90.XII.8.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ზაფხულზე რომ თფილისში ვიყავ, სხვათა შორის იაკობ ნიზიბელის ცხოვრების³²⁸ გადმოწერა მინდოდა (სადოქტორო დისერტაციისთვის), მაგრამ, რაც იაკობ ვნახე ხელნაწერებში ორ ადგილს, სხვა იაკობი იყო (იაკობ დაჭრილი). ეხლა შინ რომ ვათვალიერებ მასალას, ვხედავ, რომ იქიდან წამოღებული შენიშვნა თფილისში უხეირო ადგილს (წიგნში) დამრჩენია უსარგებლოდ. ამ შენიშვნიდან ვხედავ, რომ იაკობ ნიზიბელი შატბერდის ხელნაწერში უნდა იყოს. იქნება დრო შემოვიგდო და დამაბეჭითო, ეგ იაკობ მართლა ნიზიბელია თუ არა. თუ ნიზიბელია, უსათუოდ ცინმე გადმომწერი უნდა მიშოვნო. მაგრამ ჯერ მაცნობე, ნიზიბელია თუ არა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

ძმაო ნიკო! შატბერდში მოქცეული ცხოვრება იაკობ ნისეშელის არის ნამდვილი, როგორც ეს სამი ხრონიკიდგანაც სჩანს (გვ. IX—X). ტექსტი, მეტადრე თავში და ალაგ ალაგ, გადასულია, მაგრამ კარგა დაკვირვებით შეიძლება აღდგენა. აქა-იქ თუ დააკლდება სიტყვები, თორემ მეტი არა. შენი სტატია შევასწორე,³²⁹ მაგრამ პირველი 8 ვვერდის შენი კორრექტურა არ გამომეგზავნეს და აგრეთვე მეორე კორრექტურა, თუმც ორჯერ ვითხოვე. დღეს კიდევ მივაკითხავ. აბაბულის მცოდნე აქ ახლო არავეინ მეგულება. სხვა, რაც შენ შეგისწორებია, იმაზე მართლათ შევასწორე ყურადღებით და თუ მეორეთ გამომიგზავნიან, კიდევ შევასწორებ. დიმიტრის მიწერ-მოწერა გადათარგმნე როგორმე, აგრეთვე ლემმის სტატიის რა ქენი³³⁰? რატომ არ გადათარგმნე? მომიკითხე შენი მეუღლე და გიორგი. ნინომ მოგიკითხათ. იაკობის ცხოვრება საროისთ გინდაჲ ცოტას თუ დაიციო ბარტამდის რამეს მოვახერხებ, ან მე გადავსწერ, ან გადავაწერიებ და შევასწორებ.

შ ე ნ ი ე ქ ვ თ ი მ ე .

1900 წ. 26 იანვ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ხელნაწერს თუ დროზე გამოაგზავნიებ, აბა შენ იცი, წ.-კ. საზოგადოების წიგნსაცავისგან. შატბერდის ხელნაწერს ითხოვს ჩვენი უნივერსიტეტი. მე მჭირია და მე ვათხოვინე ხუთი თვით, ვეცდები სამ თვეში დავასრულო; რაც მე მანდ მჭირია, მაგრამ ვინ იცის, რომ ვერ მოვასწორო, მეორე ხელ გამეორება არ დამჭირდეს? მე უსათუოდ ველი და იმედია მიზეზს არ ამიტეხენ რასმე.

სხვა სათხოვარიც მაქვს შენთან: ერთი ჩახედე წერაჲ. საზოგადოების ხელნაწერს № 1623,³³¹ რომელზედაც მ. ჯანაშვილი სწერს (Сборник Мат. XXVI, გვ. 15, შენ. 26), 1776 წელში არის გადაწერილი ძველი დედანისგანო და თუ თვით ამ მიწერის გადმოწერა გაგიძნელდა მთელად, მაინც უსაჭიროესი ადგილი გადმომიწერე და გან-

საკუთრებით კარგად გასინჯე, ეგ ორი თავი ანუ კარი, რომელიც ჯიმშერს შეეხება, მერმე შეწერილია ხელნაწერში, შემდეგ შეტანილია თუ ერთივე ხანის არის სხვა ნაწილთან ხელნაწერის. აგრეთვე იქნება მინაწერებისგან ჩანდეს, სად არის გადაწერილი — საქართველოში, თუ რუსეთში, განსაკ. პეტერბურგში ან მოსკოვში. მაგი სტატიით³³² Сборник-ის რედაქციამ დიდი თავსლათი დაისხა და ერთ ჟურნალში აქ ცოტა საპონს წაუსვებ³³³ და შენგან ამ ცნობებს მალე ველი, თუ საქმეებმა ხელი არ მოგცეს, სხვას ნუ მიანდობ, სჯობს შემდეგში იყოს და შენი გასინჯული ცნობები მივილო, სხვას ვერავის ვენდობი. სტატიას გიგზავნი ქართვ. მწერლობის შესახებ³³⁴, ხოლო შავთელი ჭერეც არ მიმიღია ცალკე დაბეჭდილი. კორექტურისთვის მადლობელი ვარ. არაბულში მაინც ორვე თუ სამვე ადგილს შეცდომები დამიტყოს. მაგათგან საქმის ქონება, ჰგავს, შეუძლებელია. ძალიან უფერულად შედგენილია ეგ პირველი ნომერი³³⁵.

სხვა აქ ბევრი ასკრილ-დასკრილობა მოგვიხდა. როზენი სულ დაეცა და ინტრიგებში ჩაისვარა და მისი ორპირობა ცხადად დავინახე, მთლა ფაქულტეტზე ცალკე ვარ, უცდი, რომ სულ საქვეყნოდ გაიბაქილებენ თავს. გეოგრაფ. საზოგადოება მედალით აჯილდოებს ჩემ შრომას³³⁶, ჭერ არ გადამწყდარა, მაგრამ დღეს ხვალ გამოაცხადებენ, მაგრამ არ. მომილოცო. ჩემი მტრების მანქანებით გამოწვეულია, უნდათ სხვა ნაღველი დამიშაქრონ და მათ ბრბოს ამოუდგე. საზოგადოთ უნივერსიტეტი სულ დაეცა და ჩვენი ფაქულტეტი მოწინავეა ამ დაცემაში.

სხვა მოკითხვა გულითადი ნინა ივანოვნას და ჩემი ცოლისგან ორვეს.

შენი ძმა
ნ. მარარი.

671.

16 ფებერვალი 1900 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი წერილის პასუხი დაგიგვიანე. ჩემს ცოლს ბიძა მოუყვდა, რომელიც მთელს სახლობას ინახავდა, და თვითონ ცოლიც ავად მყავდა. ეხლა მოიკეთა. შატბერდის კრებულის გამოგზავნა გადავაწყვეტიე საზოგადოებას, მაგრამ მე მოუცალეობით ვერ გავათავე, ჭერ სამი

1 წერილები: 67, 98, 221 გამოქვეყნებულია ი. მეგრელიძის მიერ. იხ. „ეჭვთივე თაყაიშვილი“, თბილისი, 1989 წ. (შემდგ.).

ხრონიკის რუსული გამოცემა³³⁷ და ვეცდები გავათავო აპრილამდის და როგორც გავათავებ მაშინვე გამოგიგზავნი. ნუ დამემღურები, რომ დავიგვიანე. ეს შრომა ცოტა გადადევია, რაც შეეხება ამირან-დარეჯანთან, მე ყველა ხელნაწერები აღწერილი მაქვს, კატალოგს რომ ვადგენდი მაშინდელი, ეხლაც გავშინჯე. № 1623³³⁸ ერთი ხელით არის თავიდან ბოლომდის გადაწერილი, მაგრამ სრულებით არსაიდან სჩანს, რომ ძველი დედნიდან იყოს გადაწერილი. ბოლოს მინაწერი სწორათ აქვს ჯანაშვილს, გარდა მესამე სტრიქონისა, რომელიც იკითხება ასე: „ჰგომობენ მწერალნი, არ თქმულ არს ცისა ღრუბლის არ ქონაი“. მაგრამ ჯანაშვილის მოყვანილი თავები ვითომ დილარიანისა რომ ექვს გარეშე ყალბია, ამის დასამტკიცებელი საბუთი თვით ხელნაწერშია: ყალბ მე-12 თავს განის აშიაზე ტექსტის ხელით ასეთი მინაწერი აქვს: „ქ. ვინცა სწერდეთ ამ ამბავს ნუ დასწერთ. ეს ამ წიგნის მთქმელი-სა, არ არის. ვილაცას, ცრუს ქრცხინვალ(ელს)“. სხვა აქ აშია წაჭრილია. მაგრამ სამაგიეროთ ამგვარივე ფრაზა დამთავრებულია მე-13 კარის შენიშვნაში. იქაც გვერდზე უწერია: „ქ. ნურც. ამას დასწერთ. ესეც იმ ცრუს ქრცხინვალელის კაცისაგან. არის. ნალაყბი. და მოგონილი“. აქიდგან ცხადია, რომ ხსენებული თავები ყალბია, ეს იმითაც მტკიცდება, რომ სხვა უძველეს ვარიანტებში ეს თავები სრულიად არ არის. სხვა არავითარი მინაწერი არა აქვს ჩვენს დედანს. ეს მინაწერები ჯანაშვილმა აღარ მოიხსენა. რატომ? შენ გამოიკლიერაკი მე ყველა ხელნაწერების ცნობა მაქვს შეკრებილი მინდა ცოტა შენიშვნა დავსწერო მოამბეში ან სხოგან ამ ხელნაწერების შესახებ და შესახებ ყალბი დილარიანისა³³⁹. სხვათა შორის საზოგადოებას³⁴⁰ აქვს პეტერბურგში გადაწერილი, ვგონებ ოქრომჭედლიშვილის თაოსნობით, ეგზემპლიარი. ეს ეგზემპლიარი შედარებულია აკადემიის ვარიანტთან და აქა იქ აღნიშნულია როგორ არის აკად. ვარიანტში. ეტყობა გადაწერილი სხვა დედნიდან არის და ეს ორი ყალბი თავიც არის შით, მაგრამ მეორე თავის ბოლოს გვერდზე უწერია აკადემიის ვარიანტში არ არისო, მაგრამ ვინაიდან აქ ნიშანი „Z“ არის არ ვიცი მართო ბოლოს ეხება ეს შენიშვნა თუ მთელ თავს. მწდლობელი ვიქნები თუ მაცნობებ რამდენი და როგორი ხელნაწერებია პეტერბურგში. ნიკო, პირველი მინაწერი ზემოთ გარკვევით არ სწერია და აქ კიდევ მოვიყვან: „ქ. ვინცა სწერდეთ ამ ამბავს. ნუ დასწერთ. ეს. ამ წიგნის მთქმელი-სა. არ არის. ვილაცაც. ცრუს ქრცხინვალ...“ შენი სტატია მივიღე. აქ დაბეჭდილი სტატიის ოტტისკი³⁴¹. გამომიგზავნე უსათუოთ, როდესაც

მიიღო. ეს უკანასკნელი სტატია აქ ძრიელ მოეწონათ ყველას. ჩახრუხადეს როდის დაბეჭდა? მართლა ნიკო, როგორ გესმის შენ ჩახრუხადის ფრაზა. (ტაეპი 5); მოუბარისა, მის მდულარისა, დილარგეთისგან აღშფოთებულად. ნუ თუ ისეთი შინაარსის იყო დილარიანი, რომ აღაშფოთა თამარი? სახელი პოემისა უნდა დილარგეთიანი იყო[ს] და არა დილარიანი. ძალიანი მიკვირს როზენის საქმე. მაქ თუ ასეთი ინტრიგები და სიუპატიოსნება, სხოგან რაღა გიკვირს. კაცი თურმე ყოველგან და ყოველ შემთხვევაში მოუსვენარი და ინტრიგანია. შენ მაინც პოზიცია არ გაიფუტო უნივერსიტეტში. ცოტა ფრთხილათ იყავი. მომიკითხე გულთათ შენი მეუღლე ჩემ და ჩემი ცოლის მაგიერ და გიორგის მიკოცნე.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

P. S. ნიკო, გეთაყვა შემიტყვე და მალე მომწერე, აკადემიის ხელნაწერი³⁴² შეიძლება კიდევ ვითხოვოთ რომ სამი თვით ან მეტით კიდევ დაარჩინონ ჩემთან, მარიამის³⁴³ ბეჭდვას ცოტა აკლია, მაგრამ აქაური ტიპოგრაფიის წყალობით კიდევ არ მაქვს იმედი მალე გათავდეს. შენი ჭირიმე ლემს მოელაპარაკე და მითხოვე მომიხერხოს კიდევ დამიცადონ. ლემის სტატიის გადმოთარგმნას შენ რომ დაგვპირდი რათ არ გადმოთარგმნე. ლაპატიუნისკის³⁴⁴ ნათარგმნი რაღაც არეული და შემოკლებულია. მე მგონია არც „თეოგნოსტა“³⁴⁵ არის ნამდვილი სახელი ჩვენი განმანათლებლისა.

ე. თ.

68

22.11.1900-

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

მადლობელი ვარ ცნობისათვის. 1623 ხელნაწერზე მისთვის დაგეკითხე, რომ მე სტატიას ვბეჭდავ (პატარა შენიშვნა) დილარიანის და ჯიმშედინანის³⁴⁶ შესახებ, რომელთა და დილარგეთიანის შვა ზის. დიდი ზღვარი. ჩემ შენიშვნაში³⁴⁷ მოკლედ მოთავსებულია, თუ ვის. რა ეკუთვნის იმედი, რომ ჩემი სტატიით ხელს. არ შეგიშლი. მაშიდ. მოქცეულია ცნობა ა.-დ.-ნის პ. ბურგის ხელნაწერებზე³⁴⁸.

შატბერდულს მოვითმენ, მაგრამ თუ აპრილის, გავს, შვამდი ვერ მოაწევს, ზაფხულზე შრომას მოინდომებს ჩემგან, და ნება მომეცით

ცოტა ვადა გავიგრძელო მისი აქ დარჩენის (თუ მოვასწარი, ხომ არ დავიჭერ). აქაურ ხელნაწერზე (აკად.)³⁴⁹, მოველაპარაკე ზალემანს, თუმც მასთან მუსაიფს ახლა ვერიდები. ყოველშემთხვევაში თქვენ დროზე ითხოვეთ ვადის გაგრძელება. დილარგეთი გმირის სახელია და რასაკვირველია წიგნს დილარგეთიანი ერქმევიდა, მანდ ხომ დილარიანი არ არის, არამედ ჭიმშედიანი. თამარის აღშფოთება დიას სისულელეა, როცა ადგილი ძლიერ დამახინჯებულია. ჩახრუხადეს ველარ დავებუდავ მანდ: სხვა რომ არა იყოს რა (აბდულმესია არაბულად მაინც შეცდომით დამიბეჭდეს მიუხედავად ჩემი გასწორებისა და ცალკე წერილით თხოვისა, ვინმე სპარსი ეშოვად), წარმოიდგინე ფულით თანამშრომლობა ითხოვეს და გასინჯე, თუ მაგ სტატიისთვის რა მიზოძა ბატონ კარგანოვმა (ყარღანოვს აღარ ვეტიყვი): ოცდა ოთხი მანეთი. ჩვენ პირობა არ გვქონია და უკან ველარ დაუბრუნებ, შაურიც რომ გამოგეზავნა, მადლობელი უნდა ვყოფილიყავ, მაგრამ მეტი მაგ ეურნალში³⁵⁰ ჩემი თანამშრომლობა შეუძლებელია, რადგან უფულოდ აქ უკეთესი საბეჭდავი ადგილი გვაქვს და არც messieurs ბეგიჩევის და კარგანოვის თანამშრომლობა, მათი ნაწარმოების შეხედვის შემდეგ, დიდი რამ სასურველია, ხოლო მანათი და ხუთი შაური ჩემი შრომის დაჯილდოებად მიმაჩნია და არა ფასად, ალბათ რედაქციას მანათი და ხუთი შაურის ცოდნა უპოვია ჩემ ნაწერში, ჩემი ფიქრით, ეს ფასიც დიდია მათი მხრით „წერილმანებს“ შემდეგ გაცნობებ წერილითო, ესლა წერილს ვუცდი და მაშინვე ვთხოვ, რომ თანამშრომელთა რიცხვისაგან გამომჩხრიკოს. საინტერესოა, მე თუ ასეთ „ლონორარს“ მალირსენ, სხვას რაღას აძლევენ, როცა მე მითხრეს პირადათ და წერილითაც. *начет гонорара не беспокойтесь* რასაკვირველია, რამოდენიმე თუმნის დაკლება კი არ მწყენს, მწყენს სხვისი ხელით და კბილით თხილის ტეხის სურვილი.

ცოლი მოკითხვისათვის გმადლობს და მოგიკითხავს. ჩვენი ორივესი სალამი ქბ. ნინოს. იური აქ ცელქობს, მაგრამ სულ მანდაურ ბუნებანს იხსენიებს. საუბედუროდ, წელს ველარ შეეძლებთ წამოსვლას. საშაეც ლუსტობს და ძალიან მეშინია (მძიმედა არის და უკანასკნელი სამი ორსულობა ცუდად იყო)...

დღეს ზალემანს მოველაპარაკე ხელნაწერის³⁵¹ შესახებ. თქვა:

სჯობს, თუ დროზე დავგვიბრუნებენო და თუ მაინც, მაინც საშველი არ აქვსთ, ცოტა ვადით კიდევ ითხოვონო. ეცადე დროზე ან მაინც გრძელო ვადაზე ნუ ათხოვიებ, თორემ სხვა დროსთვის გაგიხსენებენ. — ლემს აქ ხმა არავითარი არ აქვს და მისთვის მიემართე ზალ-ნს. ლემის სტატია ცუდათ თუ კარგათ ხომ გადმოთარგმნეს³⁵² (ხომ იცოდენ,

რომ მე ვაპირობდი თარგმნას) და ახლა თარგმნის იშტა არა მაქვს. თეოგნოსტა ისეთი სახელია, როგორც ნინო, და ამ სახელს (თ-ს) დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ არც მე. — ჩახრუხაძე ახლა მაწუხებს. შავთელი მანდ არის დაწყებული და ახლა ჩ-ძის სხოვან ბეჭდება!... მახლას!!

მ შ ვ ი დ ო ბ ი თ ნ ა ხ ვ ა მ დ ი ნ . მ ა რ რ ი .

გამოცემა შენი მივიღე³⁵³. ჯერ არ წამიკითხავს. ეგ დიდი საქმეა. მადლობელი ვარ.

დისერტაციისთვის კიდევ მჭირია ერთხელ მანდ ჩამოსვლა. თუ ყველაფერი მშვიდობით ჩაიარა აგვისტოს და ენკენისთვის შვამდი მაქ ჩამოვალ.

49

IV.28.1900.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

წუხელი საარქეოლ. საზოგადოებაში ქართველ ღმერთთა შესახებ (კერპმსახურების დროის) რეფერატი წაეკითხე³⁵⁴ და რადგან უსათუოთ საინტერესოა (დაბეჭდება, გაგრძელდება და დაგიგვიანდება) შენთვის, უთავადეს მუხლებს გაცნობებ წერილით: 1) ქართველ ღმერთთა კრება ნინო ცხოვრ., ქ. მოქც. და ქ. ცხოვრ. შექდგარია სემიური და არიული კერპთაგან. 2) არიულებში უთავადეს ალაგს იჭირავენ. სპარსეთის ღმერთები, რომელთ თაყვანისცემას საქართველოში ჩვენი შემატიანენი აღსწერენ ძველ ადგილობრივ გარდმოცემათ დაბარად, თუმც ტენდენციური (კერპმსახურების დასამცირებლად) გადასხვაფრებით. 3) სემური ღმერთებისგან ორი გატი (რომელიც აქ იპოვება ხელნაწერში და რომლისგან შეცდომით წარმომდგარა გაცი) და გა (გამი ებრაული მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით) შემოტანილია საქართველოში მწიგნობართაგან, რომელთ სირიული წყაროთა ცნობა ქონდათ, და სრულიადაც არ შეადგენენ ქართველთა მკვიდრ კერპებს ადგილობრივს. 4) ეგეთივე შთამომავლობის არის „ითრუჯან“. სხვათა შორის შენ გამოცემულ ნინოს ცხოვრებაში პატრიარქის სიტყვები ნინოსადმი უცხო ენით (დარგველ უნდა იყოს დარგოველ ან დარგოვ(ლ)ლ და სხვა) სირიულია და შევნიერად ითარგმნება.

აქ სიკვდილი მუსრავს: მაიკოვი³⁵⁵ მოკვდა, იმღროსევე ბოლოტოვი³⁵⁶ (ქართ. საეკლ. ისტ. წყაროზედაც აქვს ნაწერი) და გუშინ

დილას ვასილიევი³⁵⁷ თქვენი ხელნაწერი³⁵⁸ არ მომდის აწყაი ვერ გამომიცქვიტებ?

ქ-ნი ნინოს უგულითადესი მოკითხვა ყველა ჩვენგან და გიგზავნი კიდეც ჩემს, უფრორე გიორგის სურათს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ა

70

1900 წ. 19 მაისი

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

მე სწორედ ამ დღეებში უცდიდი შატბერდელს, და რადგანაც აღარ მოხერხდა, დარჩეს აგვისტომდე, ხოლო აგვისტოს ათს აქ მქონდეს, მე აქ ვრჩები. მე მსურდა ფიზიოლოგიც გადმომეწერა, და ძალიან კარგი გიქნია, რომ დაგიბეჭდავს³⁵⁹. ხახანოვის წერილი³⁶⁰ გალუსტს ტერ მკრტიჩიანს³⁶¹ წაეკითხა და მე იმანაც მომწერა, ქართული სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმირი. რაც სომხურს შეეხება, მასალა ჩემ წიგნში მოცული სრულებით (თუ მასალა არა, ლიტერატურა მაინც): Сборники Пр. Вардана §§ 381—428. ძველ დედანს სომხურისას გალუსტი ამზადებს გამოსაცემლად, იქნება შენი და მისი ტექსტი ერთად გამოვიდეს კიდეცაც.

აპოკრიფულ წერილებს ცალკე რად არ ბეჭდავ, ქართლის ცხოვრებასთან რა ხელი აქვს. ზაფხულში აქ ვრჩები, სემიტოლოგიას ვასრულებ ქართულის შესახებ. აბულაძე³⁶² ავადმყოფის შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, იქნება ვცდებოდე, ისე სომხური ენა გვარიანად შეისწავლა, მწერლობის კი დარდი არ ქონია. სხვათა შორის — ვბეჭდავ იოსებ არიმათიელს³⁶³, ესეც ხომ აპოკრიფული წერილია, ზაფხულზე მიიღებ. შენი სტატია წავიკითხე მოამბეში³⁶⁴ კარგად გაგიჩვენია, მე ახლა გადავდებ ჩემსას მისევე შესახებ. ოლონდ ბროსე დაგვიწყებია: ბროსეს გარჩეული აქვს აქაური ხელნაწერი გაკვრით. ღმერთების შესახებ სტატიას შემოდევზე მიიღებ, თუ მოცდა ხელს მოგცემს, თვარა ისე მარტო სახელების ჩამოთვლა უსარგებლოა: გაცი უნდა იყოს გატი, როგორც აქ ხელნაწერშია ნინოს ცხოვ. და გა ანუ გაიმ ორევე სწორია, ოლონდ გაიმ მრავლობითია ებრაულად gami და gâ, მრავლ. gaim, სემიტების ღმერთებია; ქართველ მწე-

რალს წიგნიდან ამოუღია იგი (ვა ძველი აღთქმისგან) და გაუქართვე-
ლებია. ითრუჯან = ითრუჯან, ღმერთი ანუ კერპი (ჯან = gany) ითრუ
(უკეთ ეთრუ ღმერთი), ხოლო ითრუ ანუ ეთრუ ასტარტა არის, არა-
მეული სახეა ამ ღმერთას ანუ ქალკერპის სახელისა. ამის დასაბუ-
თება გრძელია და მიტომ ამ დასკვნით ვათავებ: ამ ცნობების შემ-
ტანელს ქართულ მწერლობაში ცნობა ნამდვილი არ ქონია ქრის-
ტიანობის აღრინდელ ქართველთა სჯულზე და წიგნთა საშვალებით
უჩხირკედლია ანუ „სქოლასტიკური“ მეცნიერობით შეუთხზავს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

ლემმა კიდევ ნახა კობტურ ხელნაწერში ახალი ცნობები საქარ-
თველოს შესახებ³⁶⁵. მას უნდა შენთან მიწერმოწერა ჰქონდეს. შენი
აღრესი გადავეცი.

71

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

მე ველარ შევიძელ ჩამოსვლა, როგორც ვაპირობდი, და მაგიერ
ჩემ ამხანაგებს გიგზავნი. ივაშევევიჩი ჩემ გასაცნობ წერილს თვით
მოგიტანს. ახლა შევიტყვე, რომ ბარტოლდი³⁶⁶, აღმოსავლეთის ის-
ტორიის პროფესორი (ჯერ ეთქვათ პრევატლოცენტი) თფილისში ჩა-
მოვა და შენ გესტუმრება. ერთი თვით კავკ. წყლებზე იყო. ეს ეს
არის დაასრულა თავის ვრცელი გამოკვლევა შესანიშნავი განსაკუთ-
რებით რუსულ სამეცნიერო მწერლობაში და დიად პატივდასაღები
ევროპულ მეცნიერთა წრეებშიც. საგანი გამოკვლევისა: თურქეს-
ტანის ისტორია მონგოლების დრომდე (წიგნს თან მოგიტანს ან გა-
მოგიგზავნის, რადგან ხელად მგონი ერთი ცალი აქვს). მის ცოლმა
მითხრა (ჩემი ცოლის და არის), რომ თფილისში ორი სამი დღის მე-
ტი არ დარჩებაო, და დაუკითხავად ვკადრებ ე. თაყაიშვილს წერი-
ლებს და რამე (წიგნები) მაქვს გასაგზავნი მის (ესე იგი 'შენს) სა-
ხელზე ვასილი ვლადიმეროვიჩის გადასაცემადო. იმედია, არ ოწყენ ამ
მონდობილობას. ბარტოლდი ნემეცია, მაგრამ რუს. გიმნაზიაში სწავლა
დამთავრებული და შემდეგ ჩვენი ფაკულტეტის ნასწავლი, მშვენიერ-
რად იცის აღმოსავლეთის ენები არაბ., სპარსული, თათრული და
მცირედ თუ მეტად უსწავლია სხვებიც. დასავლეთის მეცნიერთა მე-

თოდი კარგად შეთვისებული აქვს, უკეთეს აღმოსავლეთის მცოდნეთა ლექციები მოუსმენია და ორჯერ თუ სამჯერ ნამგზავრია გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში წინსაცავებში აღმოს. ხელნაწერების შესასწავლად. უნივერსიტეტში ჩვენ ფაკულტეტზე პირველია, რომ ოფიციალურად გერმანულ უნივერსიტეტებში შემოღებული სემინარიული გარდაცემა და სწავლა შემოიტანა. ბერლინის პერიოდულ სააღმოსავლეთო გამოცემაში ყოველწლივ გერმანულად ბეჭდავს მოკლეს, მაგრამ გულდადებით შედგენილს მიმოხილვას, თან განხილვასაც ყველა იმ შრომების (ბროშიურების, სტატიების, რეცენზიების და სხვა), რომელნიც რუსულ ენაზე იბეჭდებიან და აქვსთ რამე მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. თვითონ უსამზღვროთ მშრომელია და თავისუფლური აზრების მალიარებელი. ნაკლულევანება გარეგანი აქვს, რომელსაც თვით ნახავ და რომელიც ძალიან უშლის ხელს და უმძიმებს პროფესორის თანამდებობას, ნამგზავრია თურქესტანში, სადაც ფეხი მოიტეხა და ეხლაც კოჭლობს ოდნავ. სხვა მასთან მუსაიფი, თუ დრო ხელს მოგცემს, სასიამოვნო იქნება შენთვის და მასაც შენი კითხვები იამება, თუმცა კავკასიის შესახებ ინტერესი შეკვეცილი აქვს.

მეც და ცოლიც სიყვარულით მოვიკითხავთ ნინა ივანოვნას.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

9 აგვ. 1900 სპეი აღრესი: *Вас. Остр.*, 4 л., д. 7, кн. 3.

72

აღრესი: *СПб., Вас. Остр.*, 4л., д. 7, кн. 3

1900. X. 18-

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

შენ გამოცემულ ქართლის ცხოვრებას³⁶⁷ თვალი მოვაველე და ველი მოუთმენლად მთელი გამოცემის მიღებას. მიკვირს დამატებანი რატომ დაგირთავს ეგეთნი. რლთა არავითარი შინაგანი კავშირი არ აქვს დედა თხზულებასთან. ცალკე დაბეჭდვით თვით მარიამის დედანსაც და ამ დამატებათაც უფრო სამართლიანად მოექცეოდი. გვიან რომ არ იყო, ახლაც მასვე, აგრეთ დანაწილებას გირჩევდი.

თქვენი ხელნაწერი ენკენისთვის დამდეგს მომივიდა³⁶⁸. გახსოვს ხომ რომ პირველად ზაფხულისთვის ვითხოვე. შემოდეგზე მიხვდები.

თუ აგრეთ მოცალეობა არ მაქვს, რომ სამ თვეში დავესრულო ჩემი წინადადებული. ლექციებს და სხვა ჩვეულებრივ საქმეთ გარეშე ისიც ხელს მიმოკლებს, რომ ამ წლის წლიური ანგარიშის და სხვათა შედგენა უნივერსიტეტის ცხოვრებისა მე მხვდა რიგით. ამისთვის იმედია წერაქითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ნებას დამრთავს და ორი თვით (პირველ იანვრამდე) გამიგრძელებს ხელნაწერის თხოვების დროს. ხელნაწერი უნივერსიტეტის წიგნსაცავშია დაცული. და ესეც რასაკვირველია მიმოკლებს მის შესწავლის დროს. წიგნსაცავი ყოველდღე და დღის ყოველ საათში, როგორც იცი, ღია არ არის. ამ თხოვას თუმცა შენ გწერ კერძოდ და არა „ოფიციალურად“ (ოფიციალურად მასვე ითხოვს ფაკულტეტი: ამ დღეებში მიიღებთ ქალაქს), მაგრამ თუ საჭიროა, შეწევნა არ დამაკლო. გარდა ცალკე ჩემთვის საინტერესო ნაწილების გადმოწერისა მთელი ხელნაწერის გადაკითხვა მსურს და კიდევაც დავიწყე. ფიზიოლოგი საინტერესოა და უსათუოდ სომხურიდან არის ნათარგმნი; საბუთნი ასეთი თვალსაჩინო არიან, რომ ექვი შეუძლებელია. ზოგად ქართული დედნის გაგებაც შეუძლებელია სომხური დედნის თვალწინ წარმოუდგენელად. რადგან გამოცემას შენ აპირებ³⁶⁹, მე აღარ ვეხები, ოღონდ „არმენიზმებ“-ის კრებულს³⁷⁰ ვამზადებ ამ დედნის საშვალებით და ერთ და ერთ წიგნაკთავანს ჩემი სერიისა (Тексты и разыскания по арм.-груз. фил.)³⁷¹ დაურთავ. თუ გეცალეობა, მაცნობე, როდის აპირებ გამოცემას ფიზიოლოგიისა, დაბეჭითებით აპირებ თუ არა. თუ გადაფიქრე, ცნობა დაინჩქარე, მთელად ფოტოგრაფიას ან ფოტოტიპის მოვამზდეზიებ და ისეც გამოვაცემინებ ფაკულტეტს, სტუდენტების საკითხავად (სავარჯიშოდ ასომთავრულის კითხვაში). ჩემი ორი წიგნაკი (Ефрем Сирин³⁷² - Т. II и разыск., кн. II და Агиогр. Мат. ч. I)³⁷³ მიღებული გექმნება. მალე ორივეს გაგრძელებას მიიღებ, ამ ორ კვირეში. მე-11 წიგნაკი ქართულს შეეხება და, უმეტესი ამ წელს გამოსაცემი ქართულს შეეხება. თუმცა ზოგჯერ სომხურთან შედარებით. საზოგადო, მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორ ენათა განცალკევებით არავითარი ხეირი არ მოელის და რადგან ახლანდელი ცხოვრება თავის ბრმა სტიქიური მსვლელობით უარყოფს ამ მარტივ, მაგრამ ჭეშმარიტ აზრს, მეცნიერების იდეალურ არემარეში მისი დასაფუძვლიანება მეტადრე საჭიროა: მისი არ ცნობა და გამოუკვლელობა აუარებელ შეცდომებს გამოიწვევს. ჩემი Тексты и разыскания თუმცა ცალკე წიგნებით ყოველთვის ამ ერთობის გამომკვლეველი არ იქნება სამწერლო კითხვებში, მაგრამ როცა განცალკევებით მხოლოდ სომხური ან მხოლოდ ქართული რომელიმე კითხვა შეიმუშავება შიგ, მაინცაც დედა

აზრისთვის სამსახურებელი იქნება, რადგან წინ და წინ გავიცნობთ მას, რაც ამ ორ ერთა კულტურის დაშორების და გადასხვავეების მიზეზნი ყოფილან. სხვა მშვიდობით. მოკითხვა ჩვენი საერთო გულითადი შენ მეუღლეს.

ბ. მ ა რ რ ი.

78

1901.5.13.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

თბილისში მსურდა შენი ნახვა. სხვათა შორის — გაგიკვირდება — მინდოდა ქართული ენის ეგზამენებზე დავსწრებოდი. მე რაღაც სრულებით იმედი არა მაქვს, რომ ქართველობაში ქართულის სწავლა წინაურდებოდეს, და მსურდა ჩემი აზრის გამტყუვნება თქვენ სასწავლებელში თვალით მენახა და ყურით მესმინა. საუბედუროდ თბილისში ჩამოხტომა ერთი საათითაც არ შემიძლია. ორვე ბავშვებით და მოსამსახურით მოვგზაურობთ და მეტადრე მოღალატე ვარ და ვაპირებ ფეხის შეუდგმელად პირდაპირ შინ მისვლას, თფილისში ოთხ საათზე გამოვივლით, მაგრამ დაბეჭითებით არ ვიცი 24 მაისს თუ 25 და შიტომ ვაგზალზე მოწვევით არ გაწუხებთ. ერთი თხოვა მაქვს: არ შეგიძლია დაბადების ერთი ხელნაწერი მათხოვო ჩოხატოურში (Кут. губ. Озург. Уезда, почт. ст. Чахатаური ჩემი აღრესია), განსაკუთრებით ისეთი ხელნაწერი, რაში-დაც „ნეშტი“ იყოს? იქნება კვირონ ეპისკოპოზმან³⁷⁴ მათხოვოს და ფოშტით გამომიგზავნე. ნინა ივანოვნას ჩვენი გულითადი სალამი და განსაკუთრებით შენ ცოლი მოგიკითხავს.

ბ. მ ა რ რ ი

74

ჩოხატოური, 1901.6.14.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

შენი წერილი და „Боги языческой Грузии“ სტატიის კორექტურა მეორე ერთად მივიღე დღეს ფოშტით. ბრანჯული-სირიული სიტყვების ახსნა იმ სტატიაში არის და იმას მიიღებ არა უადრევეს

160

აგვისტოსი. უფრო ადრე გაწვდენ იპოლიტეს გამოცემას³⁷⁵, რომელიც სადოქტორო დისერტაციად წარვადგინე. ცაგარელმა რა თქვა, ჯერ არ ვიცი. წარდგენილი მაქვს ორი სანიმუშო ცალი. მთლად დაბეჭდილი ჯერ არ არის. პატარა შრომაა, როგორც პეტრე ივერიელი, მაგრამ ბევრი ჯაფა გამაწვია. გაისს, მგონი კიდევაც მოგწერე, ერუსალიმში ვაპირებ გამგზავრებას³⁷⁶, თუ რამე იქ საკითხი გაქვს, დროზე მაცნობე პეტერბურგში. კირიონს წერილი მივწერე. დიდი იმედი არც მე მაქვს, მაგრამ მერმე „ქემანც“ არავინ დამაყუდრებ, არ გითხოვია, თორემ დიხაც კი აღვისრულებდით თხოვასო. შენი გამოცემა სახის მეტყველებების ან ფიზიოლოგის³⁷⁷ დიდი სიბეჭითით არის აღსრულებული. ორი სამი საგანი გამოცემაში ვერ შევიმჩნევია, რადგან დედანი არ გქონია ხელში არც ბერძნული არც სხვა ენით, თუ არ ვცდებით. მე ვამზადებ სომხურის გამოცემას და ქართული თუ ჩაურთე ასომთავრულით მინდა ხუცურით, რომ შენი გამოცემის გამეორება არ დარჩეს. იქნება მარტო ვარიანტები შევიტანო. თქვენი ნახვა ძალიან გვსურდა და თფილისს ორივემ ძალაუვნებურად აუარეთ, მოსამსახურით; ორი ბოვით თფილისში გაჩერება ჩვენ არ შეგვეძლო: ძალიან ხელმოკლედ ვართ. გზის ხარჯი დიდი მოდის და აქაც გვეხარჯება ზომაზე, ჩვენ ზომაზე მეტი თუმცე შინ ვართ. სომხების „მილიონები“ ხედავ არ მყოფნის³⁷⁸: დალოცვილებს ჩემი წიგნის ფასიც არ გამოუგზავნია. სამოცი ცალი გამოიწერეს, ახლავე მიღებისთანავე თილებფასსო და ჯერეც მისი მოლოდინე ვარ. ზავადსკი³⁷⁹ ვერაფერი სასიხარულო არის, მაგრამ არც საშიში რამე უნდა იყოს. ყურის ავადმყოფობას მწერ — ექიმმა რა გითხრა, იქნება რამე ნერვიულია. აქიმობა დროზე დაუწყე და თუ მანდ არ გყავსთ კარგი ყურის ექიმი, პეტერბურგში მოდი. ზამთარში ვაპირებ ხუთიოდე ლექციის წაკითხვას ქართულ სომხური მწერლობის ისტორიიდან. უცენზუროდ თუ წამაკითხვიანებენ მანდ, ვერ შემიტყობ? ან ცენზურა რა საჭიროა, ნეტა ვიცოდემზრუნველს ენდობა მგონი ეს საქმე, ლაპატინსკის საშვალეებით შეიტყობ. — მოგილოცავ ამდენის ბეჭდვას, მაგრამ რატომ ჩქარობთ გამოუკვლეველ გამოცემას. თიმსარიანი პეტერბურგელი (გებტმანს რომ აქვს) ალექსიშვილის³⁸⁰ შესწორებულია „შერედაქტებული“. პეტერბურგელი ხელნაწერი როსტომიანის ძალიან კაია. მაზედ ცნობები ივერიაში უნდა მქონდეს დაბეჭდილი³⁸¹.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

შენი მეუღლე მომიკითხე. ცოლი მოგიკითხავს შენც და შენს მეუღლესაც დიდი სიყვარულით.

ნ. მ ა რ რ ი.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ბათუმის გზა სხვა და სხვა მიზეზის გამო მივატოვეთ და ისევ რკინის გზით გადავწყვიტეთ დაბრუნება. თუმცა დრო ცოტა გვექნება, მაინც აზრში მაქვს თფილისში ჩამოხტომა, ერთი დღით დავრჩებით. 22-ს ვაპირებთ მოსვლას, თუ ტაროსმა არ შეგვიშალა ხელი. იქნებოთ თუ არა ამ რიცხვებში თვით ქალაქში, შემატყობინე. იპოლიტე დღესაც არ მომსვლია: რაც წამოვედი, სტამბამ ყური გაიყრუა, თუმცა მე-IV წიგნი ჩემი სერიისა (Древнегрузинские подписцы)³⁸² იბეჭდება და ამ შემოდევზე მაინც გამოვა. სხვა სამეცნიეროზე მანდ მოგელაპარაკები, თუ დრო გექმნება.

შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. შემიტყვე, თუ შენთვის დასაძინებელი არ არის, რა არის საჭირო, რომ აზნაურიშვილის ობოლი სათავადაზნაურო სკოლაში მიიღონ. ობოლი (უმამო) გურულია, ჩვენებური ჯაყელის შვილი, და ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს' (ეგზამენზე დავესწარი და ისევ ადგილობრივ კარგად დაყენებულ სკოლაში შარაშიძეების)³⁸³ საშვალეა არავეითარი არ აქვს. ფითქმის ქაღისაც გაჭირვებით შოულობს დედა მისი, თუმცა იმერელი თავადიშვილის ქალია. ვარდა ამ გასაზრდელი ბავშვისა ყავს ამ ქვრივის ერთი წლით „მოსწრებული“, მაგრამ უსწავლელობით უსარგებლო ბიჭი (ოცო წლის იქნება) და თოთხმეტი წლის წერაკითხვისაც არ მცოდნე ქალიშვილი. გურიის აზნაურის შვილს აქვს რამე უფლება, რომ სადმე, მაგალითად ქუთ. სათავ.-აზნ. სკოლაში მიადებინოს თავი, თუ არა. თუ აქვს უფლება, როგორ მოეხერხება, რომ წელსვე მიღებულ იქმნას, რადგან დრო მიდის და აქ თუ დარჩა წახდენის მეტს ვერაფერს ვერ ისარგებლებს და ვერ შეიძენს. ამ კითხვის პასუხს, სულ ერთია როგორიც იყოს, ნუ დამიგვიანებ. მე რომ შემეძლოს, თავისი ხარჯით შევიყვანდი, მაგრამ ამ მოკლე ხანში იმედი არა მაქვს ასეთი შეძლების პატრონი გავხდე და შემდეგში, თუ მინისტრის დაპირებული ჩვენი (საპროფეს.) ჯამაგირი არ გაცრუვდა, დახმარებას კი შევიძლებ. ვიმეორებ, ბოვში ნიჭიერი, ნამდვილად ნიჭიერი უნდა იყოს. სხვა, მოვიკითხავთ ქ-ბნს ნინოს სიყვარულით მეც და ცოლიც და ცოლი ცალკე თქვენ მოგიკითხავს.

ბ. მ ა რ რ ი.

Почт. ст. Чохатаури, Кутаисск. губ. Озург. уезда.

ციხე, 1901.8.10.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

მეც და ცოლიც ძალიან მადლობელი ვართ. მაგრამ თუ სტან-
ციაზე არ დაგვხვდით, შენთან პირდაპირ მოსვლას ვერ გავბედავ. შინ
რომ არ დარჩე, მერმე ამდენი ამალით, მეტადრე ბოვშებით სას-
ტუმროს ძებნა და ოთახის პოვნა გავგიჭირდება. იპოლიტი მივიღე,
მაგრამ ჭერ ერთი ცალი.

მოვალთ 22 (ოცდაორს) აგვ. საღამოვს შევიდს საათზე პეტერბ.
საათით.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

„ბაქია“ მეცნიერი (ნახე პატიოსანი გაზეთი კვალი!)³⁸⁴.

1901.IX.8.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

შეტყობას ვჩქარობ და ამიტომ ორი სტრიქონით დაგეჟითხები:
როგორ იკითხება შენ ხელნაწერებში³⁸⁵ შემდეგი ლექსი ვეფხისტყაოს-
ნისა:

„მადლი რა გკადრო, აწ თქვენგან გავხასდი მ ა შ ა ვ ი თ ა“ ეს
პეტერბ. გამოცემაში 1841 წლის 785,3 შაირია.³⁸⁶ იმ ნაკვეთშია
თხზულების, რომელსაც სათაური აქვს: „დათხოვნა ავთანდილისაგან
როსტევეან მეფისა და ვეზირის საუბარი და ხვეწნა“.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი ,

ერთი კიდევ: არის თუ არა შენ ხელნაწერებში ოცმარცვლიანი
ხანა 795 („შეკრა წითელი ასი ათასი და სხვა) იმავე თავში ვეფხისტყა.
ჩვენ თუმცე გაჭირვებით, მაგრამ მაინც მშვიდობით მოვაწიეთ შინ.
ცოლი მოგიკითხავს შენ და შენს მეუღლეს, უკანასკნელს ჩემი საღამო.

[1901 წ.]

ნიკო, 785,3 შაირი ორ ხელთნაწერში მე-XVII საუკუნისა სწორეთ ისე იკითხება, როგორც ჩუბინაშვილის გამოცემაშია, ხოლო მე-სამე ხელთნაწერში (გუმრშია ნაპოვნი, ჩემის აზრით ეგვეტ მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის) სწერია ასე:

„მაღლი რა გკადრო არ ვიცი; გამკადე დამაშავითა“. 795 შაირი ორს ხელნაწერში, გუმრისაში და ვახტანგ მეექვსის და გიორგი XI ნაქონში ოც მარცვლოვანია, მაგრამ მესამე ხელთნაწერში კორინთლისა, მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრისა, ოცმარცვლოვანი არ არის ჩვეულებრივია და იკითხება ასე:

შეკრა წითელი ათასი პირად მზემ ტანად სარომან
სამასი სტავრა ატლასი უხემან და მიუმცდარომან
სამოცი ლალ-იაგუნდი ფერად არ მათმან საურმან
და კაცი გაგზავნა ვაზირთან ეს ყოვლი მისთვის არომან.

ჩემი ცოლმა შენ და შენი ცოლი მოგიკითხათ. მოკითხვა ჩემ მაგირატ. ნიკო, მე წიგნები დაგაბარე, ნუ დაგავიწყდება. აგრეთვე მალე გამოაგზავნიე პარხალის სახარების აღწერილობა, რომ აქ დავბეჭდო. მე ჯერ კიდევ ვერ მივიცალე, ნამეტარი ბევრი საქმეები მაქვს. ჩემი ცოლიც ვერ არის კარგათ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

შენი აღრესი დამავიწყდა, მაცნობე.

მ.

1901.9.9.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ამ წერილის შინაარსი უწინ ამას წინეთ გამოგზავნილ წერილთან უნდა დამერთო, მაგრამ მე შეგონა ნამდვილი ციტატა მქონდა „მეხნი“-სთვის ნაჩვენები: მე დამიწერია „გვ. 251, სტრიქ. 9“, ხოლო ჩემ ცალში ვერ ვპოულობ. ნუ დამიგვიანებ ნამდვილი გვერდის შემოტყობინებას. ოქტომბერამდე მინდა გამოვცე „Одописцы“. მარიამ დედ. ხელნაწერი არასფერს არ გავს, ძალიან დამაზინჯებელი ყოფილა: რამდენს ვკითხულობ, იმდენად ვრწმუნდები, რომ დედანი

თავიდან ბოლომდე გასასწორებელია. — ჯავახოვს ნემეცურად დაუბეჭდია ევსტათის ცხოვრება³⁸⁷, ჰარნაკის³⁸⁸ შენიშვნებით თარგმანი ცოტა ნაჩქარებია. — ველიჩკოს სტატიებს წაიკითხავდი ნოვოე ვრე-
მიაში³⁸⁹: ნეტარ არიან ქართველნი! თურმე სწავლა მათ ახდენს, მართლმეომრობა ერჩის, ღვთის მოსაგნიც მიტომ ყოფილ არიან, რომ ომობდენ და ახლაც ამისთვის დაცემული არიან, რომ თანამედროვე ცხოვრებისთვის ბუნებით უეზრვის არიან. არ მოგაგონდება განა: „услужливый д. опаснее врага“.

ბ. მ ა რ რ ი ა

80

[1901.IX.15]

ძმაო ნიკო, „მეხნი“ სწერია მესხნის მაგიერ მე-252 გვერდზე, სტრიქონი ზემოდან ცხრა, მარიამის ვარიანტისა. ველიჩკოს წერილი არ წამიკითხავს. ცნობის ფურცლის პასუხი³⁹⁰ კი წავიკითხე „Одпис-
цы“ დააჩქარე, რომ იუბილეის³⁹¹ დროს მოგვესწროს, ბევრი ხალხი იქნება ტფილისში და გაიყიდება. მომიკითხე ჩვენ მაგიერ შენი ცო-
ლი. დაბარებული წიგნები ნუ დაგავიწყდება.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

81

1901.9.26.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

მადლობელი ვარ ორვე პასუხისთვის, დროზე მომისწრო. მეც მინდოდა „შავთ. და ჩახრ“. 25 ენკ. მოსწრება, მაგრამ კმაყოფილი ვიქნები, თუ 25 ოქტ. გამოვა. მე ძალიან მიშლის ხელს „სოვეტი“-ს ყოველდღიური სხდომა რეფორმის შესახებ. სამინისტრო კითხვების პასუხის მოსამზადებლად. იპოლიტემ სამზღვარგარეთ მეცნიერებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჰარნაკი (არ ვიცი, მოგწერე თუ არა) იწერება მადლობას დიდს და თან მწერს, რომ ქართული ენის კათედრა დავაარსო ბერლინის უნივერსიტეტშიო (ჰარნაკი ძველი ქრისტიანობის მკვლევარია, ახლა რექტორია ბერლ. უნივ.) მე კი უფრო შავთელი და ჩახრუხაძე მინტერესებს ახლა. 15 სტამბის ფურცელი გამოდის და ანგარიშით სამ მანეთზე ნაკლებად არ გაიყიდება თითო ცალი და მე მწყენს, თუ დიდი ფასი დააბრკოლებს მის გავრცელებას. როგორ ვქნა არ ვიცი, რომ ფაქულტეტს არ „ეჩოთიროს“. შენ

წიგნებს ვკრებ: ერთმა ვესელოვსკიმ დამპირდა უფასოდ ხუთშაბათს, როზენის კრებული უკვე ვიშოვე უფასოდ, შენი სტატია აგრეთვე დავიბრუნე, Зап. Вост. Отд. მივიღებ ან გამოვაგზავნიე ხუთშაბათს (ხვალ) და ყველას ერთად გამოგიგზავნი. ზოგი საყიდელ დარჩება მაინც. შენი მეუღლე მოგვიკითხე.

ბ. მ ა რ რ ი.

89

1901.10.12.

ქ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

Записки В. Отд.. ახლა მიღებული გექნება, საზოგადოებისგან პირდაპირ გამოგიგზავნეს. მე ახლა გიგზავნი 1) Н. И. Веселовский, Снош. с Перс. (სამი ტომი), 2) А. Н. Веселовский, Где сложилась легенда о св. Грале, 3) Муваффарие, Сборник, в честь бар. Розена. ამ წიგნებისგან მხოლოდ მეორე დამირჩა საყიდლად: იძულებული ვიყავი მთელი ტომი მეყიდა 1 მ. 13 კ. გარდა ამისა გიგზავნი ჩემს „Боги языч Груз.“ ერთს ცალს შენთვის, ხოლო ექვს ცალს წერაკითხვის საზოგადოების სავაჭროში გადასაცემად: ხუთი მათგან გასაყიდად (თითო აბაზად) და ერთი წიგნსაცავს მისას უფასოდ.

მედნიკოვის არაბული წყაროებიდგან შედგენილი პალესტინის ისტორია მეტად ძვირია და იქნება ვიშოვო ბუკინისტთან. ვესელოვსკის „Разыскания в области духовного стиха“ აკადემიაში ცალკე არ იყიდება. საჭიროა დიდ დიდი კრებულები ვიყიდო, სადაც იგი ჩართულია, რამოდენიმე ტომს შეადგენს. არ ვიცი, დათანხმდები თუ არა ასეთ ხარჯს და ამიტომ მოვუცდი შენს პასუხს. იქნება ცალკე ამოჩნდეს გასაყიდად (მისთვის. დაბეჭდილ „ОТД. ОТРИСК“-ებიდგან მაქვს მე მთელი თითქმის სერია და იქნება სადმე (აკადემიაში არ იშოვება) ამოჩნდეს გასაყიდად, რამოდენიმე ტომს შეადგენს ცალკეც. ნახვამდის წერილით.

ბ. მ ა რ რ ი.

ჩვენს საერთო მოკითხვა შენს მეუღლეს.

ბ. მ.

სტატიას შენსას³⁹² და სურათებს (წიგნებთან ვერ მოხერხდა). ცალკე კონვერტში გამოგიგზავნი.

ძვირფასო ძმალ ნიკო

ძრიელ დამავალე წიგნების გამოგზავნით, მივიღე: 1) ვესელოვსკის სამი ტომი, 2) ა. ვესელოვსკი. Где сложилась легенда о Грале, 3) Музаффарие მეორე ხელ მივიღე: Зап. Имп. Русск. Арх. Общ. т. V, вып. 3 и 4, т. VI, вып. 3 и 4, т. VI, вып. 1 и 2. წინა წერილში იწერებოდი Записки В. Отд. ახლა მიღებული გექნებაო. უნდა მოგწერო, რომ არა თუ მაშეინ, Зап. Вост. Отд. ჯერეც არ მიმიღია და კიდევ შენ თუ არ დამეხმარე, ვიცი არ გამომიგზავნიან. მე Записки В. Отд., მაქვს მხოლოდ т. VIII и IX, ახლა კი ვკონებ თოთხმეტი ტომი გამოსული, ასე რომ მაკლია т. 1—VII და X—XIV წინანდლები იქნება უფულოთ არ გამომიგზავნონ, მაგრამ X—XIV მე მგონია უნდა გამომიგზავნონ შემოღებულის წესის ძალით. ამას გარდა ძრიელ საჭიროა ჩემთვის პარხალის სახარების აღწერა და თუ შეიძლება, ნუ დამიგვიანებ. ლატიშევის მთელი ტომი მაინც არ შემისრულდა, ამიტომ კიდევ გთხოვ: 1) მიყიდო და გამომიგზავნო ის ტომი Записк-ებისა, რომელშიაც მოთავსებულია листы ანუ формы: 37—39 ანუ გვერდები 553—600 და მიუხედავად ამ Записк-ების ტომის გამოგზავნისა, კიდევ ცალკე უნდა მიყიდო მეორე ვიპუსკი (выпуск 2-ой) ცალკე გამოცემისა და იმ ზაპისკების ტომთან ერთად გამომიგზავნო. ეს მეორე выпуск-ი სუვორინის წიგნის მალაზიაში უნდა იყიდებოდეს, როგორც გამომცხადებულია. 1) ვესელოვსკის სტატიების ოტტისკებს თუ იშოვი იმას რაღა სჯობს, აგრეთვე მედნიკოვის თხზულებასაც. 2) ეხლა გამოსულა კიდევ ვასილიევის 2) Византия и арабы ესეც მინდა, აქ არ იყიდება. ერთი სიტყვით შენ კი იცი, თუ რომელი ახალი გამოცემა საინტერესოა ჩემთვის და ამიტომ, რაც გამოვიდეს ახალი, გამომიგზავნე და ფულს არ დაგიგვიანებ. შენი Боги языч. Грузии მივიღე; ფასის დადება შენ არ გცოდნია, შენ ოტტისკები გამომიგზავნე და ფასს მე დავადებ. ის ხუთი ცალი თითო 50 კაპ. გავეყიდე. აქვე სკოლაში ჩამაღლიტეს ხელში, ერთ ხუთს კიდევ გავეყიდდი რომ ყოფილიყო, ასე რომ შენი ეხლა მე მმართვეს: 2 მ. და 53 კაპ. ვაყიდულის წიგნებისა, 1 მ. 13 კ. გრალის წიგნისა, 2 მ 80 კაპ. უკანასკნელის პასილკისა, სულ 6 მ. 50 კაპ. ამას უნდა დაუმატო

წინანდელი პასილკის გამოსაგზავნი და მაშინ სულ იქნება შვიდი მანეთი. ეხლა გიგზავნი ერთ თუმანს, შვიდი მანეთი შენია და სამი მანეთი იმ ანგარიშში მიითვალე, რომლის წიგნებსაც აწე მოველი შენგან. **Богъ яз. Груз.** რეცენზია იქნება³⁹³. შენს წერილებს არავინ არ კითხულობს აქ, ვინაიდან საზოგადოთ მეცნიერული გამოცემების კითხვა აქ შემოღებული არ არის და ამიტომ საჭიროთ დაგინახე ცოტა ერცლათ გავაცნო მკითხველებს. რეცენზიას თურმე ძრიელ ეტანებიან. ეს მეორე პირმა მთხოვა ეხლა ყველა შენი სტატიები, რომ გავცნოს. ნიკო ლოლობერიძე³⁹⁴ გაკვირდა, რატომ ასე ნაკლებათ იცნობენ მარსო და მკითხა ვინ არის მარუშიანიო³⁹⁵, სომეხი იქნებაო, სირცხვილია ჩვენდა, რომ ასეთ მეცნიერის შრომებს არ ვიცნობთო. მე არ მინდა იცოდენ ჩემი პსევდონიმი და ამიტომ არავის ვეუბნები, შენ ღია წერილით ზურაფერს მომწერ მაგის შესახებ. ოტტისკების გამოგზავნას ბევრს ეცადე, თუ გინდა რომ წაიკითხონ შენი შრომანი. 15 ცალს მე გაგიყიდი ყოველთვის, ათიოდეს მარტო ჩვენს სკოლაში იყიდიან. ჩახრუხაძე და შავთელი ბევრი უნდა გამოაგზავნო. ათს ცალს აქ გავყიდი და სხვას წერაკითხვის საზოგადოებაში დავდობ. **Богъ яз. Груз.** ძრიელ მომეწონა. ერთი იმ საერისთაოების სახელებიც გამოჩხრიკე, იქნება სირიაში ან სპარსეთის მხარეში იყოს იმისთანა სახელები. აქ ეხლა მესამე დასელებმა წერაკითხვის საზოგადოების ხელში ჩაგდება განიზრახეს, ბევრი გვლანძღეს და გვებრძოლეს, მუშები დაიბარეს ბათუმიდან, ქუთაისიდან და ბაქოდან, მაგრამ მაინც არ გავატანეთ ჯერ-ჯერობით. მე ხელს არ უშვებ იმიტომ, რომ მუზეუმი და ეს მდიდარი ბიბლიოტეკა დაგვეღუპება. ძნელია აქ მოღვაწეობა. მაგრამ მეტი ღონე არ არის, რაც შეგვიძლია უნდა ვიმოღვაწოთ. მე ეს მიკვირს, რომ ახალგაზრდობა სულ განუფითარებელი მოდის, არაფერის თავი არ აქვს. ჩვენს სკოლას ძრიელ ესარჩლებიან შინაური და გარეულები, ზავადსკიმ ერთი ომი აგვიტეხა, ჯერ ქალაღლით და აწი რა იქნება არ ვიცი, ამას გარდა ჩვენი ღენარლები ეხლა პედაგოგობას ჩემობენ, ჩვენ უნდა ვიყოთ სკოლის გამგებელიო. სხვაფრიც მშვიდობით. მომიკითხე ჩემ და ჩემი ცოლის მაგიერ შენი მეუღლე და შვილები. ველი შავთელს და ჩახრუხაძეს. დაბადება მოსკოვის გამოცემა თუ გინდა მომწერე და გამოგიგზავნი ფოსტით. კიდევ ერთი სათხოვარი: პატკანოვის სტატია **О Сассанидах по армянским историческим** თუ ცალკე ოტტისკი ვერ იშოვო, ის ტომი გამომიგზავნე არხელოლოგიური საზოგადოების გამოცემისა, რომელშიაც სტატიაა მოქცეული.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

[1901. 18 ноябр.].

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

გიგზავნი ახლა ლატიშევის ბერძენთ და სხვათ მასალებს კავკასიის შესახებ. მთლად შვიდი მანეთი ღირს, მაგრამ რადგან წვერი ხარ ორ მანეთად და ოთხ აბაზად დაგიტმეს. გამოგზავნა კი უფასოდ სახაზინო პაკეტით. ფული გადახდილია. მოკითხვა ქ-ნ ნინოს. ვჩქარობ. გამიჭიანურდა შავთელი და ჩახრუხაძე. — ეგ რა უსინდისო ვილაც: ყოფილა თქვენ წრეში: რა მინდაო ვითამც საზოგადოებაში ლანძღვით. ჩემი ფიქრით მაგათთანებისთვის უსარგებლოა ბოდიში და ამგვარი პალური და შვიდობით.

ნ. მ ა რ რ ო

P. S. რეცენზია შენი წავიკითხე³⁹⁶. ძალიან მადლობელი ვარ, რომ: ყურადღებით წავიკითხავს. მ-ის შესახებ როდესმე.

[1901. XI. 28].

ძმაო ნიკო, გიგზავნი ერთ თუმანს, როგორც წერილით მოგწერე. შვიდი მანეთი შენია და სამი იმ წიგნების ანგარიშში მითვალე, რომელთაც შენგან ველი. წიგნების გამოგზავნას და პასუხს იუ დამიგვიანებ. მოკითხვა შენს მეუღლეს.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

Зап. Вост. Отд. I—VII 11 p. 40'

Латышев, Записки №37—39'

„—“ Вып. II (стр. 553—600).'

Получено 19 февраля 1902 г.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

სულ ამ შემსხმელთა გამოცემას³⁹⁷ ვუცდიდი და შეერჩი. ბოლოს ვხედავ, მაგრამ წერილს მაინც ვჩქარობ. წიგნები მიღებული უნდა

:გქონდეს ლატიშევის, რაც გაკლდა და Записки. 12^{1/2} მანეთი მიეცეო.
შათში რამოდენიმე მქონდა დარჩენილი, უწინ რომ გამომიგზავნე, და
ის დავახარჯე. მომწერე მიიღე თუ არა.

Кавказский Вестник-ში ჩემი რეცენზია ცალკე სტატიად დაუ-
ბეჭდილთა³⁹⁸. მიკვირს. თან შეცდომები, მაინც ერთი армянских цер-
квей, როდესაც უნდა იყოს славянских церквей, კორექტურას და
გასწორებას მარტო შენ გენდობი. მართლა გითხრა, შენი სიტყვა
ჩამრჩა გულში: „надо поддерживать“-ო რომ მითხარი ზაფხულზე და
მიტომ მიეცეო სტატიები К. В-ს.

მარტის დამლევს ვაპირებ ი"მ-ს და სინას. მთაზე ³⁹⁹. რას მო-
ვიმკი, არ ვიცი.

სტუდენტობა აქ სულ გადირია. სწავლაზე ხელი აიღო და რა
უნდა, ღმერთმან იცის. ქართველობაც ამ უხეირო, უპრინციპო, ვე-
ლურ მოძრობას (!) „არ-სწავლას“ ეტანება. დროებით შეწყვეტი-
ლია უ-ტეტში სწავლა. თედორობის კვირაში გახსნიან (ამბობენ) და
ისევ მოხდება სტუდენტების „აჯანყება“ და შეჩერდება უნივერსი-
ტეტის ცხოვრება შემოღებამდე... მერმე? შავთელ-რუსთველი (ჩახ-
რუნაძე) დავასრულე, მაგრამ უკანასკნელი ფურცლის ბეჭდვამ გადა-
მიტანა. სულ 18 თაბახი გამოდის. გრიგოლის ათი წლის დღეს ნამე-
ტარი გადმოსცილდა და ვუძღვენი ბროსეს⁴⁰⁰. გასაყიდად სულ 150
ცალი მექნება. 100-ს შენ გამოგიგზავნი. თითო ცალს სამ მანეთად ვა-
ფასებ. ნაკლები შეუძლებელია. რაც გაიყიდება, გაიყიდოს. ჩემი
საფასით გამოცემული რომ იყოს და დასტურ დარწმუნებული ვიყო,
რომ ბევრნი დაეტანებიან, მეტს დაგბეჭდი და ნაკლებ ფასს დავა-
დებდი.

თუ არ გეძნელება, შემიტყვე, წ.-კითხვის წიგნსაცავში ჩემ წიგნ-
თაგან გაიყიდა რამე თუ არა? — მოკითხვა ჩვენი ორთავე ქ-ნს ნინოს.
ცოლი მოგიკითხავს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

მანდ გამორებას არც დრო და არც საშვალემა არ მანებებს. წიგნების შესახებ ახლა ველარაფერს ვერ მოვიხერხებ. წუთი თავისუფალი არ მაქვს. ზეგ მივემგზავრები⁴⁰¹. წიგნების ამბავს წერაკითხვის საზოგადოების წიგნსაცაეში ალბათ ვერას დროს ვერ გავიგებ. „შემსხმელნი“ გამოვიდა და ერთი ცალკე გამოვაგზავნიე საქაშნიკოდ შენთვის. სხვას ერთად მიიღებ ას ცალს. მეტი გასასყიდად არც კი იქნება. თუ დასტურ გაიყიდოს, როგორც მეუბნებოდი, ფული ჩემ ცოლს მიაწვდინე ჩემი აქაური ადრესით (მაგრამ მის სახელზედ) თუ მისამდი გაიყიდა, თვარა და შემოდევზე გამოგვიგზავნე. მეტს ველარ ვწერ უდროობით. ქ. ნინოს ჩვენი საერთო გულითადი მოკითხვა.

ნ. მ ა რ რ ი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენ სულ დაგავიწყდი და მეც წერილი დამიგვიანდა. შენი წიგნები ცოტა კიდევ გავციდე და ამ დღეებში სამს თუმანზე მეტს გამოგიგზავნი, ფულს ველი ქუთაისიდან და ბათუმიდან. ცნობა მივიღე გავციდეთო და ფული არ წარმოუდგენიათ. სხვა ძრიელ მწყურია შენი მოგზაურობის შედეგი დაწვრილებით ვიცოდე. მიამა რომ შატბერდი საქართველოში ყოფილა და არა სამძღვარს გარეთ, მაგრამ უგ სომხური გავლენა ოჯახში ყოფილა. მერმე სჩანს, სად, სახელდობრ, უნდა იყოს ეს მონასტერი? ჭოროხის ხეობაში, როგორც ეტყობა. მკვიდრნი სომხებიც ყოფილა და ქართველებიც და მიტომ ორივე თავის სამკვიდროთ სთვლიან. მე ისე დატვირთული ვარ სკოლის საქმეებით, რომ არაფრისთვის დრო არა მრჩება საყოფათ. სხვა საზოგადო და კერძო საქმეებიც აუარებელი მაქვს. წერაკითხვის ხელნაწერების აღწერას ვებეჭდავ კიდევ შემდეგს ნომერში. Сборник-ისა, თუ რამე მოვასწარი ისევ ამ ზაფხულს. ეხლა მომყავს ცნობაში ზაფხულში შეკრებილი მასალა ჩემი მოგზაურობისა⁴⁰². შენი გამოგზავნილი სტატიების რეცენზია, არგონავტში დავბეჭდე⁴⁰³, მაგრამ უხეი-

რომ დაბეჭდეს საკუთარი სახელების მართლ-წერა. ეხლა ეს უფრნაღო სხვის ხელში გადადის და აღარც Кавказский Вестник-ი გამოდის. ზაფხულში საით აპირებ? მე კი მგონი ოქროყანაში ვიქნები სახლობით, თუმცა ჩემს ცოლს ძრიელ ექირვება სხვა ადგილზე სააგარაკოთ წასვლა, ძრიელ სუსტათ არის, მაგრამ ჩვენც ძრიელ ხელმოკლეთ ვართ და არ ვიცი, როგორ იქნება საქმე. ეხლა ჩემი ცოლის დები ჩემთან ცხოვრობენ. სახსარი მათ ჭერჭერობით არაფერი არა აქვთ. ფუნუკულერი თუ გააკეთეს, მაშინ გამოვებრუნებთ საქმეს. ოქროყანის მამული ფასში აიწვეს, მხოლოთ მანამ გააკეთებენ, მე ჩემი დამემართება. კიდევ კარგი, ჩემა ძმამ მდიდარი ქალი შეირთო და ცოტა ხელი გამიწყო, თორემ ცუდათ იყო საქმე. ამას წინეთ კარე-ქაშვილის რეცენზია⁴⁰⁴ გამოგიგზავნე შენი წიგნის შესახებ. ცოტა ხანში ჩემს ბროშიურებსაც გაახლებ. Записк-ების წომრებს კიდევ არ მიგზავნიან. ერთი მოაგონე. ვესელოვსკის ნაწერების შოვნა ნუ დგავიწყდება ჩემთვის. შენს მეუღლეს და შვილებს ჩემ ცოლიდან და ჩემგან მოკითხვა. ველი შენგან წერილს.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ო .

8 აპრილს 1903 წელს.

89

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

დაქანცული მოვდიოდი უნივერსიტეტიდგან შინ და რუმიანცუვის ბაღში ცოლმა შენი წერილი დამახვედრა. ძალიან მიამა წერილი. მაგრამ შინაარსმა ორვე დაგვასევდიანა. მე მეგონა, ხელმოკლეობა მარტო პეტერბურგში მცხოვრები მეცნიერის ილბალია...

შენ დროს უქონლობას შესჩივი, მე ისიც მიკვირს, როგორ ასწრებ, რასაც ასწრებ. მთელი დღეებით და ხან ღამეებით მე მარტო ერთ საქმეს ვადგივარ და მაინც უფრო თავს ვისუსტებ, ვიდრე რაიმე თვალსაჩინო ნამუშევარს ვასწრებ. წრეულს, რაც დავბრუნდი, წელი არ გამიმართავს და ზაფხულზე მინდა მოვისვენო, თუ მოსვენება შევიძლე. 16—20 მაისს ვაპირობთ გამომგზავრებას ჩონატოურში. ორ სამ დღით თფილისში დავრჩებით. მინდა აგრეთვე, თუ ბოეშებო შინ მოვაწყვე, ეჩმიადინს წამგზავრება ცოლითურთ სამგზავროდ, და სათვალეირებლად და არა სამაცადინოდ. ზაპისკების ნ-რებს, რაც გა-

მოვიდა, მოგაწვდენ, თუ მათ არ გამოგიგზავნეს უკვე. ზოგი სხვა წიგნიც არის გამოსაგზავნი აქ ნაშოვარი. „Предвар. отчет“ მალე დაიბეჭდება⁴⁰⁵ და გამოგიგზავნი ჩემი მოგზაურობის შესახებ. თუმც მოკლედ თქმულია და ზოგი რამ გამოშვებული (მასალანი არ ნაჩვენები), მაინც მთელი შთაბეჭდილების გამოთქმა ვეცადე ნაშოვ მასალების შესახებ და ნამუშევარის სინაზე და იერუსალიმში. სამ თაბახზე მეტი გამოვიდა. შატბერდი კლარჯეთში იყო, ნიდაგი სჩანს სომხური ან განსომხურებული მკვდრთაგან და გაბერძნებული ეკლესიურ გავლენით ყოფილა და გრიგოლ ხანძთელს⁴⁰⁶ ქართველთ მონასტრებით ქართველობაც და ქართულობაც შეუტანია. მეუღლის ავადმყოფობის ამბავმა გინდა სისუსტისამან აგრეთვე დაგვასევდიანა. ჩვენი გულითადი მოკითხვა საერთო ნინა ივანოვნას. კარეჟაშვილის რეცენზია თავის დროზე მივიღე. მადლობა ღმერთს ზოგი რამ სხვასაც ესმის. სხვა იმედია პირადად მოვილაპარაკებთ. შენი ხელნაწერების აღწერა⁴⁰⁷ გადავათვალაიერე და მინდა წაკითხვა წამოსვლამდი. ერთი შენიშვნა უნდა მოგახსენო, რატომ სწერ „აпокриф“ ან ქართულად „აპოკრიტ“, ბერძნულად „ფ“ კი არა, Ψ იწერება, მაშასადამე, „აпокриф“, „აპოკრიფი“. 108 გვერდზე „сн исцелении Андамалудца христом“, Андамалудц⁴⁰⁸ სომხური სიტყუა არის და ნიშნავს „ასო დახსნილს“ (ანდამ = ასო, ლუფწ = ხსნილი). ყურადღება მივაქციე ამ ნომერს, რადგანაც განრღვეულის მოთხრობა გადმოწერილი მაქვს და სომხურთან შედარებით გამოცემას ვაპირებ (ვისარგებლე ქართულისთვის ორი ხელნაწ. 1) საეკლ. მუხ., 2) წერაკითხვის, მაგრამ არა მე-12 ნომერი). სხვა კიდევ, სად არის შენი გამოცემული თიმსარიანი⁴⁰⁹, რატომ არ მიგზავნი (109 გვერდზე შენი აღწერილობისა იხსენებ).

ერთი თხოვნა: განა არ გეგულება ცალკე ხელნაწერი ძველი პარალიპომენტა = ნეშტთა წიგნისა ქართული ან ძველი აღთქმის ხელნაწერში, მინდა გადმოვიწერო, ან ფოტოგრაფს გადმოვადებინო, ეგ უფრო ჩქარი და ბეჯითია.

ცოლი მოგიკითხავს
ნახვამდი

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

14 აპრილი 1908:
სპეც.

Мялостивый государь¹ --

ძმარ ექვთიმე,

ცალკე აღარ გწერ ამის თაობაზე.

Императорская Археологическая комиссия, одоблив мою мысль об издании Сборника армянских и грузинских надписей и приняв в свое ведение это научное предприятие, поручила мне организовать в Тифлисе или ином месте особый комитет из местных ученых с целью приведения в известность, списывания и проверки армянских и грузинских надписей, находящихся прежде всего на Кавказе. Намереваясь поэтому делу собиранья и обнародования грузинских и армянских надписей устроить в начале наступающего лета, приблизительно в числах 9—15 июня, в Тифлисе предварительное совещание наиболее заинтересованных лиц, не только сочувствующих изучению эпиграфических материалов Кавказа ввиду многостороннего, реального их научного значения, но и теоретически и практически подготовленных для деятельности по данному вопросу, честь имею просить Вас написать не позже 25-го мая, находите ли для себя указанные числа удобными и какое именно из них, для личного участия в задуманном частном совещании в целях выработки программы работ и указания подходящих сотрудников, или предпочтаете поделиться письменно Вашими советами. (Адрес: Почт. ст. Чахатаური, Кутаис. губ. Озургет. уезд. Проф. Ник. Як. Марру).

დღეს ხუთშაბათია. შაბათს ჩვენც მოვალთ

ბ. შარარი.

1903.v.15.

91

2 ივნისს 1908 წ.

ძმარ ექვთიმე,

უსათუოდ უნდა დაესწრა შენ ჩვენ კრებას 10 ივნისს¹ (11-საც, თუ ვერ მოვასწარიო საქმის დასრულება ათს). შენი თავმჯდომარედ

¹ წერილის რუსულო ტექსტი დაწერილია ივ. ჯავახიშვილის მიერ (შემდგ.).

საჭიროა გამორჩევა ქართულის ნაწილში, სომხურში არ ვიცი ვინ, იქნება ლალაფანი⁴¹². სხვაფრივადაც შენი დასწრება აუცილებლად საჭიროა. კრება მოხდება პირველი 10 ივნისს 4^{1/2} საათზე სევერნიზნომერა-ებში, მგონია დავეტევით და უსათუოდ გელით.

აქ სიცივეა, გავცივდით ყველანი, რევოლუციას ამზადებენ გურულები⁴¹³, ქვეყანა დაიღუპება. მიკვირს რომ ქართველი გაზეთობა კარგად ვერ ებრძვის ამ უბედურ და უნიადაგო მიმართულებას. მომგზავრობთ ყველანი. ბოეში ვერ შეეჩვია აქაურობას. იქნება იურიც წამოვიდეს.

გულითადი საერთო მოკითხვა ჩვენი თქვენ შენ და შენს მეუღლეს და ცოლის დათა.

ნ. მ ა რ რ ი.

92

8 აგვისტო 1908 წ. აბასთუმანი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ტფილისში უკანასკნელ რიცხვებში იმ დროისა, როდესაც შენ ჩამოიარე ეჩმიადინიდან, ავით გავხდი და შემდეგ აბასთუმანში მოვედი. აქ მოვიკეთე. რა კი ცოტა მოვიკეთე, აღარ გამიძლო გულმა და ზარზმას წავედი, იქ ერთი ექვსი დღე დავრჩი და ყველა სურათების წარწერები გავჩხრიკე და გადმოვიწერე. ძრიელ ბევრი საინტერესო სურათები გამოჩნდა. მხატვარი ძრიელ კარგი კაცი აღმოჩნდა, მასიამოვნა, მასთან ერთათ ჩულებს წავედით და ეხლა საფარას ვეზადებით, თუ მოვახერხებ. ოცს აგვისტოსთვის თფილისში დავბრუნდები. იქნება აღის საყდარიც ვნახო და ჭაყი. კომისიიდან ლისტი მომივიდა, მაგრამ წელს საიმისოთ ვერ გამოვიყენებ. წელს ზარზმას ვიკმარებ. საისტორიო წარწერების ფაკსიმილიე გადმოვიღეთ. მხატვარმა მოგიკითხა. დაბადება მცხეთის მე და ჭანაშვილმა ორ დღეს ვეძებეთ, მაგრამ წარმოიდგინე მათი წესი! იმ ნომრით, რომლითაც კატალოგში აღნიშნულია, არ აღმოჩნდა, არც ის იცის ჭანაშვილმა, ვისა აქვს. დამპირდა მოვნახაო უსათუოთო. რომ დავბრუნდებით, უსათუოთ მოვნახავიებ და გადავადებიებ. ერთი მხედრული არის, ნაკლები მეჩვიდმეტე საუკუნისა, მაგრამ „ნეშტი“ შით სრულათ არ არის და მისი ფოტოგრაფიით გადაღება არა ღირს. მეორე წიგნაკი კატალოგისი⁴¹⁴ ამ დღეებში დამთავრდება. „თიმსარიანის“ ხელთნაწერების გარჩევა და როსტომიანისა შით მოვაქციე. მე მგონია გამოვაკლიე, თუ რა ეკუთვნის გორგიჯანიძეს როსტომიანში. აგრეთვე გავარჩიე „ქილილა და დამანა“ და

დაბეჭდილი ტექსტი სრულიათ ორბელიანის შრომათ ვსცანი. ვახტანგის შრომა ცალკე გვაქვს მისი ავტოგრაფიული ლექსებით. თიმსარიანი დაიბეჭდა და ამდენხანს უნდა გამოსულიყო. მე სულ დაბეჭდილი დავტოვე. ელექსის და მელეპსის ცხოვრება არ გამევიწყებია, მაგრამ ჭერვერ ვნახე, და არც ბევრი მიძებნია, კაცმა თქვას. აბასტუმანში ძრიელ კარგი სამყოფია, მაგრამ სახლი ძრიელ ძვირია. ერთი ზაფხული უნდა მოახერხო და აქ გაატარო. მოგიხდება ძრიელ. ჩემს ცოლს აქ წინეთ ბრონხიტის ავადყოფობა დაემართა და ეხლა მოიკეთა და ბევრათ უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე ტფილისში. შენ როგორ ხარ, ან როგორ გაატარეთ ზაფხული ოჯახითურთ? როდის ეპირები გამგზავრებას? ალექსანდრა ალექსეევნას⁴¹⁵ დიდი მოკითხვა ჩემ და ნინოს მაგიერ. შენ შეილება მიკოცნე. დაბრუნების დროს იმედია მნახავ! ზარზმაში კიდევ მომიხდება მგონი ერთი დღით თუ ორით წასვლა. ათაბეგობის ფრესკები აღმოჩნდა, ამათივე ფრესკები წარწერებით. ჩულეში აღმოვაჩინე, არავინ არ იხსენიებდა. ეხლა საფარის ფრესკებს უნდა შეუფარდო, თუ არ შეუკირწყლავთ წყეულთ აშინოვის⁴¹⁶ ამალის ბერებს. ზარზმის ლეგენდა თუ დასწერე, გამომიგზავნე. მე სულ სხვა დასკვნაზე მივედი ახლა ზარზმის მაშენებლების და მისი დროის შესახებ. თურმე თავი სამრეკლოს წარწერა სანახევროთ უმართლოთ იყო წაკითხული ბროსეს მიერ და ეს არავის არ შეუხსწორებია. სხვები ბაქრაძემ შეასწორა, მერმე კიდევ აზრს წარწერებისას არავინ არ დაჰკვირვებია, თუ რას მოგვითხრობენ ისინი.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე

P. S. მაცნობე, გრიგორ ხანძთელის ცხოვრებაში ხომ არ იხსენიება ზარზმა ან მამა სერაპიონი, ან ვინმე ხურსიძე. აგრეთვე ამომიწერე თუ რა არის ნათქვამი ბ ა ნ ა ს შესახებ და მალე მომაწიე.

ე. თ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

მე წასრული მეგონე ჭერეც და მგზავრობაში, თორემ მოსაწერი მქონდა. კომისიამ შემომითვალა და დამეკითხა, წელს რამდენი დავკირდება ფულიო (თურმე ტელეგრაამაც გამოეგზავნა თფილისში ჩვენ

სხდომის დროს). მოვალ და მოვილაპარაკებთ მეტეი, მივსწერე. შენ-
 თან მოლაპარაკება კი მინდოდა, მაგრამ თფილისში ვერ დავრჩებო
 და სტანციაზე ცოტა დროა და არც ღირს შეწუხება შენი. გამოვიართ
 24 აგვისტოს საღამოს ათს (თფილ. 11-ს) საათზე. ჩამობტომა არას
 გზით არ შეგვიძლია. — აქ ჩამომიგდეს მეც პროკლამაცია ჩემი სიტ-
 ყვის გადამახინჯებული შემოკლებით, რომელშიაც „რუსის მთავრო-
 ბისგან მოსყიდულ პროფესორად“ ვარ სახელწოდებული. ბევრი ვი-
 ცინეთ, მაგრამ აქაურობის მდგომარეობა თმაველეთით სატირალია. ზნე-
 ობრივი დაცემა და უვიცობა უკიდურეს წერტილზეა მისრული. ქარ-
 თველი ინტელიგენცია თავის მოუხერხებლობით და მცონარობით ხელს
 უწყობს ხალხის გაველურებას, რადგანაც უთავადესი ბორბალი წინ-
 მსვლელობის თავის თავის ცნობა „უბედურად“ აკლია მას არა თუ
 წარსულის შესახებ (ეგ ვითომ და არაფერია!), არამედ აწმყოისაც...
 რა გითხრა (არ დამიჯერებ). ჩვენში ახლა ქრისტიანობაც არ ყოფილა,
 ეკრატმსახურნი არიან, მაგრამ ეგ შორს წაგვიყვანს... შენი წერილის
 მიყოლებით მოგწერ ახლა. — გამრთელება მიხარია და გაჯანსაღება
 შენი და შენი მეუღლის. — ზარზმის წარწერები რატომ წამართვი.
 ჩვენ გამოცემისთვის მაინც დამითმე. ძალიან მოხარული ვარ, რომ
 გაგიჩხრეკია იგინი. — წარმოიდგინე როგორც ცქვიტად და „გურუ-
 ლად“ წაიკითხე. წერილს თფილის დაბრუნებული მწერდი მეგონე.
 კეთილი მგზავრობა და ეგეთივე გამარჯობა საფარას, ალის საყდარს
 და ჯაყს. ზარზმის წარწერები მაინც მომიშხადე ეპიგრაფიულ ქურ-
 ნალისთვის¹⁷. — დაბადების საქმე, როგორც დამპირდი, გამიწყვე,
 სასტიკად მწყურვალე ვარ. — კატალოგს გაუმარჯოს და თიმსარიან-
 საც¹⁸. როსტომიანში რაც „გორგიჯანიძის“ შეტანილია, მე უნდა და-
 მებეჭდოს, გამოკვლეული მაინც მაქვს. შენ თავისი დაბეჭდე. კრიტი-
 კის ვამზადებ შენ კატალოგისას (Текст. и разыск. по арм.-групп. ф.и.л.
 VII თუ VIII) და სარჩულად შექნება — აბა, შენ იცი ელესიბე-მელი-
 სიპეს ცხოვრება. — მოკითხვის მადლობელი მოკითხვას სამაგიერო
 გითვლის შენ და ნინა ივანოვნას ჩემი ცოლი. — ავდრობის მიუხე-
 დავად დრო ცუდად არ გავციტარებია. იური და ბოლოს მეც გაუ-
 წყვეტელად ვბანაობდი. მეგონი, მეც მომიხდა. ზარზმის „ლეგენდა“
 კიდევ შეწამებული არ მაქვს (პატარა წაწყვეტია)¹, მინდა სხვას ვისმე

1) აი პირველი ჟერ ცნობილი პირი ან უკვე მგონი დაეწიებული გადმოცემის:

სამმა ძმამა ბალაძემა
 ზარზმას დადვა ბალავერი.
 ვინც თორმეტი ჩამოიღებს,
 იგი არის ფალავენდი.

ამის მეტის მცოდნე ლექსის ჟერ კერავის მივკვლიე.

კიდევ შევეკითხო მოხუცს, შევიტან ვ *Тексты и разыскания VII წ-*
წერილმან სტატიათა შორის. — არც ზარზმა და არც მამა სერაპიონ
 არც ხურსიძე არ იპოვება გრიგორ ხანცთელის ცხოვრებაში, ბანას.
 შესახებაც არა შემხვედრია რა. დასასრულ გრიგორ[ის] შესახებ. მისი
 ცხოვრება ახლა გადმოვსწერე დასაბეჭდბთ (ერთ თვეს მოუწდი,
 მეტსაც და სწორედ დღეს დაეასრულე!) და დიდი სიამოვნება მაჩვენა-
 მის ჩაკვირვებით წაკითხვამ. წელს ქართულს დაებეჭდავ და დედანს
 მოგაწვდენ. ხოლო გახაფხულზე ქოროხის მორება და აღწერილ მო-
 ნასტრების და ადგილების მოვლა, დათვალიერება, ცხოვრებასთან შე-
 მოწმება, წარწერების გადმოღება და სხვა მინდა და მგზავრობის შე-
 დეგის ჩატანებით გამოქვეყნება. გარდა თვითონ ცხოვრების შინა-
 არისის გამორკვევის ნაშთების საშეალებით ბერძულ განათლების და
 გამარჯვების ძველ სომხურ-ქართულ ეკლესიობაზე მსურს (ნიშნებს-
 ვხედავ) ამ მხარეში, მგონი ბუდეში აღმოსავლეთურ ასურულ ქრის-
 ტიანობის განადგურებისა დიდად ადრე ათონელებისა. ამ ცხოვრე-
 ბაში თუ დაგვირდეს ცნობებია შემდეგ მონასტრებზე: იშხან-ანჩ ნექ-
 კურიკეთ-ოპიზა- მერე (გუნათლე) — ფერსათზე და უმეტესადრე შატ-
 ბერდ-ხანცთაზე და ბერთაზე. შენც თუ რამე შეგხვდეს მათ შესახებ
 ახალი, ნუ დამიგვიანებ ცნობას. — სხვათა შორის მიქელ მოღრეკი-
 ლის შრომაში⁴¹⁹ ნახსენებ წმიდათა სახელების სია ხომ არ გაქვს
 შედგენილი. იქნება ითანე მოწამის (ხანცთელი, წამებული ბაღდადს)
 საგალობელია შიგ მოთავსებული. ისე საკითხავი ათასი მაქვს, მაგრამ
 არ გაწუხებ. კარგია თბილისში ხანგრძლივად დავრჩებოდე ოდესმე
 კიდევაც მოვილაპარაკებთ და სხვა. გაისს სად აპირობ. თუ წამოხვალ
 სამცხისკენ ქოროხამდი. — შენ მეუღლეს უგულითადესი მრკითხვა-
 აღონცს⁴²⁰ ხელი შეუწყვე ქართულის შესწავლაში.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

94

1903. IX. 9.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

საშა გიგზავნის ბარტოლდის ორ თხზულებას მისგან ძღვნილს და
 თან ჯ-შვილის გამოცემათ ორთა რეცენზიანი ჩემნი ჩავატანებე. მალე

1 გამოვიდა ორას ოცდაათი გვერდი. დაწერილია ცხოვრება (861+90=) 951
 წელში, ხოლო შემდეგ გახალისებული ბაგრატ ეე-ისაგან [წელი] და 'შევსებული
 „სასწაულთა შერთვით“.

სომხურ გრამატიკას და Т. и разыск. V წიგნს მოგაწვდენ, მაგრამ ვიმედოულობ, რომ მანამდი მივიღებ შენგან დაპირებულ პირებს (ფოტოგრაფიულს) ნეშტისა და ეზრადსაც, როგორც მოვილაპარაკე. — ელესიპეს ამბავი ჯერეც არ შეგხვედრია? „თა იანვარსა. კ“ წამებდა წთა : მოწამეთა : სპევსიპსი : ელასიპსი : და ; მელასიპსი“. — ერთობილი ჩვენი სალამი თქვენდამი მეუღლითურთ.

ბ. მ ა რ რ ი.

ბოჭებნი გზაში მოსკოვიდან ავად გაგვიხდა და ეხლა უკეთ არიან. ერთი შეკითხვა რომ მოგეცი წდა იოანეს შესახებ, ხომ არ შეგხვედრია რა? იოანე ხანცთელისა და არა ურაპაელის. ამის საგალობელი გადმოწერილი მაქვს, ხანცთელისას ვეძებ მოწამისა იოანესასა.

95

[1908] 16 დეკემბერი

ძ მ ა რ რ ი კ

ძლივს ერთი შენი მონდობილობა შევასრულე. ნეშტის ფოტოგრაფიული სურათები გადავადებინე და გამოგიგზავნე, ეხლა ანგარიშს გიგზავნი და გთხოვ ფული მალე მოაწოდოთ ტარას მომცემლიძეს⁴²¹, თორემ მე შემეჭამს. სურათები გვარიანი გამოვიდა, იაფათაც გადილო, სხვები ორჯერ მეტს თხოულობდა. დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ ამდებანს ხელთაწერი ვერ იპოვნეს. შენი გამოგზავნილი წიგნები ყველა მივიღე. რამენაირათ დაუჩქარე, რომ ასეთივე გრამატიკა გამოსცე ქართულის ენისა, როგორც ეს სომხური გამოეცი⁴²², ყველაზე უფრო საჭიროა ამ ჟამად და შენც ფაკულტეტზე მაცადინობას შეგიმსუბუქებს. კატალოგის Выхп. 11 ამ დღეებში გაახლებ. სწორეთ გამიჭირდა საქმე იმდენი სადავიდარაბო საქმეები მაქვს. არხეოლოგიზა აღარ მცალია. როგორც არის კატალოგს ვაგრძელებ, ეხლა რომ ხელი შეუშვა, მერმე დაბეჭდვას ველარ მოვახერხებ. ელეპსის და მელეპსის ცხოვრება ჯერ ვერსად ვერ ვნახე, წერა-კითხვის საზოგადოებაში არ აღმოჩნთა. რატომ შენი ბროშიურები და გრამატიკა არ გამოგზავნე წერა-კითხვის საზოგადოებაში? ყველა შენი სტატიების ათ-ათი ცალი

გამომიგზავნე მე და გაგიყიდი, აქ თხოულობენ. ამ წერილს საჩქაროთ გწერ. ამ დღეებში შეიძლება კიდევ მოგწერო. მომიკითხე ჩემ და ჩემი ცოლის მაგიერ შენი მეუღლე და შვილები.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

96

1908.12.25.

სპეტ. B. O., 4 № № 7.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

დღეს წერილი უნდა მომემზადებია შენთვის და შენი წერილი შინ დამხვდა, ტიპოგრაფიიდან რომ დაებრუნდი; დიდად და ღრმად მადლობელი ვარ. ჭერ არ მოსულა. ფულის ჭავრი ნუ აქვს, ბეჭითად მისაღებია, მაგრამ ცუდ დროზე მოაწია, როცა სხდომები და სხვა შეწყვედილია დღესასწაულთა გამოისობით. იმედია, რომ უქმეებზე არ შეგაწუხებს და როგორც პირველი სხდომა იქნება, ანგარიშს გავასწორებებ. მადლობელი ვარ დიდად. ქართული გრამატიკა კისერზე მაწევს და გაის ხელს მივყოფ ბეჭდვას (ერთად სემიტურ ან სემურ ენათა თანა თანტომობის ანუ ნათესაობის დამტკიცებითი, ურთ)223, მაგრამ ქართული უფრო ვრცელი იქნება ვიდრე ახლა გამოცემული სომხური. კატალოგი ხელში მაქვ შენი, მაგრამ მისი გაცნობა როგორც პირველის ჭერ არ მომისწრია, თვალი გადავავლე. აქ რიგიც დაგიცავს, თუ არ ვცთები. მშვენიერია. მოკლე შენიშვნას პირველის შესახებ ვბეჭდავ. „Зап. Вост. Отд.“-ში.⁴²⁴

არქეოლოგიაზე ხელის აღება დროებით არ მექაშნიკა, თუმცა მიმხვდარი ვარ, რომ გარემოება გაიძულებს. და კარგად შობი რასაკვირველია, რომ კატალოგის დასრულებას ჩქარობ ჩემი მეცნიერული აზრით, ხოლო რედაქტორული აზრი — ქართულ-სომხურ წარწერათა სერიის რედაქტორის აზრი — იტანჯება. სწორედ ამისთვის მინდოდა წერილის მომზადება დღეს.

არქეოლოგ. კომისიამ წლიურ რვა-ათ თაბახიანი ცალკე წიგნი მითავაზა, რამდენიც დაჭირდება სურათები თან, კომისიის ხარჯით და რასმე შენგან ველოდი პირველი წიგნისთვის და თუ აღარ იქ, არ ვიცი, დავიწყო თუ არა, მე მაქვს მასალა, მაგრამ მთელ წიგნს არ ეყოფა. ერ. ლალიაიანცს უკვე მოგწერე ღია წერილით, მაგრამ არ

ვიცი, რას შემატყობინებს. კარგი იქნება, თუ მოელაპარაკები თავისი მხრით. კომისიის მხრით ასეთი უხვობის მოუხმარებლობა დანაშაულად ჩაგვეთვლება. კიდევ საკითხი. რა იქნა ის მაჩვენებელი ან საძიებელი ქართულ წარწერათა, რომლის შედგენას შენ და კარიკაშვილმა დაგვიპირდი⁴²⁵. რამე დაიმუშავეთ ჭერჭერობით ან შენ ან მან თუ არა? ამის და წარწერების შესახებ აზრი და პასუხი მალე მომწერე. წერაკითხვის საზოგადოებაში ბროშიურაც და გრამატიკაც გათოვავავენ¹) გასაყიდად კი არ გამომიგზავნია, ვიფიქრე, ვისაც სურს, განცხადებით გამოიწერს მითქი. ჭერ ერთი ცალი არც გრამატიკის, არც „Текст. и разыск. V“ კავკასიელს ჩემგან არ გამოუწერია. რაც გაიყიდა, ისევ საზღვარგარეთ. სომხურ გრამატიკის შესახებაც უწინ მეუბნებოდენ სომხები, ოღონდ გამოვიდეს და ერთი ცალი არ დარჩება გაუყიდველიო და სიცრუვე (უკაცრავათ: ხუთი ცალი თუ ათი, არ მახსოვს, ლაზარევის ინსტიტუტმა⁴²⁶ გამოიწერა).

მწერ, გამოგიგზავნო ათი-ათი ცალი „ყველა“ ჩემი სტატიების? ახალის მხოლოდ თუ უწინდელებისაც? თუ მარტო ახალის, მარტო „Тексты и разыск. V“ თუ სომხური გრამატიკისაც (ვინ იცის, იქნება ქართველებმა წააჭობონ სომხებს მომავალში სხვის ცოდნაში, მეზობლის — შეგნებაში). მომწერე და სიამოვნებით გაახლებ, თუ არ შეგაწუხებს.

საშა გამოგიგზავნის კიდევ (ბარტოლდისგან იშოვავ) ჩვენი ვესელოვსკის „სასტუდენტო“ ლექციებს (დაბეჭდილს) აღმოსავლ. ისტორიისა.

ახლა კიდევ სათხოვარი. ფილოსოფოსობას გავერთე. დიდად საინტერესო გამოჩნდა ძველი ქართვე. და სომეხთა ფილოს. და მათი ურთიერთობა და ბერძნულთან განწყობილება. ფებერელისთვის ვამზადებ მოხსენებას, მაგრამ დაბეჭდვას მოვიცდი, ძლიერ რთული და მძიმე კითხვა აღმოჩნდა. იქნება იოანე ჰირკიმელის ცხოვრება ან (იგივე) პეტრიწონელის შეგხვდეს აწერის დროს, დანიშნე. ზაფხულზე ორი სამი კვირით ვაპირებ თფილისში დარჩენას და მუშაობას (მაგრამ ისე რომ არა კაცმა იცოდეს გარდა შენისა, თორემ საშველს არ მომეცემენ და დროს დამაკარგვინებენ). ახლა ერთი სათხოვარი. იქნება რამენაირად გაეწყობა ნემესიოსის⁴²⁷ გამოგზავნა წერ. კითხვ. საზ.

1) დალოცვილთ ფული გამოუგზავნე კარიკაშვილის გამოწვევით რუსთველის-და ჟორდანიას უკანასკნ. შრომის (საბუთების მონასტრ., შეცდომით მე-III ტომი ქრონიკათა ჩაწერე მგონი) გამოსაგზავნად და ჭერ არა მიმიღია რა. იქნება და-აჩქარებით.

წიგნსაცავისგან შენობით (მახსოვს იპოლიტზე ასე მირჩიე), ერთი თვით დავიჭერ და უკან დაგიბრუნებ. დიდად დამავალებ. ველი პასუხს მოუთმენელად (აბა მისი ნომერი, თუ მოკლედ შედგ. კატალოგი⁴²⁹ არ ცდება: ნემესიოსის წიგნი. 339—11). — გრიგ. ხანძთელს ვბეჭდავ, ტექსტს იანვარში დავასრულებ მგონი და დანარჩენს შეევაჩერებ შემოდგომადი, რადგან შატბერდის გამოსაკვლევად მივალ ზაფხულზე. ტექსტი 5 ნაბეჭდ თაბახს ასცილდება. წელს მხოლოდ ფიზიოლოგის გამოკვლევას და ხუცურ ასომთავრულ გამოცემას მოვასწრებ.

ჩემი უგულითადესი მოკითხვა ნინა ივანოვნას, რომელსაც და აგრეთვე შენ მოგიკითხავსთ საშა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

წავიკითხე მისი⁴²⁹ წინასიტყვაობა და განვცვიფრდი. თურმე მისი ნაქები „Одписцы“ ჩემი ნაშრომი, სრულებით არ გაუგია ან ვერ გაუგია. მისი სამი აზრის დალაგებით მოხსენებამ ვისრამიანის ძველის ძველი თავგადასავალი გამახსენა იმ გარჩევით, რომ მაშინ ჩემგან ნაქადაგი სპარსულობა უცნობი ჩიტი იყო. ყველას სჯობს იგი, რომ ხახანაშვილის აზრი ირჩია. ნეტავი გარდა შენისა, ვიცოდე, ვინ არის მანდ გაგებით მკითხველი ჩემი ნაწერების?!
-

97

სპეი, 1904, იანვ. 8.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

ბ. მომცელიძემ ტელეგრამის „სროლა“ დამიწყო, დალოცვილმან კარგი საქმის ქმნაზე მარილის წაყრა რატომ დაივიწყა. მე უკვე მოგწერე, რომ დღესასწაულებზე სხდომანი შეწყვედილი არიან, მიუხედავად ამისა შენი წერილის მიღებისთანავე ვეცადე და „უკანარიცხვით“ საქმეში შევატანიე და დღეს პირველ სხდომაზე უნივერსიტეტის სამმართველოს წაკითხულ და მიღებულ იქმნა ჩემი წარდგენა ბ: მომცელიძის ანგარიშისა. ეხლა ქალაღი მზრუნველს წარედგინება, ის დაამტკიცებს და მაშინ უნივერსიტეტის მდივანი ფულს გამოუგზავნის. ბ. მომცელიძეს ნათხრობი გექნება, რომ ეგ ფაკულტეტის მონდობილებით იყო დაცვეთილი და არა ჩემდა სასაკუთროდ და ნუთუ არ იცოდა, რომ ყოველი სახელმწიფო დაწესებულების საქმე

ცოტად გვიანობს, მაგიერში ბეჯითია. დააშოშმანე ეგ დალოცვილი. შერმისისთვისაც ვაპირებდი მისთვის საქმის მიცემას.

სხვას არას ვიწერები, თუმცა მოსაწერი მაქვს. ვჩქარობ. ველი ნემესიოსს ან პასუხს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

ელესიპეს არა შეგხვედრია რა? ვარლამს დაუბრუნდი და აბუ-კერას კვალს სხვა მხრით მივადეგი. მაქიდან ორი ხელნაწერიდან გადმოწ. მაქვს, ჩამოვალ მთლა მინდა გადმოვიწერო.

კიდევ. ბ. მომცელიძემ ჰიქებს რა უყო. ჩვენი ადათით, ჰიქები უნივერსიტეტის საკუთრებას შეადგენს. ტექსტმა⁴³⁰ ცოტა არ იყოს იმედები გამიცრუვა. მაგრამ ჯერ არ შემიღარებია სრულიად.

ნ. მ ა რ რ ი.

ჩემ ზაფხულზე ჩამოსვლას ნურვის ეუბნები. თფილისში მსურს ვიმუშავო და ნაცნობებმა თუ შემიტყვეს, არ მაცლიან. თუ ისე მოვეწყობი, რომ ხელნაწერებს ოთახში მათხოვებენ და არავის არ შევხვდები, კიდევ უკეთესი.

არეულობა ზვიადდება.

98

[1904 იანვარი]

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

ნემესიოსს წიგნს ხელთნაწერს გიგზავნი, რათა ისარგებლო შენი დაკლადისათვის და ორი კვირის შემდეგ დამიბრუნო: ტექსტს შევბეჭდავ კატალოგში. ამასთანავე მაგის ლიტერატურის შესახებ მაცნობე, თუ რითი შევლის ბერძნული ტექსტის აღდგენას. მე მაგის გამოცემა პროფესორ ტეცას⁴³¹ დავპირდი და მას შემდეგ ვეძებ ხელნაწერებს. ორი კიდევ სხვა ვიპოვე, ერთი ხუცური და ერთი მხედრული⁴³². ტექსტის შედარებამ დამარწმუნა, რომ სამივე ხელთნაწერი ერთი მეორისაგან არის ფადმოწერილი, ყველა ერთ და იმავე ფრაზაზეა შეწყვეტილი და განსხვავება ტექსტში არ არის. გრადაცია ასეთია შგონია: ხუცური ხელთნაწერიდან, რომელიც ეხლა მე მაქვს, გადმო-

წერილია ეს შენ რომ გიგზავნი, და ამიდგან მხედრული. ა. ხანა-
შვილმა ითხოვა ეს ხელთნაწერი და ეცნობა, რომ მე ვბეჭდავ და იმი-
ტომ ვერ გაუგზავნეთ. ტფილისში მე ნემესიოს შესახებ ცნობები ვერ
ვიპოვე, მხედრულს ხელთნაწერში სწერია, რომ ეს პეტრიწის გადმო-
თარგმნულიაო. ნიკო, შენმა აღონცმა მე ავანაჯურათ მომექცა პატი-
ვისცემისათვის. ხელთნაწერის ჩვენება მთხოვა, ვაჩვენე, წაუკითხე და
აუხსენი. მერმე ერთი დღით მთხოვა, სახლში ვათხოვე და იმ დღიდგან
აგერ მექვესე თვეა, ხმას აღარა მსცემს და არც ხელთნაწერს მიგზავ-
ნის და მერმე ვის ხელთნაწერს? წერაკითხვის საზოგადოებისას. შენი
ჭირიმე, ნიკო, ერთ ხათაბალას გადაპარჩინე, გამოაგზავნიე. ასე უსირ-
ცხვილობაც არ შეიძლება. ნიჟარაძეს⁴³³ გიგზავნი პეტერბურგში ეკზა-
მენების დასაპერათ და გთხოვ ყოველი ღონე იღონო და როგორმე
„ატესტატი“ გამოამგზავრო. მე მგონია ესლა მაგას უფრო დავი-
წყებული აქვს კურსი, ვიდრე გამეორებული, მიიღონ მხედველობაში
ის ბალები, რომელნიც წინანდელ ეკზამენებზე მიიღო. არხელოგიის
შესახებ ცალკე მოგწერ, ესლა შემიძლია გაცნობო, რომ პირველი
ნომრიზა ზარზმის წარწერებს მოგაწვდი, ძრიელ ბევრია ფრესკის
წარწერები. აქ რეფერატი წავიკითხე, მაგრამ ის ხომ მარტო წარწე-
რებს არ ეხება⁴³⁴. ამას გარდა სხვა შემოწმებულ წარწერებსაც გამო-
გიგზავნი, მაგრამ ეკენის თვემდის არა მგონია, რომ შენ საქმეს შეუდ-
გე. ბიბლიოგრაფიას ეკენისთვისათვის ვფიქრობ მომზადებას. საზო-
გადოთ კი აღარაფერისთვის არ მცალია მანდამინც. ხანძთელის და-
ბეჭდვითი ტექსტი მომწოდე ოტტისკებით წიგნის გამოსვლამდე. ნი-
ნომ და ჩვენებმა შენ და შენს მეუღლეს სალამი და ჩემავიერაც მო-
კითხვა გადაეცი. იურის ჯანჯუხას უგზავნი ცოტას, თუ ნიჟარაძემ
წამოიღო, სხვაფრივ ჯერ მშვიდობით. ამ წერილს საჩქაროთ გწერ.

P. S. მომცემლიძეს ფული ჯერეც არ მიუღია და მე შევიტანე
ზალოგი, ის გაჭირვებულია და მიტომ შეგაწუხა, მე კიდევ მეტათ
შემაწუხა. ერთი ფურცელი ტექსტისა დარჩენილა აქ ჩემთან და
გიგზავნი ამასთანავე. ხელთნაწერი ზაკაზნოი ბანდეროლით გამოგზავ-
ნე, არ დაიცარვოს, ერთ ხათაბალას არ შემამთხვიო, ოფიციალურად
რომ გეთხოვა, არ გამოგიგზავნიდენ ამ ხელთნაწერს⁴³⁵.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

კატალოგის მეორე წიგნაკს გიგზავნი, მესამე დაბეჭდილია და
შეიცავს მარტო 144 გვერდს, მეგრელიის ქართლის ცხოვრების ვა-
რიაანტებია შით მოქცეული.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ხელნაწერი უკვე გამოვაგზავნე შენ სახელზე, დიდად მადლობელი ვარ, თუმც ასე მოკლე ხნით სარგებლობა შეუძლებელი იყო და არც თავი დამიძალებია, რადგან გვპირდები გამოცემას. მე მხოლოდ ლექსიკის და მეორე თხზულების „კავშირის“ ისტორიისთვის მსურდა გამეცნო. „კავშირის“ შესახებ გამოკვლევას ვამზადებ დასაბეჭდად⁴³⁶. გრძელი ამბავია. მოუცდი შენს გამოცემას ნემესიოსისას, ცალკე წიგნად უნდა გამოსცე. ძნელია მეტადრე ძნელია და არ ვიცი, როგორ მოერევი, თუ ახსნით სიტყვების გამოცემას მოინდომებ.

გრიგოლ ხანძთელს თან ჩამოვიტან ტექსტს, გამოკვლევას და თარგმანს თვით ადგილის დათვლიერების შემდეგ დავებეჭდავ და მაშინ ერთიანად გამოვსცემ. ზაფხულზე მანდ ვიქნები, უმეტეს ნაწილს კლარჯეთს, შატბერდ-ხანძთის მიდამოებს მოვანდომებ... მაგრამ უკაცრავად. ცუდი ამბები მესმის და კარგი იქნება, თუ ნამდვილ სიმართლეს მომწერ პირდაპირ. რომ ივერია თავის მკითხველების გართობას ფიქრობს, ეგ ივერიის და მის თანამშრომელთა პატივს ეხება და მათი საქმეა, რომ არა იგი ხმა, ვითომც ეგ სიცრუის გამავრცელებელი წიგნაკი⁴³⁷ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ იყიდებაო. ნეტავი თუ მართალია. და რით ხელმძღვანელობდა ეგ სიმპატიური საზოგადოება, როდესაც, წინააღმდეგ თავის დანიშნულების, სიბნელის გავრცელებას კისრულობდა? ან განაწერაკითხვის. მასალის სიწმიდეს და ბინძურობას საზოგადოება არ არჩევს? კარგი, ვთქვათ, ყველა ერთპირად მიეგებეს ასეთ წინადადებას, შენ სად იყავ? თუ იქნება, აზრადაც არ მოსვლია არ ვის, რომ სიცრუით დატენილ წიგნაკის გავრცელება სათაყილო რამ იყოს. მე, არ მგონია, მოკლე ხანში მოვიცალო მაგ კითხვისთვის, თვით წიგნაკს არსებითად მაინც არ შევეხები, მაგრამ თვით მოვლენა, ასეთ უვიცად შედგენილ წიგნთა გავრცელებაში მონაწილეობა ქართველთა შ. წ.-კ. გამავრცელებლის მხრით საზოგადოებრივ მოვლენას შეადგენს და ორიოდ სიტყვას ვუძღვნი ერთ და ერთ ჩემ გამოცემათა წინასიტყვაობაში ან Ж. Мин. Нар. Просв. ჩემთვის საჭიროა მხოლოდ ფაქტი, რომ ნამდვილად ვიცოდე, და ველი ორ სტრიქონს შენგან: შენ კატალოგის შესახებ ვრცელ რეცენზიას დასრულებისას ვამზადებ, როცა უკანასკნელ ნაწილსაც მივიღებ. წარწერების შესახებ — ველი კიდევ შენგან რასმე. სომხურისთვის დაწვრილებით საჩვენებელიც ან

სარჩევიც მივიღე. ცალკე ტომს შეადგენს, პირველ ჩვენი სერიისა. ქართულ წარწერათ თუ ასეთ გეგმით არა, სხვით, მაგრამ როგორითაც იყოს შედგენილ სარჩევს ვერ შევადგენთ, სირცხვილია, რამე ნაირად ნაწილისთვის მაინც უნდა მოემზადოს სარჩევი იანვრამდე, როცა სომხურის სარჩევი დაბეჭდილიც იქნება. კარგი იქნება თუ მეორე წიგნი სერიის მაინც შეიცავს.

ან იქნება ცალკე გამოკვლევა ეპიგრაფიული გქონდეს, ან ვრცელი ან პატარა ფოტოგრაფიული სურათებით, ადრე დავბეჭდავ, შემოდგომაზე, ანის წარწერებს მაშინ გამოვცემ ქართულსაც. ვაპირებ წელსაც ჩარებას, იქნება თხრასაც განვაახლებ. ისლა გრიგორ განმანათლებელის არაბულ ცხოვრებას ვბეჭდავ⁴³⁸ და ქართულ ზმათა ტაბლიცებს ვამზადებ⁴³⁹.

ჩვენი საერთო მოკითხვა ნინა ივანოვნას. ბოვშთაგან ახლა ერთია შინ. ავადმყოფი სკარლატინით. უფროსი გახიზნულია.

ნ. მ ა რ ი.

აბუკურის ხელნაწერი ორი მაქვს შესწავლული წ.-კითხ. წიგნსაცავში, თუ მეტი იყოს და შეგხვდეს, ცალკედ ამომიწერე ნომერი. ამ კითხვისთვის ცალკე [უნდა] დავრჩე თფილისში, ლიტერატურა და აღძრული კითხვანი შეკრებილი და მზადა მაქვს.

ნ. მ.

100

18 მარტი 1904 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო!

შენი წერილი მივიღე. ივერიის და გოგებაშვილის შესახებ ვერაფერი ვერ გავიგე, ვინაიდან არც ივერიიზა მიღევნებია თვალ-ყური. ამ სამითვის გამვალობაში და არც გოგებაშვილის გამოცემანი წამიკითხავს. წერა კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომებზე ძრიელ იშვიათად დავდივარ, დრო არა მაქვს და მასთან ეს სამი თვე უქეიფოთ ვარ უფროს შემთხვევაში. საზოგადოთ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ჩვენი სცემს და დიდი მოგება აქვს, მისი წიგნაკები უფასოდ აქვს დათმობილი საზოგადოებას და უარს ვერ ეუბნებიან, თუნდ არც მოსწონდნენ. შენ რომელ გამოცემაზე ამბობ? ყოველ

შემთხვევაში ჩემის აზრით არ გირჩევ გოგებაშვილის შესახებ რაიმე დასწერო, ვინაიდან ავითყოფი კაცია და მისთვის საწინააღმდეგო სტატია, სიკვდილია; გარდა პედაგოგიისა, მის ნაწერებს გზა უნდა აუხვიო, მაგალითათ ისტორიულ მოთხრობების წიგნაკებს, გოგებაშვილის დიდი ღვაწლი მისი „ღედა ენა“ არის, მართლა მშვენიერათ შედგენილი. ნიკო, წინა წერილშიც გწერდი და ეხლაც ვიმეორებ, შემატყობიე, მომცემლიძეს სურათების ფასი გამოუგზავნეთ თუ არა, ანუ თუ გამოუგზავნეთ, როდის და რა ნომრით. წარმოიდგინე, მე ასი მანათი მეკარგება, მე შევიტანე ზალოგათ მის მაგიერ წერაკითხვის საზოგადოებაში, ის ამბობს ფული არ მომსლიაო, შენ იწერებოდი იანვარში უსათუოთ მოუვაო. შენი ჭირიმე ნიკო, ეს წერილი რომ მიიღო, ტელეგრამით მაცნობე ამ ფულის გამოგზავნის საქმე¹. ნემესიოს შესახებ მე ლექსიკონს ვერ შევადგენ. ერთი მაცნობე, უმატებს რასმეს ცნობილს ბერძნულს ტექსტს, თუ არა. ხმის ასამაღლებელი ნიშნები რომ აქვს სიტყვებს, ის როგორ უნდა მოთავსდეს ქართულ ტექსტში? აქ ნემესიოს შესახებ ცნობები ვერ ვიშოვე. მე იმდენი საქმეები მაქვს, რომ ზაფხულამდის მაინც არხეოლოგიას ხელს ვერ ვახლებ. აქ რომ მოხვალ, მოგელაპარაკები ყველაფერზე. თუ ომმა სხვა მიმართულება მიიღო და სათათრეთთან შეტაკება მოხდა, მაშინ შენ[ი] მოგზაურობა ჭოროხის ხეობაში მოუხერხებელი იქნება, ხალხი იქ ყალყზე დგას ომის სახელი რომ ესმის. ჩვენ მაგიერ მოკითხვა შენს ცოლს და შვილებს. ბოვში როგორ გყავს ეხლა?

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

101

[1904] ყარსი 17 ივლ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

ანისმა გადამიყოლია იმდენად და დამავვიანებია, რომ შენი მოწოდება შეუძლებელი დარჩა. ჭოროხის ხეობაში ახლა ოც აგვისტომდე მაინც (და იქნებ ნამეტარის) დავრჩები, ოდეს შენ საქმე გაქვს თფილისში. თფილისში დაბრუნებას და მუშაობას მე ხომ ველარ ვასწრობ. ორი სამი დღე დედა ჩემთან უნდა შევიარო და ხანი და დრო წაეიდა ხელიდან. ანისში მუზეუმი დავამთავრე¹⁴⁰ და ყველაფერი

¹ თუ გამოგზავნილი არ არის, ჩემ სახელზე გამოგზავნეთ ფული, სჯობია.

იქ დაეალაგე. თხრამ კერძო სახლები აღმოაჩინა, ტომოგრაფიაც გამოარკვია ანისის, ისე თვალსაჩინო სანახი მაინც და მაინც წელს არაფერი და იმისთვის აღარ მომიწვევიხარ. — გამორებით კი გამოვიარ თფილისში და წერილები თუ მიიღო ჩემ სახელზე, მანდ დამახვედრე. კრება მაინც მინდა მოვახდინო წარწერების კომიტეტის 27 აგვისტოს თუ 28-ს. კარგი იქნება თუ ქართულ წარწერების საბიუჯეტის შესახებ რასმე მოგვახსენებ. სომხები აქ ყირაზე ამდგარან და საშველს არ აძლევენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია დაშინებულია. ძნელი რამ საქმე დატრიალდება. ალექსანდროპოლში სისხლს ადენენ ცხვირში, თუ ვინმე სომეხთაგანი რუსულად დაილაპარაკებს. ხუთი წლის ბოეშები სათავისუფლო ლექსებს მღერიან. დიდი ცვლილება მომხდარა ამ ათ წელში აქ. ხელმწიფე დასტურ დაუწყველიათ ეკლესიაში და გადაუცემიათ. ორგანიზაცია მთელ სოფლებში მოდებულია და ვინც არ აპყვება, ჰკლავენ მოურიდებლად⁴⁴¹.

ნინა ივანოვნას ღრმა პატივისცემით მოკითხვა.

შენი ძმა ნ. მარჩი

თუ მომკლან, გრიგორ ხანძთელი შენ გადათარგმე და გამოეცი ისტორიული გამოკვლევით.

ნ. მარჩი

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

მგზავრობა დღეს დავამთავრე, ადგილზე კი, აჰა, სამი დღეა. ძნელი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ კარგად ვიყავი, ახლა კი გზაში ართვინიდან ჰოროხში კინაღამ დავიხჩვი და გაცივებული ვარ, თუმცა სუბუქად. სურდო არის, სამ დღეს შინ მოვისვენებ და ერთს თფილისს ჩამოვალ. უსათუოდ 29 აგვ: უნდა კრება მოვახდინოთ⁴⁴² და შენ იცი, როგორ დამიპატიებ წვერებს; ყველას კი იცნობ, სევ. ნომრებში (სადაც მე ჩამოვხტები) სამი საათიდან ხუთამდე. შშაკის რედაქტორს⁴⁴³ და ლალაძანცს მოელაპარაკე, სომხებს იგინი შეატყობინებენ. ჯანაშვილიც იყოს და თუ თფილისში არის — თ. ჟორდანიაც. ოპიზის ზარი ართვინში ჩამალული გამოვტებნე და ერთი პორტელი (აქაფთგან შატბერდელი) წარწერის ნატები (იგიც ართვინში ეგდო!) სიონის მუზეუმში წარუდგენ და თუ ივარეს, თქვენ გადმოგცემ. ისე პირდა-

პირ გადმოცემას ვერიდები, თქვენ საზოგადოებას ხლაფოთი არ აუტეხონ. ნინა ივანოვნას გულითადი მოკითხვა. ოცდა რევას საღამოს (ღამე) ჩამოვალ, ოცდა ცხრას ღამით უნდა წავიდე, დაგვიანებული ვარ. ღამე შენთან მოსლვა სანახავად — არ ვიცი უღროობა იქნება, დილას ძალიან ადრე გაგაღვიძებ.

შენი ძმა ნიკო მარჩი.
ბათუმი 26 აგვ. 1904.

P. S. იქნება რამე გაყიდულია ჩემი წიგნებიდან. ას ოცდა ათი შანეთი ჩემი დამეხარჯა გზაში (ჩემი, ესე იგი ვალი).

გ. შ.

108

[1904].

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

საშობოდ გელით, იმედია ჩვენთან ჩამოხტები, პრემიაზე აკადემიას გამოუგზავნე შენი კატალოგი⁴⁴⁴, როგორ წიგნიდან ამოიკითხავ, მიიღებთ. ვასილიევის ცოტა არ იყოს ფელეტონური აღწერილობაც⁴⁴⁵ თან დაატანა საშამ.

მე შენთან სათხოვარი მაქვს სამი: 1) გრიგოლ ხანცთელის სურათი არ გადმოუღია კარგად დაბეჭითებით სლავცევეს⁴⁴⁶ და რადგან ხელნაწერის გამოგზავნა, ვიცი, შეუძლებელია, გადმოაღებინე ვისმე კარგ ფოტოგრაფს ჩემთვის, მე თვითონ გადვიხდი, მიღებისთანავე გამოგიგზავნი ხვედრილ ფულსა, 2) საეკლესიო მუზეუმიდან ვარი უთხრეს თვით პობედონოსევეს ორი ხელნაწერის თხოვაზე ჩემთვის, მათში ერთი შეიცავს ჩემთვის სულ მცირე თხზულებას ახლა საჩქაროდ საჭიროს, სახელდობრ ცხოვრებას ან წამებას სპევსიპესი, ელანსიპესი და სხვათა. იგი შეადგენს ყორდანიის კატალოგით (ნაწ. 1, გვ. 111) მე-138 თავს ხელნაწერის № 95, სულ ათიოდე გვერდსა (1194—1205)⁴⁴⁷, და ესეც, ძალიან საჩქაროდ გთხოვ, გადმოაღებინე ფოტოგრაფს და თან მაცნობე ა) ამ წამების შესახებ, ხომ რამე ცნობა არ არის შიგ ხელნაწერში და ბ) თვით ხელნაწერი შენი ფიქრით რა დროს არის, B) მეორე ხელნაწერი № 70 არის⁴⁴⁸. აქ ჩართულია

იერუსალიმის მოტყვევება, რომელიც მე იერუსალიმის საპატრიარქო წიგნსაცავის ხელნაწერიდან გადმოვწერე, დასაბუქდათ მოვამზადე შედარებით არაბულ დედანთან, და ახლა მინდა ვისარგებლო მანდაურ ხელნაწერთაც, მაგრამ არ მათხოვეს, რა ვქნა არ ვიცი, გადმოლება ძვირად უნდა დაჯდეს, ბევრია, ჩემი ტექსტის სიდიდეს თუ ეთანხმება, რადგან სამივე სტატია, 14 X IV („Блаженного страт.“), 15 (Пислание Иер. Патр. Зах.“) და 16 („О возвр. Креста“) ერთსა და იმავე ამბავს შეადგენენ. ამ უკანასკნელი საქმის შესახებ შენ რჩევას ვითხოვ, როგორ მოვიქცე, თუ მოვიცადო ზაფხულამდი? ახლა შენი გამოცემის შესახებ, მე განსაკუთრებით მაინტერესებს პეტრიწონელის თხზულების გამოცემა, რომელიც შარშან დამპირდი. პეტრიწონზე ახალ ცნობებს ახალი აზრი შემოაქვს, მისი დამფუძნებელი მართლმადიდებელი სომეხი ყოფილა⁴⁴⁹. ამის შესახებ ვბეჭდავ და წაიკითხავ. წარწერების სარჩევს რა უყავით? როგორ არის მისი მდგომარეობა? მალე დავასრულებთ სომხურის სარჩევს და საჭიროა მომზადება ქართულისა. აკადემია დაბეჭდავს. ამის ცნობებს ნუ მომაკლებ, თუ რა მდგომარეობაშია და როდის მომავდენთ შენ და ბნი კარეჭაშვილი დასაბეჭდად⁴⁵⁰. კაზნაკოვს⁴⁵¹ ოლდენბურგმა, ახლა (ნახე საქმეთა მომდინარეობა!) უკვე აკადემიის მუდმივ მდივანმა, უკვე მოსწერა შენ შესახებ და ვითომ და ძალიან გპირდებიან, როდესაც დააფუძნებენ არქეოლოგიის ადგილს. კაზნაკოვს გაეცნე თუ არა? აქ არავინ არ იცის საღამოს თუ დილას რა ცვლილება იქნება, პირზე ბოქლომს დაადებენ ყველას, თუ უკიდურეს თავისუფლებას მიანიჭებენ მთელ რუსეთს. ჩემი ფიქრით, კეთილი არა იქნება რა, ყველაფერი ძველებურ ნიადაგს ამხელს, შეჩვეულს. ქალბატონ ნინოს ჩვენი საერთო საღამო. ცოლი ცალკე მოგიკითხავს.

ნიჟარაძესთან ახლა სევანურს ვსწავლულობ, ძალიან საინტერესოა და ყოველ შაბათს ვნახულობ, კარგად არის.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი -

ველი პასუხს შენ მოსვლამდი, რადგან მოსვლა შენი ნიჟარაძის თქმით გადაწყვედილი უნდა იყოს.

აქ კეკელიძე⁴⁵² იყო. ქართულ ლიტურგიას და სხვა ამგვარ საეკლესიო წიგნებს იკვლევს. ბეჭითი მუშა უნდა იყოს.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ჩქარი პასუხისთვის მადლობელი ვარ. ველი ახლა „ელესიბეთ“ და ხანცთელის სახეს. მეორე ხელნაწერი გამომიგზავნეს (იერუს. ტყვევის შესახებ)⁴⁵³. არ მოგატყუონ, რომ უვაროვის თქმისათვის გამოგზავნოს. საქმე სხვა ნაირად მოვაწყვე. იქნება მუზეუმის მმართველებმა არ იციან. ვიჩქარი შენი პრემიის საქმის შემოთვლას: აიღე ორ ორი ცალი შენი კატალოგის გამოცემულ ნაწილთა და გამოუგზავნე მუდმივ: სეკრეტარს მეცნიერებათ აკადემიისას 1) შემდეგი ადრესით:

Его Превосходительству Непременному Секретарю Императорской Академии Наук 2) შემდეგი წერილი Ваше Превосходительство, Препровождая при сем четыре выпуска составленного мною Описания рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», издания Управления Кавказского Учебного округа (1902—1904 гг.), каждый выпуск в двух экземплярах, честь имею просить принять их в качестве сочинения, представленного на соискание любой по усмотрению Императорской Академии Наук академической премии, под которую моя работа может подойти в ближайшее время». ქვეშ მოაწერ რიცხვს, ადრესს და ჩვეულებრივ დასკვნას. თუ ერთ ტომად იქნება აკინძული, იმისდაგვარად შეცვლი სიტყვებს.

ერთი გერმანელი⁴⁵⁴ ძალიან ცდილობს ქართული ძველი მწერლობის შესახებ ცნობათა გავრცელებას ევროპაში, ძალიან კარგი მეცადინე კაცია და გთხოვ მისთვის შენს კატალოგს და აგრეთვე წერაკითხვის წიგნების და ხელნაწერების ძველ მოკლე კატალოგს. ფულს არ ზოგავს და ფასი ზედ დააწერე გამოცემათა ან ცალკე ღია წერილით აცნობე¹). მაშინვე გამოგიგზავნის. ძალიან სინდისიერია. — გადავიკითხე შენი წერილი, მე მარტო ორი გამოსვლა მაქვს შენი კატალოგის, არ დამაკლო. — ნემესიოს მე ნუ მითმობ, გამოეცი, და რაც შემიძლოა, დაგეხმარები სიტყვათ ახსნაზე დიდი სიამოვნებით. — სარჩევის საქმეს, თუ ღმერთი გწამს, ნუ დამიგვიანებ, რამე ნაირათ მოაწყვე საქმე, თორემ სირცხვილია, სომხური გამოვიდეს და ქართული არა. არც ისე ძნელია შედგენა. სომხურია უფრო ძნელი. სხვისი შედგენილი ათასჯერ შესასწორებელი დარჩა და, მიუხედავად აღონ-

1) რუსულად კითხულობს ნაბეჭდს და ქართულადაც უნდა გეგებოდეს რამე.

ვის დახმარებისა, ბევრს დროს მართმევს. განა არ შეუძლია კახნაკოვს „დროებით ამსრულებლის თანამდებობის შექმნა ითხოვოს“. ოღონდ დაიწყოს თხოვნა, საქმე აღძრას და აქ ყურს უგდებენ, დააკმაყოფილებენ. ომიანობის გადამკიდვე რუსეთი ხომ არ უნდა დაგლახდეს. შეუძლია, ვთქვათ, ასე აღძრას საქმე, რომ ამ ძნელ და „უფულო“ დროს ჯერ ჯერობით დროებით ამსრულებლის მცირე ჯამაგირით თანამდებობის გაჩენა ითხოვოს და შემდეგ მისი გადიდება და გამუდმივება. ძალიან მეწყინა, რომ ვერ მოხვალ. ნიუარაძემ უნდა იმეცადინოს და ეგზამენს არ გაექცეს, თორემ თუ თვითონ მიატია, რაღა იქნება? ზანძოელს რატო უძახი, ზანძთელია. სააღდგომოდ მზად შექნება, გამოვიგზავნი. ასე ვოცნებობ. ახლა ვბეჭდავ, როგორც წაწილს, მგზავრობას. ვბეჭდავ გრიგოლ განმანათლებლის არაბულ ცხოვრებას და ძალიან გართული ვარ ქალკედონელ სომეხთა კითხვით. თურმე სომხები დიდხანს ქალკედონელიც ყოფილან (მართლმადიდებელნი), და ეს ქალკედონელი სომხები ქართველთა სამზღვარზე ქართველებს სულ ერთიანად ჩაუყლაპავს და გაუქართველებია. ძალიან საინტერესო კითხვა არის. მეუბნებიან, ახლა სომხები აგეწლებიანო, მაგრამ არ მჯერა. ღრამატიკას ვამზადებ დასაბეჭდათ, მზად მაქვს, მაგრამ დრო, დრო... სად მიდის ეგ დრო არ ვიცი, დღე და ღამე ვმუშაობ, მაინც ვერაფერს ვერ ვასწრობ. მუშაობა ახლა მხოლოდ შეერთებულად შესაძლოა, მაგრამ ვის შეუერთდე, აქ არავინ არ არის, სტუდენტობა...?!!

თქვენ მეუღლეს ჩვენი გულითადი მოკითხვა. მოგიკითხავს საშა. განა ვასილიევის აღწერა ჩვენი მგზავრობისა⁴⁵ არ მიგიღია? იმაზე ეწერდი ფელეტონური წერილი მეტი.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

დიდად მადლობელი ვარ ასეთი ჩქარი ასრულებისთვის ჩემი თხოვნისა და ასე მშვენიერად. ველოდი წერილს, თუ რა ღირს ან ერთი ან მეორე ცალ-ცალკე. ელესეპეს და სხვათა წამებაში ფოტოგრაფიას არ ამოუღია ზედა სტრიქონი ორივე სვეტისა 1200 გვერდზე და მისი გადმოწერაც დამავალე.

სხვა აქ ჰკუა ერყევა ყველასა და მის დაგვარად საქმეც მიმდინარეობს. პროფესორებიც დასწეულდენ და ქუჩის ბრბოს მისდევენ

შევირალა ნაწილი. მეცნიერების დარდი არა ვის არ აქვს. ძალიან გულნატკენი ვარ, რომ ჩვენმა ჯავახიშვილმაც ზურგი ამიქცია და თან კიდევ ჩემ წერილზე უკმაკური პასუხი მომარტყა ცხვირპირში ფოშტით. „ქარგი რამ მკობრდეს, მიკვირდეს, ცუდი რა საკვირველია“.

ნიჟარაძე ორ კვირაზე მეტია, აღარ მინახავს, თუმცა წინედ დამპირდა შაბათ დღეობით ჩემთან სვანურის სწავლის გაგრძობა. ის მასწავლიდა. ეხლა მარტო ვაგრძობ. ლინგვისტიკისათვის და სხვაფრივადაც ძალიან საჭიროა. ზაფხულზე ოჯახობით მივდივარ ანისში. ნინა ივანოვნას ჩვენი საერთო მოკითხვა. საშა მოგიკითხავს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

P. S. არ შეიძლება, რომ ერთი თვით კიდევ გამიგრძობთ თქვენი (წერაკითხვის) ხელნაწერის აქ ყოფნა. ვერ ვასწრობ. მაცნობე, თუ შეიძლება. წერაკითხვის საზოგადოებას ახლაც დიდ მადლობას ვუძღვნი და ესეც დამავალოს. ხელნაწერი აბუკურა არის და ზოგი სხვაეც ამოწნდა საინტერესო და მინდა გადმოვიწერო.

P. P. S. კახნაკოვს ხელს ნუ უშვებ და საქმე დააწყებთ დაუყონებლივ. გუსენის შესახებ რა ქენი. თუ შენ არ გეხერხება, „Центральный книжный магазин“-ის მოთავეს უთხარი, რაც მოსწეროს მან, უშოვნოს და გამოუგზავნოს, სანდო კაცია.

106

5 მარტი 1906 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

მას შემდეგ, რაც ხელნაწერის ფოტოგრაფიული სურათები და ხანძთელის ფერადებით გადაღებული პარტრეტი გამოგიგზავნე, წერილი არ მომიწერია. მეორე წერილის პასუხი იმიტომ დამიგვიანდა, რომ როდესაც მივედი, ჯანაშვილი არ დამიხვდა მუზეუმში და ის ორი სტრიქონი მარტო დღეს გადმოვსწერე. აი ეს სტრიქონები: გვ. 1120, პირველი სვეტი: 1. „ნებითი და არა ძლით და 2. მწრფელ მოვიდა ჩემდა“. მეორე სვეტი: 1. „ხერისა მისისა განნი რნი 2. მე სტანჯვიდეს უფალთა“.

ხანძთელის სურათი შესანიშნავათ კარგათ გავაკეთებინე. როინოვის ფოტოგრაფია ეხლა აღარ არის, ერმაკოვს⁴⁵⁶ გადავალეზინე და ძვირათ გადაიღო, ორორ მანეთათ თითო. ფოტოგრაფია და ფერადიანი სურათები ყველაფრამდის 34 მანეთი დაჯდა. ამ ფულს მე აქ მივი-
13. 5. მარი, ექვ. თაყაიშვილი.

193

ლებ გოგიტიძისაგან⁴⁵⁷ (უკვე მივიღე 12 მანეთი) და წერაკითხვის საზოგადოებისაგან შენი წიგნების ანგარიშში.

ჩემს აღწერას⁴⁵⁸ მალე გამოვგზავნი აკადემიაში. პატარა ბოლო სიტყვაობა დაურთე და იმან დააგვიანა. ეხლა ზარზმის აღწერას ვბეჭდავ, ცოტას მეტი კიდევაც დაიბეჭდა⁴⁵⁹.

ახირებული კაცი ხარ ნიკო, ვილაც გერმანელზე იწერები, წიგნები უნდაო და არც აღრესი მოგიწერია და არც სახელი და გვარი. ჩემთვის გერმანელს არაფერი მოუწერია და როგორ გაუგზავნო, მხოლოდ მეორე წერილისაგან გავიგე, რომ გერმანელის სახელი გუსენი ყოფილა, მაგრამ რომელ ქალაქში, სად და რა აღრესით, არ ვიცი. მომწერე აღრესი და გამოვავგზავნი. ვაჰან გაბინიანცმა⁴⁶⁰ წიგნი მთხოვა და გამოუგზავნე. არავითარი ვასილიევის აღწერა მე არ მიმიღია და გამომიგზავნე. ამას გარდა რამდენჯერ გთხოვე Записки Вост. Олд. მე მხოლოდ 13 ტომი მაქვს, როგორმე გამოავგზავნიე მე-14 და შემდეგნი. ამას გარდა მიშოვნე და გამომიგზავნე პატკანოვის: 1) Хронографическая История Мехитара Айриванского, СПб, 1869 г. 2) История халифов вардапета Гевонда და 3) Опыт истории сасанидов по армянским источникам. ეს უკანასკნელი არხეოლოგიურ საზოგადოების გამოცემაშია და ის ნომერი მიყიდე და გამომიგზავნე. ამას გარდა, როდესაც ხანძთელი დაახატვინო წიგნიზა, ორიგინალი ხელნაწერის სურათებთან ერთათ გამოვავგზავნე წერაკითხვის საზოგადოებისა. თუ შეეღევი.

შენ იწერები პროფესორები და სტუდენტები ფეხის ხმას აყვენო. მაგათი რა გიკვირს, აქ გიმნაზიელები გაიფიცენ და ზოგი გაფიცვას აპირებენ: მანამ კონსტიტუცია არ იქნება, არ გვინდა სწავლაო. ნიკო, შენ ნამეტარი იცი. ეხლა რომ რუსეთში დროია, მე მრწამს რომ დაწყნარებით მეცნიერებისათვის მუშაობა შეუძლებელია. ცოცხალმა კაცმა ეხლა უნდა გამოვიდეს საბრძოლველად, რომ მერმისთვის კარგი წესწყობილება დამყარდეს და თავისუფლათ სუნთქვა და შრომა შეგვეძლოს. ეხლა დროი, ეხლა უშონეს ბიუროკრატიას ყელი და თუ ეს მომენტი გაუშვენ, სწორეთ აღარაფერი არ ეშველება რუსეთს. მე სულით და გულით მებრძოლთ კედრით ვარ, მაგრამ ვსწუხვარ, რომ აქტიური მოქმედება არ შემიძლია. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ უაზრო და ოცნების მოძრაობის მომხრე ვიყო, მაგრამ ყველანი მთავალე ვართ ვიზრუნოთ, რომ რუსეთში კონსტიტუცია სრული და უნაკლო დაწესდეს. ამ მხრით მე მესმის და ვამართლებ პროფესორების და სტუდენტობის მოძრაობას. გურია ჯერ ჯერობით გადავარჩინეთ ჭარის შესევას⁴⁶¹, მაზრამ აწე რა იქნება, ღმერთმა უწყის. სოციალ-დემოკრატიული პროგრამის განხორციელებას, რომელიც წა-

მოაყენეს, რასაკვირველია არაეინ მისცემთ. მეგრელიაში, იმერეთში და ქართლში ეხლა ვარესი მოძრაობა დაიწყო. კახნაკოვი მაქ წამოსულა და შტატებს დაუმტკიცებენ თუ არა, არ ვიცი. ადგილს კარგს ვიშოვნი სხვა სამსახურში, თუ თლათ არ დაინგრა რუსეთი, მაგრამ ამ გრუზინოლოგიას ვერ მოვშორებებივარ და ვერც მანდა მაინც რამეს ვაკეთებ, ორ წყალშუა ვარ. ძრიელ ბედნიერათ ვთლი ჩემს თავს, რომ ეხლა სკოლის გამგე არ ვარ. სკოლის შევირდებმა გაიფიცენ და სწავლას ეთხოვიან. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევ და დისციპლინა ძრიელ დაეცა ჩემს მერე. ნ. გოგიტიძე ამბობს, აღარ ღირ[ს] იქ ყოფნა, ისე გაფუჭდა ყველაფერი უდისციპლინობითო. იმაჲ ჩემი წასვლა ვერ მოუნელებია და ავათყოფობს ძრიელ საწყალიო. მე ეხლა მოვიკეთე. ნერვები ცოტა დამიწყნარდა და ბევრათ უკეთ ვგრძნობ თავისთავს, თუმცა რევმატიზმა ზოგჯერ მაწუხებს. ძრიელ დიდი მღელვარება არის კავკასიაში და უარეს კიდევ მოველით. ახალი ნამესტინიკი⁴⁶² საქმეს ვერ უშველის. თუ ასეთი დრო იქნა, არ გირჩევ წელს კავკასიაში წამოსვლას. ხელნაწერი⁴⁶³ გქონდეს კიდევ, ჩვენ არ გთხოვთ. აბუკურას ხელნაწერი ჩვენ მაგაზე უძველესი და უკეთესი გვაქვს. ჩვენი საერთო მოკითხვა შენს მუეულღეს.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ჟ .

ძმა გურიიდან გამომიგდეს ბოიკოტით და აქ არის. ნინომ მოვიკითხათ. რალაც მოსე ჭანაშვილი ამბობდა — წერილებს მწერსო და სხვა. საქმე ხომ არ გამოგლევია, თავი დაანებე. ვერაფერი ვერ გავიგე მისი ლაპარაკიდან უმადურობის მეტი.

107

[1905].

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

წვრილმან საქმეების პასუხი შემდეგ. მადლობელიც ვარ. — ახლა თქვენ მოძრაობაზე. ვამბობ „თქვენზე“ — შეთქი, რადგან ჩემი მოძრაობა (მე პარტია არ მყავს, ჯერ მაინც ვერვის ვხედავ) გუშინ არ დაწყებულა და არც ხეალ გათავდება, ხოლო თქვენი მოძრაობა წინსვლელობითი მოძრაობა კი არ არის — უთავბოლო ნძრევა (უკაცრავედ, მაგრამ საქმე ნამეტარ მძიმედ მიმაჩნია და შენთან მაინც ხომ პოლიტიკური კილო არ მქირია) არის. უთავბოლო გაქან-გამო-

ქანება, წინ ჩექ უკუნ ჩექობა და საღ ჩააქდენს იგი ქართველობას, კაი დიდი საკითხია.

მე მივივრის შენგან, როგორც ისტორიკოსიდან ისეთი აზრები, როგორც ჩემთან წერილში ჩამოვიტარებია სხვის სახალისო მოძრაობის და სხვის სასარგებლოდ თავისტების გასამართლებლად. ვთქვათ, სხვები, ისტორიკოსებიც აქაურები, მასვე ჩადიან, მაგრამ მათგან 'არ მივივრის, რადგან ან არიან მცირე მცოდნენი, გამოუცდელი ახალგაზღვანი (მეოცნებენი), ანდა მათი ისტორიკოსობა დამყარებულია თეორიების, მათ გრძელი სირისა გაცნობა-შესწავლაზე და ახალ და ახალ თეორიის შემუშავებაზე, მათ ჰუმ მასალებთან და ცოცხალ ცოცხალ ფაქტებთან საქმე არ შეხვედრია პირდაპირ (უპირაღეს წყაროებში ჩხრეკით). შენ არც თეორიით სულ დამხრჩვალა უნდა იყო, არც გამოცდილებას მოკლებული, „ეხლა რომ რუსეთში დროა, მე მრწამს, რომ დაწყინარებით მეცნიერებისთვის მუშაობა შეუძლებელია“—ო მწერ. დაწყინარებით მე უნდა გამოგიტყდე არას დროს არ მიმუშავია; თვით ალექსანდრე მე-III მშვენიერ (!) დროს ვმუშაობდი ისე აღელვებულად, ურომლისოდ მე მუშაობა არ მესმის (გარდა ბიუროკრატიული-სა). ხოლო ახლა სწორედ ისეთი დროა, ოდეს კაცმა არა თუ ხელები უნდა დაიკრიფოს გულზე, მუშაობაში, ნამდვილ მეცნიერულ მუშაობაში გაათათასდეს, თუ ძალი შესტანს, რადგან აქამდი აგეთ წოდებული მოზარდი თაობა არასფერს სწავლობდაო, ახლაც აღარ ისწავლის, კონსტიტუცია მანანა ხომ არ არის, რომ ზევიდან მზა ჩამოვიდეს, უსწავლელი მოდგმა კი კონსტიტუციას არა, ცოცხლათა დთვის მადლი რომ ჩამოვიდეს, იმასაც გახრწნის და გააფუჭებს. „ცოცხალმა კაცმა ეხლა უნდა გამოვიდეს საბრძოლელად, რომ მერმისთვის კარგი წესწყობილება დამყარდეს და თავისუფლათ სუნთქვა და შრომა შეგვეძლოს“. — თუ ცოცხალი კაცი თქვენ ანაბარაზე გაგაჩნდეს ან გაგჩენოდათ, ამდენ ხანს, უნდა გამოეჩინა სიცოცხლე, საცოცხლებელ, ერთად ერთად საცოცხლებელ პრინციპს მიყრდნობოდა და საზოგადოების ძვალრბილში გაეტარებია, ეხლანდელი წუთი კი, რასაკვირველია, საბრძოლველია, მაგრამ ქართველებს ამ ბრძოლისაგან ტუტნახშირის გარდა არა ერგება, რადგან ქართველებს ვერ უსარგებლიათ ამდენი ხანით, არც ცოდნა შეუძენიათ, არც ქონება, არც ზნეობრივი ძალა და როგორც ხელის-ხელ საგომანები სათამაშო დედოფალა სხვის იარაღად, სხვის საქმის წინამბრძოლად წამომდგარან და, ვეჭობ, თავის თავს, თავის გაჭირვებულ თავს შველის მაგიერ ფარსაგი არ დამართონ, მაგრამ მე-XIII-ე საუკუნიდან დღემდი ასეთია ქართველების იღბალი, მონგოლებთან პალესტინე მოილაშქრეს, ბალ-

დადი შემუსრეს და თავი ჩაიკლეს, სპარსელებთან ავღანებს ზარი დასცეს და სხვა ათასი, ხოლო თავისებურობა და თავისი მხრის, საერთოდ კავკასიის მხრის, სარგებლობა ვერ გამოიჩინეს და ვერა რუსეთში რომ კონსტიტუცია დაწესდეს, თქვენ რას ელით, ერთი ქვეყანას შეხედეთ და დაფიქრდით, რომ ერთი კაცი არ გყავსთ, რომ რამე ცოდნა ჰქონდეს. კონსტიტუცია ხომ თვითონ არ გაგამეფებს, როცა არა თუ არასფერის და არაფრივი საკუთარის თავის ცოდნა არ აბადია ქართველებს, არც ძველის, არც ახალის, არც მიწა წყალის, არც ისტორიის, არც წოდების, არც გლეხის და არც თავადის, არც მეზობლის და არც მტერის, არასფერის გაგება არ აქვს, თვით აქაური პეტერბურგელი ამბავის, რლის წვრილმანები ათიათასგვარად იბეჭდება, იმის დაფასებაც ვერ შეძლებია. მერმე კონსტიტუცია განა ისეთი რამ ხილია, რომელიც ან საჩუქრად მიიღება მოწყალებასავით ან ცარცვაგლეჯით მოიპოვება ან ჩუმათ მოტყუება-ქურდობით შეიძინება. ეგ რა საკადრისია, როგორ გეკადრება შე დალოცვილო! თუ გგონია ძალით, რევოლუციური ღონით მოიპოვებთ? კარგი ვთქვათ მოიპოვე, შემდეგ? რით შეიჩინებ? ვაჲ-მე, ვაჲ-მე, ჩემო თავო, ქართველს თურმე ისტორიული, ნამდვილ პოლიტიკურ სმენას ვერაფერი ვერ შესძენს, ვერც თვით მისი ორათასწლიური და მეტიც ისტორიული ცხოვრება. შეხედეთ სომხებს. მათ არა შერჩენიათ რა რუსეთში წილში შემოსვლისას და ახლა? შეხედეთ სომხებს, გუშინ თქვენ მეგობარ ველიჩკოსთან ერთად ნერწყავდით უღირსად, მაგრამ მას თავი არ მოუჭრია საკუთარი ხელით. შეხედეთ სომხებს, მთელი რუსეთი ირყევა, თვით მათ აწიოყაკლებას უპირებენ, მაგრამ ივინი დალაგებით და წყნარად ეუბნებიან მთავრობას: „ჩვენ ამის და ამის მეტი არა გვინდა რაო, ოღონდ ჩვენ ეკლესიებს მიწები დაუბრუნდესო, ჩვენი საქველმოქმედებო საზოგადოება დაგვიბრუნდესო (მოშლილია ახლა), ჩვენი გამომცემელი საზოგადოება დაგვიბრუნდესო და წართმეული სკოლებიო, ჩვენი კერძო სახსრით გაღებული სკოლებიო, სხვა ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩვენ მეტი არა გვინდა რაო, თავის იმედი გვაქვს, ჩვენ თავს კი უშველითო“. მე კი არ უარვყოფ სარევოლუციო და სხვა ამ გვარი კომიტეტების არსებას სომხთა შორისაც, მაგრამ მათ სათქმელი მოსალაპარაკებელი პირი აქვთ და წყნარი, მაგრამ ბეჯითი მკაფიო კილო, მისახვდენი, ერთგვარი ენა. თქვენ კი — ღმერთმან იცის თქვენი საქმე, მე, კაცო, შენი მიკვირს, მოძრაობის მომხრე ვარო, რომელი მოძრაობის მომხრე ხარ? არა თუ სომხებთან მეზობელთან ვერ მოგიწყვიათ საქმე და ვერც მოაწყობთ (მათი ცოდნა გაკლიათ), თვით თქვენ კაქალგულშიც განხეთქილებათ თაოულია

ჩაკონილი, ზოგი რას თხოულობს და ზოგი რას, სატირალი რომ არ იყოს, ღიბ ვიციანები. ერთი იძახის ენაო, მეორე იძახის ანასუნო აბრადინი ენასო, ეკლესიოო გაიძახის მესამე, წინ წყალი, უკან მეწყერიო — მიიძახებს, აზნაუშვილებიო... ჩუ, ჩუ, თორემ ამოგთუთქავთო, — ექადიან და სხვა და სხვა. რა მოძრაობის და მებრძოლთ კედრით ხარ სულით და გულით, როცა თვით ბრძოლას ვერ ვხედავ, არამედ საკუდიანო არეულობას, რომელს აქიდან სიცილით და სიხარულოვანი, ბოროტ სიხარულოვანი გულსავსებით შესცქერიან... მერმე შედეგი? შედეგი ძალიან, ძაან კაი, შენი ჭირიმე, ძაან კაი, ყველაზე უკეთესი ვთქვათ იგი, რასაც თვითონ შენ მწერ: „აწე რა იქნება, ღმერთმა უწყის“. განა საზოგადოებრივი ნამდვილი მოძრაობა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი სა„აწე“ო შედეგი მარტო ღმერთმა უნდა იცოდეს? სოციალ-დემოკრატიული პროგრამა წამოაყენესო, იწერები, ვიცი, ვიცი, მე მარტო კი არა, ყველამ იცის აქ..., მაგრამ რატომ ბძანებ, ძამიავ, წამოაყენესო, თუ მოძრაობითს კედრით ხარ „წამოაყენეთო“, უნდა გეთქვა, თუ განიდან უყურებ, მამ მოძრაობის კედრით არ ყოფილხარ და ესეც უნდა გამოგიტყდე, არც შენ და არც თქვენი ქართველი ინტელიგენცია მოძრაობითს კედრით არ ბძანდებით, თქვენ ბძანდებით, მოძრაობას რომ თქვენი ოცნებით დახატული სასიქადულო შედეგი მოსდევს და ნაყოფი დასატკობი, იმ სასიხარულო ნამთავნის მომხრე და „მეკედრე“, მაგრამ რომ შედეგი სავარამ-ვალალო დარჩეს, ასაკრებ ნამთავნის მაგიერ დეფიციტის სია მოგაწოდონ. მაშინ ხომ.. თავნსაც შეგაფუტქნიან ზელში. იცოდეთ, ყველამ იცოდეთ, უთხარი ყველას შენს ნაცნობს, თუნდ მთელ შენ წრეს, რომ ახლა გვიან არის და უდროო, მაგრამ თუ სავარამო შედეგი გამოვიდა, არც ერთ წვეთ შხამიან კალმისას არ ვზოგავ, რომ ქართველ ინტელიგენციას და მისი გაუნათლებელ, უფიც არსებას საზოგადოების, მომავალი საზოგადოების წინ სამარე გაუთხარო და სამარცხვინო სვეტს მივაკრა, თუ რამ გურიას დაემართა ან საქართველოს, კავკასიის რომელიმე ნაწილს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი

P. S. განა შენი აღსარებით, რელიც უეჭვოდ მრწამს, სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ თვითონ არ მიაშჯარავებს ქართველების ახლანდელ ზენს, დისციპლინის მოკლებულობას, უთავბოლობას?

მოკითხვისათვის მადლობელი ვართ. ცოლი საავადმყოფოში მყავდა სამკვირას, ახლა მომჯობინდა, შინ არის.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

ამ წერილს შენ აღდგომას შემდეგ მიიღებ და ამიტომ ქრისტე აღდგა! შენი ბარათი მომივიდა და დღეს შენი წერილი წავკითხე დიმიტრი ეპისკოპოსის შესახებ⁴⁶⁴. წერილი აქ ყველას ძრვიელ მოეწონა, ყველა ყმაყოფილია. ეხლა მგონი მტერიც ველარ იტყვის, რომ ქართველი პატრიოტი არა ხარ. ეს წერილი გულიდან ამონადული გრძნობაა. კერძოდ ჩემი საპასუხე შენს ბარათზე ეს შენი წერილია. ეს და სხვა ამგვარი წერილები რას ნიშნავს, თუ არ იმას, რომ შენც მიიღე მონაწილეობა მოძრაობაში და რითიც შეგიძლია ხელს უწყობ არსებული უკუღმართი სისტემა მმართველობისა საუკეთესოთ შეიცვალოს. მე რაღა მოგწერე? შენ მწერდი, ჯავახიშვილი ფეხის ხმას აყვავო, მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო, მე მოგწერე ეს მე მესმის მეთქი, ეხლა რომ დროა ყველამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ არსებული მმართველობა დაამხო-მეთქი. იქნება ასეთი დრო აღარ მოგვესწროს მეთქი. შენ იწერები: რას მოელთ, ქართველები კონსტიტუციითაო? მე გიპასუხებ: რაც გინდა სუსტი კონსტიტუციაც მიეცეს რუსეთს, ყველასთვის ცოტა მაინც სასარგებლო იქნება და თუ ქართველობა ვერაფერს ვერ მოიხმარს და მოსასობია, ამ არსებულს სისტემაში უფრო მალე მოიხპობა, ვიდრე კონსტიტუციის დროს. არც იმის თანახმა ვარ: ვითომ სომხებს ეხლა მართო ერთი მიზანი ჰქონდენ, რომ საეკლესიო მამულები დაიბრუნონ. არა, სხვასაც ბევრს მოელიან აქოური სომხები, რომელთაც მე ვიცნობ და გამიგია. მაგრამ ამაებზე, ესე იგი პოლიტიკაზე და არსებულ მოძრაობაზე, რომელიც ყოველ შემთხვევაში ჩემის აზრით პროგრესიულია, სხვა დროს მოვილაპარაკოთ, შენ მაინც აქ აბირებ ჩამოსვლას ზაფხულისთვის. ეხლა ჩემს საკუთარ საქმეებზე გწერ. წინეთაც მოგწერე, რომ მე ამ წელს თითქმის უადგილოთ ვარ და ასე ცხოვრება, მანამ აღგილებს გავყიდდე, მიჭირდება. სამსახურს კი ვიშოვნე კარგს, მაგრამ მე ისეთი სამსახური მინდა, რომ ჩემ ჩხრეკა-წერას არ მოეცდებ. ეხლა გაიხსნა არხეო-გრაფიული კომისიის თავმჯდომარის ადგილი. ვეინდენბაუმი⁴⁶⁵ ნამესტნიკის საბჭოს წევრად ინიშნება. როგორც ეს შევიტყვე, მაშინვე ივანე ნაკაშიძეს ტელეგრაფმა გაუგზავნე, მაგრამ ჯერ პასუხი არ მომსვლია. ამას შენ გატყობიებ და სხვა რა მოგწერო, აქ დახმარება შენ ან სხვა პროფესორებს, მგონი, არ შეგიძლიათ. მუზეუმს ჩემდა ეს სჯობია, და მერმე კიდევ ახალგაზრდა როტმისტრის თანაშემწეობა

(თუმცა კარგი კაცია) რაღაც არ მეხერხება და არც იხსნება ის ადგილი. მე მგონია მუზეუმის საქმეც ესლა ნამესტნიკის ხელში იქნება. ივანე ნაკაშიძე ახალი ნამესტნიკის მარჯვენა ხელია მამულების საქმეში, ჩემ[მა] ძმამ ვარლამმა წარუდგა ახალ ნამესტნიკს და მაშინათვე გაგზავნა ქახალდი და აქ ტფილისში ნიშნენ შტაბის ნაჩაღნიკის თანაშემწედ ანუ начальником военных сообщений და სააღდგომოდ ლენარლობას აძლევენ. ძმამ მითხრა — შენზე ივანეს ჰქონდა ლაბარაკი ვარანცოვთანო და გაქო, კავკასია კარგათ იცისო. ასეა საქმე და ვნახოთ რა გამოვა. აქ რომ მოვა ვარანცოვი, დაკლადნოი ზაისკას მივსცემ, თუ ნაკაშიძემ გამოიბირა და ადგილი თავისუფალი დარჩა. ეს ერთი ჩემი საქმე. ახლა მეორე: აკადემიას ჩემი „Описание“, ოთხივე წიგნაკი ერთ ტომით შეკრული უდით, გამოუგზავნე ორი ცალი ისე, როგორც შენ მწერდი. ნახე შენ, თუ რამე აკლია, მომწერე. ყდები და გამოგზავნა ოთხი მანეთი დამიჯდა და ვაი თუ ტყულათ დამეკარგოს. შენ ორი წიგნაკი გაკლია მაგ Описание-ს და მალე გამოგიგზავნი. Новое время-ში რომ სტატია დაგიბეჭდია¹⁶⁶, არ წამიკითხავს. შენი ნაწერები თუ გაზეთშიც იყოს, გამოგზავნე. აქ ზოგჯერ ძრიელ ძნელი საშოვარია. წინეთ იწერებოდი, რომ ზაფხულში აქ აბირებ ჩამოსვლას და ანში მუშაობას. აქ ჩამოსვლა კარგია ამისათვის, და, ანში მუშაობას წელს მე არ გიპირდები. ამ ზაფხულში აქ დაგრჩეთ ტფილისის მახლობლათ, ოქროყანაში. აქ ხელნაწერებზე იმუშავე ეს ერთი ზაფხული. ძრიელ დიდი არეულობაა წელს კავკასიაში და არა მგონია, რომ ეს ზაფხულისთვის დაწყნარდეს. ყოველ შემთხვევაში ანში მუშაობა საშიშია და რათ იჭივრებ საქმეს, უბრალოთ რომ თავს დაგეცენ, რომც არაფერი გაწყინონ, ცოლშვილს შეგიშინებენ. არც გურიში შეიძლება წელს ზაფხულში ცხოვრება. ეს მე დამიჯერე. საშური საქმე არაფერი გაქვს ისეთი და თავს სახიფათოთ ნუ გაიხდი, აქ მოვეწყოთ. შენი „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი სტატიაც კარგი იყო¹⁶⁷. ცოტა უ-ას კი შეუმსუბუქე და ნაშაულობა. მან მეგრელიის სკოლებში ქართული ენის არსებობა დეისტვიტელნი სტატსკი სოცეტნიკობაში გაპყიდა, დიმიტრი ეფისკობოზი მასზე ზნეობით ბევრათ მალლა დგას. ენა სტატიისა ცოტა მძიმე იყო და ვაგება გაუჭირდათ. შენი რუსული სტატია „ცნობის ფურცელმა“ გადათარგმნა, მაგრამ თარგმანი ისე შთაბეჭდილებას არ ახდენს, როგორც დედანი და ამიტომ მე ყველას რუსული გაზეთში მივაწოდე და კიდევ დამიკარგეს ის ძლივ ნაშოვნი ნომერი. გრიგორი: ხანძთელის რა ქენი? მე ზარზმის და საფარის შესახებ ცნობები დავ-

ბექედე⁴⁶⁸ მაგრამ ესლა არხეოლოგიიზა ვის სცალია ან ვინ წაიკითხავს, თუმცა აქამდისაც არავინ კითხულობდა. შენს ცოლს და შვილებს ჩვენი საერთო სალამი.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი-

100

[1906];

ანისი, 20 ივნისი

ძმაო ექვთიმე,

ჩავები აქა უღელში და თუ ფულმა არ მიღალატა, მარიობის-
თვემდი ჩავრჩები. ჯერ შიგა ნაწილი ეკლესიის ვერ გამომიწმენდია,
თუმცა 72 მუშა მყავს და ათი ურემი და სხვა. ალექსანდროპოლში
კვირიკობისთვის ოც რიცხვებში ლექციაზე მპატიებენ და წასვლა-
გადავწყვიტე, შემდეგ ბანისკენ გავემართები ერთი კვირით, რადგან
ადგილ-ადგილ დათვალიერება მჭირია იმ ტაძრის. რასაკვირველია, შენ
სტატიას ველი,⁴⁶⁹ და თუ აქ მომისწრებ გამოგზავნას, ძალიან დამა-
ვალე. იქნება ამ წიგნის მომტანის ხელით მაწვდინო (ყოჩაღი, სტუ-
დენტია, ფილოლოგი). რაც მაკლია ფოტოგრაფიული ნაწილები, ის
მინც ახლა გამომიგზავნე. პლანის საქმე როგორ გაქვს, არ ვიცო-
თუ იმ ხუროთმოძღვარს მოშორდი, თორამანიანს⁴⁷⁰ მიანდევ, ჩამოდი
აქ და ჩამოუტანე მასალა. კიდევ უკეთესი, თუ რასმე მოუწყობ, მო-
მავალშიც დაგჭირდება. იქნება ბანაშიც წავილებ, თუ მიანდობ და
ცოტა სახსარს ამოუჩენ. წარმოიდგინე, აღმოსავლეთის მხრითაც ყო-
ფილა სვეტები. ხაჩიკის ნათხარში ვერ შეუუმჩნევიათ, იქნება იქაც
იყო, აქ კი ექვს გარეშეა, რომ ამითაც არ განირჩეოდა ანისის ტაძარს
ბანისეულისაგან. ამ წვრილმანის შესახებ ნაწილს შენ სტატიისას ახ-
ლა განსაკუთრებით ველი. მოკითხვა გულითადი ნინა ივანოვნას და
ყოველთა თქვენთა.

კიდევ ერთი. მომწერე ან ამ სტუდენტს გადაეცე დაწერილად,
როგორ არი ნამდვილი სათაური ათონის ხელნაწერის გამოცემის
(ცხოვრება ექვთიმეს და სხვა): „ხელნაწერი“ არ არის. მგონი ხელ-
ნაწერი ან თუ რაღაც. შინ გექნება გამოცემა და სათაური შეუცვლელად
გაღმომიწერე. იმის გამო ვაგვიანებ „ელესიპეს“ სტატიას.

ძმური სალამო

ნ. მარტო.

ქ მ ა ო ნ ი კ ო !

История Грузии⁴⁷¹: მივიღე და გადავიკითხე. ვოსტორგოვის⁴⁷² შიშართ პასუხი წინეთ მქონდა წაკითხული⁴⁷³, ახალი და ძველიც კიდევ გადავიკითხე. ერთიც და მეორეც ძრიელ კარგია და სწორეთ ვითხრა, მე არ მეგონა, თუ შენ პუბლიცისტიკურ შრომაშიც ასე ნიქს გამოიჩინდი, თუ ასე მოახერხებდი და მეცნიერულს აზრს საამდროო ცხოვრებას ასე ხელოვნურად დაუკავშირებდი. ეს საპოლემიკო სტატიები იმით კი არ დაიფასება, თუ რამდენათ ვოსტორგოვის აზრებს არღვევს, არა იმის აზრების დარღვევას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ იმით, თუ რამდენათ საქართველოს ყოფილი დიადი კულტურა იხატება შიშ და რამდენად შეაფერხა ეს კულტურა რუსეთის უკუღმართმა პოლიტიკამ. ასეთი სტატიები მიუცილებელი საჭიროა, რომ შენივე მეცნიერული გამოკვლევა საამდროვო ცხოვრებას შეუფარდო, რომ მეცნიერება ცხოვრებას დაუახლოვო და მათ შორის წინააღმდეგობა თუ თანხმობა გამოააშკარაო. ახალი და ჩემთვის დიადი საინტერესო იყო კულტური[ს] მიმოხილვის ნაწილი წიგნაკისა (გვ. 17—52). ამ ნაწილისა მე ყმაყოფილი არა ვარ, არა იმიტომ, რომ ეს კარგი არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ შენ მეტი მოგეთხოვება. ერთი ნაწილი შრომისა, რომელიც შენ ვრცლად გამოკვლეული გაქვს, მაგალითათ ლიტერატურის შესახებ, ძრიელ მოკლეთ გაქვს ნახსენები, სხვები ისეთ საგნებს ეხება, რომელიც მეცნიერულად ჯერ არ გამოგიცია, თუმცა გიმუშავია, აქ სიტყვიერათ უნდა გენდოს მკითხველი. ასეთია ქართული ენის კუთვნილება იაფეტის ჯგუფის ენებისა, ქართულ ანბანის შესახებ, შესახებ იმისა, რომ ქრისტიანობამდის ქართველებს მწერლობა ჰქონდა, რომ ანბანი თანდათან შეივსო და შესწორდა და სხვა. ყველა აქ აღზრული კითხვები უნდა გაიზარდოს და დასაბუთებული გამოკვლევა უნდა უძღვნა. ქართულ ხუროთმოძღვრებაზე თითქმის არაფერია ნათქვამი. რამდენათაც ვოსტორგოვის წინააღმდეგ სტატიებში კულტურული სიდიადე რიხიანად არის გატარებული, იმდენათ აქ ეს აზრი, რუსები რომ იტყვიან, **рискно проводиться**. მიზეზი რასაკვირველია, სიჩქარეა, დროს უქონლობა, მაგრამ, იმედია, ეს მიმოხილვა გაიზდება, გაკვირთ გამოთქმულა აზრი დასაბუთდება და **Культурный очерк Грузии** გადაიქცევა დიდ ტო-

შად, სადაც ყველა დარგი კულტურული ცხოვრებისა სრულად და
 "სავსეთ იქნება წარმოდგენილი. ეს ძრეელ საჭიროა და შენს მეტი
 ვერც შეასრულებს. გამოცემა ყოვლად საძაგელია, გლახა გაცვე-
 თილი შრიფტი, მასთან წვრილი, მდარე ქალაღი და ბევრი კორ-
 რექტურული შეტომები. თავის დღეში მაგისტანა გამომცემლებს
 არაფერი არ მისცე. აფსუს, ამისთანა შრომა რომ ასე იყოს გამო-
 ცემული. წიგნაკი ძრეელ იყიდება და ამ მოკლე ხანში სულ გავა.
 სხვა კითხვების შესახებ პირადად გეტყვი. შენი წერილი მივიღე ეხ-
 ლა. სათაური საეკლესიო მეუზეუმის გამოცემისა ასეთია: „ათონის
 ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაბებით, სიუბილეო
 გამოცემა საეკლესიო მეუზეუმისა. ქ. თბილისი სტამბა ჩარკვიანისა
 1901 წ.“ ბანის პლანი ჯერ არ გაუქვებია იმ ოჯახ დაქცეულს და
 ამიტომ ვერც აწერილობას ვსწერ, უპლანოთ არ დაიწერება. დღითი
 დღე მპირდება. მე უსათუოთ მოვალ ანში, როდესაც პლანი იქნება,
 შეიძლება არხიტექტორიც მოვიყვანო და ის უჩვენებს თორომანიანს
 მასალას. წას[ვ]ლასაც ბანაში მაშინ გადავსწყვეტთ. მე აქაც გითხარი
 აღმოსა[ვ]ლეთისკენც იქნება სვეტები მეთქი და მართალი გამოდგა.
 მე ამბავი მივიღე ვითომც ის ნაწილი ბანისა, რომელიც ჩემს დროს
 მთლათ იყო, ვითომც დანგრეულიყოს. არ ვიცი კი რამდენათ მართა-
 ლია. კიდევ კარგი, რაც შეიძლებოდა სულ დაწვრილებით გადმოვიღეთ.
 მე წინდაწინ მოგწერ, როდის მოვალ ანში და სტრატეგები უნდა გა-
 მომიგზავნო ანის სტანციაზე მათი ცხენებით. ფეხით მოსვლა არ შე-
 იძლია. ყველა მასალას ბანის შესახებ მაშინ მოვიტან. გოზავნი პოლ-
 ტარაკის¹⁷⁴; თანახმაა, რასაც მისცემ. მუშაობა კარგათ შეუძლია.
 ამას კითხე, თუ რამდენი დღე ვეხებთილეთ, რომ ტეხნიკი მარკოვი
 შენახა და ფოტოგრაფიული სურათები გამომერთმია შენდა გამოსა-
 გზავნათ. მე სრულათ არ მაქვს სურათები და ვერც გადავალბიებ,
 ძვირათ ჯდება, მასთან სამ კვირაზე აღრე არ იქნებაო. როგორც იქნება
 მარკოვს ვნახავ და ბანი[ს] გალერეის სურათებს გამოგიგზავნი, სხვე-
 ბი გაქვს შენ, ის სტუდენტი მოვა ჩემთან წამოსვლის დროს. მომწერე,
 როდის იქნება შენთვის სამჯობინო, რომ მე მოვიდმე, ანი კარგათ უნდა
 გამაცნო. ლობატინსკი მთხოვს ერთად წავიდეთო და ხომ არ შეგიშ-
 ლის, კარგი თავდაბალი კაცია. პოლტარაკი აგვისტოზა უნდა გაათა-
 ვისუფლო, გელათში აქვს სამუშაეო. ჩვენებმა მოგიკითხა, იურის მო-
 კითხვა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

ძ მ ა ო ნ ი კ ო ლ

როგორც იქმნა ვნახე ტეხნიკი მარკოვი, გამოვართვი ჩემი სურათები და გიგზავნი, რაც გაკლია; თუ რას წარმოადგენენ, ზურგზე უწერია. პლანს მპირდება ერთი კვირის შემდეგ წარმოადგენო. ამ სურათებში, ზოგიერთები მგონია გაქვს და მეტი — ჩემთვის შეინახე. როდესაც პლანი მექნება და აღწერილობა[ს] შევადგენ, მოვალ ანში შენთან. მომწერე, რა ნახე და როგორ გეხმარება ეს სურათები. დაუკვირდი, პილონებში ოთახებია, თუ არა, და თუ არის, როგორ არის შიგნით (რა პლანის არის) დასავლეთის პილონები. ეს საკითხი ჩვენ ბანის შესახებ ვერ გამოვარკვივით. ჩვენებმა მოგიკითხა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

სიმ. ნიკ.¹ ჩამოვიდა და უკვე საქმეს გაერთო. ვეცდები, რაც შეიძლება უზღო. შენი წერილი ჩამომიტანა. ლაპატინსკი, რასაკვირველია, ძვირფასი სტუმარი იქნება, მაგრამ აქ ოთახის სიძვირეა და ჩემ ოთახში უნდა მოითავსოთ თავი ყველამ. რკინის გზაზე კაცის გამოგზავნას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ფეხით ვერ ამოიარო უძნელეს ნაწილს გზისას, თუმცა არა დიდს. ამიტომ გირჩევ ალექსანდრაპოლს ჩამოხტით და იქიდან ფაიტონით მობრძანდით (ღირს თორმეტი მანეთი ან ცამეტი საჩუქრით) თვით ნანგრევებამდე. წამოსვლა სჯობია ისე, რომ შაბათს მოხვიდეთ; რადგან მხოლოდ კვირა დღეს ვარ ცოტაოდნა თავისუფალი და თქვენ მოსვლაზე სულ მოვიცილი კვირას. ფული ერთი კაბ. აღარ მოვიდა წელს შემოწირულობა და რაც მქონდა, მიწურულზეა. მუშაობს 72—75 კაცი, ხუთი ურემი და ხუთი ცხენის ეტლი მიწის საზიდავი, საჩუქრიანად კვირაში ოთხას მანეთამ-

1 სიმონ ნიკოლოზის ძე პოლტარაკი (შემდეგ).

დე მიდის ზედნადები ანუ წასართავი სახარჯით, რამდენი იარაღის ტეხა და ცვლა, ახლის ყიდვა, არ ღირს ლაპარაკი. მინდა დავამცირო ახლა ოცამდი, ოცდაათამდი ან ორმოცამდე მუშები. შიგა ნაწილი დასრულებათა, მაგრამ ირგვლივ ვაება თხრა სჭირია კიდევ.

შენი აზრი ჩემ წიგნაკზე ჭეშმარიტებაა, მაგრამ მე დანაშაული არა ვარ, გამომცემელს შეუცვლია სათაური. მე მქონდა: „Культурно-исторический набросок“; შენი სიტყვებიდან სჩანს მის მაგიერ „культ.-исторические очерки“ ან „обзор“ (?!) შეუტანია. ასეთი კულტურობაც ახლანდელი ჩვენი კულტურის მომასწავებელია, როგორც ისა, რომ აბაზზე მეტი არ დანიშნო ფასი მეთქი და ხუთი შაური დაუდვია ფასი. ზომ ჩემგან უფასოდ აქვს მამაძაღლს და თავის სასარგებლოდ კიდევ შაურის დამატება რა უსინდისობაა! ერთი მხოლოდ შენიშვნა — სიჩქარით არ არის, რაც ნაკლისია, არამედ იმით, რომ ბევრი მხარე გამოუკვლეველია და რაზედაც დამთავრებული აზრი არა მაქვს შედგენილი, მაზედ არ ვლაპარაკობ, მაგალითად ხუროთმოძღვრებაზე რა ითქმება მ ე ტ ი, გარდა, რასაკვირველია, საზოგადო ქებისა, ოდეს უმთავრესი საკითხი ბიზანტიურის და აღმოსავლეთურის გავლენა მკაფიოდ არ არის გამოკვლეული. საზოგადო მკითხველისთვის მნიშვნელობა არ აქვს უბრალო ათვლა-აქანკვლას ან გარეთად აღწერას. საჭიროა დახასიათება ქართული განსხვავების, თავისებურობის და ამის შესახებ სათქმელი უფრო ბევრია, თქმული კი არაფერი. რაც შეეხება საზოგადოთ გეგმას და დედამოძების შეცვლას საქართველოს ისტორიისა, ამ „მონახაზში“ (набросок) მიზანი მქონდა მხოლოდ ახალი შეხედულებით ძველი, ნამდვილი რეალური ისტორია გამეცნო საზოგადოებისათვის და არა დამესაბუთებია; დასაბუთება, საგულისხმოა, ცალკე სამეცნიერო გამოკვლევებში უნდა მოითავსოს და ლექციებში, რომელნიც საზოგადო მკითხველისთვის სრულებით მოუხელებელი ნივთია.

ნინა ივანოვნას მოკითხვა. წერილით ადრე მაინც მაცნობე წამოხვლა, იქნება შევიტყო, თუმც კვირაში მხოლოდ ორჯერ ვაგზავნი კაცს სტანციაზე (Мст. Ани, Эрив. губ.). შენ კი თანამოგზავრით აღუქს[ანდროპო]ლით წამოდი და იქიდან ფაიტონით. ბანას მე ვაპირებ, თუ ძვირად არ დამიჯდა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ლოპატინსკი მზრუნველის ადგილზეა და ველარ წამოვიდა. მე მინდოდა მოსვლა, მაგრამ იმ ოჯახკეტიანმა მარკოვმა პლანები არ გამიკეთა და ესეც არის მხოლოდ ამ სალამოს მივიღე, მაგრამ ყმაყოფილი არ ვარ, თუმცა საზოგადო წარმოდგენისათვის ბანაზე საკმაოა. დღეს ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ შენი ამბავი ვერ შევიტყვე, როდის ათავებ, ვაი თუ არ დამხტეს ანში მეთქი, მასთან მგზავრიც ვერ ვიშოვე, და ფაიტონი ძვირი ყოფილა ალექსანდრეპოლისაგან. ჩვენი ნახვა და პლანების შედარება კი საჭიროა და ამიტომ გთხოვ, უსათუოთ გამომიარო ტფილისში. თუ მანამდი პლანის კოპიოს მომაწვდი, კიდევ კარგი. პალტორაკის ხელით ყველა ცნობები მომაწოდე და პლანის კოპიოსაც ის გადმომიღებს. ამას გარდა, შენი ლექციიდან ამომიწერე სიტყვა სიტყვით, სტრაიფიორსკის⁴⁷⁵ სიტყვები აღმოსავლეთიდან (სომხეთიდან) დასავლეთში ამგვარი პლანების გადასვლის შესახებ, რომ შემეძლოს შენი ლექციის ჩვენება. შენს მოსვლამდის მე ბანის აღწერილობას შევადგენ და აქ წაგიკითხავ და შენც შენი გათხრილის აღწერილობა საყდრისა მომაწოდე, ან აქ წამიკითხე. თუ შენ ბანაში არ მიდიხარ თორომანიანიითურთ, კარგი იქნება ის თორომანიანი ერთი დღით თავის ალბომით აქ ტფილისში ჩამოიყვანო და აქ ერთათ გავშინჯოთ პლანები, კლდიაშვილიც⁴⁷⁶ აქ არის. პილონების конструкция ბანისა ძრიელ საინტერესოა. ფასადი ბანისა არ გაუკეთებია კლდიაშვილს და შედარების შემდეგ იქნება ამ ტიპის ეკლესიების ფასადიც ჯეროვანად აღვადგინოთ. ბანის გარდა სხვა ეკლესიების პლანებიც ძრიელ საინტერესოა ანის ეკლესიებთან შესადარებლათ. ჩვენ ტფილისში ვართ, ოქროყანაში წელს არ წავსულვართ. ველი შენგან ცნობებს და იმედი მაქვს ჩემდა უნახავათ არ დაბრუნდები პეტერბურგში. ჩვენებმა მოგიკითხეს.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ დ

ძ მ ა ო ნ ი კ ო!

გიგზავნი Описание-ს მეორე ტომის პირველ წიგნაკს. პირადათ მე და შენ ვეღარ მოვილაპარაკეთ. მე ვერ გამოვჯობინდი კიდეც, ხშირად ვცივდები და ავათუყოფობ. ცხოვრება გაგვიჭირდა, გაკვეთილები მეტი ავიღე და არხეოლოგიისათვის ბევრი დრო აღარ მექნება. შენგან ველი დანაპირ ურომებს: 1) ძრიელ მალე უნდა მომაწოდო ვეტხის-ტყაოსანის შესავალის თარგმანი, белыми стихами, რომ პოლტორაკის⁴⁷⁷ თარგმანი გამოვსცე და მასთან Округ-ს დავავალო ტექსტის გამოცემაც შედარებით აქაურ ხელნაწერებთან. 2) მეორედ წელს შენ მიერ შეგროვილი ანის წარწერები სომხური და ქართული უნდა გამოგვიგზავნო არხეოლოგიურის ზაბისკებისათვის. ამას გარდა უნდა მიუშამდგომლო, რომ Зап. Вост. Отд. გამომიგზავნონ შემდეგი ნომრები, მეცამეტე ტომით თავდება, მე რომ მაქვს, მაშასადამე უნდა გამომიგზავნონ მეთოთხმეტე და შემდეგნი, რამდენიც გამოსულია. აქ კარგი არაფერი ამბავია. ცარცვა-გლეჯას ხეგარიში არა აქვს. რეაქციამ ქართველობა ერთობ გასტეხა წელში. შენ როგორა ხარ? დაიხსენე თუ არა? დასვენება კი გჭირია. ჩვენებმა ყველამ ერთობით მოკითხვა შენ და შენს მეუღლეს შეილებითურთ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე .

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

წიგნები დიდი ხანია დავავალე და მიღებული უნდა გქონდეს. მაგრამ მე დღეს კიდეც დავეკითხები თვით ბარონს⁴⁷⁸ და იმას გამოვკვლევიებ, გამოგზავნეს თუ არა (XIV-დან Записки). შენი კატალოგი ბოლოს ლა მივიღე, გუშინ წინ, აკადემიისგან რეცენზიისთვის და 15 ოქტომბერისთვის უნდა მოვუშადაო, რა უხეირო არიან. კარგი, ვთქვათ მე წაკითხული მაინც მაქვს, თუმცა არა შესწავლული, სხვამან ზაფხულზე სა წეროს? მე მაინც გთხოვ თუ ნამეტარი ცალი გაქვს ან აჩუქე ჩემ მუზეუმს ანისში ან მე მათხოვე, ნაწილ ნაწილ ზაფხულზე მოვიმზადებ რეცენზიისთვის მასალას.

ივ. ჯავახიშვილმან, საუბედუროდ, პირველი კვერი უმი გამოში-
ცხო: ჩაიარა მის დისერტაციამ⁴⁷⁹. თფილისში გამოვიარ ერთი დღით,
ვნახავ მარტო შენ, გოგიტიძეს და ქალანთარს და უგულითადესად
გთხოვ ნუ ვის ეუბნები, მე დარჩომა არ შემძლია, გარდა ერთი დღი-
სა. აბანოში წავალთ, ბოვიგზავრები მთელი ოჯახობით და მივეჩქარე-
ბი ანისში. შემდეგ როდესაც ხელს მომცემს გათხრა, საოსმალო სა-
ქართველოში შევიტრები.

ლექცია ჩემი საქმე არ არის, ყოველ შემთხვევაში ვიდრე მსმე-
ნელთა წრე არ შეიცვლება⁴⁸⁰. არც წელს, არც ოდესმე საზოგადო
ლექციას აღარ წავიკითხავ, მაგრამ ორი მოხსენება, უკვე წავითხული
აქ საარქეოლოგიო საზოგადოებაში, მზად მაქვს, რასაკვირველია, რუ-
სულად, და თუ გინდა და საინტერესოთ რაცხ ან სასურველად, თქვენ
განყოფილებაში არქეოლოგიურ სხდომაზე, თქვენი საარქეოლოგიო
საზოგ. სხდომაზე წავიკითხავ, გინდა ერთს გინდა ორვეს ერთად (ცო-
ტა გავრძელდება, ორვე 2¹/₂ საათს) ერთს სალამოს, რადგან ერთი
დღის მეტს მე ვერ დავრჩები. მაგრამ თუ სასურველად მიიჩნევთ,
შენ უნდა მოაწყო წევრების სხდომის დანიშვნა ჩემი მოხსენების მო-
სასმენად თუ სურსთ იმ პირობით, რომ არავითარი ცალკე ახმაურე-
ბული მოწვევა არ იყოს, როგორც ჩვეულებრივ იწვევენ წევრებს,
მაგალ. შენ რეფერატზე. ერთი მოხსენების სათაურია: „Об Иоанне
Петрицонском, грузинском неоплатонике XI—XII-го века“, მეო-
რეტი — „О житии Григория Хандзтийского, деятеля грузинский
церкви VIII-го IX-го веков“.

თფილისში ვიქნები კვირა დღიას 27 მაისს, ხოლო 28 მაისს
ორ შაბათს საღამოს შემძლია წავიკითხო (არც ადრე და არც
შემდეგ), თუ საქროდ რაცხ.

მოკითხვა გულითადი შენ მეუღლეს და ნაცნობთ.

შენი ძმანიკო მარტი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ლ

წერილს ველოდი შენგან. როგორ მიღის შენი მუშაობა? მე
ჯერ ვერ გავედი ტფილისიდან, მაგრამ 28 ან 29 ამ თვეს უსათუოთ
გავემგზავრები კოლაში და შემდეგ ოლთისში. ამ დღეებში დავამთაფ-
რე ზოგიერთი გამოცემანი. არხელოგიური Известия-ს მეორე წიგ-
208

ნი⁴⁸¹, აგრეთვე საბარათიანოს აღწერის ვამოცემა⁴⁸² და სხვა. თბილისში ძრიელ ცხელა, ჩვენები ჯერ თბილისში არიან. შენი ამბავი ოლთისში მომწერე до востребования. ჩემთან მოდიან ლიოზენი⁴⁸³ და კალგინი⁴⁸⁴. სათათრეთში, მგონი, ვერ წამოვალ, იქ უფრო მომზადებული წასვლაა საჭირო. ოლთისის და კოლის მხარის ყოველ კუთხის დარებას ნოუნდები შგონი თვენახევარი. ბანას ხელმეორეთ ყურადღებით დავათვალიერებ, ესლა უფრო კარგი არხიტექტორი მყავს. ანისში, თუ მშვიდობით დავბრუნდი, გამოვიარ აქეთობას. შენ მაინც ყოველგვარი შენი გადაწყვეტილობა მომწერე, მოხვალ ოლთისში თუ არა, ან როდის მოხვალ. ჯავახიშვილმა ოთხი ლექცია წაიკითხა, მაგრამ მე ვერ დავესწარი, არ მეცალა, სულ კორექტურებს უნდებოდი და სხვაც ბევრი საქმეები მქონდა და მაქვს. შენი ლექციით ანუ რეფერატით ყველა დამსწრენი დიდი მაღლობელნი და ყმაყოფილნი დარჩენ. ბევრი რამე მე მინდოდა მეკითხა, მაგრამ ისე ცოტა დრო დარჩი ტფილისში, რომ ვერ მოვასწარი. ეპიგრაფიული მასალა ანისა ცოტა ცოტა დაამზადე ჩვენი განყოფილების Известии-სათვის; რაკი აქ რეფერატი წაიკითხე, ცოტა რამ უნდა უსათუოთ მოგვეცე დასაბეჭდათ. კორექტურას გამოგიგზავნით. შენი მეუღლე და შვილები მომიკითხე. ჩვენებმა ყველამ მოგიკითხათ. ველი შენგან ცნობებს ოლთისში.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

117

[1907]

ძ მ ა ო ნ ი კ ო

ძრიელ დამივიწყე. როგორა ხარ? რასა იქ? „ვეფხისტყაოსანის“ წინასიტყვაობის თარგმანი რომ დამპირდი, რათ დამიგვიანე, უნდა როგორმე მალე მომაწოდო. და მე შეუდგები პოლტარაკის თარგმანის დაბეჭდვას, ეს მომცემს საშვალებას მასთან ერთათ ქართული ტექსტიც დავბეჭდო ყველა ცნობილი ხელთნაწერების მიხედვით. მე გავათავე მეორე წიგნაკი მეორე ტომისა „Описание“-სი, სულ 224 გვერდი. ამ წიგნაკში ლექსთა კრებულების აღწერაა მოქცეული. „ოკრუგი“ მიკვირებს საქმეს, ბევრს არ მამბეჭდეობს, „Сборник“-ში, ასე რომ არ ვიცი როდის გავათავებ. ყარსის მხარეში ჩემი მოგზაურობა იბეჭდება მოსკოვის „Материал“-ებში⁴⁸⁵, მაგრამ ვაი ამისთანა დაბეჭდვას! პირველი ხუთი ფურცელი უჩემოთ დაბეჭდეს და შეცთომებით სავსეა. ისე გარეგანი ვამოცემა კარგია, მხოლოდ ჩემი სურათები ნახევარი არ ჩაატანეს შით. კორექტურას ქართული ტექს-

ტისას ხახანოვი ასწორებსო, მომწერა უვაროვისამ. ხახანოვის სალიტერატურო „ოჩერკი“ მე-4 წიგნი გადავათვალე⁴⁸⁶. ამდენას მას ეს ზნე უჭირდა, რომ სხვის შრომას აგროვებდა და თავისათ გამოქონდა. ეხლა ერთი კარგი ზნე კიდევ მიუმატებია. მიუმართავს თანამედროვე ავტორებისათვის, რომ მათ დაეწერათ თავის ბიოგრაფია და სალიტერატურო ნაშრომების დაფასება და ვისაც რა მიუწოდებია, დაუსტამბავს. ვინ არ გინდა, რომ მწერალი არ არის, და მასთან შესანიშნავი. ამით ორს მიზანს მიაღწევს: ყველა, ვისაც რამე დაუჩხაბავს, მისი მადლიერი იქნება და მომხრე და მასთან თითო ცალს წიგნისას ყველა იყიდის... მარიამის ვარიანტი გამოგიგზავნე, მაგრამ ჯერ ყდაში არ მისცე, წინასიტყვაობასაც გამოგიგზავნი. ეს წინასიტყვაობა გამეორება იქნება მოკლეთ იმისი, რაც რუსულათ დაებეჭდე Описание-ში. თუმცა მუშაკნი მცირენი არიან, მაგრამ მაინც ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებას ვაარსებ⁴⁸⁷, რომ როგორმე მუზეუმი ცალკე ვიქონიოთ და სამუშაო ცენტრი შევქმნათ. იმედი გვაქვს თავად-აზნაურობა დაგვეხმარება და სიძველენის გამოცემას შეუდგებით. შენ უნდა დაგვეხმარო. რამდენიმეჯერ გთხოვე, მაგრამ ვერ[ც] ერთხელ, ავერ ხუთი წელიწადია, ვერ მომიხერხე, რომ Зап. Вост. Отд. გამოგზავნიო ჩემთვის. მე მხოლოდ ცამეტი ტომი მაქვს დანარჩენი არც ერთი. იქნება ეხლა შემოსრული. აგრეთვე ვესელოვსკის ნაწერებიც დამპირდი გიშოვიო. მომიკითხე შენი მეუღლე და ოჯახობა. ჩვენ გვარიანათ ვართ, მაგრამ ძრიელ ვაჭირდა ცხოვრება თბილისში. ქვეყანა „გახულიგანდა“. ჩვენებმა ყველამ მოგიკითხათ. შენ როდის მოხვალ, ანში იმუშავებ წელსაც, თუ არა. ლექცია უნდა წავგიკითხო. ჯავახიშვილს ბევრი ხალხი დაესწრო ლექციასზე. მაგრამ ლექცია საიმისო ვერ იყო შინაარსით სუსტი იყო და საგანს პირდაპირ არ ეხებოდა. საზოგადოება კი დიდის თანაგრძნობით მიეგება ჩვენდა სასიამოვნოთ და, როგორც სჩანს, მსმენელი ყოველთვის გეყოლებათ. ჩვენს არხეოლოგოური საზოგადოების წესდებაში ლექციების კითხვაც არის შეტანილი. ეხლა სახალხო უნივერსიტეტი დაარსდა⁴⁸⁸ აქ ღა აუარებელი ხალხი ესწრება ლექციებს. ახირებული ხასიათი აქვს ხალხს, წიგნს არ კითხულობს საიმისოთ და ლექციას ძრიელ ეტანება. წერილს ნუ დაიზარებ!

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

P. S. შენი გამოგზავნილი ელასიპე და მელასიპე მივიღე.

0. თ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ფული საზღვარგარეთ წასასვლელი აქ, ანისში დავხარჯე გათხრა-ში. ძლივსღა ბანას მოვალ 3—5 აგვ. იქ (ბანაში) ვიქნები. ანისში დავბრუნდები 8—9 აგვ. და დავრჩები მხოლოდ 14—15-დი, შემდეგ შინ გურიაში.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ო .

ანისის ნანგრევები, 1907, VII, 23.

22 ნოემბერი 1907 წ-

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

სლავეცევის ხელით გამოგიგზავნე წიგნი Описание рук. т. II, вып. 2 და „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები“, მე არ მახსოვს, ორბელის⁴⁸⁹ ხელით გამოგიგზავნე თუ არა ეს უკანასკნელი წიგნი. თუ გამოგიგზავნია, მაშინ მეორე ეგზემპლიარი პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცი. პირველ წიგნში Описание-ში ფოტოგრაფიული სურათები იყო ჩადებული სომხური წარწერებისა, ჩანგლისა და ფანასკერტისა, სულ ოთხი, ეს წარწერები უნდა გაარჩიო, მათი ტექსტი რუსული თარგმანითურთ უნდა გამოგიგზავნო Отчетისათვის. ფანასკერტის ერთი წარწერა ეხლა მეჩეტზეა, მაგრამ მეჩეტი სომხური ეკლესიიდან არის სანახევროდ გადაკეთებული, ერთი ნაწილი ეკლესიისა დაცულია, როგორც ნაწილი მეჩეტისა, მაგრამ ქვა წარწერით ახალ კედელშია ჩატანებული. მეჩეტს თავლა აქვს მოშენებული და იმ თავლაში მეჩეტის ახალ კედელში ჯვრიანი ქვა დევს სასაფლაოსი სომხური წარწერით, რომელიც „მაგნიის“ სინათლით გადმოვიღეთ, რადგან თავლაში ბნელოდა. ჩანგლის წარწერები — ორივე სასაფლაოს ქვის არის. ერთი დიდი ლოდი ეხლა დიდ წყაროსთან ძევს, მეორე ჯვარის ქანდაკით პატარა, ძველ სასაფლაოზეა, ძველ პატარა საყდრის ნანგრევებთან, დიდ მონასტირთან, რო-

მელსაც ქართული წარწერა აქვს, არავითარ[ი] სომხური წარწერა არ არის. მე დღეს მეთერთმეტე ლექცია წაიკითხე ქართული ისტორიიდან და დამრჩა კიდევ ორი ამ სეზონში. პირველათ ხალხი საკმაოდ დადიოდა. ეხლა ძრიელ იკლო და ოცზე ჩამოვიდა. ლექციის კითხვა. რომ დრო იყოს, იმითია კარგი, რომ ბევრ საგანზე დაგაფიქრებს, რაზეც წინ არ გიფიქრია, მაგრამ მე სრულებით დრო არ მაქვს და ამიტომ არც ხალხი მაქვს, ბექდვის საქმეებს ვცდები, ამიტომ მეორე ნახევარში სეზონისა ლექციის კითხვაზე ხელი უნდა ავიღო. შენი აქ ჩამოსვლა და ლექციის კითხვა ყველას ძრიელ სურს და ჩვენი კურსების მეთაურები მეკითხებიან, როდის მოვაო, მაგრამ მე ახლა არ ვირჩევ ჩამოსვლას, ვინაიდან კარაკაში¹⁹⁰ და ხახანაშვილი მოდიან საშობაოთ და თფილისისთვის ესეც კმარა, ხალხი და მსმენელი გაიყოფება, ამიტომ კარგი იქნება შენ ისეთი დრო შეარჩიო, რომ შენს მეტი უცხოელი პროფესორი არ იყოს აქ, თუ ფებერვალში, ან მარტ-ში ან აპრილში მოახერხებ ორი კვირით ჩამოსვლას, კარგი იქნება, ყოველ შემთხვევაში ზაფხულის პირათ მაინც უნდა წაიკითხო რამოდენიმე ლექცია. მსმენელი შენ ბევრი გეყოლება. ამაში ეჭვი არ არის. ჩვენი საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება გაიხსნა და ორი საზოგადო სხდომა უკვე იყო. ვაპირებთ კრებულის გამოცემას სათაურით „საქართველოს სიძველენი“ და ველით შენგან ყოველგვარ დახმარებას, წევრათ უკვე არჩეული ხარ[თ] შენ და ჭავჭავიძე. წესდებას სიმონ პოლტარაკის ხელით გამოგიგზავნი. ერთი უმთავრესი დახმარება ის იქნება, თუ აქ ტფილისში ამ საზოგადოების სასარგებლოთ ქართული ისტორიის თუ ლიტერატურის შესახებ ლექციას წაიკითხავ, ძრიელ დაგვაძალე. ამას გარდა რეფერატი უნდა წაიკითხო საზოგადო სხდომაზე, ფული საზოგადოებას ჯერ საწევრო გადასახადის გარდა არა აქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, თავად-აზნაურობა შეგვეწყვეა. ბანის OTYET-ი თავდება და მალე დაიბეჭდება, პლანები გააკეთა კალგინმა, მაგრამ ფასადის ერთ ნაწილში სრულებით ვერ ვეთანხმები, გუმბათს კუთხეებში კოშკები გაუკეთა, რიფსიმის საყდარს რომ აქვს ისე. სხვას არა უშავს, კორრექტურა 1902 წლის OTYET-ისა ხელში მაქვს ეხლა და 1907 წლის შესწავლის მიხედვით უნდა შევავსო. ნიკო გოგიტიძემ გადმოშვა: პრემიის მაგიერ ოქროს მენდალს გაძლევნო Описание-ს პირველ ტომში¹⁹¹, რაკი „კაზიონი“ გამოცემაა, პრემია არ მიეცემაო. ჩემთვის მედალიც დიდი ჯილდოა, მაგრამ კაცს რომ საღერღელი აეშლება, ხომ იცი, დიდიც პატარათ მოეჩვენება და ეს საღერღელი შენ ამიშალე, თორემ მე აზრათაც არ მომივიდოდა გავკანდიერებულ ვიყავი და აკადემიაში ჩემი შრომა წარმედგინა. ეხლა

ვერ გამოვიდა, თუ „კაზიონი“ გამოცემას პრემია არ მიეცემოდა, რათ მიიღეს ჩემი შრომა საპრემიოთ და მე ოფიციალურადაც წავნობეს. შრომა საპრემიოთ მიღებულია და 1907 წლისათვის საკონკურსოთ დანიშნულია, ან შენ რათ შეგაწუხეს გარჩევით? შეიძლება ღირსად არის ცნეს და შრომამ სხვა შრომას კონკურსი ვერ გაუკეთა. ეს სხვაა. რაშია საქმე, შენი ჰირიმე შემატყობიე. სულზე კი მომასწრებდა 800 მანათი რომ მიეცენ. ძრიელ ქესატად ვართ! მედალზე მე საპრემიო წესდებაში არაფერი წამიკითხავს. მედლებს ხომ რეცენზენტებს აძლევენ. მე მაქ პეტერბურგში ვერ მოვდივარ ამ დღესასწაულებზე უსახსრობის გამო, თუმც ძრიელ სურვილი მქონდა წამოსვლისა. სენია პოლტარაკი ამ თვის 29-ში მოდის. ერთი თხოვნა უნდა შემისრულო დაუყოვნებლივ, ძრიელ მკირია, ლატიშოვის მეორე ტომის მეორე выпуск-ი მიშოვო და გამომიგზავნო, სულ რომ ავტორს გამოართვა ფასით. ამას გარდა თქვენი არხეოლოგიური საზოგადოება კიდევ არ მიგზავნის წიგნებს სრულებით გარდა 1—13 ტომის Записк-ებისა. და შემდეგ გამოგზავნილი იმავე Записк-ების მე-VII ტომის პირველი სამი выпуск-ისა არაფერი მომსვლია, მათსადაც მაკლია 14—16. ტომი Записк-ებისა და მეჩვიდმეტე ტომის მეოთხე выпускი და სხვები თუ გამოვიდა. ამას გარდა მაქვს Записки Нумизмат. Отд. т. I и Зап. Отд. Русской и славянской археологии т. VIII. вып. I. ბევრჯერ შემიწუხებია ჩემი ამ „ზაპისკების“ გამოგზავნისათვის, მაგრამ შენი ცდა არ მოქმედობს მაქოურ სეკრეტარზე, როგორც ეტყობა, და ამიტომ თუ შენ არ გამოართვი წიგნები გამოსაგზავნათ, ის კიდევ მოგატყუებს, ზანტი კაცი ყოფილა მაგი თქვენი სეკრეტარი. მიხაელ ივანიჩმა საჩივარი გამოგზავნა, პასუხს არ იძლევაო, მიხაელ ივანიჩი თამამშევი ავით არის საწყალი, ორი ლექცია წაიკითხა, როგორც იყო, პირველს ასე კაცი დაესწრო და მეორეს ორმოცი. პირველ ლექციებზე ასე იცის, ჩემს პირველ ლექციაზე 240 კაცი იყო და ბევრი უკან დაბრუნდა უადგილობის გამო, მეორეზეც საკმაოთ იყო და მერმე იკლო, აბულაძეს 10 კაცი ესწრება, მალხასიანს⁴⁹² ოცამდი.

ჩვენ გვარიანათ ვართ ყველანი, შენს მეუღლეს და შვილებს ჩემ და ნინოს მაგიერ სალაში. მომწერე რაზედ მუშაობ ეხლა. რა შრომა გამოვა შენი მოკლე ხანში და სხვა.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ამ წერილის მომტანი თუსუნოვი ალექსანდრეპოლელი კამერსანტია, ბევრი სხვადასხვა ძველი ფულები აქვს შეგროვილი და ჰყიდის. ნუ დაიზარებ, მარკოვსთან რეკომენდაცია გაუწიე, იქნება ზოგიერთი ერმიტაჟისათვის იყოს საჭირო, და სხვები დაუფასოს, რომ იცოდეს რა ღირს. სომხური ფულებიც საკმაოდ აქვს. ამას წინეთ. წერილი მოგწერე, პასუხს ველოდი, მაგრამ ჯერ არ მომს[ვ]ლია. აქ კარაკაში იყო, ჩვენს კავკასიის ცოდნის უმაღლეს კურსებზე ლექციები წაიკითხა გეოლოგიიდან. პირველ ლექციაზე 150 კაცი დაესწრო, მეორეზე 120 და შემდეგობაზე 80-მდის, ხან ცოტა მეტი. ამით გამოირკვა, რომ მოსულ პროფესორებს მსმენელები ეყოლება. 21 ამ თვეს ხახანაშვილი მოდის და 3 იანვრამდის იკითხავს ლექციებს. შენი დიდი იმედი გვაქვს, რომ სააღდგომოდ თუ ზაფხულის პირათ ლექციებს წაგვიკითხავ. მსმენელები შენ უსათუოდ ბევრი გეყოლება. „ვეფხისტყაოსანის“ წინასიტყვაობის თარგმანს ველი უთუოდ. როგორმე მალე მომავლოდე, ტექსტის ბეჭდვას ვიწყებ. ნიკო, *Византийский Временник*-ის რედაქტორის⁴⁹³ წერილი მივიღე, მთხოვს საქართველოს შესახებ ბიბლიოგრაფიული წერილები მივაწოდო, შენ გირჩევიდა, რომ ჩემთვის მოემართა, ჯავახოვმა დროს უქონლობის გამო თავი დაანებაო. ეხლა მინდა შემატყობინო, რა პირობებია თანამშრომელთათვის, გონორარს იძლევიან თუ არა, ჯავახოვმა რათ დაანება თავი; ჩემთან ლაპარაკი ჰქონდა, როგორც მახსოვს, ჯავახიშვილს მაგის შესახებ და ძრიელ უყმაყოფილობას აცხადებდა რედაქტორის შესახებ. ამ რედაქტორის სახელი, მამის სახელი და გვარი შემატყობიე, შენგან რომ მივიღებ წერილს, მერმე გავსცემ პასუხს. *Византийский Временник*-ები მე არ მაქვს, შეუძლია თუ არა რედაქტორს რომ გამომიგზავნოს ძველი ნომრები. მე მგონია უარი არ ეთქმის, ვინმემ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თორემ ქართული განყოფილება მოისპობა. ველი შენგან პასუხს, როგორც წინა წერილისა, ისე ამისა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე

ჩვენებმა ყველამ მოგიკითხათ მეუღლით და შვილებითურთ შენით.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

შენ და გოგიტიძის ტელეგრაამა მივიღე. დღეს მივდივარ შინ. ძალიან მიყვირს, ექვთიმე, რომ ჩემ მოგზაურობას აგრე ადვილ მოვლენად რაცხთ. სად მაქვს მე ამდენი დრო: პეში საუნივერსიტეტო ლექციები ვამზადო, უნივერსიტეტში II ლექცია და სემინარი ხეირიანად წავმართო, ახალ ახალ გამოკვლევანი ვბეჭდო და ვბეჭდო, უზარმაზარ სემიტ. და სხვა არქეოლოგიურ ლიტერატურას ახალს მეცნიერულს თვალი ვადევნო, ზაფხულში ანისის გათხრა[ს] თავი მოვანდომო, ზამთარში მის მასალის შეკრებას და შესწავლას ცალკე მივსდიო, კიდევ მოხსენებანი საზოგადოებაში, კიდევ ლექცია ან ლექციები ანისის სამუშაო ფულის საშოვრად პეტერბურგში, ბაქოში და სხვა. მე იმას არ ვჩივი, რომ ახლა ამ შობას სულ დავიკარგე, არც შობა. არც ახალი წელიწადი გამაჩნია, საქმე თხოულობს ვითომ და რა ვქნათ, მაგრამ ვერ ხედავ, რო ვერ ვასწრობ, გრიგ. ხანძთ. შემოდევზე უნდა გამომეშვა, მგონი ვერც გაზაფხულზე მოვასწრო, ტაბლიცები გრამატ. ენკენისთვეში უნდა დამებეჭდა, ძლივსღა ფებერვალში გამოვ... შემდეგ რომ კიდევ ჩამოვსულიყავ თფილისში, რა უნდა მექნა. ლექცია წამეკითხა? რომელი ლექცია? საზოგადო ლექციებისთვის გარდა ანისისა მე არა მაქვს რა მომზადებული: საუნივერსიტეტო ლექციებისთვის მანდ, თფილისში, ვითარცა აქ ბაქოში, მასალას ვერ ვხედავ. ეგ ერთი. და თან ორი სამი დღით უნივერსიტ. კურსი ვერ დამთავრდება, ხოლო მე მეტი დრო არა მაქვს, მე საუნ. ლექციებს უნივერსიტეტში ვკითხულობ და არავითარი ზნეობრივი უფლება არ მაქვს (ფორმალურადაც რომ არ დავხედოთ საქმეს) სტუდენტების ლექციებს გამოვექცე პ-გიდან და თფილისში გაეხსნა საკუთარი სასმენელი. ესეც უნდა ვთქვა, რომ კურსების კითხვისა მე არას დროს თანხმობა არავისთვის არ მიმიცია თფილისში და მალა კურსებზე კავკაზიის შესწავლისა აწ ხომ უბრალო ლექციასაც არ წავიკითხავ, არც ერთს, არც ნახევარს. ყოველ საქმეს პატიოსნება სჭირია, ხოლო მეცნიერებას კიდევ მეცნიერული განსაკუთრებითი სიფაქიზე და რააკვირველია ცოდხა. სხვას არაფერს ვიტყვი, მაგრამ კმარა, რომ ცრუ დოცენტი ბერლინის უნივ.⁴⁹⁴, არც დოცენტი, არც მეცნიერი, არც რისმე მცოდნე, რაღაც ჩუმი ცულლუტა და, მეორე მხრით... ხახანაშვილი

მოწვეულ იქმნენ საზოგადოების თავის ბრუს დასახსნელად უმეცნიერო ვარჯიშებათ სმენითა. კმარა.

ეგ წერილი ტელეგრამის პასუხია. მე სხვა მინდოდა მომეწერა. ცდები, რომ არ დამიჯილდოვენო ჩემი წიგნი. ოქროს დიდი მედალი ჩვენში, პ-გში მეცნიერთათვის უკიდურეს სამეცნიერო ჯილდოდ ირაცხება და მას არავითარი კავშირი არ აქვს სარეცენზეტო მედალთან. რაც შეეხება ფულს, დიახ ფულით დაჯილდოებას სახელმწ, ხარჯით დაბეჭდილისა ტოლსტოის¹⁹⁵ პრემიის წესდება ნება[ს] არ იქლევა და ამისთვისაც არის ოქროს დიდი მედალი. გამოცხადებამდი ნე თვითონ არ მინდოდა მომეწერა, შენმა წერილმა მოიტანა სიტყვაჲე. არ მინდოდა, რადგან ოქროს მედალსაც მუშტარი ბევრი ყავს, მაგრამ ოლდენბურგმა მითხრა, განყოფილებამ ერთხმით გადასწყვიდაო შენი შრომის დაჯილდოება და საზოგადო კრებამ არ მგონია შეცვალოს. გამოცხადება 30 თუ 31 დეკ. არ მახსოვს.

შენი ძმა ნიკო.

წიგნებისთვის ძლიერ მადლობელი ვარ. შენი მეუღლე მომიკითხე და აგრეთვე ნაცნობნი.

122

6 იანვარი 1908 წელს

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

გილოცავ ახალ წელს და ვისურვებ შენ ჯანმრთელობას და ოჯახობით ბედნიერებას. ოლდენბურგიდან ოფიციალური ცნობა მივიღე, რომ აკადემიამ პირველი ხარისხის საპატივო ოქროს მედალი მოგისაჯაო. კიდევაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ მე კარგათ ვიცი, ვინ მომისაჯა მე ასეთი დიდი პატივი, მიზეზი, რასაკვირველია, შენ ხარ და მიიღე ჩემგან ძმური მადლობა... ამ გახრწნილების დროს ეს ჩემთვის დიდი ზნეობრივი ჯილდოა. წინეთ რომ მოგწერე და ახსნა გთხოვე, როგორ იქნა, რომ პრემია ფულით მედალზე შეცვალეს მეთქი, ეს იმიტომ, რომ არ ვიცოდი გარემოება, ვინაიდან საპრემიო წესდებულებაში არ მახსოვდა, რომ მედალზე და მასთან დიდ მედალზე რაიმე წერებულყო. ეხლა შენი ბაქოდგან მოწერილი წერილის პასუხი: შენ ჩემი და ნ. გოგიტიძის ტელეგრამა ისე მიგიღია, ვითომც ჩვენ ტვი-

ლისში ჩამოსვლა მიტომ გთხოვეთ, რომ უმაღლეს კავკასიის კურსებზე ლექციები წაგეკითხა. სრულებით ეს აზრი ჩვენ არ გვქონებია. ჩვენი სურვილი იყო, ძმურათ, მეგობრულათ, ერთი ორი დღე გაგვეტარებია, ოთახი მომზადებული გვქონდა და შენ არაფერს დაგახარჯებდით, ხომ იცი როგორ გვიამებოდა შენი ნახვა. ჩვენ ერთმანეთს ისე ვხვდებოდა ტფილისში სიჩქარის გამო, როგორც პასაჟირები ვაგზალზე და ერთხელ გული ვერ შეგვიფრებია ამხანაგურის მოლაპარაკებით ათასგვარ საქმეზე. ეს იყო და ეს ჩვენი განზრახვა. რაც შეეხება მაღალ კურსებზე ლექციის კითხვას, თუმანიშვილს⁴⁹⁶ და თამამშვეს მართლა უნდოდათ მოწვევა, მაგრამ მე არ დავეთანხმე, ვინაიდან ამას უხერხულად ვცნობდი და ამისათვის უმაღლესი კურსებრიდან შენ თხოვნა არ გამოგიგზავნეთ. მე წერილითაც გაცნობე, რომ ესლა, ესე იგი საშობაოთ, როდესაც ხახანაშვილი იყო მოწვეული, შენი ჩამოსვლა უხერხულად მიზანშეწინააღმდეგე. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შენ ალტაცებით არ მიგიღებდნენ. იწერები ბაქოსთან[ა] მასალას ჩემი ლექციებისთვის მაქ ტფილისში ვერ ვხედაო. ბაქოს საზოგადოებას, მართალია, მე არ ვიცნობ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შენ მიერ წაკითხულს ლექციას ტფილისში ანისის თხრის შესახებ 1906 წელს დიდის თანაგრძნობით და ყურადღებით მიეგებენ ორივე ჯერ. მხოლოდ შეტომა ის იყო, რომ ძრიელ მცირე გადასახადი იყო დადებული ბილეთების ფულათ და რაც სამ ლექციაზე უნდა ყოფილიყო წაკითხული, ის აუარებელი მასალა ერთ ლექციაზე წაკითხე. მე თამამად ვიტყვი და თავდები ვარ, რომ თუ ბაქოში წაკითხულ ლექციას აქ ზაფხულის პირათ წაკითხავ, ხალხი იმდენი დაგესწრება, რომ აუდიტორიაში ტევა არ იქნება, რაც გინდა დიდი აუდიტორია აირჩიო. მხოლოდ ისეთი პრემიები, რაც ბაქოში მოუციათ გასათხარათ, რასაკვირველია აქ არ იქნება თუ ჩვეულებრივათ გაზეთები არა სტყუიან შენ ბაქოში ლექციით და პრემიებით 4500 მანეთი შეგიგროვებია*. ძრიელ მოხარული ვარ, რომ ზაფხულისათვის სამუშაო თანხა გიშოვნია. აქაური კავკასიის კურსებზე არა მეცნიერები შევიკრიბეთ და ზოგჯერ რომ „უულიკებს“ იწვევენ (მე კი ღვთის მადლით მაგის მოწვევაში წილი არ მიძევს), ამაში გეთანხმები, მაგრამ კურსებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის გახსნის დასაჩქარებლად. აქოურმა მთავრობამ ასე შეხედა კურსებს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ასე მოეჩვენა კურსები — ეს არის საზოგადოება[მ] მართებულობის დაუხმარებლათ უნივერსიტეტი დაარსესო და ამიტომ სჯობია, მართებულ-

ბამ გახსნასო. მე საიდუმლოთ გადმომცეს ნამდვილი წყაროდან, რომ ნამესტნიკის ნება დართვით შემუშავებულია პროექტი, უნივერსიტეტისათვის დაუთმონ მეორე გიმნაზიის შენობა, მოსკონ კავკასიის სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში და საშუალო სასწავლებლებში და ეს ფული მოახმარონ უნივერსიტეტს. პირველად უნდა გახსნან ფილოლოგიური ფაკულტეტი. აღმოსავლეთის ენების, ფილოლოგიის და ისტორიის განყოფილებით, და აგრეთვე ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტი. არ ვიცი, განხორციელდება ეს თუ არა, მაგრამ ეჭვი არ არის, „კურსებმა“ დააჩქარა ეს საქმე. მზრუნველი⁴⁹⁷ დადის ზოგიერთ ლექციებზე და ამბობს, თანაუგრძნობ უნივერსიტეტის გახსნის დაჩქარებასო. რომ შენ დრო არ გაქვს, მე კარგათ ვიცი, მაგრამ საქმეც არის და საქმეც. ავიღოთ მაგალითი: მე ეხლა ვკითხულობ თქვენ გაწიმაწიას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. შენს იქ დასწრებას და მოხსენებებს ათის წიგნის გამოცემაზე მაღლა ვთქვი. რა იქნებოდა რომ არ მიშველებოდინ?⁴⁹⁸ ჩვენი არას მცოდნე ეფისკოპოსები გალანძღული და ამოძუებული წამოვი[დო]დენ, დამტკიცებოდა, რომ ქართველებს ავტოკეფალია არ ჰქონებია და მაგ პროვოკატორების კომისიას⁴⁹⁹ პასუხის გამცემი არ ეყოლებოდა. ამისთან[ა] დროს სხვა საქმე უნდა დატიო ისე, როგორც დაგიტოვებია და ჩვენთვის თავი მოგიბია. ასე არის, ვისაც მეტი აქვს, მეტი მოეთხოვება! აქაც შენს ლექციის წაკითხვას, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. შენ დიდი სახელი გაქვს შეგნებულს ნაწილში საზოგადოებისა. კურსებს⁴⁹⁹ ასწევს ზეით შენი ლექციები და ბევრს დაანახებებს, თუ როგორ უნდა მეცნიერული კითხვა, ეხლა ვინც მაზურიკებს ტაშს უკრავს, დაფიქრდება და აეს და კარგს გააჩვენებს, უნივერსიტეტის გახსნაში უნდა ამ მხრით დაგვეხმარო, თუ მოახერხებ და ერთ ორ ლექციას წაიკითხავ, მე მგონია ამას დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ (ჩათვლი) საჭიროთ, ძალას რასაკვირველია არავინ დაგატანს. ლექციებზე უფრო მე ჩემის მხრით ამის მთხოვნელი ვარ, რომ რაიმე პატარა მოხსენება ქართულათ ჩვენს ახალ ქართულ საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებაში წავგიკითხო ზაფხულის პირათ რომ ჩამოხვალ აქ. ხახანაშვილი მე არ მინახავს, ერთ მის ლექციაზე ვიყავი, მაგრამ ამაზე მოწერა არ ღირს. მე ხომ მიბღვერის ის, არ ვიცი კი რაზე. ჩემთან არ მოსულა და ისე არ შევხვედრივარ, ეს ერთი კვირა არ გამოვდიოდინ, ავათ ვიყავი, გავცივდინიკო გოგიტიძე ვერ არის საწყალი კარგათ, ზაფხულში უნდა გავგზავნოთ საექიმოთ საქმძღვარს გარეთ. აქ მისი სნეულება ვერ შეიტყვეს მკურნალებმა. მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები. ნინომ და ჩვენებმა ყველამ მოკითხვა და სალაში შენ და შენს მეუღლეს. Византийский Временник-ის რედაქტორს თანხმობა მოვსწერე ბიბლიო-

გრაფიულ ცნობების მოწოდებაზე. ეხლა შენ შემატყობიე, საჭიროა თუ არა აკადემიას და ოლდენბურგს მადლობა მივსწერო. როგორ არის მიღებული.

შენი ძმა ე. თაყაიშვილი.

123

1908.1.21.

ძმაო ექვთიმე,

მე უბრალოდ და უსაფუძვლოდ მათვისებ მედალის შენგან მიღებას, დამნაშავე და მიზეზი დაჯილდოების შენი შრომა არის. გულითად მოლოცვას იგიძღვნი. თუ ღმერთი გრწამს ლექციების და სტატიების ამბავს ნუ მიმეორებ. აქით სემიტურ ენათა თახა ქართულის წათესაობა, იქით ანისი და მისი გათხრა, შვაში ლექციები, ყოველმხრით სალიტერატურო და საკულტურ-ისტორიო საკითხები... სად მაქვს დრო ან მოცლა, ვისმე რამეში წავადგე. ახლა ხომ კიდევ როზენის გადაცვალეზამ წყნარი მიმდინარეობა ჩვენი წრის ცხოვრების შეცვალა, ლამის მე ამკიდონ ჩემთვის უტვირთველი ტვირთი — Записк-ის რედაქტორობა და აღმოსავლ. განყოფილების თავმჯდომარეობა, და მაშინ ხომ სულ დავიღუპე. ნეტა მაინც „Предвар. сообщ-о родстве груз. яз. с сем.“ სულ რვა გვერდია, მოვასწრო. წარმოიდგინე 4 იანვ. საღამოს ჩემთან იყო ბარონი (როზ.), წაუკითხე და ბოლოსღა დამეთანხმა!..

ძალიან აღელვებული ვარ და უდროოდ ვწყვეტ წერაღს, შენთან დიდის კმაყოფილებით გავატარებდი დროს, მაგრამ განა თფიღისში შესაძლოა?! აქ უნდა გვესტუმრო საახალწლოდ ზამთარში. შენ მეუღლეს მოკითხვა. საშა მოგიკითხავს. შინიდან ამბავი არ მომდღს, რაღაც უნდა შკირდღს ღედღს, მეშინია.

შენი ძმა ნიკო მარრი.

P. S. კარგია, რომ რეგელს თანამშრომღობას უწევ.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

არც მე გწერ, მაგრამ აღარც შენ მიხსენებ, თუმცა დავიწყებით, მგონი, არ დაგვივიწყია ერთმანერთი. „Таблицы“ მიღებული გექნება, ახლა შემდეგსა გთხოვ. თუ სასურველია და მოიხერხება, თქვენ განყოფილებაში მოსკოვ. არქეოლ. საზოგადოების წავიკითხავ როსხენებას (ერთ საათზე მეტს გასტანს, 1 1/2-მდი): „Этимология „Челеби“ (К вопросу о культурном значении курдской народности)“⁵⁰⁰ წავიკითხვა შემიძლია მხოლოდ 29 მაისს. თუ ამ პირობით, შესაძლოა და სასურველია აგეთი მოხსენება, მე, ვიმეორებ, მზა ვიქნები, ოღონდ მაცნობე წერილით ჩოხატოურში¹. სტანციაზე არ გიწვევ, რადგან არ გეცლება. თუ მოისურვებ და ხელს მოგცემს დრო, ნიკო გოგ[იტიძეს] დაეკითხე, იმას ვაცნობებ ტელეგრამით თფილისის სტანციაზე ჩემს გარებას.

გბეჭდავ რამოდენიმე მცირე შენიშვნებს და შენ კატალოგის გარჩევას „Акад.“-ის გამოცემაში⁵⁰¹. უვაროვას მივსწერე და ვთხოვე ბანის შენი აწერა, თუ დაბეჭდილია, ფურცლები, მაგრამ ხმა არ ამოიღო ალბათ, ჰგონია სანდომი არა ვარ და. შენ წინააღმდეგ იქნები. ნინა ივანოვნა მოგვიკითხე.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი .

1908.5.7.

125

1908.9.12. სპტ.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ძალიან ვიწყინე, რომ თფილისში არ მნახე, გიცადე ხუთი საათი სტანციაზე (შვილმა ხომ დაგიტოვა ცნობა, შინ თვითონ ვერ გნახა). ახლა კვატიყებ აქ, მოდი შობა აქ გაატარე, დროც გვექნება მოსალაპარაკებლად. — ანისის გათხრამ ანგარიში შემეშალა, ძალიან ხელს მიშლის და თან საჭიროც არის არა მარტო სომხურ ისტორიისთვის, როგორც ფიქრობენ, ქართველთა ისტორიისთვისაც. ანისშიც გელოდი, მგონი დამპირდი მოსვლა. — შენი მოგზაურობა და წარწერები⁵⁰² ახლა

¹ აქიდან გურიაში მივალ პირდაპირ, იქ სუთ, ექვს დღეს დავრჩები და შემდეგ თფილისით ანისში.

წავიკითხე, შვენიერი მასალაა, მაგრამ უსათუოდ სომხური ენა ცოტა-
 ოდნა უნდა შეისწავლო, სომხურ ელემენტებს მაშინ მეტ მნიშვნე-
 ლობას მისცემდი და სხვა (რეცენზიის ვაპირებ დაწერას). დახე, როგორ
 წაიხდინა წიგნი კეკელიძემ⁵⁰³ (მლდელმა): რაც ცხადია, ცხადია, და
 ახლა სომხური გავლენის უარყოფა კი არა, მისი რაოდენობა და
 განსაკუთრებით როგორაობა (ვითარება) არის საკითხი. ზომ გესმის, მის
 литург. литер. შესახებ ვამბობ, შვენიერი და მდიდარი მასალა, მაგ-
 რამ სრულებითი უმეცრული წარმოდგენა შესახებ ქართველთა ძველი
 ეკლესიის და საზოგადოდ კულტურის ისტორიის. — ახლა ვჩქარობ
 გრიგ. ხანძთელის გამოცემას და გთხოვ იგი წარწერა¹, მე რომ ჩამო-
 გიტანე. როგორც დამპირდი კარგად გადააღებინე ფოტოგრაფს და
 გამომიგზავნე საჩქაროდ, თორემ უკანასკნელ თაბახს მისგამოცემით
 ხელს ვერ ვაწერ და ვაჩერებ საქმეს. ნიკო გოგიტიძეს ჩემი გრამატი-
 კის ფულიდან, რაც დაიხარჯოს გამოართვი. შენი მეუღლე მომიკითხე.

ნ ა ხ ვ ა მ დ ი ნ ი კ ო მ ა რ რ ი .

აბა კიდევ ერთი სათხოვარი დამიჩჩა. ან დაბეჭდილი² (გინდ კორექ-
 ტურა) ან დასაბეჭდად გამომიგზავნე ეფრემის შესახებ ცნობა, რომ
 სწავლა, განსაკუთრებით ბერძული, საქართველოში შეუძენია (ტაო-
 კლარჯეთში). პროკლის კავშირის შესახებ ვებუქდავ ჩემ მოხსენებას⁵⁰⁴
 და იქ ვისარგებლებ, რასაკვ., წყაროს ჩვენებით.

ნ . მ .

126

1908 წელი, 24 სექტემბერი

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ჩემი შენ ვითხარო და გული მოვიკალიო, ისეა შენი საქმე. იური
 ყოფილ იყო ჩემს ბინაზე და დაეტიებია წერილი, რომ შენ პირველს
 იქნები თბილისში 6-დან ათს საათამდის ღამისა. პირველს თუმც ბევრი

1 ზომ გახსოვს, იწყება ასე: ღ-თ-კ და სი" და სხვა, ნაწყვეტია. როგორც შენ
 მითხარი, ეგ წარწერა ინახება საეკლესიო მუზეუმში და მასთან ჩამოტანილი ზარი
 წერა-კითხვ. გამავერტელ. საზოგადოებაში, თუ აგრე არ არის, მაცნობე და მაცნობე
 ისიც, რა ნომრებით არიან იგიც და იგიც. გარდა ამისა, თუ დრო გექნება, წარწერის
 ქვის სიმაღლე და სიფართოვე მაცნობე.

2 მე ასე მახსოვს, თითქოს წაკითხული მქონდეს შენ ერთად ერთ გამოცემაში,
 მაგრამ ვერ მივაკვლიე.

საქმეები მქონდა, მაგრამ მაინც წამოვედი ვაგზალზე, გეძებე ბუფეტებში, უბორნიებში, პლატფორმაზე და ვაგონებში, არსად არ იყავი, საათ ნახევარი ბუფეტში დავრჩი, შემდეგ სტანციის მახლობლათ სასტუმროებში გეძებე და რა კი ვერ გნახე, გადავსწყვიტე, რომ შენ ან ვერ მოასწარი იმ დღეს ჩამოსვლა, ან იურიმ რიცხვი მართლად ვერ გვაცნობა. საშობაოთ მოსვლა ჩემი მაქ არ ვიცი მოხერხდება თუ არა. ანისში მინდოდა მოსვლა, მაგრამ შენს წერილს ველოდი, აკი დამპირდი ბაზილიკის თხრას რომ დავიწყებ, შეგატყობიებო; სომხური შეისწავლეო, იწერები, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩემი გარეთობა მოგეხსენება, დღეში ხუთ გაკვეთილს ვაძლევ, რომ ლუკმა პური ვიშოვო, და დრო უბრალო მასალის დამზადებისთვისაც არა მაქვს, ეხლა კიდევ საზოგადოების (საისტორიო და საეთნოგრაფიოსი) ბევრს დროს მართმევს. თანაც კიდევ აქაურმა გათახსირებულმა ცხოვრებამ ლამის სასოწარკვეთილებაში ჩამაგდოს, მე ველარ ვხედავ კაცს ან ცოდნა რომ ჰქონდეს, ან ჰქუა და ან შეგნება. რა ღმერთი გაგვიწყრა არ ვიცი! ასე თუ გასწია, გადაშენება მოგველის. შენი ჰოროხის ხეობიდან ჩამოტანილი ქვა ინახება წერაკითხვის საზოგადოებაში და ზარი საეკლესიო მუზეუმში, ნომრები არც ერთს არ უზის, თუმცა ნივთთა შემოსავლის დავთარში მეცამეტე რიცხვით არის ჩაწერილი, ფოტოგრაფიულს სურათს წარწერისა გიგზავნი. ქვა ეხლა ორათ არის გატეხილი. მაგრამ სურათისთვის ჩვენ შევეერთეთ. გადალება ჩვენ ვიკისრეთ. შენ ქვა ჩამოგვიტანე და შემოგვწირე და ჩვენ ვალდებული ვართ სურათი მოგაწოდოთ. ეხლა ჩემი სათხოვარი. მაქ ბარონ როზენს თამარ მეფის გუჯარის ფაქსიმილიე გამოუგზავნე⁵⁰⁵ სხვა სურათებთან ერთად. სხვები მივიღე უკან და ის ფაქსიმილიე და ვგონებ ნიკორწმინდის წარწერების გარჩევაც მასთან დარჩა, ეხლა ვინაიდგან საეკლესიო მუზეუმის გუჯარებს ვებქდავთ ერთათ და მასთან ერთათ ფაქსიმილიეებიც გვინდა გამოვსცეთ. ამიტომ გთხოვ მომინახო და ის ფაქსიმილიე და სხვა რაც არი მალე გამომიგზავნო. ამას გარდა მომწერე შენი აზრი, როგორ სჯობს გამოვსცეთ გუჯარები უძველესი დროისა და სხვებიც ისე, როგორც მე გამოვეცე პირველი ტომი „საქართველოს სიძველენისა“, თუ თავისავე ნიშნებით და შემოკლებულათ, როგორც დედანშია. საზოგადოთ გვინდა „საქართველოს სიძველენის“ სათაურით გამოვსცეთ ყველა სიგელ-გუჯარები, რომელნიც ამჟამად საქმოდ გვაქვს შეკრებილი. შენი აკადემიის წევრად არჩევის საქმე როგორ არის?⁵⁰⁶ ისე უსვენდისობები როგორ იქნებიან, რომ ეხლაც შეგაცილონ. დირს⁵⁰⁷ დოქტორის ხარისხი მიუღია honoris causa მიუხეხნის უნივერსიტეტისაგან. გასაკვირალაია, როგორ ადვილად იღებენ

ასეთ ხარისხს უცხოელები ერთი ორი სტატიით კავკასიის შესახებ. შენი მეუღლე და შვილები მოგვიკითხე. ჩვენგან საყვედური, რომ არ შემოგვიარე, ვაგზლიდამ ჩვენამდის ხუთი მინუთის გზა არის ტრამვაით..

შენი ძმა ე. თაყაიშვილი..

ეფრემ მცირის შესახებ ეს ცნობები მაქვს: გელათში არის დაცული შვიდი დიდი წიგნი, „მეტაფრასისა“, გადაწერილი 1565 წელს. ერთ ამ წიგნში სიმეონ ლოლოთეტის⁵⁰⁸ მოღვაწეების ჩამოთვლის შემდეგ მოყვანილია ეფრემ მცირეს მიერ ცნობები, თუ ვის უთარგმნია ქართულად „ახალნი მოწამეთანი“. ამ ცნობებიდან გამოდის, რომ დავით ტბელს⁵⁰⁹ უთარგმნია „წმიდისა არტემისი და კრიტელთა და ელევეთრისი“, გიორგი მთაწმინდელს უთარგმნია „წმიდა გიორგისი და თეოდორესი და სასწაული წმიდისა თეოდორესი“; სტეფანე სანანოს ძესა⁵¹⁰ უთარგმნია „საკითხავი დაუჯდომელთა და ცხოვრებაჲ თეოკტისტე ლეზფელისაჲ და სხვანი“. ხოლო წმიდა ეფთვიმის უთარგმნია „ლოლოთეტისა შეკაზმულთაგან კლემენტოსი ოდენ და წიწსა პროკოპისი“. შემდეგ განაგრძობს ეფრემი: „ამათ წმიდათა მამათა მადლითა და კადნიერად ღვთისა. მიერთ მეოხებითა და ლოცვითა ბერისა ჩუენისა საბაჲსითა მეცა საწყალობელი და უღირსი სახისა და სახელისაჲ ეფრემ მცირე და უნდოჲ მონაზონი ღირს მყო და არა გარე მიმაქცია წყალობაჲ აურაცხელნი ღმერთმან მეოხებითა მშობლისა მისისაჲთა და ყოველთ წმიდათაჲთა მოსლვად ფერკთა თანა ზემოკსენებულისა ბერისა საბა თუხარელისა⁵¹¹ სულის ძისათა, რომელმან ქრისტეს მიმსგავსებულთა სახიერებითა მიტკრთა ყამსა სიუცბისა და სიკაბუკისა ჩემისასა და სხვათავე ყოველთა ქველის მოქმედებათა თანა ესეცა იჩინა ჩემ ზედა, რომელ ბერძულისაჲ წიგნთა კითხვისა სწავლათა ილუაწა ჩემთვის ადგილსა შინა ჯეროვნად მომზადებულსა, რომელ არს მონასტერი წიწსა სვემონ საკვრველთ მოქმედისაჲ, რომლისა მეოხებითა და ფარვითა დედისა მისისა მართასითა ვისწავლე რაჲმე, დაღაცათუ არა შემსგავსებულათ ღუაწლითა და წარსაგებელითა წიწსა მის ბერისათა, არამედ ფრიად უმეტეს ძალისა და მოსწრაფებისა ჩემისაჲ: და მასვე ყამსა ბრძანებითავე და წარსაგებელითა მისითა ვთარგმნენ ესე რაოდენნიმე საკითხავნი ლოლოთეტისა მეტაფრასათაგან“... მერმე ამბობს ყველაფერი ჩემი კარგი საბაჲს მიზეზიაო, და კვლად განაგრძობს: „ამას ყა თანა და უპირატეს ყოვლისა (ყიწსა) თანა დადგინებითა სათნოესა და სარწმუნოესა მოწაფისა მისისა (ესე იგი საბა თუხარელისა) და მამისა ჩიწსა ეფრემ ოშკელისაჲთა, რომელი იგი მეცნიერ იყო კითხვასა და გაგონებასა ბერძულ-

ლისასა და კეთილად სწავლულ ქართულთა სიტყუათა შეწყობილებისა და ამით ორთავე ორკერძოვე ჰმართებდა და განაგებდა ნაკლულევა-ნებასა ჩემსა, და რათა მოკლედ ვთქუა ყოველივე კეთილი ღმრთისა მიერ და კაცთა ჩემ ზედა მომა (sic) ყოველი ბერისა საბასი არს... შემდეგ სიტყვებიდან ვტყობილობთ, რომ ჩვენ მიერ აქამომდე უცნობი ეფრემ დიდი ეფრემ ოშკელი⁵¹² ყოფილა. მას დიდს ეძახის და თავისთავს მცირეს. ეს ცნობები ზეჲ ჩერ არსათ დამიბეჭდავს. შენს პალესტინაში და სინას მთაზე მოგზაურობას როდის დაბეჭდავ. ძალიან დაგიგვიანდათ გამოქვეყნება. ჩვენი კრებულისა (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა) რაიმე მოგვეცი, ან მასალა, ან გამოკლევა პატარა, რომ პირველ კრებულში მოვათავსოთ, დეკემბრისთვის გამოვა კრებული. ყველანი ძრიელ მადლობელი დაგრჩებიან. ჯავახიშვილი უნდა შემოსულიყო ჩემთან, ქსნის ხეობის აწერილობა ვიპოვნე⁵¹³ და მიწოდდა გადამეცა, მაგრამ აღარ შემოვიდა, მასაც აქვს სხვა დედანი, და მეგონა მისთვის საინტერესო იქნებოდა შესაღარებლათ, მაგრამ აღარ შემოვიდა, ალბათ არ უნდა.

ე. თ.

127

{19}08.წ.30. სპ-გო.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

რაც გთხოვე, ყველაფერი მივიღე და მადლობაზე ან მადლიერზედ უმადლიერესი ვარ. მშვენიერად არის გადმოღებული წარწერა. ვმადლობ გადმომღებს ცალკე და ვინც ხარჯი იქისრა, იმას კიდევ ცალკე.

შენ თხოვთაგან: 1) ბარონის ქვრივთან⁵¹⁴ წავალ და ამბავს შევიტყობ, თუ აქ დარჩა, მონახება უსათუოდ¹, 2) თქვენი კრებულისთვის, უთხოვრადაც ვფიქრობდი და უსათუოდ ვეცდები რასმე, მაგრამ წარმოიდგინე (შენ თუ ვერ წარმოიდგენ, ვერავენ ვერ წარმოიდგენს), ჩახჩობილი ვარ ამ და წყებულ შრომებში და ვერც ერთს ვერ ვათავებ. მინდა წელს ლიქვიდაცია უქნა და ხელნაწერების აწე-

¹ ვიყავი და შევიტყვე, რომ ეგ ქალაღები ყველა გადაუცია ეუკოესკისათვის, იმან დამპირდა გადათვლიერება, მაგრამ დღემდე პასუხი არ მოუცია.

რის (სინაჲს) და ქართ. გრამატ. ბეჭდვას მოჴადგელა!... ხანძთელი რომ შემირჩა ამდენ ხანს, არ კმარა სირცხვილად!... ვცდილობ დამთავრებას.

[10]08.10.28.

აი, როდის ვიგდე ხელში დრო წერილის გასაგრძობად. ლექციებს ცალკე მოაქვს დრო. ცხრა საათი მაქვს, და ზოგი (უმრავლესობა) ახალი კურსია, მაგრამ ვისთვის. სომხური დედნის სამლო წერილის გადმოთარგმნის ისტორია და ქართული გრამატიკის ნაწილი (სიტყვების წარმოება და უცხო ენების გავლენა) მეტად საინტერესოა, მაგრამ... მსმენელნი !! არიან ოღონდაც, ხოლო ასეთი მოუმზადებელი, რომ თავის თავს ძალიან უბედურად და ობლად ვერაცხი.

მინდოდა მაინც პატარა მოხსენება მომემზადებინა შენთვის, თქვენი საზოგადოებისთვის, კიდევაც დავიწყე, „სომხურ-ქართული ძველი განწყობილების მნიშვნელობა საქართველოს სიძველეთა შესწავლაში“, მაგრამ ისე დაუმთავრებლად შემრჩა, როგორც ეს წერილი, თითქმის ერთი თვე წინ დაწყებული. ჩემი აკადემიის წევრად არჩევის საქმეს მეკითხები. უფრო ადრე ჩინეთის მანდარინად დამნიშვნენ, ვიდრე ასეთ აღმორჩევას ველირსები. ვერ წარმოიდგენ იმ უნამუსობის სიღრმეს, რომელიც აქ მინახავს ჩემ მომართ და, ეჭვი არ არის, შემდეგში ისევე იმ უფსკრულად დასტოვენ ჩემთვის, თუ ვინმე სივრცეს მისცემს, თორემ ჩემი ხიდის მშენი არ ვინ არის. ჩემი გრამატიკის (ქართულის) გამოცემამ უფრო გააძნელა ჩემი კანდიდატობა მხოლოდ ერთი ნუგეში მაქვს პიროვნული კმაყოფილებისთვის, რომ ოდეს მოვკვდები მგონი ესეც არ დაიგვიანებს; მაშინ კარგ სიტყვებს ბევრს იტყვიან, რადგან მეგობრები თუ არა, კეთილისმსურველნი აქ ბევრი მყავს და მაშინ ყველა მომიხსენებს. რომ დრო ხელს მაძლევდეს, შავ შავ ფიქრებმა სული უნდა შემიხუთოს... მაგრამ ასე სჯობს იქნება, რომ არ მიჩვევნი და არც ამიჩვევნი, თუმცა არჩევა მჭიროდა მოღვაწეობის გასაფართოებლად, თანამშრომელთა მოსაწვევად, ბეჭდვის საქმის წინ წასაწვეად და სხვათა შორის ქართულ ლექსიკონის მასალების შესაკრებლად და სხვა და სხვა, მაგრამ შესაძლოა, რომ ამოქვეყრჩიეთ, ის მოღვაწეობის შეძლება დამკარგოდა, რაც ახლა შემწევს... ჭავახიშვილის ამბავს ნუ მეუბნები. წარმოიდგინე, ორი თვეა თითქმის რაც დავბრუნდით, მისი ფეხი არ მინახავს ჩემ სახლში. რა ჩემი შავირდობა არის ასეთი შავირდობა, ან რა უბედური კაცის-შვილი შევიქენი, რომ მეცნიერული განწყობილება ჩემთან შეუძლებელი იყოს ამდენად (ოჯახურს და პიროვნულს ხომ არვის ვაძალებ). ბოლოს ერთი სათხოვარი მაქვს. საშობოდ აქ ჩამოიმგზავრე და ჩემ-

სას ჩამოხტი, კაბინეთი ჩემი შენთვის მითავაზებია და დროც გვექნება ვიმუსაიფოთ, მართლა გითხრა ჩამოდენიმე წელია, ჩვენ არც შოგვი-ლაპარაკია ხეირიანად. აქ კი კიდევაც მოისვენებ. ოჯახობა მომიკოთხე.

შენი ძმა ნიკო მარარი.

[1908]

128

ძმაო ნიკო

შენც რომ არ მოგეწერა, ისეც გადაწყვეტილი მქონდა ამ საახალ-წლოდ პეტერბურგში მოსვლა და შენთან საქმეებზე მუსაიფოთ და მოლაპარაკებით დატკობა, მაგრამ აქაც ბედმა მიმუხთლა. უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევა, როგორც მოგხსენებია. სულ უბრალო მიზეზის გამო (კრესლოდან ჩამოვარდი, უფებო ყოფილიყო) ხელი ვიღრძნე, ერთხელც ნაღრძობი მქონდა, ძრიელ გამომიზეზდა და ახ-ლაც მტკივა. ამას გარდა გულითაც ავათ ვარ, დოხტურებ[მა] მიიხ-რეს, „სკლეროსი“ გაქვსო. მე კი არაფერი მაშინებს: ამდენხანს რომ გავსძელი, ისიც მიკვირს. ხოლო ერთი სურვილი მაქვს, როგორმე მო-ვასწრო და გამოვაქვეყნო ის მასალები, რომელნიც ხელთა მაქვს.

ამის გამო ძრიელ ბევრს ვშრომობ, ხუთს გაკვეთილს ვაძლევ დღეში (უამისოდ ცხოვრების სახსარი არ მექნება) და სხვას დროს კორექ-ტურას თუ მასალის დამზადებას ვანდომებ. საისტორო და საეთნო-გრაფიო საზოგადოების კრებულის გამოცემას¹⁵ ბევრ დროს მართმევს. სიგელ-გუჯრებს ვბეჭდავ. ხელთნაწერების აღწერის III წიგნ. გავა-თავე და ამ დღეებში მოგივა, 240 გვერდია. მე IV წიგნ. დავიწყე და მინდა მასში მოვათავსო „ქართლის მოქცევის“ შატბერდისეული ტექს-ტიც და მეორე ჭელის ვარიანტის ტექსტიც პარალელურად.¹⁶ ვი-ნაიდგან განსხვავება იმდენია, რომ ერთ ტექსტათ დაბეჭდვა შეუძ-ლებელია. ტექსტები დედნისებრივ შემოკლებულათ იქნება დაბეჭ-დილი. „ვეფხის-ტყაოსანის“ ტექსტის ბეჭდვა დავიწყე¹⁷, მაგრამ ეხლა უდროობით ცოტა შევაჩერე, სიგელ-გუჯრების დაბეჭდვას ვე-შურები უფრო. ამასთან კიდევ ლობატინსკი ძალას მატანს Зан. Кавк. отд. Моск. Арх.Общ.-ას მესამე წიგნს¹⁸ შეუდგეჟიო. „ვახტანგის სამართლის“ გამოცემაც განიზრახა ჩვენმა ქართულმა საისტორო საზოგადოებამ ჩემის წინადადებით¹⁹, მაგრამ ტექსტის შესადარებლათ წევრები იშვიათათ იკრიბება და მალე კი ბოლო არ მოეღება. შენი წერილის მიღების შემდეგ ატენის ხეობაში წავედი ერთი დღით. იქ

სხვათა შორის ერთი ხელნაწერის ნაწყვეტი ვიპოვნე⁵²⁰, რომელსაც ჩვენი ინტელიგენტები ფეხით თელვიდენ და რისთვის არ გინდა ქალაქი ხმარობდენ. ეს ნაწყვეტები წარმოადგენს ნაკლებს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებას“ და ამ „ძეგლის დებას“ ზედვე მოსდევს „განგება მეფის კარისა“ ანუ „დასტულამალი“, რომელიც, ჩემის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს გიორგი ბრწყინვალეს, შიგა და შიგ სანახევროთ არის დაცული, და ბოლოს რამდენ[ი] აკლია, ღმერთმა უწყის, მაგრამ რაც დაცულია, ისიც ძრიელ საინტერესო ცნობებს იძლევა. მაგრამ ცნობები მოკლე ფრაზებით არის შედგენილი, ზოგჯერ აზრი გაუგებარი რჩება და მასთან აუარებელი სიტყვები და ტერმინები, რომლის მნიშვნელობა ჩვენს ლექსიკონებში არ მოიპოვება. ხელნაწერი გადაწერილი მაქვს, მინდოდა ჩვენი საზოგადოების პირველ კრებულში დამებეჭდა, მაგრამ არ ხერხდება. შენ უსათუოთ უნდა დამეხმარო სიტყვების[ს] და აზრების განმარტებაში, მალე მთელ გადაწერილ ტექსტს გამოგიგზავნი და თუმცა აუარებელი საქმეები კვაქვს, მაგრამ აპისათვისაც დრო უნდა იშოვნო. დაწმუნებული ვარ გიამება ამ საბუთის ნახვა და შენ სიტყვების ახსნა არ გაგიჭირდება. ქსნის სტატისტიკური აწერილობა გამოუგზავნე ივანე ჭავჭავაძისთვის. შენი დაშორება მას სარგებლობას არ მოუტანს. იქნება რაიმე უბრალო მიზეზია, ის ეჩვენება შენი მხრით, რაც არ არის, და ისევ შენ გაუადვილე შენთან წინანდებურათ დაახლოვება. მისი ისტორია გადავიკითხე. მთვარეს კულტის შესახებ მშვენიერი გამოკვლევაა, სხვა კი ხაჩქარავია და ზოგჯერ სუსტიც. მასთან ისე ცუდათ არის დაბეჭდილი და იმდენი კორექტურული შეცდომებია, რომ ძნელი საკითხავია. ისტორია ჩემის აზრით ან მეცნიერული უნდა იყოს, ან პოპულარული მოთხრობა უკვე გამოკლეულისა, ეს არც ერთია და არც მეორე, ავტორს კი ორივეს შეერთება ჰქონია სახეში. ტყულა ამბობს, რომ საქმაო საბუთებია ქართული ისტორიის დასაწერათო, მისივე შრომიდან სჩანს, რომ საქმაო საბუთები არ ყოფილა. შენ წერილს, ნიკო, პესიმისტური კილო ეტყობა. ამის შესახებ უნდა მოგწერო ორი სიტყვა: ბედს ტყულიათ ემდური. თუ გახსოვს, ერთხელ მე და შენ გადავწყვიტეთ მაქ სტუდენტობის ყოფნის დროს, რომ აქ ტფილისში წამოვსულიყავით ორთავე, და აქ გვემუშავა საზოგადო ასპარეზზე, ან გაზეთის გამოცემით, ან სწავლა აღზრდის გავრცელებით და სხვა. შენ კიდევ მოთხარი, ევროპას ჩვენ ვერ გავანათლებთო, იმათ ისიც ეყოფათ, რაც აქვთო, ჩვენი ხალხის წინააწივას ვეცადოთო. მე კიდევ უნდა მომეწერა აქოური გარემოება, რაკი მე აღრე წამოვედი პეტერბურგიდან. მერმე შენ მომწერე, სომხური ენის განყოფილებაზე მტოვებენო და მე სომხური არ მინდაო, მე ქართული მინდაო. თუ გახსოვს

მე მაშინ მოგწერე და ძმურის გრძნობით გირჩიე, ჩინურიც რომ მოგ-
ცენ, მაქ დარჩი მეტქი. პროფესიონობას რომ მიიღებ, რა საგანიც გე-
პროიანება მერმე იმის კვლევას შეუდგები მეტქი და აგიწერე მგონია
ჩვენი საზოგადოების აქაური არარაობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ
შენ აქ მოსულიყავი და შენებურათ წრფელის გულით შესდგომოდი
საზოგადოების სამსახურს, დღეს ცოცხალი არ იქნებოდი, ისეთი ჯო-
ჯობეთური ატმოსფერაა აქ და ისე გახრწნილია საზოგადოება. რასა-
კვირველია, ცოტათ თუ ბევრათ ინტრიგები, უსიამოვნობა, უწესობა,
უცოდინარობა და უსამართლობა მაქაც ყველა საქმეში საკმაოდ არის.
მაგრამ აქოურს, მერწმუნე, მაინც არ შეედრება. ამისათვის მე შენ
ყოველთვის ბედნიერათ მიმაჩთი, რომ მაქ დარჩი და პროფესორათ გახ-
დი. რაც არ უნდა იყოს, პროფესორი მაინც თავისუფალი კაცია, გა-
ხრწნილი საზოგადოებისაგან და მართებულებისაგან ისე დამოკიდე-
ბული არ არის, როგორც სხვა. საქმის გაკეთება შეუძლია, თუ მოინ-
დომა. შენ რაც გაგიკეთებია ჭერეც, ათს პროფესორს ეყოფა ღვაწ-
ლათ. ჩემი თხოვნა ეს არის, რომ თავს გაუფრთხილდე, მოუარო, ნა-
მეტარი არ დაქანცო, შესვენება იცოდე და უმეტესად ის აკეთო, რაც
სხვას გაკეთება არ შეუძლია შენს მეტს. რასაკვირველია ამ სხვა საქ-
მესაც შენსავით ვერვინ გააკეთებს, მაგრამ ისეთი აგნებიც არის,
რასაც სხვა სრულებით ვერ გააკეთებს, მაგალითათ ქართული ენის
გამოკლევა, მისი დაწვრილებითი გრამატიკა, ლექსიკონი, სინტაქსი და
სათავე და საფუძველი; თარგმანი ძნელი ტექსტებისა და სხვა, რასაც
მრავალი ენის ცოდნა უნდა, და შენსავით მომზადება. რაც შეეხება
თხრას (თუმცა ესეც ძრიელ საქირთა) და ტექსტების გამოცემას (თუმცა
ამასაც შენსავით ვერავინ შესძლებს), მაგრამ აქ კიდევ გამოჩნება
(უნდა ვიმედოვნოთ) კაცი, რომელსაც ასე თუ ისე შეეძლება ეს საქ-
მეები, მაგრამ ენის გამომკლევს კი შენისთანას ჩვენი საზოგადოება
ძნიალ თუ ოდესმე იშოვნის. შენ რომ ენას გამოუდგე, იქნება ყველა
კავკასიის ენების, ვანის ენის და სხვების საფეხური და წარმომდინა-
რეობა აშკარა ჰყო მთელი კაცობრიობისათვის. შენი ტაბლიცების შე-
სახებ უარყოფითმა კრიტიკამ არაფერი არ უნდა შეგიშალოს და ეგეც
უნდა იცოდე, რომ ეს კრიტიკა უმეტეს ნაწილი თვით შრომის უს-
რულობაზეა დამყარებული, როდესაც ვრცელათ გამოაქვეყნებ გამო-
კლევას და ყველა მოვლენას ახსნი, მაშინ სხვაა. რომც ვერ დაამტკი-
ცო შენი რთული თეორია, იმ შემთხვევაშიაც ქართული და სომხუ-
რის ენების გამოკლევა და ისტორია ძირიანად გადაბრუნებული იქ-
ნება და მთელი კაცობრიობისათვის საყურადღებო. ნეტაი მაქ ვიყო,
რომ ტექსტების გამოცემა გაგიადვილ და შენ იმის საშვალეება მოქ-
ცე გააკეთო, რაც სხვას გაკეთება არ შეუძლია. აკადემიაში აგირჩევენ

თუ არა, ეს სადარდელი არ არის. მაგ პოზიციიდანაც ბევრს გააკეთებ. შენი აკადემიკოსათ არჩევა მარტო ჩვენთვის იქნებოდა კარგი, საშვალემა მოგვეცემოდა იქ მუშაობისა და ქართული და სომხურის შესახებ მასალების გამოცემისა. მე კიდევ ძრიელ მწამს, რომ შენ ვერ შეგაცილებენ, აკადემიკოსობას. ასე, ჩემო ნიკო, ხომ იცი, რომ პირმომფერე კაცი არა ვარ. თუ ამას ვამბობ წრფელის გულით, მარტო იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, სხვა ნიკო მარტი ძნელად თუ ოდესმე ეღირსება ჩვენს ერს. თაყაიშვილები კი ბევრი იქნება და ამის ნიშანი ახლაც არის. ჩვენებმა ყველამ მოგიკითხა და მოგილოცა ახალი წელი შენ, შენს მეუღლეს და შენს შვილებს. ჩემგანაც ყველას სალამი.

შენს დაწყებულს სტატიას ჩვენი კრებულისთვის უსათუოთ ველით. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. თუ მოვახერხებ და თლათ ცუდათ არ შევიქენი, იქნება სააღდგომოთ მოვიღე მაქ.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

120

1900.1.4.

ძმაო ექვთიმე,

შენი ავადმყოფობის ამბავით ძალიან შემაწუხე. ამ ავადმყოფობის შემდეგ კიდევ უფრო მიკვირს, რომ მე მწერ თავს მოუარეო, როცა დასტურ თავს მოსარები შენ ხარ, ესე იგი შენ ყოფილხარ. ამდენი სენი რომ შემოუტყრებიათ ექიმებს და შენთვის მოუხსენებიათ, განა ასე გადაწყვეტით შეუძლია თქვან, რომ ნამდვილს ამბობენ? არ შემიძლია დავიჯერო, რომ შენ ორგანიული ფიზიკური ავადმყოფობა გქონდეს. უფრო ნერვებს, ძარღვობრივ დაქანცულობას მივაწერ, რომელიც, შესაძლებელია, თავს იჩენს შედარებით სუსტ ნაწილებში და ადგილობრივ ხასიათს იღებს. ყოველშემთხვევაში შენი ჩვეულებრივ ფიზიკური და ჩვეულებრივზე უფრო ცოცხალი წერილი ნუგეშს მაძლევს, რომ რალაც დროებით უძლურებას შეუპყრინხარ და თუ თავს კანონიერ ექიმობას ან, რაც უკეთესია ექიმობაზე, ბუნებრივ ვლას დაუქვემდებარებ, ადრე გათავისუფლდები.

რომ აღარ მოხვიდოდი აქ, საქმიდან ვიცოდდი, ამდენ ხან აქ უნდა ყოფილიყავ, და შენ მოუსვლელობის ფიქრს შეუერიგდი, მაგრამ წერილმა აქაც ამ საკითხის შესახებაც, მაწყინა. ეგ რა უბედურობა გად-

მოვარდნა იყო სწორეთ ამ დროს? ახლა ვფიქრობ, იქნება აჭაურ ექიმებს ენახე და ნამდვილი შეგვეტყო, უკაცრავად შენ აქიმებთან (მე მათ არ ვიცნობ და ეჭვი არ მაქვს, რომ უკეთესნი და მცოდნენიც არიან). მაგრამ რამდენჯერ მინახავს უკეთესთაცა და მცოდნეთა ძირითადი შეცდომა თვით ჩემი თავის შესახებ. ორჯერ სიკვდილი გადამიწყვიდეს, მაგრამ თუ ახლაც მთლა კარგად არა ვარ, მიზეზი მათი ნაჩვენები ავადმყოფობა არ არის.

მოგილოცავ ასეთ მშვენიერი მასალების მოპოვებას⁵²¹ და, რასაკვირველია, უსათუოდ და დაუყონებლივ აღვიხსნი, თუ შევეძელი, ყველა ტერმინებს, ძალიან მაინტერესებს.

რაც ჩემ შესახებ იწერები, გარდა ჩვენ პიროვნებათ შედარების, სადაც, მწამს გულწრფელად, მაგრამ მაინც აჭარბებ. უსათუოდ ჩემ სიდიადეს და შენ სიმცირეს, მაშა სხვასა, რასაც იწერები ჩემ შესახებ, უმეტეს ჩემი მომავალი ან აწინდელი მეცნიერული მოღვაწეობის ჭეშოროვანი მიმართულებით ან მხრით წაყვანის შესახებ, სრულებით საფუძვლიანად ამბობ. მეც კაიხანია ვხედავ, ასეთი უადგილოდ ჩემი შრომის ხარჯვა კმარა. კაი ხანია მინდა ერთად ერთ და უმთავრეს საკიანის დამთავრებას შეუდგე. მაგრამ შეუძლებელი იყო და ახლაც, მართალი გითხრა, შეუძლებელია იმ თავადი საკითხის წინ წარმატება, თუ გეზად არქეოლოგიური და ლიტერატურული, საზოგადოდ კულტურული წარსულის კვლევას არ ვდიე. სიტყვები და საზოგადოდ ენა, მისი ცვლილება, მაშასადამე მისი აღრინდელი (პირვანდელი) სქემის სინამდვილით და დაჭეშმარიტებით წარმოდგენა შეუძლებელია, თუ წარსული რეალური ცხოვრების შესახებ შესატყვის ერთა დაახლოვებით სიმართლის მსგავსი ცოდნა არ მექნება. სხვათა შორის სომეხთა და ქართველთა ნამდვილი დამოკიდებულების (ისტორიულის) უფრო ღრმად შეგნება ისეთ პერსპექტივებს მიშლის წინ როგორც ლინგვისტს, რომ შეუძლებელია თვით ზოგიერთ ფონეტურ კანონებისთვის მიმეკვლია უმათოდ, ხოლო ნამდვილი გზა რეალური ცხოვრების შეგნებისა, წარსულის რეალურად წარმოდგენისა არის ისევ არქეოლოგია, ისევ ანისის გათხრა! მიუხედავად ამისა, მე კაი ხანია მინდა მივაგდო ეგ გათხრაც. მინდა ყველა სხვა შრომები მივაგდო და ყველაზე აღრე გათხრის საქმე, მინდა ერთი სიტყვით, სწავლა შეეწყვიტო და რაც შემიტყვია ამდენ ხანს[ს] და მისწავლია, რაც უკვე მზად მაქვს ენის შესახებ გამოკვლეული, ის გამოვაქვეყნო. ეს ორი წელიწადი უკა-

¹ აღარ ევარძელებ სიტყვას თვით ქართული ტექსტების შესწავლის და ისე გამოცემის საჭიროების შესახებ ლინგვისტისათვის, ბიბლიის, დედნის შესწავლის საჭიროების შესახებ და სხვას.

ნასკნელი ამ რიგზე მიმყავს საქმე, ლიქვიდაციას უშობი ძველ დაწყებულ საქმეებს და ყველა თავისუფალ წუთს ქართული, საზოგადოდ იაფეტურ ენათ ღრამატიკის გამოცემას ვანდომებ. მგონი, ქართულზე ადრე ლაზურ-მეგრული (ივერიული) ენის ღრამატიკა გამოვაქვეყნოწელს დასამთავრებლად ერთი თვით ლაზებში მინდა დავრჩე, თუ საშვალეა ეიშოვე და მაისში გამომიშვეს. — რომ რასაც ვოცნებობდი, ის მომხდარიყო, ადვილად, შედარებით ადვილად მოვიურვებდი საქმეს. ვოცნებობდი მოწაფეთ გამრავლებას და მათზე აურაცხელ და აუარებელ საკითხების და შრომების დანაწილებას, რასაკვირველია, მათი სურვილის და დამოკიდებულებათ შესაფერად. ეგ ოცნება გამიცრუვდა. ისე არ ვნანობ, რომ ამდენ ხანს დავიგვიანე გამოქვეყნება. აღრინდელ შრომებმა საზღვარგარეთ სახელი მომიხვეჭეს და თუმც Meillet-მა⁵²² სასაცილო, უსაფუძვლიანი შენიშვნა მითავაზა⁵²³ Peeters-მა⁵²⁴ ძალიან საქმიანი შენიშვნა უძღვნა ჩემ „Тибето-“ებს, განსაკუთრებით მის წინასიტყვაობას, და თუმც ცოტა მასაც მოუვიდა შეცდომა, მაგრამ დედა აზრი მშვენივრად გამოხატა და საქმის, ჩემი საქმის სიძნელე საზოგადოებას გაუთვალისწინა, მიმართვით, გამიადვილონ დაკვირვებით და სიმართლიან კრიტიკით და არა ლაზლანდარობით. რადგან სხვათა შორის ამბობს, მარრი ცნობილია სინილისიერი მეცნიერადო და საქმე როგორც უნდა გადაწყდეს, წინ წამოყენებულ საკითხს ყურადღება უნდა მიექცასო. აი ნამდვილი მისი სიტყვები მე-3 გვერდზე, სადაც ამთავრებს თავის შენიშვნას:

„არ გვინდა ავტორს ამ საკითხში მაინცდამაინც გამარჯვება ვუწინასწარმეტყველოთ (აღვუთქვათ), მაგრამ სათანადო პატივი კი უნდა მივაგოთ მას, რადგან მის ნაშრომს არაფერი აქვს საერთო. იმ შარლანურ იმპროვიზაციებთან, ეგზოტიკური ენების შესწავლას რომ იმიზეზებენ ხოლმე.

წარმოუდგენელია უფრო კეთილსინდისიერი ან უკეთ მომზადებული ყოფილიყო კაცი, ამ რთული გამოკვლევის ჩასატარებლად. ცხადია, შეიძლება შესანიშნავად ფლობდე ენას, მაგრამ არაფერი გაგეგებოდეს იმ მეთოდისა, რომელიც მის წარმომავლობაში გაგარკვევს. ბუნებრივია ისიც, რომ ლიტერატურის ცოდნაც დიდ უპირატესობას ვანიჭებ. ზოგიერთი ცნობილი პოლიგლოტისაგან განსხვავებით, დაჯერებულად რომ მოგვითხრობენ ისეთი ენის ისტორიას, საიდანაც

სტრიქონსაც ვერ გითარგმნიან, ნ. მარი საუბრობს მისთვის. ნაცნობ ამბებზე, მის საფუძველსა და საწყისზე. სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში მას სწორი არა ჰყავს და არაბული ტექსტების შესანიშნავი პუბლიკაციებით საპატიო ადგილი დაიმკვიდრა სემიტურ ფილოლოგიაშიც. მისი ვრცელი ნაშრომი გამოირჩევა ზედმიწევნითი სიზუსტით. სამწუხაროდ, მისი ერუდიცია მრავალ ზოგად მასალასა და აბსტრაქტულ საკითხებზე იფანტება და მკითხველს, რომელსაც შორით ტკობა არ აკმაყოფილებს, რჩება რაღაც დასაფიქრებელი. ერთ-ერთი თავისი ლინგვისტური თეორიის შესახებ იგი ჩივის: „ხმააო უდაბნოსა შინა“ (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. V, СПб, 1903, 29). ვისურვებდით, ერთსულოვნად ყოფილიყოს იგი აღიარებული ანდა მისივე ღირსი წინააღმდეგობა შეზვედროდეს (Revue des Questions Scientifiques, octobre, 1908).¹ ახლანდელი ქართული ენის უცოდინარობის ხანას და სემიტოლოგების მედიდურობისა ასეთი სტრიქონები დიდი გამარჯვება არის, მაგრამ ჯერ ეგ გამარჯვება მიეწერება არა თვითტაბლიცებს, არამედ აღრინდელ ჩემ ნაშრომებს. ურომლოდაც ისე მიკიეინებდნენ, რომ ყურს გამიყრუებდნენ. — ვიმეორებ, სრულებით თანახმა ვარ და შეძლებისამებრ ვცდილობ აწი მართო ღრამატიკას შევექცე. წელს ზაფხულს მხოლოდ მინდა მუზეუმში, უკვე აშენებული, მოვაწყო ანისში²⁵ და დაწყებული მცირე გათხრა დავამთავრო და გათავდება. მთხრელსა მგონი ვპოულობ და მას გადავსცემ. მაგრამ ახლა თანამშრომელები მსჭირია ენის მასალის კრებისათვის. მინდა გეგმა შევიმუშავო მასალის შესაკრებლად და თუ ვინმე იცი ხანდო მუშა ან თვით თქვენი საზოგადოების წევრები თუ მომეხმარებიან, მაისის დამლევის კრება მოვახდინოთ თფილისში, მაგალითად 30 მაისს დაახლოვებით, იქნება უფრო ადრე და მოლაპარაკების და თანამშრომელთ გაცნობის შემდეგ ან ჩემ გეგმას მივიღებთ შესწორებით ან სულ ახალს შევადგენთ და ცალკე განყოფილებას ან კომისიას შევადგენთ: იათეტურ ენათ მასალების მკრები კომისია (Комиссия по собиранию материалов яфетических языков)². ხოლო ბექდვას მგონი აქ ვიკისრებთ. საქმე იმაშია (გთხოვ ჯერ საიდუმლოთ წაიკითხე და ნურავის ატყობინებ), რომ ჩემდა მოულოდნელად და შენი გასაკვირველი რწმენის (ახლაც იწერები „მე კიდევ ძრიელ მწამს, რომ შენ ვერ შეგაცილებენ აკადემიკოსობას“) გასამართლებლად, როგორც შევიტყვე ნამდვილად, ჩემ არჩევას აძირებენ

¹ ქართული, ლაზურ-მეგრული და სვანური და მათი ყოველი ხარისხის კილოებო (ფონეტურად).

აკადემიის მწევრად და, თუმცა მაინც ძნელად მწამს, ძალიან მაბეჭითებენ, რომ აღდგომამდი დაიწყებენ და დამთავრდება არჩევად, და თუ გამართლდა ახლა მაინც, მაშინ ჩემი ერთი საქმე მაგ მასალების ბეჭდვა იქნება⁵²⁶ და რას ფიქრობ, მომწერე. წერილი გამიქიანურდა, და ახლა ერთი თხოვა მაქვს. ვლად. ნიკოლ. ბენეშევიჩი⁵²⁷ მანდ ჩამოსვლას და ქართ. ეკლესიის კანონების, ბერძნ-დამ თარგმნილების, შესწავლას აპირებს. მე ძალიან ვუპირდები და ვაქეზებ. როცა მოვა ხელი შეუწყვეთ, ერთ თვეს დარჩება და ხელნაწერების კითხვას და გადმოწერას და გადმოხატვას რომ შეუდგება, ნუ აბრკოლებთ, რამდენიც შესძლოს, ისარგებლოს. კარგი იქნება თუ ამის შესახებ მის სანუგეშებელ და გასამხნევებელ პასუხს მომწერ, გადავცემ, ცოტა თავმოყვარე კაცია ძალაზე. წინა ივანოვნა მომიკითხე და მისი დანებდა და ძმები და ჩვენი ნიუარაძე, ჩემი სვანურის მასწავლებელი.

ბ. შ ა რ ი.

ექიმს დავეკითხე და აგრეთვე კონდაკოვს ვუამბე (ბევრი ნაავად-მყოფებია და გამოცდილი) და სკლეროსის შესახებ მითხრეს, ძალიან უხდება იოდით, „ТОЛЬКО НЕ В ЛОШАДИНЫХ ДОЗАХ, КАК ОБЫКНОВЕННО ЛАЮТ НАШИ ДОКТОРА“. კონდაკოვა მითხრა, მე ძალიან ავად ვიყავი სულ და იმან (იოდმან) მომარჩინაო.

130

1909.5.5. სპ-გო

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

შენი უკანასკნელი წერილი[თ], რომლის პასუხი დროზე მოგაწვდინე, ასე მიეხვდი, რომ სააღდგომოდ აპირებდი აქ მოსვლას. ეგ იმედი გავიცრუვდა. დროზე დაკითხვა ვერ შევიძელი. რამე მიზეზი უნდა იყოს ალბათ. მე თუმცა ვცდილობ მუშაობას, მაგრამ ბევრი რამ არეულია და ხელს მიშლის. ჩემი არჩევა აკადემიის მწევრად თუმცა ხელმწიფის ხელმოწერილია, მაგრამ დღესაც არ ცხადდება¹. აქ კიდევ ლაზისტანში ერთი თვით გამგზავრება დამიბრკოლეს⁵²⁸ (ანისში გამგზავრებამდე ვაპირებდი), და შვარცი⁵²⁹ ნებას დამრთავს თუ არა ენკენისთვის მგზავრობას, რომელიც უკვე ვთხოვე, არ ვიცი. აპრილში

¹ ამაზეა დამოკიდებული, რომ მოლოცვის პასუხს არ ვის არ ვუგზავნი სამადლობელიად.

მგზავრობა დამანება, მაგრამ საუბედუროდ თარგმანად მიმიწვიეს იმპერატორთან სომეხთ კათოლიკოსის⁵³⁰ მოსვლის ხანს და ახლა შეჩერებულ ვარ აქ, არც ის ვიცი მოვა თუ არა, იქნება აღარც დავეჭირდე, რომც მოვიდეს, კაცმან არასფერი არ იცის. ერთი ცხადია, რომ ვაზაფხულზე ლაზისტანის ნახვა გამიცუდდა და აქიდან პირდაპირ ანისში წაველ. თფილისში (მაისის დამლევს თუ ივანობისთვის დასაწყისს) ორ სამ საათს დავრჩები, კარგი იქნება თუ ვინახულებთ ერთმანერთს ან სტანციაზე (ტელეგრაფით შემოგატყობინებ) ან თუ მოვასწარი, შენთან მოვალ. სათქმელი ბევრი მაქვს და საერთო საქონელიც, მაგრამ როგორ ავასრულო, მუშა არ ვინ არის. გოლოს კავკაზა წაიკითხე?⁵³¹ თურმე ქართველებს არა უშენებია რა! თურმე პეტრიწის ფილოსოფობა მე გამომიგონია! თურმე მე-VIII საუკ. ქართველთ დიადი განათლება. რომლის დასამოწმებლად მარტო გრ. ხანძთელის ცხოვრება კმარა, მე გამომიგონია! ნუ თუ მანდ ამდენი არ იციან, რომ ერთ ლაზათიან პასუხს ვერ უთავაზებენ? ან სიდან უნდა იცოდენ. ვინ სწავლობდა დროზე, რომ ახლა იცოდეს? ან ახლა ვინ სწავლობს, რომ შემდეგში გამოჩნდეს სწავლის პატრონი? „მახლას“, როგორც იტყვიან ხოლმე სომხები.

შენთან სათხოვარი მაქვს. გიგზავნი მთელ სკივრს ჩემი ახალი შრომებისა! სტანციიდან მოატანიებ, თითო ცალს ორი თხზულებისა დაურიგებ სიის მსგავსად (იხილე ქვემო) და დანარჩენს გასაყიდად მიანდობ რომელიმე წიგნის მაღაზიას: Плененные Иерусалима — ცალი 2 (ორი) მანეთი. Иоанн Петрицкий — ცალი 75 კაპ. უკანასკნელი ძალიან ცოტა არის და იმიტომ ვნიშნავ ასე დიდ ფასს. აი სია პირთა, რომელთა უძღვნი თითო ცალს ერთისა და მეორისაც:²

1—2) რასაკვირველია შენ და ნ. გოგიტიძეს, რომლის ამბავი არ ვიცი ან როგორაობა, იმიტომ შენ გაწუხებ.

3) კარიკაშვილს

4) მლდ. კეკელიძეს

5) ჯანაშვილს

1 გზის ფული გადახდილია. 27 აპრილს გამოვაგზავნი აკად. სტამბას.

2 შესახებ „Иоанн Петрицкий“ ბროშურისა კერძოდ სათხოვარი მაქვს. ორი შესაძინევად უსიამოვნო შეცდომა არის შიგ და ხელით (შენი ხელით) გამოსწორე. გამოგზავნის შემდეგ შევამჩნიე:

ა) ერთი მე-14 გვერდზე სომხური სათაურის რუსულ თარგმანში დაბეჭდილია — так называемые Богословий Прокла Днадоха“, ხოლო უნდა იყოს — „Богословий Прокла, называемого Днадохом“.

ბ) მეორე მე-37 გვ. მე-4 შენიშვნაში მეოთხე სტრიქონში დაბეჭდილია „Феокиста Лесбийскаго“, უნდა იყოს: Феокисты Лесбийской. დაბეჭდილი.

6) იუსტინე აბულაძეს
7) იმ ქართულ გაზეთს, რომელიც აგეთი საკითხების ოდნავ მიმედევარია.

8) წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნსაცავს

9) ალექსანდრე აბრამეტოვიჩ ქალანთარს (მშაყის რედაქციაში)

10) ერვანდ ლალაფანცს (საეთნოგრაფიო კრებულის გამომცემელს).

11) სირაკან თადეოსის ძეს (Сиракану Тадд.) ტიგრანიანს⁵² („გორწ“-ის რედაქციაში)

12) Льву Григориевичу Лопатинскому და კიდევ ვისაც შენ გამოარჩევ რამოდენიმე პირს.

ოჯახობა მომიკითხე. მეუღლე ჩემი მოგიკითხავსთ.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

P. S. იქნება ყიფშიძე⁵³ სტუდენტი მოვიდეს შენთან, კარგად შეცადინებს. ჩემი ცხრილის წინასიტყვაობა კარგად შეგვნებული და გადმოთარგმნილიც აქვს. ხელი შეუწყვე გამოსაცემლად. კარიჭაშვილის თარგმანი ნამეტარი რუსულია.

131

1909.8.1. ანო

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

თანახმად დაპირებისა გატყობინებ, რომ ახლა თუ მოხვალ ანისის ნანგრევებზე, თავისუფლად ვიქნებით და ზოგს დავათვალიერებთ ერთად და ზოგს მოვილაპარაკებთ. კარის განგება არ დაიფიწყო, თან ჩამოიტანე და ასახსნელი სიტყვების სიაც. უსიოდაც თუ რამ ძნელია, აქ წავიკითხოთ და აღვნიშნოთ; თარგმანიც, ერთი სიტყვით, მოსალაპარაკებელი ბევრი გვექნება და უკეთესი ადგილი ჩემი ფიქრით შეუძლებელია. საუბედუროდ სახლი ჭერეც მზად არ არის, მაგრამ გასართობად ბიბლიოთეკა და ჩემი კაბინეთიც ახალ მუზეუმში, თუმცა ვრცელი არ არიან, თითო, ორ-ორა კაცს ეყოფიან. მოსასვენებლად კი იქნება ცალკე ოთახი ვერ მოვახერხო, ხოლო თანამშრომელთ ოთახში ადგილი ერთი თავისუფალია. ერთსა გთხოვ: რომ თუ წამოსვლას გადასწყვეტ, დროზე მაცნობე ტელეგრაფით რა დღეს და რომელ სა-

ათზე ჩამოხტები ანისის სადგურზე, ამისთვის საჭიროა, რომ სამი დღით ადრე დამიკრა ტელეგრაფმა, თორემ სმირნოვი⁵³⁴ რომ ჩამოვიდა, ტფილისიდან წინდღით ტელეგრაფმა გამომიგზავნა და მოაწია კი ტელეგრაფამ მასთან ერთად და საკუთარი ხელით მომიტანა თავისი ტელეგრაფმა. სხვა აქაურ ამბავს არას გწერ. ვიმედეულობ, ჩამოხვალ. იქნება ისე მოახერხო ჩამოსვლა, რომ ერთად დავბრუნდეთ; მე 19 ან 20 აქიდან გავდივარ ტფილისისკენ, სადაც ცოლს გავაშურებ პეტერბურგისკენ და ერთ დღეს კიდევ დავრჩები ლაზისტანში გასამგზავრებლად. ცოლი ძლიერ ავად მყავდა. მე არ ვიცოდი. ირაკლი მესხის მადლობელი ვარ, ალექსანდროპოლიდან პირველ შეტყობასთანვე ჩამოვიდა და უქეიმა, დიდი პატივი მსცა და დამავეალა. მე გარნისს ვიყავ, იქაურ ნანგრევებს ვთხრიდი. გზაზე მეც უქეიფოდ შევიქეენ, ახლა ყველანი კარგად ვართ. ამ ორ სამ დღეში სმირნოვი წავა. რა შერეკილი ადამიანი ყოფილა. კონდაკოვის მოწაფეა, რომლისთვის მასწავლებელს თავის უკუღმართი მხარეები უანდერძებია.

ნინა ივანოვნა საერთოდ ჩემი და ცოლის მხრით მოგვიკითხე. ცოლი მოგიკითხავს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

182

АНИ, МУЗЕЙ

Анийский археологический институт, свидетельствуя свое почтение, препровождает к Вам забытую Вами заметку, найденную на столе в библиотеке Музея, архитектурных подробностей и надписей.

Н. М.

Развалины Ани 1909.8.21.

Кондаков

1) Археолог, путешествие по Сирии и Палестине 1904. Изд. Ак. Н. 6 руб.

2) Памятники Христ. Искусства на Афоне 1902 г. Изд. Ак. наук. 7 руб.

3. Македония, Арх. путешествие. 1909. 5 руб.

1909.10.4.

Дорогой Евфимий Семенович,

Я надоем тебе этими письмами. Только-что опустил письмо с предложением изменить «труженики» в «деятели», но не нравится мне и «деятели» — даже неловко «деятели науки», «деятели арм.-груз. филологии». «Деятели» предложил непр. секрет. перед заседанием: не отдав себе отчета, я согласился. Соответственно поспешил написать. Посоветуюсь и подумаю дня два и тогда вышлю с «перечнем» окончательно установленную редакцию. Жалею, что протоколы и все прочее было поспешно напечатано. Дальше по крайней мере будем следовать девизу *festina lenter*. Название съездов, если они привьются, останется на многие годы, и если нельзя выдумать красивое, то следует избежать неправильного, так смешного. И так до скорого свидания.

სიქისტრობნი, по-видимому, от *segestre* есть у одного писателя и в греч. покрывало.

Жму руку Н. Марр.

1909.10.4.

ძმაო ექვთიმე,

დღეს პროტოკოლი დაამტკიცეს, და თხოვნა შედგენილი მაჩვენებს — ნემესტნიკს უგზავნიან. ოღონდ „ტრუჟენიკი“ უნდა შეიცვალოს, ცოტა ნამეტარი თავმდაბლობით სიტყვა გამოდის. არა უშავს, წერილზე ხელით გადაასწორებთ, ხოლო „перечень“-ზე რომელს ზევთუ ზეგის მეორე დღეს მომომზადებენ, უკვე შევაცვლევინე.

შენი ძმა ნიკო მარრი.

რუსულად უნდა დამეწერა ესეც, მაგრამ ეგრე მიიღე თითქო პირადათ მეტქოს.

Покровительство обещано. Высылайте скорее проект съезда⁵³⁵ и отчет деятельности временного комитета.

Н. Марр

136

Не получаю телеграмм Съезда. Когда — вышлите.

Н. Марр

1909.20

187

1909.XI.1.

СП6

Дорогой Евфимий Семенович,

Пишу сии строки для прочтения в подготовительном комитете. Получил протоколы поздно, да и в них я не нашел того, чего ожидал от комитета. Кроме того, в Протоколах много опечаток. Не знаю, нужно ли их разсылать в таком виде. Во всяком случае следует исправить в первом протоколе.

напечатано:

читай —

| | |
|----------------------------|---------------------------|
| грузины и армяне представ- | грузиноведы и арменисты |
| ляли армян и грузин | представители арменистики |
| | и грузиноведения |

Письмо пригласительное можно разослать с поправкою (кроме сделанных от руки Вами) «труженики армяно-грузинской филологии» вм. «труженики по армяно-грузинской филологии. Следует непременно припечатать под «гор. Тифлис —»:

Съезд состоит под покровительством Императорской Академии Наук. Теперь поздно, поспешили напечатать, а то следовало:

Подготовительный Комитет,
по устройству съезда

тружеников армяно-грузинской филологий, состоящего под покровительством Императорской Академии Наук. Но разсылку приглашений задержите до получения «Примерного перечня вопросов, могущих быть предметом обсуждения на съезде тружеников по армяно-грузинской филологии». Для ускорения дела, я печатаю его здесь и по отпечатании вышлю все издание вам для разсылки вместе с пригласительным письмом¹. Если что-либо я упустил, то не вините меня: проекта такого перечня я и ожидал от комитета, результат общих усилий, конечно, оказался бы полнее «Но ведь это лишь примерный перечень. За сим повторяю то, что поспешил телеграфировать. Импер. Акад. Наук поручила мне устроить съезд, но без живого содействия самих тружеников, притом все усилия одного человека ни к чему не приведут. Между тем дело это, едва-ли мне нужно указывать Вам, весьма важное. Посему взываю к чувству преданности и любви вашей и нашей специальности и умоляю прежде всего комитет сплотиться в общей энергии и сотрудничестве. Хотя Импер. Акад. Наук поручила мне устройство, но я со своей стороны передаю вам всякое полномочие в подготовке всего, что по вашему будет содействовать успеху съезда.

В конце съезда хорошо бы организовать экскурсии:

- 1) Вардзню, Зарзму, Кутаис,
- 2) Ани, Эчмиадзин.

Жму руку Н. Марр

138

Сегодня высылаю письмо. До получения его не разсылайте никаких приглашений. Взываю к чувству преданности интересам армяно-грузинской филологии. Сплотитесь в общей энергии.

Марр
1909.XI.2

¹ Придется, пожалуй, приложить и копии протоколов, но безусловно следует исправить хотя бы от руки замеченные вверху опечатки.

Дорогой Евфимий Семенович,

Решили переименовать еще не родившийся съезд в «Съезд деятелей по армяно-грузинской филологии». Редакция окончательная. «Труженики» в одних вызывает недоумение и неправильное представление о самомнении — мол, съезжающихся, в других — улыбку некоторой елейностью.

Одновременно с ним посылается примерный перечень вопросов, могущих быть предметом обсуждения (помимо сообщений и докладов, которые будут намечены самими членами съезда). Перечень не исключает дополнений, само собою понятно. Перечень предназначен лишь для предварительной разсылки, как писал я, приглашаемым членам. Более устойчивая программа будет выработана, конечно, по получении ответов от членов съезда самим подготовительным комитетом. Там будут указаны дни, секции или общия собрания, часы и вопросы, сообщения, доклады. Такие вопросы, как 14-я, а особенно 15-я и 16-я, отнесены будут, конечно, в общие собрания. Может быть, по выработке в комитете для просмотра пришлете до напечатания мне. Сегодня я из кавк. газет узнал, что 1-го ноября было у вас заседание, и надеюсь я, что далее дело пойдет быстрее. Надо поскорее получить ответы от желающих быть членами и сведения о предметах предполагаемых или рефератов. Про Бор. Ал. Тураева⁵³⁶ спешу сообщить, что он живет в П-бурге, профес. нашего Университета, а не в Юрьеве. Завтра подпишет Вел. князь⁵³⁷ бумагу на имя Наместника Е.И.В. на Кавказе. В примерном перечне вопрос о библиографии подразумевается в № 15-м. С 17 по 23 номера — заглавия сообщений или докладов, полуобещанные уже мне здешними специалистами. Я еще раз прошу передать подготовит. комитету мою просьбу убедительную энергично взята за это дело, привлечь особенно местных из захолустьев лиц, если они окажутся; я уверен, что без вашего общего содействия нельзя будет ничего сделать. По всей вероятности, вы уже обсуждали вопросы: 1) о средствах для осуществления тех или иных работ (касательно издания трудов или сообщений съезда, отчета, я не ходат. пока перед И. Ак. Наук, так как надо увидеть сначала возможность появления их), 2) о желательных экскурсиях (лучше меньше, да основательно, чтобы было времени достаточно), 3) о тех предметах, по коим нужно просить оффиц. учреждения или общественные: а) помещение, в) передвижение, (по жел. дороге). Я надеюсь также, больше

того — уверен, что нами начинается (если при вашем содействии оно начнется) длительное дело, а не феерия кометою, что съезд будет рабочий и для работы (сюда же, в работу отношу и взаимное словесное хотя бы выясн. друг другу тех или иных принц. или научных вопросов), а не для праздничных речей и публичных лекций. Соберутся специалисты для устройства специального дела, никем не устраиваемого и забываемого и постараются быть хозяевами безпризорной области, вот смысл съезда. Следовательно по меньше ненужного шума.

Жму всем руки

Н. Марр

Не забыть совместное посещ. собраний рукописей в Тифлисе, как напр. Общ. распр. грам. Церковн. Музея под чьим-либо руководством.

140

1909.11.10

Дорогой Евфимий Семенович,

Только-что прочитал в отчете о заседании вашем от 1-го ноября (см. «Мшак» 5 ноября, № 245), что заседания съезда предполагается разбить на секции по языкам (?!), а не по предметам; что будто г. В. Габуня предлагал (нам как нечто совершенно новое) секции распределить по предметам, а не по языкам, и что на это возражали необходимостью и удобствами деления секций по языкам для чтений на груз. и арм. языках. Все это, если оно передает верно происшедшее 1-го ноября, [является] полной и странной неожиданностью. Ни о каких секциях с арм. особо или с груз. особо языками не может быть речи. Очевидно, если это так, моя мысль, не понята, и мне на таком съезде делать будет нечего. Ведь съезд предполагается для объединения, а не для разъединения, притом для объединения не только грузин. — грузиноведов и арм. — арменистов, а всех грузиноведов и арменистов и специалистов смежных областей. Прошу убедительно сообщить мне поскорее, в чем тут дело, правилен ли отчет в «Мшаке» и, если правилен, какое отношение заседание 1-го ноября имеет к чисто научному съезду нашему специалистов.

Н. Марр

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

დადიშველიანის⁵³⁸ სტატია რომ დაიბეჭდება, გამომიგზავნე. საინტერესოა სჯანური სიტყვების მნიშვნელობა, ხოლო რაც მათიანეს შეეხება, არ მგონია, ჩემი თარგმანი შესაცვლელი დარჩეს და თუ შესაცვლელია, კიდევ უკეთესი. სიქისტრიონს აქ ჩავხედავ მერმე, მაგრამ რატომ დაიგვიანა ასე განგებამ კარისამ? მიმართვა და გავზავნა რასაც თქვენ საჭიროთ ნახავთ და რასაც და როგორც, ისე ქენით, აქიდან შეუძლებელია ყველა წვრილმანის ჩადევნა. უკაცრავათ, თუ რამ არ სათქმელი ვთქვი. მე იმან შემაწუხა, რამაც შენ თავზე ხელი გარტყმევინა. დასამატებელი მე არ მაქვს რა ექსკურსიების შესახებ შელავათს მანდ ითხოვთ, თუ აქიდან აკადემიას ვათხოვინოთ? შემატყობინეთ, და რა ექსკურსიები გინდათ, ისიც გადათვალეთ. მე ძალიან მადლობელი ვარ რომ ლოპ. და კაზნაკოვი თანაგრძნობით ეპყრობიან⁵³⁹. აქიდან ბარტოლდი ჩამოვა. სხვების არა ვიცი რა.

კიდევ მოვიწერები მალე.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

ერთი სათხოვარი მაქვს: მეტაფრას[ტი] ლოგოთეტის კრებულში მგონი, ერთია ეფრემის ნათარგმნი ცნობილი. თუ სხვანიც არიან, მაცნობე. ჭერჯერობით ეს მიქენი: 1) ან შემომატყობინე, რომ მათხოვებენ ორი ან დიდი სამი თვით საეკლ. მუზეუმის № 90⁵⁴⁰ (აკადემიას ვათხოვინებ), 2) ან თუ არ შეიძლება, ლოგოთეტის შესახებ ცნობები, გვ. 310—314, გადმოაღებინე. ფოტოგრაფს და გადაუხადე, თუ რამ ჩემი წიგნებისგან შემოსულიყოს, თუ არა, მაცნობე, რამდენი დაჯდება და მოგაწოდენ. არაბული წინასიტყვაობა ვიპოვე, მგონი. მეტაფრასტის და მინდა შევადარო, იქნება ქართულადაც იგია ან ეფრემს ესარგებლოს.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

კრების შესახებ დასამატი არა მაქვს რა. ივ. ჯავახიშვილს მივანდე, თუ რამ სათქმელი ან სარჩევი იქნება. ძველი საქართველო დიდ შრომას მოწმობს და ახალგაზრდა საზოგადოებას დიდ პატივსაც დებს.

ცალკე სტატიებზე იქნება რამე დავებუდო, განსაკუთრებით აბულაძის შრომას⁵⁴¹ რედაქციონული კალამი აკლია, ორ სამ ადგილს ალბათ ჩაუფიქრებლობით უსაფუძვლო აზრები აქვს გამოთქმული და ისეც მოუნელებელი რამ ნაშრომია, ახალი არა არის რა და რასაც სიახლის ნიშანი აქვს, მკაფიოდ ან ვერ გაუბედნია გამოთქმა ან ვერ შეძლებია, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა ამ შრომის და ჟანაშ-ლის ახალ წიგნის „მწერლობის“⁵⁴² შორის დიდი ზღვარი ზის, ვითარცა ცასა და დედამიწასა შვა.

შენი ძმა ნ. მარრი.

143

1010.2.9. სპგი.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

კარის გაგების შესახებ არაფერს იწერები. აგრე დაიგვიანებს ზოლმე დაბეჭდვა, დრო თითქმის გავიდა. შენი ნაშრომი ბანას და სხვათა შესახებ სმირნოვმა მათხოვა, გრ. უვაროვას ჩემთვის არ გამოუგზავნია, არც ვიცი, მივიღებ თუ არა, სხვა ყველაფერი, როგორც გამომიგზავნე, ეგრე მივიღე: პროტოკოლი, სურათები ხელნაწერის და სამი თუმანი. ტელეგრამით შემატყობინე, როგორ ფიქრობთ; გვიან ზომ არ არის ქართ.-სომხ. ფილ. კრების საქმის ახლა დაწყება, როცა პასუხს მივიღებთ, მე ერთ გულზე ვიფიქრე, სჯობს გადაიდვას მეთქი, მაგრამ ეგ კრება პირველი იქნება წმიდა საორგანიზაციოდ გახდეს და სჯობს მაინც იქმნეს. მოილაპარაკეთ და გასაჩეთ; საქმე ნამესტნიცს დაუგვიანებია თავის გაუბედავობით, შინაგან საქმეთა მინისტრისათვის მიუშართავს. ათ იანვარს მე ტელეგრამით შევავითხვინე აკადემიას: „очень прошу ответа на бумагу от 10 ноября о съезде деятелей по арм.—груз. филологии“ მან გვიპასუხა, ნამესტნიკმა, „запрошен министр. Внутрен. дел“. წავედი მე თვითონ მინისტრის კანცელარიის დირექტორთან, კნოლ-თან, ჯერ არა მოგვესვლია რაო, ან იქნებ სხვა გზით მიმართა ნამესტნიკმა მინისტრსო. ახლა მივანდევა აკადემიის „ნებრემენი სეკრეტარს“, თავად გალიცინს, ხვალ იქნებ შევიტყო, თუ რამ გარკვეული შევიტყვე, მოგწერ, შენ მაინც ტელეგრამით მაცნობე პირველ საკითხზე თქვენი აზრი. ვეფხის ტყაოსნის ცალკე ნაბეჭდი (ОТТИСК-ი) არა, ცალკე წიგნაკი იქნება, მე-XII ჩვენი სერიისა. შენი აზრი რამდენჯერმე გადავიკითხე პროტოკოლში აბულაძის მოხსენებაზე⁵⁴³ და ძალიან გამიკვირდა, არც იქით და არც აქით,

ყოველ შემთხვევაში მე იძულებული დავრჩი გამოგსარ[ჩ]ლოდი. იქნება მე ვერ მივხვდი, ვერ მიგიხვდი, მაგრამ სხვა მაშინ სულ ველარ მიხვდება, ხოლო საზოგადოდ არ იცი ბუნდად და ორ აზროვნად სჯა და აქ ძალიან გამიკვირდა. მე თუ ვცდები, კიდევ უკეთესი. გვგზავნი ორ მცირე წერილს, ზოგს დაურჩიებ და ზოგს დაიტევ შენთვის და საეთნოგრ. საზოგ. და წ-კ. სა-თვის.

მოკითხვისათვის ჩემეულები გმადლობენ შენ და შენს მეუღლეს და ყველას ერთობ მოგიკითხავთ.

ნ. მ ა რ რ ი.

144

1910.IX.16.

ძ. მ ა რ ე ქ ე თ ი შ ე,

გიგზავნი ოფიციალურ წერილს. იმეღია, თუ რამ მოსაწყობია, მოაწყობ ქართული ენის შესახებ; თუ არა, მაგასაც მიეტოვოს თავი. ვნახოთ. გარდა ამისა აკადემიამ გადასწყვიტა ჩემი წინადადებით გამოცემა „Bibliotheca-Armena Georgica“⁵⁴⁴. ეს სხვათა შორის შენი სურვილის ასრულება არის, იქ ქართული ტექსტი წმინდად ქართული ტექს[ტ]ი იქნება და სომხური. ეგ კი მოიწყო, მაგრამ კაოის გარიგება, რომელიც პირველი უნდა ყოფილიყო ამ სერიაში, ჯერ არ მომსვლია. ვიცი ძალიან გართული ხართ, მაგრამ გარიგება მზათ იყო ხომ. სვანური ან სვანეთის სახარების დედანი⁵⁴⁵ ჩვენ უნდა გამოგვიგზავნო, არ მგონია, რომ სასურველი იყოს ორი გამოცემის დაწყება. კრიტიკული გამოცემისთვის ხომ ჯერ დრო არ მომწიფებულა. ჩვენ აქ გვაქვს ახლა ათონის დაბადება⁵⁴⁶, მთლად გადმოვალეზინე ფოტოგრაფიით. იქნება ამ წელში მიიღებ საწინადაწინაო შენიშვნას. მოსკოვის დაბადება⁵⁴⁷ გადასადგება წყალში, განსაკუთრებით ზოგიერთი ადგილები.

მომიკითხე შენი მეუღლე.

ნიკო გოგიტიძის საქმე ძალიან მაწუხებს, მაგრამ თუ რა დაემართა, არასთფერი არ ვიცი.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო შ ა რ რ ი.

Милостивый Государь
Евфимий Семенович!

Прилагая при сем оттиск отношения Наместника Его Императорского Величества на Кавказе и решения Академии Наук на основании моего представления ликвидировать столь несправедливо и неблагоприятно встреченное общее наше начинание на пользу одной из важнейших в России отраслей научного востоковедения, именно, армяно-грузинской филологии, покорнейше прошу довести о сем до сведения членов подготовительного комитета неудавшегося съезда и заинтересованных вообще лиц. В то же время, почитая совершенно немыслимым откладывание до неизвестного будущего остро назревших научных вопросов, требующих совместной согласованной работы местных сил и немногих специалистов в университетах, я обращаюсь к вам с просьбой, нельзя ли сейчас же приступить к осуществлению очередных работ разрешенными уже средствами при содействии функционирующих научных обществ, именно, нельзя ли по вопросу наиболее неотложному, собиранию диалектических текстов и лексического материала по живым говорам образовать соответственные комиссии, одну для собирания материалов по армянским говорам при армянском этнографическом обществе, другую для собирания материалов по грузинским наречиям при грузинском обществе истории и этногр. и немедленно же, по образовании этих комиссий, в первую очередь поставить вопросы о точной транскрипции различных звуков, не имеющих в армянском и грузинском алфавитах. Я с своей стороны 1) мог бы войти со своим проектом и 2) по организации на испытанных научных началах самого собирания вошел бы с ходатайством в Императорскую Академию Наук о поддержании такого начинания в той или иной форме.

С истинным к Вам
уважением
Н. Марр

საყვარელო ძმაო ნიკო!

ძრიელ დამიგვიანდა შენთვის წერილის მოწერა. ქართული ენის შესახებ, რაც შეეხება, ვეცდები მოვაწყობ ჩვენ საზოგადოებაში.

აგრეთვე ლალაიანცმა დამპირდა მოწყობა სომხური ენის შესახებ. ჩემი მოუცლელობა არის მიზეზი, რომ ამდენხანს კარის გარიგება ვერ მოგაწოდე, შემუშავება უნდა, ისე დაბეჭდვა არ ივარგებს, ქართულათ მოხსენება მის შესახებ წავიკითხე საქ. საისტ. და საეთნ. საზოგად. სხდომაზე. რუსულათ დავამზადებ და უსათუოთ შენ გამოგიგზავნი დასაბეჭდათ იანვრისთვის. „Bibliotheca Armena Georgica“-ს დაარსება ძრიელ სასიამოვნოა, მაგრამ, ვაი ჩემდა, რომ ჩემი ღონეც სუსტ[დ]ება და მოცალეობა სულ არა მაქვს. თუ გაკვეთილებს თავი არ დევანებ, ვერაფერს ვერ გავაყეთებ და თავი დევანებო, რით ვიცხოვრო! აუარებელი საქმე მაქვს. მინდა ისე არ მოვკტე რომ მუზეუმი⁵⁴⁸ არ ავაშენოთ და ჩვენს კულტურულ ნაშთებს ბინა არ უშოვნო. ამის შესახებ ზრუნვა ხომ დიდ დროს მართმევს, საისტორიო და საეთნ. საზოგადოებაც ხომ თლათ ჩემს კისერზეა, ბევრ ნივთს ვაგროვებ, ბევრ წიგნებს და ხელთნაწერებს ვშოულობთ. უფრო მეტის შოვნა და გაცეთება შეიძლება, რომ მოცალეობა მქონდეს. ძრიელ საქორთა გავზარდოთ და გავაძლიეროთ ეს საზოგადოება. მარტო ამ საზოგადოებას შეუძლია გადაარჩინოს განადგურებას ჩვენი კულტურული ნაშთები. შენი დაწერილი რეფერატი ჩვენს საზოგადოებაში ჯერ არ წაკითხულა, და კარგი იქნება, რომ რაიმეს მოგვაწოდებდე. ჩემი წრემანდელი სვანეთში მოგზაურობა და შედეგი საარაყო ხდება. მე მიმიწვია პავლუშა თუმანოვმა⁵⁴⁹ და მანვე მიიწვია ფოტოგრაფი ერმაკოვი. დიდი „პადლეცი“. მერმე თუმანიშვილი თვით არ წამოვიდა და მე დამავალა მეხელმძღვანელა ექსპედიციისათვის⁵⁵⁰. ერმაკოვს წინდაწინვე 600 მანეთი მისცა მუშებისათვის, მოიწვია კიდევ კლდიაშვილი და ი. ნიყარაძე. ერმაკოვმა ბარგი 35 ფუთი წამოიღო. სამგზავროთ თუმანიშვილმა გამოგზავნა, სულ 900 მანეთი. მე ჩემი დავახარჯე 70 მანეთი. დიდი შრომა გამოვიარე. უჩემოთ არავის ეკლესიაში არ შეუშობდნენ. ერმაკოვის მიზეზობას და „პრეტენზიას“ საძღვარი აღარ ჰქონდა, სამჯერ ისეთი სკანდალი მოახდინა, რომ კინალამ მოკლეს. მე დავაშოშმინე თანამგზავრი სვანები, რომელთაც უზრდელათ ეპყრობოდა. მასალა დიდძალი შეგვკრიბე. ეხლა ერმაკოვი მე კი არ მაძღვეს სურათებს, უნდა კიდევ ბევრი ფული, დასტყუოს თუმანოვს და ჩემი მოსაცემი სურათების ფული მას გადაახდოს, სხვებზე კი სურათებს ყიდის. ასე იქნება თუ ისე, მე თითო ცალი სურათებისა უნდა ვიშოვო, მაგრამ საჯაროთ გამოვაცხადებ, რომ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებას და გამოცემას არავის არ ვუთმობ და ნურც ვინ იკადრებს. მე ერმაკოვის მუშა არ ვყოფილვარ. დღეს მოსვლია ქალაქი ერმაკოვს უვაროვისაგან, რომ აღნიშნის სახარების გამოცემა უკისრია მოს-

კოვის საზოგადოებას და იბარებს ფოტოგრაფიულ სურათებს. მე უნდა მივსწერო უვაროვისას, რომ თუ გამოცემა უნდა, ჩემი ხელმძღვანელობით და წინასიტყვაობით უნდა გამოსცენ. ისე პროტესტს გამოვამცხადებ. ჩვენში ხომ ყველაფერი უკულმართია. ჩვენთვის რომ მიეცა ის ფული, რაც დაიხარჯა ერმაკოვზე, მთელი პლასტინკები ჩვენ დაგვრჩებოდა და უფრო იეფათ მოვაწყობდით საქმეს. უვაროვის ქალი აქ იყო ეხლანახს და თქვა: სახარებას ჩვენ ვერ გამოვსცემთო, აკადემიამ გამოსცესო, მაგრამ ეხლა შეუძველიათ აზრი. მგონი ფოტოტაბლით აპირებენ გამოცემას. ეს კარგი იქნება. მე მინდოდა თქვენი გამოცემისთვის შემედარებია ადიშის სახარება, მაგრამ იმდენი განსხვავება აღმოჩნდა, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი სხოლიებში აღწუსება. ნიკო გოგიტიძე მოდის შენთან და მის ამბავს, თვითონ გეტყვის. მე ძრიელ შემაწუხა მისმა საქმემ და ღელვამ. რაც შემძლო დავეხმარე, დავაშოშმინე..... იმედი მაქვს შენ კარგათ მოუვლი და გაუძღვები..... სასოწარკვეთილებას ეძლევა. გაამხნევე, მაგის მეტი კარგი მასწავლებელი არ ყოფილა სააზნაურო სკოლაში და მაგიც იძულებული გახდა თავი დაანებოს. მე ჩემი არ დამიკლია და ეხლა შენ გაბარებ. მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები. ჩემმა ცოლმა ყველას სალაში.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

.147

1910. XII. 10.

B.O. 4 л. д. 7.

кв. 14

ძმაო ექვთიმე,

მადლობა ღმერთს, პასუხი მივიღე, ნიკო გოგ[იტიძე] ახლა ოჯახზე მოცილებული წუხს. ეს ორი დღე კიდევ გაბედა და ქალაქს შეექცა, თორემ სულ ჩაფიქრებული იყო და წუხდა. შაბათს (11 დეკ.) უკვე მოდის, ბილეთი ნაყიდი აქვს. ველი შედეგს ჩემ წინადადებისა. შენი აზრი სახარების შესახებ, უნდა გამოგიტყდე, მიკვირს, რასაკვირველია, მოსკოვში გამოცემა და შენგან დათმობა ადიშის დედნისა სწორედ უკმაკური აზრია. რატომ? იმიტომ, რომ მოსკოვში ვინ გამოცემს? ბ. ხახანაშვილი? რით სჯობს ბ. ხ-ლი ბ. ჯანაშვილს? არაფრით. მაგრამ სახარების გამოცემას გარდა სინიღისიერის გამოცემისა საჭიროა ტექსტის ისტორიის ცოდნა და საღმრთო წერილის ქართული დედნის გა-

მოცემას და მის წინასიტყვაობას სჭირია სომხური, სირიული და თვით
ებრაული ენების ცოდნა და მათი დედნების ისტორიის დაწვრილე-
ბითი ამბავიც. მიკვირს კიდევ იმიტომ, რომ დროის უქონლობას შეშ-
ჩივი და მასალის აუარებლობას და თან თავის საქმეს იძნელებ, ხელს
ჰკიდებ ისეთ გამოცემას, რომელიც ასეთ პირობებში შეჭფერის მოსე
ჯანაშვილს და შენ კი არას დროს. მე განგებ გწერ გულ- და პირ-
ახდილად ამას, რადგან შენც თუ მათ გზას მიჰყვები და ჩვენ უმთავრეს
მცნებას დაარღვევ — სპეციალისტობას, უნდა დაბეჯითებით ვთქვათ,
რომ „пиши: пропади!“ ჩვენი დარგი არას დროს აღარ აიდგამს მეც-
ნიერულ ფეხს კავკასიაში, რადგან სხვა სპეციალისტს. ჯერ, დღევანდ-
ლამდე, ვერ ვის ვხედავ.

ცოლი მოგიკითხავსთ.
მოგიკითხე შენი მეუღლე.
ველი კარის განგებას. ჭანური
გრამატიკა! ხომ მიიღე?⁵⁵

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

148

[1911.II.22]

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

მადლობელი ვარ პასუხისთვის. საქმე მარტო თავის შრომის წე-
რაში კი არ არის, მის საზოგადოებრივ გაყვანაშია. შეუძლებელია
მომავალშიც ცუდლუტ-უვიცი და პატიოსანი მშრომელი ერთ უღელს
სწევდნენ. ამდენი სითაყილე საჭირია. შენ რომ იწერები მოსკოვის
შესახებ, დიდი ხანია ვიცი და კიდევ მაზეც მეტი (შენთვის ყველაფე-
რი არ შემოუთვლიათ), მაგრამ მალე სამეცნ. აკადემიისგან მიიღებ
დაკითხვას და პასუხში შეგიძლია სხვათა შორის შენ შრომის გამო-
ცემის შესახებ. (სვანეთის მასალების) წინადადებაც ჩაურთო. მე ვეც-
დები. გოგიტიძის საქმეს ვცდილობ, მაგრამ არა გამოვიდა რა. კიდევ
იმედი მაქვს ერთი. ჩემი პროგრამის შესახებ ცალ კერძოდ სჯი. ყვე-

¹ მე ხელში ორიოდ ცალი მაქვს და თუ ვისმე საყილად სჭირია, უნდა მი-
მართოს აკადემიის საწყობს, ორი მანეთი ღირს.

ლაფერს თავის ადგილი და დრო აქვს. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ მე მარტო ლინგვისტიკა დამრჩენოდა, მაგრამ ჯერ სხვა დარგში წმინდა მასალის მომცემს ვერ ვხვდავ. სვანეთში ღიღი ხანია ვაპირებ წელს.

ბ. შ.

149

[1911]

В Кутаисе у Цепного моста, в духане Лекишвили спросите „მელილეიკე, რომელიც მიდის ახალქალაში“. Предстанет жуликоватый молодой человек, который за плату 2 руб. (два рубля) с персоны при хурджине или сундуке возит пассажиров до Орбели (Ахалчала) и обратно. Плата свыше двух рублей недопустима. Заручившись обещанием со стороны „მელილეიკე“ иметь место в его линейке и уговорившись выехать утром рано, Вы платите задаток и присовокупляете угрозу в случае, если условия будут нарушены. На другой день утром рано Вы подъезжаете к гостинице с вещами на фаетоне. В 7 ч. утра Вы выезжаете из Кутаиса. На пол пути остановка в любом духане. Во время остановки на пути (ее всего одна) обыкновенно обедают, можно и самому пообедать, так как в духане всегда имеется свежая курица или какая-либо пища. Вечером, в 7 вечера, Вы доезжаете до Орбели. Располагаетесь в духане Максиме, ему же заказываете еду и требуете к себе есаула, сельского писца, или старшину; все они тут же в 10 шагах в сельской канцелярии. Старшине показываете взятый у Кутаисского губернатора «Открытый лист» и требуете доставить вам лошадей к утру. Заночевав у Максиме, или сделав честь предводителю дворянства Кн. Ясону Геловани, живущему недалеко — посетив его и воспользовавшись его любезным гостеприимством, на следующий день перебираетесь в Цагери — пребывание уездного Начальника к отцу Благочинному Ивану Маргиани (сван). Отдавая предпочтение передвижению на верховых, нанятых по-денно за плату, через дурными почтовыми лошадьми, Вы требуете у уездного начальника доставить Вам таковых. На следующий день не особенно рано выезжаете в Дадиановскую Сванетию. Передвигаясь спокойно и отдавшись созерцанию чудной природы, к вечеру добираетесь до первого крупного сванского поселка «Лентехи» (а по овански Лелтха, до Цагери 22 вр.). В Лелтха ночуете в канцелярии сельской. Следующий день передвигаетесь мало, всего не более 15 в. и добираетесь до сел. «Чолур». Здесь около сельской канцелярии останавли-

249

ვაეთეს უ იტყვას პეტრა კოპლათაძეს. ნა დრუგოი დენი უტრომ რანო ვიეზჯათეს იზ ჩოლურ ი ჩერეს პერევალი ლატპარ პოპათეს ვ ვოლნუი სვანეთი. ესეი ბუდეს ბლავოპრიათნაი პოგოდა, თო ს პერევალი «ლათპარ» ნადო სვერნუთი ნა პერევალი «გორვაშ» ი პოპათეს სრავი ვ სავოეს ვერხნეს სელო პო ინგურა ვ უშკული. ოსტანავლივათეს უ იტყვას მიხაილა ნიჯარაძეს. პრედპოლავათეს პროდოლჟიტელნოეს პრეხვანთეს ვ უშგულახ; გოვორ უშგულუძეს სჩითათეს სავოეს ჩისტუმ გოვორუმ ვ სვანეთი. ვნივ პო ტეჩენიუ ინგურა სლედუოესე სელო — კალა, პო გოვორუ ნე ოტლიჩათეს ოტ უშგულ, დალეს იპარი — თოჟე; მულახი — თოჟე. მესთია — მესთე პრეხვანთეს ოტცა ბლავოჩინნო გოვორის ნიჯარაძეს⁵⁵². უნეო ნადო ოსტანოვითეს. მესთიისკი გოვორ სჩითათეს ბოლეს დელიკათნუმ. ნიჟე — ხარაქტერენ გოვორ ესერცოვ — რეზიდენცია კნ. დადესკელიანი ი, ნაკონეც, ლახამულუძეს. ოსნოვნი სტანციაი ი მესთოპრეხვანთეს მოჟეს სლუჟით ბო მესთიისკი ვ. ნიჯარაძეს.

ნიკო, გიგზავნი ამ „მარშრუტს“ ივანე ნიქარაძის გადაწერილს. თუ საკიროება მოითხოვს, ერთ დღეს ქუთაისიდან ცაგერშიც მიხვალ და აგრეთვე ცაგერიდან ერთ დღეს ჩოლურშიც მიაღწევ. ვატაცი⁵⁵³ ძირიელ ყმაყოფილი დარჩა ამის დათვალეობით. ჩვენ ჩვენი არ დავიკლია. ექვი აღარ არის, რომ ინსტიტუტის შესახებ კარგს აზრს წარადგენ. სვანეთში ბესარიონ ნიქარაძეს, ბლალოჩინს, მე უკვე მივსწერე, რომ შენ მიხვალ იქ და ვთხოვე ხელი შეგიწყოს. მასვე აქვს სვანურ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც დაუთმობს აკადემიას სასყიდლით. მისი გრამატიკული შენიშვნები სვანური ენის შესახებ მე უკვე მოგეცი. გუშინ სადებუტატო საკრებულოში დავესწარი სხდომას და შენთვის თავად-აზნაურობას სამასი მანეთი დავანიშნე. დღეს ადრეს მივსცემ ალექსანდრეპოლში გამოგიგზავნონ. თუ დაავიანდეს, მოაკითხე სადებუტატო საკრებულოში. შენი ცოლი და თანაშემწენი მომიკითხე.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

ძმაო ექვთიმე,

წერილი მივიღე, ძალიან მაძლობელი ვარ სვანეთში მოგზაურობის შესახებ ცნობებისათვის, განსაკუთრებით მაძლობა გადაეცი ბნ ნიქარაძეს, რომ გაისარჯა ჩემთვის. მისგან კიდევ ველი მის სტატიას

სვანურის შესახებ. ლექსიკონის შავის მზადება (სვანურის) უკვე შეეასრულე და ხვალ თუ ზეგ ცოლი მიადგება მის გადაწერას⁵⁵⁴. რა-საკვ. ძირებზეა აწყობილი. ახლა ძალიან გამიტაცა აფხაზურმაც. ეგეც იაფეტურია, მაგრამ უფრო დაშორებული ქართულზე ვიდრე სვანური. წარმოიდგინე, როგორც სვანური, ჰაჟურზე უფრო დაახლოვებულია.

21 ივლისს გარნის წავალ და აგვისტოს ხუთამდი დავბრუნდები. შენ ცნობამ სამასი მანათის შესახებ ძალიან დროზე მოაწია. კაცს ვა-გზავნიდი ალექსანდროპოლში. ახლა უკვე ვიბარებ უსტას და, გთხოვ, დააჩქარებინე გამოგზავნა ფულის (Ив. Аф. Калачову для передачи проф. Марру, Александрополь), თორემ ცეცხლში ჩამაგდებენ აქ. მინდა ეპიფანეს⁵⁵⁵ ცალკე შეკეთსავით თაროები შეუწყო და გვლივ და წინაც (წინ განსაკუთრ. კარით) შევზღუდო.

ცოლი და თანამშრომელნი გმადლობენ მოკითხვისათვის და მო-გკითხავენ. ნინა ივანოვნას ჩვენი საერთო მოკითხვა. აქ ძალიან საინ-ტერესო წვრილმანები გამოჩნდა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

161

1912.2.15.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

წერილებს არ ველოდი უწინდებურად, საქმეთა სიმრავლე ხელს არ გიწყობს ალბათ, მაგრამ კარის გარიგებას ველოდი და ახლაც ვე-ლი. გარდა ამისა, თავის დროზე მიიღებ „Христ. Восток“⁵⁵⁶ და თუ რამ წვრილმანი ცნობა ან შენიშვნა გექნება, იმედია, მოგვაწოდებ, ჯერჯერობით სერიად გამოვა, შემდეგში კი ჟურნალად და მაშინ ცრტა-ოდენ თანამშრომელთათვის ჰონორარიც იქნება. Bibl. Arm. Geor-გიცა-ს პირველ წიგნს მიიღებ (მანანდიანცის). გიგზავნი აგრეთვე ჩემ ჰატარა სტატიებს, მათ შორის სიტყვას⁵⁵⁷ სააკადემიოს¹. დრო ბევრი შეკარგება და კვირაზე მეტი ავად ვიყავი, ახლაც ვერ მოვბრუნებულვარ. გიგზავნი ცალკე სიტყვის სამოც ცალს, წ.-კ. წიგნის მალაზიას მიანდევ

1 სემ. ნიკ. პ-კის გამოფუგზავნე ქალაღი რომ მთხოვა. ახლა შევიძელი მისა დაწერა.

გასაყიდად, ცალი სამშაურად ან აბაზად, ან როგორც შენ დააფასებ, ოღონდ არა მეტ აბაზისა, იქნება ჩემი წიგნები იქვე გაყიდულა, დამავალე, თუ გამოაგზავნიებ გაყიდულის ფულს. კარაიას⁵⁵⁸ თხზულებას ვათავებ და მაზედ ცალკე სამი შენიშვნა გამოვიმუშავე, მალე მიიღებ. სვანურს კიდევ ვულრმავლები, განსაყ. ზმას. ბ-ნ ნიჟარაძის, შენი ნათესავის, დაპირებული სტატია ან სტატიები არ მიმიღია ჭერეც, იქნება გაზეთის სახელი და ნომრები მაცნობოს, ძალიან მსურს გვიცნა. გაზეთს კი ვიშოვი აქ.

ნიკო ლოლობერიძის სიკვდილი მეტადრე მეწყინა.

აბა „ქარის გარიგება“. დედანი იყოს მხოლოდ, თარგმანს კი შემდეგ გამოგვიგზავნი.

მომიკითხე ნინა ივანოვნა. ცოლი ჩემი მოგვიკითხავს. ჟურის ხელში გაუჩნდა რაღაც და ზაფხულზე მარტო ვიქნები.

შ ე ნ ი . ძ მ ა ნ . მ ა რ ტ ი .

152

[1912]

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

არც აკადემიას მისი წერილის პასუხი და არც მე ჩემი თხოვნის პასუხი ჭერ არ მიმიღია¹. გთხოვე იმ გაზეთის ნომრის დასახელება, სადაც ბ. ივ. ნიჟარაძის სტატია იყო მოქცეული სვანურის შესახებ. გთხოვე „ქარის გარიგების“ დედნის და თარგმნის საზოგადოთ გამოცემის შესახებ. Bibliotheca Armena Georgica-ში უკვე გამოცხადებულია და მისი რიგიც მოაწია დიდი ხანია, რაც შეეხება თარგმანს, იგი მოითავსება მშვენივრად „Христ. Восток“-ში.

ველი პასუხს

შ ე ნ ი

ნ ი კ ო მ ა რ ტ ი .

¹ წერილი ჩემი მიღებულია, ალბად, რადგან ჩემი წიგნების ანგარიშში მივიღე მადლობელი ვარ.

ძ მ. ა. ნ ი კ.!

ქრისტე აღდგა! იცოცხლე ცოლ-შვილით, მე რომ მინდოდეს ისე ზანგძლივით. საწყალმა. ნიკო ლოდაბერიძემ იცოდა. შენი სახელის გაგონების ღროს თქმა: ეს ერთი კაცი დიდებული გვყავს. თავი მით უნდა მოგვეკონდეს და ჩვენ ვაგინებთო. ამ ფუქსავატ ცხოვრებაში ჩვენი იმედი შენა ხარ და, თუ ღმერთი. გწამს, თავს გაუფრთხილდი. მივიღე შენი წერილი და რაც მომწერე აგისრულე. ფულები გამოვაგზავნიე წერა-კითხვის საზოგადოებას. ბროშურები შენი მშვენიერი აკადემიის სიტყვისა გადაეცი მაღაზიას თითო. აბაზათ, მაგრამ 30% გამოკლებით. ასე იღებს მაღაზია. ერთი ცალი კაქაბაძეს⁵⁵⁹ (პსინხოპატს!) მივეცი, ორი წერაკითხვის ბიბლიოთეკამ აიღო (ესეთი ადათი აქვს) და ერთიც საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის დავიტოვე. სხვა სულ გაიყიდა საზოგადოებაში, და რომ იყოს, ერთი იმდენი კიდევ გაიყიდება. ამისთანა სტატიები მეტი დააბეჭვდინე ხოლმე, იმ ღროს მოვესწარი, შენი წიგნები კარგათ იყიდება და როცა მოთხოვნილებათ, უნდა მიაწოდო ხოლმე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შენი ბროშურები და წიგნები გამოუგზავნე ხოლმე. Христ. Восток-ი და Bibl-Georgica ჯერ არ მიიღია. რაც შემეძლება, დაგეხმარებით. ნიუარაძის წერილები მოგივა. გიგზავნი „ქარის გარიგების“ ქართულ ტექსტს, ზეთ მოვაცოლებ ახლო ხანში წინა სიტყვაობას, მაგრამ მე მაინც მთხოვნელი ვარ რუსული თარგმანით დაბეჭდო, ვეცდები გამოგიგზავნო თარგმანი, მაგრამ შენ უნდა მოიცალო, თარგმანი შენებურათ შეასწორო, ტერმინები და სიტყვები შენებურათ ახსნა, ერთი სიტყვით სრული რედაქტორობა და დახმარება იკისრო. უამისოთ ისეთი მნიშვნელობა არ ექნება მის გამოცემას. შენზე მომინდვია, როდესაც ამისთვის მოიცალო და დაამთავრო, მაშინ დაბეჭდე, ისე როგორც შენ გინდოდეს. Описание-ს მეორე ტომის მე-4 вып. დავამთავრე. ეს მეორე ტომი შეიცავს სულ 820 გვერდს. შენ დამპირდი ვიპუსკებს წავიკითხავ და შეცდომებს მოგაწვდი, რომ ბოლოს დაურთო შეცდომების სიაში, ძრიელ კარგი იქნება, თუ ახლა მომაწვდი, დაურთავ ბოლოს. მგონი პირველი ორი вып.-ის შეცდომები მაინც აღნუსხული გაქვს და გამომიგზავნე. არ ვიცი რა ვუყო Описание-ს გაგრძელებას, ოკრუგი⁵⁶⁰ სამი ოთხი ფორმის მეტს არ ბეჭდავს ერთდროულათ თავის გამოცემაში და მიჭივრებს საქმეს, ეგეც მომწერე.

აკადემიას გამოუგზავნო თუ არა მეორე ტომი. ქართლის მოქცევის-
ორთავე ვარიანტი⁵⁶¹ დავურთე ამ ტომს ბოლოს, ისე როგორც დედ-
ნებშია. ეს წელიწადი ისე გავიდა, რომ ვერაფრის დაწერა და დამთავ-
რება ვერ მოვასწარი. სულ მუზეუმის მოწყობას და საეთნოგრაფიო-
და საისტორიო საზოგადოების საქმეებს ვუნდები, მაგრამ ღვთით ეს-
საქმე ჯერ ჯერობით კარგათ მიდის და მე მგონია ამით უფრო მკვიდრ-
სათუძველს დაუდებ ჩვენი წარსულის შესწავლას, ვიდრე წერით ან-
სხვა მოღვაწეობით. ხელის შემშლელი აქაც ბევრი მყავს, ჩვენებური-
ამბავი ხომ მოგეხსენება, მაგრამ ჯერ ბევრი ვერაფერი დაგვაქვს.
დიდი მასალა გროვდება. შენ ერთი რეფერატი ან ლექცია უნდა უსა-
თუოთ მოგვიმზადო და ჩამოგვიტანო, როდესაც ჩამოხვალ. სამღუ-
რავი ისმის, ჩვენ საზოგადოებას არ ჰკადრულობსო. სად აპირებ მუ-
შაობას ამ ზაფხულს? კარგია, რომ ლინგვისტიურ გამოკვლევებს და-
ამთავრებდე, სიმონ პოლტარაკვი აქ ნამესტნიკის კანცელარიაში შე-
ვიდა სამსახურში. ქალიც ეყოლა დღეს. ზაფხულში თავისუფალი არ-
იქნება. სულ დაებნა დავთარი ცოლის შერთვის შემდეგ. ნინომ მოგი-
კითხათ ყველანი. ჩემ მაგიერათაც სალამი შენს ოჯახს.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

154

[1912].

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

გრძელი წერილისთვის თავი არ მაქვს. დიდი სიხარულით მივიღე
შენი ხელმოწერილი „ქარის გარიგება“, მაგრამ დაბეჭდვა უწინასიტ-
ყვარად სადაც ცნობა უნდა მოგვცე ხელნაწ. შესახებ, არ მოხერხდება,
და ნუ დაიზარებ, ესე იგი რაზე ნაირად დრო იშოვებ და მომავლოდ-

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

P. S. ტელეგრამისთვის მადლობელი ვარ და შენი კეთილი სურ-
ვილისთვის, მაგრამ როგორც გაზეთების სიჩუმისგან სჩანს, ამორჩე-
ვა აღარ მომხდარა⁵⁶², თუ არ ვცდები. შენი ძმა ნ. მარრი.

P. P. S. ძველი საქართველო კარგ დროზე მომივიდა, მადლობელი
ვარ. ვისარგებლებ. შენ მოგზაურობას ვკითხულობ. იგივე.

1912.6.5:-
ანიხ-

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

ახილეთ Муравьев, Грузия и Армения, ч. II, стр. 269: «Предание говорит, что когда Давид (Строитель) вселел опять освятить церковь соборную, которая была основана его бабкою, супругою первого царя Гагика и обращена в мечень при династии магометанской, он подошел ко гробу царицы и сказал: «радуйся, царица, Бог избавил церковь твою от агарян»: — внезапно послышался из гроба замогильный голос: «Богу благодарение!»

საიდან უნდა ამოელოს ეგ გადმოცემა მურავეოვს?

კარგი იქნება თუ დაბეჭდილ ტექსტს მომაწოდებ ან გადმოწერილს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.-

1912.7.2. -

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

იქნება გამოგეგზავნოს და დაკარგულიყოს გზაში შენი ნახული და დაბეჭდილი ფრაგმენტი კატრანიდეს შესახებ, შემატყობინე ღია წერილით, თან დართე, დაბირებული ნაწყვეტები თუ ცნობები გაუგზავნე თუ არა პროფ. ბენეშევიჩის „Христ. Вост.“-ისთვის, ან რა გაგზავნე.

ნ. მ ა რ რ ი

8 ივლისს 1912 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

აკადემიას აღიშის სახარების ფოტოგრაფიული სურათები გაუგზავნე. ბევრი აკლდა, ძლივს შეევაკსებოე, ორ ფურცელს კიდევ დღეს ვუგზავნი და ეხლა სრულათ იქნება. საისტორიო მასალები გამოგი-

გზავნე და იქ ნახავ ყველაფერს, რაც გეინტერესებოდა. რათ არის ასე არეული ცნობები კატრონიტეს შესახებ სხვა და სხვა წყაროებში? სხვა ჯერ აკადემიისთვის არავითარი შენიშვნა არ გამიგზავნია. ძუარებელი საქმე[ე]ები მქონდა და მაქვს. ხვალ რუსეთში მივიღივარ ძმასთან და ამ თვის დამლევისთვის ბორჯომში დავბრუნდები, ნინო იქ არის. აკადემიის სტამბიდან კორრექტურა მივიღე.⁵⁶³ ჯერ არ გამისწორებია, რუსეთში გავასწორებ და გაუგზავნი. მაგრამ მათ ის, სტრიქონებით აუწყიათ, როგორც ჩემს გზავნილ ტექსტში იყო: და არ ვიცი ისე დავაწყო სტრიქონები, როგორც ხელთნაწერშია თუ სხვაფერ. წერილი ამ თვის დამლევამდის ამ ადრესით მომწერე: Гришино-Станция Екатеринославской губернии. Генералу Такай-швили. გადასაცემად:

ეხლა შენი სტატიის შესახებ⁵⁶⁴. განმარტებას გაზეთში წაიკითხავ⁵⁶⁵, თუმცა დაავიანეს ბეჭდვა, მაგრამ გაზეთში ხომ ყველაფერი არ ითქმება, შეშლილ კაცს შეშლილი არ დაეძახება, მანამ ოფიციალურათ საგიჟეში არ დაამწყვდევენ და სხვა. ძრიელ ავნე ამ ნორჩს საზოგადოებას მაგ ყოვლად უმართლო სტატიით. სტორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენ მოვიწადინეთ ფაქტიურად განგვეხორციელებინა სალინგვისტო და სალექსიკონო მასალის შეკრება და დავრწმუნდით, რომ თუ ამაზე ზრუნვას სალინგვისტო განყოფილებიდან, რომელმაც არაფერი არ გააკეთა, გამგეობაში, საბჭოში გადავიტანთ, რაიმე გამოვავაო, მაშინ მოგვისწრო შენმა სტატიამ და გამოკოპიებული საქმე ჩავვიშალა, ეს კიდევ არაფერი, მტერი და მოყვარე, ვინც კარგათ არ გიცნობს, დაარწმუნა, რომ შენ ჩვენს საზოგადოებას მტრულის თვალთ უცქერი. ამით თავსაც ავნე და ჩვენც გვავნე. ნორჩს საზოგადოებას, რომელსაც მილიონი დაბრკოლება ელოდება წინ, ჯერ მადლი უნდა აღუნუსხო და მერე ცოდვა. მერმე რა ცოდვა! აბულაძეს კომისია არ შეუდგინეთო; იმ აბულაძეს, რომელიც წინააღმდეგ ამტკიცებდა და უხაროდა, სალინგვისტო სექცია დაიხურაო და მეორე დღეს, როდესაც მისგან მოწვეული კრების წინ წამოაყენა საკითხი კომისიის შესახებ და მათ არ დაეთანხმენ, ჩვენ დაგვებარა გაზეთში, საბჭომ უარი მითხრაო. აბულაძეს კვირეში შვიდი პარასკევი აქვს. მას და მეორე მის ამხანაგს, შენს შეგირდებს, არავისთან მუშაობა არ შეუძლიათ, ან დედას შეაგინებენ ან მუშტი კრივით მიიწევენ, და თუ რამეს აკეთებენ, ჩემი წყალობით არის, განსაკუთრებულ მუშაობას ვანდობ, რომ სხვასთან საქმე არ ჰქონდეს. ჩვენ ხომ დილექტანტები ვართ და მაგათ. „უთავადესი ლინგვისტიური პრინციპები“ შეუთვინებიათ შენგან, მაგრამ, როდესაც საჯაროთ ბრძანებენ, რაც მართალია მარჩის „ძირითად ტაბლიცებში“ ნაპარევიანო, და რაც არა, ბა-

ლასტი და ნებვიანო, ჩვენ დილეტანტები ვშფოთდებით და უსიამოვნება მოგედის მთქმელთან, და ესენი კი ან ტაშს უკრენ, ან სდუმან. როდესაც მართლა დილეტანტს და მაგათ ჭკუის პატრონს მეგრული და სვანური ენის შესასწავლათ და მასალის შესაყრებათ ფულს არ ვაძლევთ და ვეუბნებით — იქ უფრო მცოდნე კაცები მიდიანო, ესენი მარჩის მონებს გვეძახის და ათას გვარს ჭორებს ავრცელებენ ჩვენზე. ერთმა უთავადესი პრინციპის მცოდნემ გაკადნიერდა ერთ კრებაზე და ჩემს წინაშე ბძანა, ნ. მარჩმა ქართული არ იცისო, ქართულათ არ ლაპარაკობსო, გრამატიკა იცის მარტოო. აბა რომელი ერთი გითხრა, ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ სჯობს არ ვთქვა. ასეთი კაცები ბრძენთა ბრძენიც რომ იყვნენ და ყველა მეცნიერული პრინციპებიც რომ შეთვისებული ჰქონდენ, მაგათთან საქმის დაჭერა და შეთანხმებით მუშაობა ძნელია. ანის ნანგრევებიდან ხომ ყველა იმას ვერ დაინახავ, რაც აქ ჩვენ ჭაბანწყვეტა გვაქვს, რომ საქმე მოვაგვაროთ. შე კაი კაცო, ჯერ მკითხავდი, რაშია საქმე, და მერმე დასწერდი. შენ შენდა უნებლიეთ ეხლა ჩვენი საზოგადოების მონიტრივე ბელადათ შეიქენი, აბულაძე დადის ბუკინისტებში და აგროვებს წევრებს ახალი ორგანიზაციისათვის, არიქათ, აკადემიამ ფულების მოცემა იმდენი ალგვითქვა, რამდენსაც მოვისურვებთო, და ორგანიზაციაში ჩაიწერეთო. რას როშავს, რას ამბობს კაცმა არ იცის! ათასი ორგანიზაცია შექმნან, ხოლო ჩვენ თავი დაგვანებონ! ერთხელაც ამოიკითხეთ გაზეთში, ახალი ორგანიზაცია თუ საზოგადოება დგებაო საქართველოს შესასწავლათო, მაგრამ სადაა. ყველა ეს სამწუხაროა, რასაც გწერ, მაგრამ მოუწარლობაც არ იქნება, უნდა იცოდე, ვისთან ვაქვს საქმე და თუ ამით გაწყენიე; როგორც ძმა მეგობარს, მომიტევე,

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

158

1912-7.11.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

მადლობელი ვარ. მივიღე ჯერე ქრონიკული ცნობები და სხვა და შემდეგ წერილი, თუმცა ერთი წუთიც დრო არა მაქვს, თითქმის გადავიკითხე საინტერესო მასალები და ეხლა ხელად ვისწრაფი გაცნობო, „ზურაბ“ (გვ. 38, აგრეთვე გვ. 30) უკუ უნდა აგდო, თუ არ ვცდები. ხელად ჩემი გამოცემა არ მაქვს, მაგრამ მახსოვს, შეათელი დავითს როსტომად აღიარებს, მაშასადამე მის შვილს დემეტრეს ზურაბ სახელწოდება ეფერება მისი სიგმირის გამოსახატავად; ეგ ეპი-

ტეტია იმავე დემეტრესი და არა სხვა პირი. ამის შესწორებას მგონი მოასწრებ, თუ მთელი წიგნი არ გამოგიცია⁵⁶⁶.

ძალიან მწყინს, რომ Христ. Вост.-ისთვის არა გაგიგზავნია რა. სტრიქონებად დაყოფილი შენვე გქონდა გადმოწერილი და არც უვარგოა ამ შემთხვევაში დაცვა, მაგრამ თუ გსურს, გადააწურობი (კარის გარიგებაზე ვაშობ). კიდევ სტატიის შესახებ იწერები. შიგ სამი ნაწილია: ერთი ეხება საქმეს, იქიდან სჩანს, რომ თქვენც იგი გქონია სახეში, რის უქონლობას თურმე მე უსაფუძვლოდ ვსწამებ საზოგადოებას. მაშ რაღა სადავოა ან სალაპარაკო სხვა. რამე, კმარა გაზეთის საშვალებით ცნობის დასტამბვა, რომ მე გაზეთის დაბეჭდილ ამბავს შეცდომაში შეუყვანივარ. მეორე ეხება აბულაძის და სხვათა დახასიათებას, მაგრამ ჩემ წერილში ცხადად გამოხატულია, რომ ვისმე პროგრამას ან ყოფაქცევას ან კერძო მოქმედებას არ ვეხები, არამედ საპრინციპო საკითხს. მაშასადამე აბულაძის ან ვისმე ჩემზე ნალაპარაკი მე არ მაინტერესებს, რადგან ასეთს, რასმე ბევრს ზოგი კიდევაც ბეჭდავს, არა თუ ჩუმ ჩუმად ლაპარაკობს და ზოგი პირში მეუბნება. მესამე ეხება სიტყვა დილეტანტების შენგან თავის თავზე მიღებას, რაც ძალიან მაკვირვებს, რადგან მე აზრში არ მქონია შენი ჩარიცხვა ლინგვისტებში, მაშ თუ ლინგვისტობა მისდღემჩი არ გიციისრია, როგორ დაგწამებდი ლინგვისტ-დილეტანტობას. ამ განმარტებამ ძალიან გამაკვირვა და თუ ასეთ მიმართულებით სტატიაც გაზეთში გაგზავნე, ძალიან სამწუხაროდ გამეცინება. ზოგი ადგილი არც მესმის შენი წერილის, თუმცა ორჯერ გადავიკითხე. „შენ თავს ავნეო“, ვთქვათ იწერები, რა ვნებაზე ამბობ, ღმერთს გფიცავ არ მესმის. თუ მარტივი მეცნიერული მოთხოვნილების წამოყენება სავნებელია, ვის თვალში, მე არ მგონია, შენს თვალში. მაგრამ ვწყვეტ წერილს, რადგან რაც არ მესმის, მაზე სჯა ან მიწერ მოწერა ძნელია.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

P. S. მე მაინც არ მესმის არც წერილიდან სჩანს, თუ როგორ გინდათ მოაწყოთ ქართული ენის ლექსიკონის მოსამზადებლად მერმისში მასალების კრება. სვანურის გარევაც რომ ვილაცას მოუწადინებია ამ საქმის მოწყობაში, ისიც ხომ რაღაც გაუგებრობის შედეგია; სვანური და ქანური და სხვათა გამოდევნა წმინდა თეორიულ გამოკვლევის შედეგი და იაფეტურ ნიადაგზე დაყენებული ვრცელი ჰვლევა სულ სხვა საქმეა (ტფილისისთვის ჟერ უმწიფარი ხილი) და ქართული ლექსიკონისთვის მეცნიერულად მასალის კრება სხვა ხილი.

ქ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თხოვნა ათონის ივერიელთა მონასტრის დოკუმენტების შესახებ⁵⁶⁷ დღეს მოვახსენე აკადემიას, რომელმაც დაადგინა მიანდოს თხოვნილი საბუთების გადახილვა და ივერიელ ქმათა სურვილის ასრულების მოწყობა პროფ. ბენეშევიჩს, რომელსაც უფრო აქვს შესწავლილი მღ.-მთ. პორტირის⁵⁶⁸ ქალაქები, რა ექნება შედეგი ამ მინდობილობას, თავის დროზე გაცნობებთ ან მე ან აკადემიის მხრით ვინმე.

„Христ. Вост.“-ისთვის მცირე შენიშვნები ან მოკლე სტატიები დამპირდი, ჭერ არ მიგვიღია. „კარის გარიგების“ კორექტურამაც დაიგვიანა. ადიშის სახარების ფოტოგრაფიული პირი აკადემიამ შეიძინა და შენი სურვილის და გვარად 300 მანეთს გიგზავნის. ტექსტი საინტერესოა, მაგრამ არა სიძველით, არას დროს და ვერას. გზით მე-XI-ე საუკუნეზე აღრე ვერ დაიწერებოდა აგეთი ხელნაწერი. ამის შესახებ ცალკე ვამზადებ შენიშვნას. შენი შრომის შესახებ გთხოვ ცალკე დაწერილებითი მოხსენება მომართე აკადემიას, თუ რას შეიცავს, დედანი რა ხასიათის იქნება, ნახატები რამდონი და რა ხასიათის, რომ ნოემბრის დამლევამდი მოვასწრო შენი წინადადების გაცნობა და აკადემიისათვის მოხსენება, გთხოვ ნუ დამიგვიანებ მაგ საბუთებს შენი შრომის შესახებ, თუ აკადემიის გამოსაცემად მიჩნეული გაქვს.

შემთხვევით შევიტყვე, რომ ნინა ივანოვნას მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია, მადლობა ღმერთს, რომ შვიდობით დამთავრებულა საქმე, მომიკითხე, მე აქ მარტოხელა ვარ ბავშვებითურთ, საზღვარგარეთ არის ცოლი მისი დითურთ.

შ ე ნ ი ქ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

ქ მ ა ო ნ ი კ ო !

ჩემი ოჯახური საქმე ცუდათ წავიდა. ნინოს აპერაცია დასპირდა, ძრიელ შიშობდა, საქმე სახიფათო იყო მე ისეთ მდგომარეობაში ვიყავი; რომ არაფერის გაკეთება აღარ შემეძლო და არც გამოიკეთებია

რამე. ეხლა ნინო უკეთ არის, აპერაცია გადიტანა, მაგრამ ძრიელ ვშიშობ. ვაი თუ გაუმეორდეს. ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომ უმეტეს შემთხვევაში რეცედივი იცის. ვერ წარმოიდგენ რა სულიერი ტანჯვა გადავიტანე ამ ოთხ თვეში. თუ ღმერთმა მიპრიანა და ნინო კარგათ ბეყოლა, ნელ ნელა ყველას მოგაწოდებ, რაც დაგპირდი. ეხლა გამოვგზავნი ქალაქს შესახებ ჩემი მოგზაურობის გამოცემისა სვანეთში და შემდეგ სხვას. ბინის გამოცემა დამპირდა. ამანაც ხელი შემიშალა. ეხლა ჩვენ ცალკე ვცხოვრობთ. ბენეშევიჩს დააჩქარებთ ათონის მონასტრის დოკუმენტების გადაშინჯვა. ძრიელ მთხოვენი. თუ აღიშნის სახარების ტექსტი მე-X—XI საუკ. არის, როგორ უნდა ავხსნათ ბოლო-სიტყვაობა? ეს ფურცელი მე ცალკე მაქვს დედნის ზომაზე გადმოღებული და მისი ფაქსიმილე განმარტებით უნდა დავბეჭდო. დაუტეხი შენს შენიშვნას, მაინტერესებს. ფული ჯერ არ მომსლია, აკადემიიდან. ძრიელ კი მეკვირვება „კარის გარიგების“ კორექტურის გამოგზავნასაც დაგაჩქარებ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

ჩემი ადრესი: Ольгинская улица № 40

161

16 დეკემბერს 1912 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ლ

წალკაზე შეკრებილს წარწერებს ვბეჭდავ⁵⁶⁹ და ერთი ადგილი მეთორმეტე საუკუნის წარწერისა არ მესმის, ძრიელ დაგიმადლებ, თუ შენს აზრს გამიზიარებ. აი წარწერა: 1. ქ. სახელითა და ღმრთისათა და მეოხებითა წი^რსა ღ^რთს მშობლსა, 2. და წ^რსა ი^რე ნ^რთლს მც^რმლსა მშ^რადლა-ღ^რნ. 3. მე ხოშაქსა ეე^რსა მს^რხრთ უხ^რცსსა აფ^რდნს ცოლ^რსა 4. უვი ყმისა ზ^რლსა აღ^რგ^რბე წი^რსა ამ^რს ეკლ^რსაჲ ვრძ^რსა. 5. ღ^რთის მშობსა სმ^რსხრდ ი^რწლისა მ^რკდრი გმ^რცცხლა 6. ძლ^რრი ღდ^რბაჲ მშ^როძა ესე მც^რრედი მს^რხრბა მიძლნია. მე ასე ვთარგმნი:

«Во имя Бога и ходатайством св. Богородицы и св. Иоанна Крестителя сподобил Бог меня Хошаку, жену Эристава Эриставов, главы служителей Афридона, обязанную за душу сына, построить святую сию церковь в знак службы Вардзийской Божей матери: меня 10-летнюю. покойницу
260

воскресила великую честь оказала. Сию малую службу я поднесла в подарок».

ხაზ გასმული სიტყვები არ ვიცი როგორ გადავთარგმნო. წარწერა ვერ იყო კარგი წასაკითხავი, მაგრამ სწორეთ წავიკითხე მკონია 1896 წელს. სამასი მანეთი მივიღე აკადემიიდან და კვიტანციას ვაგზავნი. შენთვის დაპირებული წერილებისათვის ამ დღესასწაულებზე უნდა მოვიცადო. ნინო კიდევ ვერა მყავს კარგათ და ეს ძრეულ ხელს მიშლის. ჩემი წერილის პასუხი აკადემიიდან ჯერ არ მომსლია.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

162

1913.2.3.

ძმაო ექვთიმე, აფხაზეთიდან რო დავბრუნდი, მხოლოდ დღეს მივაწიე წერილების გადახედვას, და თუმცა შენი წერილი გროვის თავზე დავდევი, მაინც დღეს ვერ მოვასწრობ პასუხს თარგმანისას, დასტურ ჩასაფიქრალი ადგილია („უვი ყმისა ს'ლსა“). ვწუხ, რომ არ მწერ, რაზედ არის წარწერა და რა ადგილზე. ხვალ ან ზეგ გადაწყვეტილს მოგწერ.

შენი ძმა ნ. მარრი.

163

1913.3.27.

ძმაო ექვთიმე,

ამის მრმტანი, abbé Thibaut⁵⁷⁰ გამოჩენილი სპეციალისტი არის საეკლესიო ძველი ნოტების. თუმცა ქართული ენა არ იცის, მაგრამ ნოტების ენა მხოლოდ მაგან იცის საეკლესიო მღერის ძველებურისგანსაკუთრებული თხზულება გამოსცა სხვათა შორის ბერძული ნოტების შესახებ, და ახლა შენ იცი, როგორ ხელს შეუწყობ ხელნაწერების ჩვენები[თ] ქართული ნოტების შესწავლაში. მასალა შეკრიბოს მაინც, ჩემი განსაკუთრებითი მონდობილებით მოდის.

შენგან წერილი არ მოვიდა ლეჩხუმ-სვანეთის შესახებ სიძველეთა (საპასუხო)⁵⁷¹. ჩვენი საშუალებაც ისე მიწურულა, რომ გავვიძნელებოდა, თან ამ ერთი თაბახის ასეთ დაგვიანებამ ძალიან დამაბრკოლა, თავის დროზე მინდოდა ტექსტის დაბეჭდვა, თარგმანი ხომ მერ-

შეც მოასწრებდა. თუ ძმობა გწამს, რამე გარკვევით შემატყობინე მაგ „ქარის გარიგების“ შესახებ, იქნებ არც აპირობ აქ დაბეჭდვას, მაშინ ესეც შემატყობინე აწყობილს დავაშლიებ. მოკითხვა ნინა ივანოვნას.

შენი ძმანიკო მარტი.

164

25 აპრილს 1918 წ.

ძმანიკო!

აბბატი ტიბო მივიღე და რეთიც შემემძლო ხელი შევეუწყვე, მთელი სამი დღე მას ვსდიე, მგალობლები და ლიტურგისტები გავაცანი და თავს მოვახვიე. ძველი ნოტების საქმე კი უნდა იცოდეს, მაგრამ სხვებში ცოტა, თუ ბევრათ არა, მკვებხარა უნდა იყოს. ჩვენმა ქალებმა თქვეს, მეცნიერს არა გავსო. მისი გამოცემული წიგნი 50 მანეთათ მოგვეყიდა. „ქარის გარიგების“ კორრექტურას უსათუოთ ამ ცოტა ხანში გაახლებ. რატომ წარმოიდგინე, რომ მაქ არ მსურს დაბეჭდო! მოუცალობის გარდა, კიდევ მიტომ შევაჩერე, რომ იმედი მქონდა ერთ ადგილას სხვა დედანს აღმოვაჩენდი, ისეთი ნიშნები იყო, მაგრამ ამ უქმებზე წავედი და იმედი გამიცუდდა. აკადემიის პასუხიც დამიგვიანდა, კლიაშვილმა ჯერეც არ დამიმზადა გეგმები ეკლესიებისა და ამას გარდა მთელი მასალის ერთათ გამოგზავნა შეუძლებელია. ეს საქმე სექტემბრისთვის უნდა გადავდვათ. მასალის მოუწოდებლათ რომ გადავდვათ ერთი ნაწილი ფულისა ამ ნაწილის ხარჯ-ალრიცხვით, კარგი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში პასუხს მოვსწერ აკადემიის სექრეტარს. შენი ამბავი მომწერე დაწვრილებით, როდის ჩამოხვალ კავკასიაში, სად გნახავ, საით მიემგზავრები ამ ზაფხულს. ისე მოახერხე, რომ სალაპარაკოთ ერთი ორი დღე დაგვრჩეს, ჩვენ მარტო. სექტემბრისთვის ერთ სტუდენტს გამოგიგზავნით, ინგოროყვას⁵⁷², ჰტორეთ გვასახელებს, ისეთი ნიჭის პატრონია, მაცადინი და მუშაკი. ეხლაც მთელი ლიტერატურა ჩვენი ქართული წყაროებისა მშვენიერათ შეუსწავლია, ხუცურს კარგათ კითხულობს. ამან თუ ფილოლოგიური სწავლა მიიღო, კარგი შესამჩნევი მკლევარი იქნება და შენი ადგილი მარტო მაგას შეეძლება დაიჭიროს. ცოტა სუსტი აგებულების არის და ეს არის საშიში. სასიამოვნო მოვლენაა ჩემთვის ეს ყმაწვილი. მე ვერა ვარ კარგათ, ძრიელ სუსტად ვგრძნობ თავს, მოვხუცდი და ათასგვარ საქმეს ველარ ავდივარ და ისე დახლართულია საქმე, რომ ვერც თავი დამინებებია. ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო

საზოგადოების საქმე ძრიელ გართულდა და გაიზარდა და მთელ ძალ და ღონეს მართმევს. ზაფხულში სად ვიქნები არ ვიცი. თუ არ ვიაქიმე ცუდათ იქნება ჩემი საქმე, რევმატიზმა და სხვა ავადყოფები გამომოჩნა. მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

შენ რომ სიტყვების ახსნა გთხოვე, საჭირო აღარ არის, იქ დავრწმუნდი, რომ რალაც შეცდომა მაქვს, სხვანაირათ უნდა წაკითხვა ვგონებ არის: ოსიყმის ასულსა.

ე . თ .

166

[1918.V.8]

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ამ წერილით ძალიან გამახარე. იმედი მეკარგებოდა, აღარ ვიცოდი რა მექნა. გამოცემა ტექსტის არასფერს დააშავებს ცალკეც ან თარგმნის გამოცემამდე, იქნებ ვინმემ ყურადღება მიაქციოს და რეალურათააც შეისწავლოს, მგონი, ივანე ჯ-შვილი ფიქრობდა. თვარა საჭიროა, თარგმანიც მალე მოგვაწოდო, რომ არ დაგვიანდეს თვით ძეგლის გამოქვეყნება. ყოველშემთხვევაში, როგორც შენ ინებებ, ისე იქნება. შემოდეგამდე გამოქვეყნება მაინც არ მოხერხდება.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

თბილისში ერთი დღით დავრჩები მაინც, ვაპირობდი არც ერთ საათს. თავს ძალიან მარტოდ ვვგრძნობ მეცნიერულად და განცალკევებულად, იმედი მეკარგება, რამე წინ წავსწიო იმ საქმეთაგან, რომელთაც თავს ვაკლავ. იქნებ სიკვდილის შემდეგ ჩემი ნაშრომი უფრო ნაყოფიერი გამოდგეს. — იქნებ სადმე თფილისში ქისტი-თუში (ქისტურის მცოდნე), გეგულვებოდეს სამი საათის განმავლობაში, რამდენიმე კითხვას მივსცემ და ფასს მივსცემ. ქისტურის შესწავლა ძალიან საჭირო ყოფილა.

ნ . მ ა რ რ ი .

შენი ახალი ადრესი დამეკარგა.

მივიღე 13 დეკემბერს 1913 წელს,
ე. თ.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

კიდევ მიიღებ ერთხელ „ქარის გ[არიგ]ებას“, რადგან შობამდი დრო არ მაქვსო — მწერდი, საშობოდ, დაბრუნებისას (აფხაზეთში მივალ) იმედი თუ არ დამხვდება შინ, მალე მივიღებ ანასაც და თარგმანსაც და წინასიტყვაობასაც¹. მაშინ უფრო ღინჯად დავხედავ ღედანს თარგმანთან შედარების დროს.

.სხვა, ძმაო, ცუდად არის ჩემი სურვილების საქმე, სომხებმა იმდენი ლაფი დამასხეს თავზე, რომ რახსი ვერ გამრეცხს. და რამდენი სისხლი გამიფუქეს, მათ სინდისს მოეკითხოს. სიბერემდი ქართველებმა მაგინეთ, მაგრამ ასეთი უნამუსო და დაყინებული სიცრუით გაქ[ლ]ენთილი ავაზაკური დატაკება არც მაშინ მინახავს. მე ხომ ხმას არ ვიღებ და ჩემი მომხრენი და თანამგრძნობნი (ამბობენ, არიანო) ან განაბულან ან ისეთ კილოით მემართლებენ (ორიოდე), თითქო დაატურ რამე დანაშაული მიმიძლოდეს. მეზიზღება ამ საგანზე წერა, და დაკითხვას შენსას ამიტომ არავითარი პასუხი არ ვაგვეცი, კმარა, რომ მე სიკვდილი მომინდომეს თურმე და არჩევდენ, თუ სად გამათავონ ანისში თუ ანის და ალექსანდროპოლს შორის. კმარა, რომ სომხების პრესის გამოლაშქრებისგან პირველ დამიცვა „Русское Знамѣ“—მწვ, კიდევ იუბილეზე მეკითხები. ჩემი იუბილეი პანაშვიდზე იქნება, მაშინ სომხების იგ[ი] დარგი, რომელიც ჭორებით ჩემ სახელის გატეხას ფიქრობს, დადუმდება და მეორე დარგი ხმას ამოიღებს, ჩემი აზრით — ამოება ამოებათა. უფრო საინტერესოა ის, რომ წოვა-თუშური, ქისტური, დიდოური და სხვანიც იაფეტურად გამოდგა, და ანისშიც და სომხეთშიც ბევრი საინტერესოა, თუ ზღვამ სოხუმით დაბრუნება არ დამაცალა, თფილისით გამოვიარ 13 თუ 14 იანვარს. მოგვიკითხე ნინა ივანოვნა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ ი კ ო მ ა რ რ ი.

¹ სიტყვების წუსხაც კარგი იქნებოდა, თუ არ ვეძნელება.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

გთხოვ მაცნობო, რა მდგომარეობაში არის „ქარის გარიგება“, ძალიან დამავალე თუ არ გადამადლებიებ შემოდგომაზე.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

18 აპრილი 1914 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ძრიელ დავაგვიანე და მოგაბეზრე თავი „ქარის გარიგების“ მოლოდინით, მაგრამ რომ იცოდე ჩემი გარემოება, არ დამზრახავ. ეხლა გამოგიგზავნე კორექტურა და რუსული თარგმანი, ახლოხანში სიტყვების ნუსხას გამოგიგზავნი ანბანზე დალაგებულს, წინა-სიტყვაობა ხელნაწერის⁵⁷⁴ და მისი დროს შესახებ ადვილია, მაგრამ მე წინასიტყვაობა უფრო ვრცლათ მაქვს განზრახული და ამას დრო უნდა. მე მგონია შემოდგომამდის ვერც შენ მოასწრობ თარგმანის შესწორებას და ყველა სიტყვების ახსნას. არ მინდა, რომ ასეთი წყარო სხვებსაც შეუშუშავებელათ გამოვსცე. ჩემთვის ეს ისაა, რაც შენთვის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება იყო და დავაგვიანება უნდა მაპატივო, ძრიელ კარგი იქნება, თუ ცინკოგრაფიულ ფურცლებს დაურთავ ტექსტისას, თლათ თუ არა რამოდენიმეს. ფოტოგრაფიას გამოგიგზავნი, თუ ისურვებ. სულ თვრამეტი ფოტოგრაფია იქნება, ვინაითგან ორი გვერდი დაეტევა თითო ფოტოგრაფიაზე და ძრიელ დავიმადლებ თუ მთლათ მოათავსებ. ტექსტი ნაბეჭდი ცოტაა და ფაქსიმილეთ გამოცემას მნიშვნელობა ექნება. სადაო ადგილებიც მკითხველს ხელთ ექნება. ეხლა გთხოვ დაბეჭდვით მომწერო, როდის მოხვალ ტფილისში და რამდენი დღე დარჩები. ჩვენ ინტილიგენციას სურს შენი იუბილეი გადაიხადოს. ქართველებმა იუბილუის გადახდა და დამარხვა კარგი ვიციო, მაგრამ კარგი რომ გამოვიდეს, ამას მზადება უნდა. ჩვენი საზოგადოება საისტორიო და საეთნოგრაფიო მოაწყობს იუბილეს, თუ შენი თანხმობა იქნება, გენებება ამ ზაფხულის დასაწყისში, გენებება შემოდგომისათვის, მაგრამ შენგან თუ თანხმობა არ იქნება,

ისე ჩვენ ვერ გავბედავთ, შეშინებული ვართ, ექვიანი კაცი შეიქენი, საპატიო წევრად არჩევა არ დაგვიჯერე, თითქო მე ისეთი დაუხედავი ვიყო, რომ ოფიციალური ტელეგრამა ჩემით უბრალოთ მოგწერე. ეს ლა ის დრო აღარ არის, რაც წინეთ იყო. ჩვენმა საზოგადოებამ შეიგნო შენი ღვაწლი. შენი თანხმობა ამის შესახებ ტელეგრამით მაცნობე, რომ დროზე შევეუდგეთ საქმეს, გაზეთში გამოვაცხადოთ, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მოაწყობს იუბილეს. რასაკვირველია, იქ ნათქვამი არ იქნება, რომ შენ თანხმობა გამოაცხადე. ეს ჩვენ შინაურულათ გვეცოდინება. კარგი იქნება თუ მოიცლი, და ერთ რეფერატს ან ლექციას წაიკითხავ ჩვენ საზოგადოებაში. ეს ძრეულ საჭიროა და ძრეულ მადლობელი დაგჩხები. მომიკითხე შენი ცოლი და შვილები. მოკითხვა ნინომ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

169

1914.5.8. სპბო

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

მადლობელი ვარ, თარგმანი⁵⁷⁵ მომწოდე, ალბად დანარჩენი მხოლოდ შემოდევზე მოაწევს, მაგრე იყოს. გადავეცი თარგმანი ასაწყობად. ჩემი იუბილეს საქმე მაშინაც საეჭვო იქნებოდა, რომ სასაციონოდ არ გაეხადა „მტერსაც“ და „მოყვარესაც“ საზოგადოების განწყობილება ჩემ მეცნიერულ მოღვაწეობისადმი, ხოლო ესლა მაზედ მუსაიფი ხომ გვიანლა არის და ადრეც. ადრე რადგან ჯერ კიდევ მუშაობას ვაპირებ და იქნებ (მე კი მრწამს) ჩემი ანდერძის აგების დრო ჯერ არ მოსულა.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

თფილისში ჩამოსვლა მე არ შემხვდება.

170

1914.5.8. სპბო

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

ბოდიშს ვიხდი, რომ ერთ საგანს დღეს დილას-გამოგზავნილ წერილში არ შევეხე. საპატივო წევრის ვალდებულება გამახსენე შენ ბარათში და თანახმა ვარ, რომ ერთი მაინც მოხსენება უნდა წავიკი-

თხო თქვენ საზოგადოებაში, მაგრამ როდის? ზაფხულზე რომც მეხე-
ლებოდეს ჩამოსვლა, ხომ არვინ არ მოიპოვება თფილისში. ყოველ-
შემთხვევაში ამის შესახებ მეც მიფიქრია, მაგრამ თემა არ გამოძირ-
ჩევია, არც ვიცი რა პირობებში დამირჩება წაკითხვა. იქნება თქვენი
საზოგადოება ცალკე სხდომას მოისურვებს საზოგადო ლექციის წასა-
კითხავად და თუ სტუმრები და მსმენელნი არა მარტო ქართველნი
იქნებიან, რუსულად დამევალება წაკითხვა. ეს აზრები კითხვის მსგავ-
სად მიიღე და გადაწყვეტილი პასუხის მაგიერ შემდეგ მაცნობებ შენ
აზრს — მგონი „უახლოვესი“, როგორც რუსები იტყვიან, მეცნიერუ-
ლი საკითხი, რომლის ზოგადი აზრებბს გამოთქმის დამუშავებას ჩემ-
გან იქნება — ან „ლუსმური წარწერები და იაფეტური ენები (მათ
შორის ქართული)“, ან „კავკასიის ენების კლასიფიკაცია ისტორიულ-
ლინგვისტური“ ან „ქრისტიანული კულტურის აღორძინება საქარ-
თველოში და სომხეთში“ და რამ კიდევ ამგვარი.

შენი ძმა ნიკო მარრი.

171

6 მაისი 1914 წ.

ძმაო ნიკო!

გიგზავნი საკუთარ სახელების, საგნების და იმ სიტყვათა სარჩევს,
რომელთაც ახსნა ექირვება. ეს შენ გაგიაღვილებს შრომას სიტყვების
მონახვაში და ახსნაში. ორი დღის შემდეგ ტექსტის სრულ ფოტო-
გრაფიას გაახლებ. ხოლო შემოდგომისათვის ვრცელს წინასიტყვაო-
ბას დაგიმზადებ⁵⁷⁶. რეთიც უკვირდები, ჭერ კიდევ ბევრი შრომა უნ-
და ზოგიერთი ტექსტის ადგილების აღდგენას და გაგებას. შენ სა-
მართლიანათ შენიშნე, რომ მანამ რუსულ თარგმანს არ დავამზადებთ
საბოლოოდ, ისე ქართულის ტექსტის დაბეჭდვა არ შეიძლება. ეხლაც
შევიშნე სიტყვები, რომელსაც შესწორება ეტყობა და გთხოვ გაას-
წორო: მე-139 სტრიქონში სწერია: შ ა ფ ლ თ წ ა ხ ს ნ ი ს. უნდა გას-
წორდეს ჩ ა ფ ლ თ წ ა ხ ს ნ ი ს (და ქვემოთ შენიშვნა უნდა: 1)
в оригинале написано: მაფლთ). მე დარწმუნებული ვარ, რომ ასე
უნდა გასწორდეს. უამისოდ აზრი არ გამოვა და აქ უსათუოთ შეც-
თომაა გადამწერისა. მე-143 სტრიქონში მესამეს და მეოთხე სიტყვას:
„და აგრევე“ შენიშვნა უნდა ქვემოთ (эти два слова ошнрочно пов-
торены). მე-149 სტრიქონის სიტყვას „წ ე რ ი თ ა“ შენიშვნა უნდა

გაუკეთდეს: **ДОЛЖНО БЫТЬ С Е Л И Т А**. სხვა ადგილებში **ს ე ლ ნ ი** მოხსენებულია, და აქაც ჩემის აზრით **ს ე ლ ი თ ა** უნდა იყოს. მე-11 გვერდზე სათაურში კარისა უკანასკნელი ასო ანათ გაასწორე. მე-262 სტრიქონში სიტყვას **ა რ ი ს** შენიშვნა უნდა გაუკეთდეს: **ДОЛЖНО БЫТЬ** არ **ა რ ი ს**. უამისოთ უაზრობა გამოდის (წაიკითხე ქვემოთ, თუ ერთი არის საჯდომი, ავტორი რაღათ ესარჩლება უძველესი კარის გარიგების ავტორს?) მე-438 სტრიქონში სწერია: **ჭ ყ ო ი ნ დ ე ლ ი ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა**, უნდა გასწორდეს: **ჭ ყ ო ი ნ დ ე ლ ი ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა**. ამას გარდა, შენ როგორ გგონია. არ სჯობს, რომ მე-7 წ-ში რუსული თარგმანის მიხედვით ფრჩხილებში რაიმე ზმნა ჩაუმატოთ? თორემ შესმენილი არ არის მთელს პარაგრაფში. მეორე ნახევარი რუსული თარგმანისა მე კარგად არ მაქვს დამზადებული და ვერც რიგიანად გადათვალეირებული. მე-16 წ-ის აზრი ეხლა უკეთ გავიგე და პირველ ნახევარს პარაგრაფისა შესწორებულს აქ გიგზავნი. რასაც შევესწორებ სხვა ადგილებს, კიდევ გაახლებ და შენ ცოტა იქნება შრომა გაგიადვილდეს. თუმცა შენგან მაინც დიდი შრომაა საჭირო, რომ ყველა სიტყვები ახსნა და თარგმანი შეასწორო. ძრიელ შემოყვარდა ეს „კარის გარიგება“ და დაე დაგვიანდეს, ამით უსათუოთ გამოცემა მოიგებს. წინასიტყვაობაში ბევრ რამეს გამოვარკვევ. მოძღვართ მოძღვარი უსათუოთ გელათში ცხოვრობს და რექტორი უნდა იყოს იქოური აკადემიის და არა წინამძღვარი. სიგელებში წინამძღვართან ერთად მოძღვართ მოძღვარი იხსენიება კიდევ ყოველთვის და ეს მარტო გელათის შესახებ გვხვ[დ]ება ხოლმე. ჩვენი „კარის გარიგება“ გელათშია დაწერილი უსათუოდ. ეს გელათური ძღვენი მიაგებონ (აქ) საქრისტოშობისოთ მომავალსა მეფესა (ეს მო ბეგრს რასმე გვიხსნის) და სხვა. მე კიდევ ვრწმუნდები, რომ ის ეფისკოპ[ო]სების დასხდომის რიგი, რომელსაც ჩვენამდის მოულწევი და მეფის კურთხევის წესი ამ „კარის გარიგების“ ნაწილს უნდა შეადგენდეს. ყველა ამას გამოკვლევა და დასაბუთება ეჭირება რასაკვირველია და წინასიტყვაობაში და გამოკვლევაში შევეცდები ავხსნა.

ჩემი წერილის პასუხი შენგან არ მიმიღია. ჯავახიშვილმა მითხრა დიდოეთში აპირებსო. შენდა კარგია, მაგრამ ამ მთაში მოგზაურობას სიფრთხილე უნდა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი ორივე წერილი მივიღე. როგორც პირველმა ცულ გუნებაზე დამაყენა (პესიმისტური ჰანგები იყო შით), ისე მეორემ დიდათ გამახარა. ძრვიელ კარგი საქმეა შენი ჩვენ საზოგადოებაში ლექციის და რეფერატის წაკითხვა. ყველა ტემები, რომლებზედაც იწერები, ერთი, მეორეზე უკეთესია, ყველა სასურველია, ყველა ერთგვარათ საინტერესოა. ამიტომ არჩევანი შენთვის მიმინდვია. ლექციის მსგავსად უნდა წაიკითხო ქართულს ენაზედ ქართულს თეატრში. ეს ყველას ემჭობინება. იქნება ერთი პატარა რეფერატი, მოკლე საზოგადოების სხდომაზე წაიკითხო და თეატრში ლექცია ცალკე (ამ სიხარბისათვის არ დამზრახო). ეს ყველას ემჭობინება, ამიტომ რომ შენ მთერ აღნიშნული თემები საამდროო საჭირობოროტო საკითხია მეცნიერებაში და ჩვენს საზოგადოებაში ამ ბოლო დროს ყველა დაინტერესებულია ამგვარი რეფერატებით. ხალხი ჩვენ ჩათლახ რეფერატებსაც ბევრი ესწრება, ყოველ შემთხვევაში, რასაც შენ ამოირჩევ, ჩვენ ყველასათვის მადლობელი დაგრჩებით! დროს შესახებ: შემდეგ უნდა მოგწერო. თუ ეს იენისის პირველ რიცხვებში იქნება, შესაძლოა მოვახერხოთ, ზაფხულის შუა თვეებში შეუძლებელია. სექტემბრის შუა რიცხვებისათვის მოსახერხებელია. თუ არც ერთს ამ ორს დროს არ შეიძლება, მომავალი დეკემბრისათვის უნდა გადავდვათ. არჩევანი შენზეა, როდის შეგეძლება და დრო გექნება, გვაცნობე. გიგზავნი ფოტოგრაფიულ სურათებს „ქარის გარიგების“ ტექსტისას და გთხოვ კლიშეები შეუკვეთო ცინკოგრაფიის და უსათუოთ დაურთო. რუსული ტექსტი ასაწყობათ მივეციო, იწერები, მაგრამ თუ არ შეგისწორებია თარგმანი, ისე ხომ არ ივარგებს. ლექსიკონი⁵⁷⁷ გამოგიგზავნე, უკვე მიღებული გექნება, აგრეთვე ბარათი, სადაც ზოგიერთ ტექსტის შესწორების შესახებ გწერდი. მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები. ნინომ ყველას მოკითხვა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე , თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

1914.5.16.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე

მადლობელი ვარ, თარგმანი⁵⁷⁸ გადავეცი ასაწყობად, დედნის შესწორებანი შევიტანე, ბექდვას მოუცდი თარგმანის აწყობის დამთავრებამდე და მასთან შედარებამდე. სიტყვებსაც მაშინ გავარჩევ. შემოდგომამდე გადაიდვება გამოქვეყნება.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

174

პ³გი 1915.3.4.

Вас. остр. 4 л.

д. 7. кв. 14

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე,

აღბათ ბედისწერა არის, რომ თავი უნდა მოგაძულო. ძვირად გწერ და როცა გწერ, სულ ერთ ამბავს ვაახლებ. ძალიან დამავალე, თუ წინასიტყვაობას გამომიგზავნი „ქარის გარიგებისას“. იქნება თარგმანის გამოცემა არ გასურს და ვიკმართ დედნის გამოცემა, შემდეგში იქნება დრო უფრო ხალისს მოგცემს თარგმანის დამთავრებისა და ცალკე დაგბეჭდოთ. ახლაც თარგმანის დაბეჭდვა ცალკე შეგვიძლია XB-ში. ნინა ივანოვნას მოკითხვა, გულითადი ჩვენგან.

საშა მოგვითხავს.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

175

18 მარტი 1915 წელი

ძ მ ა ო ნ ი კ ო!

შენი წერილი მივიღე. დარწმუნებული იყავი, გარემოებას რომ ხელი არ შეეშალა, ამდენხანს არ გავაჩერებდი „ქარის გარიგებას“,

მაგრამ საპატივო მიზეზები მაქვს. ეხლა მეტი აღარ გაეწყობა რა, მოკლე წინასიტყვაობას გაახლებ ამ დღესასწაულების შემდეგ და ჭერ მარტო ქართული ტექსტი გამოვუშვათ. შემდეგ შენის დახმარებით რუსული. შენი ქართული საიდუმლო ანბანის ახსნა⁵⁷⁹ დიდი საქმეა, ძრიელ მასიამონა, ერთი რამ აკლია განმარტებას: უნდა დაგეწერა, თუ როგორ შეიგენი და გასაღები იპოვე, ამასაც მნიშვნელობა აქვს. მე ხშირად შემხვედრია ამგვარი მინაწერები და ვგონებ სადღაც აღნიშნულიც მაქვს. მე ცუდათ ვგრძნობ თავს და ჩვენს გარემოებას რომ ვუკვირდები, უფრო უარესად ვხდები. იმედი მეკარგება. ძრიელ ცუდ დროს განვიცდიო. კაცები გვჭირია შეგნებული, გონება დამჭდარი და არა გვყავს! აქ აუტანელი მდგომარეობაა. ჩვენი მოძმე აჭარლები სულ აიკლეს ყაზახ-რუსებმა და ოსმალებმა, დავკარგეთ მთელი მოძმე ერი და ჩვენ ვერა გვიშველია რა!⁵⁸⁰ ნინო გუშინის წინ სტავროპოლში წავიდა დასთან დროებით. მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

170

14 მაისს 1915 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ეხლაც იძულებული ვარ წინასიტყვაობის მაგიერ ამ წერილით მოგმართო. მოგეხსენება ანდაზა: ბედაურები დაიხოცა და ვირს შაქრისაზარს ეძახოდნენო. აუარებელი საზოგადო საქმე წამოაყენა თანამედროვე ცხოვრებამ და ძალაუვნებურათ ჩართული ვარ ყოველ საქმეში. ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის. მოსვენებას არ მაძლევენ. აჭარის საქმემ, როგორც გავიგე, შენც ამოგაღებია ხმა და მოხსენება შეგადგენია. აქ საქმე ცუდათ იყო დაყენებული. ისედაც სრულიად აწიოკებულს და გაუბედურებულს ხალხს გადასახლებას უპირებდნენ. როგორც იყო, ასე თუ ისე საქმე მოვატრიალეთ, მაგრამ გამოძიება მაინც სწარმოებს. მე დამჭირდა ბათუმში წასვლა და შემდეგ ეგრეთ წოდებულის „ზაპისკის“ შედგენა ბათუმის ოლქის შესახებ. ამას დაერთო ათას გვარი სხვა საქმე. „კარის გარიგების“ შესავალისათვის ვეღარ მოვიცალე. როგორც გადმომცეს, შენც მალე გამოემგზავრები პეტრეს ქალაქიდან და ამიტომ უნდა გადავძვათ შემოდგომამდის.

ამ საფუძვლში ბოლოს მოუღებ გაუთავებელს და გაქიანურებულს საქმეს. ამას კიდევ სხვა სტატიებს დაუმატებ Христ. Восток-ისათვის. მასალა მზათა მაქვს.

ნიკო, შარშან დამპირდი, რომ ჩამოხვიდოდი საახალწლოთ და ლექციებს წაიკითხავდი ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით. ომმა აღარ შეგიწყო ხელი და საქმე ჩაგვიშალა, მაგრამ ეგ საქმე შენ მაინც ვალად გაწევს და არ დაივიწყო. კარგი იქნება ამ ჩამოსვლაზე ერთ პატარა რეფერატს წაიკითხავდე ჩვენს საზოგადო კრებაზე. საბჭომ დამავალა ამგვარი ჩვენი სურვილი გადმოგცე და სხვა შენ იცი. ნინო სტავროპოლშია ამ ჟამად დის სანახავად წავიდა, და ამ თვის ბოლოს დაბრუნდება. შემატყობიე როდის ჩამოხვალ ტფილისში, რომ აქ დაგხ[ვ]დე. მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

177

1915.6.21.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

ძალიან დამაყალბებ, თუ შენი გამოცემებისაგან, რაც გვაქლია, გამოგვიგზავნი, უბრალო ბანდეროლით შემდეგი ადრესით:

Ст. Ани (Эрив. губ.), Анийскому музею древностей в городище Ани.

გვაქლია:

- 1) Грузинские древности I(სუფუეც განა?) და IV-დან შემდეგნი.
- 2) Археолог. экскурсии, разыскания и заметки, вып. II, III, IV.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

„ქარის გარიგების“ შესახებ იქნება რამე სანუგეშო მომწერო, შე-
მოღებზე მაინც დავასრულოთ.

ანისი.

ქ მ ა ო ნ ი კ ო ს

მივიღე შენი მოკლე და მშრალი წერილის თხოვნა შევასრულე. მე-IV ტომი ჩვენი გამოცემისა⁵⁸¹ გამოგიგზავნე. პირველი ტომი საქ. სიძველენისა მოამბიდან ამოღებულის „ოტისკებიდან“ შესდგებოდა, ცოტა იყო და ეხლა არ იშოვება. ჩვენი საზოგადოება ხელმეორედ ბეჭდავს და როცა გამოვა, მოგერთმევა. Археол. экскурсии გამოგიგზავნე. вып. II, III, IV. მე-V მალე გამოვა, ის არის რაც Стор-ник-შია⁵⁸². ხვალ მე და ჩემი ცოლი ესენთუკში მივემგზავრებით. ცუდათა ვარ და უნდა დავისვენო, თორემ მალე წესს ამიგებენ. შენ კარგათ იყავი, შენი ცოლი და შვილი მომიკითხე. „ქარის გარიგებას“ როცა დავბრუნდები შევუღლები.

შ ე ნ ი ქ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

179

1915.8.28.

ქ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ო

რისთვისაც მოვედი, ისე დაქანცული ვიყავი და ომის ამბავმა ეგრე შეგვიქცია, რომ არც შენ და არც მე არ გაგვხსენებია „ქარის გარიგება“ და „Хр. Вост.“ თქმული, თითქმის აღთქმული, სტატია ძალიან მაინტერესებს⁵⁸³. უკანასკნელის სასურათო მასალა უნდა გადამეთვალთმეობო, მაგრამ თვითონ გამოარჩიე და მოგვაწვდინე. რომელ ეკლესიის შესახებ არის — მომწერე და სათაური. მაშინ შეგიკვეთე და ცოტა ჰონორარის ბარს რამეს ვიძლევი და გამოგიგზავნი.

შ ე ნ ი ქ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

თფილისი.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

გუშინ „ზაკაზნოი ბანდეროლით“ აკადემიაში შენს სახელზედ გამოვგზავნე დაპირებული სტატია ტყვირის ეკლესიის და მისი სიძველენის შესახებ 24 ფოტოგრაფიული სურათით. იმედი მაქვს რიგ რიგათ ასეთი საარქეოლოგიო სტატიები ბევრი მოგაწოდო. უსურათებოთ ტექსტების ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მე დიდი საარქეოლოგიო მასალა მაქვს დამზადებული, თავს ცულათ ვგრძნობ და ჩემს სიკვდილის შემდეგ სხვა ვერავინ მოიყვანს ცნობაში ჩემ შეკრებილს მასალას. ამიტომ ვეცდები ცოტ-ცოტა მოგაწოდო დამუშავების შემდეგ შეკრებილი მასალა და გზა შენ გაუკლიე, რომელ სამეცნიერო გამოცემაშიაც გენებოს. რამდენს მეტს გონორარს და სტატიის ოტრისკებს გამოითხოვ ჩემთვის, იმდენათ მეტი შადლიერი ვიქნები. რაც შეცდომა იპოვო, შეასწორე, შენთვის მომინდვია, და მე მხოლოდ უკანასკნელი კორექტურა გამომიგზავნე. გთხოვ, როგორმე ხატების სურათები და ჭვარის კარგი ფოტოტიპიით გააქეთებინე. საზოგადო სურათები ეკლესიისა და კარმიდამოებისა, თუ საჭიროდ დაინახო, ზოგიერთი გამოუშვი, სხვები კი ყველა უნდა დაერთოს. სურათების ზომა დაიცევით, ნუ დააბატარავებთ. აწყობა ადვილი იქნება, რადგანაც ნაბეჭდი ტექსტი აქვს დართული. რაც ხელით არის ნაწერი და ხაზგასმულია, ხუცური ასომთავრულით უნდა.

ერთ ასეთ სტატიას კიდევ ცოტა ხანში გამოგიგზავნი და შემდეგ „ქარის გარიგებასაც“ მოგაწოდებ.

სუმბატ ვართანის ძემ ტერ-ავეტისიანმა⁵⁸⁴ გადმომცა და ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ შენ წინადადება მიიღე კავკასიაში მზრუნველობის თანამდებობის მიღების შესახებ. შენ ჩემთვის არაფერი გრთქვამს აქ ყოფნის დროს და ეხლა მაინც მაცნობე, მართალია თუ არა ეს ამბავი, და თუ მართალია, რა პასუხი მიეცი. ეტყობა რადიკალურათ აბირებენ კავკასიაში „კურსის“ შეცვლას; თუ მართლა კავკასიის ზედმიწევნით მცოდნე კაცს ეძებენ, ეს დიდი ნუგეშია.

მომიკითხე შენი მეუღლე და შვილები.

ნინომ ყველანი მოგიკითხათ.

შენი ძმა ე. თაყაიშვილი.

ადრესი: Тифлис. Ольгинская № 40.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

შენი სტატია⁵⁸⁵ წერილზე ადრე მივიღე, ძალიან გამახარე, ამ[ა]ვე ნომერში გამოცემა ვისურვე და სტატიის წაუკითხველად სურათების გადაცემას ვაპირებდი სტამბაში, რომ კლიშენი შეეკვეთებინათ, მაგრამ თვითონ სტატიის გადათვალეერების ხანს ძალიან შეგვწუხდი, რომ დედანი ნათარგმნი ყოფილა, როგორც შენიშვნაში იწერები, სრულებით უცვლელად, აგეთი დებულება არის, რომ აკადემიის გამოცემებში შეუძლებელია რამე დაბეჭდილი ან იმავე ენით ან ნათარგმად დაიბეჭდოს. მე ვფიქრობდი, რა სახე მიმეტა სტატიისთვის, რომ მასალა გამომეტა, ოდეს წერილმაც მოაწია შენმა და ისევ გამამხნევა, რმედი მომცა, რომ შემდეგში შენ აუარებელი მასალიდან ახალ ახალ მასალებს მოგვაწვდენ, ეგრეთ წოდებულს ქალწულს, არსად გამოქვეყნებულს და კიდევაც ველი აგეთ სტატიას შენგან ახლა, ხოლო ამ მიღებულს უკვე რასმე გზას ვუშოვნი აქ, იქნებ მოვახერხო ისევ XB-ში მოთავსება განსაკუთრებითი შენიშვნით. რაც შეეხება ჰონორარს, მას არ იძლევა აკადემია, მაგრამ ჩვენ როდესაც ვუკვეთთ წერილს ან გამოკვლევას ან მასალის შეკრებას, შეკვეთილის ასასრულებლად ვიძლევიტ განსაზღვრულ სახარჯს, მიხედვით შემთხვევისა 50 მანეთიდან 100—200-დი.

ამ ორ სტრიქონილს საჩქაროდ ვწერ და ვითხოვ, მაცნობო სათაური იმ სტატიის დაუბეჭდავი მასალისგან, რომელსაც ახლა გვიმზადებ.

შ ე ნ ი ე რ თ გ უ ლ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

პეტროგრადი.

12 ოკტომბერი 1915 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო!

შენი წერილი მივიღე. ჩემი სტატიის დაბეჭდვას ცოტა არ იყოს უხერხულად სცნობ, ვინაითგან ნათარგმნია, მაგრამ შენ კარგათ იცი, რომ ქართულად დაბეჭდილს სტატიას უსურათოდ თითქმის მართო ეპიგრაფიული მნიშვნელობა აქვს. მერმე კიდევ ქართული და რუსულიც მე მეკუთვნის, და არა სხვის სტატიისაგან არის ნათარგმნი. შენი წერი-

ლის მიღებამდის მე მეორე სტატიაც დაგიმზადე სუჯუნის და გულე-
კარის შესახებ⁵⁸⁶. აქაც საუცხოვო სურათებია. მე მგონია თქვენთვის
სჯობია დაბეჭდოთ. თუ თქვენ არ ინებებთ ამგვარ სტატიებს, მოს-
კოვში გავგზავნი, იქ მთხოვენ და გონორარსაც მეტს მომცემენ. ჩემი
მეგრელიაში მოგზაურობა⁵⁸⁷ თუ სურათებით არ დაიბეჭდა რუსულად,
ქართულ არქეოლოგიისათვის ზარალი იქნება. მე დაუბეჭდავ სტატი-
ებსაც მოგაწოდებ, მაგრამ ცოტა შეიძლება დამიგვიანდეს. ყოველ
შემთხვევაში სათაურები შეგიძლია გამოამცხადო: 1) Икортский мо-
настырь, 2) Биетский монастырь в Карталинии.⁵⁸⁸ ამათ შე-
შესახებ დიდი გეგმები მაქვს ხელში; მშვენიერად შესრულებული და
აგრეთვე დიდი ფორმატების ფოტოგრაფიული სურათები, ასე რომ
თქვენ XV-ში არ დაეტევა, თუ ორად არ დაიკეცა, უფრო არხეოლო-
გური კომისიის გამოცემისათვის ივარგებს. მაგრამ ეგ შენთვის მო-
მინდვია, სადაც გეპრიანოს, იქ დაბეჭდე. მაგრამ ესეც უნდა მაცნობო,
იკორთის მონასტერზე ბევრია ნაწერი, მაგრამ მე დროს აღშენებისაც,
წარწერებს და გეგმას სხვაფერ გავაშუქებ და ეს ხომ შეიძლება დაი-
სტამბოს თქვენს გამოცემაში. გეგმა არსად არ მოიპოვება მისი. თუ
მეგრელიის მონასტრების და ეკლესიების შესახებ საჭიროდ დაინახავ
დასტამბო ჩემი სტატიები, ეგეც მაცნობე და რაც დამზადებულია,
გამოგიგზავნი და სხვას დაგიმზადებ. ახლებში განზრახვა მაქვს მო-
გაწოდო სტატიები: პითარეთის, კაზრეთის, დმანისის და სხვები[ს]
შესახებ, მაგრამ ამათ ჯერ ნუ გამოაცხადებ. მე კი ვერა ვარ კარგათ.
ხელი ისე მტკივა, როგორც შენს დროს მტკივოდა და ნეკრესის ქა-
რიც საქმეს მიჭირებს. მოსვენებასაც არ მაძლევენ. აჭარის საქმეზე ნა-
მესტნიკთან წამათრიეს და მოხსენების დაწერა დამჭირდა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

188.

1915.10.18.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

„კარის ვარიგების“ შესახებ ალბათ დაგავიწყდა, წერილში სულ
არ იხსენებ. რაც შეეხება ჩემი უკანასკნელი წერილის პასუხს, აქ ორ-
გვარი შეხედულობით სჭრი საქმეს.

1. პირველი შეხედულობა ნივთიერ საკითხზე არის დამყარებუ-
ლი და იქნებ მართლაც სჯობდეს მოსკოვის გამოცემაში ბეჭდვა, რად-
გან ჰონორარი ყოფილა თურმე იქა (მე არ ვიცოდი) და, როგორც

იწერები, თვალსაჩინო. აკადემიას, როგორც უწინ მოგწერე, არ აქვს ჩვეულება ჰონორარის გაცემისა. -რის მოწოდებაც შენ მოგწერე, ის გარკვეული ნაშრომის ან გამოკვლევის შესაკვეთად ითქმის, სტატიის ფასად არ ითვლება, მხოლოდ დასახმარებელ ჯამად მის მოსამზადებლად. მიუხედავად ამისა, მე ჩემი მხრით ძნელ გადასაჭრელად ვრაცხ საკითხს, თუ ნივთიერ მხრითაც მეცნიერისთვის სად ბეჭდვა უფრო ხელშესაყრელია და ისევ შენთვის მომიხდება ამ საკითხის გადაწყველაც.

2) მეორე შეხედულება, დამყარებული ქართული არქეოლოგიური ინტერესების დაცვაზე, მე მგონია უფრო ადვილი გამოსარკვევია, რადგან ეჭვი არ უნდა იყოს, რომ სადაც უფრო მეტი შეგნებული მეცნიერული გეგმით საქმე დაყენებულია და მიმდინარეობს, მეცნიერი იქ იცნობს თავის უფრო თავშესაფარ ადგილს სათანამშრომლოდ და იმ საქმის ზურგის გამაგრებას ქართული არქეოლოგიის ინტერესიც მოითხოვს.

3) რაც შეეხება „Икортский монастырь“ და „Биетский монастырь в Карталинии“, გამოაგზავნე და ვნახოთ, სად უფრო შესაფერი აღმოჩნდება დასაბეჭდად.

4) აქ მოწოდებული უკვე შრომა აკადემიას წარედგინება, რადგან სურათებისთვის ცალკე ხარჯის თხოვა სჭირია, და თან ფორმალურ საკითხის შესახებაც აზრს მოვთხოვ განყოფილებას. რადგან ეს სხდომა დაიგვიანებს, გამოაგზავნე სუჯუნის და გულეკარის შესახებ დამზადებული სტატიაც, რომ ერთიანად მოვახსენო აკადემიას, თუ მოხსენებული ზედ მოყვანილი მოსაზრების შემდეგ ჩვენ გამოცემაში ბეჭდვას საჭიროდ იცნობ.

ბოლოს იმასაც დაურთავ, რომ მეგრელიაში მოგზაურობა და მისი მასალები მთლიანობას წარმოადგენს, იქნებ იმკობინოს ცალკე გამოცემად დაიბეჭდოს, რომელიც თითო თითო წიგნაკად გამოვა, სანამ დამთავრდებოდეს და იქნებ შესაფერი მოხსენებისთვის მასალა წერილით მომაწოდო, მაშინ შრომის დაკვეთისთვის სხვა გზით ვიზრუნებ შენ ნივთიერ დაკმაყოფილებას, იქნებ უფრო ხელშესაყრელს,

შენი ძმა ნიკო მარარი.

P. S. აქ ათასი საქმეა: მეც მახრჩობს და ზამთარში, თუ სახსარი ვიშოვე, გამოქცევას ვაპირებ ან აფხაზეთში ან დაღესტანში. ტკივილი თუ გაწუხებს, ძნელია, თვარა ისე ავადმყოფობა რამე ყველას გვაწუხებს, მხოლოდ მანდ, სამშობლო ჰაერში იმედია თავიდან მოიშორებ ადვილად. მ.

ქ მ ა ო ნ ი კ ო ,

გილოცავ ახალ წელს! შენ მიერ გამოგზავნილი ასი მანეთი მივიღე. მაღლობელი ვარ. კვიტანციას გიგზავნი. ამ დღეებში გაახლებ ვანის ეკლესიის არქეოლოგიურ ნაშთების აღწერას⁵⁸⁹ ორმოცდაათამდე საუცხოვო სურათით და სადაც საჭიროთ დაინახოთ, იქ დაბეჭდეთ, მხოლოდ სურათები, გარდა პლანებისა, უსათუოდ ფოტოტიპიით უნდა.

შ ე ნ ი ქ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

21 იანვარი 1916 წ.

ქ მ ა ო ნ ი კ ო !

ტყვირის ეკლესიის შესახებ. სტატიის კორექტურა მივიღე. გავასწორე და დღესვე უკვე ვგზავნი ვ. ბენეშევიჩის ადრესზე, ვინაიდან მისი წარწერა არის კორექტურაზე. — მე გამომიგზავნეთ. მე მეტი მისამატი არაფერი მაქვს და თუ თქვენ გაასწორებთ. უკანასკნელ კორექტურას და ისე დაბეჭდავთ, ეს საკმაო იქნება. იმედია. ოტიისკებს ამოაღებებთ და გამომიგზავნით. ეხლა გიგზავნი კიდევ სტატიას. ვანის ეკლესიის და მისი სიძველენის შესახებ 53¹ სურათით. სურათები საგანგებოთ დაგაბეჭდვინე საუკეთესო ქაღალდზე. საჭიროა, რომ ეს სურათები, გარდა გეგმებისა და წარწერებისა, ფოტოტიპიით დაიბეჭდოს. შენთვის მომინდვია, რომელ სამეცნიერო საზოგადოებაში ან დაწესებულებაში, ან რომელ სამეცნიერო ორგანოში საჭიროთ დაინახო. იმაში მოათავსე, მხოლოდ სურათების ჯეროვანად გამოცემას ნუ დაიშურებენ.

ბერძნული მინაწერი სპეციალისტებს შეამოწმებინე, ნამეტნავათ თუ როგორ უნდა დაბოლოვდეს უკანასკნელი სიტყვა **Κορη** (ογ) თუ სხვა.

აგრეთვე მოიკითხე, რა სცენას წარმოადგენს მე-22 სურათზე

¹ ზოგ სურათებს. ციფრების მაგიერ. ანბანი უზის და ზოგს ახვ. ესენი იქნებ საჭიროთ არ დაინახო გამოსაცემად, თუ საჭირო იქნეს, ნომრები თქვენ დაუსვით.

დახატული სცენა. ქრისტეს ჯვარიდან ჩამოღება თუ სხვა, ქრისტე რათ არის შიშველი?

გონორარიც, ანუ ხარჯების ანაზღაურებას რამდენსაც მოახერხებ, შენთვის მომინდვია, ყაბული ვიქნები. შემდეგ მოგაწოდებ ხონის ეკლესიის ნაშთების აღწერას და სხვადასხვა სამეგრელოს ეკლესიებ-მონასტრებისა და ბევრ კიდევ სხვას⁹⁰.

აგრეთვე ეხლა შეუდგები „ქარის გარიგების“ წინასიტყვაობასაც და ვეცდები გამოგიგზავნო, რომ ზაფხულამდის ბოლო მოეღოს.

შენ, რა ქენი, იყავი თუ არა აფხაზეთში? აქ არაფერი ამბავი მოგვსვლია. ჩვენი საზოგადოების გამომცემლობითი მუშაობა შეჩერდა, ვინაიდან სრულებით ქალაქი აღარ მოიპოვება ტფილისში და ამწყობებსაც ვერ ვშოულობთ. მე კიდევ ვერ გამოვკეთდი ავთომყოფობისაგან, რაიც ძრვიელ ხელს მიშლის.

იმედია, სტატიას გადაათვალიერებ და შენს აზრს მომწერ, თარგმანი, რაც არ გეპრიანოს, შეასწორე.

ძმური სალაპი ჩემგან და ნინოსგან შენ და შენს ოჯახს.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

186

1916.8.2.

ძმაო ექვთიმე,

შენი პირველი სტატია აწყობილია, რიგის ნომერში. გამოვა, სურათები მზათ არის, ხელა ხომ მათი ფასი ძალიან აწეულია. კარგი რომ ფოტოგრაფიულ მასალაში წარწერებიც მაწვდინე, თვარა მათ კითხვაში ზოგი გვარიან მძიმე შეცდომები შემოგპარვია (დაგიბეჭდავს კიდევაც ქართულად ქართულ გამოცემაში) ეგ ეხლა ყველაფერი გასწორებული და მზა არის.

მეორე შენი სტატია 1. Ванская ц'вь და 2. Городище Ван-ი არა ნაკლებ საინტერესოა და ძალიან მსურს XV-ში დაიბეჭდოს. მაგრამ სურათებს გამორჩევა სჭირია. ერთ დროს იქნება ყველაფერი ვრცელ ალბომად დაიბეჭდოს დიდ გამოცემების ფარგალში ვთქვათ სათაურით Памятники грузинского христианского искусства¹). ამ საქ

¹ სულ ცალკე უნდა იბეჭდებოდეს Атлас грузинской палеографии და აგრეთვე Памятники грузинской эпиграфики.

მეს თავობა სჭირია და ცალკე თანხის მომზადება (იმედო, ამა-საც მოვახერხებ) და გარდა ამისა და უწინარეს ამისა მთელი მასა-ლის მხატვრობითი ნაწილის ნიმუშებზე გაცნობა. ჩვენ ახლანდელ გამოქვეყნებას ჯერ ჯერობით სხვა ხასიათი ვერ მიეცემა; გაცნობა და შესაფერ წრეების საქართველოსაც გარე დაინტერესება. ამ საქმის-თვის კი საჭიროა ყველა ღღემლი უცნობი ნაშთების აღწერილობა შესამჩნევი ნიმუშებით იბეჭდებოდეს და არა მთელი მხატვრობითი ან სახელოვნებო მასალის ძირამდი ამოწურვით. ამიტომ დაკვირვებით გასინჯვის შემდეგ, თუ შენი ნება იქნება, გამოგზავნილი მასალიდან ამოკრიბეთ საუკეთესო სურათები რიცხვით ოცდასამი (1B, 2, 3, 4, 5a, 5B, 6, 7a, 10, 8, 9, 17, 18, 20, 21, 22, 23, 35, 42, 43, 44, 46, 47), გთხოვ, დაუყოვნებლივ მაცნობო შენი თანხმობა, რომ სურათები მო-ვაგზავნიდნო და დედანი ასაწყობად მივსცე.

მესამე საქმე დროით უმალ მოსახსენებელი იყო, მოგაყირქე თავი, „ქარის გარიგებას“ შეე[ხე]ბა, თვითონ კარგათ იცი, თუ რამ-დენი საჭიროა ამ ძვირფასი დედნის დროზე გამოქვეყნება, თარგმანს მე ცოტას მაინც ვუპატრონებ.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი :

პეტროგრადი-

B. O., 4 л , д 7, кв. 14

აფხაზეთში ვიყავი და კიდევ დამჭირდება არა ერთხელ გამგზავ-რება. — საშა და მასთან ერთად მეც მოვიკითხავთ ნინა ივანოვანს. ეხლა თუ შინ ვარ, სულ მარტოდ ვართ, უფროსი ცალკე, „დასახლ-და“ სტუდენტურ ოთახში თავისი მეუღლით⁵⁹¹ და უმცროსი ან გიმნა-ზიაშია ან კინამოში.

ნ. ა.

მივიღე შენი წერილი. იწერები სტატიას ვანის შესახებ XB-ში მოვათავსებო, მაგრამ სურათებს მარტო 23-ს დაეურთაო 47-ის მაგიერ და ამის შესახებ დასტურს მოხვ. რაკი ჩემი სტატიების გამოცემის

ბედი ერთხელ შენ მოგანდევ და გთხოვე. — სადაც და როგორც ამ-
ჯობინო ისე მოათავსე მეთქი, მე ახლა აღარაფერი მეთქმის, მაგრამ
რაკი მეკითხები, მე ჩემს აზრს მოგახსენებ: მე ველარ ვნახე სია სურა-
თებისა და ზეპირად არ მახსოვს, რომელი ნომერი რომელ სურათს
უდრის, მაგრამ როგორც ეტყობა სახარების მინიატიურების გამოტო-
ვებას აპირებ უფრო. ეს კი სასურველი არ არის, ვინაიდან შეიძ-
ლება მანამ შენ ცალკე სერიის დამზადებას მოასწრობდე (Памятники
груз. христ. искусства), ეს სურათები უვაროვისამ გამოუშვას.
განზრახულს შრომაში ქართულ სახარებათა შესახებ, მომწერა —
რაც რამ სახარების სურათი გაქვს, ნუ არავის მისცემ, ჩემს გამოცე-
მაში მოათავსეო და ვანის სახარება მას ძრიელ აინტერესებს და იქ-
ნება გადაადებიოს კიდევაც. ამას გარდა ჩემთვის ეს პრინციპიალური
საკითხია. მე დიდი მასალა მაქვს თქვენთან წარმოსადგენი ჭერ სვა-
ნეთის შესახებ, რომლის განაწილება სხვა და სხვა სერიებისათვის არ
შეიძლება და აგრეთვე სამეგრელოს შესახებ. წინეთ შენ მწერდი,
შეიძლება სამეგრელოს სერია ცალკე გამოვსცეთო და ეს მე ჰკუთხო-
მაშინ ძრიელ დამიჯდა და მასალის დამზადებასაც შევეუდექი — თითო
ეკლესიის ნაშთების ერთად მოთავსებას თავისი მნიშვნელობა და აზრი
აქვს, თუმც წვრილმანებიც შედიოდეს შით. შემდეგ შეიძლება შერ-
ჩევით შეტანა Атлас-ებში და Памятник-ებში. კერძოთ, რასაკვირ-
ველია, ვანის სურათების შემცირება შეიძლება ასე: შვიდი დეტალი
ათთორმეტ საუფლო ხატისა გამოუშვათ და მარტო თავი ხატი იყოს
წარმოდგენილი, გამოუშვათ ეთნოგრაფიული სურათები, გამოუშვათ
ტექსტის ნიმუშები (გარდა მხედრული წარწერისა და ბერძნული წარ-
წერისა მხედრულითურთ), „ზასტავები“ თუმც რვა არის, მაგრამ
პატარებია და ორს ტაბლიცაზე მოთავსდება, კამარების, მანარობლე-
ბის და კიდევ ორი სურათის გამოშვება აფსუსსია, აგრეთვე ყდის ოთხი-
ვე სურათისა (ორი კიდური ერთ ტაბლიცაზე დაეტევა). ოთხი ხატის
და ჩიჯავაძეების სურათების გამოშვება არ ივარგებს. რომ ეხლა სურ-
ათი ძვირი ღირს. გამიგია, მაგრამ პეტროგრადში ბევრი სამეცნიერო
დაწესებულებაა და იქნება რომელიმე იკისროს-სრულად თუ არა, უფ-
რო ვრცლად გამოცემა. ეს საკითხი სხვა სტატიებშიაც შეეხება, რო-
მელიც უნდა მოგაწოდო და ამას საბოლოოდ გადაწყვეტა სჭირია ეს
არის ჩემი აზრი და გადაწყვეტა მაინც შენთვის მომიხდვია, როგორც
მოახერხო, ისე გამოეცი, სულ არაობას ცალი უღელი ხარი სჯობია. მე
მაინც მაღლობელი ვიქნები. ვანის სტატიის უმაღ სუჯუნის ეკლესიის
შესახებ გამოგიგზავნე სტატია და ამის შესახებ შენ არაფერს მწერ-
ხომ არ დაიკარგა? თუ მიიღე, რომელ გამოცემაში აპირებ მოთავსე-

ბას? მაღლობელი ვარ, რომ პირველ სტატიაში შეცდომები შეგის-
წორებია. „ქარის გარიგებას“ დავაჩქარებ, მით უმეტეს, რომ თარგ-
მანში დახმარება აღმითქვი, რაც დიდათ მახარებს. ტფილისში ყოველ-
გვარი გამომცემლობა შეწყდა ჩვენის მხრით, ვინაიდან არ იშოვება
არც ქალაღი, არც სხვა მასალა. იურის დაქორწინება მომილოცავს.
გულითადის თანაგრძნობით მოვიკითხავთ ნინო და მე შენს მეუღლეს
და შვილებს. საროდისოთ ჩამოხვალ ტფილისში? გვაცნობე.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

168

1917.8.15.

ძმაო ექვთიმე,

წავიკითხე და ძალიან დავლონდი, შენ თუ მოლაღატედ გიცენეს,
თვითონ ასეთი ბრალდების წამომყენებელს. რაღა უნდა დაერქვას?
კიდევ უფრო დავლონდი, რომ შედეგი დავინახე: აგიძულეს პასუხის
გამოცემა, ხმა არ უნდა ამოგედო, თუმცა ძნელია, მეტადრე შენს
პირობებში მინდოდა ტელეგრამით მომეწერა: „ავი რამ მკირდეს“
და სხვა ისიც მოყვანილი დარჩა შენ პასუხის ბოლოში.

თავისუფლებას გილოცავ, მაგრამ რას შეირჩენს ქართველობა,
თუ უფრო ხმაურობას მიჰყვა, ვიდრე საქმეს, საკითხია. ძველი ფსიქო-
ლოგიის გაქარწყლება არის საჭირო ყველაზე უმაღ.

ნიუარაძის წერილი მივიღე და ოლქში გავაგზავნიე მისი საქმე,
უნდევრსტიტში გამოეგზავნა. (დიპლომის შესახებ), ახლა მიღებული
უნდა ქონდეს..

მე მინდა ინსტიტუტი დავაფუძნებო⁵⁹² და იმეღია ისე მხარს
:მომცემთ, რომ ყველასთვის სასარგებლო დარჩეს. მოკითხვა ქ-ნ ნინოს.

შენი ძმანიკო მარაი

P. S. დეღა მომიკვდა⁵⁹³, თუმცა ესეც ნამღვიღად ვერ შემატყო-
შინეს, ტელეგრამით მაცნობეს: „при смерти“.

5. 9.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ო

სტატია „ტიპოგრაფია“-ს მივანდევ, ჩვენი სტამბის მუშებიც მოსწყდენ საქმეს, თაბახი ათას მანეთად გვიჯდება სურათებიანი, წარმოიდგენ, რას ნიშნავს აქ ბეჭდვა, ვცდილობ შეძლებისამებრ ნახევარზე მეტი სურათები მოვამზადებინო. ორას მანეთს გიგზავნი, XB-დან, ესე იგი მის მცირე თანხიდან აკადემიის დამოწმებით. მოიცადეო, იწერები, ინსტიტუტის შესახებ, ალბათ მანდ ასე ფიქრობენ, რომ ეს შემოქმედებითი დრო მუდმივ დარჩება „რასაც მოასწრობ შენია, რაც არა, დაკარგულია“, ოღონდ მოსწრება კანონიერი გზით არის საჭირო და ამას მპირდებიან. ჩვენი ინსტიტუტის დებულება, მე დარწმუნებული ვარ, თქვენც მოგეწონება. შოთის შესახებ წერილს გიგზავნი⁵⁹⁴.

ნ. მ ა რ რ ი.

180.

9 ივლისი. 1917 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

შე ეხლა ოქროყანაში ვარ. ამ ორი დღის წინეთ ქალაქში ჩავედი. ვადმომცეს, რომ არქეოლოგიური ინსტიტუტის გახსნა დაუმტკიცებიათ. იოსებ ყიფშიძე მიემგზავრება ლაზისტანში. ისე დატრიალდა საქმე, რომ საჭირო ხდება ჩემი თორთუმში⁵⁹⁵ წასვლა და ვგონებ ამ თვის 25 ან დამლევს გავემგზავრო, თუმცა ეს ძრიელ საქნელოდ მიმაჩნია ეხლანდელ პირობებში. ჯერ ხურთთმოდღვარი არ მყავს ნაშოვნო. რომ ვერც ვიშოვნო, მაინც უნდა წავიდეთ. შეიძლება გარდევვი⁵⁹⁶ და მისი ფოტოგრაფი წავიყვანო. გარდევვი მე კახეთში გავგზავნე, ის მალე დაბრუნდება, კახეთშივე გავგზავნე პოლტარაკი და გუდიაშვილი⁵⁹⁷. ნეკრესის ფრესკების გადმოსაღებად.

ეხლა ჩემს ინსტიტუტში. გადასვლის შესახებ უნდა. მოგელაპარაკე. შენი წინადადების. შემდეგ მე მაგ. საგანზე ვიფიქრე და ასე

გავსაჯე: მე ეხლა გიმნაზიაში ვმსახურობ მასწავლებლად, რომ სახსარი მქონდეს ცოტაოდნათ ცხოვრებისა. ამას ვალევ საუკეთესოდროს 8¹/₂ საათიდან ორს საათამდის და ნასადილევს კიდევ ბევრ დროს სხდომებზე დასასწრებად თუ კლასის დამრიგებლობის ვალისათვის. ეხლა მე რომ შტატის ადგილი დავიჭირო ინსტიტუტში და ეს დრო არქეოლოგიას მოვახმარო, მე მგონია ამით არქეოლოგია მოიგებს. მით უმეტეს რომ მე დიდი მასალა მაქვს დამზადებული და დასამზადებელი გამოსაქვეყნად. სვანეთში მოგზაურობის მასალას ეხლა ვათავებ. ყველაფერი ცნობაში მოვიყვანე, სამეგრელოში მოგზაურობა, შენც იცი, რომ დაწყებულია და ნელ ნელა მიდის. კახეთში მოგზაურობის და ბორჩალოში მოგზაურობის გეგმები ნაშთთა ზოგი მზათა მაქვს, როდესაც საშვალემა მომეცემა მარტო არქეოლოგიას ვემსახურო და გაკვეთილები უკუ ვავდო, მუშაობა ჩემი უფრო ინტენსიური იქნება და ნაყოფიერი: ამიტომ მე მზათ ვარ სულ ვადმოვიდე ინსტიტუტში და ამთავითვე შტატის ადგილი დავიკავო. ჯამაგირი თითქმის იგივეა, რაც გიმნაზიაში, ვგონებ: ცოტა უფრო მეტი. ასე ვფიქრობ მე და ასე გავსაჯე. სხვა შენ იცი. ყოველ შემთხვევაში შენი გადაწყვეტილება ამ საგნის შესახებ მაცნობე საჩქაროთ, რომ დროზე თავდარიგი მივიღო სექტემბრიდან საქმის მოწყობისა. თუ ეს არ მოხდა, მე სხვა კომბინაცია მაქვს სახეში ჩემი საქმეების თავდარიგისა. შენს შემდეგ მე წყალტუბოდან რომ დავბრუნდი, ათი დღე კიდევ დავრჩი ტფილისში, ძრიელ ცხელოდა, ოქროყანაში ეხლა უკეთ ვგრძნობ თვის. შენი ამბავი მომწერე და შენი მეუღლე და შვილები მომიკითხე. ნინომ სალამი.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

191

5 აგვისტო 1917 წ.

ძ მ ა თ ნ ი კ ო ს

კარგი ხანია დაკვეთილი (заказное) წერილი გამოვიგზავნე და ველოდი პასუხს, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. ჩემი წერილის აზრი იყო: მე ვამჯობინე გიმნაზიისთვის თავი დამენებებინა და სულ ვადმოვსულიყავი ინსტიტუტში შტატის ადგილზე. ამის შესახებ ველოდი პასუხს. ეხლა მე რვა ამ თვეს მივდივარ თორთუმის ხეობაში იქაური სიძველეთა გამოსაკვლევად. გარდევს ველარ შევატყობიეთ, ვინაითგან საბოლოოდ ჩვენი წასვლის ამბავი გვიან გამოირკვა. დღეს ჩემთან იყო სტეფან კრუკოვსკი⁵⁹⁸, რომელიც სპეციალისტია პალეო-

ლიტის ხანის ნაშთებისა, ძრიელ მცოდნე კაცია, მარჯვე და კარგი მუშა. მე მოვეუხერხე იმას ხუთასი მანეთი მოსკოვის საზოგადოებისაგან, სამასი საგეოგრაფიო საზოგადოებამ მისცა. ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე იყო მღვიმეების გასაშინჯავათ და ჩამოვიდა, ეხლა ჭიათურის ხეობაში აპირებს განაგრძოს მუშაობა, შარშან იქ მუშაობდა და დიდი ღირს შესანიშნავი მასალა მოიტანა. ქვისხანა არ ყოფილა კავკასიაში[ო], წინეთ რომ მეცნიერები გაიძახოდნენ, თურმე ძრიელ მდიდარი ყოფილა. ეხლა მთხოვა, ინსტიტუტმა მომიხერხოს ხუთასი მანეთით და ჩემრეთში მუშაობას განვაგრძობო. მე არ ვიცი, დაგრაჩა თუ არა შენ რაიმე კრედიტი, ამიტომ დავპირდი ნიკოს შევატყობიებ მეთქი. მოხსენებას ამის შესახებ შენ აბრეშუმის სადგურის უფროსთან დაგიტოვებს და გამოგიგზავნიან. მე ტფილისში არა ვარ და არც ვყოფილვარ კარგა ხანია, ამიტომ ჯერ კომისიის მუშაობაში არ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არა უშავს, სექტემბრიდან, თუ ვიცოცხლე, გავაჩაღებ მუშაობას. ნიკო, თუ მე ექსპედიციიდან ვერ დავბრუნდე ცოცხალი, ეხლანდელ დროში ყველაფერი მოსალოდნელია, გთხოვ, ჩემი სვანეთში მოგზაურობა შენ გამოსცე. შავათ დამზადებულია, ხოლო წინასიტყვაობა, შევსება და შესწორება ესაჭიროება, სურათები რიგ რიგათ ნომრობით დალაგებული და ტექსტში ნაჩვენებია, ცალკე თითოეულის სვანეთის ნაწილისა და ცალკე ლეჩხუმისა, ბევრი საინტერესო მასალაა ახალი, ბევრი ძველი შესწორებულია. აგრეთვე გავაღებ, ჩემ ყარსის მხარეში მოგზაურობასაც უწინამძღვრო, ეს არ დამიზადებია, მაგრამ დღიური მაქვს. გეგმები უმთავრესი ნაშთებისა მზათ არის და აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები. გარდევეი მისი მოგზაურობის შესახებ გეტყოდა; უნდა წრომის მოზაიკას ვუშველოთ. სხვა მე მგონია ეხლა დიდ ხანს დარჩები ტფილისში, ვინაითგან სწავლა პეტროგრაფში ოქტომბრამდის არ დაიწყებაო სწერენ, ჩვენთვის კიდევ უკეთესი. მომიკითხე შენი მეუღლე და ვოლოდია⁵⁹⁹. ნინომ სალაში.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

199

10 сентября 1917 г.
№ 20 Петр.

Милостивый государь
Евфимий Семенович,

В заседании от 6 сентября отделения исторических наук и филологии Российской Академии Наук избрал Вас действи-

тельным членом Кавказского историко-археологического Института. Уверенный, что и до ныне дорогое Вам дело научного исследования родного края станет еще более дорогим Вам и согласно Вашим духовным потребностям целиком захватывающим Ваши хорошо всем известными научными силами, прошу не отказать сообщением, когда именно можете вступить в исполнение Ваших новых обязанностей.

Глубоко ценящий Вас и преданный Вам академик руководитель

Н. Марр

198

пол. 7 октября 1917 г.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

წერილის პასუხი, რომ ამორჩევა გაცნობე, ჯერ არ მომსვლია, მაგრამ მაინც მოგმართავ როგორც ინსტიტუტის ნამდვილ წევრს. საქმე წრომის მოზაიკის შესახებ არის.

1. ანდრ. იაკობის ძე ბელობოროდოვი⁶⁰⁰ ვიშოვე (ძალიან მომზადებული საფრთხილო საქმისთვის) — ხუროთმოძღვარი წრომში სამუშაოდ და მას შეატყობინე, თუ შეგიძლია ახლა ხელი შეუწყო იმ საქმისთვის, რაასთვისაც მზად არის გამომგზავრდეს კისლოვოდსკიდან, სადაც დროებით იმყოფება. თუ რისთვის იგზავნება, შემდეგიდან მიხვდები:

ა) მოსვლისთანავე აქ კომისია შევადგინე მცოდნე პირთა და იმათგან, ვისაც მოზაიკა უნახავს და შეუსწავლელია, და გადასწყვიტედეს თვით მოზაიკის გამაგრება გადაიდევას საზაფხულოდ (გაისს), რადგან მოითხოვს ისეთ სპეციალისტთა მუშაობას, რომელთაც არ აქვსთ ახლა არავითარი თავისუფალი წუთი და თან ნამიან ტაროსში შემოდეგზე ან ზამთარში სახიფათოა მუშაობა მაგრამ საშიშია, შემოდეგის წვიმებმა და განსაკუთრებით ზამთრის თოვლმა არ გამოიწვიოს მოზაიკის მთლა დაზავგრა, და იმისთვის საჭიროდ იცნეს გაავარჯიშებული ხუროთმოძღვრის მეთაურობით და გეგმით ზურგჩატეხილი სახურავი გადაიხუროს.

ბ) აი, ამ საქმისთვის წამოვა ბ-ნ ბელობოროდოვი. და აუცილებლად საჭიროა წინდაწინ იცოდეს:

ა) შეიძლება თუ არა ახლა წრომში ქვისმთლელი მუშების შოვნა და ისკალას (Иска) მომწყობელნი,

ბ) იშოვება თუ არა იქ მასალა — ქვა, ხე, ცემენტი, სილა და საზოგადოდ საშენი მასალა.

გ) რა ღირს თითო მათგანი.

დ) იქნება საქმე ისე საშიში არ არის, თვით მოზაიკას ზაფხულამდის არა უშავს, მაშინ ამდენი უსაფუძვლო ხარჯი არ ღირს, ისიც მომწერე.

დ) ან იქნება სჯობს ქვასაც არ ვახ[ლ]ოთ ხელი, ხით გაღიხუროს სჯობს; თუ ბელობოროდოვი მოვა, ისიც მომწერე. სხვას ვერ ვიცნობ და ვერც ვენდობი, გაფრთხილებ, ძალიან საშიშო არის.

ეხლა უკანასკნელი:

ამ წერილზე ორი პასუხი მოიწერე:

1) ერთი მე აქ, ვიცოდე, ფულის განკარგულებას ვიქ.

2) მეორე, უწინარეს, — Архитектору Андр. Яков. Белобородову. Кисловодск, (до востребования).

აქ ათასი საქმე, ათასი სამუშაოა, ძალიან ვწუხ, დასამარცხებელ გზას ადგიან ჩვენნიანები.

შენი ძმანი. მარტი.

P. S. თუ მოვა ინსტიტუტის ფოტოგრაფს გააყოლებ, სამი დუჟინა პლასტინკა მოამზადოს.

ი გ ი ვ ე .

1917. 9.20.

194

7 ოქტომბერი 1917 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო ს

18 ეკენის თვეს მე დავბრუნდი თორთუმის ხეობიდან. 19 ეკენის თვეს შენგან ცნობა მომივიდა ჩემი არჩევის შესახებ ნამდვილ წევრად ინსტიტუტისა. ოცს ტელეგრამა გამოგიგზავნე, სადაც ვწერდი, რომ 1-ს ოქტომბერს შეუდგები სამსახურს ინსტიტუტში მეთქი. ესეც შევასრულე, პირველ ოქტომბრიდან გიმნაზიას თავი დაეანებე და ეხლა ინსტიტუტს ვემსახურები და მის მიზანს, ხოლო ჯერ ბინის საქმე ვერ მოვაგვარეთ, ეს ძრიელ გვაფერხებს. როგორც ირკვევა, ბინას პეტრე დიდის ქუჩაზე⁶⁰¹ ვშოულობთ, თუმც ეს არ გვაყმაყოფილებს, სანახევ-

როდ სარდაფის სართულია და სინესტე არის, მაგრამ ეხლანდელ პირობებში იძულებული ვართ ამით დავყმაყოფილდეთ. სხვა ღონე და საშვალეა არ არის. დღეს 7 ოკტომბერს შენი წერილი მივიღე წრომის მოზაიკის გადარჩენის შესახებ. რასაც იწერები, იმის პასუხის მოცემა მხოლოდ მაშინ შემეძლება, როდესაც ნაშთს ვნახავ და ადგილობრივ დაწვრილებით გამოვიკლევ, შეიძლება თუ არა მასალის შონა და რა ფასებში, აგრეთვე შევიტყობთ, შესაძლებელია თუ არა, რომ შეკვეთების საქმე დროებით გადავდვათ. წინდაწინვე შეგვიძლია თქმა, რომ ეხლანდელი პირობების მიხედვით, ეს შეკვეთება, სულ უბრალოც, დიდი ფული დაგვიჯდება. ყოველ შემთხვევაში ზეგ მე და შჩეპოტიევი⁸⁰² ვემგზავრებით წრომში და საქმის ვითარების გამოკლევის შემდეგ მოგწერთ დაუყოვნებლივ პასუხს.

მოვედი თუ არა ტფილისში, შევყარე წარმომადგენელნი ინსტიტუტისა, კავკასიის მუზეუმისა⁸⁰³, სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოებისა⁸⁰⁴ და საქართ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოებისა. უნდა გამოგვემუშავებინა წესდება ნაშთების დაცვის შესახებ, როგორც შენგან დავალებული გეჭონდა და როგორც მეც მოგწერე. მაგრამ გამოირკვა, რომ ამჟამად ეს საქმე ადვილად არ გარიგდება და სიმწვავესაც გამოიწვევს. დანამდვილებით ვიცი, ადგილობრივ მოთხოვნას მაქარ დაგვიმტყიცებენ და ეჭვის თვალითაც შემოგვხედვენ. მაგალითათ, არ დაგვეთანხმებიან, რომ კომისიის ნება დაურთველად არავის ნება არ ჰქონდეს თხრის უფლებისა კავკასიაში, აგრეთვე არ დაგვეთანხმებიან, რომ ინსტიტუტიდან ნაკლები წევრები იყოს კომისიაში, ვიდრე ადგილობრივი საზოგადოებათაგან. ამას კი აქ დაჟინებით მოითხოვენ, ამიტომ სჯობს ჭერჭერობით დავიცადოთ, რომ ამთავითვე ტყვილა უბრალოდ აურზაური არ ასტყდეს, რაც საქმეს არ არგებს და კიდევაც ავნებს. მე ყოველ შემთხვევაში წესდების მუხლებს გამოვიმუშავებ და ამაში მიზანი იქნება მარტო დაცვის საქმე, რომელიც ასე საჭიროებს ამჟამად, და ერთხელ კიდევ შევკრებ წარმომადგენლებს. უკომისიოთაც ინსტიტუტს შეუძლია იზრუნოს ნაშთების მოვლის და დაცვის შესახებ და ჭერ-ჭერობით ეს ემჯობინება.

საზოგადოთ ინსტიტუტის საქმეები ჭერ ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება; არ გვაქვს ხელში წესდება და არც ვიცი, მართებულობის უწყებებში ეს წესდება გამოცხადებულა, თუ არა. უამისოდ კანონს საფუძველი არა აქვს და შეიძლება ახალმა მთავრობამ უარი თქვას. ეხლა ყველაფერი შესაძლებელია. საჭიროა წესდება მართებულობის უწყებებში მალე გამოაქვეყნებო, თუ გამოქვეყნებული არ არის. ინსტრუქცია მივიღე, მაგრამ ინსტრუქცია წესდებაზე უნდა იყოს დამყარებული, და წესდება არა გვაქვს ხელში.

ჩუბინოვი⁶⁰⁵ სად არის? ან როდის ჩამოვა აქ? ტიგრანოვი, როგორც შჩეპოტეევმა გადმოცა, ვგონებ არ აპირებს ინსტიტუტში სამსახურს; ის კომისარია, მზრუნველის მაგიერი, იქ მეტი ჯამაგირი აქვს და პატივი ამ დროის თვალსაზრისით. გარდევნიც გვიან აპირებს ჩამოსვლას.

არ ვიცით აგრეთვე, კრედიტი გახსნილი გვაქვს აქოურ ხაზინაში, თუ არა, ან საიდგან მივიღებთ ჯამაგირს ოცს რიცხვში, საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ, ეგრეთწოდებული ოთხ-ოთხ წლის ნამსახურები სახალხო განათლების უწყებაში, აქ ჩაგვეთვლება დამატებით ჯამაგირში თუ არა, გიმნაზიაში მე ამ სახით ათას თუმანს ვიღებდი თვეში დამატებად. ეს კავკასიაში მსახურების დამატება როდია. არამედ საერთო. გთხოვთ წესდება და ამ კითხვების პასუხი მალე გვაცნობო. შჩეპოტიევი დიდი ენერჯის კაცი ჩანს და გამოგვადგება კარგათ, მგონია. ლაბარაკი კი ბევრი უყვარს. ლიოზენი კარგი კაცია, მაგრამ როგორც ფოტოგრაფი სუსტი, ჩვენთვის კარგი ფოტოგრაფი დიდათ საჭიროებს. უამისოდ ხარჯის გაწევა ფუჭად ჩაგვიარს. ამას გარდა, მას გიმნაზიაში ვაკვეთილები აქვს კიდეც, ინსტიტუტისათვის საჭიროა აგრეთვე კარგი ხუროთმოძღვარი. მათში, ვისაც მე ვიცნობ, ყველას სჯობია მიხეილ კალაშნიკოვი⁶⁰⁶. რომელსაც სამხატვრო ხუროთმოძღვრების ხარისხი აქვს. მე გამოცდილი მყავს და გაცოცხლებული ვარ მისი ნაშრომით და მუყაითობით და აგრეთვე საქმის სიყვარულით. გუშინ მივიღე მისგან წერილი, რომელშიაც აცხადებს სურვილს ქართ. საკათალიკოსო უწყებაში იმსახუროს. მე კი მგონია, ჩვენთვის უფრო გამოდგება. ეხლა ის მაქ არის პეტროგრადში, მე მივსწერ შემოვიდეს შენთან მოსალაპარაკებლათ. თუ ეხლა არ შეიძლება, მომავალში ის ვიქონიოთ სახეში.

თორთუძის ხეობაში მოგზაურობით მე ძრიელ ყმაყფილი ვარ. ბევრი მასალა მოგროვდა და ბევრი რამ გამოირკვა. ყველგან აღმოჩნდა თითო ოროლა უცნობი წარწერები და საერთო დიადი კულტურა ტაოსი მე-X საუკუნეში. ოშკში ოკუნევეს⁶⁰⁷ შევხვდი და აქაც მოუსწარი ტფილისში.

შენ როდის ჩამოხვალ ტფილისში? ეხლა პეტროგრადს საფრთხე მოეღის⁶⁰⁸ და მასთან იმ აუარებელ კულტურულ ნაშთებს, რომელიც მაქ არის შეგროვილი. რას აპირებთ? როგორ არის საქმე?

სალამი შენს მეუღლეს და ოჯახობას.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

მადლობელი ვარ რომ ეგრე მუყაითად შეუდეგი საქმეს და მკაფიოდ განსჭვირე საქმეს, განარჩიე ხანმოკლე და სამუდამისო ინტერესი იმ საქმეში, რომელიც გვაერთებს ჩვენ ინსტიტუტის არსებაში, მისი წმიდა მეცნიერული მხარე. სრულებით თანახმა ვარ, რასაც იწერები სიძველეთ დაცვის შესახებ და მოთმინების და... საქიროების შესახებ. მაგრამ რაც ზაფხულზე და თქვენ ამორჩევამდი გადამიწყვედია, და ბ-ნი შჩეპოტაევი ასრულებს, პროგრამა აქვს ჩემთან გამოშვებული, თორემ შემდეგში ყველაფერს თვით ინსტიტუტს ვანდობ, მის მეცნიერთ კრებას და საბჭოს, მე აღარ ვერევი, თავისუფლება სრული გაქვსთ და მწამს საშენებლად საქმის ისარგებლებთ. ხელმძღვანელობას მე თავს არ ვანებებ და მეცნიერულს, მაგრამ როგორც დირექტორი ან მისი მოადგილე მე თქვენი მორჩილი მსახური ვარ. ამ ბარათს საჩქაროდ გწერ. ვცდილობ დაგვიანებული ფული ადრე გამოგიგზავნონ⁶⁰⁹. ჩუბინოვი ვაგონებს უცდის⁶¹⁰ და მოდის.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ. მ ა რ რ ი.

P. S. „სახალხო საქმე“⁶¹¹ თუ გამოდის, რატომ მსჯიან, ფულს ღებულობენ და გაზეთი შემიწყვიტეს. მიეცი რაც ღირს და მე შემომითვალე, გამოგიგზავნი ფულს.

ОТВ. 10.17.27

ძ მ ა ო ნ ი კ ო ლ

წრომის შესახებ უნდა მოგწერო, რომ ავღრების გამო ჯერ წასვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ სადგურ გომიდან მოსული მცოდნე კაცებისაგან გავიგე (წრომი სადგ. გომის მახლობლად არის), რომ

ადგილობრივ არავითარი მასალა არ იშოვება, გარდა სილისა, ყოველი მასალა ტფილისიდან უნდა წავიდეთ. ამიტომ გწერ ტფილისის ფასებს მასალისას. წაღება ტფილისიდან ურმებით უნდა მოხერხდეს, თორემ რკინის გზით ერთი ოთხად დაჯდება. თვით რკინისგზი[ს] ქირა იმდენი არა, რამდენიც ტფილისის სადგურზე მითანა, გომის სადგურზე ჩამოღება და იქიდან წრომში მითანა. ქვის მოხელეც და ხისაც ტფილისიდან უნდა წავიყვანოთ. ადგილობრივ უბრალო, შავი მუშის შოვნა შეიძლება. შესაძლოა თუ არა დავიცადოთ ზაფხულამდის ან მარტო ხით გადავხუროთ, ამის პასუხს მაშინ მოგწერ, როდესაც ტაძარს ადგილობრივ დავათვალეებ. ამ დღეებში უსათუოდ წავალ, თუ წვრემები კიდევ არ დაიჭირა. მტკვარი დიდია და პარომი არ მუშაობ[ს]ო, როდესაც მოდიდებულაო, მითხრეს.

ამას გარდა მე და შჩეპოტიევი ბინის საკითხმა შეგვიპყრო სულ, არა ერთ[ი] დაპირებული და ჩვენ მიერ დასახული ბინის დაქირავება არ ხერხდება. პეტრე დიდის ქუჩაზე შტაბი გვიცილიდა ბინას, მაგრამ დღეს გამოგვიცხადეს, ვერ გადავდივართო და უქანასკნელ პასუხს მომავალ ხუთ შაბათს მოგვცემთო (დღეს პარასკევია). სტა[ტი]სტიკური კომიტეტი გვაძლევდა თავის ბინას მოსკოვის ქუჩაზე ერთად საგეოგრაფიო საზოგადოებასთან. არა უშავდა, როგორმე მოვთავსდებოდით, მაგრამ გამოგვიცხადეს, რომ სტა[ტი]სტიკური კომიტეტი აღარ იხურება, როგორც განზრახული გვქონდაო, არამედ ფართოდება და ბინა ჩვენვე გვჭირდებაო. ქალაქის თავი ჩხენკელი და სხვები ყველა გვეხმარება, მაგრამ ჯერ არაფერი გამოდის. ბინაზე ზრუნვა თავ დღურ ვარამს შეადგენს ჩვენთვის. წრომიდან მე ქუთაისში ვაპირებ წასვლას. იქ უნდა დავიბარო ხონიდან ერთი ჩემი ნაშაგირდალი, მორიგებელი სუდია, გრიგოლ დადიანი, ან მე წავალ ხონში და მას მივანდობ, გამართოს მოლაპარაკება ყველა ნაქალაქევის მეპატრონე[ებ]თან (პატრონები ბევრია) და მოგვიხერხოს მათგან ნებართვა ნაქალაქევის გათხრისა⁶¹², რომლისათვის შენს გადასაცემათ ამიერკავკასიის ბანკში აკაკი ხოშტარია⁶¹³ უკვე შეიტანა ხუთი ათასი მანეთი. დადიანი შეგვიტყობს, თუ რა პირობით მოგვცემენ ნებართვას პატრონები და ეცდება ეს პირობები ჩვენი მიზნისთვის ხელს საყრელი იყოს. მასალის ფასები ასეთია:

Цены на строительный материал в Тифлисе:

- | | |
|----------------------------------------|-------------------|
| 1. Камень бутовой на месте в Сололаках | |
| 2. Кирпич на заводе за 1000 штук | куб. саж. 40 руб. |
| доставка с завода по городу | 50 руб. |
| 3. Лес, балки и половые доски на заказ | 100 руб. |

- | | |
|------------------------------------|-------------------------------|
| не менее 12 арш. квадр. верш. | 2 р. 50 к. |
| 4. Рейки и шелевки квадр. верш. | 3 руб. |
| 5. Мастер Чернорабочие на месте | 10—12 руб. в день 4—5 руб. |
| 6. Арба из Тифлиса в Цромн | 75—100 руб. |

ეს სადღეისო ფასებია, შემდეგ შეიძლება კიდევ მოუმატონ.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

107

1917.10.29.

ძმაო ექვთიმე,

ა) Я писал А. С. Щепотьеву, пишу одновременно с этим, чтобы с деньгами временно устроились из оставленной мною у него на руках суммы; события технически не позволяют доб. высылки штатных сумм эти дни,

ბ) Г. Н. Чубинов едет в такой мере, что спит на сложенных вещах в ожидании вагонов (г-х); в) судя по твоим данным в Цrome не придется сейчас что-либо «строить», г) но самое главное — помещение Института: помещение! помещение!!!

მე მაინც მიკვირს საზოგადოებათ გულგრილობა წარუვალზე, მხოლოდ ხრწნაღზე ზრუნვა და ხრწნადი გზით ვლა ან კიბორჩხალის დახვესებული მიმართულებით მოქმედება. ეკლესიის საქმე გააძნელეს, ახლა ხომ კავკასიის მეცნიერულ შესწავლას ეღობებით წინ, შენც თურმე წაძლოლილ ხარ ასეთ ქართულ უნივერსიტეტის გამართვას⁶¹⁴.

შენი ძმა ნ. მარტი.

108

1917.11.11.

პეტროგრადი

ძმაო ექვთიმე,

ცალკე ოფიციალურ წერილს გიგზავნი, მაგრამ ამით მინდა განსაკუთრებით მოგმართო არა თუ მარტო სიმხნევე და სულგრძელობა

გამოიჩინო ასეთ უდროო დროს, რამე იქნება საშვალედაც აღმოაჩინო ადგილობრივ ინსტიტუტის, თქვენი ხორციელად სუფევისათვის, ვიდრე აქიდან შეჩერებული მიმდინარეობა ცხოვრების საშვალედას მოგაწევდეს. რაც ხელში მქონდა ჯამი, თუმცა სხვა საქმეზე დანიშნული, გიგზავნი, მოიხმარეთ შენ და შჩეპოტიევმან, როგორც ხელშესაყრელად იცნობთ. შემდეგ უნდა დამიბრუნო, როცა კრედიტი უკვე გახსნილი წამოვა და მოაწევს. ამ ფულის პირდაპირი დანიშნულება არის ნაშთების დაცვა და მათი შესახები მუშაობა კავკასიის ფრონტზე.

აქ რა ხდება, ძნელია ითქვას, ყოველი წუთი ვითამ ცვლის მდგომარეობას, მაგრამ ისევ იგივე რჩება, და რასაც სამი დღის დღეგრძელობას უქადოდენ, მან სამ კვირაზე მეტი გასტანა. აქ ახლა უმთავრესი საგანი ორია — 1) შიმშილი, სიძვირეს აღარ ვამბობ (41 მანეთი ბატი, თუმანი ქათამი და ასე), აღარც იშოვება რამე, ხვალ ზეგ პური ნახევარი გირვანქაც შეწყდება, სინათლე შეწყდება, გრბო შეწყდა, შაქარი თითქმის გათავდა და სხვა, 2) ხოცვა, მთელ ინტელიგენციას ხოცვას უპირებენ, რომ ხმას დაუჭერო. ამ პირობებში აქ ძალიან განსაცდელს განიცდიან, კულტურის ნაშთების დაცვა ახლა აქ არის საჭირო და არა ვან-თორთუმში. აქაური ინტელიგენცია, თვით მეცნიერებაც ზომამზე გადასრულად დაშინებულია და ხელიდან ყველაფერი უვარდებათ. რას მოვახერხებთ, არ ვიცი, მაგრამ მეც და ცოლიც აქა ვრჩებით შვილითურთ (ვოლოდ.), რა სისხლის ღვრაც რომ გაჩნდეს, მომკლავენ, მადლობა ღმერთს, ოღონდ მაწუხებს მოკლე ქართული გრამატიკის შედგენა დავიწყე და ვაი თუ დამთავრდება ვერ მოვასწარი, მგონი კარგად გამოსულიყო⁶¹⁵. მიუხედავად ყოვლისა ამისა, მე უკიდურესად მალელებს არა აქაური მეცნიერული, აქ კიდევ გამოგვარდება, არამედ ინსტიტუტის საქმე, იშოვეთ თუ არა სადგური⁶¹⁶ და როგორ მოვაწყო მისი ფულის გამოგზავნა, ხომ ყველა სამინისტროებში სიცოცხლე შეწყვეტილია. გ. ჩუბინოვი ვაგონს უცდიდა, ახლა გზა ვაგონის მოიჭრა, ვიაზმით უნდა გამოგზავნონ, იქნებ მომავალ კვირაში წამოვიდეს.

შენი ძმან. მარჩი.

P. S. ივანე ნიქარაძეს მოახსენე — მივიღე ყველაფერი და შეუკვეთე სანდო პირს დიპლომი გამოუგზავნოს, მაგრამ ახლა იქაც შეწყვეტილია სამსახური.

P. P. S. შენი სტატია იბეჭდება XB-ში, მე-2-ეში⁶¹⁷ (პირველი დღეს თუ ხვალ გამოვა). არ დაგავიწყდეს XB-ის თანხიდან მიღებული 200-ის ქალაღი დამიწერე და გამომიგზავნე, ანგარიშისთვის მჭირია. ნ. მ.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

რადგან სადგურის საკითხი გადაწყდა, და გათავდა, ბინა გიშო-
ვიათ, ერთი, რომ მადლობელი ვარ დროებითი საყუდელის გაჩენი-
სათვის შენ შინ, შემდეგ ახლა მჭიდროდ უნდა დაეტანოთ ბეჭდვის
საქმის მორიგებას, 1) „Отчет“ და 2) „Труды“ ან როგორც გადა-
წყვედთ ამაწლის ნამგზავრების შედეგს, სხვათა შორის ჰანური მასა-
ლებიც, ყველა ამ საქმეებს ტექნიკური მხრით მომზადება სჭირია;
• თუ ტრანსკრიპციისთვის ასონი დაგვირდათ, აქიდან გამოგვიგზავნით,
სადმე უნდა შექმნათ სასტამბოში თავისი სამეცნიერო ორი კუთხე,
ენათმეცნიერული და არქეოლოგიური, უკეთ საენათმეცნიერო და
საარქ. აკადემიის წლიური ანგარიშისთვის ველარაფერს მომავლდენ,
გარდა გოდებისა, და მე თვითონ შევადგენ მოკლედ, მაგრამ ინსტიტ.
ანგარიში მეცნიერული მოღვაწე[ეობის] არა უგვიანეს 1 მაისისა უნდა
გამოვიდეს და თან იბეჭდებოდეს შეძლებისა და გვარად შეკრებ. მა-
სალანი. ამათთვის კარგი სახსარი მქონდა მომზადებული, მაგრამ რა-
იქ ახლა, რომ ომის დრო შინ დაგვიდგა ზავი[ს] მაგიერ. უნდა გვე-
სარგებლა СМ¹. შეტყობილი გექნება ბ. ლაპატინსკისგან, გ. ჩუბი-
ნოვიც მოგახსენებს, მე ძალიან ჩავადგი კვალში — ფული გამოგი-
გზავნონ ახლა მაინც, და შესაფერ წუთს შევჩენილვარ.

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

შჩებ[ოტიე]ვი გეტყვის, თუ რატომ აგრე სასწრაფოს ვსწერ.

ი გ ი ვ ე .

a) დროებით ხელშესაწყოდ ცოტაოდენი ფული რომ გამოგზავნე,
ახლა მიღებული უნდა გქონდეს.

b) შემატყობინეთ, როცა მოეწყობთ ახალ სადგურზე.

c) ანისის დარაჯს, ახალ დაქირავებულს, ა. ს. შჩებ[ოტიე]ვი ხომ
უგზავნის თვიურს.

d) რამენაირად „კარის გარიგება“ გამოვეთ, თუნდ უთარგმნოთ,
რაკი თარგმანი ძნელდება, დედანი და წინასიტყვაობა, რომელს ძა-
ლიან ველი.

¹ Сб. материалов для опис. местн. и племен Кавказа.

საქმეებზე ახლანდელზე არაფერს არ ვწერ, რადგან, რაც აქ წარმოებს, იგივე მაქსიმალისტობა არის მანდაც, კარგად ცნობილი, სულ ერთია სოციალური მოსაზრებით გაუღნთ თუ ნაციონალური თუ იმპერიალისტური, ყველა ერთგვარად ორპირში თავსლავ დასხმულ რიონს მომავონებს, დანგრევაზე კი ბიჭი, ზოგჯერ მთებსა უქადის წალეკვას და ზვიადდება და ზვიადდება და რომ საკვები გამოეცლება, თავის ძველ კალაპოტსაც ველარ აავსებს. მახლას, სომხები რომ იტყვიან. ერთი სანუგეშოა რომ მეცნიერება მაინც დარჩება, როგორც მიწა იტრიალებს და მზე თავის სინათლეს არ მოიშლის, ვერც მოიშლის, ოღონდ მათ რა უთხრა, ვინც მეცნიერების გამო ხილული წმიდათა სიწმიდეს ზურგს უქცევს?

ი გ ი ვ ე .

200

8 დეკემბერს 1917 წ.

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი წერილი მივიღე. ფული და ოფიციალური ქალაღი, რომლებზედაც იწერები, ჯერ არ მიგვიღია. ამ ბედის წერის დროს შენ იყავი კარგად. თავს მოუარე, თორემ ჩვენი ჯავრი ნუ გაქვს. ჩვენ როგორმე თავს გავიტანთ, ამ ორ სამ.თვის: ის რაც მოგველოდა, მე უკვე გავითვალისწინე და ზომები მივიღე. ხარჯები შევამცირე, მოსამსახურე, რაკი ბინა არ გვაქვს, დავითხოვეთ, გადამწერი ქალი ავრევე; და როცა ბინა გვექნება და ნორმალური პირობები იქნება, მასვე მოვიწვევეთ. ლიოზენს სამსახურისთვის თავი არ დაუნებებია და ამიტომ არც თვითონ თხოულობს ჯამაგირს, იმით ყმაყოფილდება, რაც ზაფხულში მიგიცია. ბინის საქმეს არ ეშველა და არც იმედი გვაქვს, რომ ახლო ხანში ეშველოს. ამიტომ დროებით მე ჩემს პატარა კაბინეტში გავხსენი ინსტიტუტის კანცელარია, კარზე პლაკატიც გავაკარი, კორესპონდენციებს აქ ვიღებთ და შჩებოტიევი აქ მოღის ყოველ დღე და საჭირო საქმეს ვაკეთებთ. განცხადებას (предварительное сообщение) ინსტიტუტის გახსნის შესახებ ვაბეჭდინებთ და ყველა დაწესებულებათ გაუგზავნით კავკასიაში და რუსეთში. გუშინ მოვიდა ჩემთან ჩუბინოვი. მშვიდობით ჩამოსულა, კარგად არის. ჯამაგირი მას იენისიდან უნდა მივსცეთ თუ ეკენისთვიდან, მე მგონია ეკენისთვიდან, რადგან იმ თვეშია დანიშნული. მე კი წითობისთვიდან ავიღე, ვინაით-

გან გიმნაზიაში სამსახურს ამ რიცხვიდან დავანებე თავი. იმ ფულიდან, რომელიც შჩეპოტიევს ჰქონდა შენგან მიღებული, ეხლა 3300 მანეთი გვაქვს და როცა ჩუბინაშვილს დავაყმაყოფილებთ ნაკლები დაგვრჩება. არა თუ ინსტიტუტის ბინა, შჩეპოტიევის ბინაც მე გამიხდა საჭირობოროტოდ, იქ სადაც იყო, აღარ დააყენეს, ვერსად ბინა ვერ იშოვნა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ძლივს ძლივობით შევეხვეწე ჩემი ცოლის დეიდას მარიამ გაბაშვილისას და მივატევი ერთი ოთახი, მოთავსდა, და მოეწყო, ძლიერ ყმაყოფილიც არის, მაგრამ ცოტა კი შემარცხვინა, მაგრამ ამაზე შემდეგ. ეხლა ასე თუ ისე ინსტიტუტი გახსნილია, ბინა დაპირებულია, ჯერ ამით უნდა დავყმაყოფილდეთ, თუ ეხლანდელმა გარემოებამ ყველაფერი ოხრათ არ დაგვატეხია.

განზრახვა მქონდა შენთვის მომეწერა აქ მოსულიყავი, მაგრამ საშინელი მდგომარეობაა ტფილისში. რაც მაქ თქვენ უკვე გადინდეთ, უარესი მოგველის ყოველ დღე ტფილისში, სროლა და სისხლის ღვრა უკვე დაიწყო. პურს 3/8 გირ. გვაძლევენ. ჯარი სულ მაქ გამეფებულ პარტიას ეკუთვნის. მე როგორც ვატყობ ეს ანარქია რუსეთში დიდხანს გასწევს და გადურჩებით თუ არა, ღმერთმა უწყის. ყველაზე მყუდრო და სანატრელი კუთხე ეხლა გურია არის. -კარგს იზამ რომ ღროებით იქ წახვიდოდე ცოლშვილით დასასვენებლად და ნერვების დასამშვიდებლად. ნერვები მეც ძრიელ ამეშალა, სულ იმის ფიქრში ვარ, ჩვენი მუზეუმები როგორ გადავარჩინო, თუ ამბობება და რბევა მოხვდა; ჩემს თავს არას დავეძებ, თუ ჩვენი განძები გადაარჩა. კვიტანციას გიგზავნი. მომიკითხე შენი სახლობა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

201

1918.1.11.

პეტროგრადი

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

სამს დეკემბერს გამოგზავნილი წერილი მხოლოდ ნათლისღების დღეებში მივიღე. ძალიან მადლობელი ვარ. საქმეების შესახებ გწერ ცალკე, როგორც ღირექტორის მოადგილის (ჩემის) მოადგილეს და იქ გააცნობ წევრებს.

აქ გწერ, რადგან შენ ქაღალდს ოფიციალური ხასიათი არ ჰქონდა, რომ გ. ჩუბინოვს, როგორც ყველას ენკენისთვეში ამოარჩეულს,

ჯამაგირი ერგება საქმეზე მისვლის დღისით და რადგან გ. ჩუბინოვი მანდ, თფილისში, ჩამოსვლამდე მუშაობდა აქ, ინსტიტუტის საქმეებზე ენკენისთვისგან ერგება მას. ისე, რასაკვირველია, როცა ფულს ინსტიტუტისას მიიღებთ, ერთმანერთის დღემანდელ დღეებში და პირობებში გაჭირვებულ სიცოცხლეს ერთმანერთს შეუქმნებუქმნებთ, რათა ინსტიტუტს მშრომელი და სასარგებლო პირნი არ მოშორდნენ. ერთ მეცნიერული გამოკვლევების ფასი კაცის შოვნასაც აქვს ხომ. შენ რომ გითავაზებია ადგილი ინსტიტუტისთვის შენ ბინაზე, მისი ვალი ხომ არ დაივიწყება და რაც ღირს, დროზე აღნიშნე ოფიციალურად, როდესაც ფული მოვა, შესაფერი ჩამი მიიღე.

ვჩქარობ ამ წერილის დაწერას, იქნება სარწმუნო კაცის ხელით მოგაწვდინო, ფოშტა დაგველუპა ხომ, თორემ კიდევ მოვიცდიდი, დღეს აკადემიის სამდივნოს მმართველი მიდის ბანკში, შეიტყობდა ნამდვილს ფულის შესახებ და მაშინ მოგწერდი.

შჩეპოტიევის შესახებ რატომ მთლა არ შემატყობინე, რა ჩაუდენია. ამბებს არაფერს გწერ, რადგან ასეა საქმე — დღეს ცოცხალი, ხვალე ვინ იცის, მაგრამ სანამ სული მიდგია, თავის საქმეს არ შეველევი; ძალიან მწყენს, რომ მოწაფეებმა ჩემმა აქაურ მეცნიერულ საქმეს გულგრილობით (თუმცა არა განზრახ, მაინც საქმით) უღალატეს. ჩვენი ვალ. ყუკოვსკი გადაიცვალა, ვერ გადიტანა, რაც მოათმენიეს, კარგი კაცი იყო, ვერ აფასებდენ, ნამდვილი დერვიში გახლდა, არ იცნობდენ. ცოლი ძალიან დაღონებულია ჩემი, მისი მშა საყვარელი იყო.

ქართული გრამატიკა ძალიან მართობს, ბეჭდვა დავიწყე, წერას ვაგრძელებ. რომ აგრე მოკლედ მაინც მოვასწრებდე დალაგებას და დაბეჭდვას, ბევრი რამ აიხსნება.

ვერთობი აგრეთვე — [ვეძებ] იაფეტურ ნალეკებს სომხეთის ენებში, ერთს მოდიდო სტატიას კიდევაც ვბეჭდავ⁶¹⁸, ძალიან მიტაცებს მთელი სომხური განსჯატორებით] ჰაიური გრამატიკის იაფეტურ ნიადაგზე გადასინჯვა, მოულოდნელი შედეგები გამოსჭვირან. ვარდროპის ვისრამიანის ინგლ. თარგმანი⁶¹⁹ ხელში ახლა ჩავიგდე. კარგად ცდილა, მაგრამ ვაი ქართულ გამოცემას, კაცი ვერ დაიჭერებს, მისი გამოცემა ფიქრში მაქვს, მაგრამ თეორიულად დიდი განსინჯვა სჭირია. აქაც ხომ ათასი საკითხია. იქნება მოხსენება (ვამზადებ არქ. საზოგადოებისთვის) ცალკეც დაგებეჭდო-

უბრუნდები ინსტიტუტს, თქვენ მოქმედებას დიდის გულის სწრაფით ველი: I. შინაური განწყობილება (ორგანიზაცია), II. გარეშე განწყობილება, III. მეცნიერული მუშაობა (აქ ხომ მეც ჩამოვერევი, არა თუ როგორც ანისის კერძომცოდნე, საენათმეცნიერო ნაწილს „მეთავე“ და თან რიგის მუშაც). თანამშრომელთა შოვნა არის საჭირო, რაც მეტადრე ენათმეცნიერების დარგში საქმელია, გასჭირდება.

იმედია რამე „ნაირად“ თქვენ ამბავს, თქვენ კეთილ ამბავს მაცნობებთ.

იქნებ გიორგიმ (იურიმ) გინახულა, თუ თფილისშია, სად არის არ ვიცი, რაც ფული გაუგზავნეთ, ყველა უკან დაგვიბრუნეს და როგორ გასძლო, არ ვიცი.

აქ მეტისმეტად გაწიწმარიტებულია საქმე, მაგრამ წერით ვერაფერს ვერ მოგწერ.

შენი ძმა ნ. მარრი.

შენი „ღარბაზობა“⁶²⁰ როგორ მოვაგვაროთ?

ნ. მ.

საშა მოვიკითხავს და ჩვენ ორივე ნინოს ქალბატონს მოვიკითხავთ.

ი გ ი ვ ე.

202

1918.3.17.

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე,

ვლადიმერ თფილისში დროებით დარჩება, იქნება, ორხელ, იქითობას (გურიისში თუ წავიდა) და აქითობას და გთხოვ ხელი შეუწყო, განსაკუთრებით აქითობას, თუ მოეწყო.

ავად გამიხდა და ნერვების და სულიერი მდგომარეობის გასაშაგრებლად, რა მომჯობინდა, სჭიროდა მგზავრობა და სხვას სა[დ] ეამგზავრებ, თუ არ შინისკენ, მით უუმეტეს, რომ თვითონ მოისურვა: მგზავრობა უყვარს და კავკასია.

ორვე შვილი ჩემსავით ხეტი გამომიდგა ბუნებით და რადგან შინაური განწყობილება მათგან შრომას და ტანჯვას არ მოითხოვდა,

კხოვრების ალღო სრულებით აკლია და მათ გასაწვრთნელად საქი-
როა ხელოვნებით, ნაძალადევი ვთქვათ, გამოწვეული ჭაფა და შრომა.
ამ აზრით გატაცებული ერთი სადღაც დამეკარგა, ორი თვეა ცნობა
არ მაქვს, და მეორე მის საძებრად მოდის და თუ რამ საქმეში ჩააყე-
ნებთ, იმასაც დაგიმადლებ, რადგან რამოდენიმე დროით მისი არა
სასწავლებლის, არამედ ცხოვრების უღელის ტარება იქნება მეტს
სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ჩვენი დროის უსულო და უსიცოცხლო
გიმნაზია. ეგ ხომ სხვათა შორის და სათუოდ, თუ რამეში გამოსადე-
გად დაინახე, გაგზავნაში, მიტანაში ან მის გვარ საქმეში. ისე კი ან
მოახერხებს და სააღდგომოდ მაინც დაგვიბრუნდება ან თუ ვერ მო-
ახერხა და ჩარჩა, ჩვენ დაგვხვდება, თუ გზა ცოტა ოდნად გაიხსნა მე
ვაპირებ ცოლითურთ მოგზაურობას, არქეოპოლის⁸²¹ მუშაობას და
წყებას და ზოგს სხვასაც. ინსტიტუტშიც მოვაწვევ, მაგრამ ენების კვლე-
ვა განსაკუთრ. მაჩქარებს, იქნება დავამთავრო ქართ. გრამატიკის მო-
კლის ბეჭდვა, მაშინ სპირანტულ ენებს უნდა შეუდგე, რომ ნამდვი-
ლი სრული გრამატიკაც შეითხზას: გულითადი მოკითხვა ცოლის, და
ჩვენი ორვესი — ნინოს.

შენი ძმა ნიკო.

203

23/13 მარტი 1918.

ძ მ ა ო ე ქ ე თ ი მ ე ,

ვალოდმას გამომგზავრებამ დაიგვიანა, პირველ ჩაბარებულ წე-
რილს შემდეგ ერთმა კვირამ გადმოვლო და ამ ორიოდ სტრიქონს
ცალკე გწერ.

1. ყოველ მხრივ გთხოვ კაკასიის მუზეუმს გამოგზავნიო მისი
დაკვეთით შესრულებული გამოცემის ფული გამოგიგზავნონ, რაც
მაინც ამ თავში საჩქაროდ მისაცემია, სახელწოდბრ ქალაღდი 520 მან.,
გარე სათაურის ქალაღდი 45 მან., კლიშეს ფული ჭერ უწინ მოწე-
რილი 157 მ. 70 კ. და ახლა კიდევ დამატებითი 45 მანეთის, ფოტოტი-
პიის მისაცემი 320 მან. ამის ჭამს თუ ვერ მოახერხებენ გამოგზავნას,
თქვენ, ინსტიტუტს, გადმოგცენ და ვისმე ხელით წერილი ამბავი მა-
წვდინონ შენი ან ინსტიტუტის ოფიციალურად ხელმოწერილი და
დადასტურებული და ან შენ მაწვდინე და მაშინ იმ ფულს თქვენ
ჩაგითვლით და აქ ხომ მის შედეგს გამოვიყვან.

2. თქვენი ფული ამ წლის სამი თვის, როგორც მოგწერე, კერძო პირის ხელით მოდის, არქეოპოლის კირისუფლათ რომ გაგვიჩნდა, იმას გადავეცი თვითონ მე ფულად, განგებ არ ვასახელებ, და იგი გადმოგცემს, ამ მსვლელით, ვალოდმა რომ მოდის, უნდა წამოსულიყო, ერთი დღით აქ დარჩა, მეორე მსვლელის მომლოდინე, ნაციონალურის—ქართულ-სომხურის (შეხე ბედის წერას, ჩემ ნაჯღაბნს გულში ჩასციხოდნენ და ეხლა ხომ თვითონ შეუღლდენ ცხოვრების მათრახს ქვეშ, აქაც ერთად თავს იყრიან, თუმცა კბილთა ღრქენით).

3. გაიკვირვებთ რომ სასიძვიროს მომატებას არ ვიხსენებ, მაგრამ ჯერ ამის გამოტანაც ხომ მხოლოდ იმით მოვახერხე, რომ, აკადემიის საქმე მთლიანად ავაძრევინე და მასში, მის ხარჯთა აღრიცხვაში შევეტანიე და ახლა კი სასიძვიროს კი არა, მთლად ძირეულის მომატებას ვცდილობ, ერთი, და მეორე, შარშანდელის ჩარჩენილის გამოღლეტას.

4. თუ მოვახერხე, გამოგზავნა გამიჭირდება და რამე ნაირად რომ მოვაწყობდით ზაკავკახეის ბანკში, თუ სახელმწიფოში გასჭირდა, რომ მიიღებთ ნამდვილ ცნობას „ფული მოდის ამდენი“, ავანსი გასესხონ მისი იმედით.

შ ე ნ ი ნ. მ ა რ რ ი.

ვალოდმას ღვინო არ დაალევიანო, ახლა ხან მაინც, მის სულის ავადმყოფობას, რომ გადიტანა, არ შეუწყოს ხელი.

204

24 მარტს 1918 წ.

ძ მ ა თ ნ ი კ ო!

შენი წერილები 11 იანვრიდან ყველა მივიღე და ადრესებისა-მებრ დავარიგე. ევანგულოვს⁶²² მოეტანა, მაგრამ მე არ მინახავს, შემოვალო ეთქვა, მაგრამ ჯერ არ შემოსულა. ძრიელ მემამა და ყველას ესიამოვნა შენი წერილი, რომ კარგად ყოფილხარ, ესე იგი ამ დროისთვის რომ ცოცხალი ხარ. ეხლა ეგ არის ბედნიერება. ჩვენი ჯავრი ნუ გაქვს, ჩვენ პოზიცია არქეოლოგიური ინსტიტუტისა არ დაგვიკვლია. კიდევაც — გავამაგრეთ. აქოურ მთავრობას წარუდგინეთ ბიუდეტი 75 ათასი მანეთისა, მაგრამ ამითგან მარტო რაც წესდებაში იყო, ის მიიღეს, ესე იგი 45.200 მანეთი, ჯერ არ მოუციათ იანვრის, თებერვლის და მარტის, მაგრამ ამ დღეებში მივიღებთ, აგრეთვე გადაგვიწყვიტეს დღიური და % მიმატება, ამას შარტო იანვრამდის მივიღებთ. ეხლა

300

ეს მოსპეს, სამაგიეროდ ჯამაგირები მოუმატეს ყველა მოხელეებს (ჩინონიკებს) და მათ შორის ჩვენც ვიქნებით რასაკვირველია. მდგომარეობა ისეთია, რომ რაც არ უნდა მოგვიმატონ, მაინც კუჭი მაძლარი არ გვექნება. შენი წერილიდან სჩანს, რომ მაქიდანაც გეპირებენ ფულის გამოგზავნას, კიდევ უკეთესი, მაშინ აქედან რასაც მოგვცემენ, იმას გამოცემებისთვის ვითხოვთ დაგვიდასტურონ. ყოველ შემთხვევაში შენ უნდა ეცადო ის, რაც 1-იანვრამდის გვერგებოდა, მაქიდან მოგვცენ, უმჯობესია შენ რომ მაქ მიიღებდე და რაც დაგიხარჯავს და საჭიროა, იქიდან აიღებდე¹, სახლი განცალკევებული არ მოგვცეს და არც იმედია მოგვცენ, ისევ პატარა ჩემი კაბინეტია ინსტიტუტი, სადაც კვირაში ერთხელ კრება გვაქვს, მდივანი მოდის ყოველ დღე და საქმეს, რაც დროს გაეწყობა, ვაწარმოებთ, ამდენ ხანს ინფორმაციას მოუხდით, ესლა ომის და ზავის გამო დიდი უბედურება გვაწევს თავზედ, ანისი რჩება თათრებს, ნებით თუ არ მისცენ, ძალით წაიღებენ, როგორც სჩანს, დღეს ამბავი მოვიდა, სარაკამში აულიათ. ჩვენ მივიღეთ ზომა მუზეუმის ევაკუაციისათვის⁶²³, გარდევნი გავგზავნეთ პირველად, სხვა ნივთების გადმოზიდვა ვერ მოახერხა ანუ არ ურჩიეს და მხოლოდ ნუმისმატური კოლექცია წამოიღო და ალექსანდრეპოლში ქალაქის გამგეობის კვიტანციით ბანკში მიაბარა. ესლა გადაწყვიტეთ თათბირზე, — რისიც წამოღება შეიძლება, წამოვიღოთ: ბიბლიოთეკა, წვრილი საყურადღებო ნივთები, გამოცემანი და სხვა, გარდა წარწერებიანი ქვებისა. რაც შეეხება გავიკის ქანდაკებას⁶²⁴, გამოირკვია, რომ თუ არ დაიშალა, ისე არ წამოიღება, ამიტომ შევეკითხეთ სომხურ ნაციონალურ საბჭოს და სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორ გვირჩევენ, დავშალოთ და წამოვიღოთ თუ დავტოვებთ, ან იქ დავმარხოთ. აგრეთვე შევეკითხეთ, სად სჯობს გადმოვიტანოთ ტფილისში თუ ალექსანდრეპოლში. ეს ოთხი-ხუთი დღეა პასუხს უცდით, ვერ გადუწყვეტიათ და გვაცდიებენ. მათ უდასტუროთ და დაუხმარებლად საქმე არ გაკეთდება, ზეგისთვის დაგვიპირდენ პასუხს და გარდევნის ვგზავნით ნაციონალური საბჭოს მიერ დანიშნულის კაცებით. რაც შეიძლება, გავაკეთებთ. მდგომარეობა აქ ესლა ჯოჯოხეთურია, ყოველმხრიდან საფრთხე მოდის, ბათუმს, ყარსს ოსმალებიანობა, ქართლ-კახეთში და რკინის გზებზე ანარქია და სისხლის ღვრაა. ცხინვალის მხრით ოსები დაიძრა, ბაქოში გუშინ და გუშინის წინ დიდი შეტაკება და სისხლის ღვრა მომხდარა. ანისის უფრო ჩვენი მუზეუმებია საშიშო. რაც თქვენ უკვე გადაგხდათ, აქ ამ დღეებშია

¹ პირველ იანვრამდის აქ არაფერი გვითხოვია, გარდა დღიურისა და % მომატებისა.

მოსალოდნელი და გადაერჩებით თუ არა, ღმერთმა უწყის! გულს კი არ ვიტყვით და გარემოების მიხედვით მზათ ვართ კულტურულ ნაშთებზე ვიზრუნოთ. ყარსში ტერაპევისიანი იყო იქ აღმოჩენილი წარწერისათვის და გაშინჯა. ამ საღამოს ჩუბინაშვილს ბორჯომში ვგზავნი, ბორჯომის მამულს კონფისკაცია უყვეს⁶²⁵, ჩვენ ვითხოვეთ გადათვალე რება საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთებისა და ბიბლიოთეკისა, მიგვიწვიეს, მე ველარ მივდივარ, აქ ვარ საჭირო და ჩუბინაშვილი მიდის. სეიმში ქალაღი შევიტანეთ, რომ საარქეოლოგიო ადგილები მცნოვრებთ არ გადასცენ და სახელმწიფო საკუთრებათ დარჩეს, კომისიას გადასცეს და მგონი გავიდეს. პეტროგრაღიდან გამოგზავნილი წიგნები და მასალები არ მოსულა და რა ბეღი ეწია, არ ვიცით. ვერც გავიგეთ, თუმც ბევრი ვეცადეთ. იური ერთხელ იყო ჩემთან მთელ საღამოს, კარგად არის, მხიარულად და ჯამრთელად, დამპირდა ხშირად ვივლიო, მაგრამ აღარ შემოსულა, მოვნახავ და ფულს გადავცემ, თუ ესაჭიროება. ცხენები ძრიელ შეყვარებია და კარგათ უვლის. ქართული უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნა⁶²⁶, ძრიელ კარგათ მიდის, მსმენელები ხუთასზე მეტია და სხვებს უარი უთხრეს უადგილობის გამო. ჯავახიშვილი ბევრს მუშაობს, სხვებიც ძრიელ გულწრფელად ეკიდებიან საქმეს. ისე კითხულობენ ქართულად ლექციებს, თითქო ოცი წლის პრაქტიკა ჰქონდეთ. შენი იმეღი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს აქ სამშობლოში მოკალათდები და ჩვენს უნივერსიტეტს დაამშვენებ, თუ ფიზიკურად არ გავნადგურდით და ამ ქარტეხილს გადურჩით. ძრიელ მიხარის, რომ ქართულ გრამატიკას ათავებ, უაღრესად საჭიროა, მაგრამ მე შენი წერილის წაკითხვის შემდეგ არხიმეღი გამახსენდა. ნეტაი შენ, რომ ამისთანა დროს მაინც მეცნიერების ჯურღმულში ეტანები! აქ გამოცემა არაფრის არ შეიძლება ეხლანდელს პირობებში. ყველა იმათ, ვინც ინსტიტუტის სახელით ექსპედიციაში იყო ზაფხულს, მივსწერეთ, რომ ანგარიში წარმოედგინათ, მაგრამ ჯერ არ წარმოუდგენიათ, თუმცა დაგვპირდენ.

ჩემი მოგზაურობის გეგმების დასამუშავებლად ეხლა ხუთი ხუროთმოძღვარი მუშაობს, მინდა როგორმე მალე დავამზადებო. თორემ რა მომელის ხვალ, არ ვიცი. ძრიელ ყმაყოფილი ვარ, რომ მოვასწარი მათი ნახვა, რას წარმოვიდგენდი, თუ ასე უბედურათ დატრიალდებოდა საქმე და ჩვენ ყველაფერს დავკარგავდით! მე იმ მასალას რუსულათაც გამოვსცემ ინსტიტუტის გამოცემაში, თუ დავცალდა. ფოტოგრაფიები კარგი გამოვიდა. და თუ ამას მიუმატებთ ოქუნევის გადაღებულათაც (ზოგი მისაში იქნება უკეთ) ძრიელ სრული და კარგი გამოვა. ჯერჯერობით უნდა გაცნობო, რომ იშხანში საკურთხეველში მე აღმოვაჩინე ერთი ფრესკის ნაშთი სომხურის წარწერით. ეს არის შუა ადგილს მარცხნივ საკურთხეველის მარცხენა ნა-

წილზე ანუ საკუთხეველის დასაწყისზე მედალიონში, სახე სულ ჩა-
მოცვინულია, ხოლო სომხური ასოების ნაშთებია, ფოტოგრაფიითაც
გადმოვიღე და ხელითაც. მაგრამ ფოტოგრაფიაზე არა ჩანს, ისე ხე-
ლით გადმოღებული მაქვს. მისი გამორკვევა შეიძლება ანალოგიით,
სწორეთ იმის პირდაპირ მარჯვნივ, მედალიონშივე ყოფილა დაბატუ-
ლი ნანა დედოფალი, მირიანის თანამეცხედრე, ნინოს მიერ განათლე-
ბული, როგორც ძრიელ გადასული წარწერა მოგვითხრობს. წარწერა
მე როგორც იქნა სრულად აღვადგინე. ამის მიხედვით მარცხნივ უნდა
ყოფილიყო პირველი ქრისტიანი დედოფალი სომხეთისა. შენ შეგინა-
ხავ ხელით გადმოღებულს. ოშკში აღმოვაჩინე ქანდაკება, ბაჩელიეფი
პატარა, წმიდისა ნინოსი ზედწარწერით და სხვა ამგვარი საინტერესო
მასალები. ოშკშივე ყოფილა პალატები ტაოს ბაგრატიონებისა. ამ წე-
რილს საჩქაროდ გწერ და მტკლედ გაცნობ ჩვენს ამბავს. გავიგე ვიღაც
მოდისო მაქ და ეხლა მასთან ვეშურები. უუკოვსკის გადაცვალება აქ
ყველას ეწყინა. სამძიმარი თქვენ მეუღლეს და მასთან ჩემ და ნი-
ნოსაგან მოკითხვა. ამით ვათავებ წერილს და ერთხელ კიდევ გეტყვი,
რომ ჩვენი ინსტიტუტის პერსონალის შესახებ ნუ სწუხარ. ჩვენ ჩვენს
თავს მოუვლით და რის გაკეთებაც ამ მდგომარეობაში შეიძლება, გა-
აკეთებთ.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

ტიგრანიანიც დადის ჩვენს კრებებზე და სრულის ერთსულობით
ემუშაობთ, გარდევნი მხნე კაცია და ყოველთვის მზათაა და კიდევაც
ემებს შემთხვევას სადმე წავიდეს. ჩუბინაშვილი ხომ სულ საყვარელი
ადამიანია. შჩეპოტიევიც თავის საქმეს კარგად აკეთებს და მის კერ-
ძო საქმეებისა ჩვენ რა ხელი გვაქვს. კარგათ არის. გაზეთშიც მუშა-
ობს.

ე. თ.

205

29 апреля 1918 г.
№ 8

Г л у б о к о у в а ж а е м ы й
Е в ф и м и й С е м е н о в и ч

Настоящее письмо имею возможность послать с первым
представившимся мне случаем после последней оказии в лице

1 № 8—10 წერილები დაწერილია ბლანკზე:

Российская Академия Наук.

Кавказский Историко-Археологический Институт. Тифлисъ.

сына моего Владимира, который выехал еще в марте, более месяца тому назад, но не знаю, доехал ли и доставил пачку писем, одновременно с ним или немного раньше, если не немного позднее должен был прибыть с суммой от меня, т. е. от директора-руководителя, для передачи А. М. Хоштария, с ним же З. Д. Авалов⁶²⁷ с устным сообщением, значительно раньше восточник-арабист Микеладзе, еще раньше Г. Г. Евангулов. Вот все случаи, какие я мог отыскать и использовать для верного сохранения контакта, как только почта перестала функционировать, и было сомнительно, дошли ли или дойдут ли уже отправленные раньше мною письма или Академией извещения, но не было уже сомнения, что всякая корреспонденция, по почте «пропащая» труд, в лучшем слове беседа tête-a-tête с пустотой. Пробовал получить возможность говорить по прямому проводу, получил право на пользование прямым проводом от комиссара по народному просвещению А. В. Луначарского⁶²⁸, и лежит у меня это право в кармане, так как порох, конечно, есть, но на почте пушки и не оказалось, провод с Тифлисом не работает, очевидно в вяшем проявлении кавказского самоопределения. Как видите (обращаюсь в вашем лице всему составу Кав. Ист.-Арх.-И-на), потребность моя (академическая) чрезвычайно сильная в непосредственном общении с Кавистархином, ряд неотложных научных работ, которые если не могут быть (допустим) напечатаны, могут быть оделаны или в худшем случае подготовлены для немедленного делания, но какой смысл писания, когда я не только не имею ответа, ни на одно мое обращение (я забыл еще про телеграмму на ваше имя через Гудауты, которую я отправил, воспользовавшись ответной телеграммой на телеграммный запрос председателя Бзыбского комитета просвещения абхазов), но даже мы не знаем, куда мы пишем, в институт в пределах российского государства или в тот же институт российский, но за пределами российского государства, как французская или немецкая школа археол. в Афинах, в Риме. Ведь это, пожалуй, для науки более удобная форма, чтобы не стесняя удовлетворить наши научные потребности, вечны, ибо *mutantur tempora at qui delirant in illis*, но никак ни наука и не предатели ее. Вот по всему этому у меня (естественно, и у Академии соответственный интерес) великая охота получить сведения полные о наших институтских делах. Чтобы быть уверенным в контакте и положении дела, я решил отправить не вполне оправившегося сына, раз сам, преданный в самый критический момент своими же, весь захвачен, и меня не хватает далеко для важных по нашей специальности, всплывающих ежеминутно вопросов (и б. м. все-таки все погиб-

нет, допустим, временно). Теперь, письмо сие я поручаю мисте-ру Блейку⁶²⁹, которого Г. Н. Чубинов знает и который, я в том уверен, доедет до Тифлиса и вручит в Институт кому либо письмо, если к тому времени не окажется Тифлис не только за пределами Российского государства, но и за пределами Кавказа, по крайней мере формула Кавказского сейма, как она дошла до нас, меня убедила, что для самих кавказцев если, допустим даже, нежелательна, совершенно мыслима идея о Кавказе, вне пределов Кавказа, вне его исторических стяжаний на пути культуры человеческой, их народнопсихологических традиций и с ними связанных нерасторжимых идейно-материальных органических связей. Больше пока мне не о чем писать.

Рекомендую вниманию всего Института, а твоему, как грузиноведу в особенности подателя сего письма, не только серьезного работника по древнегрузинской литературе, но первого поставившего и совершенно правильно поставившего вопрос о стиле в грузинской лит. речи, в частности, вопрос о стиле древне-груз. переводных памятников X—XI, если не IX—XI века, одна работа сдана материально для печатания (подл. и перевод), дорабатывает исследование, и примите меры, окажите ему всякое и всяческое содействие, кстати, он не грузин и не армянин и не гражданин вообще русского или российского государства, и никто не будет иметь натурального влечения мешать или равнодушно не помогать. Он — американский гражданин, американец подлинный.

Бюджет проходит, если не прошел. Печатаю по этнографии проспект рабочий к классификации насел. Кавказа. Мыслью, что у Г. Н. Чубинова наладилась организация по исследованию этнографического состава населения Кавказа, мне нужны его материалы и не знаю как быть. Бланки готовы, но не отпечатаны за невозможностью выслать и не знаем, как быть. Я все думаю приехать, но едва ли раньше июля. Письмо прошу прочесть всем. Всем сердечнейший мой привет.

Н. Марр

P.S. Скончались В. А. Жуковский, Н. И. Веселовский и проф. Шляхнин, было бы желательно дать характеристику-собеседование (может, даже лучше публично), деятельности востоковедов и археологов наших, умирающих: в таком отношении к смертным смерть становится источником жизни.

P.P.S. Я очень в большом затруднении с изданием надписи Чалдырской в Зап. Кавказского Музея: не уплачено за фотот., за печ. Обо всем писал. Если бы Музей деньги Вам передал, я бы здесь достал. Сумма сообщена Музею, сейчас нет под руками документа.

NB. Для Гордеева: я только-что узнал, что Н. П. Сычев по-

дал большую работу в Восточн. Отделении о фресках Зарзмы, определяет XIV веком он также. Это не мешает несколько появлению независимой работы нашего адюнкта⁶³⁰, интереснее даже.

30 апреля 1918 г.
(н. ст.) № 10

Дополнительно к посланию № 9

М-р Блэйк отложил, вынужден был отложить поездку на Кавказ с 30-го (т. е. сегодняшнего вечера, как то предполагалось, до 6-го мая, понедельника на святой), а сегодня я, вернувшись в 4 1/2 ч. с 3-го сегодня заседания, застал дома на столе три Кавказских письма, из них лишь одно от Института общее, т. е. по всем делам, от тебя, Евф. Сем., а я жду очень еще сведений специальных об организации местной части Кавказ. Отдела Академич. Комиссии по изследов. этнограф. состава населения России или бывшей России (вопрос не в названии) от Г. Н. Чубинова.

Полученное письмо от 20-го марта (ст. или нового ст.?) меня очень обрадовало. Прежде всего выражаю мою глубочайшую признательность всему составу Института за дружное сожительство, за дружную деятельность и вообще за бодрое желание быть деятельным.

Конечно, жаль, что еще реагирование на письмо, отправленное с Г. Г. Евангуловым, но тем приятнее думать, что с тех пор очевидно успели сделать много.

Денежные дела, следовательно, идут ладно. Здесь также ладно для Ин-та: Меня беспокоит судьба посланной библиотеки, книг, изданий и отсутствие у вас помещения, где могла бы быть распределена, устроена ежедневная ин-ская работа. Эвакуация музея и инвентаря, если правильно я понял, из Ани прекрасное дело, но Александрополь в меньшей опасности, чем Ани. Посмотрим. Меня очень занимает поход воскресшего из мертвых каменного Гагика в северные страны, по всей вероятности, он вспомнит о больших реальных связях его края с Тифлисом, этот чалмоносный крестоносец X—XI-го века, чья культураносцы Тифлисские XX-го века. И все это перст, чей, не будем говорить, ибо и т. д. Тут дело, конечно, не в севере, не в том, что северный Тифлис холоднее южного Ани. Вот Петроград еще севернее; тем не менее, из Пет-да Академия обратилась к центральной власти в Москве с просьбою: 1) сделать заявление германскому правительству о необходимости обеспечить неприкосновенность музея с инвент. и древностями г. Ани, как места научной работы Академии Наук, 2) сообщить начальнику советских войск на случай их вступления в Тифлис поддерживать Кав. Ист.-Арх. Институт в его деятельности по-

охране всех научных коллекций. Мне, надеюсь, не надо указывать, как можно и что можно охранять в Тифлисе с единственной целью их спасения от разгрома, я больше всего опасаясь судьбы рукописей. Не совсем я понял часть о готовящихся к изданию результатах поездки твоей в Тайю: если это издание Института можно сейчас же печатать. Надпись арм. ценна, если это не графитти и если древняя. Меня интересуют дворцы Багратидов. Сейчас писать больше не о чем. (Неофициально: жаль Юрий не догадался с оказиею послать письмо. До сего дня с 23 дек. ни строки).

Н. М а р р

206

20 მაისს 1918 წელს

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ვალოდია მშვიდობით ჩამოვიდა გურიაში და ეხლა ბრუნდება უკან. ბევრი ვურჩიე დარჩენილიყო აქ შენს ჩამოსვლამდის, მაგრამ არასგზით არ დათანხმდა, ეგზამენები მაქვს ჩასაბარებელი და უთუოდ უნდა დავბრუნდე და ვემზადო. საიმისოდ ძალა ვერც მე დავატანე, ვინაიდან აქ ყოველ კაცს განსაცდელი მოელის, ხვალ ცოცხალი ვიქნებით თუ არა, არავინ იცის. თითქო დედამიწის პირიდან ადგვა მოგველის, გარედან მტერი გვადგია და თანდათან უახლოვდება ტფილისს, შიგნით ანარქია სუფევს, სიძვირე და უსურსათობა. ქართველთა და სომეხთა ჯარი ისე გათახსირებული გამოდგა, როგორც რუსის, უომრად უტიებს მტერს ტერიტორიას და გამოობის, ეს ჯარი არ არის, უღისციბლინო და გაუწვრთნელი სამხედრო საქმეში ბრბო არის. ერთი სიტყვით მტრის ბრჭყალებში ვართ. ანისის ევაკუაცია წამხდარ პირობებში კიდევ კარგად მოხერხდა. გაგიკი ადგილობრივ დაიმარხა, დაშლილი, რასაკვირველია, წვრილი ნივთები, ბიბლიოთეკა, გამოცემანი და შენი ნივთები წამოღებულია და სანაინშია მოთავსებული. ნუმისმატიური კოლექცია აქ ჩამოიტანეს, პახომოვი^{ნი} გაარჩევს და სად შევინახოთ, მერმე გადავწყვეტო, თუ დაგვცალდა. როგორც ოფიციალურად გწერ. შენ მიერ გამოგზავნილი ფული 8737 მანეთი მივიღეთ როგორც იყო, მას ფულად არ ჩამოუტანია (რას შეარჩენდენ გზაში!) და ჩეკი მოგვცა, ხოლო ჩეკით ბანკები არ აძლევენ, მაგრამ როგორც იყო გავანაღდეო, და ცოტა სული მოვიტყვიო.

აქოურმა მართებლობამ როგორც გწერდი, კრედიტი მოგვცა, მაგრამ ფული ჯერ არ მიგვიღია, როდესაც მივიღებთ, შტატების ანგარიშს იმით დავფარავთ იანვრიდან და თქვენს მოწოდებულს და კიდევ რასაც მივიღებთ თქვენგან დახმარებათ ჩავთვლით, რომ მით ბუკდვის, გამოცემის და გამოკვლევის საქმე მოვაწყოთ, თუმცა შენც თანახმა იქნები. ეს საქმე კიდევ გამოსარკვევია, როგორ მოვაწყოთ, თუ ცოცხალი ვიქნებით და მოწყობა მოხერხდა, ვინაიდან ეხლა ჩვენ სხვა და სხვა სახელმწიფოში ვართ და დღეს თუ ხვალ უსათუოდ ამიერ კავკასიის მთლიანობაც დაიშლება და ვინაიდან მტრის კლანჭებში ვართ, შათი ნაკარნახევის მიღება აუცილებელი იქნება ფიზიკური არსებობის ცოტათ მაინც შესარჩენად. ამ შემთხვევაში როგორ მოეწყობა ჩვენი ინსტიტუტი, ჯერ თქმა შეუძლებელია. ბინა არ გვაქვს. ცალკე და არც არავითარი იმედი არ არის, რომ ახლო მომავალში ვიმოვოთ, ყარსის, ალექსანდრეპოლის, ოზურგეთის და სხვა ადგილების ოსმალთა მიერ დაბყრობამ მათი ქრისტიანული მოსახლეობა საქართველოში მორეკა და წინეთ თუ არ იყო ბინა, ეხლა საიდან გაჩდება. ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვიკრიბებით და რაც ამ პირობებში შეიძლება ვაკეთებთ, ანისის ევაკუაციის საქმეს ბევრი დრო და მუშაობა მოუხდა, ანისის დათმობის შესახებ თუ არ მთლად, გამოსაკვლევად მაინც, საზავო დელეგაციას ქალაქი მივართვით, ორგანიზაციის საქმეს ცოტაცოტა ვაწყობთ და სხვა. ბუტკოვსკის ცინკოტიპოგრაფიის შესახებ არავითარი ცნობა არ მიგვიღია, უდალენკოვი⁵³² არ მოსულა. პეტროგრადიდან გამოგზავნილი ვაგონები წიგნებით არ მიგვიღია⁵³³ და არ ვიცით, სად არის. კავკასიის მუზეუმმა შენი ანგარიშის შესახებ ასეთი პასუხი მომცა: 157 მანეთი და 70 კაპ. ფოსტით გაგზავნეთო და ხელმეორედ ვერ გავიღებთ, ანგარიშში უკვე გატარებული გვაქვსო, დანარჩენი შეადგენს 930 მანეთს, სანამ ოფიციალურს სჩოტს ამის შესახებ არ მივიღებთ ხელმოწერილს, ისე ფულს ვერ გავიღებთო, წინეთ თანახმა იყვნენ ინსტიტუტს წარედგინა სჩოტი ან მე შენის მონდობილებით, მაგრამ შემდეგ შესცვალეს. თუ სჩოტს გამოგზავნი როგორმე, ჩვენ წარუდგენთ და ფულს მოგვცემენ. გ. ჩუბინაშვილი თვით მოგწერს მის მიერ დახარჯულის და დარჩენილის ფულების შესახებ, მე პირადად მოკლეთ ასე გადმომცა, ალავდინს მივეცი შრომისათვის 300 მანეთი, მასვე სესხად 400 მანეთი და დამრჩა 2800 მანეთით. სტუდენტ მიქელაძის ხელით გამოგზავნილი წერილი ჩვენ არ მიგვიღია, ვინაიდან საწყალი სხვებთან ერთად არმავირში დახვრიტეს ბოლშევიკებმა. 1917 წლის ინსტიტუტის ხარჯების ოფი-

ციალური შედგენა ძნელია, ვინაიდან ის ფული რომელიც მიუღია ინსტიტუტს, მოსაწყობათ ყოფილა დანიშნული და არა მსახურთა ჯამაგირებისათვის, ამიტომ მანამ მეორე ნახევარს არ მივიღებთ, არ ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთ, ანგარიში აკადემიას უნდა წარმოუდგინოთ და კობიო აქ საკონტროლო პალატაში უნდა გავგზავნოთ, წესი ასეთია. შეგვატყობიე როგორ მოვიქცეთ, რომ ოფიციალობა შევასრულოთ. ჩვენ რომ იმედი გვქონდა, აქ რომ ჯამაგირს მოგვიმატებდნენ ისე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს მოუმატეს, არ მართლდება, რადგანაც კანონი ეხება მარტონი დაწესებულებათა მოხელეებს, რომელნიც დაწესებულებანი ომის დაწყებამდის იყო გახსნილი და დაწესებული. ამრიგათ ეხლა მაგალითად გიმნაზიის მასწავლებლნი 700—800 მანეთს იღებენ თვეში. ჩვენ უშუამდგომლობას აღვძრავთ, მაგრამ იმედი არ არის მოგვეცენ. მე არ ვიცი, ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში ინსტიტუტი იარსებებს თუ არა, მაგრამ თუ იარსებებს და წევრებს ათასი მანეთი არ ექმნა თვეში, ისე ყველა გავგვექცევა, რადგანაც ეხლა ათასი მანეთი თვეში ოჯახიანი კაცისთვის მარტო პურის ფულია და სხვა არაფერი. ჩვენ ყოველ ღონეს მივიღებთ, რომ ასეთი სასარგებლო ჩვენი მეცნიერებისთვის დაწესებულება ყოველ პოლიტიკურ სიტუაციაში დარჩეს და ჩვენი არქეოლოგიური სიმდიდრე შეისწავლოს. ჩემდა თავად მე არც დღე და არც ღამე მოსვენება და დამშვიდება არა [მაქვს], სულ იმის ფიქრში ვარ, თუ როგორ გადავარჩინო ანარქიას ჩვენი ფასდაუდებელი სიძველენი. ლამის გავგიჟდე წარმოდგენით, რომ შესაძლებელია ერთ ბნელ დღეს ყველაფერი დავკარგოთ და ეს კი არ იქნება ანისის დაკარგვა, არამედ მთელი საქართველოს და ამიერ კავკასიის კულტურის დაკარგვა. *
 მომიკითხე შენები.

შენი ძმა ექვთიმე თაყაიშვილი.

ვალოდია ჯანზედ და სულიერათაც კარგათ მოვიდა ტფილისში და კარგათ მოდის მაქეთაც. არავითარი ავთყოფობა მას არ ემჩნევა. ალბათ ის სულ მაქ მოუვიდა, ღროებითი იყო.

207

ძმაო ნიკო!

საქმის ოფიციალური მდგომარეობა ინსტიტუტის შესახებ წინეთაც მოგწერეთ და ეხლაც გწერთ, მაგრამ მოგდის ჩვენი წერილები ან მიიღებ ამასაც თუ [არა] არ ვიცით. ძრიელ მაწუხებს ცნობის მოუ-

ღებლობა ვალოდია და იურის შესახებ. მშვიდობით მოვიდნენ მაქ, თუ არა? ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არა ერთხელ მოგახსენეთ და როგორ იქნება ინსტიტუტის საქმე როგორმე გვაცნობე. იქნება ჩემი ინსტიტუტში დარჩენა აკადემიის თვალსაზრისით უხერხული იყოს, მე მზათა ვარ თავი დავანებო. ეხლავე რომ ვინმეს გადავსცე ჩემი თანამდებობა, შენდა დაუკითხავათ, არ ივარგებს: ძლივს-ძლივობით დაწყებული და მოკვარაჩქინებული საქმე აიწეწება. ფული აქ ვიშოვეთ და თითქმის ნახევარი სმეტისა კიდევაც მივიღეთ. გვინდა ეს გამოცემას მოვახმაროთ და თქვენსგან დანიშნული ფული შტატის შესანახად იყოს. მასალის შეძენა ფოტოგრაფიებისა, გეგმის ხელფასი და სხვა ძრიელ ძვირად დაჯდება, მაგრამ იმასაც თუ დაუმატებთ, რაც მაქიდან მოგვივა, იქნება ერთი კარგი ტომი გამოვსცეთ ესეც დიდი საქმე იქნება. თუ ჯამაგირები ჩვენ წევრებს არ მოემატა ერთი სამად, არ იფიქრო რომ აქ ცხოვრება შეიძლებოდეს, გირვანქა პური ხუთი მანეთი ღირს და ყოველ დღე კიდეც ძვირდება. სხვა რა მოგწერო, ჩვენი ბედი ჯერ კიდეც გამოურკვეველია, საუკეთესო მაზრები წაგვაგლიჯეს და განადგურებას გვიქადდენ, ჯერჯერობით გვიშველეს გერმანელებმა, მაგრამ რა დაგვიჯდება შველა და რით გათავდება საქმე, გამოურკვეველია. ნინომ მოგიკითხათ, სალაში ჩემგან ყველა შენებს.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

18 ივნისი 1918 წ.

208

20 აგვისტო, 1918. წელი

ძ მ ა ო ნ ი კ ო ,

არ ვიცი, მიიღე თუ არა ჩვენი წერილები. ვალოდიის აქედან წამოსვლის შემდეგ შენგან არაფერი ამბავი მოგ[ვ]სვლია, არც ის ვიცით, ვალოდია მშვიდობით დაბრუნდა თუ არა, ხოლო რაც შეეხება იურის, რომელიც ვალოდიაზე უფრო ადრე, ესე იგი მის ტფილისში ჩამოსვლამდის გამოემგზავრა შენსკენ, უკანვე დაბრუნდა ამ დღეებში ტფილისში თავის პოლკში. კარგათ არის, ძრიელ ჯანზე და ისეც გუნებაზე. ჩემთან იყო, მიამა მისი ნახვა. ველარ გამოეტანებია პეტროგრადამდის, ბოლშევიკებს ჩავარდნოდა ჭელში ტყვეთ, მაგრამ მშვიდობით გადარჩენილა და ეხლა აქ არის. დროებით გურიასი ეპირება. ამგვარად მის კარგად ყოფნით შემიძლია გაგახაროთ შენ და

შენი მეუღლე. ეხლა ჩვენს საქმეებზე ვაღვიდეთ. მას შემდეგ; რაც ამიერ კავკასიის რესპუბლიკა სამ რესპუბლიკათ ვაიყო, ჩვენ ოფიციალური წერილი გამოგვზავნეთ შენთან აკადემიის მიმართ, რომელშიაც ვთხოვდით ინსტრუქციას, განმარტებას და ცნობას, სტოვებს თუ არა აკადემია საარქეოლოგიო ინსტიტუტს საქართველოს რესპუბლიკაში და თუ სტოვებს, ხომ ამის მიხედვით წესდებაც უნდა შეიცვალოს, ჩვენ უნდა ინსტრუქცია მოგვეცეს, როგორ მოვიქცეთ და სხვა მრავალი საკითხები იბადება, რომელნიც დამოკიდებულია პოლიტიკურ საკითხთან და რომლის გადაჭრა არც ისე ადვილია თქვენთვის; მაგრამ დროებით ინსტრუქციას, საქმეების გამორკვევამდის მაინც იმედი გვაქვს მოგვეცემთ, თუ საშუალება გექნათ წერილები მოგვაწოდოთ. ამ წერილის მომტანი ჩოჩუა მალე დაბრუნდება უკან და შისი ხელით მოგვაწოდებ ყოველგვარი წერილები ოფიციალური და არა ოფიციალური. ჩვე[ნ]და თავად უნდა გაცნობოთ, ჩვენ თავის თავი სრულიად გაუქმებულად არ გვიცნია და შეძლებისამებრ მუშაობას განვაგრძობთ. საბჭოს შეკრება (COBET) უხერხულად დავინახეთ თანამედროვე პირობებში და ყველაფერს უძღვება მეცნიერთა კრება, თუ ეს დიდი სახელი შეგვეფერება ჩვენ ოთხ პატარა კაცებს, მე, ჩუბინაშვილს, გარდევს და ტიგრანიანს. კრება კვირაში თითო ხელი გვაქვს. ტიგრანიანიც ესწრება, როდესაც ტფილისშია, ხოლო ეხლა ფრევანში წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა. ანისი და ალექსანდრე-პოლი ოსმალების ხელშია და ანისიდან გადმოტანილი მუზეუმის ნივთები სანაინში არის დაცული და გადარჩენილი. პირველ აგვისტოდან ამა წლისა ბინაც ვიშოვე ინსტიტუტისათვის იმ სახლში, სადაც მე ვცხოვრობ, შუა სართულში № 2. აქ წინეთ ავტომობილის კამანდის კანცელარია იყო. ხუთი კარგი ოთახია, სათარო, სამზარეულო და მსახურის ბინა. იეფათ გამოგიტანე, სულ ორი ათას მანეთათ, ხოლო ერთის წლის ვადით, მაგრამ გაწმენდა და შეკეთება ჩვენს ხარჯზე იქნება, თუ ქალაქის სამმართველოს ან სამხედრო უწყებას არ ვაკისრეთ, ასეთი ბინა ეხლანდელის ნიხრით სულ ცოტა ხუთი ათასი მანეთი ღირს, მაგრამ მე იეფად ვიშოვე, ჩვენ მხოლოდ გავსწმენდთ და ამ ერთს წელს იოლად წავალთ. მსახური ქალიც ვიჭირავთ. სამას მანეთად თვეში, ნუ გაგიკვირდება ფასი, ვინაიდან ეხლანდელ სიძვირის მიხედვით ეს პურის ფასია ტფილისში, რომ ჩვენ ხარჯი მიგვეცა, ხუთს თუმნათ ვიშოვდით. ავეჩულობაც ცოტა რამ ვიყიდეთ. აქ იცხოვრებს ბინაზე გარდევვი, ხოლო შჩეპოტიევი კერძო ბინაზე დარჩება, და ჩვენ ბინის ქირას მივსცემთ, იეფად აქვს ნაჭირავეები, არის გარემოება (ქალის მიზეზით, ჩვენ შორის იყოს), რაც შჩეპოტიევს არ აძლევს მოხერხებას კანცელარიასთან ჰქონდეს ბინა. ამ დღეებში სულ

მოვთავსდებით ახალ ბინაზე. ფულის მხრით ჩვენი საქმე ასეა: იმ ფულიდან, რაც ამიერკავკასიის სეიმმა დაგვინიშნა, მე შევსძელი აწ უკვე საქართველოს რესპუბლიკის კასიდან მიმეღო 21 ათასი მანეთზე მეტი და იმედი მაქვს, თუმც ეს საძნელოა, მეორე ნახევარიც მივიღო, ესე იგი სულ 45 ათასი მანეთი, მაგრამ ჩვენ უკვე მივიღეთ ნებართვა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მინისტრისაგან (და ეს მე საჭიროდ დავინახე), რომ ამ თანხიდან 40 ათასი მანეთი მოვახმაროთ მასალების დამზადებას და გამოცემას. მაშასადამე სხვა ყოველ მხრივი ინსტიტუტის ხარჯები და ჩვენი შტატების შენახვა აკადემიის სმეტით უნდა წარმოებდეს და თქვენგან უნდა მივიღოთ ფული, ხოლო მანამ თქვენ ფულს მოგვაწვდიდეთ, ჩვენ სესხის მსგავსად ვხარჯავთ აქ მიღებულის თანხიდან. ნუ იფიქრებ, რომ ვინმეს შეეძლოს ტფილისში ცხოვრება იმ ჯამაგირით, რომელიც ინსტიტუტის შტატს აქვს დანიშნული, თუ მოსამსახურეს ერთ სულს ვაძლევთ თვეში სამას მანეთს; ინსტიტუტის ნამდვილმა წევრმა, ისიც ოჯახიანმა, შენის შტატით 326 მანეთად თვეში როგორ უნდა იცხოვროს, როდესაც გირვანქა პური ხუთი მანეთი და ხუთი და 50 კაპეიკი ღირს. ამიტომ ყველა წევრი იძულებული იყო რაიმე სხვა სახსარი ეშოვა: და სხვა სწამსაშურშიც ჩაბმოდა, მაგრამ არც ეს გვშველის თვალსაჩინოდ, ვინაიტგან სიძვირე დღითი დღე საარაკოდ (ტფილისიზა და არა პეტროგრადიზა) იზრდება. სწორედ გაჭირვებული მატერიალური მდგომარეობიდან აიხსნება, რომ ამ დღეებში ჩუბინაშვილი ავად გაგვიხდა სახალდით (ტიფით) და ეს ორი კვირაა თვითონაც და მისი პატარა ქალიც ამ სენით ავად არიან. რასაკვირველია დახმარება ამოუჩინეთ ფულით და პენსიის სახით კიდევ სხვა მივეციით და იძულებული ვიქნებით კიდევ მივსცეთ. ავად[მ]ყოფობა, როგორც ეტყობა, დიდ ხანს გასტანს. ყველა ინსტიტუტის წევრს იმედი აქვს, რომ მაქედან მიიღებს ჯამაგირს ახალი ბევრად გადიდებულის შტატით. ხარჯები ეხლა, რაკი ბინა დავიჭირეთ, ბევრი გვექნება. ანარქიის გამო სოფლად სამეცნიერო მოგზაურობის მოწყობა შეუძლებელია, მაგრამ წრომის ეკლესიის სარეზერვუარის გადაღება და მისი გადახურვა მოზაიკის შესანახად გადავსწყვიტეთ და ხუროთ მოძღვარს კალაშნიკოვს მივანდევით, მას ეხმარება კერნი⁶³⁴, რომელიც უსპენსკისთან⁶³⁵ მუშაობდა ტრაპიზონში. მე დავამთავრებთ გეგმები ხახულისა, იშხანისა, ოშკისა, პარხლისა და ოთხთა ეკლესიისა (დორთკილისისა) და მათ აღწერილობას ვამზადებ⁶³⁶. რაც ხარჯი მოგვივიდა მოგზაურობაზე და მასალის დამზადებაზე იმის ნახევარს უზღავთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იმ თანხიდან, რომელიც აქოურმა მთავრობამ მოგვცა და პირველი გამოცემის უფლება ინსტიტუტს იქნება. გარდევნი ქართულ მინიატურებ-

ზე მუშაობს კარგად მუზეუმში. სტატია დაბეჭდა⁶³⁷ აქ არსებულს ჟურნალში „Ars-ში“ და ოტტისკს გიგზავნის, თუ მოაღწია. მეც დაბეჭდვ იქ დივანი აფხაზთა მეფეთა⁶³⁸, რომელიც ქართულადაც მქონდა, მაგრამ ვინაიდან ჩემთვის ჯერ ოტტისკი არ მოუტანიათ, ამიტომ ვერ გიგზავნი. სხვა ფეთხანის ეკლესიის სამრევლოს გე[გ]მები შევიძინეთ და აგრეთვე შეუკვეთეთ გეგმა ტფილისის ლურჯი ეკლესიისა ანუ გობაანთ ეკლესიისა. კეკელიძის გამოცემის⁶³⁹ ხარჯები და გამოშვება ვიკისრეთ, მაგრამ წინასიტყვაობა დაგვიანდა, ასოთამწყობის გამო, განზრახული ჩვენი Известия-ს გამოცემა შეჩერებულია⁶⁴⁰, მაგრამ თუ აქ დაპირებულის თანხის მეორე ნახევარიც მივიღეთ, რისაც იმედოვნებ, იქნება მოვახერხოთ, თუმც ძრიელ დიდი ფული დაჯდება. კლიშეების შეკვეთა საზღვარს გარეთ, რასაც მოველოდით, ჯერ ჯერობით არ ხერხდება. ამ პირობებში სხვას ვერაფერს ვახერხებთ. მდგომარეობა გამოურკვეველია, ბოლშევიკური გამოსვლები სოხუმში, სამეგრელოში, შორაპნის მაზრაში, დუშეთის მაზრაში და ლეჩხუმში რამდენჯერმე იყო, მაგრამ ჩააქრეს. როგორ დატრიალდება ჩარხი, ვინ იცის. მტრები ბევრი გვეყავს, შინაური და გარეული, მეზობლებიც და შორეულნიც. სოფლად ვერ წაქსულვართ. ტფილისში ვიწვით ამ სიციხეში. ინტენქსიური მუშაობა, როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივი ძნელია, მაგრამ მაინც ხელს არ ვუშვებ, თუმცა ჩამოვდნო. მინდა გავსძლო, მანამ შენ ჩამოხვალ, მერმე ინსტიტუტს ჩაგაბარებ და მე კი ოფიციალურად თავს დავანებებ, ისე თუ ინსტიტუტი დარჩება, აქ მუშაობაში მონაწილეობას ყოველთვის მივიღებ. მაგრამ მე არ ვიცი, როგორ შეიძლება დარჩეს ინსტიტუტი, თუ რუსეთმა არ იცნოდამოუკიდებელი საქართველო. ჩვენ აქ გელოდით და ეხლაც გელით. აქ გადმოსახლებით შიშშილს ცოტა თუ ბევრად თავს დააღწევ, თორემ მაქედან ცუდი ამბევები მოგვდის შიშშილის შესახებ. ბლეიკი ამ საამი კვირის წინეთ ჩამოვიდა ტფილისში კავკაიიდან. ხელი შევეწყვეთ, ინსტიტუტის ბინაში მოვათავსეთ, მუშაობას შეუდგა, მაგრამ მალე საცოლო თუ ცოლი ეწვია მანდედან, შენ არ იცნობ, და ბორჯომში წავიდნენ. იქიდან საცოლოს გაისტუმრებს და აქ დაბრუნდება სამუშაოთ. ქუთაისის ტაძრის დაბადების ხელნაწერი⁶⁴¹, რომელსაც ეძებდით, თ. ჟორდანიას ხელნაწერ წიგნებში აღმოჩნდა, ეხლა ქართულ უნივერსიტეტს აქვს. როგორ უნარს ამბობდა განსვენებული, იმის არაფერი ვიციო და სად არ გაძებნიებდათ! გიგზავნით ოფიციალურ ანგარიშ-წერილს ჩვენი საქმეების შესახებ და აგრეთვე: იმ ოქმების პირებს, რომელნიც არ გამოგვიგზავნია, არც ის ვიცით წინანდ[ე]ლები. მიიღეთ თუ არა. მოკითხვა ჩემ და ნინოსაგან შენს მეუღლეს და ვალოდიას. იური კიდევ ეხლა იყო ჩემთან. თუ სამხედრო სამსახურს.

დაანება თავი, მინდა ადგილი უშოვო საგარეო საქმეთა სამინისტრო-ში, ვინაიდან ენები იცის, მაგრამ მგონი საბჭედრო საქმით არის გა-ტაცებული და ფიქრობს მაზნიაშვილის⁶⁴² ატრიადში შევიდეს, რო-მელიც ტუაპსესთან ბოლშევიკებს ეომება. წერილი შენთვის გამო-უგზავნია. სხვა ჩვენი პოლიტიკის და საზოგადო მდგომარეობის ამ-ბავი ასე ადვილად აქ არ მოიწერება.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი .

209

ძ მ ა ო ე ქ ვ თ ი მ ე ,

შვილის ამბავი ახლა შევიტყვე თქვენგან. გთხოვ სია შეადგენიე და გამომიგზავნე, ვისი რა და რამდენი მართებს. იქნება ისე მოე-წყოს, რომ აქ შეიძლებოდეს სადმე შეტანა იმ ფულის, რომელიც უსესხებია ან იძულებული იქნება ისესხოს, შემატყობინე და იქ შე-ვიტან. ახლა ხან 500 უგზავნი, თუ წამომღებმა წამოიღო, და გადაეცი. თუ ვინმე ასესხებს, რასაკვირველია] გადახდა შეგვიძლია და დაგვა-ვალოს. თქვენებს სალაში. ვალოდია კიდევ სკარლატინით გაგვიხდა ავთ, ახლა კარგად არის. ცოლი მზარეულობს, უქმელობამ ფარგად გვაქცია, მაგრამ „არა ფერი“, მოთმინებითა ჩვენით...

შ ე ნ ი ძ მ ა ნ . მ ა რ რ ი .

18.10.29.

პეტროგრადი.

210

[1918]

Прошу две частные, хотя и научного происхождения просьбы мои уважить, я писал о них, я просил об одном из них, этих дел еще в августе, перед выездом из Тифлиса, напоминал пока была какая ни есть почта в письмах, судя по ответам, дошедших до адресатов. Эти два дела и две просьбы по ним хронологически:

1) мои материалы фотографические по работам в Ани за последнюю кампанию. Когда теряют голову, по волосам не плачут, но, если в Тифлисе в институте этот материал сохранился, а он, я знаю, передан был туда, я очень прошу сделать отпечатки по одному экземпляру и небольшой, нетяжелый этот пакет выслать с кем-либо, с какой-либо оказией, если не от-

კრეტა დო თოგო რეგულარია პოტა. მენა ლიქო ოქენი ინტერესუთ პოდრობნოსი ოტკოპანოგო მუსულმანსოგო მავზოლას ს ნადპისამი, ოდნოი პოლნოი, დრუგოი ფრაგმენტარნოი. ესეი ინსტიტუტ სოქლო ნიბუდუ ზატრუდნიათა ისრასოხოვათ სვოი სრედსთვა ნა ეთო ანიისოქო დელო, ი ნაიფუ ზდესი ისოქნიქი ი პრისლთე სოქტ დღე ოპლათა.

2) ვტროე დელო ნე ნაშე ნაუქნოე, კაკ პრედპრიათე, ნო ნადო მნე ვსე-თაკი კაკ მე ავტორუ, ა კაკ ისოქნიქოშე მუროქენი პოქტატანიუ ჩალდირსოქი ნადპისა⁶⁴³ ოტ კავკაზსოქო მუზეა დო ვოზმოქნოგო ვიეზდა მოეგო ოტსუდა ნა რაბოთა კავკაზსიქი (გდე ბი ონე ნი ბილთ) ვიპუსთიქი რაბოთა ვ სვოტ, ა დღე სეგო ნადო პოლქიქი ოტ კ. მუზეა სუმიქა ნა ოპლათა ხოთა ბი პოქა რისუნქოვ — სამუი ლუქსიქი სპოსოქტ პერედათ კავისტარხინუ⁶⁴⁴, ა ი ვამ პოლქოქენი ვაშეგო ისვოქენი ეთოი სუმიქა ზაქუთა ვ აქტივ ვ თიფლისე ი ვ პასივ ვ პეტროგრადე. ო სუმიქე ი პისალ.

Н. М а р р

211

[1921]

ქ მ ა ო ნ ი კ ო !

შევიტყვე რომ პარიზში ყოფილხარ⁶⁴⁵ და ამ წერილს საჩქაროთ უწერ. ჩვენ ევაკუაცია მოვახდინეთ ზოგიერთი სამუზეუმო და საეკლესიო ნივთებისა და აგრეთვე სახაზინოსი⁶⁴⁶. ეხლა მე მარსელში ვარ და ვინაიდან არ ვიცი, როდის მოვალ პარიზში, ვიჩქარი გაცნობო, რომ ჩვენი შეყრა აუცილებლათ საჭიროა, რომ გაგაცნო მდგომარეობა სამეცნიერო დაწესებულებათა და მათი მომავალი არსებობის გარემოებაზე. ამიტომ იმედი მაქვს პარიზში შევიყრებით და თუ განზრახვა უაქვს ახლო ხანში გამგზავრებისა, მაშინ თუ შეიძლება გამომიარე მარსელში, მე ვარ სასტუმროში Regina. შენი შვილი იური კარგათ იყო, მე დავსტოვე ტფილისში და როგორც უნივერსიტეტის წევრს და შენ შვილს ხიფათი არაფერი მოელოდა. გზაში მე და ჩემი ცოლი ძალიან დავიქანცეთ და ბევრი დავიდარაბა დავგვხდა. ჩემის აზრით შენი აქედან ტფილისში გამგზავრება აუცილებელია და თუ პეტერბურგში მოგვხდება წასვლა, ბევრათ ჯობია, ტფილისიდან წახვიდე, სამეცნიერო დაწესებულებებს შეველა უნდა და შექმნილი პირობების მიხედვით ეს ეხლა შენ ყველაზე უკეთ შეგიძლია, ვინაიდან ახალ

მოვლენილ პატრონებთან კარგი განწყობილება გაქვს. მე ერთობ მაწუხებს მდგომარეობა სრულიად გამოუჩვეველი, რა ბედი ეწვია ჩვენ დაწესებულებათ, რაც წამოვედით, ანუ უკეთ ვთქვათ გამოვექეცით, მას შემდეგ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ნინომ მოგვიკითხათ. მოკითხვას თქვენ მეუღლეს.

212

26
19—22
XI

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ესეც არის დავით კაკაბაძემ⁶⁴⁷ გადმომცა შენი ლეიპციგის მისამართი⁶⁴⁸, რალა თქმა უნდა რომ უზომოთ გამეხარდა. არ ვიცი მოგი-სწრებს თუ არა ეს წერილი ლეიპციგში, მაგრამ ყოველშემთხვევისათვის ვიჩქარი მოგწერო, რათა ყოველი წერილმანი შენი და შენი ოჯახის ცხოვრების და მუშაობის შესახებ მაცნობო. ჩემსას თუ იკითხავ, კარგი არაფერი მჭირს. შენ რომ გნახე, მას შემდეგ საფრანგეთში ვართ მე და ჩემი ცოლი, რომელიც მთელი წელი ავად[მ]ყოფობდა და ეხლაც ვერ არის კარგად. რაკი პარიზში საცხოვრებელი სახსარი არ გექონდა, ეხლა სოფლად ვართ⁶⁴⁹, ცოტა ხნის შემდეგ აქ საცხოვრებელიც არაფერი გვექნება. სამშობლოდან აუტანელი ძდგომარეობის ცნობები მოგვდის, დრო და სევდა თავისას შვრება, ერთობ მოვხუცდი, ცოტა მუშაობა კიდევ შემეძლო, მაგრამ აქ არავითარი მასალა არა მაქვს და ვერც ვერაფერის გზით საქართველოდან მომაწოდეს. მანამ პარიზში ვიყავი, მუზეუმებს ვეცნობოდი და ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, აქ ამ საშვალეზასაც მოკლებული ვარ. მმა[ო] ნიკო, თუ რაიმე ახალი (ჩვენთვის ოთხი წლისაც ახალი იქნება) წიგნი წამოიღე თან დროებით მაინც გამომიგზავნე და დაწვრილებით მაცნობე რა და რა წიგნები დაბეჭდეთ თქვენ აკადემიის თუ სხვა დაწესებულების საშვალეზით, Востокъ Христи[анский] რამდენი ნომერი გამოვიდა ამ ოთხის წლის განმავლობაში, დაასრულე შენი ქართული გრამატიკის ბეჭდვა თუ არა, თუ გაქვს თან თუნდ კორექტურული ფურცლები იყოს, გამომიგზავნე, დაიბეჭდა თუ [არა] არქ. საზოგადოებაში პახომოვის მეორე ტომი ქართული ნუმისმატიკისა⁶⁵⁰, მე ავტორთან კორექტურული ფურცლები ვნახე ტფილისში, ვისგან და რა საშვალეზით შეიძლება ახალი გამოსული წიგნები დავიბარო პეტროგრადიდან, იქნებ ორბელმა მომიხერხოს ან აქ გამოგზავნა, ან გერმანიაში გამოგზავნა ვინმეს სახელზედ და იქიდან მივიღებ, ფულს გადავიხდი რაც დაჭდება, თუ ორბელი იქ არის, მომწერე მისი მისა-

მართი (აგრეთვე სახელი და მამის სახელი მისი, დამავიწყდა), თუ ორბელი აქ არ არის, იქნებ სხვა ვინმე მიჩვენო, რომელსაც შეუძლია ეს სამსახური გამიწიოს. იაფეტური ჯგუფის შესახებ გამოეცი მას შემდეგ რამე, რაც გნახე, თუ არა? იქნებ მომაწოდო ოტტისკი, ჩემი სტატიისა „ვანის ეკლესიის შესახებ“, რომლის დაბეჭდვა შენ აქ მა-ცნობე ჩემი ჩამოსვლისას. საქართველოდან შენ ესლა მეტი ცნობა გექნება უნივერსიტეტის და არქეოლოგიური ინსტიტუტის შესახებ, ვიდრე მე მაქვს და გთხოვ მაცნობო. მე მეგონა შენ ერთს ჩახვიდოდი მაინც საქართველოში. არ ვიცი შენამდის მოაღწია თუ არა ერთმა სენ-საციურმა ცნობამ, თითქოს არაბულს ენაზედ აღმოჩენილი იყოს ცნო-ბები რუსთაველის შესახებ, მისი მოკლე ბიოგრაფიით, და ორი უც-ნობი ლექსის ნიმუშით⁵¹. ამ ცნობის შესამოწმებლათ, რომელიც ათი-ნიდან მომივიდა, მივიღე ზომები, მაგრამ ჯერ დანამდილებით ვერა-ფერს გავხდი. ბიოგრაფიული ცნობა ამბობს, რუსთაველი თამარ მე-ფის სარდარი იყო, და სახელი გაითქვა ორი შესანიშნავი თხზულე-ბითო, „ტარიელის ამბავით“ და „თამარიანითო“ (მართლდება შენი და ბროსეს აზრი)⁵², მოყვანილია ორი მისი ლექსი და ორიც უცნობი ქართული პოეტისა. რაღაც არის უსათუოდ არაბულს ენაზედ, მაგრამ საქმე იმაშია, რა დროს არის ნათარგმნი. სალამი შენს მეუღლეს ჩემ-გან და ნინოსაგან. ველი შენგან დაუყოვნებლივ წერილს. ჩემი ადრესი: Franse, Leuville sur Orge Chateau.

შენი ძმა ე. თაყაიშვილი.

218

18
19—24
IV

ძმაო ნიკო, შენი წერილი მივიღე და ისე გავიხარე, თითქოს პი-რადათ მენახე. ანტონ ჟორჯოლიანს უკვე მივსწერე, შეაჩეროს აწყობა შენი სტატიისა, თუ დაწყებულია, და თუ არ დაუწყია, არ მისცეს ასა-წყობათ, მანამ შენგან არ მოუვა შესწორებული ტექსტი. შენი ახალი თეორია ინდოევროპული ენათ ჯგუფის იაფეტურ ოჯახის ნატამალობის შესახებ მაშხალასავით გასკტება ლინგვისტთა წრეებში და ზღაპრად მიიჩნევენ ევროპიელი მეცნიერები, თუ, რასაკვირველია, კარგათ დასა-ბუთებული არ იქმნა, მაგრამ შენ ხომ ეს არ შეგაშინებს. მეცნიერე-ბაში რაც სათქმელია, ყველაფერი უნდა ითქვას. რომც ეს ვრცელი თეორია იაფეტურ ენათა მოღმისა საერთოდ სავსებით არ გამართლ-დეს, მაინც გზა და გზა იმდენი სხვადასხვა საგნები გაქვს გამოკლე-ული და გაშუქებული, რომ ათს მეცნიერს ეყოფოდა მოღვაწეობისა-

თვის. ახალ თეორიაც მოგცემს საბაბს ბევრი რამ გამოიკლიო და გააშუქო და ამიტომ ვესალმები ახალ თეორიას. ინდოევროპელებს ცხვირი მალა აქვთ აწეული მედიდურობით, რომ ისინი არიან გვირგვინი კაცობრიობისა და თუ ჩვენი ავლადიდებით ყოფილან წარმოშობილნი და გამოკვებილნი, ეს ჩვენთვის საამაყო იქნება და ჩვენი ეროვნული ანუ ტომობრივი გრძნობისათვის სასიქადულო. ასეთი ვრცელი პრობლემები გაქვს საძიებელი და მიკვირს რათ იტვირთავ თავს ახალ ახალი ადმინისტრაციული თანამდებობით. ასეთია მაგალითად დირექტორობა საჯარო ბიბლიოთეკისა⁶⁵³, რომელიც დიდ დროს წაგართმევს, უსიამოვნებას მოგანიჭებს. ჩვენ იმ ასაკში აღარ ვართ ეხლა, როდესაც ყველაფერს ავიტანდით, თუმცა შენ საბედნიეროთ ჩემზე ჭანმრთელი ხარ, ბევრ მუშაობას იტან და ენერჯისაც არ უსუსტებია შენთვის, მაგრამ იგი არა სჯობს, რომ ყველა ეს კვლევადობას მოახმარო, ვიდრე ადმინისტრაციულ საქმეებს. უსათუოდ უნდა შეეცადო რომ საძლვარს გარეთ წამოხვიდე, აქ დაისვენო და მასალის და მუშავენას, შეუდგე. სტატია გამოგიგზავნე *Храм в Чанглы и его грузинския надписи*⁶⁵⁴. მიღებული გექნება და თუ არ გაქვს, მაცნობე, ვად თუ დამეკარგა. იქ 18 სურათია და მარტო ფოტოგრაფიები მიზის 360 ფრანკი, მასალა აქედან გავგზავნე და შორის გზით მივიღე. სურათები საუცხოვოა. თუ ფულათ არ შეგიძლიათ სურათების ანაზღაურება მაინც, ძველი არქეოგრაფიის კომისიის გამოცემების გამოგზავნით ამინაზღაურეთ, თორემ ცოდვა ვიქნები. ასეთი გამოცემებია: *Зап. Арх. Ком. Восточное серебро* და სხვა. ახალ სტატიებს მალე გამოგზავნი კიდევ და შენზეა დამოკიდებული რომელ დაწესებულების გამოცემაში მოათავსებ. მე მეგონა ვანის ეკლესიის სიძველენი უკვე იყო დაბეჭდილი, მაგრამ ეტყობა არ ყოფილა. საჭიროა მისი სრული გამოცემა სურათებით. ყდა სახარებისა, როგორც გწერდი აღარ არსებობს, თქვენ კი დეტალური სურათები გაქვთ სტატიასთან ერთად ამ ყდისა. რომ ძნელია მაქედან წიგნების მოწოდება ჩემთვის, მეც კარგათ მესმის, მაგრამ ადვილი რომ იყოს, არც შენ შეგაწუხებდი, სიძნელის დროს შენგან ხამს მოხმარება. *Хр. Вост.* კომპლექტი ექვსი ტომი მივიღე და დიდათ გმადლობ. აგრეთვე *Ак. Ист. Мат. Культ.*⁶⁵⁵ I და II ტომი და *Зап.* 1 вып. აგრეთვე კონდაკოვის *Опись пам.*⁶⁵⁶ და სხვა. ეს არის სულ რაც მივიღე და დიდათ გავიხარე. შენი სტატიების ოტტისკებს ველი ძველებს და ახლებს და იმედი მაქვს სხვა წიგნებსაც მომიხერხებ. იაფეტური კრებული⁶⁵⁷ არ მიმიღია. გრამატიკას ველი მოუთმენლად და თუ დაგრჩა, შენი გრამატიკული ტაბლიცებიც გამოაყოლე. რა ვქნა, არ ვიცი,

უწიგნოთ ვიტანჯები, და რაკი წიგნებს მოკლებული ვარ, არც რაიმე; სტატიების დამზადება შემოძლია, გარდა მცირე მასალისა ჩემი მოგზაურობებიდან, რომელნიც თან მაქვს, უბის წიგნების სახით. მე ვიცი, რომ ზოგ[ი] ჩემი სტატიების გამოცემას ველარ მოვესწრები, ვინაიდან ასე ძნელი შეიქმნა ბეჭდვის საქმე, მაგრამ მაინც მირჩევნია შენთან იყოს, რისიც დამზადება აქ მეხერხება უწიგნოთ და უდამხმარე მასალით, იქნებ სამუდამოთ არ დაიკარგოს! ამიტომ გელათის შემოწმებულ წარწერების ტექსტებსაც გამოგიგზავნი⁶⁵⁸, უთარგმანოთ, ნაწილ-ნაწილ. ესლა მოგივით ფიტარეთის მონასტრის და სხვების წარწერები⁶⁵⁹, რომლისათვის საჭიროა ჩასახედავით მაინც Melange Asiatique-ები⁶⁶⁰ ბროსეს სტატიებით, იქნება მომიხერხო სულ ოთხი-ოდე ნომრის გამოგზავნა, სადაც ბროსეს სტატიებია და ბარტოლომეის⁶⁶¹ შეგროვილი მასალები. ხატის შესახებ ტახტის მაგიერ⁶⁶², შენ მართალი ხარ, მაგრამ კუმურდოს წარწერების შესახებ⁶⁶³: შენ არ მიგოცევიდა ყურადღება სხვათა შორის, რომ მთელი წიგნის პირველ ნახევრის კორექტურა რედაქციამ მე არ გამომიგზავნა, განსვენებულმა ხახანაშვილმა ასწორა და ამ პირობებში მე მისაყვედურებ რომ კ-ის მაგიერ ხ-ნია ნახმარი. წინასიტყვაობისათვის არ მივიცევიდა ყურადღება, ეგ სხვათაშორის. ნიკო, გამომიგზავნე ის №-ი გამოცემისა ან ოტტისკი, რომელშიაც ოკუნევის მიერ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათების სიაა მოთავსებული ისპირ-თორთუმის ძეგლებისა და მომწერე შენი აზრი, შესაძლებელია თუ არა მისი გადაღებული სურათები ზოგიერთი დაუმატო სხვა ჩემს სურათებს, თუ მე ამ ძეგლების აღწერა მოგაწოდეთ; აგრეთვე გამომიგზავნე შენი ეპიფანე კათალიკოსის ანის წარწერა, თუ გინდა რომ ეპიფანეს სახარების აღწერა მოგაწოდო, აგრეთვე შენი Предварительн. отч. სინა-ერუსალიმ-ათონისა. აგრეთვე ის სტატია, სადაც შენ ერთი ვიზიკარის სახარების მიწაწერი გაქვს გამოცემული⁶⁶⁴, და მოგაწოდებ შენიშვნებს, თუ სად იყო ეს ვიზიკარი, ჭიმ-ჭიმი (აქედან ჭიმჭიმელი) და კალბახი (სადაც დიდი მონასტერი ყოფილა). აღერბეიჯანში გამგზავრება იქნებ მოგიხთეს აერის გამოცვლის მხრით და ისე რასაკვირველია ახალს არაფერს შეგმატებს. ამ წიგნს საჩქაროთ გწერ, რომ მოგიწეროს გამგზავრებაში⁶⁶⁵. ნინომ მოკითხვა.

შ ე ნ ი ძ მ ა ე . თ ა ყ ა ი შ ყ ი ლ ი .

P. S. მე სტატიის დაწერა ვეცადე თქვენის ახალის ორთოგრაფიით, მაგრამ ჯერ ვერ შევეჩვიე და თქვენ უნდა შეასწოროთ, თუ რაიმე სახელმძღვანელო გაქვთ ამის შესახებ, მომაწოდეთ.

ქ მ ა ო ნ ი კ ო ,

თუმცა პასუხი არ მიმიღია, მაგრამ პასუხად ის ჩავთვალე, რომ **Восточное Серебро** და 18 ნაკვეთი შენი სტატიებისა მივიღე და დღით გავიხარე. ეხლა უფრო გულდასმით ვკითხულობ შენს სტატიებს, მაგრამ სამწუხაროთ ცოტა მაქვს ხელთ. ოთხი ახალი სტატია გამოგიგზავნე **Ак. Мат. Культ.** სახელობაზე და კიდევ გამოგიგზავნი ამ დღეებში. რომელ სამეცნიერო დაწესებულების ორგანოებში გიჯობდეს და მალე დაიბეჭდებოდეს, იმაში მოათავსე შენი არჩევით და შენისვე თაოსნობით; იქნება ეს **Акад. М. К.**, თუ აღმოსავლეთის განყოფილება არქეოლოგიური საზოგადოებისა, თუ სამეცნიერო აკადემია, ან უნივერსიტეტი, — სულ ერთია, სადაც ჯობდეს, სადაც მალე გამოვიდოდეს და გეპრიანებოდეს, იქ მიეცი. სურათების ფასი, როგორც მოგწერე, ამავე საზოგადოების ძველი და ახალი გამოცემებით მაინც ამინაზღაურე, რადგანაც მესმის კარგათ, რომ ახლანდელ პირობებში ფულით ანაზღაურება გაგიჭირდებათ, სურათები კი მე ამ დროში ერთობ ძვირად მიზის. შენს სახელზე მიიღებ ფოსტით სურათებსა და ზოგიერთ წიგნებს და ეს ძმობა და სამსახური გამიწიე, რომ მომავლოდ აქ დაზღვეულის ანუ დაკვეთილის (**заказное**) პაკეტით, ისე როგორც აკადემიის წიგნებს მიგზავნი. შემდეგ მაგათ სტატიებითურთ დანომვრილს და დაწყობილს გამოსაცემად უკანვე მიიღებ, ისე როგორც ჩანგლის შესახებ მოგაწოდე სტატია. ეხლანდელ გამოგზავნილ ხუთს სტატიასაც აკლია სურათები და. როდესაც მივიღებ, გამოგიგზავნი. ერთი სიტყვით, თუ ზედაც, რომ ჩემი სტატიები სასარგებლო არის მეცნიერებისათვის, დანმარებას მე მომაკლებ, მე მინდა რაც მასალა ხელთა მაქვს, ის მაინც დავამუშაო, რამდენადაც შეიძლება უბიბლიოთეკოთ და დამხმარე მასალების არა ქონით მათი დამუშავება. გამოგზავნილმა წიგნმა „**Восточное серебро**“ მომცა საბაბი გამოგიგზავნა შენიშვნა „**Кувшин Грузинского царя Георгия III⁶⁶⁶**“. ასე რომ წიგნების გამოგზავნა თქვენს ინტერესებსაც შეიცავს. შენი სტატია შესწორებული უორჯოლიანმა მიიღო, მაგრამ ეხლა ფული აღარ

აქვთ და აპრობენ გამომცემელის შოვნას და იმედია, რომ იშოვნიან, თუ შენი თანხმობა იქნება. ჩვენ ვართ გვარიანათ, მაგრამ დიდათ შევიწროებული მატერიალურათ. შენ როგორა ხარ! ახერხებ შენს ახალ სვანეთში (ისპანიაში) და ბასკეთში⁶⁶⁷ გამომგზავრებას, თუ არა? საჭირო კია, თუნდ მისთვის რომ ცოტა დაისვენო არა მეცნიერული მოვალეობა-შრომებისაგან. ნუ დაიზარებ, ანუ უკეთ ვთქვათ, მოიცალე, მომწერო ორიოდე სიტყვა. ველი შენს გრამატიკას, იაფეტურ კრებულს, და სხვა წიგნებს, სანუქვოდ გამოგზავნილი სტატიებისა. იცოდე რაც სურათები და წიგნები მოგივა ტფილისიდან, ის ჩემთვის გაძოსავზავნია, მიიღებ სონდულაშვილისაგან⁶⁶⁸ ან საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან. შენი Талыши⁶⁶⁹ მივიღე, მაგრამ კარგი იქნება სხვა. გამოცემანიც მაგ კომისიისა გამომიგზავნოთ და ნამეტნავათ მეორე შენი შრომა — Племенной состав населения Кавказа.⁶⁷⁰ ადერბეიჯანიდან რა შთაბეჭდილება და ამბევები მოიტანე. არა მგონია, რომ იქ იაფეტურ ენების შემსწავლელი მოხალისენი გეშოვნოს. ანის[ს] შეგროვილი სიძველენს საქმე როგორ არის? ნუ თუ ყველაფერი ეს უნდა დაიკარგოს?⁶⁷¹ ნინომ დიდი მოკითხვა.

შ ე ნ ი ძ მ ა . ე ქ ვ თ ი მ ე .

215

9
19—25
III

ძმაო ნიკო! ველარ ველარსე შენს წერილს, ვერც შენს ერთის წლის წინ დაპირებულს გრამატიკას⁶⁷². რაშია საქმე? ნუთუ უსაშველო შეიქნა ამ გრამატიკის გამოსვლა! გრაფენი⁶⁷³ დადის ჩემთან და კითხულობს, როდის გამოვა გრამატიკა, რომ გადავთარგმნოთო. ნინოს სთხოვა — შეუდექი თარგმნას, როდესაც მიიღო და მე დაუყონებლათ დავბეჭდავ ფრანგულათაო. ნინომაც დაპირდა, რამდენათაც შესძლებს თარგმნას. თუ მთელათ მზათ კიდევ არ გაქვს, კორრექტურის ეგზემპლიარი მაინც გამომიგზავნე, რომ საქმეს შეუდგეთ. ხომ იცი რა საჭიროა ყველასათვის გრამატიკა. უცხოელებს უსაყვედურებთ, ქართულს არ სწავლულობენო და სახსარს შესწავლისას კი არ ვაძლევთ. სტატიები მაქვს გამოსავზავნი, მაგრამ არ ვავზავნი, ვინაითგან შენ არაფერს იწერები და ეტყობა არავითარი იმედი არ არის რომ დაბეჭდავთ. ტყვილათ მაქვს გდებას ჩემთან იყოს სჯობია. შენ თვითონ მწერდი, რომ ჩემი სტატიები და მუშაობა გამოუმცემლობით ფერხდებაო, მანამ დამზადებული სტატია დაიბეჭდებოდეს, ის უკვე ძველდებაო. თუ შენ შენსას ვერ ბეჭდავ, ჩემსას აბა რაღას გახდები! სწორეთ უბედურ მდგომარეობაში ჩავარდით. ზოგიერთი სტატიებიზა სუ-

რათები ვიშოვე დიდის ხარჯის გაღების შემდეგ და კიდევ მეტი შენუნდა მიგელო ჩემთვის და არ ვიცი მიიღე თუ არა. თუ მიიღე, მომავლდინე რომ თქვენთვისვე განვაწყო გამოსაცემად, თუ მოახერხეთ და ისურვეთ. წიგნებიც თუ მოგივიდათ, ისიც ჩემთვის არის იცოდეთ. შენი ბროშურა „Площадь и тризна“⁶⁷⁴ მივიღე და ეხლა მომეცა შემთხვევა უფრო გულდასმით!

უბედურება ის არის, რომ უმეტესი ნაწილი არ მაქვს ხელთ, ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ აქ მაიძულეს ლექციები უკითხო ახალგაზრდობას ქართული ისტორიიდან და მინდა დაწვრილებით გავაცნო ახალგაზრდობა იაფეტურ თეორიას. რომც საესებით არ გამართლდეს ეს თეორია, შიგადაშიგ იმდენი რამეა გამოქვეყნებული და ჯეროვანად გაშუქებული, რომ ფასდაუდებელია. მომავლედ თუ მოახერხო ოტტისკები სტატიებისა, რომელთაც შენ ამ უკანასკნელ შრომაში უჩვენებ და რომელნიც მე არ მინახავს:

1. Яфетические элементы в языках Армении I, II, III, VI, VII т.

2. Об яфетической теории. Н. Восток, 1924, № 5,

3. La seine, la saône Lutèce etc. Пет. 1922.

4. По поводу русского слова сало

5. Наричательное значение термина qepa.

6. Quelques terms d'architecture designant voule ou arc R.

C, II.

7. К вопросу об яфетидах в герман. языках ЯС, 1.

8. Труды Комиссии по изучению племенного состава населения России (кроме № 4) и Известия этой комиссии.

9. Яфетические сборники, რაც გამოსულა ყველა და კიდევ 5 სხვები, ძველი თუ ახალი, რაც გაქვს და რაც მოახერხო. წყალდიდობამ დაგაზარალათ ვიცი, მაგრამ პირადათ შენ ხომ არ მოგსვლია დიდი ზარალი? მე და ნინო გვარიანათ ვართ იმ აუტანელი პირობების მიხედვით, რომელიც გარს გვახვევია და იმ ზარდამცემი ამბვების შემდეგ, რომელნიც ჩვენდა საუბედუროთ მოხდა და გვესმა. ცუდი ბედი გვარგუნა დროთა ვითარებამ! დიდი სალამი ჩემ და ნინოს მაგიეო შენს ცოლს და იურის. შენ რააა იქ? როგორ ხარ? აპირებ ახალ სვანეთში⁶⁷⁵ თუ არა? და თუ აპირებ, როდისთვის უნდა მოგელოდეთ აქეთ? სამშობლოდან არავითარი ამბავი არ მომდის, ნუ დაიზარებ ორიოდ სიტყვის მოწერას.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ე თ ი მ ე .

ძმაო ნიკო!

ესეცაა მივიღე შენი წერილი 18 მარტისა და ვიჩქარი პასუხს: არც ერთი შენი და შენი ცოლის წერილი მე უპასუხოთ არ დამიტყუებია, აგრეთვე. რაც აკადემიას წიგნები გამოუგზავნია, ყოველთვის მიცნობებია, რომ გამოგზავნილი წიგნები მივიღე. შენი ბროშურები რომ მივიღე შარშან, ალექსანდრა ალექსეევნას მოვსწერე მადლობის წერილი (სია თუ რა წიგნები მაქვს მიღებული ქვემოთ ნახავ). აგრეთვე ყველაფერი მოგწერე, რაც მითხრეს შენი ლექციის დაბეჭდვის შესახებ⁶⁷⁶. ცხადია, რომ უმეტესი ნაწილი წერილებია ივარგება სამწუხაროთ. ამ სოფელში ფოსტა არ არის, რომ დაზღვეული წერილი მიიღონ, ისე უბრალოსათვის ყუთი ჰრის და დღეში ორჯერ მიაქვენ და მოაქვენ წერილები და დაკვეთილიც მოაქვთ სახლში, ამიერიდან ვეცდები სულ დაკვეთილი წერილები გამოგიგზავნო და თუ ამას დაუკვეთელს გიგზავნი, ეს სიჩქარისათვის. მე უკვე მივსწერე პარიზში შენი ლექციის შესახებ და ვსთხოვე გადაჭრით გამოგიგზავნონ ფრანგული და ქართული ტექსტები და მაცნობონ უქვევლად დაბეჭდენ თუ არა, როდესაც შესწორებული ტექსტი მოუვთ. სამ დღეს იქით მე თვით ჩავალ პარიზში და საქმეს გავარიგებ. წინანდელი პასუხი იყო, რომ დათეშიძემ იკისრა დაბეჭდვად, მაგრამ შესწორებული ფრანგული ტექსტი შენგან დაბრუნებული არ არის ჯეროვანი და შეუსწორებლათ ფრანგულის ენისა არ ივარგებს დაბეჭდვად და ამის შესახებ ჩვენ თვითონ მივსწერთო. ეს ყველაფერი თავის დროზე მოგწერე. ან მიკვირს, როგორ წარმოიდგინე, რომ შენს წერილს უპასუხოდ დაეტოვებდი, ამით ხომ მე უფრო წაუვარდები, ვიდრე შენ, სხვა რომ არ იყო რა. შენი გრამატიკა, როგორც ეტყობა, დაგვიანდება, იქნებ „Основные таблицы“ მოგეპოება კიდევ დარჩენილი, რომ გამოგიგზავნო. მე ერთი ლექცია უკვე წავიკითხე იაფეტური თეორიის შესახებ. ვერ წარმოიდგენ, და მე არ ველოდი. რა ხალისით მომეხსინეს და კიდევ უნდოდათ გამეგრძელებია, მაგრამ მე თანდათანობით უფრო დაწერილებით მაქვს განზრახვა ვაცნობო. თან ბოდიშიც მოვიხადე რასაკვირველია, რომ მე მიხდება ამის შესახებ ბაასი და არა თვით თეორიის ავტორს მეთქი, მით უმეტეს, რომ ნახევარი მასალისა და წიგნებისა ხელთ არა მაქვს მეთქი. ერთი სიტყვით, ინტერესი დიდია. თეორია შეიძლება სავსებით არ გამართლდეს მეთქი, რომ გწერდი, ეს

იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რასაც შენ ამ აეოროიას უკავშირებ ერთობ „გრანდიოზულია“ და ზოგს წინანდელს შენ თვითონ უარყოფ და ამ დაუშრეტელს ზღვაში ბევრი კიდეც უარსაყოფი იქნება მგონია, მაგრამ ეს არ უშლის არც პრობლემის სიღიადეს და არც იმ მიღწევებს, რომელიც დღეს უკვე მოგვცა შენმა თეორიამ. შენ, როგორც ვატყობ, მიისწრაფი იმ დასკვნამდი, რომ იაფეტური ენათა ოჯახი ყველა ენებს უდევს საჩჩულათ, თუ ინდო-ევროპიული არ არსებობს და თურანულისაყენც ამ მხრით მიიმართები, რალა დაგრჩა, სემიტური ზომ მონათესავეა და თითქმის ქამიტურიც, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, მე ისე დილეტანტურათ ვამბობ, მხოლოდ ერთს კი გთხოვ, ასე წამდაუწუმ ძველ ტერმინებს ნუ სცვლი. ოცი წელიწადია შევეჩვიეთ ჰაიკურს და არმენულს, ეხლა ქეის და რეის ტერმინები გვეხამუშება. რა უშავს დარჩეს ჰაიკური და არმენული და მათ ახასიათებდეს ქეის და რეის მრავლობითი რიცხვის ბეგრანი. არ ვიცი, კიდეც, როგორ ზსნი შემდეგ ფაქტებს, რომ ისტორიული კლასიკური ცნობანი არ ეთანხმება ზოგიერთ შენს დასკვნებს, მაგალითათ „იბერიის“ სახელწოდების შესახებ. მაგრამ ამაებზე ცალკე მოგწერ და იქნებ ამიხსნა ზოგი რამ. ეხლა სია, თუ რა წიგნები მაქვს მიღებულნი. ჯერ აკადემიიდან:

1) Восточное серебро, 2) Материалы по археологии России № 34, 3) Опись памятников в некоторых храмах и монастырях. 4) Известия Росс. Ак. Истории Матер. Культ., т. I и II (только). სამეცნიერო აკადემიიდან: Христианский Восток, все VI томов, შენგან: 1) Яфетические элементы в языках Армении: IV, V, VIII, IX, X, XI. 2) Непочатый источник Истории Кавк. мира, 3) К истории передвижения яфетических народов с Юга на Север Кавказа. 4) Ossetica—Iaphetica, 5) Астрономические и этнические значения двух племенных названий армян, 6) К изучению современ. грузин. языка, 7) Яфетическое название красок и плодов. 8) К вопросу о происхожд. племен. назв. «Этрусски» и «Пеласпи», 9) О трудах Л. Лопатинского, 10) Астрономические и этнические значения двух племенных названий армян, 11) Фрагмент Халдской надписи из Алашкерта, 12) Армянский термин arq-au (mag.)... 13) О халдском ru-li — камень, 14) Еще о термине ხატი — образ, 15) Термины из Абхазо-русских этнических связей «Лошадь» и «тризна», 15) Талыши შენ არ გამოვიგზავნია, მაგრამ აქ ვიშოვე: 1) Чем живет Яфетическое языкознание, 2) Кавказ и памятники духовной Культуры. 3) Одописцы 4) Григ. Хандзтийский. 5) Вступительн. и Заключ. часть Барсовой Кожн.

ეს არის სულ რაც მიმიღია და აქ მიშოვნია, სხვა არაფერი არ მაქვს და არც მიმიღია. აქედან ხედავ, რომ Яфетические сборники

არც ერთი არ მიმიღია და არც Труды Комиссии по изучению племенного состава (გარდა ზემოთ ნაჩვენ. Талыши-სა) და გთხოვ გამოაგზავნიო, რასაც სხვას მოახერხებ ან იპოვნი შენს ნარჩენ გამოცემებში და მომაწვდი, გაკეთება იქნება. იურის შრომაც ჯერ არ მიმიღია და მოუთმენლად ველი ჩემს იურის პირველ შრომას⁶⁷⁷ და მიხარის, რომ მამის კვალს დაადგა. დიდი მოკითხვა ნინომ და ჩემ მაგიერათაც ალექსანდრა ალექსეევნას და იურის. შენი აფხაზეთში, მგზავრობის ამბავი, რათ არ მომწერე? მეორე წერილამდის.

შ ე ნ ი ე ქ ვ თ ი მ ე .

შენგან მაინც გადაჭრითი პასუხი ვერ მივიღე, ვაგზავნო სტატიები თუ არა, გაქვს იმედი დაბეჭდვისა? ყოველ შემთხვევაში გამოგიგზავნი და სანუქტოთ გამოცემებს ვითხოვ.

ჩემი სწორი ადრესი ასეთია და გთხოვ ასე მომწერო:

Leuville sur Orge par Montlhery (s^{te}) chateau.

217

13
19—25
IV

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

დღიდან შენი სტატიის შესახებ შენი ბარათის მიღებისა დავსდევ შენს თხოვნის შესრულებას, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად ვერას გავხდი. ჯერ ჯერობით ქართული ტექსტი მივიღე და გიგზავნი, რაც შეეხება ფრანგულ ტექსტს, ის ანტ. ჟორჟოლიანს, როგორც თვითონ ამბობს, ბრიუსელში გაუგზავნია, დამპირდენ იქ დაბეჭდვასო, მაგრამ ბეჭდვა არ დაუწყიათო. კორრექტურას ავტორს გაუგზავნიო, ასე მაქვს პირობაო და საზოგადოთ ეს საქმე პირადათ მე მაქვს მონდობილი ავტორისაგანო, ეს გამგეობის საქმე არ არისო. ასეთი პასუხი მისცა ახალ გამგეობას ძველი გამგეობის წევრმა ანტ. ჟორჟოლიანმა. მე პირადათ ის ვერ ვნახე, თუმცა ორჯერ ვიყავი მის ბინაზე, სადღაც სამსახურში დადის. წერილზე პასუხი ვერ მივიღე. მეორე ხელ მივმართე ახალ გამგეობას, რომელიც დღეს წერილით მიპასუხებს, მიღებულთა ზომა, რომ სტატია დაბრუნდეს ბრიუსელიდან და როგორც მივიღებთ, გაახლებთო და მაშინაც მოგვცემთ გადაჭრილ პასუხს, შეგვეძლება დაბეჭდვა თუ არაო. ასეთია მდგომარეობა საქმისა. მე კიდევ

ცდას არ დავაკლებ, რომ სტატია მალე მივიღო და გამოვიგზავნო. დღეს კიდევ ასათიანს ვსწერ, ჟორჯოლიანს მოელაპარაკოს და სტატიის დაბრუნება დააჩქაროს. რაც შეეხება აქ დაბეჭდვას, ჩემი შთაბეჭდილება ასეთია, რომ აქ ისინი მაგას ვერ დაბეჭდვენ და ამიტომ თუ საშუალება გაქვს მაქ დაბეჭდო, ეს ემჟობინება. მას შემდეგ რაც მე პასუხი მოგწერე უკანასკნელს შენ წერილზე, მე მივიღე ფოსტით შენგან შემდეგი წიგნები და სტატიები:

1) Яфетический сборник I და II

2) Труды Комиссии по изуч. племен. состава России, №№ I, III, V

3) Яфетические элементы в языках Армении III, VI და XI (ეს უკანასკნელი წინეთაც იყო გამოგზავნილი)

4) Яфетическая теория. Москва, 1924

5) Книжная легенда об основании Киева на Руси и Куара в Армении. Заметки по яфетическим клинописям.

6. Наричательное значение термина *ḫera* в митанск. женских именах.

7. Доклады Российской Академ. Наук. 1924. 4 отрывка с персидск. текстами.

8. Армянский термин *arq-au* (ეს უკანასკნელი წინეთ იყო გამოგზავნილი). დიდათ გმადლობ ამ წიგნებისათვის, საიდანაც დავინახე, როგორ შორს და ღრმათ მიღის იაფეტური ტეორიის შინაარსი. გაოცებული ვარ, როგორ ასწრობ ამდენი შრომების დამზადებას. კარგია, რომ კრებულებში ფრანგულათაც ათავსებ წერილებს. ევროპიელი ლინგვისტები ძალაუწებურათ გაეცნობიან იაფეტურ ტეორიას და თანდათან შეეჩვევიან შეგნებას. ვილაცხებთან ჩუმი, მაგრამ მკაცრი პოლემიკა გაქვს. ერთხელ როსტოვეცვის⁶⁷⁸ რეცენზია წავიკითხე, ვგონებ, მატერიალური კულტურის აკადემიის გამოცემების შესახებ, სადაც ამბობდა, რომ იაფეტური ტეორია ჩემთვის მისაღებიაო. ეხლა გამოვიდა მისი *Очерки истории древн. мира*, რომელშიაც იაფეტურ ტეორიას აღარ იხსენიებს. თუმცა ეგეის კულტურა იაფეტური უნდა იყოს. იურის სტატია ჭერ არ მომსვლია, წავიდა სპარსეთში თუ არა ჭერ?⁶⁷⁹ ეტყობა მე-III ტომი *Извест. Ак. Мат. Культ.* გამოსულია, იმედია გამომიგზავნით. სალამი დიდი ნინოს და ჩემ მაგიერ ალექსანდრა ალექსევევას და იურის და შენ. მე ის მახარებს, რომ ენერგია არ გაკლდება. ამ წერილს ნაჩქარევათ გწერ. როგორც გამო-

ირკვევა საკითხი ფრანგული ტექსტის შესახებ შენი სტატიისა, კიდევ მოგწერ დაუყოვნებლივ.

შენი ძმა ექვთიმე.

218

6
10 $\frac{6}{V}$ 25

ძ მ ა ო ნ ი კ ო,

ქართული ტექსტი შენი სტატიისა ეხლა მიღებული გექნება, მასთან ერთად წერილით გაცნობე, თუ რა წიგნები მივიღე. მას შემდეგ მომივიდა შენი ბარათი პასუხათ ჩემი პირველი წერილისა და ზოლოს კიდევ ორი წიგნი: 1) Тексты и разыскания по Кавказской филологии т. I და II. 2) Известия Росс. Акад. Ист. Мат. Культ. т III. დიდათ გმადლობ წიგნებისათვის.

ანტ. ჟორჯოლიანიდან მივიღე პასუხი, იწერება სტატია დაეიბარეო და როგორც მომივა, ახალ გამგეობას გადავცემო, ამ უკანასკნელს ნათქვამი აქვს, რომ დაუყოვნებლივ გამოგიგზავნიან ან მე გადმოცემენ გამოსავზავნათ. ჟორჯოლიანს კიდევ განუშვორე თხოვნა, რომ დააჩქაროს ბრიუსელიდან პასუხის მიღება. ამ რიგათ, ფიქრი ნუ გაქვს, სტატია მოგივა შესასწორებლათ. მეორე ჩემი ლექციაც გაგრძელება იყო იაფეტურ ტეორიისა და ამ ტეორიის მიერ (შენ მიერ) ახსილი ხალხთა სახელებისა. დიდძალი ხალხი დაესწრო და კიდევ უფრო ყურადღებით და ინტერესით მომისმინეს. ლექციის შემდეგ დავით სხირტლადემ (კავკაველი ადვოკატია რაჭველი ჩამომავლობით) მითხრა, მამაჩემი ოსეთში დიაკვნათ იყოო, ცხენი მოპარესო და წავიდა საძებრათო, რომ ვკითხე სად მიდინარ, მითხრაო, ეს ძალიან კარგათ და გარკვეულათ მახსოვსო, ბასკეთში მივიღივარ მოსანახავათო, ჩემ შეკითხვაზე, რომელ მხარეს ან რომელ ხალხს გულისხმობდა ბასკეთათ მეთქი, მიპასუხა ეს დანამდვილებით არ ვიციო, მაგრამ ერთ ერთ მხარეს სვანეთის მოსაძღვრეს გულისხმობდაო, იქით იყო მიმართული მისი გამგზავრებაო. იქნება მართლა იყოს შენახული ეს სახელწოდება კავკასიაში, ვინ იცის, კავკასია ხომ ბევრ მოულოდნელს პრობლემებს და ფაქტებს იძლევა ხოლმე. იწერები, რა გაკლია წიგნები, მომწერეო, მე იმდენი რამე მაკლია, რომ მრცხვენია ყველაფრით შეგაწუხო და რომ თლათ ტყვილად არ გამოვიდეს, ეხლა ვამზადებ „Археологическое путешествие“ ან „Археологическая экскурсия по Лечхум-

სკიმ ცერკვამ⁴⁸⁰ (ესე სჯობს მგონია) და გამოგიგზავნი, ერთ[ი] პატარა წიგნი გამოვა და წარუდგინე დასაბეჭდათ სამეცნიერო აკადემიას, ხოლო ხარჯების სანუქჟოდ გამომიგზავნეთ აკადემიის გამოცემანი შესახებ კავკასიისა, თუ ყველაფერი არ შეიძლება, შენი დროის გამოცემანი მაინც გარდა Христ. Восток.-ისა, რომელიც მაქვს და ზოგიერთ ბროსეს შრომანი! თუ ამ წინადადებას მიიღებს აკადემია კარგი, თორემ როგორმე აქ ფრანგულათ დავაბეჭდვიებ, აქაც არიან შაგის მუშტარი, თუმცა ეს ჩემთვის უფრო მეტს დროს მოითხოვს. საკმაოდ საყურადღებო მასალაა და ბევრი ახალი საინტერესო წარწერები, ეკლესიები გეგმით საიმისოი არ არიან, მაგრამ გეგმებიც მაქვს მათი. რაც შეეხება ფოტოგრაფიებს, სულ ყველაფერი გადაღებული მაქვს და დამზადებული. მაგრამ აქ ხელთ არა მაქვს და ისინი შეიძლება, თუ რომელიმე სამეცნიერო დაწესებულება იკისრებს, ერთ ალბომათ გამოუშვა სვანეთის ძეგლებთან ერთად. ეხლა უსურათებოთ იყოს მაინც დაბეჭდილი. მეორე სტატია მაქვს კიდევ დამზადებული: **Пять актов из Тао**, ეს არის კლდის მწვერვალზე, კალმახის ციხის მახლობლათ გამოქვაბულში ნაპოვნი სიგელები, რომელნიც მაშინ ადმინისტრაციამ არ დამანება¹, მაგრამ მე ფოტოგრაფიულათ გადაღება მოვასწარი, ეხლა გავადიდებზე და მშვენიერად გამოვიდა, კარგათ იკითხება სურათებზე ტექსტი. ისინი ეკუთვნიან მე-XIV—XV² საუკ. და საინტერესონი არიან როგორც პალეოგრაფიულად, ისე ენის და შინაარსის მხრით. სხვათაშორის ამით ირკვევა ზოგიერთი გეოგრაფიული სახელები ტაოს სოფლებისა. მათ რიცხვში მდებარეობა ვაჩიძორის ანუ ვაჩეძორის მონასტრისა, რომელიც მე კალმახის მონასტრათ მოვნათლე, მაგრამ კალმახში მონასტერი არ ყოფილა, ციხის ეკლესია კი იყო, და მის ძირში მყოფი ძველის ძველი მონასტერი ყოფილა ვაჩიძორი, რომლის გეგმა და ერთი ბოლონდელი წარწერა მე-XIV საუკუნისა უკანასკნელ ეკეტერზე ხელთა მაქვს. ამ მონასტრის შესახებ ხომ ჩვენ სულ არაფერი არ ვიცით, გარდა იმისა, რომ ერთს გრიგოლ ვაჩეძორელს მე-XI საუკ. გადაუწერია შატბერდში ექვსთა დღე (ჟორდ. Опис. Ц. М. 1, გვ. 73) გეგმა მონასტრისა არის მოყვანილი ჩემს ალბომში არქეოლოგიური მოგზაურობათა, რომლის კლიშეები მე მზამზარეულათ დავტოვე და ეხლა უნივერსიტეტ[ს]

¹ ეხლა ისინი დაკარგული იქნება. ყარსის სტატისტიკურ კანცელარიაში უნდა ყოფილიყო შენახული.

² ერთი ზაზა და ციცი ფანასკერტელებს.

გამოუცია თბილისში⁶⁸¹, თუმცა მე ჯერ არ მიმიღია¹. აი ამ სტატიას სურათებით გამოგვზავნი [Зап. Вост. Отд. Русск. Арх. Общ.-ში დასაბეჭდათ, თუ გამგეობა სამაგიეროთ გამომიგზავნის ყველა გამო-სულ Зяписк-ების კრებულს. სურათები ძვირად დამიჯდა, თითო გვერ-დი არის ცალკე გადმოღებული, შემდეგ გადიდებული და ერთი ერთ-მანეთზე მიწებებული. ამათში სხვათაშორის გვხვდება ახალი ტერმინი რალაც გადასახადისა ანუ ბეგრისა ალავი (აქედან გვარი ალავიძე), რომლის ახსნა-განმარტება მე შენ გთხოვე წერილით, მაგრამ ის წე-რილი, ვკონებ, შენ არ მივიღია. ტაოდან ჩვენ ამ დროის აკტები არა გვაქვს. მანამ ამათ შესახებ მაქ მოილაპარაკებდე, გთხოვ როგორმე გა-მომიგზავნო ის ნომერი ანუ ნომრები Запис. Нумизматич. Отд. Русск. Археол. Общ-ва, რომელშიაც პახომოვის ქართული ნუმიზმატიკა არის. ეხლა მეორე ტომიც ანუ ნაწილიც უნდა იყოს დაბეჭდილი. თუ სხვა ნუმიზმატიკურ Зяписк-ების ცალეხსაც მომიხერხებ, კიდევ უკე-თესი. შენი Тексты и Разыск. по Армяно-Грузин. филологии მე მაქვს აქ მარტო გრიგოლ ხანძთელი, Одописцы და Вступ. и Зак. стр. Барсов. Кожі რუსთაველისა, სხვა არაფერი. ესენიც ჩემთვის ნე-ტარებაა. ახალი ქართულის შესასწავლი სახელმძღვანელოს შენ მიერ დამზადება დიდათ მახარებს, ეს პირველყოვლისა არის და იყო სა-ჭირო, რაც შეეხება ლექსიკონის შედგენას, ყოველ შემთხვევაში მის დაწყებას, მე იმედი მაქვს, შენ მაინც შეუდგები, იმ საარაკო სიძნეს და მუშაობას, რომელსაც შენ იჩენ და ეწევი, მე მგონია ეს საქმეც არ დარჩება მიგდებული, ვინაიდან სხვა არავის არ ძალუძს შენსავით ამ საქმის გაძღოლა, რასაკვირველია ამ საქმეში საჭიროა მთელი ჯგუ-ფი, მთელი გუნდი მუშაკთა და სამწუხაროა, რომ კონფლიქტი გამო-რებს შენ მიერვე აღზრდილს და გაწვრთნილს თანამშრომლებს, შენს შეგირდებს. უნდა ვეცადოთ, რომ მოძღვარ-მოწაფეთა შორის ისევ დაახლოვება დამკვიდრდეს, ნუ ენდობი მათ, ვინც ხელოვნურად ამწვა-ვებს საქმეს თქვენს შორის. შენ არ გყავს მოწინააღმდეგენი, რომელ-ნიც საერთოთ შენს ტიტანიურ სამეცნიერო შრომას არ აფასებდენ და თუ სხვა რამეში და ზოგიერთ დარგში ტეორიისა და ან ამა თუ იმ ნაწილში ამ ტეორიისა არ გეთანხმებიან, ეს კიდევ არ ნიშნავს შენი სამეცნიერო ღვაწლის საერთო განჭიქებას. ცუდ დროში ვიმყოფებით

1. იქიდან არც მწერენ და არც ერთს წიგნს მიგზავნიან, რომ ალბომი გამოსულა, სხვისგან მივიღე ცნობა.

და ქვემძრომნი სარგებლობენ ამით. მასწავლებელს ხომ მეტი სიმშვიდე მართებს, ვიდრე შეგიძლება. თუ ხათრი გაქვს, სიკვდილზე ნუ იწერები, ცუდ გუნებაზე მაყენებს, შორს შენგან სიკვდილი, ვისაც შენოდენი შრომა ამ ხანშიც შეუძლია, ის დიდხანს კიდევ უზრუნველი იქნება, მაგაზე მე უნდა ვლაპარაკობდე, რომელიც დიდათ დავსუსტდი, მაგრამ არ ვლაპარაკობ; მაშინაც არ არის კარგი, როცა მოვა, თორემ წინდაწინ მაგაზე რა სალაპარაკოა! ჯერ შენი წილი ზღვა. უნდა ამოაშრო, იაფეტური ტეორია თავის ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანო, ლექსიკონი შეგვიდგინო და შემდეგ სოფელმა თავისი გაიტანოს. ბევრი დრო წაგართვა ანისის თხრამ. ეს დრო ტყვილათ კი არ დაკარგულა (თუმცა უმეტესი მასალა დაგელუბა), მაგრამ რა შედარებაა, 15 წელი ლინგვისტურ მუშაობისთვის რომ მთლათ შეგეწირა, რამდენს მოასწრებდი, შენ უკეთ იცი! ერთადერთი კარგი შედეგი პირადათ შენთვის ამ თხრის დროს ის იყო, რომ ჰაერზე ყოფნა ზაფხულის თვეებში კარგათ მოქმედებდა ფიზიკურათ შენზე. „არმაზის“ და „კრემლის“ ერთი ძირიდან წარმოშობა მეუცხოვა. ვერ გავიგე კარგათ, იბერების ნაშთებათ, შენ ეხლა რომელი მოდგმა მიგაჩნია, თუ იბერებიდან იმერლები მომდინარეობენ, იმერულ კილოში უნდა ვეძიოთ ალბათ დარჩენილი ნაშთები იბერთა ენისა, მაგრამ იმერლები ხომ გაქართვეული მეგრელები უნდა იყვნენ. თუ ესენი გაქართველებული იბერებია! ერთი სტატიიდან ვტყობილობ, რომ შენის ფიქრით ერთი ნაწილი იბერებისა მტკვარის ბასეინშიც იყო შექრილი და კიდევ მეორე ადგილს ამბობ, რომ იბერიის სახელმწიფო 570 წ. დაეცაო. მაშ ალმოსავლეთ საქართველოში იბერები ყოფილან თანახმად კლასიკური ავტორებისა. მაშასადამე ქრისტიანობა მცხეთაში იბერებს მიუღიათ. იქნებ რაც იბერებზე მოგვითხრობენ, ის ქართვეს ეკუთვნის და ეს სახელწოდება ავტორებმა ქართვეზე გადიტანეს? გურულები ჩემის აზრით მესხები არიან, აჭარის მთებიდან ჩამოშვებული და ამ რიგათ ლაზ-მეგრელთა გამყოფელნი, ამიტომაც მესხური ელემენტები მეტია გურულ კილოში, რამდენათაც ეს ვეფხისტყაოსნის ენიდან სჩანს, გვარებიც უფრო მესხურია, მაგრამ ეს მე-XVI საუკუნის მიგრაციითაც აიხსნება. ერთი რამ კიდევ მომაგონდა: შენს სტატიაში Из поезди в Сванию, გვ. 9 ამბობ სვანურ გვი-ს შესახებ, ეს ხომ პარაზიტია მცენარისა, რომელიც სხალზე, ვაშლზეც იცის და თხილზეც, ამას გურიაში, როგორც ბავშობიდან მახსოვს, შადას უძახიან, სხვაგან ფითრს, რუსულათ омела, მაგრამ სვანური სახელი იგივე უნდა იყოს, რასაც ფრანგები უწოდებენ — guî. ეს დიდ მოღამია, ხომ საფრანგეთში და ინგლისში, ბედნიერების ემბლემაა, გალლების ტრადი-

ციისა, და სწორეთ ახალ წელიწადს ყველა სახლს, უკეთ ვთქვათ, ყველა ბინას ამკობენ მაგით და ნათლისღებამდი და შემდეგაც აქვთ სახლში. ინგლისში თურმე მამაკაცს უფლება აქვს მაგის ქვეშ ყველა ქალს აკოცოს, უნათესაოსაც. Сравнительные таблицы-ს დაპირებისთვის მადლობელი ვარ. არა მაქვს კიდევ Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созида[ании] средиземноморской культуры. Лейпциг. 1920. როგორც არც ერთი სხვა — 1—X Материалы по Яф. языкозн; მაგრამ ესენი ხომ აკადემიის გაშოცემაა და თუ საქმე მოყვა, გამომიგზავნი. ნუ გაიკვირებ თუ ერთს კიდევ გთხოვ, თბილისში გამოსულა „საქართველოს მუზეუმის მოამბე“ № 1, ამაში შეანიძეს⁶⁸² აუხსნია კრიპტოგრაფიული სისტემები, მინდა ვიცოდე რა სისტემებია ეს, ვინაიდან მე მივაკლიე ექვსი სისტემა კრიპტოგრაფიული, გარდა შენი წაკითხულისა, და მინდა შევადარო. თუ ან შენ ან ვინმეს „მოამბე“ აქვს და დროებით მათხოვებ, მადლობელი ვიქნები, პირობას გაძლევ, რომ უკან გამოგვზავნი, როცა შევამოწმებ. ნინომ მადლობა მოკითხვისათვის. სალამი ჩვენ მაგიერ ალექსანდრა ალექსეევენას და იურის.

შ ე ნ ი ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

219

11
19—25
IX

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ესეც არის მივიღე ა. ჟორჯოლიანისაგან შენი სტატიის ფრანგული თარგმანი და დღესვე გიგზავნი დაკვეთილათ. შენ ეხლა დიდ გაწიშაში იქნები აკადემიის იუბილეს გამო⁶⁸³. დიდია ღვაწლი აკადემიისა კერძოთ ქართველებისათვისაც, მაგრამ მე გარემოებამ მომაკლო საშვალეზას რომელიმე ჩვენი სამეცნიერო დაწესებულების სახელით მომელოცა, თუნდ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით. პირადათ ვაპირებდი მოლოცვას, მაგრამ ასე ვიფიქრე, ჩემისთანა პატარა კაციდან არ ეგების მეთქი, იქნებ იუბილით მოგცეთ საშვალეზა გამოსაცემ თანხის შოვნისა და სტატიები არ დამძაღდეს შენს პორტფელეებში, როგორც ეს ჩემს სტატიას მოუვიდა ვანის ეკლესიის სიძველენის შესახებ. მეთერთმეტე წელიწადია, რაც გაქვთ და

არ ეშველა გამომზეურება. ახლებსაც (აღარც ახლები ითქმის, რაც ერთის წლის წინათ გამოგზავნილია) ალბათ ასეთი ბედი მოეღოს. სწორეთ ტრაგიკული მდგომარეობაა, როცა გრძნობ, რომ ბევრი სიცოცხლელე აღარა გაქვს და ველარ მოესწრები ასე ჰირ-ვარამით შეკრებილი მასალა გამოაქვეყნო. მზათა მაქვს სხვა სტატიებიც, მაგრამ ფოტოგრაფიული სურათები ვერ მივიღე და რომ უფოტოგრაფიოთ ნაკლები მნიშვნელობა აქვს წარწერების ტექსტის მოყვანას, ამას შენი კრიტიკული წერილებიც ცხადათ მოწმობენ, სადაც შენ მისწორებ ტექსტის კითხვას, უმეტეს შემთხვევაში სამართლიანად, უმცირეს შემთხვევაში უმართლოდ. ეხლა კიდევ ერთი ზნე შეგჩვევია, მარტო უარყოფითი მხარე აღნიშნო, დადებითს გვერდი აუქციო, რეცენზიამ კი მიწნუსთან პლიუსიც უნდა აღნიშნოს, მაგრამ ჩემთვის ესეც პლიუსია, რომ საშვალემა მოგეცი შეგესწორებინა. და ამიტომაც სტატიებს არ გიგზავნი, მანამ არ დამეხმარები, რომ სურათები მივიღო. თუ შენ შეგეძლება მომაწოდო სურათები ან ფოსტიო ან რომელისამე აქ გამოგზავრებული მეცნიერის ხელით, მაშინ მიგიწერ, რომ შენს სახელზე და შენ გამოგიგზავნონ ფოტოგრაფიული სურათები და როდესაც შენ მომაწვდი, დაეაწყო სტატიების შესაფერათ და ისე გამოგიგზავნი ტექსტიოთურთ, როგორც სხვა სტატიები გამოგიგზავნე, ამის პასუნს ველი შენგან. ჩემს ერთ ვრცელს წერილზე პასუხი არ მიმიღია, ალბათ არ გეცალა. მას შემდეგ რაც შენთვის აღარ მომიწერია, შენგან მივიღე სტატიები: 1) Матер. по хемшинск. наречию, 2) К грузинским надписям из Месхиа, 3) Из грузино-персидск. литерат. связей, 4) ჩემი საყვარელი იურის ოთხი მოხსენებანი სპარსული ხელნაწერების შესახებ. 5) Analyse nouvelle du term. Pyrénees. 6) Иберо-этрусско-италская скрещённая племенная среда образ. индо-евр. языков. 7) Филистимляне, палестинские пеласги и расены или этрусски. 6) Тексты и разыскания по Кавк. филологии, т. I. (ვგონებ ზოგიერთი ამების შესახებ კიდევაც გაცნობე, არ მახსოვს). იუბილეის გამო თუ რამე გამოეცით და სხვა თუ რამეა ახალი, იმედია მომწოდებთ, ჩვენს ამბავს თუ იკითხავ, ცოცხალი ვართ მარტო და სხვა არაფერი სანუგეშო არ არის ჩვენთვის, ნინომ სალამი თქვენ ორთავეს და იურის. როგორ ხართ? აპირებ აქეთ გამომგზავრებას თუ არა. იური როგორ არის, წავიდა სპარსეთში თუ არა?,

შ ე ნ ი ე ქ ვ თ ი მ ე -

ძმაო ნიკო, უკვე ზაფხული იყო, რომ შენი სტატიის ფრანგული თარგმანი გამოგზავნენ. წერილებიც მოვაცოლე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. მაცნობე, მიიღე თუ არა. შენი გამოგზავნილი წიგნები კი მივიღე. ნამეტნავად მასიამოვნა გრამატიკამ⁶⁸⁴. მადლობა ღმერთს, რომ ველირსეთ! როგორც დაგპირდი, 15 ცალს აქ გაგიყიდი, თუ გამოგზავნი. ფასი ფრანკებით დაადევ. ზოგჯერ საკითხია, ძველი ახსნა სჯობია ფორმებისა, თუ ახალი. კარგი ესაა კიდევ, რომ ძველ ფორმებთან ახლებსაც უჩვენებს. მაგალითების მოყვანა კი მეტი იყო საჭირო. უცხოელნი ტყვილად უცდიდნენ ამ გრამატიკას. ეს მათ ქართულს ვერ ასწავლის, მაგრამ ვინც იცის, კი ბევრს აუხსნის და შემატებს. ეხლა შე გრაფენს ვებმარები შენი სტატიის დაწყობა-შესწორებაში. წინასიტყვაობა ჯერ არ აუწყვიათ. ჩვენ გვარიანათ ვართ. სალამი ჩვენ ორთავეთგან შენს მეუღლეს და იურის. მოიწერეთ ორი სიტყვა — როგორ ხართ. სტატიების გამოგზავნა მინდოდა, შეგეკითხე და არ მი-პასუხე, ალბათ საჭირო არ არის. ვერც ბეჭდავთ გეტყობათ. თუ რომელიმე ჩემი სტატიის დასტამბვას შეუდგეთ, უკანასკნელი კორექტიურა მომავწვდინეთ. ახალს მაინც ვერ გამოგიგზავნით, მანამ სურათებს არ მივიღებ შენის საშვალებით, თუმცა ზოგიერთი ტექსტი მზათა მაქვს. როსტოვეცევის შრომა⁶⁸⁵ გამოგიციათ, იმედია გამოგიგზავნით. წინეთ Записки Вост. Отд. მომდიოდა, ეხლა რათ შემიწყვიტეს, უკანასკნელი 8 წიგნი არ მინახავს. იქნებ გამოგზავნო. ბასკებისკენ კიდევ გამოგზაურების საქმე როგორ არის? თუ სხვა უფრო საჭირო მიმართულება გაინტერესებს.

შ ე ნ ი ე ქ ვ თ ი მ ე .

[1928 წ. აპრილი]

ძმაო ნიკო, პირველად გულითადი მოკითხვა შენს მეუღლეს და შენ ჩვენ ორთავეთგან. წავიკითხეთ ტფილისის გაზეთში თქვენი იქ ყოფნის ამბავი. ეხლა ჩემი თხოვნაა, უთუოდ დამიბრუნოთ უკან

ყველა ჩემი სტატიები და მათი სურათები, რომელნიც ამდენი წელია თქვენთან არის და საკმაოდ აღმძვლენ. ზოგი მასალები უკვე გამოაქვეყნეს სხვებმა ტფილისში და ეს ბედი მოელის სხვებსაც. შრომა იმისთვის მივიღე, რომ პრიორიტეტი გამოქვეყნებისა მაინც შემრჩენოდა, თუ სტატიები ტფილისშია გადაგზავნილი, გთხოვ საჩქაროდ გამოითხოვო უკან და დამიბრუნო. როდესაც შენი სტატია იყო აქ უშედეგოდ დარჩენილი, თუმცა მე ეს პირადად არ მეხებოდა, მაგრამ შენის თხოვნით მივიღე ყველა ზომები და გამოგიგზავნე, ხოლო ჩემი სტატიები პირადად შენ მოგაწოდე და რაკი დაბეჭდვა არ ელირსა, რასაკვირველია გარემოებათა მიხედვით, ამას შენ კი ვერ ვისაყვედურებ ვერას გზით, მხოლოდ უფლებას ნუ წამართმევ, რომ უკან დავიბრუნო და განმეორებით გთხოვ მომაწოდო გრაფენის მისამართით. ამას გარდა ალექსანდრა ალექსეევნას ვთხოვე, როგორც იცო, წიგნების მოწოდება. მისი „აკურატობა“ მე კარგათ ვიცი და არა ერთხელ ვყოფილვარ მათგან დავალებული, მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, არც ეს ხერხდება. რა გაეწყობა, ბედი უბედო ჩემზედა არ ახალია, ძველია! შენთან შემდეგი სტატიებია: 1) ვანის ეკლესიის სიძველეთა აღწერა, 2) სოფელ ჩანგლის ეკლესიის აღწერა, და ფრაგმენტი ერთი ქართული ხელნაწერისა, ამასვე აქვს დართული პატარა შენიშვნა, 3) პიტარეთის მონასტერი და მისი წარწერანი, 4) ორი ეკლესია სოფელ ტანძიაში, 5) მღებარეობა სოფლისა და მონასტრისა თევდორწმიდისა, 6) ციხე და ეკლესია სოფელ ქვეშში, 7) ვერცხლის დოქი მეფე გიორგი III⁶⁸⁶, ამას გარდა დიდი ხანია გამოგზავნილი მქონდა შენთან სომხური წარწერების ფოტოგრაფიული სურათები, სასაფლაოს ქვებისა ჩანგლში და ეკლესიისა ფანასკერტში, როგორმე მონახე და დამიბრუნე, აგრეთვე ფოტოგრაფიულად გადაღებული მთელი კარის გარიგების ტექსტი. იყავით კარგათ და ბედნიერათ! და ნუ დაგვივიწყებთ.

222

[1929.11]

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენი და შენი მეუღლის და შვილის დღეგრძელობის მოსურნე, გთხოვ ერთხელ კიდევ თუ ჩემი ძმობაი და ამხანაგობა გწამს, დამიბრუნე ჩემი სტატიები, რომელთაც გამოქვეყნება არ ელირსა, ვანის

ეკლესიის აღწერიდან დაწყებული უკანასკნელამდე. რმ შემთხვევაშიაც, თუ ის სტატიები თბილისშია გაგზავნილი, დაიბარე იქიდან და მომწოდე ან გამოიძღვანე, როდესაც გამოემგზავრო. ამას გარდა სხვა წიგნებისაც იმედი მაქვს, რომ არა ერთხელ დავალებული, კიდევ დამავალებ, ახლები რაც გამოვიდა, შენ იცი და ძველი წიგნების სია გაქვთ. სხვათა შორის მთხოველი ვარ მომწოდო უსპენსკის ბიზანტიის ისტორია ახალი ანუ უკანასკნელი გამოცემა, რასაკვირველია ხარჯს აგინაზღაურებ. დიდი მოკითხვა ნინოსაგან და ჩემგან შენს მეუღლეს და იურის. ნინომ დიდი ავთყოფობა გადიტანა გასულს ზაფხულს, ზედიზედ ორი ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ საბედნიეროდ ეხლა კარგათ არის. შენი შევირდები დაუყოფელი მოგელიან კურსების. გასაგრძელებლად⁸⁷. მონატრე ვართ ყველანი შენი ნახვისა, მამ ნახვამდის.

შ ე ნ ი . ძ მ ა ე ქ ვ თ ი მ ე .

228

31
19—31
III

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

ბ-მა გრიგოლმა გადმოგვცა შენი და შენი მეუღლის კარგათ ყოფნის ამბავი და მოკითხვა ნინოსთვის, რომლისათვისაც მადლობას გიძღვნი, აქ გელოდით და მგონი აღარ აპირებთ, ამიტომ გწერ, ამ ბართს. ჩვენი ამბავი გაგებული გექნება, ნინო აგერ წელიწადნახევარია ლოგინათ არის ჩავარდნილი, ერთობ მძიმე ავთყოფია, მოვლა მე მიხდება და აქედან წარმოიდგენ ჩემს მდგომარეობას. მე მისგან მოვლაზე ვიყავი ჩვეული. მას იმდენი ამაგი და სამსახური აქვს ჩემზე დადებული, რომ მე მესადესაც ვერ გადუხდი, რაც არ უნდა მოვინდომო. ორთავე დიდათ ვიტანჯებით. გაუმჯობესობის იმედი ნაკლებია.

შარშან გაზეთ Temps-ში დიდი სტატია იყო მოთავსებული „ტრისტან და იზოლდას“ ლეგენდის შესახებ და შენს გამოთქმულს აზრებს. მათი წარმოშობის შესახებ⁸⁸ დიდის თანაგრძობით იცავდა, არ ვიცი წაიკითხე თუ არა. ვარშავაში აღმოსავლეთის ინსტიტუტში ქართული ენის კათედრაა დაარსებული, იქ ეხლა ახალგაზრდა ჩემი ნათესავი გიორგი ნაკაშიძეა. ჩვენი ერმილე ნაკაშიძის ძმისწული. მას პრაგაში აქვს დამთავრებული ორი ფაკულტეტი — იურიდიული და ფილოსოფიური. ნიჭიერი ყმაწვილია, ენამეტყველი. პრაგიდან ვარშავაში რომ მივიდა, წინადადება მისცეს, წავვიკითხე ლექცია ქარ-

თული ენის შესახებო, მას ფილოლოგიური განათლება, რასაკვირველია, არა აქვს. და მე მომწერა, წიგნები მთხოვა და რჩევა დამავალა, როგორ მოქცეულიყო. ნამეტნავად იაფეტური თეორიის შესახებ არაფერი გამეგებაო, მწერდა. მე გაუგზავნე მასალები, რაც მქონდა. დარიგება მივეცი, როგორ დაეწყო თავის მოხსენება ქართული ენის მეცნიერული კვლევის ისტორიისა და იაფეტური თეორიის შესახებ, სამწუხაროდ, მეშხანინოვის წიგნი⁶⁸⁹ არ მქონდა, შენ არ გამოგიგზავნია. სხვა მივაწოდე, მომზადებულიყო და წაეკითხა ლექცია, ერთობ დიდი „ფურორი“ მოეხდინა. ლექციაზე დამსწრე კაცმა მიაშობო, გაამეორებდეს ლექცია უფრო დიდ აუდიტორიაში, და მიიწვიეს ქართული ენის ლექტორად ინსტიტუტში და იქ ასწავლის ქართულს ენას, შენი სტუდენტებისთვის შედგენილი სახელმძღვანელო მივაწოდე. შემდეგ ის მიიწვიეს ვარშავის ეტნოგრაფიულ ინსტიტუტში პროფესორ მიცკევიჩის თაოსნობით და იქ მუშაობს. მიცკევიჩი დიდი მომხრე ყოფილა იაფეტური თეორიის, დიდ მფარველობას უწევს ნაკაშიძეს და აიძულებს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი მეცნიერულ მუშაობას. მადრიდში ყოფილა ეტნოგრაფიულ კონგრესზე და აპირებდა თურმე ჩემთან მოსვლას, მაგრამ საჩქაროთ დაუბარებიათ ვარშავაში და მიტომ ვეღარ მოვიდა. წიგნები არა გვაქვსო, ნამეტნავად ნ. მარრის წიგნებიო, და თხოულობენ მიაწოდო ინსტიტუტის სახელზედ, რასაკვირველია, ფასით. კარგი იქნება ხელს შეუწყობდეს, იქნებ რამე გამოვიდეს. ნაკაშიძე ამას წინეთ ორი დღით აქ იყო, დავარიგე და წიგნები მივეცი კიდევ. ძმაო ნიკო შენგან წიგნები სრულებით აღარ მომდის, ამას ჯანი გავარდეს, მაგრამ დიდათ გულს მაკლია და დიდათ გემდური, რომ ჩემი ყოვლად სამართლიანი რამოდენიმეჯერ გამეორებული თხოვნა არ ამისრულე და ჩემი სტატიები ვანის ეკლესიის, ჩანგლის, პითარეთის და სხვა არ დამიბრუნე. ეხლა ერთხელ კიდევ განმეორებით გთხოვ გამომიგზავნო უკან ჩემი სტატიები თავის ფოტოგრაფიული სურათებით, სულერთია, დაბეჭდილია ეს სტატიები თუ დაუბეჭდავი, სურათები ვანისა, ჩანგლისა და პითარეთისა და სხვა აუცილებლად საჭიროა ჩემთვის და, თუ ჩემი ძმობა გწამს და სიყრმის მეგობრობა, ეს თხოვნა ამისრულე, გაიხსენე რამდენჯერ უკლებლად ამისრულებია შენთვის ხელნაწერების და მასალების მოწოდება, როდესაც ჩემთვის შემოგიკვეთია, სულ ერთია, სადაც არ იყოს ჩემი სტატიები, ტფილისში თუ ლენინგრადში, ტელეგრამით მოითხოვე სანამ შენ მაქ იმყოფები და მომწოდე გინდ გრაფენის და გინდ ჩემის მისამართით. თუ წიგნებსაც მომწოდებ, რაც მანდ გაქვს ან გამოიწერ მანდ ჩემთვის და გამომიგზავნი, კიდევ მეტი მაღლობელი ვიქნები. ჩემი ამაგი ინსტიტუტზე მით დამიფასეთ, რომ მისი გამოცემანიც არ გამომიგზავნეთ. მე კი

იმდენი სისულელე ჩავიდნე, რომ არა თუ ერთი გროში, ჯამაგირი არ ამიღია, ჩემი ჭიბიდან ხუთი ათასი ოქროს მანეთი დავახარჯე, რომ არ დახურულიყო, გარდა იმისა კიდევ, რომ ავეჯეულობა მე უფასოთ მოუპოვე. იქნებ შენმა იქოურმა თანამშრომლებმა სულ მოსპეს ჩემი სტატიები. მათგან არც ეს გამიკვირდება. ველი შენგან პასუხს. ვაზეთში ამოვიკითხე, ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესახებ, რომლის წესდება დამტკიცებული გამოცხადებული იყო და შენ თავ-მჯდომარედ იყავი არჩეული, უნივერსიტეტი ინსტიტუტთა იყო და დაკეთებული და სხვა. შემდეგ აღარაფერი ისმის, არც აკადემიაა, არც უნივერსიტეტი, რა მოხდა, თუ დაიწყო, რატომ არ დაამთავრე ეს საქმე, ეს რას გავს, ძველიც მოსპეს და არც ახალი. გახსნეს იყავი კარგათ. დიდი გულწრფელი მოკითხვა შენს მეუღლეს ჩვენ ორთავეთგან. შენი ძმა ექვთიმე.

Leuville sur Orge par Montlhery (seto), 10, rue Jules—Fery.

-224

[1981]

ძ მ ა ო ნ ი კ ო !

შენმა წერილმა მასიამოვნა. ეხლა იმედი მომეცა, რომ ჩემს სტატიებს და ფოტოგრაფიულ სურათებს მივიღებ. თუ შენს მაქ ყოფნაში არა, რომ დაბრუნდები, მას შემდეგ მაინც. მასთან მონახვინე სომხური წარწერები, ჩემგან გამოგზავნილი 1907 თუ 1908-ში ფანასკერტისა და ჩანგლისა და ისინიც მომაწოდე, თუ ხათრი გაქვს. რა პრობლემა არის, რომელსაც წააწყდი, რატომ არ იწერები, მინტერესებს, ალბათ ახალი ამბავია კიდევ იაფეტურ თეორიასთან დაკავშირებული. ბლეიკმა მითხრა, რომ შენი აწერილობა სინას მთის და იერუსალიმის ხელნაწერებისა იბეჭდებო⁶⁹⁰, მაღლობა ღმერთს, იქნებ მოვესწრო მის წაკითხვას. დანაშაულობა იყო, რომ ამდენხანს არ გამოეცი. ძვირფასი იქნება, მარტო შენი იქნება თუ შენი თანამშრომელისაც⁶⁹¹ ერთად? ვარშავის მეცნიერის გვარი, რომელიც იაფეტური თეორიით არის დაინტერესებული, პონიატოვსკი არის, მე, ჯგონებ, შეცდომით მიცქევიჩი მოგწერე. ნაკაშიძეს მივსწერ და წიგნებისთვის მოგმართავენ. ჩემთვის წიგნების გამოგზავნა შენთ ხელს არ ყოფილა, მაგრამ შეგიძლია იყიდო ჩემის საფასით, გიზღავ უსათუოთ, და ისე გამომიგზავნო. რაც აქედან წახვედი, მერმე გამოქვეყნებულ შრომებზე ცნობა არა მაქვს.

22. ნ. მარი, ექვ. თაყაიშვილი.

აკადემიის გახსნის ჩაშლისა ვერაფერი გამიგია. განა არის ისეთი პირები, რომელთაც კიდევ შესწევთ ძალი და გამვალობა მაქოფიცილურად მიღებულის კურსის ჩაშლისა? ჩემს „მეგობრებზე“ იწერები, შენ კარგათ იცი, რომ მეგობრები მე წინეთაც არ მყოლია, თორემ ეხლა რაღა სათქმელია. არც ეს მესმის, კარგი საქმის ჩაშლა თუ პატრიოტობაა ყოფილმა ჩემმა ერთმა ამხანაგმა და არა მეგობარმა, მაშორის ღმერთმა, შემეკითხა, ვითამ თანაგრძნობით, როგორ ხარ, რას აკეთებო. მე მივსწერე, რაღა უნდა გავაკეთო, რომ გამცარცვეთ, ნივთიერად და ზნეობრივადც—მეთქი, და დაუსახელე მაგალითი, როგორ შიითვისა ჩემი საქონელი, პასუხად მივიღე, — ეს ყველაფერი დროს ბრალი არისო! ასე ყველას შეუძლია ყოველი უგვანის საქმის ჩაღენა დროს დააბრალოს, მაგრამ ეს რა საბუთია! კაცმა თავის კაცური ღირსება ცუდ დროსაც უნდა შეირჩინოს, თვარა კარგ დროს იქნებ ვერც გაბედოს თავის ნამდვილი ბუნების გამოჩენა. ასე ჩემო, ნიკო, კარგათ იყავი. დიდი მოკითხვა ჩვენ ორთავეთგან შენს მეუღლეს. ნინო კიდევ წინანდელ მდგომარეობაშია, ვარესად არ არის წინანდელზე, მაგრამ გაუმჯობესობაც არ ეტყობა, ცუდი სიბერე დაგვიდგა და ვიწურებით აღსასრულისკენ! ჯანი მიდის, მაგრამ სულიერად შაინც არ დავცემულვარ, ხოლო ნინოს მდგომარეობა მტანჯავს.

ძმური სალამით ე ქ ვ თ ი მ ე რ

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ნ. მარმა და ე. თაყაიშვილმა პირობა დასდეს, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობას განაგრძობდნენ თბილისში საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის შესასწავლად, ქართული ძეგლების გამოსაცემად. ისტორიის შეისწავლიდა ექვთიმე, ხოლო მწერლობას — ნ. მარი. გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, მოხდა ისე, რომ ნ. მარი დარჩა პეტერბურგში და მათ მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმა ჩაიშალა. სწორედ ამას გულისხმობს თავის წერილში ნ. მარი, როცა უნებურად თავს იცავს ექვთიმეს საყვედურებისაგან.

2. ნ. მარმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 1886 წელს გამოთქვა მოსაზრება ქართული და სემიტური ენების ნათესაობის შესახებ. ეს აზრი მან გაუზიარა თავის მასწავლებელს ბარონ როზენს, რომელიც ძალზე სკეპტიკურად შეხვდა მის თვალსაზრისს. 1886 წელს ნ. მარი გაზეთ „ივერიაში“ (№ 86) ათავსებს წერილს სათაურით „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. სტატია შემდეგ დაიბეჭდა რუსული თარგმანიურთ კრებულში: „По этапам развития яфетической теории“, Л., 1926 г. და ნ. მარის ИР (Избранные работы Н. Я. Марра) т. I. Л., 1933 г. ქართულისა და სემიტური ენების შესახებ იგი წერდა: „ქართული ენა ნათესავია ზოროსტრიულ და სულიერად, ე. ი. სიტყვების ძირებით და გრამატიკით, სემიტურ ენათა ჯგუფისა, მაგრამ არ არის იმდენად დაახლოებული ხსენებულ ენებთან, რამდენადაც ის ენანი ურთიერთმორის და, სჩანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური) წარმომდგარია ერთი მამათ-მთავრის ენისგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანებია სემიტურ ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთს“. ნ. მარის ეს ვარაუდი დაედო შემდგომ საფუძვლად მის იაფეტურ თეორიას.

3. ივულისხმება სააზიო მუზეუმის და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგის შედგენა, რომელიც უნდა გაეკეთებინა ნ. მარს. ნ. მარის არქივში დაცულია სტუდენტობის დროინდელი ხელნაწერთა აღწერილობები,

სხვადასხვა ხასიათის ამონაწერები სააზიო მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერებიდან, თარგმანები ქართული და სომხური ხელნაწერებიდან და მისთ.

4. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე (1844—1929) გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, ენის მკვლევარი და ლიტერატურის ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. ავტორი შრომებისა:

„Сведения о памятниках грузинской словесности“ 3 ტომად (1886, 1891, 1894), „Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае“ (1886) და სხვა...

5. ნ. მარი, მართლაც, ალ. ცაგარლის „უნებურად“ და მისი სურვილის წინააღმდეგ იყო დარჩენილი უნივერსიტეტში. უთანხმოება ალ. ცაგარელსა და ნ. მარს შორის დაიწყო ნ. მარის სტატიის „ბუნება და თვისება ქართული ენისა“ გამოქვეყნებით (იხ. კომ. № 2). წერილში ნ. მარს მოჰყავდა ალ. ცაგარლის აზრი, რომლის თანახმად, ქართული ენა ენათა დამოუკიდებელ ჯგუფს შეადგენდა. იგი აქვე დასძენდა, რომ ეს აზრი არაა ახალი და რომ იგი ამავე რედაქციით 1864 წელს გამოთქვა ფ. შიულერმა. ამ სტატიით მან ბევრი აიმხედრა თავის წინააღმდეგ და პირველ რიგში ალ. ცაგარელი — მისი ოფიციალური მასწავლებელი. ნ. მარი, ჯერ კიდევ ჰტუდენტი, გამოდის ტრადიციული, დიდი ხნის წინ დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული ინდოევროპეისტიკის საფუძვლების წინააღმდეგ. თავისი ახალი ჰიპოთეზით ნ. მარი მაშინ მთელ ლინგვისტურ სამყაროს დაუპირისპირდა. როზენმა აუკრძალა ამ საკითხზე მუშაობა სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე. სხვა პოზიცია დაიკავა ალ. ცაგარელმა. მან არ დაატია სტუდენტს ასეთი სითამამე და მხილება, მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ურთიერთობა გამწვავდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ალ. ცაგარელმა ნ. მარი აღარ დატოვა ქართული ფილოლოგიის კათედრაზე. მაგრამ უთანხმოება ამით არ დამთავრებულა. გადაწყდა, რომ ნ. მარი დარჩებოდა პროფ. პატკანოვთან სომხური ენის კათედრაზე. მდგომარეობა გამწვავდა პატკანოვის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ. აღმოსავლურმა ფაკულტეტმა პროფესორის საშტატო ადგილი ვაკანტურად დატოვა, რათა მომავალში ამ ადგილზე აეყვანათ არმენოლოგი. ნ. მარს ამ ადგილის დაკავება აზრადაც არ მოსვლია, მას სულ სხვა მიზნები ჰქონდა (კომ. № 1), ცაგარელმა კი წარმოიდგინა რომ ნ. მარი ამ ადგილის პრეტენდენტია. ურთიერთობა მათ შორის საბოლოოდ გაფუჭდა ნ. მარის სადიპლომო ნაშრომის წარდგინებით, რომელმაც დაიმსახურა აკადემიის მედალი. ამ ნაშრომში ნ. მარი ალ. ცაგარლის საწინააღმდეგო აზრს ავითარებდა. ნ. მარი გადაქარ-

ბებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხო, მაჰმადიანური-ირანული ლიტერატურის ზეგავლენას ქართულ მწერლობაზე. ალ. ცაგარელმა გადაწყვიტა სადიპლომო ნაშრომის დისკვალიფიკაცია. ალ. ცაგარელი ამჯერად სრულიად ობიექტური და სამართლიანი იყო. იგი უწონებდა ნ. მარს თემას, ხელნაწერების ცოდნას, საგანგებოდ აღნიშნავდა აზრების ორიგინალურობას, მაგრამ ერთიანად თემა. მიაჩნდა მიუღებლად, ცალმხრივად და საბოლოოდ მასში გატარებული მკდარი თვალსაზრისის გამო სუსტად ჩათვალა მისი სადიპლომო ნაშრომი.

6. იგულისხმება ნ. მარის სადიპლომო თემა: „XI—XII საუკუნეების პროზად დაწერილი ქართული მოთხრობების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა“.

7. თხოვნა ეხება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ვარიანტის გაგზავნას. ხელნაწერი წარმოადგენს ლენინგრადის ყოფილი სააზიო მუზეუმის № 13 ნუსხას, იგი XVII საუკუნის I მეოთხედისაა.

8. 1888 წელს ნ. მარი სომხურ გამოცემათა ცენზორად მუშაობდა. ცენზურაში მისი მუშაობის შესახებ. მასალები შეგროვილი აქვს კ. ნ. გრიგორიანს, რომლებიც მან გამოიყენა თავისი ნაშრომის დაწერისას (К. Н. Григорьян—„Из истории русско-армянских связей и литературных отношений“).

9. გრიგოლ დავითის ძე გურიელი (1818—1892) — გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის შვილიშვილი, ლევან გურიელის ძმა, გადამღვარი ვენერალი, საქართველოს ისტორიისა და მწერლობის დიდი მოყვარული. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აჭარის და შავშეთ-კლარჯეთის უსისხლოდ შემოერთების საქმეში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი; შესწირა საზოგადოებას ძველი ხელნაწერები, არქეოლოგიური ნივთები და საკუთარი თანხებით დაბეჭდილი „ქილილა და დამანა“; უცოლშვილად დარჩენილი გ. გურიელი ზრუნავდა ძმისწულის ვანო გურიელის აღზრდაზე. იგი მატერიალურ დახმარებას უწევდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ნიკო მარსაც.

10. იგულისხმება ნ. მარის სადიპლომო ნაშრომი, რომელიც აკადემიამ ვერცხლის მედლით აღწაფნა (იხ. კომ. 6). ალ. ცაგარელმა მოითხოვა ნაშრომის დისკვალიფიკაცია. მხოლოდ როზენის ჩარევამ შეცვალა ვითარება და ნაშრომი ოქროს ნაცვლად დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

11. ჩუბინოვი — დავით იოსების ძე ჩუბინაშვილი (1814—1891) — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი ქართველი მკვლევარი ისტორიკოსი, ფილოლოგი, ლექსიკოგრაფი.

დ. ჩუბინაშვილი დიდი საზოგადო მოღვაწე იყო; აქტიური წევრი ყველა კულტურული საზოგადოებისა, საპატრიო წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელსაც მან უნდერძა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა.

12. სერებრიაკოვი — იგივე ოქრომქედლიშვილი ილია ლაზარეს ძე (1838—1898). მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 60-იან წლებში, თანამშრომლობდა ილ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“, მონაწილეობას იღებდა ქართული „ვისრამიანის“ ბეჭდვაში, საქართველოში სხვადასხვა სკოლების დაარსებაში, ხე-ტყის ქარხნის მოწყობაში და სხვა. იყო ილ. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი.

13. იგულისხმება სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დავითის ძე დადიანის (1847—1903) მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მან 1885 წელს უნდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ბიბლიოთეკაში დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი „მინგრელსკის ქართლის ცხოვრების“ ვარიანტს უწოდებს — ესაა ლიტერატურაში „დადიანისეული“ ნუსხის სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერი „ქართლის ცხოვრებისა“, გადაწერილი XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ამჟამად იგი, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-354).

14. ნაბეჭდ ქართლის ცხოვრებაში იგულისხმება მარი ბროსეს მიერ დაბეჭდილი 1894 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა, I ტომი „ქართლის ცხოვრებისა“ (ორ წიგნად — I ტექსტი და II — ფრანგული თარგმანი). II ტომში მარი ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდეს XVIII საუკუნეში სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი თხზულებები. „ქართლის ცხოვრების“ ბეჭდვის დროს მ. ბროსეს ხელთა ჰქონდა 3 ხელნაწერი XVIII საუკუნისა. გამოცემა მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ამიტომ ზ. ჭიჭინაძემ I ტომი 1897 წელს გადაბეჭდა, ხოლო II — 1912 წელს.

15. ნიკო გოცირიძე — ე. თაყაიშვილის თანაკურსელი პეტერბურგის უნივერსიტეტში; მუშაობდა ქუთაისში გადასახადთა ინსპექტორად. (იხ. Кавказский Календарь, 1889—90).

16. იგულისხმება ვანო გურიელი, გრიგოლ გურიელის ძმისწული, დათა გურიელის ვაჟი, ექვთიმე თაყაიშვილის გიმნაზიის ამხანაგი. იგი ექვთიმეს გაჰყვა (გრიგოლ გურიელმა გააყოლა ექვთიმეს) პეტერბურგში, სადაც ორივე სწავლობდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

✓ 17. უნივერსიტეტის კურსი ექვთიმე თაყაიშვილმა 1887 წლის გაზაფხულზე დაასრულა, ზაფხულის არდადეგებზე აღარ წამოსულა

და დაწერა დისერტაცია, რომელიც სექტემბერში წარადგინა; რადგან სახელმწიფო გამოცდები მას წარჩინებით ჰქონდა ჩაბარებული, მისცეს კანდიდატის ხარისხი.

18. იგულისხმება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის ჩამოსვლა საქართველოში 1888 წ.

19. იგულისხმება მარი ბროსეს ვაჟის ლორან ბროსეს მიერ შედგენილი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია მარი ბროსეს ნაშრომებისა, რომელიც გამოქვეყნდა პეტერბურგში 1887 წელს.

20. „მოგზაურობა“ ანუ იგივე „Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае“, 1886 г.

21. გულისხმობს ექვთიმეს, რომლის მეშვეობითა და შუამდგომლობით მიიღო გრიგოლ გურიელისგან 25 მანეთი.

22. იგულისხმება ალ. ცაგარლის „Сведения“-ს 1 ნაკვეთი.

23. იგულისხმება ლორან ბროსეს „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (იხ. კომ. № 19).

✓24. ნ. მარის ეს რჩევა თეიმურაზ II-ის „სარკე-თქმულთას“ კრიტიკულ გამოცემას ეხება, რომლის დაბეჭდვა ვედარ მოხერხდა.

✓25. გრიგოლ ქორქაშვილი — ქუთაისის სტამბის მეპატრონე და წიგნების გამომცემელი. მან გამოსცა თეიმურაზ II-ის „სარკე-თქმულთას“ I ნაწილი ქუთაისში 1870 წელს. მეორე ნაწილი აღარ გამოსულა 1939 წლამდე. გამოცემა განახორციელა გ. ჯაკობიამ.

26. იგულისხმება თეიმურაზ II-ის „სარკე-თქმულთას“ ხელნაწერები, რომლებიც ნ. მარს უნდა დაეძებნა ექვთიმესათვის პეტერბურგის სიძველეთსაცავებში (სააზიო მუზეუმში და საჯარო ბიბლიოთეკაში). საჯარო ბიბლიოთეკის ორი ხელნაწერიდან ერთი არის № 13 (სარკე-თქმულთა), ხოლო მეორე — № 37 (კრებულში — იგივე „სარკე-თქმულთა“).

27. ჩარდავრიშინი — საზღაპრო ეპოსის ნიმუში, სპარსული ზღაპარი ოთხი დერვიშის შესახებ; გადმოღებულია „ყისაჲ ჩაპარ დერვიშიდან“, ქართულად თარგმნილი XVII საუკუნის II ნახევარში. მთარგმნელი უცნობია. თხზულება ეკუთვნის მოთხრობათა იმ ციკლს, რომელთაც განუცდიათ არაბული „ათას ერთი ღამის“ ძლიერი გავლენა. შინაარსით „ჩარდავრიშინი“ იმავე სპარსულ-მუსლიმანურ-იუდაისტურ ნიადაგზეა დამყარებული. ძეგლი ორჯერაა თარგმნილი 1876 და 1890 წწ. ცნობილია მისი ორი უძველესი ნუსხა: ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის შიგერ 1778 წ. გადანუსხული — (A-860) და მეორე — ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავის ხელნაწერი 1785 წელს გადაწერილი ვინმე ფარსადის მიერ.

№28. ნ. მარი მუშაობდა თეიმურაზ II-ის „თიმსარიანის“ გამოცემაზე, მაგრამ არ გამოუცია.

29. ა. ცაგარელისა და ნ. მარის უთანხმოების შესახებ იხ. კომენტარი № 5.

30. ვიქტორ რომანის ძე როზენი (1849—1908), ბარონი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი რუსი ორიენტალისტი (არაბისტი) და ბიზანტინისტი. რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების დამაარსებელი და მისი თავმჯდომარე; საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების პერიოდული გამოცემის „Записки Восточного отделения Русского Археологического Общества“-ს რედაქტორი. მისი მოწაფეები იყვნენ: ვ. ვ. ბარტოლდი, ე. ი. კრაჩკოვსკი, ნ. მარი და სხვ.

31. პატკანოვი ქეროპე — (1834—1889) — პეტერბუოგის უნივერსიტეტის პროფესორი; ორიენტალისტი-არმენოლოგი. 1863 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი შრომისათვის „Опыт истории династии Сасанидов по сведениям армянских источников“ (1864 წ.), ხოლო დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის: „Исследование о составе армянского языка“. ეკუთვნის სხვა შრომებიც: სომხური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნარკვევი და სხვა.

32. ზალემანი კარლ ჰენრიხის ძე (1849—1916) — ცნობილი ირანისტი, აკადემიკოსი, აზიური მუზეუმის დირექტორი; 1875 წელს დიპლომა მაგისტრის ხარისხი ნაშრომზე: „Четверостишие Хакани“. 1886 წელს იგი აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად, ხოლო 1889 წელს ექსტრაორდინალურ აკადემიკოსად.

33. ლევან დავითის ძე გურიელი (გარდ. 1888 წ.) — გრიგოლ გურიელის ძმა, მამია გურიელის შვილიშვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. ყირიმის ომის დროს (1853—56) კავკასიის ფრონტზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში სოფ. ნიგოთთან სარდლობდა რუსის ჯარში შემავალ გურიისა და იმერეთის რაზმებს. იგი მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1877—78 წლის ომშიც.

34. ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე (1826—1890). ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. 1890 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. სამშობლოში დაბრუნებული ერთხანს მასწავლებლობდა. აქტიურად მონაწილეობდა გაზეთ „დროების“ დაარსებაში; ბეჭდავდა სტატიებს ე. „ცისკარში“ და „დროებაში“, თანამშრომლობდა აგრეთვე „მნათობში“

(1869—1872), „იმედში“ (1881—1883), „ივერისა“ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი რედაქტორობით გამოვიდა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“ (1885), მისი მონაწილეობით შედგა კავკასიის არქეოლოგიური აქტების ხუთი ტომი. დ. ბაქრაძის პირადი ინიციატივით დაარსდა ქართულ სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა რევოლუციამდელ საქართველოში თბილისის საეკლესიო მუზეუმი; იგი იყო პუტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. 1881 წლიდან 1886 წლამდე ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებას“. იყო საეკლესიო მუზეუმის დირექტორი; ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა; სამეცნიერო მიზნით ბევრი იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, რომელთა შედეგია მისი ნაშრომები: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (1878) „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“ და მრავალი სხვა.

წ 35. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა 1879 წელს ი. ჭავჭავაძის, დ. ყიფიანის, ი. გრგვამაშვილის და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით. საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო ცოდნის გავრცელება ქართველებში და ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული ძეგლების შეგროვება, დაცვა-შენახვა და პატრონობა. ამ მიზნით საზოგადოება ხსნიდა სიძველეთა საცავებსა და მუზეუმებს, რომლებშიც თავს უყრიდა ხელნაწერებს და ისტორიულ დოკუმენტებს, ხელოვნებისა და კულტურის ძეგლებს. შეგროვილი ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები ინახებოდა საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

36. ივულისხმება მისი ჰიპოთეზა ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ (იხ. კომ. № 2) ნ. მარმა სიტყვა მისცა ვ. როზენს. თავის მასწავლებელს, რომ დისერტაციის დაცვამდე არ იმუშაებდა ამ საკითხზე, ამიტომ ამბობს „ღმერთმა მაშოროსო“.

37. ნ. მარის სამაგისტრო თემა თავდაპირველად იყო „სიბრძნე ზალაფარისას“ ქართული რედაქციები. მაგრამ როცა ალ. ცაგარელმა ამ ძეგლის გამოცემა განიზრახა რუსული თარგმანითურთ და სათანადო მეცნიერული აპარატის დართვით, ბუნებრივია, იგი იძულებული გახდა შეეცვალა სადისერტაციო თემა.

38. გრიგოლ ჩარკვიანი — წიგნის მალაზიის ცნობილი მეპატრონე და გამომცემელი.

39. დავით ქუთათელაძე — ნ. მარის უახლოესი მეგობარი პუტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. თბილისში დაბრუ-

ნების შემდეგ ე. თაყაიშვილს არქეოლოგიური გათხრების ჩატარებაში ეხმარებოდა. მუშაობდა ოლთისის ოლქში ინსპექტორად, შემდეგ ვახტანგ ამიერკავკასიის ბანკის დირექტორი.

40. იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე (1866—1949) — გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ძმა, კრიტიკოსი, ნიკო მარსია და ე. თაყაიშვილის მეგობარი; ავტორია ორტომიანი მოზრდილი ნაშრომისა „ქვემო ქართლი“, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის.

41. ქართველთა შორის წ. კ. გ. საზ-ის ბიბლიოთეკის წესრიგში მოყვანის მიზნით საზოგადოების გამგეობამ შექმნა საგანგებო საბიბლიოთეკო კომისია. 1889 წელს ე. თაყაიშვილი საბიბლიოთეკო კომისიის უკეთ მუშაობის გაშლის მიზნით გამგეობის სხდომაზე გამოდის პროექტით, რომელიც გულისხმობდა წიგნსაცავის დაკომპლექტებადამუშავებას, კატალოგიზაციას და მისი (ბიბლიოთეკის) ბინის საკითხის მოგვარებას. პროექტი 17 მუხლისაგან შედგებოდა. გამგეობის კრებამ სახელმძღვანელოდ მიიღო ექვთიმეს პროექტი ბიბლიოთეკის მოწყობის წესების შესახებ. აირჩიეს კომისია დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, თ. ყორღანიას, ნ. მთვარელიშვილის და ი. მანსვეტაშვილის შემადგენლობით, რომლებსაც მიანდევს ბიბლიოთეკის მართვა-გამგებლობა.

42. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ე. თაყაიშვილი 1887—1894 წლებში თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში მასწავლებლობდა. აქ ის თავდაპირველად ლათინურ ენას ასწავლიდა, ხოლო შემდეგ გეოგრაფიას, ისტორიას და ბერძნულ ენას.

43. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის მიერ საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ, რომლის წევრი იყო ექვთიმე თაყაიშვილი, განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდა ხელი ქართულ ხელნაწერთა მეცნიერული კატალოგის შედგენას; ეს საქმე კომისიამ ე. თაყაიშვილს მიანდო.

44. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ხელნაწერი, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაიწერა და ამიტომაც ეწოდა მას „მარიამისეული“ ნუსხა. ხელნაწერი გადაწერილია 1633—46 წლებში. იგი აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ 1884 წელს. ე. თაყაიშვილმა შეისწავლა და გამოაქვეყნა ხელნაწერი (1906 წელს). „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა შეიცავს საქართველოს ისტორიას XIV საუკუნემდე. ნუსხა ინახებოდა წ. კ. გ. საზოგადოების ბიბლიოთეკის ფონდში, ამჟამად იგი დატულია კ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-30).

45. თედო ყორღანია (1854—1916) — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ლიტერატურის მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, „ივე-

რიისა“ და „მოამბის“ აქტიური თანამშრომელი, მრავალი გამოკვლევის ავტორი საქართველოს ისტორიის დარგში. გამოსცა „ქრონიკები“, „ქართული ეკლესია-მონასტრების ისტორიული საბუთები“, ხელნაწერთა აღწერილობა (საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები). დ. ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ განაგებდა საეკლესიო მუზეუმს.

46. მთვარელაშვილი ნიკო (1844—1923) — ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი, მწერალი, ქართული ენის მასწავლებელი თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში. წ. კ. გ. საზოგადოების საქმის მწარმოებელი. 1887 წელს მან შეადგინა საზოგადოების გამგეობის თხოვნით მოკლე სამეცნიერო კატალოგი საზოგადოების წევრებისათვის. კატალოგში შევიდა 1887 წლამდე წიგნსაცავში მოხვედრილი წიგნები 939 ბეჭდური და 395 ხელნაწერი წიგნის აღწერილობა, რომელიც 7 განყოფილებისაგან შედგებოდა. მიუხედავად გარკვეული ნაკლისა ეს აღწერილობა მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ დროისათვის.

47. ე. თაყაიშვილი გულისხმობს კომისიის წევრებს თ. ჟორდანიასა და ნ. მთვარელაშვილს.

48. საეკლესიო მუზეუმში დაარსდა სიონის ტაძართან 1884 წელს დ. ბაქრაძის ინიციატივითა და თაოსნობით. ეს იყო ქართული ისტორიული ძეგლების, დოკუმენტებისა და ხელნაწერი წიგნების საცავი. მისი თავმჯდომარე 1890 წლამდე იყო დ. ბაქრაძე. დ. ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარე გახდა თ. ჟორდანიას. 1921 წელს საეკლესიო მუზეუმში გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხოლო 1930 წელს იგი შეუერთდა სახელმწიფო მუზეუმს.

49. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა. დაცული იყო ლენინგრადის ყოფილ სააზიო მუზეუმში (№ 13) (იხ. კომ. № 7).

50. ბროსე მარი ფელისიტე (1802—1880) — გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი და არმენისტი, ორიენტალისტი. მისმა შრომებმა მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიას ევროპაში. ბროსეს თავის დროზე ეხმარებოდნენ ე. სენ მარტენი და პეტერბურგში მცხოვრები თეიმურაზ ბატონიშვილი. 1837 წელს ბროსე რუსეთში მიიწვიეს; 1838 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნ. აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის ხაზით; 1847—48 წლებში იმოგზაურა საქ-ში, შეაგროვა და გამოაქვეყნა ძალზე საინტერესო ისტორიული მასალა.

განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში. მან გამოსცა ძეგლის ვახტანგისეული ვარიანტი (როგორც ქართული, ისე ფრანგული თარგმანი), რომელსაც შემდეგ

დაურთო იმ დროისათვის მდიდარი სამეცნიერო აპარატი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბროსეს დამსახურება საქართველოს ისტორიის წყაროების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში.

51. ექვთიმეს მხედველობაში აქვს ნ. მარის წეოლიი „Мудрость Балавара, грузинская версия „Душеполезной истории о Варлааме и Иоасафе“, ЗВО, 1889 г., т. III.

52. წერილში ექვთიმე სთხოვს ნ. მარს როგორმე დ. ჩუბინაშვილს შემოაწირვინოს საზოგადოებისათვის მისი მდიდარი ბიბლიოთეკა. იმხანად დავით ჩუბინაშვილი ავად იყო და ეტყობა ექვთიმეს შეეშინდა ეს ბიბლიოთეკა სხვას არ ჩავარდნოდა ხელში. დიდი იყო ამ ბიბლიოთეკის ღირებულება როგორც მეცნიერული, ისე მატერიალური თვალსაზრისით; ბიბლიოთეკაში დაცული იყო საუკეთესო წიგნები და ხელნაწერები, პერიოდული გამოცემები და უცხო წიგნები, რომლებიც საქართველოს შეეხებოდა. ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს არ უზრუნიათ, რომ ეს სიმდიდრე საქართველოში ჩამოეტანათ. მისი მემკვიდრეობის ნაწილი ი. ჭავჭავაძის ზრუნვითა და მეცადინეობით გადაარჩა. საბოლოოდ საზოგადოებამ მიიღო ამ ბიბლიოთეკის მხოლოდ მცირე ნაწილი. დარჩენილი ნაწილი 1922 წელს ჩამოიტანეს საქართველოში შ. ამირანაშვილმა და ა. შანიძემ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ხელნაწერები ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, წიგნები კი განაწილდა სხვადასხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.

53. ოლივერ უორდროპი (1865—1948) — ინგლისელი დიპლომატი, მწერალი და მთარგმნელი; რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში; თავისი შთაბეჭდილებები მან აღწერა წიგნში „საქართველოს სამეფო“, რომელიც 1888 წელს გამოიცა. საქართველოში მოგზაურობის დროს იგი აგროვებდა ქართულ ხელნაწერებს ბოდლეს ბიბლიოთეკისათვის. ო. უორდროპმა თავის დასთან მარჯორი უორდროპთან ერთად ინგლისურად თარგმნა „ქართული ხალხური ზღაპრები“ (1894). მან თვითონ თარგმნა და გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცოცხლისა“, „ვისრამიანი“ (1919), გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დება“ (1914) და მარჯორის მიერ პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ (1912):

54. ექვთიმე გულისხმობს ალ. ცაგარლის „Сведения“-ს II ნაკვეთს, რომელიც სწორედ 1889 წელს გამოვიდა.

55. ამ ხელნაწერის აღწერილობას ექვთიმე უგზავნის ნ. მარს. გრძელივეის ნუსხა ექვთიმეს შემთხვევით ჩავარდნია ხელში. იგი გადაწერილია 1856 წელს „სტირიდონ ბერის სიმონ ყოფილი გრძელივეის მიერ“. ხელნაწერის მფლობელს ექვთიმე წერალში არ ასახელებს. მას

იმედი ჰქონდა, რომ ხელნაწერს შემოაწირვინებდა საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩანს ეს იმედი გაუცრუვდა. გრძელიევის ნუსხა ექვთიმე გაუგზავნა ალ. ცაგარელს, როგორც ყველასაგან განსხვავებული და საინტერესო. ხელნაწერის დაბრუნების შემდეგ მფლობელს არ უნებებია მისი საზოგადოებისათვის შეწირვა. როდესაც ე. თაყაიშვილი შეუდგა „სიბრძნე ბალავარისას“ გამოცემას, ეს ხელნაწერი უკვე ვეღარ მოუპოვებია. ცნობები გრძელიევის ნუსხის თაობაზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული ალ. ცაგარლის გამოცემაში.

[56. იგულისხმება „სიბრძნე ბალავარისას“ 1860 წელს გადაწერილი ნუსხა „ახნაურის გუბერნსკი სეკრეტარის ანტონი ზაქარიას ძის დაფქვიევის მიერ“ — წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი, რომელიც ნ. დაფქვიამვილმა შემოსწირა საზოგადოებას. ამჟამად ის დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-1106). თავდაპირველად ძეგლის მხოლოდ ეს ნუსხა იყო ცნობილი; ხელნაწერმა მიიქცია ნ. მარის ყურადღება. თავისი სტატია ბალავარის შესახებ მან სწორედ ამ ხელნაწერზე დაამყარა (იხ. ე. თაყაიშვილი, სიბრძნე ბალავარისი, თბ., 1895).

57. 1889 წლის დამდეგს დ. ბაქრაძემ ე. თაყაიშვილი წაიყვანა მცხეთაში იქაური მონასტრებიდან ხელნაწერების ჩამოსატანად. ეს ხელნაწერები დაედო საფუძვლად ახლად დაარსებულ საეკლესიო მუზეუმს.

58. გულისხმობს გრძელიევის ნუსხას („სიბრძნე ბალავარისას“).

59. იგულისხმება „ახალი ვარიანტი. წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ — გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა, ტფილისი, 1891 წ.

60. „ივერია“ — ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი (1886—1906).

61. ექვთიმე გულისხმობს „ნინოს ცხოვრების“ თაობაზე დ. ბაქრაძისა და თ. ჟორდანიას შენიშვნებს, რომლებიც მათ გამოაქვეყნეს „ივერიაში“. დ. ბაქრაძემ 1889 წელს № 6-ში გამოაქვეყნა წერილი: „ახლად აღმოჩენილი შესანიშნავი მანუსკრიპტი“, რომელშიც იძლეოდა მოკლე ცნობებს „მოქცევა ქართლისას“ ხელნაწერზე; ეს ხელნაწერი ნ. მარმა აღმოაჩინა ალექსი-მესხიშვილის მიერ შეწირულ კოლექციაში; იგი წარმოადგენს კრებულს (№ 1141), რომელშიც მოთავსებულია „მოქცევა ქართლისა“. ამავე ნუსხას ეხება თ. ჟორდანიას წერილიც.

62. ნ. მარს მხედველობაში აქვს ს. ოლდემბურგის მიერ აღმოჩენილი ძველი სპარსული თარგმანი, რომლის შესახებ დაიბეჭდა საგანგებო წერილი. იხ. С. Ольденбург, „Персидский извод повести о Варлааме“, ЗВО, т., IV, 1889 г.

63. იგულისხმება: „Записки Восточного отделения Русского Археологического Общества“.

✓64. ნ. მარის მიერ აღმოჩენილი ბალავარიანის ნუსხის (დაფქვიევის ხელნაწერი — S-1106) ბოლოს მოთავსებული იყო „ქართლის მოქცევის“ შატბერდული ვარიანტი.

65. როგორც ცნობილია, 1883 წელს წ. კ. გ. საზოგადოების წიგნსაცავს შეემატა მ. ალექსი-მესხიშვილის შემოწირულობა — 55 ძველი ხელნაწერი. ამ ხელნაწერთა შორის იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — შატბერდული ვარიანტი. სია ამ ხელნაწერებისა შეადგინა ნ. მარმა. ამ ხელნაწერთა აღწერაც მანვე გააკეთა და გამოაქვეყნა კიდეც „ივერიის“ 1888 წლის 236-ე, 238-ე, 254-ე ნომრებში.

66. ფარსადან გორგიჯანიძე (1626—1696) — ისტორიკოსი, ავტორი „ოსმანთა მეფეთა ცხოვრებისა“, „როსტომიანის“ გადამწერო და სათაურების გამლექსავი. ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“ დაკულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში — H-23 (G—b; H-8). (იხ. P. P. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения, вып. I, М.—Л., 1956, № 5—6).

მანვე შეადგინა ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი; გამოცემულია ორჯერ (იხ. მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, ტფ., 1896, ფ. გორგიჯანიძე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, გამოსცა ფუთურიძემ, თბ., 1941).

✓ნ. მარი და ექვთიმე დამოუკიდებლად მუშაობდნენ ფ. გორგიჯანიძის ხელნაწერებზე, მაგრამ არცერთს არ გამოუცია ძეგლი.

67. იგულისხმება „ბალავარიანის“ გრძელიევის ნუსხა (იხ. კომ. № 58).

✓68. ლაპარაკია ნ. მარის ხელნაწერზე — „ბალავარიანის“ დაფქვიევისეულ ნუსხაზე (იხ. კომ. № 56).

✓69. ნ. მარის მიერ აღმოჩენილ „ბალავარიანის“ ხელნაწერში (დაფქვიევის ნუსხაში) „ქართლის მოქცევის“ შატბერდული რედაქცია ბოლოს იყო მოქცეული. პირველად ის ნახა ნ. მარმა მესხიშვილის შემოწირულ ხელნაწერებში და მასვე შეეძლო მიეწოდებინა ცნობა საზოგადოებისათვის ამ ხელნაწერის არსებობის შესახებ. ექვთიმე სწორედ ამას საყვედურობს ნ. მარს რომ აღმოჩენის სახელი „სხვას გაატანა“ (ანუ დ. ბაქრაძეს).

70. იგულისხმება დ. ბაქრაძის ნაშრომი: „ისტორია საქართველო-სი“ (უძველესი დროიდან მე-X საუკუნის დასასრულამდე), თბილისი, 1889 წ. გვ. 134, შენიშვნა № 1.

✓71. იგულისხმება „სიბრძნე ბალაგარისას“ 1860 წელს გადაწე-რილი დაფქვევის ნუსხა — S-1106.

72. ექვთიმე აქ შეცდომას უშვებს, ბაქარის ნაცვლად უნდა იყოს ბაგრატი, ბატონიშვილი, XVI საუკუნის მოღვაწე (1571—1473 წ.); მას ეკუთვნის პოლემიკური ანტიმაკმადიანური თხზულება სახელწო-დებით „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთაჲ“. ეს თხზუ-ლება შემდგომ გაულექსავს გიორგი XI-ის ბრძანებით შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ ღუმბაძეს (1647—1713).

73. ექვთიმემ გაუგზავნა ნ. მარს ბაგრატ ბატონიშვილის „მოთხ-რობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ“-ის წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი, გადაწერილი 1833 წელს. ხელნაწერი ამჟამად კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (S-1338).

74. იგულისხმება იმავე ბაგრატ ბატონიშვილის თხზულების „მო-თხრობაჲ“-ს სხვა ხელნაწერი, გადაწერილი თეოფანე ხუცეს-მონაზონის მიერ 1815 წელს; დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-126).

75. „სამი ისტორიული ხრონიკა“, ვრცელი წინასიტყვაობით და გამოკვლევით გამოიცა თბილისში 1890 წელს.

76. ექვთიმე თაყაიშვილი წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერების აღწერილობას ნაწილ-ნაწილ ბეჭდავდა „ივერიის“ ნომრებში, ჯერ ახლად შეწირულებს, ხოლო შემდეგ ძველებს (იხ. გაზეთი „ივერია“, 1890 წ., №№ 3, 4, 6, 8, 9, 11, 13, 14, 15, 20, 28, 29, 46, 57, 58).

77. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ დადიანისეული ნუსხა, რომელიც XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშია გადაწერილი. ხელნაწერი დაცულია მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-სტიტუტში (S-354).

78. ექვთიმეს მხედველობაში აქვს საკავშირო მეცნიერებათა აკადე-მიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფი-ლების ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცული ფარსადან გორგიჯა-ნიძის „საქართველოს ისტორიის“ ხელნაწერები H-23 და H-41 (იხ. *В. Р. Орбели, Грузинские рукописи...*, вып. I, М.-Л., 1956, № 5—6).

✓79. „კათალიკოზ-ბაქარიანი“ მღვდლის იესე ტლაშაძისა, მოთხ-რობა ლექსად“ თავისი ხარჯით გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა 1895 წელს. თხზულება შემორჩენილია ერთადერთი ნუსხით, რომელიც ეკუ-თვნის XIX საუკუნის I. მეოთხედს; დაცულია ხელნაწერთა ინსტი-ტუტში, S-953 (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ის-ტორია, ტ. II, 1981).

80. ილია ნაყაშიძე (1866—1923) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და კრიტიკოსი.

№81. „თიმსარიანი“, თარგმნილი სპარსულიდან მეფის თეიმურაზის მიერ“ გამოიცა ექვთიმეს წინასიტყვაობით და რედაქციით, საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის მოყვარეთა გამოცემა, თბ., 1903 წ.

82. „შვიდვეზირიანი“ ანუ „თიმსარიანი“ სომხურიდან უთარგმნილი ვინმე მ. ახპეტელის (გამოცემულია ორჯერ 1881 და 1892 წელს). ძველი ძალზე დაშორებულია „სინდბადისავან“, თუმცა ზღაპრების ქარგა იგივეა, რაც „თიმსარიანში“. შვიდვეზირიანის საკმაოდ შემოკლებული ვერსია დაცულია ხელნაწერში S-2586 (XIX საუკ.).

83. მ. ახპეტელი — „შვიდვეზირიანის“ სომხურიდან მთარგმნილი და მისი გამომცემელი (1881 და 1892 წლებში). ამავე ახპეტელის გადაუსწორებია ა. ხომტარიას მიერ თბილისში 1885 წელს გამოცემული „ვარშაყიანი“-ს პირველი ქარი, რაც კ. კეკელიძის სიტყვით იმაში გამოიხატა, რომ ძველი ფორმები მ. ახპეტელის შეუსწორებია ახალი ქართულის ნორმების მიხედვით. (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1981, გვ. 444).

84. სეფევიდები — სპარსული დინასტია, რომლის დამაარსებელი იყო შაჰ-ისმაილ I (1502—24); იარსება 1736 წლამდე.

85. ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია საქართველოსი“-ს ტექსტის ნაწილი, რომელსაც ნ. მარი ეხება, გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა, ხოლო მარი ბროსემ კი თარგმნა იგი. დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თხზულების მეოთხე ნაწილი („როსტომ მეფის ცხოვრება, გამოწერილი საქ. ისტორიიდან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, ქ. ცხ. დასაბამით გან XIX საუკუნემდე“. ჩუბინაშვილმა ამ თხზულებას უწოდა „История Грузии, Горгиджанова“. ამ ნაწყვეტის გამოცემისას ჩუბინაშვილს უსარგებლია H-41 ხელნაწერთ. (იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი; რევას კიქნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 1975).

86. ივლისხმება ფ. გორგიჯანიძის „არაბულ-სპარსულ-ქართული ლექსიკონი“ (იხ. კომ. № 66).

87. ივლისხმება ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია საქართველოსი“, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცული ხელნაწერი: ხელნაწერის მფლობელი იყო თეიმურაზ ბაგრატიონი, რომლის ხელითაც არის მიწერილი: „История Грузии собрания Горгиджанова“ (Р. Р. Орбели, Грузинские рукописи. вып. I, М., Л., 1956, № 5—6).

88. პლატონ იოსელიანი (1809—1875) — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ავტორი მრავალრიცხოვანი ისტორიული თხზულებებისა, ლიტერატურული წერილებისა და მონოგრაფიების. 1845—56 წლებში იგი რედაქტობდა პერიოდულ რუსულ გაზეთს „Закавказский Вестник“-ს, რომელიც თბილისში გამოდიოდა; გამოსცა ქართული ანბანი, ქართული გრამატიკა, კალენდარი. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. გამოსცა ჩახრუხადის „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „დიდმოურავიანი“, ტ. გაბაშვილის „მიმოსვლა“, ანტონის „წყობილ-სიტყვაობა“ და სხვა. მის თხზულებათაგან აღსანიშნავია „Краткая история грузинской церкви“, „ცხოვრება მეფისა გიორგი მეათამეტისა“ და სხვ.

89. პლატონ იოსელიანის კუთვნილი დედანი ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიისა“ არის თბილისური ნუსხა H-2140 და H-2142. ეს ავტოგრაფული ნუსხა მექანიკურადაა გაყოფილი ფრაგმენტად და ძირითად ნუსხად. იგი 1841 წელს აღმოაჩინა პლატონ იოსელიანმა და იმავე წელს ათხოვა მ. ბროსეს. აქედან გადანუსხა სვიმონ ტაბიძემ 1841—1843 წლებში ორი პირი ბროსესა და თეიმურაზისათვის.

90. დიოკლეტიანე, რომის იმპერატორი (284—305); მის სახელთან არის დაკავშირებული ქრისტიანთა დევნა.

91. ლერხი პეტრე ივანეს ძე (1828—1884) — რუსი ორიენტალისტი და არქეოლოგი.

92. ნ. მარის სამაგისტრო დისერტაციის თემა იყო ვარდანის არაკების კრებულის განხილვა ძველ სომხურ ლიტერატურაში.

93. ექვთიმე გულისხმობს „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ, დადიანისეულ ნუსხებს და ვახტანგისეულ რედაქციას.

94. იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული „სამი ასტორიული ხრონიკა“.

95. ალექსანდრე ხახანაშვილი (1866—1912) — ქართველი მეცნიერი, ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, ლინგვისტი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე. მისი კაპიტალური ნაშრომა 1895—1906 წწ. გამოცემული „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ“ (4 ნაკვეთი). მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ხაზით მან ექსპედიციები ჩაატარა საქართველოში. მუშაობის შედეგებს აქვეყნებდა „Экспедиции на Кавказ в 1892—93 и 1895 гг.“. ხახანაშვილმა ბევრ ქართულ ხელნაწერს მიაკვლია, რომელიც შემდეგ თვითონვე თარგმნა რუსულ ენაზე.

96. ლატიშევი ვ. ვ. (1855—1921) — ცნობილი რუსი ფილოლოგი და ისტორიკოსი, შავიზღვისპირა ჩრდილო ბერძნული კოლონიების

მკვლევარი; 1893 წლიდან რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი. მის მრავალრიცხოვან შრომათა შორის აღსანიშნავია:

«Издание свода греческих и латинских надписей, найденных на юге России» (1805—1901), «Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе» (1893—1906), «Византийская Царская Миня», II., 1915, «К истории христианства на Кавказе» СПб., 1911, «Очерки грузинских древностей», СПб., 1889 г.

ეს უკანასკნელი ის შრომაა, რომლის გამოგზავნასაც სთხოვს ექვთიმე ნ. მარს.

✓97. ალ. ცაგარელი დიდხანს მუშაობდა „სიბრძნე-ბალავარისას“ ტექსტზე, მაგრამ გამოცემით იგი არ გამოუცია.

98. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

✓99. იგულისხმება „სიბრძნე-ბალავარისას“ ვ. როზენის მიერ აღმოჩენილი არაბული ვერსია.

100. ნ. მარი გულისხმობს ს. ოლდენბურგის მიერ მიკვლეულ სპარსულ ხელნაწერს (იხ. კომ. № 62).

101. ოლდენბურგი სერგეი თევდორეს ძე (1863—1934) — გამოჩენილი რუსი ორიენტალისტი, აკადემიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ბუდიზმისა და სანსკრიტის სპეციალისტი. იგი 25 წლის განმავლობაში იყო (1904—1929 წწ.) მეცნიერებათა აკადემიის მდივანი. ს. ოლდენბურგს ეკუთვნის შრომები ბუდიზმის ისტორიის, ძველი ინდური ხელოვნების და საზღაპრო ეპოსის, აგრეთვე ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ხელოვნების შესახებ და სხვ.

102. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

103. ლემი ოსკარ ელუარდის ძე — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის მკვლევ.

104. ნ. მარი აცნობებს ექვთიმეს, რომ წ. ქ. გ. საზოგადოების ხელნაწერთა კატალოგის დაბეჭდვა, როზენის წინადადების თანახმად, მას შეუძლია ЗВО-ში.

105. ე. თაყაიშვილმა ნ. მარს პეტერბურგში სამუშაოდ გაუგზავნა „თიმსარიანის“ 1811 წლის ხელნაწერი (ამჟამად ეს ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში — S-1538).

106. იოსებ თაყაიშვილი — ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მასწავლებელი დაწყებით სკოლაში, სპეციალობით იურისტი.

107. ეს უნდა იყოს ის ტიტულო ერისთავი, რომლის ძმის რეპე-

ტიტორად იყო ნ. მარი ერთხანს. ტ. ერისთავი იმხანად სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი იყო.

108. ძნელაძე და ქიქოძე ე. თაყაიშვილთან ერთად სწავლობდნენ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

109. ერმილე კაციას ძე ნაკაშიძე (1859—1937) ქართველი აგრონომი, ე. თაყაიშვილის ამხანაგი გიმნაზიიდან, წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მმართველი (1887—1896 წწ.).

110. წერილში ექვთიმე ეხება საეკლესიო მუზეუმს; დ. ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ მუზეუმი დარჩა თავმჯდომარის გარეშე.

111. ექვთიმეს მხედველობაში აქვს „თიმსარიანის“ წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი (იხ. კომ. № 105).

112. იგულისხმება პარხლის სახარება, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა იპოვა სურამის მახლობლად მდებარე სოფლის ზემოქალის ახალ ეკლესიაში; გადაწერილია სახარება 973 წელს შატბერდის მონასტერში. დაცულია აქამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-1453). (იხ. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945).

113. იგულისხმება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის I და II გამოცემა.

114. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული წესხა.

115. ვესელოვსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1848—1918) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი და არქეოლოგი, იკვლევდა რუსეთ-სპარსეთის დიპლომატიურ ურთიერთობებს. მისი შრომებიდან აღსანიშნავია:

«История русского археологического общества 1846—1896», СПб., 1900. «Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией», т. 1—3, СПб., 1890—98.

116. იგულისხმება ნ. ვესელოვსკის 1890 წელს რუსულ ენაზე გამოსული ნაშრომი: «Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией», т. 1—3, СПб., 1890—1898.

117. 1890 წ. ზაფხულში ნ. მარი გაემგზავრა ეჩმიადინში მივლინებით — სამაგისტრო დისერტაციისათვის მასალების შესაგროვებლად. ეჩმიადინში ის მუშაობდა „ვარდანის ივავთა კრებულის“ სომხურ ხელნაწერებზე. იყო სევანშიც, სადაც აღწერა 110 ხელნაწერი.

118. პეტრე ნაკაშიძე (1838—1895) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი.

119. მოსე ხორენელი — ტრადიციის თანახმად V საუკუნის სომე-

ნი ისტორიკოსი, „სომეხთა ისტორიის მამა“; ავტორია „სომეხთა ისტორიისა“, რომლის პირველი გამოცემა დაიბეჭდა ამსტერდამში 1695 წელს.

120. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

121. პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი იმხანად იყო მიხეილ ივანეს ძე ვლადისლავლევი (1840—1890 წწ.).

122. იგულისხმება ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი.

123. 1890 წელს ნ. მარს უნდა ჩაებარებინა სამაგისტრო გამოცდები. ალ. ცაგარელმა, რომელიც ერთადერთი სპეციალისტი იყო სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე, უარი განაცხადა დასწრებოდა ნ. მარსს გამოცდებს. მიუხედავად ამისა, ნ. მარსის გამოცდები მაინც ჩატარდა და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დადგენილებით მას მიენიჭა პრივატ-დოცენტის წოდება და უფლება წაეკითხა სომხური ენის ლექციების კურსი.

124. იგულისხმება ე. თაყაიშვილის მიერ 1890 წელს გამოცემული „სამი ისტორიული ხრონიკა“.

125. სომხურად ნიშნავს: „ღმერთმა გაგიმარჯოს“.

126. ჟუკოვსკი ვალენტინ ალექსის ძე (1858—1916) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, ნ. მარსის ცოლის ძმა; იკვლევდა ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას, შეისწავლა ქალაქ მერვის ნანგრევები, კ. ზალემანთან ერთად შეადგინა „ახალი სპარსული ენის გრამატიკა“.

127. ალექსანდრა ალექსის ასული ჟუკოვსკაია-მარი (1863 — 1940).

128. ნ. მარმა ე. თაყაიშვილის გამოცემას „სამი ისტორიული ხრონიკა“ უძღვნა რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა ЗВО-ში, 1890, VI.

129. იგულისხმება ალ. ცაგარლის „Сведения“-ს II ნაკვეთის გამოცემა.

130. კონდაკოვი ნიკოლიმე პავლეს ძე (1844—1925) — რუსი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, ქართულ სიძველეთმცოდნე, თბილისის უნივერსიტეტის პირველი საპატიო პროფესორი, მუშაობდა უმთავრესად ბიზანტიური, ძველი რუსული ხელოვნების ძეგლების შესწავლაზე. გულმოდგინედ სწავლობდა ძველ ქართულ ძეგლებსაც, აინტერესებდა მათი მიმართება ბიზანტიურ კულტურასთან. კონდაკოვმა დ. ბაქრაძესთან ერთად იმოგზაურა საქართველოში და მასთან თანამშრომლობით შეადგინა ცნობილი ნაშრომი „საქართველოს ზოგიერთ ტაძარსა და მონასტერში დაცული სიძველეთა ძეგლების აღწერილობა“.

ბა“ (1875 წ.). სწორედ ამ ნაშრომის გამოგზავნას სთხოვს: ექვთიმე ნ. მარს თავის წერილში. 1890 წელს ნ. მარმა „ივერიაში“ (№ 8) დაბეჭდა სპეციალური წერილი „წერილი პეტერბურგელად“, რომელიც ეხებოდა კონდაკოვის მოგზაურობას საქართველოში.

131. გულისხმობს ნ. მარის რეცენზიას მის წიგნზე: „სამი ისტორიული ხრონიკა“.

132. ე. თაყაიშვილის გამოცემა „მწ. ნინოს ცხოვრება“ დაიბეჭდა 1891 წ.: „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრების ანუ მორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“.

133. გულისხმობს ნ. მარის რეცენზიას „სამი ისტორიული ხრონიკის“ შესახებ.

134. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ საგანგებო კომისია შეადგინა ბიბლიოთეკის ხელნაწერი წიგნების კატალოგის შესადგენად, მათი პუბლიკაციის საქმე ამ კომისიამ მიანდო ე. თაყაიშვილს. ექვთიმე „ივერიის“ ნომრებში ათავსებდა თავის აღწერილობას. შემდეგ მან განიზრახა ვრცელი მეცნიერული კატალოგის შედგენა, რამაც დიდი კამათი და დისკუსია გამოიწვია. ეს დისკუსია გაიშალა „ივერიის“ ფურცლებზე. თ. ჟორდანიამ საგანგებო წერილი უძღვნა ამ საკითხს („როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი“, „ივერია“, 1891, 9/IV, № 12 ა). წერილში თ. ჟორდანიას უქმყოფილებას გამოთქვამდა, რომ კომისია, რომლის წევრი ის იყო, გაუქმდა და საქმე მიენდო ერთ კაცს (ანუ ექვთიმე თაყაიშვილს), რომელმაც ძალზე მოკლე დროში უნდა შეასრულოს ის საქმე, რომელსაც მისი აზრით 5—6 კაცის 5 წელი მუშაობა მაინც სჭირდება. მისი დასკვნა ასეთი იყო: უკანონოდ გაუქმდა კომისია და ასევე უკანონოდ მიენდო ეს საქმე ერთ კაცს. იგი ექვთიმეს მარცხს უქადდა. წერილი დაწერილია მწარედ, მკვახე ირონიით. თ. ჟორდანიას მოუწოდებს კომისიას კოლექტიური შრომისაკენ, სხვანაირად, მისი აზრით, ნაშრომი იქნება კუსტარული. თ. ჟორდანიას წერილის საპასუხოდ დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის: „წერილი რედაქციის მიმართ“. ექვთიმე ცდილობს გააბათილოს თ. ჟორდანიას ბრალდებები. აგვიწერს საქმის კუთხარით ვითარებას და შემდეგ გადადის პირდაპირ საგანზე — სამეცნიერო კატალოგის შედგენის პრინციპების განხილვაზე; აცნობს მკითხველთ თავის გეგმას, როგორ აქვს წარმოდგენილი მას სამეცნიერო კატალოგის შედგენა. „ივერიაში“ კვლავ იბეჭდება (1891 წელს 229, 230—231, 232—33 ნომრებში) თ. ჟორდანიას პასუხი: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველ მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენი ხელნაწერებისა“. ამ წერილში იგი კვლავ იცავს თავის პოზიციას, ედავება ექვთიმეს, უწუნებს ხელნაწერთა აღწერის გეგმას,

წიმუშებს, პროგრამას და დასკვნის — ამათი უვარგისობა გახდა ჩემი პასუხის მიზეზით. ავტორი იმეორებს თავის სექტეტურ აზრს, რომ ამ ვადაში არ შეიძლება შედგეს სამეცნიერო კატალოგი. კამათი დამთავრდა იმით, რომ ე. თაყაიშვილმა თავისი გეგმითა და პროგრამით შეადგინა სამეცნიერო კატალოგი. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი წიგნებისა და ხელნაწერების აღწერის საქმეს და საზოგადოების კრებას სულ მალე წარუდგინა 300 აღწერილი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. სხდომამ მოიწონა ისინი და კატალოგის დასაბეჭდად გამოჰყო თანხა 1200 მანეთის რაოდენობით. ჯილდოზე ექვთიმემ უარი განაცხადა, სანაცვლოდ ითხოვა კატალოგის 30 ეგზემპლარი. ე. თაყაიშვილის «Описание рукописей общества распространения грамотности...» ორ ტომს მოიცავს და რამდენიმე წაკვეთადაა გამოცემული.

135. ექვთიმე აქ გულისხმობს ადრე ნ. მარის მიერ მიწოდებულ ხელნაწერის აღწერის გეგმას და ინსტრუქციას (იხ. რ. კავილაძე; ე. თაყაიშვილი და ქართული ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1975 წ.).

136. იგულისხმება ალ. ხახანაშვილის წერილები ე. თაყაიშვილის შრომების შესახებ: „სამი ისტორიული ხრონიკა“ და „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. (იხ. ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 2109).

137. ექვთიმეს მხედველობაში აქვს ალ. ხახანაშვილის ნაშრომი «Об источнике введения христианства в Грузию», М., 1893 г. Из древностей восточных, «Труды Восточной комиссии Московского Археологического общества», вып. I—II—III—IV.

138. არსენ ვაჩესძე — არსენ იყალთოელი — XI საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, იყალთოს აკადემიის დამაარსებელი.

139. ლაპარაკია თეოდორე აბუკურას, არსენ ვაჩესძის თარგმანზე.

140. თეოდორე აბუკურა (740—820) — ქარანელი ეპისკოპოსი, ადრე პალესტინის საბას ლავრის ბერი, იოანე დამასკელის მოწაფე, ავტორი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებებისა.

141. არჩილ მეფე — (1647—1713) — კახეთის და იმერეთის მეფე და პოეტი.

142. იგულისხმება ექვთიმე მთაწმინდელი, XI საუკუნის მოღვაწე. ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი.

143. ბაგრატ IV (1027—1072) — სრულიად საქართველოს მეფე.

144. დავით პეტრიწონელი — პეტრიწონის მონაზონ-ბუტყისი, XI

საუკუნის მოღვაწე; არსენ ვაჩესძეს ანუ არსენ იყალთოელის თანამედროვე და თანამოღვაწე. არსენ ვაჩესძეს მისი იძულებით უთარგმნია „სომეხთა განმაქიქებელნი ზუთნი სიტყვანი“. (ვ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 279—280, 1981).

145. ეფთვიმე გრძელი — ანუ ეფთვიმე იერუსალიმელი, რომელსაც ლრტილის კრებაზე არტანუჯში დაუძარცხებია სოსთენი.

146. იასონ დავითის ძე ციციშვილი (1886—1933) ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი.

147 ანტონ II კათალიკოსი (1764—1827) — ერეკლე II-ის შვილი, აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი.

148. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

149. ნ. მარი გულისხმობს ე. თაყაიშვილს მიერ გამოცემულ „წმ. ნინოს ცხოვრებას“.

150. ისევ „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაზეა საუბარი.

151. თ. ჟორდანიასა და ექვთიმეს შორის რომ უსიამოვნება მოხდა სამეცნიერო კატალოგის შედგენასთან დაკავშირებით, ეს უსიამოვნება გადაიზარდა უთანხმოებაში. თ. ჟორდანიას გაუჩნდა თავისი მომხრეები, ექვთიმეს — თავისი.

152. ჭანაშვილი მოსე (1855—1934) — საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, 1897—1926 წწ-ში ქართული საეკლესიო ცუზუუმის განგე, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ისტორიულ საბუთთა გამომცემელი; მის თხზულებათაგან აღსანიშნავია: „საქართველოს ისტორია“, „ქართული მწერლობა“, ქართული ლექსიკონი, „საინგილო“, „ქართველები და ქართველური ენა“, „ქართული გრამატიკა“, „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“, „თამარ მეფე“, „გიორგი სააკაძე“ და სხვა. მასვე ეკუთვნის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა.

153. საქმე ეხება დ. ბაქრაძისაგან ნათხოვ ხელნაწერს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ თ. ჟორდანიამ აღარ დაუბრუნა წ. კ. გ. საზოგადოებების ბიბლიოთეკას. ისტორია ფრიად უსიამოვნო გამოვიდა. საჭირო გახდა ილია ჭავჭავაძის ჩარევა, შედგა სამედიატორო სასამართლო, რომელმაც მთლიანად გაამართლა ე. თაყაიშვილი. მთელი ეს ისტორია იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე (იხ. „ივერია“, 1891 წ., № 231, 235, 237, 1892, № 27).

154. ექვთიმე გულისხმობს დ. ბაქრაძის მეუღლეს.

155. ანტონ ფურცელაძე (1839—1913) — ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ხალხოსნური ორგანიზაციის აქტიური წევრი.

156. 1891 წელს სრულიად საქართველოს ეგზარქოსი იყო პალატი.

157. იგულისხმება მიხეილ თამაშვეცი (1852—1902) — თბილისის კომერციული ბანკის მმართველი, ფინანსიური კომისიის თავმჯდომარე. თამაშვეცი იყო ერთ-ერთი ინიციატორთაგანი კავკასიაში უმაღლესი კურსების დაარსებისა თბილისში; გარკვეულ ინტერესს იჩენდა იგი აღმოსავლეთის ისტორიისა და ლიტერატურისადმი; ხშირად ათავსებდა კავკასიის ყურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ხასიათის წერილებს. თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა მან უანდერძა მომავალ უმაღლეს სასწავლებელს, რომლის დაარსებასაც თბილისში თვითონ ინიციატორობდა.

158. იგულისხმება ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკი — ქალაქ თბილისის თავი 1891 წლიდან; ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომლის „გასინჯვაზეც“ ლაპარაკობს წერილში ექვთიმე.

159. ლაპარაკია ისევ „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაზე.

160. თ. უორდანიას წერილი „ივერიაში“: „როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი“ (წერილი რედაქციის მიმართ), № 120, 1891 წ.

161. ნ. მარის წერილი „როსტომიანის“ შესახებ დაიბეჭდა „ივერიაში“ (1891 წ. № 132, 133, 135).

162. ეზოვი//იეზოვი გერასიმე არტემის ძე (1835—1905) პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე.

163. ტომსონი ა. პეტერბურგის უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების მაგისტრი. 1891 წ. დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „Историческая грамматика современного армянского языка гор. Тифлиса“, დაიბეჭდა 1890 წ.

ამ შრომას ნ. მარმა უაჩყოფითი რეცენზია უძღვნა (ЗВО, т. V, 1891, с. 307 — 321). პასუხად ა. ტომსონმა დაწერა წერილი, სადაც მან არასწორად გადმოსცა ნ. მარის მიერ რეცენზიაში მოტანილი შესწორებები და შენიშვნები.

164. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

165. ექვთიმე გულისხმობს ნ. მარის „დაპირებულ“ რეცენზიას მის შრომაზე „სამი ისტორიული ხრონიკა“.

166. მორფილი უ. რ. (1834—1909) — ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. სლავური ენის სპეციალისტი; 1880 წელს იგი შეუდგა ქართული ენის შესწავლას. 1888 წელს იმოგზაურა საქართველოში. თავისი წერილებით ინგლისელ მკითხველს აცნობდა ქართულ ენასა და ლიტერატურას („ივერია“ № 29).

167. იგულისხმება მოსე ჭანაშვილის მიერ 1891 წელს გაზ. „ივერიის“ № 127-ში მოთავსებული წერილი, რომელიც ეხება მესხიშვილის კოლექციაში აღმოჩენილ „ქართლის მოქცევის“ ხელნაწერს. მ. ჭანაშვილი ბრალს სდებს ე. თაყაიშვილს, რომ მის მიერ გამოცემული „სამი ისტორიული ხრონიკა“ და „წმ. ნინოს ცხოვრება“ სავსეა მრავალგვარი შეცდომებით, რომელთაგან ზოგი დაუდევრობის ნაყოფია და ზოგიც უვიცობის შედეგი. მ. ჭანაშვილს ამ წერილში დასახელებული აქვს ექვთიმეს შეცდომების ოცამდე მაგალითი.

დასასრულს მ. ჭანაშვილი ჰპირდება მკითხველს, რომ ექ. თაყაიშვილის შეცდომებს ცალკე შეეხება ვრცლად.

168. იგულისხმება კარბელაშვილი პოლიექტოს გრეგოლის ძე (1865—1936), ქართველი მუსიკოსი, მგალობელი, მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და სიძველეთმცვლევარი. 1891 წლის „ივერიის“ 175 ნომერში პ. კარბელაშვილმა გამოაქვეყნა წერილი: „ისტორიკოსებს — არქეოლოგებს“. წერილის ავტორი მხარს უჭერდა თ. ჟორდანიას მიერ „ივერიის“ 127 ნომერში გამოთქმულ აზრს და თავის მხრივ დასძენდა, რომ „ქართველი ერის წარსულის ცხოვრებას აუარებელი მასალის შესწავლისათვის საკმარისი არაა ერთი კაცის თავდადებული შრომა. მისი აზრით, ე. თაყაიშვილი „უღონოა“ შეადგინოს სამეცნიერო კატალოგი, ამისათვის მას არც დრო და არც გამოცდილება არ ეყოფა. პ. კარბელაშვილი გამოთქვამს სინანულს. რომ „სამი ისტორიული ხრონიკა“ მარტო მისი თაოსნობით გამოიცა, როდესაც ეს შრომა ერთიორად უფრო მოიგებდა და სარგებლობასაც მეტს მოიტანდა, რომ მასში მონაწილეობა მიეღოთ მ. ჭანაშვილსა და თ. ჟორდანიასო. დასასრულ, ავტორს ჩამოთვლილი აქვს ექვთიმეს გამოცემაში დაშვებული შეცდომების ერთი ნაწილი. (იხ. „ივერია“, 1891 წ., № 175).

169. იგულისხმება საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარე არქიმანდრიტი ნიკოლოზი, თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორი.

170. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი დ. ბაქრაძის

სიცოცხლეში (და აგრეთვე 1891 წელს) იყო არქიმანდრიტი ტიხონი.

171. იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840—1912) — ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი.

172. საყმაწვილო ჟურნალის — „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელი იმხანობას იყო მწერალი ქალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. ჟურნალი გამოდიოდა 1890 წლიდან 1920 წლამდე.

173. ქართველიშვილი გიორგი (1827—1901) — თბილისელი სოცდაგარი, ქველმოქმედი, ქართულ კულტურულ საქმიანობათა ხელის შეწყობი. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრი. ქართველიშვილმა საკუთარი თანხებით გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.) და მთელი ტირაჟი წ. კ. გ. საზოგადოებას შესწირა.

174. იგულისხმება ე. თაყაიშვილის საპასუხო წერილი მ. ჯანაშვილის რეცენზიაზე („ივერია“, № 127, 1891 წ.). ექვთიმემ თავისი წერილი მოათავსა „ივერიის“ № 138-ში (იმავე 1891 წელს). ამ წერილში ექ. თაყაიშვილი წერდა; რომ უმართებულოდ მიაჩნია ის შენიშვნები, რომელზედაც მიუთითებს მ. ჯანაშვილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის გამოსვლასთან დაკავშირებით. იქვე მოჰყავს ქართული სიგელგუჯრების ამოკითხვის დროს. მ. ჯანაშვილის მიერ დაშვებული შეცდომებიც (ეს მასალა დაიბეჭდა „ივერიაში“).

175. ექვთიმეს პასუხად მ. ჯანაშვილმა გადაწყვიტა წერილის დაწერა და გამოსცა ცალკე წიგნად, სათაურით: „აღვადგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორებელი სახელმძღვანელო“, 1891 წ.

176. არისტო ქუთათელაძე (1850—1912), დავით ქუთათელაძის ძმა; ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი; მასწავლებლობდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში; დაბეჭდილი აქვს წერილები „ივერიაში“ საქართველოს სიძველეთა შესახებ.

177. ნ. მარი ერთხანს მუშაობდა სომხურ გამოცემათა ცენტორად. (იხ. კომ. № 8).

178. იგულისხმება კ. ზალემანისა და ს. ოლდენბურგის მიერ 1891 წლის ЖМНП-ს IX ტომში გამოქვეყნებული რეცენზია ა. ტომსონის შრომაზე (იხ. კომ. № 163).

179. იგულისხმება კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი.

180. იგულისხმება ე. თაყაიშვილის გამოცემათა „სამი ისტორიული ხრონიკის“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ შეცდომების გასწორების დამატებად დაბეჭდვა.

181. 1890 წელს ზაფხულში ნ. მარი მივლინებული იყო სომხეთ-

ში სამაგისტრო დისერტაციისათვის მასალების შესაკრებად და სამუშაოებლად, ხელნაწერების გასაცნობად ეჩმიოძინსა და სევანში. აქ ყოფნის დროს, ამ პერიოდშივე დაათვალიერა მან ანისის ნაქალაქევი. პეტერბურგში დაბრუნებისას დასაბეჭდად გაამზადა სახაფხულო მუშაობის შედეგები, ე. წ. მივლინების ანგარიში, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც ЗВО-ში, V, VI, 1892 წელს.

182. ანდრია მარი — ნიკო მარის პირველი ვაჟი, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.

183. გრიგოლ გურიელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნ. მარი სთავაზობს ექვთიმეს გამოსცენ კრებული, მიძღვნილი გრიგოლ გურიელისადმი და თან ჰპირდება მასალას: წერილს ჩაბრუნებაზე.

184. დავით ქუთათელაძეს ხელთ ჰქონდა ნ. მარის წერილი ჩაბრუნებაზე. დაიბეჭდა იგი მხოლოდ ნ. მარის გარდაცვალების შემდეგ ნარიმანის ფსევდონიმით (იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, 1935). თვითონ წერილი ნ. მარმა 1888 წელს დაწერა.

185. პატკანოვის გარდაცვალების შემდეგ სომხური და ქართული სიტყვიერების კათედრა ერთხანს თავისუფალი იყო. ფაქულტეტმა ამ ადგილზე ნ. მარი შეარჩია. დაიწერა საჩივრები. ამის შესახებ ნ. მარი თავის ავტობიოგრაფიაშიც წერს, როგორ გააგზავნეს დეპუტაცია ნაციონალისტურად განწყობილმა პეტერბურგის სომხური მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა სახალხო განათლების სამინისტროში თხოვნით, რომ ეროვნებით არა სომეხი არ მოეწვიათ სომხურ კათედრაზე. ამიტომ იყო, რომ სასწავლო ოლქი არ ჩქარობდა საკითხის გადაჭრას და უნივერსიტეტში შეკითხვას შეკითხვაზე აგზავნიდა: რა ეროვნებისა იყო ნიკო მარი. შემდეგ დაიწყეს იმის კვლევა თუ ვინ გამოსცადა ნ. მარი და ა. შ.

186. ანისი — შუა საუკუნეების სომხეთის ციხე-სიმაგრე და ქალაქი, სომხეთის დედაქალაქი ძველად. ამჟამად მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე (ყარსის ვილაიეთი).

ანისის პირველი არქეოლოგიური გათხრები ნ. მარმა მოაწყო 1892 წელს. აქედან მოყოლებული 1917 წლამდე იგი პერიოდულად თხრიდა ანისს (1892—93, 1904—16), ისე რომ 1917 წლამდე ნ. მარის მიერ ანისში ჩატარებული იყო 16 არქეოლოგიური ექსპედიცია. ნ. მარის ექსპედიციებმა გამოავლინეს ქალაქის ციტადელი, წარჩინებულთა სასახლეები, სასტუმროები, ტაძრები. ანისის ძეგლებიდან მნიშვნელოვანია: აკროპოლისის სასახლის ბაზილიკა (VII ს.), ქალაქის კოშკებიანი კედლები (ნანგრევები), 989—1001 წლებში აგებული გრანდიოზული კათედრალური ტაძარი (სამნავიანი ბაზილიკა გუმბათით) და

1001—10 წლებში აშენებულ სამიარუსიანი მრგვალი ტაძრის გაგიკაშენის ნანგრევები (ორივე ეკუთვნის ხუროთმოძღვარ თრდატს). აქვე არის ნაპოვნი გაგიკ I-ის უნიკალური ქანდაკება ეკლესიის მოდელით ხელში (ამჟამად ქანდაკება დაკარგულია), მეჩეთები და მინარეთები; ქართული ეკლესია ასომთავრული წარწერებით. ძველი ანისი კულტურული და ეკონომიური აღმავლობით ხასიათდებოდა. სამეფომ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მეფე გაგიკ I-ის (990—1020) დროს.

187. იგულისხმება „ვარდანის იგავთა კრებულის“ გამოცემის ტექსტის კორექტურები.

188. იგულისხმება ზაქარია ჭიჭინაძე (1854—1933) — ძველი ქართული მწერლობის ისტორიკოსი, ქართული მწერლობის ძეგლების გამომკემელი.

189. ლაპარაკია გაზეთ „ივერიაზე“.

190. იგულისხმება ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

191. „ჩეჯილის“ დამატება იყო ილუსტრირებული გაზეთი „კვალი“. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1893 წელს. მას (1893—1903 წწ.) რედაქტორობდა მწერალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. „კვალი“ გამოდიოდა რამდენიმე წელს როგორც „ჩეჯილის“ დამატება; დაიხურა იგი 1904 წელს.

192. იგულისხმება კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი (1822—1902) — ცნობილი რეაქციონერი და რუსიფიკატორი. 20 წლის განმავლობაში ედგა იგი სათავეში სახალხო განათლების საქმეს. 1892 წელს კ. პ. იანოვსკიმ ჩაატარა დასავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების რევიზია, რომლის შედეგად საჭიროდ სცნო ქართველი სამღვდელოების უფლებების შეკვეცა, სამეგრელოს მხარეთის სკოლებიდან ქართული ენის გაძევების აუცილებლობა და სხვა. ამ გეგმის განხორციელებაში მზრუნველს მხარს უჭერდა ეგზარქოსი — პალადი. პალადიმ გაბრიელ და გრიგოლ ეპისკოპოსს მოსთხოვა ახსნა-განმარტება. ეს მიწერ-მოწერა იმ დროს არ დაბეჭდილა, მაგრამ ვრცელდებოდა ხელნაწერი სახით და ქართველი მოღვაწენი პირად წერილებში უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს ამის თაობაზე.

193. ობერპროკურორი ამ წლებში იყო კ. პობედონოსევი (1827—1907) — მეფის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, სინოდის ობერპროკურორი; სასტიკად ებრძოდა რევოლუციონერებს და ლიბერალურად განწყობილ ინტელიგენციას; განათლების და მეცნიერების დაუძინებელი მტერი და ალექსანდრე III-ის რეაქციის სულისჩამდგმელი; პროგრესული ლიტერატურის ცენზურის ინიციატორი და მღევ-

ნელი; 1905 წლის ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის დროს პოპულაროსევი იძულებული იყო გადამდგარიყო თანამდებობიდან და ჩამოშორებოდა პოლიტიკურ საქმიანობას.

194. იგულისხმება ეგზარქოსი პალადი.

195. იგულისხმება გაბრიელ ქიქოძე (1825—1896), ეპისკოპოსი. ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე; მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული გალობის აღდგენა ეკლესიებში, ბრძოლა რუსეთის ცარიზმის საგანმანათლებლო ანტისახალხო პოლიტიკის წინააღმდეგ. მხედველობაში გვაქვს გასული საუკუნის 70—90-იან წლებში გახმაურებული მიმოწერა, რომელიც წარმოებდა საქართველოს ეგზარქოს პალადის, ევსევის, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკისა და გ. ქიქოძეს შორის.

196. გრიგოლ დადიანი — გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

197. იგულისხმება ვინმე „იგრეკი“-ს სტატია: „ბ-ნ თ. ჟორდანიას წერილის გამო“ („ივერია“, 1892 წ. № 218); ავტორი ხოტბას ასხამს თ. ჟორდანიას მეცნიერულ მოღვაწეობას და მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას ხელი შეუწყოს მას „ქრონიკების“ გამოცემის საქმეში.

198. ახლანდელი თეთრი წყარო.

199. იგულისხმება ექვთიმეს მიერ როზენისათვის გაგზავნილი სტატია ЗВО-ში: «Еще один из источников «Истории Грузии» царевича Вахушти. Гуджары Баратовых».

200. ექვთიმემ „ბალავარის“ ტექსტს საფუძვლად დაუდო 1779 წელს გადაწერილი ხელნაწერი, S-300. ეს ნუსხა ყველაზე ძველია და სწორედ ამიტომ დაეყრდნო იგი ამ ხელნაწერს ძველის გამოცემის დროს. „სიბრძნე ბალავარისა“ ექვთიმემ გამოსცა 1895 წელს (ხუთი დამატებით).

201. 1890 წელს გაზაფხულზე ნ. მარმა სომხეთში მივლინების დროს ეჩმიოძინსა და სევანში მუშაობისას მიაკვლია ბალავარის შესახებ სომხურ მასალას. მან გამოაქვეყნა წერილები ЗВО-ში, ტ. V, VI-ში. ექვთიმეს წერილში ეს სტატიები უნდა იგულისხმებოდეს.

202. როინაშვილი ალექსანდრე (1846—1898) — ფოტოგრაფი, მოყვარული არქეოლოგი; აგროვებდა საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთების კოლექციას; იღებდა ქართული ხელოვნების ძეგლების ფოტოსურათებს. თავისი მდიდარი კოლექცია მან უანდერძა წერა-კითხვის საზოგადოებას.

203. ნ. მარი ანისის გათხრებთან დაკავშირებით ბორჩალოს მაზრის სამარხებსაც იკვლევდა. ბორჩალოში ყოფნისას მას თან ახლდა

როინაშვილიც, რომელიც იღებდა მონასტრებისა და სამარხების ფოტოებს.

204. იხ. კომ. № 199.

205. 1893 წელს ნ. მარმა დაათვალიერა ის ადგილები, სადაც საგულეებელი უნდა ყოფილიყო დვინი; იგი ეძებდა სომხეთის ძველ დედაქალაქს დვინის „ციხეს“ თოპრაქ-კალასთან. თავის ანგარიშში ნ. მარი ძალიან ფრთხილად წერდა, რომ „ისტორიული მონაცემების თანახმად სრულიად ძალდაუტანებლად შეიძლება ამ „ციხისა“ და დვინის გაიგივება.

206. იგულისხმება გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ტექსტის ნაწყვეტი (იხ. „ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ“, „გამოცემული ლეონ მელიქსეთბეგის მიერ ტფილისი, 1910, გვ. 31—36).

207. ახლანდელი ლენინაკანი.

208. იგულისხმება ექვთიმეს სტატიის „Еще один из источников „Истории Грузии“-ს ანაბეჭდები.

209. იგულისხმება „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“.

210. ნ. მარკო 1894 წელს მივლინებით მიემგზავრება გერმანიაში ევროპაში აღმოსავლური ენების შესწავლის მდგომარეობის გასაცნობად და აგრეთვე ევროპულ წიგნსაცავებში სომხური ხელნაწერების შესასწავლად; სტრასბურგის უნივერსიტეტში ვინდელბანდთან ისმენს ანტიკური ფილოსოფიის კურსს, ნეოლდეკესთან — სირიულს, მანდერს და სემინარებს ფირდოუსიზე, ჰიუფშმანთან კი — ძველსპარსულსა და ბერძნულს.

211. 1894 წელს ე. თაყაიშვილი აირჩიეს რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრად.

212. იგულისხმება ნ. მარის წერილი „К критике „Истории Моисея Хоренского“, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა ВВ-ში, (Восточный Вестник) ტ. V, 1898 წ.

213. რადლოვი კ. ვ. (1837—1918). ცნობილი რუსი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, რუსული თურქოლოგიის ფუძემდებელი, ეთნოგრაფი. გაშიფრული აქვს ძველი თურქული ეპიგრაფიკული ძეგლები.

214. უნდა იგულისხმებოდეს კ. ვ. რადლოვის „Разбор надписей надгробных камней. найденных в 1886 году внутри такли Шах-Али Хана в Касимове“ — ЗАН, 1889, XI. „О новом способе приготовления эстампов с надписей на камнях“, ЗВО, 1893, т. VII.

215. იგულისხმება ნ. მარის სტატია: „Переписка Фокня с армянским великим князем Ашотом и армянским патриархом Захариею“, ПС, т XI. 1892 г.

216. ა. პაპადოპულო ქერამევსი — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზანტინოლოგი.

217. ბეგოჩივი კ. — მწერალი და წიგნების გამომცემელი.

218. იგულისხმება ანისის მუზეუმი.

219. იგულისხმება 1893 წელს დეკემბერში სემინარიელთა მიერ ჩატარებული დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. მოსწავლეები მოითხოვდნენ სემინარიაში გამეფებული რეჟიმის აღკვეთას, ქართული ენის სწავლების აღდგენას, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებას, შოენისტი და დესპოტი მასწავლებლების დათხოვნას და სხვა. დემონსტრაცია მთავრობამ დაშალა ეანდარმერიის საშუალებით, სემინარია დროებით დაიხურა, 67 მოსწავლე, მათ შორის მეთაურები: ლ. კეცხოველი, ს. ჭულელი, ვ. ლეჟავა და სხვ. გაირიცხნენ სემინარიიდან.

220. იგულისხმება თედო ჟორდანიას „ქრონიკები“.

221. ასეთი ფურცელი (открытый лист) ნიშნავდა თხრის უფლების მოპოვებას. იგი ეძლეოდა იმ პირთ, ვინც უფლებამოსილი იყო არაოფიციალურად ეწარმოებინა გათხრები.

222. გულისხმობს 1894 წელს გერმანიაში გამგზავრებას.

223. მორგანი ჟაკ (1857—1924) — ფრანგი ინჟინერი და არქეოლოგი. მან ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები ამიერკავკასიაში. წარმართულ სამარხებში გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები მორგანს სამშობლოში მიჰქონდა.

224. გულისხმობს ანისის მასალებს.

225. იხ. კომ. № 169.

226. თ. ჟორდანიამ 1891 წ. „ივერიის“ № 233-ში გამოაქვეყნა ფელეტონი — „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველ მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამენციერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა“. წერილში ნათქვამია, რომ 1881 წელს საეკლესიო მუზეუმმა თ. ჟორდანიას მიანდო „ქართლის მოქცევის“ გამოცემა, რისთვისაც მან ხელნაწერის ტექსტი მთლიანად გადაწერა რვეულში და აღადგინა მრავალი შებღალული ადგილი. რვეული მან წარუდგინა საეკლესიო მუზეუმის გამგეობას, რათა შემდგომ მათი ნებართვით გამოეცა. ეს რვეული, როგორც თ. ჟორდანიას წერს, შემთხვევით აღმოჩნდა ერთი მისი მეგობრის სახლში (თ. ჟორდანიას მხედველობაში ჰყავს ე. თაყაიშვილი). ფაქტიურად კი ეს რვეული თვითონ ჟორდანიამ გადასცა თავისი ხელით ე. თაყაიშვილს დ. ბაქრაძის

სახლში, შემდეგ კი უარყო ეს ფაქტი. საქმე ისე გამწვავდა, რომ საჭირო შეიქმნა მედიატორთა სასამართლოს მოწვევა. ბოლოს თ. ჟორდანიამ აღიარა, რომ თვითონ გადასცა რვეული თაყაიშვილს.

227. იგულისხმება ნ. მარის მიერ ბორჩალოში აღმოჩენილი ქართული წარწერები.

228. ექვთიმე სთხოვს ნ. მარს ЗВО-ში დასაბეჭდად გაგზავნილი სტატიების კორექტურებს.

229. ემილიო ტეცა — იტალიელი არმენისტი, პადუის უნივერსიტეტის პროფესორი.

230. იგულისხმება ЗВО-ში დაბეჭდილი სტატიის „Сигель ружинского царя Баграта IV“ კორექტურა.

231. იგულისხმება ბაგრატ IV-ის სიგელი.

232. ექვთიმეს მხედველობაში აქვს პალეოგრაფიული ალბომი, რომელიც დაერთო ბაგრატ IV-ის სიგელს.

233. ტატიშვილი გრიგოლ (1838—1911) — ქართველი მხატვარი, გრაფიკოსი, რომელმაც იმუშავა ბაგრატ IV-ის სიგელის პალეოგრაფიულ ალბომზე.

234. ეს სტატია ნიკორწმინდის სიძველეთა შესახებ ექ. თაყაიშვილმა ადრევე გაგზავნა როზენთან ЗВО-ში დასაბეჭდად, მაგრამ იგი რატომღაც დაუბეჭდავი დარჩა.

235. არქეოლოგიური საზოგადოების წევრებს არქეოლოგიური კომისიის გამოცემები უფასოდ ეგზავნებოდათ.

236. 1894 წლის 8 თებერვალს საქართველოში დიდი ზემოთ გადაიხადეს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დაარსების 75 წლის იუბილე.

237. ალექსი ჭიჭინაძე (1851—1917) ქართველი იურისტი; მან დააარსა ქუთაისში სათავადაზნაურო სკოლა. მისი თაოსნობით დაიწყო ქართული წარმოდგენების დადგმა ქუთაისში. თბილისში გადმოსვლის შემდეგ დაინიშნა სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორად.

238. სტოიანოვი ა. — ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი, მოყვარული არქეოლოგი და ეთნოგრაფი. ჩატარებული აქვს ბაგრატის ტაძრისა და ვანის არქეოლოგიური გათხრები.

239. იგულისხმება 1894 წელს გერმანიაში ჩატარებული ორიენტალისტთა კრება.

240. ექვთიმეს მხედველობაში აქვს სათავადაზნაურო ბანკის საარჩევნო კომპანია.

241. ა. კარიერი — ფრანგი არმენისტი. მისი სტატიები მოსე ხო-

რენელზე დაიბეჭდა ვენის მხითარისტების გამოცემაში ფრანგულად, შემდეგი სათაურით: „Nouvelles sources de Maiseu de Khoren, Etudes critiques par A. Carrière“, Vienna, 1893.

242. ექვთიმეს ეს წერილი ამ სათაურით 1896 წელს დაიბეჭდა ჟურნალში: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXI.

243. СМОМПК-ში გამოდიოდა წერილები როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული და ლინგვისტური სერიებით. არქეოლოგიური სერია იმ წელს (1894) არ გამოსულა. ამიტომ დაგვიანდა ექვთიმეს წერილის გამოსვლა.

244. საუბარია ЗВО-ში დასაბეჭდად გაგზავნილი სტატიების ანაბეჭდებზე.

245. იგულისხმება ბაგრატ IV-ის გუჯარი-სიგელი. ეს წერილი გამოცემულია ЗВО-ში, ტ. IX, 1893 წ.

246. ექვთიმეს მეუღლე იყო ნინო ივანეს ასული პოლტოროცაია (1869—1931).

247. წერილები ამ სათაურით ექვთიმემ დაბეჭდა 1896 წელს СМОМПК-ის XXI ნაკვეთში.

248. „სიბრძნე ბალავარისი“ — ექვთიმეს რედაქტორობით გამოვიდა 1895 წ.

249. „საქართველოს სიძველენი“ ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა დამატების სახით. სიგელ-გუჯრები დაიბეჭდა „მოამბის“ № 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 11.

250. „კათალიკოზ-ბაქარიანი“ გამოვიდა 1895 წელს.

251. იგულისხმება იესე ტლაშაძის „კათალიკოზ-ბაქარიანის“ არასრული ხელნაწერი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVIII საუკუნისა ჩანს. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-953).

252. სტატია დაიბეჭდა МАК-ში. XII, 1909 წ.

253. ექვთიმეს შენიშვნა ნიკორწმინდის ეკლესიის შესახებ, რომელიც მან ЗВО-ში დასაბეჭდად გაგზავნა, არ გამოქვეყნებულა; გამოიცა მოგვიანებით ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“, თბ., 1963 წ.

254. გრაფინია პრასკოვია უვაროვა (1840—1924) — გრაფ ალექსი უვაროვის მეუღლე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გრაფინია უვაროვა ჩაუდგა სათავეში მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას. მისი თაოსნობით გაიხსნა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავ-

ქასიური განყოფილება. წერილში ლაპარაკია უვაროვას გამოცემაზე: „Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия“, Путевые заметки графа Уваровой, М., 1891 г., ч. II.

255. რუმინანცევისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს 1703 წლამდე, იხახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2080); მისი აღწერილობა გამოსცა ა. ხახანაშვილმა სათათურით: „Грузинские рукописи Румянцевского Музея“, Труды VIII археолог. съезда.

256. გულისხმობს ანისის გათხრების ანგარიშს.

257. ექვთიმეს მხედველობაში აქვს ნ. მარის რეცენზია მოსე ჯანაშვილის ნაშრომზე „მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი“ (Моисей Хонский и его роман Амирандареджаниани), რომელიც დაბეჭდა ЖМНП-ში ოქტომბერი, 1895 წ.წ.

258. იგულისხმება ნ. მარის ნაშრომი, რომელიც მან დაბეჭდა 1908 წელს: „Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими“ СПб., 1908, 16 стр. I—XX таб.

259. ეს ის დებულებებია, რომელიც ნ. მარს გატარებული აქვს 1888 წლის „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში „ბუნება და თვისება ქართული ენისა“.

260. იგულისხმება მისი: „Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из „Русуданиани“, ВЗ, 1895 г.

261. პეტრე მაიუმელის ცხოვრება ნ. მარმა დაბეჭდა ПС-ში, ტ. XVI, 1896 წ., სათათურით: „Житие Петра Ивера“. პეტრეს ცხოვრების ტექსტი ორი რედაქციითაა ცნობილი: მოკლე და ვრცელით. მოკლე რედაქციის ტექსტი დატულია ხელნაწერებში: A-130; 170; 176; H-1632, H-2121; ვრცელი კი ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი და გამოქვეყნებულია ს. ყუბანეიშვილის ქრესტომათიაში, ტ. I, 1946 წ.

262. იგულისხმება მ. ჯანაშვილის წიგნი: ამირანდარეჯანიანის შესახებ, რომელზეც ნ. მარმა დაწერა რეცენზია (იხ. კომ. № 257).

263. 1896 წელს ნ. მარი უნივერსიტეტის ზახით მივლინებით მიმგზავრება ვენეციაში, რომში, ვენასა და გერმანიაში სამუშაოდ. მივლინების მიზანი ამჯერადაც სომხურ ხელნაწერებზე მუშაობა იყო დისერტაციის დასამთავრებლად. სადისერტაციო მასალების ძიება რუსეთში ნ. მარმა უკვე ამოწურა.

264. ივანე ჯავახიშვილი (1876—1940) — გამოჩენილი ქართველი

ისტორიკოსი, არქეოლოგი, ლიტერატურის მკვლევარი. იგი იყო ნიკო მარის სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტში. ივ. ჯავახიშვილი ავტორია მრავალრიცხოვანი შეცნიერული ნაშრომებისა, რომელთაგან აღსანიშნავია: „ქართველი ერის ისტორია“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „ქართული პალეოგრაფია“, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ და სხვა.

265. გიორგი, იური მარი (1893—1935) — ნ. მარის ვაჟი, აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი. ავტორი ირანისტიკის საკითხებზე საინტერესო ნაშრომებისა.

266. ნ. მარი ექვთიმეს უგზავნის „რუსუდანიანის“ შესახებ მის მიერ დაბეჭდილ ნაშრომს (იხ. კომ. № 260).

267. ნ. მარს სჭირდებოდა პეტრე მაიუმელის „ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია, ორი მოკლე მას ხელთა ჰქონდა. ექვთიმეს სთხოვა დახმარება, მაგრამ ვერც მან მოიძია ვრცელი ვარიანტი.

268. იგულისხმება ექვთიმეს მიერ 1895 წელს გამოცემული „სიბრძნე ბალავარისი“.

269. ლაპარაკია ЗВО-ის ნომრის შესახებ, რომელშიც დაბეჭდილია „Сигель грузинского царя Баграта IV.“

270. ა. ხალატიანი — სომეხი ისტორიკოსი, სომხური ლიტერატურის მკვლევარი, ავტორი ნაშრომისა „Армянский эпос“, რომელშიც არის დასახელებული ნ. მარის „Аноним“-იც.

271. იგულისხმება ნ. მარის სტატია „О начальной истории Армении Анонима“, ВВ, т. I, 1895.

272. ექვთიმეს მხედველობაში აქვს ნ. მარის და თავისი გათხრების ანგარიშები.

273. რომში ყოფნის დროს ნ. მარს გაუმწვავდა პროცესი ფილტვებში და სერიოზულად იავადმყოფა.

274. იგულისხმება ნ. მარის შრომა „Житие Петра Ивера“ (იხ. კომ. № 261).

275. ექვთიმეს მხედველობაში აქვს თავისი ორი სტატიის ანაბეჭდები, რომლებიც მან დაბეჭდა СМОМПК-ში; ესენია: „Исторические приписки двух кинклссов“... და „Два акта католикаса Домения III“.

276. ექვთიმე ნ. მარს წერს თავისი არქეოლოგიური გათხრების ანგარიშის ბეჭდვის თაობაზე.

277. რუდოლფ ვირხოვი (1821—1902) — გერმანელი მეცნიერი ანთროპოლოგი, არქეოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე. იგი მსოფ-

ლიოს თითქმის ყველა აკადემიის და სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოდიოდა დარვინის ევოლუციური მოძღვრების წინააღმდეგ. ავტორია რიგი გამოკვლევებისა არქეოლოგიაში ძველი ტროას სამარხების და ეგვიპტური მუმიების შესახებ. ვირხოვმა მონაწილეობა მიიღო თბილისში 1881 წელს გამართულ V არქეოლოგიური ყრილობის მუშაობაში. იმოგზაურა საქართველოში და საგანგებოდ აღნიშნა ჩვენი კურორტების კლიმატური პირობები. ვირხოვის საქართველოში ყოფნას ფართოდ გამოუხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა. მის მოგზაურობას საქართველოში საგანგებო წერილი უძღვნა ი. ჭავჭავაძემ (იხ. „ივერია“, 1881) წერილში ი. ჭავჭავაძე ეხება ვირხოვის მიერ უკვე გამოცემულ მასალას.

278. Propaganda de Fide—Congregatia de propaganda de fide 1622 წელს რომში პაპი გრიგოლ XV-ის მიერ დაფუძნებული მისიონერთა ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო კათოლიკობის გავრცელება წარმართულ ქვეყნებში და საერთოდ ერეტიკულ მიმდინარეობათა მოსპობა. „P. F.“ იყო უმაღლესი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა კათოლიკურ მისიას. ამ ორგანიზაციას პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა. ასეთი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და პოლონეთში.

279. დოდაშვილი სოლომონ (1802—1850) პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმომხილველი, ავტორი შემდეგი შრომების: „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა“, „ქართული გრამატიკა“, დაიბეჭდა 1830 წ.

280. ექვთიმეს გამოცემას „სიბრძნე ბალავარისი“ ნ. მარმა უძღვნა რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა ЗВО-ში, ტ. X, 1897.

281. ფრედერიკ კონიბერი (1856—1924) — ინგლისელი არმენოლოგი, ბიბლიის ცნობილი მკვლევარი; რამდენიმე შრომა უძღვნა ქართული ბიბლიის შესწავლას.

282. იგულისხმება ნ. მარის რეცენზია კონიბერის ნაშრომზე: „The Barlaam and Ioasaphat Legend in the Ancient Georgian and Armenian Literature by F. C. Conibeaere“ გამოქვეყნებული 1897 წელს „ЖМНП“-ს VII ტომში (აპრილი).

283 იგულისხმება ალ. ხაჩანაშვილის სტატია: „Грузинская повесть „Висрамиани“ и персидская поэма „Вис о Рамин“, Тифлис, 1894 г.

284. ნ. მარს მხედველობაში აქვს ექვთიმეს წერილი: „Исторические приписки двух кинкლოსов“ (იხ. კომ. № 275).

285. დიდ შრომაში იგულისხმება 1908 წელს გამოქვეყნებული „Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими“.

286. უნდა იგულისხმებოდეს ნ. მარს ცნობა ერთ-ერთ ევროპულ ენაზე ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობის შესახებ გამოქვეყნების თაობაზე. მიხანკოვას სიტყვით, ნ. მარს არქივში მოიპოვება ამ ცნობის ფრანგული ვარიანტი სათაურით „Aronce scientifique“ — სამეცნიერო განცხადება (იხ. ვ. მიხანკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 29).

287. იგულისხმება V საუკუნის ბერძენი მწერლის თეოდორიტე კვირელის ნაშრომი, რომელიც XI საუკ. ეფერემ მცირემ თარგმნა ქართულად. ნ. მარს ამ ძეგლის შესახებ არაფერი დაუბეჭდავს.

288. იგულისხმება ბაქარის ბიბლია.

289. იგულისხმება გაზ. „ივერიის“, „Кавказ“სა და „Новое обозрение“-ს შორის ატეხილი კამათი ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხების თაობაზე. ქალაქმა დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა დევნილთა მიმართ, შეიკრდომა ისინი და სათანადო დახმარება აღმოუჩინა მათ. გაზ. „Кавказ“ მა გამოთქვა შიში, რომ შექმნილ ვითარებაში გადმოსახლებულთათვის სამუშაოს შოვნა გარკვეულ ზიანს მიაყენებს ადგილობრივ მუშახელს. „Кавказ“-ის პოზიცია დაჰვმო მეორე რუსულმა გაზეთმა „Новое обозрение“-მ. ამაზე ატყდა დავა, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და შემდეგ სერიოზულ უთანხმოებაში გადაიზარდა, საქმე ერთმანეთის ცილისწამებასა და შეურაცხყოფამდე მივიდა და ი. ქავჭავაძეს მოუხდა „Новое обозрение“-ს რედაქტორისათვის კატეგორიულად მოეთხოვა ცილისწამებათა დასაბუთება. დაწერილებით ამის შესახებ იხ. „ივერია“ 1897 წ. №№ 44, 53, 56, 59, 61, 67, 72. „Кавказ“ 1897, 8 მარტის ნომერი. გაზ. „Новое Обозрение“-ს №№ 4548, 4552, 4556, 4567.

290. ველიჩკო ვასილი (1860—1903) — რუსი პოეტი და მთარგმნელი. მან პირველმა გააცნო ქართული პოეზია რუსულ საზოგადოებას. იგი იყო გაზ. „Кавказ“-ის რედაქტორ-გამომცემელი. დიდი იყო ველიჩკოს როლი ქართველთა და სომეხთა შორის უთანხმოებაში. მისი რედაქტორობის დროს გაზეთი რეაქციულ ხასიათს ატარებდა.

291. ნ. მარს მხედველრბაში აქვს ექვთიმეს მიერ აღმოჩენილი „მელის წიგნის“ ხელნაწერი, რომელიც სომხურიდან იყო თარგმნილი. ნ. მარს ამ დროისათვის დასრულებული ჰქონდა თავისი სამაგისტრო დისერტაცია „ვარდანის იგავ-არაკთა კრებული“ და მაინც მოასწრო მისი შეტანა თავის შრომაში.

292. იგულისხმება „მელის წიგნის“ ხელნაწერი, რომელიც ნ. მარსა მოსთხოვა ექვთიმეს სამუშაოდ და დისერტაციაში შესატანად.

293. ვარდან აიგიველი — სომეხი მქადაგებელი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-12 საუკ. ბოლოსა და მე-13 საუკ. დამდეგს. მას შეუდგენია არაკების კრებული, რომელსაც ეწოდება „მელის წიგნი“. ეს კრებული საბოლოო სახით ჩამოყალიბდა მე-17 საუკუნეში; სომხურიდან ითარგმნა არაბულად და ქართულად.

294. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

295. ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ შეცდომებზეა მსჯელობა.

296. აკაკი წერეთელმა მიიღო მონაწილეობა პოლემიკაში, რომელიც გაიმართა ქართული და სომხური კულტურის ურთიერთობის საკითხზე. აკაკიმ ამის შესახებ ნ. მარსის მისამართით დაწერა წერილი „Ответ Акакия Церетели Н. Я. Марру“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „Кавказ“-ში (6 მარტი, № 61, 1898 წ.).

297. ნ. მარსა თავის მხრივ დაუწერა პასუხი აკაკი წერეთელს „Новое обозрение“-ში 1898 წ. (5 თებერვალი — № 4841 და 31 მარტი — № 4892 — იმავე წელს); ნ. მარსი თავს იცავდა აკაკის თავდასხმისაგან და ამტკიცებდა, რომ სომხებსა და ქართველებს ძველად კულტურული ურთიერთობა და გავლენა ჰქონდათ ერთმანეთზე.

298. იგულისხმება ეზოვის წიგნი: „Сношения Петра Великого с армянским народом“, Документы, СПб, 1898. წიგნის შინაარსი წინასწარ იყო მოხსენებული პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ფილოლოგიურ და საისტორიო განყოფილებაზე. ავტორს შეუჯერებია ყველა ის უარყოფითი აზრი, რაც ოდესმე გამოუთქვამთ საქართველოზე უცხო მოგზაურებს. ეზოვის წიგნზე თავის დროზე „მოამბეში“ გამოქვეყნდა ბ-ალის რეცენზია, რომელშიც ავტორი ნ. მარსაც გადაწვდა.

299. ე. თაყაიშვილის ეს წერილი დაკარგულია.

300. იგულისხმება ნ. მარსის ნაშრომი: „Из поездки на Афон“, რომელიც წაკითხულ იქნა 17 დეკემბერს 1898 წ. რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების სხდომაზე; დაიბეჭდა 1899 წ., ЖМНП (მარტი).

301. ლაპარაკია „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაზე.

302. ა-ლი — ალექსანდრე სარაჯიშვილის ფსევდონიმი. სარაჯიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე (1851—1914) — საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, წლების განმავლობაში გაზ. „ივერიის“ გამომცემელი და რედაქტორი, წ. კ. გ. საზ-ის ერთ-ერთი აქტიური წევრი, წერილში ჭაუბარია მის რეცენზიაზე: „საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეზოვი“, „მოამბე“, 1899 წ., № 1, განყ. II.

303. ლაპარაკია „მელის წიგნის“ ხელნაწერზე. ნუსხა ნაკლულია; ამ ხელნაწერზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა 1899 წელს „მელის წიგნის“ ტექსტი. ნუსხა ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-2966).

304. იგულისხმება „მელის წიგნი“.

305. 1899 წელს 23 მაისს ნ. მარმა დაიჯვა სამაგისტრო დისერტაცია სომხური ლიტერატურების მაგისტრის ზარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ვარდანის იგავების კრებული“. ნ. მარის შრომა პირველ რიგში გადასცეს ალ. ცაგარელს, მაგრამ მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ნ. მარის სამაგისტრო გამოცდები მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, ამდენად სადისერტაციო ნაშრომის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩათვალა. ფაქულტეტმა ალ. ცაგარლის უარის მიუხედავად საქმეს მისცა შემდგომი მსვლელობა და ნაშრომი სარეცენზიოდ გადასცა კ. ზალემანს და ს. ოლდენბურგს.

306. ე. თაყაიშვილის ეს წერილი დაკარგულია.

307. ბერი ბაქრაძე — ალექსი ბაქრაძე, მღვდელი. იმოგზაურა ათონსა და იერუსალიმში 1897 და 1899 წლებში. თავისი სურვილი ათონს გამგზავრების შესახებ ალექსი ბაქრაძემ ე. თაყაიშვილს გაანდო და სთხოვა შემწეობა, რომ თავისუფლად შესძლებოდა ათონზე ენახა „წმიდათა ცხოვრებანი“ (სიას ურთავს წერილს). ექვთიმესგან იგი ითხოვდა მინდობილობას, ურომლისოდაც არ მისცემდნენ ამ ხელნაწერების კატალოგის შედგენის უფლებას. ექვთიმე თავის მხრივ ნ. მარს სთხოვს დაეხმაროს ალექსი ბერს. ალექსიმ იმოგზაურა ამ ადგილებში, მაგრამ ხელნაწერებთან ის ბერძენმა ბერებმა არ მიუშვეს.

308. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

309. ლაპარაკია ე. თაყაიშვილის „მელის წიგნის“ გამომცემაზე.

310. იგულისხმება ნ. მარის ვარდანის იგავების დამთავრება.

311. ლაპარაკია კვლავ „მელის წიგნის“ — S-2966 ხელნაწერზე.

312. იგულისხმება წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი S-384.

313. იგულისხმება „მელის წიგნის“ ანაბეჭდები.

314. როგორც ცნობილია, „მელის წიგნი“ ექვთიმემ უძღვნა ნიკო მარს.

315. იგულისხმება დისერტაციის დაცვა.

316. იხ. კომ. № 300.

317. დავით და ტარიჭან — ქართველი მოწამენი (ძმები) მე-4 საუკუნისა, ხსენების დღე — 18 მაისი. „მარტვილობა“ ნ. მარს მიაჩნდა სომხურიდან თარგმნილად. ილ. აბულაძემ დაამტკიცა, რომ იგი ორიგინალური ძეგლია (იხ. ილ. აბულაძე, „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში“, თბ., 1944).

318. იგულისხმება X საუკუნის ჰაგიოგრაფიული კრებული, ათონის მრავალთავი № 57.

319. ვ. ყორღანოვი — ყოველთვიური მეცნიერულ-ლიტერატურული ჟურნალის „Кавказский Вестник“-ის რედაქტორი.

320. იგულისხმება ნ. მარის წერილი: „Грузинский поэт Шавтели“, КВ, январь, 1900 г.

321. 1899 წლის ზაფხული ნ. მარმა და მისმა მეუღლემ კავკასიაში გაატარეს.

322. ე. თაყაიშვილი იგულისხმობს გელათის ანდერძს, ნ. მარი კი შიომღვიმისას.

323. იგულისხმება თ. ყორღანის: „Завешание царя Давида Возрожденителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г.“, Тифлис, 1895 г.

324. მხედველობაში აქვს „Кавказский Вестник“-ი.

325. იგულისხმება ვ. ყორღანოვი.

326. ლაპარაკია ნ. მარის სტატიებზე „აბდულმესიანის“ შესახებ, რომლის კორექტურა ნ. მარმა გააკეთა და დაუბრუნა КВ-ის რედაქციას.

327. იგულისხმება ნ. მარის მიერ 1900 წელს „Кавказский Вестник“-ის № 1-ში დაბეჭდილი წერილი „Два древнегрузинских описца I—Шавтели Иоанн“ შენიშვნაში ნ. მარი შეეხო დავით აღმაშენებლის ანდერძს, რომელშიც ნათქვამია, რომ დავითი თავის ვაჟს დიმიტრის უანდერძებს გელათის მონასტრის დამთავრებას. ამავდროულად შენიშვნაშია მოწოდებული ცნობა დიმიტრის დასულთან სანჯარის, მალიქ-შაჰის ვაჟის, მიმოწერის შესახებ. ცნობა მოტანილია სპარსული წყაროდან. ნ. მარის აზრით საქართველოსა და მუსლიმანურ სამყაროს შორის კულტურულ ურთიერთობათა კვლევისათვის ძალზე საინტერესო და საშუალო ამ მიმოწერის მიკვლევა.

328. იაკობ ნისიბელის ცხოვრება შეტანილია შატბერდის კრებულში (S-1141).

329. ისევ ნ. მარის „აბდულმესიანის“ სტატიის სწორებაზეა საუბარი.

330. იგულისხმება ო. ლემის სტატია „Kleine Koptische Studien“, რომელიც წარმოადგენს ცალკე (IX) რეფერატს შრომისა: „Zur Geschichte der Bekehrung der Iberer zum Christenthume („ივერთა გაქრისტიანების ისტორიისათვის“). სტატია მოთავსებულია СМОНПК-ში, 1899, 26 ტომში. ლ. ლობათინსკის აქვე მოაქვს ტექსტის ნაწყვეტები (თარგმანითურთ) და ცნობები წმ. ნინოს შესახებ. სწორედ ამ სტატიის თარგმნას თხოვდა იგი ნ. მარს. ნაშრომი „ივერთა გაქრისტიანების ისტორიისათვის“ შემდგომ ჩამოყალიბდა სპეციალურ გამოკვლევად „Iberica“, რომელიც გამოქვეყნდა 1906 წელს.

331, S-1623 წარმოადგენს წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერს, რომელიც გადაწერილია 1776 წელს.

332. იგულისხმება მ. ჯანაშვილის სტატია «Известия грузинских летописей и историков о Херсонисе, Готии, Осетии, Хазарии, Дидоэтии и Рохонии», СМОНПК, 1899, 26 ტ.

333. იგულისხმება ნ. მარის რეცენზია მ. ჯანაშვილის „ქართულ მწერლობაზე“ ВВ, IX, 1902.

334. უნდა იგულისხმებოდეს ნ. მარის წერილი: «Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы», ЖМНП, декабрь, 1899 г.

335. ნ. მარი გულისხმობს „Кавказский Вестник“-ის პირველ ნომერს.

336. ნ. მარის სამაგისტრო დისერტაცია დაჯილდოვდა გეოგრაფიული საზოგადოების დიდი ოქროს მედლით 1900 წელს.

337. 1900 წელს ექვთიმემ СМОНПК-ში გამოაქვეყნა „სამი ისტორიული ხრონიკის“ რუსული თარგმანი, ნაკვეთი XXVIII, 1900; შემდეგ იგივე გამოსცა ცალკე წიგნად:

Источники грузинских летописей. Три хроники (Обращение Грузии в христианство, Жизнь и известие о Багратидах, царях наших грузинских, откуда они взялись в эту страну, или с какого времени владеют они царством Грузинским, которое написал Сумбат, сын Давида; Хроника Меосийской Писалгыри).

338. იგულისხმება „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერი.

339. „დილარიანის“ შესახებ ექვთიმემ ეურნ. „მოამბეში“ მოა-

თავსა წერილი: „მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტებმა თუ არა?“ № 2, 1900 წ.

340. იგულისხმება წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

341. იგულისხმება „აბდულმესიანის“ ამონაბეჭდი.

342. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა.

343. ლაპარაკია „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული რედაქციის ბეჭდვაზე.

344. ლევ გრიგოლის ძე ლოპატინსკი (1842—1927) — ჩრდილო კავკასიის ენების მკვლევარი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი.

„Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“-ს გამომცემელი; ავტორი ნაშრომისა: „Кабардинская грамматика со словарем“, „Латинская грамматика“... და სხვა. წერილში ექვთიმე იგულისხმობს ლოპატინსკის მიერ თარგმნილ ნაწყვეტებს ტექსტიდან „ივერთა გაქრისტიანების ისტორიისათვის“ (იხ. კომ. № 330).

345. წმ. ნინოს ბერძნული სახელი. გადმოცემის თანახმად ქრისტიანობა საქართველოში გაავრცელა ტყვე ქალმა ნინომ, რომელიც მე-4 საუკუნის დამდეგს მოსულა საქართველოში. ჩვენამდე მოღწეულია წმ. ნინოს ორი სახელი: თეოგნისტა და ნინო. თეოგნისტა ბერძნული სახელია და ნიშნავს „ღვთის მიერ ცნობილს“. ნ-ნო კი ნონადან გადმოკეთებული საკუთარი სახელია. იგი გავრცელებული იყო კაპადოკიაში. ზოგიერთთა მოსაზრების მიხედვით ნინო არის ლათინთა საზოგადო სახელი ნონა — რაც მონაზონს ნიშნავს (კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ეტიუდები ტ. IV).

346. ჯიმშედიანი — ამბავი ჯიმშედ ხელმწიფისა, რუსულდანიანის შეორე თავი. ქართულად მოიპოვება აგრეთვე მამუკა ბარათაშვილის ლექსითი დამუშავება, რომელიც მან ვახტანგ VI-ის დავალებით შეაჩრულა 1732 წელს (იხ. ე. თაყაიშვილის „Описание“ 1, 409).

347. უნდა იგულისხმებოდეს ნ. მარის „Краткий каталог собрания грузинских рукописей, приобретенных Имп. Публичной библиотекой в 1896 г.“, СПб, 1900. с. 13. აქ არის მოთავსებული „მცირე შენიშვნა“ დილარიანისა და ჯიმშედიანის შესახებ (№ 15).

348. დორნი ბორის ანდრიას ძე (1805—1881) — ცნობილი რუსი ორიენტალისტი, მან შეადგინა რუსეთის საიმპერატორო, დღევანდელი ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის, ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც გამოვიდა 1852 წელს. წერილში საუბარია ამ ბიბლიოთეკის ხელნაწერზე.

349. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული წესსა.
350. ლაპარაკია „Кавказский Вестник“-ზე
351. იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული წესსა.
352. მხედველობაში აქვს ლოპატინსკის თარგმანი (იხ. კომ. 330).
353. მხედველობაში აქვს „სამი ისტორიული ხრონიკის“ რუსული თარგმანი.
354. იგულისხმება ნ. მარის წერილი „Боги языческой Грузии“.
355. ლეონიდ მაიკოვი (1857—1900) — რუსი აკადემიკოსი, რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი.
356. ვ. ბოლოტოვი — (1854—1900) პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი, საეკლესიო ისტორიის ცნობილი მკვლევარი.
357. ვ. ვასილიევი (1818—1900) — ცნობილი რუსი ენათმეცნიერი, სინოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.
358. იგულისხმება „შატბერდის კრებული“ (S-1141).
359. ნ. მარმა ჩათვალა, რომ „ფიზიოლოგი“ გამოსცა ექვთიმემ, რაკი მას ტექსტი სტამბურად უკვე აწყობილი ჰქონდა. გაურკვეველი მიზეზების გამო ექვთიმეს ტექსტი არ გამოუცია. საბოლოოდ ძველი გამოცემა ნ. მარმა 1904 წელს.
360. იგულისხმება ალ. ხახანაშვილის მოხსენება, წაკითხული პარიზში, ორიენტალისტთა XI საერთაშორისო ყრილობაზე, 1897 წ. (Actes, Paris, 1899). იგივე გამოაქვეყნა თავის ნაშრომში: „Очерки по истории грузинской словесности“, II, 1897.
361. გალუსტ ტერ-მკრტიჩიანი — ძველი სომხური ლიტერატურის მკვლევარი, სამღვდელ პირი. იგი გამოსაცემად ამზადებდა „ფიზიოლოგის“ ძველ სომხურ დედანს, საიდანაც, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო თარგმნილი ქართული „ფიზიოლოგი“.
362. იუსტინე აბულაძე (1874—1962) — თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ირანისტი. მ. მარის სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს. შეადგინა სპარსული ენის გრამატიკა, არაბულ-სპარსული ტერმინთა ლექსიკონი, გამოსცა მრავალი ძველი ქართული კლასიკური მწერლობიდან: ვეფხისტყაოსანი (ორჯერ), ვისრამიანი, შაჰ-ნამე (ლექსიკონით) და სხვა.
363. 1900 წელს ნ. მარმა „Тексты и разыскания“-ს II წიგნში დაბეჭდა იოსებ არიმათიელის აპოკრიფული თხზულება „Сказание о построении первой церкви в городе Лидде“, რომლის გამოცემისას

მან გამოიყენა ძეგლის სამი ხელნაწერი. ტექსტს საფუძვლად დაედო 977 წლით დათარიღებული ივერონის მონასტრის ხელნაწერი, რომელიც ნ. მარმა ათონზე ყოფნის დროს გადაწერა 1898 წელს. ძეგლი პალესტინური წარმოშობისაა, იგი აღმოჩნდა თარგმნილი აპოკრიფი-
364. იგულისხმება ე. თაყაიშვილის წერილი „დილარიანის“ შესახებ, რომელიც მან დაბეჭდა „მოამბის“ № 2-ში (იხ. კომ. № 339).

365. იხ. კომ. № 330.

366. ბარტოლდი ვასილ ვლადიმერის ძე (1869—1930) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ორიენტალისტი, თურქოლოგი, ისტორიკოსი. წერილში საუბარია მის ნაშრომზე: „Туркестан в эпоху монгольского нашествия“.

367. ნ. მარს მხედველობაში აქვს ექვთიმეს მიერ გამოცემულთ „სამი ისტორიული ხრონიკის“ რუსული თარგმანი.

368. იგულისხმება შატბერდის კრებული (S-1141).

369. იხ. კომ. № 359.

370. ეს კრებული ნ. მარმა დაურთო „ფიზიოლოგის“ გამოცემას.

371. ნ. მარმა 1900 წელს დააარსა საუნივერსიტეტო სერია „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“. ამ სერიაში იბეჭდებოდა ფილოლოგიური ხასიათის შრომები, არქეოლოგიური, ისტორიული და ენათმეცნიერული გამოკვლევები. პირველი წიგნი გამოიცა 1900 წელს.

372. ეფრემ ასური დაიბეჭდა „Тексты и разыскания“-ს I წიგნში და არა II-ში, როგორც წერილშია მითითებული.

373. იგულისხმება ნ. მარის «Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера», ЗВО, т. XXIII, 1901.

374. კირიონ ეპისკოპოსი — კირიონ საძაგლიშვილი (1855—1918) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვის აქტიური მებრძოლი.

375. იგულისხმება „იპოლიტეს ქებათა ქება“, ნ. მარის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან დაიცვა 1901 წელს 9 დეკემბერს. «Ипполит. Толкование Песни Песней». ТР, III, 1901.

376. 1902 წელს პალესტინის საზოგადოებისა და რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების მეცადინეთობით მომზადდა ექსპედიცია სინას მთასა და იერუსალიმში, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ნ. მარი და ივ. ჭავჭავაძე. ექსპედიციაში მონაწილეობდა აგრეთვე ა. ა. ვასილევი, ბიზანტიანისტი. ისინი 3 აპრილს გაემგზავრნენ.

377. იგულისხმება სტამბური ტექსტი (იხ. კომ. № 359).

378. ნ. მარის „ტენდენციურმა“ და „მიკერძოებულმა“ წერილებმა სომხებისადმი დაბადეს ქართულ საზოგადოებაში აზრი, რომ იგი სომხებმა მოისყიდეს. „სომხური მილიონები“ სწორედ ამ დამოკიდებულების გამოძახილია. როზენისადმი მიწერილ წერილში ნ. მარი წერდა:

Один грузин, сотрудник «Нового обозрения» меня спрашивает, сколько мне платят армяне, за то, что пишу в их пользу (Рукописный отдел ИВАН СССР).

379. ზავადსკი მიხეილ რომულის ძე — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი.

380. ალექსი-მესხიშვილი დავით — დავით რექტორი (1745—1824) — მწერალი, მწიგნობარი, თელავის სემინარიის რექტორი; მან შეადგინა ძველი ქართული თხზულებების კატალოგი. დავით რექტორმა „თიმსარიანის“ ზელნაწერში შეიტანა თავის მიერ შეთხზული 12 არაკი. ამიტომ ამბობს ნ. მარი, რომ „თიმსარიანი“ „შესწორებულ-შერედაქტირებულ...ია“.

381. იგულისხმება ნ. მარის წერილი „ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამეს ქართული თარგმანის შესახებ“, „ივერია“ №№ 132, 133, 135, 1891.

382. იგულისხმება ნ. მარის ნაშრომი „Древнегрузинские описаны“ ТР, IV წიგნი, 1902.

383. ძმები დიმიტრი, ერმილე და ალექსანდრე შარაშიძეების მიერ დაარსებული კერძო სამეურნეო სასწავლებელი გურიაში. ამ სკოლაში თეორიული ცოდნის გარდა მოსწავლეები პრაქტიკულ ცოდნასაც იღებდნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათი მეცადინეობით მეურნეობაში აღდგენილ იქნა ქართული ვაზის რამდენიმე ჯიში. სკოლას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, მისდევდნენ აგრეთვე რევოლუციურ მუშაობასაც. ცარიზმის აგენტებს არ გამოჩნათ ეს მხედველობიდან და 1905 წელს სკოლის შენობა გადაწვეს.

384. 1901 წელს გაზეთ „კვალში“ № 28 გამოქვეყნდა პ. ჭარაიას წერილი: „ქართული ენის შედარებითი ლექსიკონი“. ავტორი ეხებოდა ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და ქართული ენით უცხოელების დაინტერესების საკითხს. იგი წერს, რომ ჯერ კიდევ გამოუქველეველია ენათა რომელ ჯგუფს ეკუთვნის ქართული და მოაქვს ამასთან დაკავშირებით ნ. მარის ფრაზა: „ჩემი შრომა დიდხანს დაიგვიანებს, მაგრამ იმედი მაქვს ბოლოს მაინც სემიტობას და სემიტურობას ქართული ენისას გაემარჯვება“. გაზეთის სქოლიოში არის შენიშვნა რედაქტორის ანასტასია თუმანიშვილისა: „ბ. მარი — წერს იგი — საზოგადოთ ბაქია „მეცნიერია“. მან წინდაწინ

იცის, რა დასკვნამდე მიიყვანს მას ჯერ კიდევ დაუწყებელი შრომა. ჯერ კიდევ მეოთხმოცდაათე წლებში დაგვიბრდა დიდი რიხით, ბრიტანეთის მუზეუმში „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ ორიგინალს აღმოვაჩინო. რომლიდანაც შოთა რუსთაველს უთარგმნია თავისი პოემა. მაგრამ ეს დაპირება ჯერ კიდევ დაპირებად რჩება. ვაითუ, ასეთი გაზარჯება მოელის ქართული ენის სემიტობასაც“-ო.

385. ნ. მარი გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის“ იმ ხელნაწერებს, რომლებიც დაცულია წ. კ. გ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

386. იგულისხმება ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემა.

387. 1901 წ. ივ. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე გამოსცა ევსტათი მცხეთელის წამება ა. ჰარნაკის ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარებით.

388. ადოლფ ჰარნაკი (1851—1930) — ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, რექტორი, ძველი ქრისტიანული მწერლობის ისტორიის მკვლევარი.

389. 1901 წელს „Новое время“-ს № 9164-ში დაიბეჭდა ვ. ველიჩკოს წერილი „К столетию присоединения Грузии“. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის ორფაიანი არწივის მზრუნველობის ქვეშ მყოფი საქართველო ყოველი საფრთხისაგან დაცულია და ყველა პირობა აქვს შექმნილი სულიერი და კულტურული განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა საქართველოში შეიმჩნევა კულტურის დაქვეითება. ამის უპირველეს მიზეზად ვ. ველიჩკო ასახელებს იმ მშვიდობიან ატმოსფეროს, რომელიც მას რუსეთმა მოუტანა. ქართველები მისი აზრით იწრთობოდნენ და ძალას იკრებდნენ დაუსრულებელ ომებში, ამდენად ხანგრძლივი მშვიდობა მხოლოდ საზიანოა მათთვისო. მეორე მიზეზად ქართველების დაქვეითებისა მას მიაჩნია 60-იანი წლების რეფორმა, რომელმაც მისი აზრით, ერთგვარი მოჩვენებითი სიცხოველე შეიტანა ქართველთა ცხოვრებაში, მაგრამ ამასთან ერთად მანვე გავლენაც ბრძონია მათ შინაურ ცხოვრებაზე. მაღალი წოდება დაეცა, განადგურების გზას დაადგა და ხალხიც უმწყემსოდ დარჩენილ ფარას დაემსგავსა. მისი თვალსაზრისით, ერთადერთი დაწესებულება, რომელმაც სარგებლობა მოუტანა ქართველ ხალხს იყო ვორონცოვის მიერ აშენებული სამხედრო სკოლები. ავტორის შენიშვნით, მართალია ეს სკოლები სათანადო ცოდნას ვერ აძლევდნენ მოწაფეებს, მათ მაინც ჰქონდათ გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რადგან დისციპლინას უმუშავებდა მოსწავლეებს.

390. 1901 წ. „ცნობის ფურცელმა“ № 1582-ში დაბეჭდა სარედაქციო წერილი „პრესისა“, რომელიც წარმოადგენს პასუხს ველიჩკოს

მეგრ „Новое время“-ში გამოქვეყნებულ წერილზე. სტატია სავესო აღმთოთებით იმ არგუმენტების გამო, რომლებიც მოჰყავს ველიჩკოს. ქართველთა დღევანდელი „დაკნინების“ ასახსნელად (იხ. კომ. № 389).

391. იგულისხმება რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლის აღსანიშნავი იუბილე.

392. იგულისხმება ე. თაყაიშვილის სტატია: „პარხლის სახარების აღწერილობა“ (იხ. კომ. № 252).

393. ნ. მარის ნაშრომზე „Боги языческой Грузии“ ე. თაყაიშვილმა თვითონ დაწერა რეცენზია „მარუშიანის“ ფსევდონიმით, KB, 1902.

394. ნიკო ლოლობერიძე (1838—1911) — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს მოამბის“ გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი; 60-იან წლებში სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მონაწილეობდა ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

395. „მარუშიანი“ — ე. თაყაიშვილის ფსევდონიმი.

396. გულისხმობს ე. თაყაიშვილის რეცენზიას მის ნაშრომზე: „Боги языческой Грузии“.

397. იგულისხმება ნ. მარის შრომა: „Древнегрузинские надписи“.

398. იგულისხმება ნ. მარის რეცენზია აურელიო პალმიერის წერილზე „К истории грузинской церкви“, რომელიც გამოვიდა რომში 1901 წ. ქ. „Bessarione“, ტ. IX; KB, № 2, 1902.

399. იხ. კომ. № 376.

400. ნ. მარს განზრახული ჰქონდა თავისი „Одписцы“ გრიგოლ გურიელის გარდაცვალების 10 წლისთავისათვის მიეძღვნა, მაგრამ რადგანაც გამოცემამ დაიგვიანა, ბროსეს გარდაცვალების 100 წლისთავს უძღვნა იგი.

401. მხედველობაში აქვს სინასა და იერუსალიმში მოგზაურობა.

402. ე. თაყაიშვილმა 1901 წ. ზაფხულში გურიაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალა გამოაქვეყნა ქ. „მოამბის“ მე-2 ნომერში. ეს მასალა შევიდა მის წიგნში: „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ წიგნი I, ტფილისი, 1907.

403. „არგონავტი“ — რუსული პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც დაარსდა თბილისში 1901 წელს.

404. დავით კარიჭაშვილი (1862—1927) — ქართველი მწერალი; ისტორიკოსი, მასწავლებელი, წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორი და ამ საზოგადოების ხელნაწერთა კა-

ტალოვის შემდგენელი. დ. კარიჭაშვილმა დაწერა რეცენზია ნ. მარის ნაშრომზე: „ძველი ქართველი მეხოტბეები“ იხ. ივერია, 1902 წ., 9 მაისი, № 97.

405. იგულისხმება ნ. მარის „Предварительный отчет о работах на Синае“, СПО. т. XIV. 1904 г.

406. გრიგოლ ხანძთელი (759—862) — ქართველი საეკლესიო მოღვაწე. იერუსალიმში მოგზაურობის დროს ნ. მარმა აღმოაჩინა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერი.

407. ნ. მარს მხედველობაში აქვს ექვთიმეს „Описание“...

498. აპოკრიფი „განრღვეულის განკურნება“ შესულია ხელნაწერებში: S-300 და S 1345. აქედან პირველი წარმოადგენს ჰაგიოგრაფიულ-მეტაფრასულ კრებულს, გადაწერილს 1779 წელს. ნ. მარს ეს ხელნაწერი არ გამოუყენებია.

409. „თიმსარიანი“ ე. თაყაიშვილმა გამოსცა 1903 წელს. ძველი გამოვიდა ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით და მისი რედაქტორობით.

410. საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ მოიწონა ნ. მარის აზრი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი სპეციალისტებისაგან შედგეს სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაევალება უხელმძღვანელოს ქართული და სომხური წარწერების შეკრებასა და გამოქვეყნებას. ნ. მარის მიერ ორგანიზებულმა კავკასიისმცოდნე სპეციალისტთა ჯგუფმა თბილისში ჩაატარა ორი სხდომა და შეიმუშავა შემდგომი მუშაობის გეგმა: სომხური და ქართული წარწერების გამოქვეყნება ადრე ცნობილ წარწერებთან ერთად. ამ საქმის დაბოლოება ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. შედგა მხოლოდ ადრე გამოქვეყნებული სომხური წარწერების საძიებელი.

411. იხ. კომ. № 410.

412. ლალიაინცი ერვანდ (1864—1931) — ცნობილი სომეხი ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და არქეოლოგი. მან დააარსა სომხეთის ეთნოგრაფიული საზოგადოება და სომხური ეთნოგრაფიული ჟურნალი.

413. 1903 წელს ნ. მარი ჩადის გურიაში და იგებს უცნაურ სიახლეებს: კერძოდ, რომ გურული გლეხობა აჯანყებას აპირებს. როზენთან მიწერილ წერილში ის შეშფოთებას გამოთქვამს, რომ თუ ზომები წინასწარ არ იქნა მიღებული, დიდ სისხლისღვრას და მსხვერპლს გამოიწვევს მოძრაობა.

414. იგულისხმება ექვთიმეს „Описание“-ს I ტ ნაკვეთი.

415. იგულისხმება ნ. მარის მეუღლე.

416. ი. აშინოვი — ავანტიურისტი, წარმოშობით პერმიდან. 1887

წელს იგი ჩამოვიდა საქართველოში იმ განზრახვით, რომ შავი ზღვის სანაპიროზე დაესახლებინა ყაზახები. მისი მიზანი ასეთი იყო: საქართველის დროს ყაზახები დაიცავდნენ კავკასიის მტრის შემოსევისაგან. ზოგიერთმა რუსმა საზოგადო მოღვაწემ მართლა ირწმუნა ი. აშინოვის ცრუპატრიოტული წამოწყება და ქება-დიდება შეასხა მას პრესაში. აშინოვს საკუთარი ჯარიც ჰყავდა, რომელიც სამსახურიდან გამოგდებული, თავზეხელაღებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა.

417. იგულისხმება ა. თაყაიშვილის „Зарзмский монастырь, его реставрация и фрески“, СМОМПК, вып. XXXV, 1905 г.

418. ლაპარაკია ექვთიმეს „Описание“-ს და „თიმსარიანის“ გამოქვეყნებაზე.

419. იგულისხმება მიქაელ მოღრეკილის, მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფის, საგალობლების ცნობილი კრებული.

420. აღონცი ნიკოლოზ გიორგის ძე (1871—1942) — პეტერზბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი, არმენოლოგი და ბიზანტოლოგი, ნ. მარის მოწაფე.

421. ტარას მომცემლიძე — მხატვარი-ფოტოგრაფი.

422. 1903 წელს ნ. მარმა გამოცა ძველი სომხური ენის გრამატიკა, რომელიც შეიქმნა საუნივერსიტეტო ლექციების კურსის საფუძველზე (იხ. „Грамматика древнеармянского языка. Этимология“, СПб., 1903).

423. იგულისხმება ნ. მარის „Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПб, 1908 г.

424. იგულისხმება ნ. მარის რეცენზია ექვთიმეს „Описание“-ს შესახებ. რეცენზია დაიბეჭდა ЗВО-ში, ტ. XV, 1904.

425. „მაჩვენებელი“ ანუ ქართული წარწერების საძიებელი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილსა და დ. კარიჭაშვილს უნდა შეედგინათ. (იხ. კომ. № 410).

426. ლაზარევის ინსტიტუტი — ამჟამად მოსკოვის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტი.

427. ნ. მარი ერთი თვით ითხოვს ნემესიოს ემესელის თხზულების „ბუნებისათვის კაცისა“-ს ხელნაწერს (S-339).

428. უნდა იგულისხმებოდეს ნ. მთვარელიშვილის კატალოგი. (იხ. კომ. № 46).

429. უნდა იგულისხმებოდეს დ. კარიჭაშვილი.

430. მხედველობაში აქვს ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“ ხელნაწერი S-339.

431. იხ. კომ. № 229.

25. ნ. მარი, ექვ. თაყაიშვილი.

432. იგულისხმება ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისას“ მე-14—15 საუკუნის წესსურით შესრულებული ხელნაწერი S-2579 (ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს თავის კატალოგში, გვ. 703—707) და XVII საუკუნის კრებული S-1358.

433. ივანე ნიჟარაძე (1874—1956) — მასწავლებელი, ბერძნული ენის სახელმძღვანელოს ავტორი. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს დაახლოებული იყო ნ. მართან. ეხმარებოდა მას სვანური ენის შესწავლაში და ამარაგებდა სვანური მასალებით. თბილისის უნივერსიტეტში ასწავლიდა კლასიკურ ენებს.

434. იხ. კომ. № 417.

435. იგულისხმება „ნემესიოსის“ ხელნაწერი (S-339).

436. იგულისხმება პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებისანი“.

437. იგულისხმება ი. გოგებაშვილის წიგნი „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1890 წელს; მეორეჯერ 1903 წელს გამოიცა. ამ წიგნმა იმ დროს დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მის შესახებ წერილები დაბეჭდეს ნ. მარმა, ივ. ჭავჭავაძემ და მ. ჯანაშვილმა.

438. 1902 წელს სინას მთაზე მოგზაურობის დროს ნ. მარმა აღმოაჩინა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბული ვერსია, რომელიც მან გამოსცა 1905 წელს — „Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием“ ЗВО, т. XVI.

439. იხ. კომ. № 258.

440. 1904 წელს ანისის გათხრების აღვილას ნ. მარმა კერძო პირთა სახსრებით დააარსა ანისის მუზეუმი.

441. 1904 წლის ზაფხული ნ. მარმა გაატარა კავკასიაში: თბილისში, ალექსანდროპოლში (ლენინაკანი), გურიში და ჭოროხის აუზში. რუსეთ-იაპონიის ომი დაწყებული იყო. მან გამოხმაურება კავკასიაშიც პოვა. ნ. მარი მოწმე გახდა იმ უკმაყოფილებისა, რომელიც გამოიწვია რუსეთის ცარიზმის პოლიტიკამ. მისი სიტყვით ქართველები, სომხები და თურქები ამხედრდნენ ადმინისტრაციული ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთივე უკმაყოფილება სუფევდა ჭოროხის აუზსა, ყარსში და საზოგადოდ, ყველგან.

442. იგულისხმება წარწერების კომიტეტის სხდომა (იხ. კომ. № 410).

443. იგულისხმება ქალანთარი ალექსანდრე (1855—1913), საზოგადო მოღვაწე. სომხური გაზეთის „მშაკ“-ის რედაქტორი.

444. მხედველობაში აქვს 1904 წელს გამოცემული ე. თაყაიშვილის „Описание“-ს ტ. I, ნაკვ. I—IV.

445. იგულისხმება ა. ა. ვასილიევის სინაზე 1902 წლის მოგზაურობის აღწერა: „Поездка на Синай в 1902 г. Путевые наброски“, СПО, т. XV, вып. 3. ეს წერილი გამოვიდა პეტერბურგში ცალკე წიგნაკად 1903 წელს.

446. სლავეცივი — რუსი მხატვარი-ფოტოგრაფი.

447. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის ხელნაწერი № 95, კრებული, პარხლის მრავალთავი გაბრიელ პატარაიას მიერ პარხალში გადაწერილი; შეიცავს „წამებად წმიდა მოწამეთად სპეცსიპსი-ელასიპსი და მელასიპსი“-ს ტექსტს, რომელიც 1907 წელს გამოსცა ნ. მარმა: „Деяния трех святых близнецов мучеников Спевсипа, Еласипа и Маласипа“—ЗВО, т. XVII.

448. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 70 (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექციის I, 1 № 70). ხელნაწერი წარმოადგენს XII საუკუნეში მახარებლის მიერ გადაწერილ კრებულს, რომელიც აღდგენილია მე-18 საუკუნეში; შეიცავს „წარტყუშნვად იმრუსალიმისად, ქმნილი ნეტარისა სტრატეიკი მონაზონისად“-ს, ტექსტი და გამოკვლევა გამოსცა ნ. მარმა 1909 წელს, „Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г.“ ТР, кн. IX:

449. ნ. მარის ეს მოსაზრება ეყრდნობა მცდარ ცნობებს. გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიბიკონის ძველი ქართული ხელნაწერის აღმოჩენამ (XI—XII სს.) საბოლოოდ ნათელაყო, რომ მისი შემდგენელი წარმოშობით იყო ქართველი და მის მიერ დაარსებული პეტრიწონის მონასტერი — ქართული კულტურის ცენტრი. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიბიკონი, თბ., 1971; გეორგიკა, V, თბ., 1963 და სხვა.

450. იხ. კომ. № 410.

451. კაზნაკოვი ალექსანდრე — კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

452. კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (1879—1962) გამოჩენილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი.

453. იხ. კომ. № 448.

454 იგულისხმება გერმანელი მეცნიერი ჰენრიხ გუსენი; დაინტერესებული იყო ძველი ქართული მწერლობის საკითხებით.

455. იხ. კომ. № 445.

456. დიმიტრი ერმაკოვი — ცნობილი რუსი ფოტოგრაფი, თაყაიშვილის არქეოლოგიური ესკპედიციების მონაწილე.

457. კოგეტიძე ნიკოლოზ, ნ. მარის მეგობარი, მათემატიკის მასწავლებელი.

458. იგულისხმება ექვთიმეს „Описание“...

459. იხ. კომ. № 417.

460. ვაპან გაბინიანცი — ერევნის სასულიერო სემინარიის სომხური ეკლესიის ისტორიის მასწავლებელი.

461. 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში გურიაც ჩაერთო. გურული მოსახლეობა აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახდა გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმი გაეგზავნა გურიის დასაშოშმინებლად. ქართველმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა მეფისნაცვალთან დეპუტაციის გაგზავნა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. დეპუტაციამ დაარწმუნა ვორონცოვი, რომ გურია დაშვიდდებოდა და მომავალში არაერთარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა მთავრობას. ვორონცოვი დათანხმდა და სამტრედიიდან უკან გამოითხოვა ალიხანოვი თავისი რაზმით. ასე გადარჩა მაშინ გურია აწიოკებასა და სიხლისღერას.

462. კავკასიის მთავარმართებელი 1905—1915 წლებში იყო თავადი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი.

463. იგულისხმება „აბუჯურას“ ადრე გაგზავნილი ხელნაწერი.

464. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი წინააღმდეგი იყო ქართული ენის სწავლებისა სამეგრელოს სკოლებში. მას აღუმხედრდა იმდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოება. დიმიტრი ეპისკოპოსი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ეპარქია. სწორედ ამ ფაქტს მიეძღვნა ნ. მარის წერილი 1905 წ. „ცნობის ფურცელში“ (№№ 2796 — 2797) სათაურით: „სიმართლე ქართულ ეკლესიაზე“. ეს წერილი გამოიწვია დიმიტრი ეპისკოპოსის პასუხმა მ. დურნოვოს სტატიაზე „ქართული ეკლესიის დევნის გაძლიერება“. ნ. მარი წერდა, რომ დიმიტრი ეპისკოპოსის პასუხმა თავისი შინაარსით და იმიტაც, თუ რა პირობებში ითქვა იგი, შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. მისი აზრით, ქართული ეკლესია სრულ ზნეობრივ დაცემამდეა მისული; არაეინ ზრუნავს მასზე, ღვიძლი შვილებიც კი მტრად გარდაქცევიანო. ეკლესიის ამგვარი მდგომარეობის გამო პირველად მ. დურნოვომ აღიმაღლა ხმა, მაგრამ მისი კატომოყვარე მოწოდება ნ. მარის თქმით შეხვდა მოწინააღმდეგეს ქართული ეკლესიის ერთ-ერთი მწყემსმთავართაგანის სახით (გულისხმობს დიმიტრი ეპისკოპოსს).

465. ვეიდენბაუმი ევგენი (1845—1918) — კავკასიათმცოდნე. 1877 წლიდან იგი კავკასიაში მოღვაწეობს სხვადასხვა თანამდებობაზე. 1904 წლიდან ის არის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე; 1906 წ.

ინიშნება მთავარმართებლის საბჭოს წევრად. მას ეკუთვნის ნაშრომები კავკასიის ისტორიისა, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე.

466. ნ. მარმა 1905 წელს „Новое время“-ში № 10425 გამოაქვეყნა წერილი გურიის მოძრაობის შესახებ. ეს მოძრაობა, მისი აზრით, პირველ რიგში გამოიწვია სახნავე მიწის უქონლობამ. მიწა მართო გლეხებს კი არ აკლდათ ნ. მარის აზრით, არამედ თავადაზნაურებსაც. ამას თან დაერთო აგრეთვე კავკასიის მმართველი წრეების უყურადღებობა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობისადმი. ნ. მარის ეს წერილი გადმოთარგმნა და დაბეჭდა გაზ. „ივერიამ“ (1905 წ. № 34).

467. იგულისხმება ნ. მარის მიერ 1905 წელს „ცნობის ფურცლის“ № 2772-ში დაბეჭდილი ფელეტონი „მეგრული ენა“. წერილში ნ. მარი ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეგრულ ენას ქართული ენის შესწავლისათვის. სამეგრელოს სკოლებში მეგრული ენის შემოღება და მეგრულ ენაზე მწერლობის შექმნა, მისი აზრით ძალიან შეაფერხებს ქართული ენის შემდგომი შესწავლის საქმეს. აზრი, თითქოს, დროის უქონლობის გამო არ ისწავლება სამეგრელოს სკოლებში „საეკლესიო ქართული ენა“, ნ. მარის თქმით, ან უკიდურესი უვიცობაა ან საზიზღარი თვალთმაქცობა. წერილში ნ. მარი საზოგადოებრივი ბრალდებისაგან იცავს თ. ჟორდანიას. მისი სიტყვით საზოგადოებას თ. ჟორდანიასათვის სასაყვედურო ამ საგანზე არა აქვს რა, რადგან იგი ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც სახელმწიფო უწყების ერთი მოხელეთაგანი. წერილის ძირითადი დასკვნა ისაა, რომ სამეგრელოს სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, თუ არ სურთ მეგრელების ეროვნული გადაგვარება და განადგურება.

468. საფარის მონასტრის აღწერა დაიბეჭდა იმავე კრებულში და იმავე წელს, სადაც ზარზმის აღწერა დაბეჭდა ექვთიმემ, იხ. СМОМПК, 1905, вып. XXXV “Сафарский монастырь, его надписи и остатки стеной росписи”.

469. უნდა იგულისხმებოდეს ე. თაყაიშვილის წერილი ბანას მონასტრის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1915 წელს, МАК,—XII.

470. თორამანიანი ტ. — ცნობილი სომეხი არქიტექტორი.

471. ნ. მარის „История Грузии“ 1906 წელს გამოსცა გამოშვებულა „ამირანმა“, „Амиран“, СПб. ეს ნაშრომი ნ. მარმა დაწერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით. წიგნში მან ამხილა დეკანოზ ვოსტოროვოს ცილისმწამებლური თვალსაზრისი, თითქოს „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაჩემება პოლიტიკური ჩანაფიქრია, რომელიც ეფარება ავტოკეფალობას ავტონომიისათვის —

„ესაა წილაბი. კავკასიის რევოლუციისაო“ — და ა. შ. ნაშრომი ფაქტიურად დაიწერა პ. ვოსტორგოვის ამ მტკიცებათა პასუხად და მათ გასაბათილებლად.

472. ვოსტორგოვი იოანე — დეკანოზი. დიდხანს მუშაობდა საქართველოში და მუდამ შულსა და სიძულვილს თესდა კავკასიის ხალხთა შორის. იგი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა. მუშაობდა საქართველოს საეგზარქოსო სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურედ. გადააყენეს 1905 წელს.

473. ნ. მარის პასუხი ვოსტორგოვისადმი დაიბეჭდა პეტერბურგის გაზ. „Рассвет“-ში 1905 წელს (№ 68—69), იმავე წელს იგი ითარგმნა ქართულ ენაზე სათაურით — „ქართველთა ეროვნება“; გამოქვეყნდა ქუთაისში 1906 წელს.

474. პოლტორაჟკი სიმონ ნიკოლოზის ძე — რუსი მხატვარი, არქიტექტორი.

475. სტრეიგორსკი იოსებ (1882—1941) — ავსტრიელი ხელოვნებათმცოდნე. მისი შრომები ეხება შუა საუკუნეების ევროპისა და აზიის ხალხთა ხელოვნების ისტორიას.

476. კლდიაშვილი სიმონ (1865—1920) — ცნობილი ქართველი მხატვარი-არქიტექტორი. მისი პროექტით არის აგებული თბილისის სახ. უნივერსიტეტი.

477. პოლტორაჟკი ივანე (1836—1892) — სპეციალობით ნოტარიუსი, ქართული ენის კარგი მცოდნე, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელი; ე. თაყაიშვილის სიმამრი და ილ. ჭავჭავაძის მეგობარი.

478. იგულისხმება ბარონი ვიქტორ როზენი.

479. 1907 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველო და სომხეთის სახელმწიფო წყობა“.

480. ე. თაყაიშვილი სთხოვდა ნ. მარს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში წაეკითხა საჯარო ლექცია. ნ. მარმა უარი შემოუთვალა.

481. იგულისხმება: „Известия Кавказского Отделения Московского Археологического Общества“, вып. II под редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, 1907“, რომელშიც დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის „Археологические экскурсии, разыскания и заметки“ вып. III.

482. იგულისხმება „აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსი სომხეთისა, შედგენილი ვახტანგ VI ბრძანებით“ დაბეჭდილი: 1907 წელს: „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, ტფილისი, 1907.

483. ედუარდ ლიოზენი — თბილისის ეკათა II გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი, მოყვარული ფოტოგრაფი.

484. კალგინი — ანატოლ ნიკოლოზის ძე (1875—1945) — რუსი არქიტექტორი; სპეციალური განათლება მიიღო პეტერბურგის საინჟინრო ქალაქმშენებლობის ინსტიტუტში (1900 წ.), დამკვიდრდა კავკასიაში, მუშაობდა პიატიგორსკში არქიტექტორის თანაშემწედ. 1907 წელს ჩამოვიდა თბილისში. მკვიდრო კონტაქტები ჰქონდა ე. თაყაიშვილთან, სისტემატურად იღებდა მონაწილეობას მის არქეოლოგიურ ექსპედიციებში (აზომა ძეგლები: ტაოსკარი, კალმახი, ოლთისი, ბანა და სხვა). მისი პროექტით არის აშენებული სათავადაზნაურო ბანკის შენობა (ახლანდელი რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა), თანაავტორია ზაპსის ელსადგურის პროექტისა და სხვა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს ეზოში.

485. იგულისხმება. „Материалы по археологии Кавказа. Христианские памятники. Экскурсия Е. Такайшвили 1902 г.“ Москва, вып. XII. 1909. ეს წიგნი რუსეთის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა.

486. იგულისხმება ა. ხახანაშვილის „Очерки по истории грузинской словесности“-ს მე-4 ნაკვეთი, 1906.

487. ე. თაყაიშვილის ინიციატივითა და თაოსნობით 1907 წელს დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის მიზანი იყო ძველი საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიული, არქეოლოგიური და ლიტერატურული ნაშთების შეგროვება და შესწავლა. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით საზოგადოებამ გამოსცა ორი სერია: „ძველი საქართველო“ (გამოვიდა სულ 4 ტომი — 1909, 1913—1914 და 1914—1915 წლებში) და „საქართველოს სიძველნი“ — I ტ. გამოვიდა 1899, II ტ. — 1909 წ. III ტ. — 1910 წ.); პირველ სერიაში იბეჭდებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, გამოკვლევები, ხოლო მეორეში — სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და აქტები.

488. სახალხო უნივერსიტეტი ანუ ცოდნის უმაღლესი კურსები დაარსდა 1907 წელს ე. თაყაიშვილის, გ. თუმანიშვილის და მ. თამამშევის თაოსნობით. კურსებზე იკითხებოდა ლექციები კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ.

489. იოსებ ორბელი (1887—1961) — ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, არმენისტი და არქეოლოგი. ნ. მარის სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტში.

490. ნ. კარაკაში — კავკასიის უმაღლეს კურსებზე ლექციებს კითხულობდა გეოლოგიაში.

491. ე. თაყაიშვილის „Описание“ 1904 წ. რუსეთის მეცნიერების აკადემიის მიერ დაჯილდოვდა ოქროს საპატიო მედლით.

492. ს. მალხასიანი — თბილისის სომხური სასულიერო სემინარიის მასწავლებელი.

493. იგულისხმება ვ. რეგელი.

494. მხედველობაში ჰყავს ნ. კარაკაში.

495. უნდა იგულისხმებოდეს გრაფი დიმიტრი ანდრიას ძე ტოლსტოი, მეფის რუსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე. 1865 წელს სინოდის ობერ-პროკურორია, ხოლო 1866—1880 წლებში მფარველობს სახალხო განათლების სამინისტროს. 1882 წელს ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრად. სახალხო განათლების მინისტრად ყოფნის დროს მან გაატარა რეფორმა. მის დროს გაიხსნა ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტი პეტერბურგში (1867 წ.), რუსული ფილოლოგიური სემინარია ლაიფციგში... მას ეკუთვნის რიგი სტატიებისა განათლების შესახებ, რომლებსაც ათავსებდა ЖМНП-ში.

496. იგულისხმება ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი თუმანიშვილი (1854—1920), გაზეთ „Новое Обозрение“-ს გამომცემელი.

497. 1908 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იყო ნ. რედოლფი.

498. 1906—1907 წლებში უწმინდესი სინოდი ატარებდა წინასწარ სხდომებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით, რომლებშიც ნ. მარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

499. იხ. კომ. № 486.

500. «Еще о слове «челеби» (К вопросу о культурном значении курдской народности в истории Передней Азии). ЗВО, т. XX, 1911 г.

501. «Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили, Описание рукописей Общества распространения грамотности», т. I, вып. 1—4, СПб., 1908 г.

502. უნდა იგულისხმებოდეს წიგნების გამომცემელი ქართული ამხანაგობის მიერ დაბეჭდილი ე. თაყაიშვილის „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნების“ I წიგნი. ტფილისი, 1907.

503. ნ. მარს მხედველობაში აქვს 1908 წ. გამომცემული კ. კეკელიძის წიგნი: «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение», Тифлис, 1908 г.

504. ნ. მარის მოხსენება პროკლეს „კავშირის“ შესახებ დაიბეჭდა სათაურით: «Иоани Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века», ЗВО, т. XIX, 1909 г.

505. თამარის გუჯარი ე. თაყაიშვილს არ გამოუცია.

506. 1909 წლის 7 იანვარს ნ. მარი აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად.

507. ადოლფ დირი (1867—1930) — გერმანელი ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი და კავკასიათმცოდნე. 1902 წლიდან 1913 წლამდე მასწავლებლობდა კავკასიის საშუალო სკოლებში (ასწავლიდა გერმანულ ენას). სწავლობდა კავკასიის ხალხების: ენებსა და ყოფას. დირმა გერმანულ ენაზე შეადგინა თანამედროვე ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა. დირის ნარკვევებში გამოკვლეულია დელესტურისა და სხვა კავკასიური ენების გრამატიკა, ტექსტები და ლექსიკონი. დააარსა ჟურნალი „Caucasica“, რომელიც წარმოადგენს პირველ საენათმეცნიერო კავკასიათმცოდნეობით ჟურნალს.

508. სვიმეონ ლოლოთეტი, იგივე მეტაფრასტი, ლ. საუკუნის II ნახევრის ბერძენი საეკლესიო მოღვაწე, რომელმაც ბიზანტიურ მწერლობაში დაამკვიდრა მეტაფრასული აგიოგრაფია.

509. დავით ტბელი — ტბეთის ეპისკოპოსი, X საუკუნის ცნობილი მოღვაწე, მთარგმნელი.

510. სტეფანე სანანოსძე — X საუკუნის II ნახევრის მოღვაწე, ჭყონდიდის ეპისკოპოსი, ავტორი და მთარგმნელი საეკლესიო საგალობლებისა.

511. საბა თუხარელი — XI საუკუნის შავი მთის მოღვაწე.

512. ეფრემ დიდი ოშკელი — XI საუკუნის შავი მთის მოღვაწე.

513. გამოცემა მოგვიანებით სათაურით: „ქსნის საერისთაოს სტატისტიკური აღწერილობა“, თსუ შრომები, ტ. 45, 1951.

514. იგულისხმება ბარონ ვიქტორ როზენის მეუღლე.

515. იგულისხმება „ძველი საქართველო“, რომლის I ტომი გამოვიდა 1909 წელს.

516. ქართლის მოქცევის შატბერდული და ჭელიშური ვარიანტების სრული ტექსტები გამოცემა 1912 წელს „Описание“-ს II ტ. I—IV ნაკვ.

517. საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ პოლტორაკისეული რუსული თარგმანის დაბეჭდვის შესახებ (1908 წ.).

518. იგულისხმება „Известия Кавказского отделения Моск.-Арх. Общества, вып. III, под редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, 1913.

519. ვახტანგ VI-ის სამართალი წერაკითხვის საზოგადოებას არ გამოუცია.

520. ექვთიმეს მხედველობაში აქვს მის მიერ ატენის ხეობაში ნაპოვნი „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერი.

521. გულისხმობს ექვთიმეს მიერ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერის პოვნას.

522. ანტუან მეიე (1866—1936) — ცნობილი ფრანგი ლინგვისტი, შედარებითი მეთოდის შემქმნელი ენათმეცნიერებაში.

523. იგულისხმება ა. მეიეს შენიშვნა ნ. მარის შრომაზე:

«Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка»: «О родстве грузинского с семитическим я не имею установившегося мнения..., но морфологическое сходство, установленное вами, поражает».

524. პოლ პეტერსი (1870—1950) ბელგიელი ორიენტალისტი, ქართული აგიოგრაფიული ძეგლების მკვლევარი და მათი ლათინურ ენაზე მთარგმნელი.

525. იხ. კომ. № 440.

526. საქმე ეხება სრული ქართული ლექსიკონის შესადგენად მასალების შეკრებას.

527. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩი (1874—1938) — ცნობილი რუსი ბიზანტოლოგი, არქეოგრაფი და ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1902); სტრასბურგის (1911 წ.) და ბერლინის (1929) აკადემიათა წევრი. იგი იყო აგრეთვე ძველი ქართული და სომხური საეკლესიო მწერლობის მკვლევარი. ბენეშევიჩმა გამოაქვეყნა სინის მთაზე დატული ბერძნული ხელნაწერების აღწერილობის ორი ტომი (1911 და 1917 წ.). მას ეკუთვნის გამოკვლევა „ქართული დიდი ნომოკანონი“ თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა მიხედვით“.

528. თურქეთის ლაზისტანში ნ. მარი გაემგზავრა 1909 წელს ზაფხულში ქანური (ლაზური) ენის შესასწავლად. გამოსცა ნაშრომი „Из поездки в турецкий Лазистан“, ИАН, 1910.

529. ალექსანდრე შვარცი (1849—1915), განათლების სახალხო მინისტრი 1908—1910 წლებში. მის სახელთანაა დაკავშირებული დაწყებით და უმაღლეს სასწავლებლებში რეაქციული წესების შემოღება.

530. იგულისხმება სომეხთა კათალიკოსი მათევოზ II (1908—1910).

531. გაზეთ „Голос Кавказа“-ს 1909 წლის №№ 797—799-ში ა. პუნდიტის ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი „Грезы и действительность“. წერილის დაწერის მიზეზი გახდა გაზეთ „Закавказье“-ში გამოქვეყნებული უცნობი პუბლიცისტის სტატია სა-

ქართველოს წარსული დიდებისა და მისი უძველესი კულტურის შესახებ სათაურით „Грузинский вопрос“. პუნდიტი ილაშქრებს ამ პუბლიცისტის წინააღმდეგ და მიიჩნევს მას განდიდების მანიით შეპყრობილ პიროვნებად. მისი აზრით ამ მანიით არის შეპყრობილი ყველა ქართველი მწერალი, ვინც კი ეხება საქართველოს და ქართველებს. ის თვლის, რომ ხალხს, რომელიც თავს დებს დიდ კულტურაზე, გარკვეული წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საქმეში. ქართველებს მისი თვალსაზრისით არაფერი მნიშვნელოვანი არ შეუქმნიათ ამ მხრივ. იოანე პეტრიწი, ა. პუნდიტის აზრით, არის მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელი, რომელიც ნ. მაჩის მიერაა მიჩნეული ნეოპლატონიკოსად, მაშინ როდესაც მისი არც ერთი ორიგინალური ნაშრომი არ არის ცნობილი. ა. პუნდიტი ერთადერთ ჰუმარიტ მხატვრულ ნაწარმოებად შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ აღიარებს, თუმცადა იქვე დასძენს, რომ იგი სრულიად უცხოა ქართველი ხალხის ბუნებისათვის და მისი ავტორი განიცდის არაბული ლიტერატურის ძლიერ გავლენას.

წერილის დასასრულს ა. პუნდიტი მოუწოდებს პუბლიცისტებს შეწყვიტონ ხალხის გართობა საქართველოს წარსული კულტურის შესახებ წერილების ბეჭდვით.

532. სირაკან თადეოსის ძე ტიგრანიანი — კავკასიის სასწავლო ოლქის სახალხო განათლების კომისარიატის წევრი, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის აღიუნქტი.

533. იოსებ ყიფშიძე (1883—1919) — ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი. ნ. მარის მოწაფე, მეგრული და ქანური ენების მკვლევარი, შეადგინა მეგრული ენის ლექსიკონი. ი. ყიფშიძემ 1909 წელს უ. „ამომავალი მზე“ № 1-ში ვრცელი რეცენზია უძღვნა ნ. მარის ნაშრომს: „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ცხრილები და წინასწარი მოხსენება ქართულის და აკმიტურის ნათესაობის შესახებ“. ავტორი ნ. მარის ამ ნაშრომს აღმოჩენად მიიჩნევს.

534. იაკობ სმირნოვი (1869—1918) — ცნობილი რუსი არქეოლოგი, ანტიკური და შუა საუკუნეების ხელოვნების მკვლევარი, აღმოსავლეთმცოდნე; ნ. მართან ერთად მონაწილეობდა გარნისის გათხრებში. მოგვიანებით გამოვიდა სმირნოვისა და ნ. მარის ერთობლივი ნაშრომი: Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, „Вишапы“, 1931 г.

535. სომეხი და ქართველი ფილოლოგების დაახლოვების მიზნით ნ. მარის ინიციატივით გადაწყდა მოწვეულიყო ქართულ-სომხური ფილოლოგიის მუშაკთა ყრილობა. ნ. მარმა პეტერბურგში შეადგინა ყრილობის წინასწარი გეგმა და სამუშაო პროგრამა. კავკასიის მთავარ-მართველი და მეცნიერებათა აკადემია თანახმა იყო ყრილობა მო-

წვეულიყო იენისში. ნ. მარი ამ დროს ანისის გათბრებზე იმყოფებოდა და პასუხი დაგვიანებით მიიღო (ივლისის თვეში). საიმპერატორო მცნებებთან აკადემიამ წინადადება მისცა მათ ყრილობა მოეწვიათ მემდინარე წელს მთავრობის მიერ წინასწარ დასახული პროგრამის თანახმად. ყრილობის მოსამზადებელმა კომიტეტმა ეს პირობა არ მიიღო და ყრილობა აღარ მოწვეულა.

536. ა. ტურაევი (1863—1920) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ეგვიპტოლოგი.

537. იგულისხმება დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე.

538. იგულისხმება თათარხან დადეშკელიანი, ეთნოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური შინაარსის წერილების და სვანეთის შესახებ გამოკვლევების ავტორი.

539. საუბარი ეხება ყრილობის მოწვევის ამბებს (იხ. კომ. № 535).

540. საეკლესიო მუზეუმის № 90 (A—90) ხელნაწერი არის კრებული (მეტაფრასი სამოწმოდ) XIII საუკუნისა, რომლის გადამწერი და მომგებელი არის ბერი პავლე. კრებულში შესულია ის თხზულება, რომელიც აინტერესებდა ნ. მარს, კერძოდ „მოსაცხენებელი მცირე სკემონისთვის ლოლოთეტიისა“... (ეფრემ მცირე).

541. იგულისხმება „ძველი საქართველოს“ I ტომში დაბეჭდილი იუსტ. აბულაძის ნაშრომი: „XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (წერილი წაკითხული იყო საზოგადოების კრებაზე 1908 წლის 21 თებერვალს).

542. იგულისხმება მ. ჯანაშვილის 1909 წელს გამოცემული „ქართული მწერლობა“.

543. 1908 წლის 21 თებერვალს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე იუსტ. აბულაძემ წაიკითხა რეფერატი (ოქმი № 6) რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ (იხ. კომ. № 541). აზრი გამოთქვა ე. თაყაიშვილმა. იგი ერთმხრივ ეთანხმებოდა ავტორს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტი სპარსულად ნათარგმნი თუ არა, სპარსეთიდან შემოსული მაინც უნდა იყოს, ზოლო მეორე მხრივ, არ იზიარებდა მის აზრს, თითქოს, პოემის ტიპები და ხასიათები ქართული არ არის. ასეთმა შეფასებამ რატომღაც ნ. მარის გაოცება გამოიწვია.

544. 1911 წელს ნ. მარის ინიციატივით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ დააარსა სერია: „Bibliotheca Armena — Georgica“, რომელშიც ქვეყნდებოდა სომხურ-ქართული მწერლობის ძველი ტექსტები.

545. აღიშის სახარება 1916 წ. გამოიცა ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით: Адышское Евангелие 897 года, фототипическое издание под редакцией П. С. Уваровой, А. С. Хаханова и Е. С. Такайшвили. С предисловием Е. С. Такайшвили — Материалы по Археологии Кавказа, изд. Московского Арх. Общества, Москва, вып. XIV, 200 таблиц по 4 рисунка на табл.

ეს სახარება ფოტოგრაფიულად გადმოიღო არქ. ექსპედიციამ სვანეთში 1910 წელს.

546. იგულისხმება ოშკის ბიბლია, ბლეიკის აღწერილობის პირველი ნომერი; ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მისი ფოტო.

547. ნ. მარს მხედველობაში აქვს ბაქარის ბიბლია.

548. ლაპარაკია ქართული მუზეუმის აშენების შესახებ. მუზეუმი-სათვის შენობის აგებას ცნობილი მრეწველი დავით სარაჯიშვილი აპირებდა, მაგრამ მან ვერ შესძლო პირობის ასრულება და მეუღლეს უანდერძა ამ საქმის განხორციელება. მალე მეუღლეც გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად ქონების ერთი ნახევარი უნდა გადასცემოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად, ხოლო მეორე ნახევარი კი წერა-კითხვის გამავრცელებელ და დრამატულ საზოგადოებას. მაგრამ ქართული მუზეუმის აგების გეგმა დარჩა განუხორციელებელი — მოხდა ფულის ინფლაცია. ე. თაყაიშვილის ინიციატივით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპონატები დროებით გადატანილ იქნა ქართული გიმნაზიის შენობაში, III სართულზე. მალე აქვე დაიდო ბინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმამც, რომელიც ადრე მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე, ქარვასლაში.

549. იგულისხმება პავლე თუმანიშვილი — თბილისის თავდაზნაურთა წინამძღოლი, გაზეთ „ივერიის“ გამომცემელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1912 წელს საზოგადოებას შესწირა 2.438 სხვადასხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი, უმთავრესად საქართველოსა და ამიერ-კავკასიის შესახებ, აგრეთვე გაზეთები: „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „Закавказье“ და „Закавказская речь“ (იხ. ძვ. საქართველო, ტ. III).

550. 1910 წელს მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში, რომლის ხარჯები მთლიანად პ. თუმანიშვილმა იკისრა. თვითონ კი მოუტყულოების გამო ექსპედიციაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

551: იგულისხმება ნ. მარის მიერ გამოცემული „Грамматика чанского (лазского) языка“, МЯЯ, т. II, 1910.

552. ბესარიონ ნიჟარაძე „თავისუფალი სვანი“ (1851—1919) — მღვდელი, მასწავლებელი, სვანური ენის ლექსიკონის შემდგენელი, ავტორი მრავალრიცხოვანი წერილებისა სვანეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ფოლკლორის შესახებ.

553. ემანუილ ვატატი — სენატორი, კავკასიის მთავარმართებლის მოადგილე, „ტიანი სოვეტნიკი“, თავმჯდომარეობდა რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებას.

554. ნიკო მარი მუშაობდა სვანური ენის ლექსიკონზე, მაგრამ არ გამოუცია იგი.

555. იგულისხმება ნ. მარის მიერ 1910 წელს ანისის გათხრების დროს ერთ-ერთ ქართულ ეკლესიაში აღმოჩენილი ეპიტაფის ქართული წარწერა. წარწერა 20 სტრიქონიანია და წარმოადგენს საქართველოს კათალიკოსის ეპიტაფის მიმართვას ანისში მცხოვრები ქართველებისადმი. იგი დათარიღებულია 1218 წლით და დიდ ინტერესს წარმოადგენს შუასაუკუნეების კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის (იხ. „Надпись Епифания, католикоса Грузии (из раскопок в Ани, 1910)“ ИАН, 1910.

556 ნ. მარის მიერ დაარსებული სპეციალური ორგანო, სადაც იბეჭდებოდა ძველი მწერლობის ტექსტები და გამოკვლევები. პირველი წიგნი გამოვიდა 1912 წელს. რედაქტორი იყო ნ. მარი.

557. ნ. მარმა 1911 წლის 29 დეკემბერს მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება: „Кавказ и памятники духовной культуры“, რომელიც დაიბეჭდა ИАН-ში 1912 წელს.

558. პეტრე ჭარაია (1862—1919) — მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, მეგრული და აფხაზური ენების მკვლევარი. შეადგინა ქართულ-აფხაზური ლექსიკონი. წერილში ნ. მარი გულისხმობს პ. ჭარაიას გამოკვლევას „Об отношении абхазского языка к яфетическим“ რომელიც მან დაუბეჭდა ავტორს ჟურნალში „Материалы по яфетическому языкознанию“ 1912 წ. შრომა გამოსაქვეყნებლად პ. ჭარაიას მომზადებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1894 წ.

559. იგულისხმება ქართველი ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე (1886—1967).

560. მხედველობაში აქვს „Кавказский учебный округ“, რომელმაც გამოსცა „Описание“-ს I ტ. ნაკვ. I—IV.

561. იგულისხმება ქართლის მოქცევის შატბერდისა და კელიშის ვარიანტები, რომლებიც ე. თაყაიშვილმა დამატების სახით დაურთო თავის „Описание“-ს II ტომს — სრული ტექსტებით (გვ. 708—815).

562. გულისხმობს აკადემიკოსად არჩევას.

563. იგულისხმება ადიშის სახარების გამოცემის კორექტურა.

564. ჭერ კიდევ 1900 წელს გადაწყდა მასალების შეკრება სრული ქართული ლექსიკონის შესადგენად. მუშაობის გეგმის შედგენა-შემუშავება დაევალა დ. კარიჭაშვილს. სექციამ მიიღო გადაწყვეტილება. სალექსიკონო მასალა გამოექვეყნებინათ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ლექსიკონის გამოსვლამდე, მაგრამ ლინგვისტური სექცია მალე დაიხურა. 1912 წელს იუსტინე აბულაძის ინიციატივით განახლდა სალექსიკონო მასალის შეგროვება-დამუშავება, რისთვისაც შეიქმნა საგანგებო კომისია პ. კარბელაშვილის, ი. გომელაურის, გ. იმნაიშვილის და სხვათა მონაწილეობით. კრებამ დაადგინა შემუშავებელიყო წინასწარი გეგმა სალიტერატურო მასალის შესაკრებად და დასამუშავებლად. ამ კომისიის მუშაობას და მის შემადგენლობას ეხება ნ. მარის მიერ 1912 წელს „სახალხო გაზეთის“ № 639-ში დაბეჭდილი წერილი სათაურით: „ერთი დიდი საკითხის გამო“. ამ წერილში ნ. მარი ახასიათებს ქართული ლექსიკონისათვის ლინგვისტური მასალის შემკრები კომისიის წევრებს და მათ მუშაობას. ნ. მარი თვლის, რომ წევრები დილექტანტები არიან, რითაც ხელს უშლიან ქართულის ენათმეცნიერული შესწავლის საქმეს. მისი აზრით საქართველოში ჭერ არ არსებობს შესაფერი პირობები ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად, რადგან ქართველებს არა ჰყავთ კვალიფიცირებული სპეციალისტები ლინგვისტიკის დარგში. ასეთ პირობებში კი, მისი აზრით, „აუცილებელია, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოება მიენდოს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას და მასთან თანამშრომლობით დაწინაურდეს მეცნიერების ამ დარგში“ ნ. მარის ზემოდასახელებულმა სტატიამ ქართული საზოგადოებრიობის და თვით ე. თაყაიშვილის დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

565. იმავე „სახალხო გაზეთის“ №№ 645—646-ში ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა პასუხი ნ. მარის წერილზე: „მარის წერილის გამო“.

566. ამის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილის წერილი „საისტორიო მასალანი“ — მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიაზე და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ. „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913.

567. 1912 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას დაუკვეთა ათონის ივერიის მონასტრის აქტების ფოტოპირები (Афонские Акты III-A-21, № 95). პროფ. ბენეშევიჩის დახმარებითა და აქტიური ჩარევით საზოგადოებამ მიიღო ეს ფოტოპირები, თუმცა დაგვიანებით (1914 წ.).

ამყამად ეს მასალა ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში (H—3145).

568. პორთიერე უსპენსკი — არქიმანდრიტი; მოიარა წმიოდა ადგილები. ათონს პირველად ეწვია 1845 წელს. შეისწავლა ივირონის დოკუმენტები; გადაწერა ისინი ზოგი მთლიანად, ზოგის — ნაწყვეტები. დაწერილებით მოგვითხრობს მათ შესახებ თავის შრომებში:

«История Афона», «Путешествие по Афонским монастырям» და სხვა. მისი ნაშრომი „ათონის ივერთა მონასტრის სიგელები“ 41 ნაბეჭდ თაბახს შეიცავს, რედაქტირებულია და მომზადებულია სასტამბოდ ბენეშევიჩის მიერ. ეს ის მასალაა, რომელიც დაკულია H—3145-ში (იხ. კომ. № 567).

569. ეს წარწერები ექვთიმეს დაბეჭდილი აქვს:

«Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», — XLIII, 1913, «Археологические экскурсии, разыскания и заметки». Тифлисская губерния, Борчалинский уезд, триалетское приставство (Цалка; Имери...).

570. აბატი ტიბო — სასულიერო გალობის ცნობილი სპეციალისტი, ჩამოსული იყო თბილისში ქართული მუსიკალური ნიშნების შესასწავლად.

571. ე. თაყაიშვილს ნაშრომი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ უნდა გამოეცა პეტერბურგში. მისი გამოქვეყნება მან მოახერხა მხოლოდ 1937 წელს პარიზში.

572. პავლე იესეს ძე ინგოროყვა (1893—1983) — ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ტექსტოლოგი.

573. „Русское Знамя“-ს 25 ოქტომბრის ნომერში (№ 240) 1913 წელს გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „Культурность прогрессивных армян“ (Вела). წერილი პირველ რიგში ეხება თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხს. ავტორის აზრით, უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო სომეხთა ხელში, რადგან სომეხებისაგან დავალებულია არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ევროპა — ასეთი იყო ხატისოვის პოზიცია. გაკრიტიკებულია სომეხთა კათალიკოსი, რომელიც დათანხმდა იმაზე, რომ სომეხური სკოლების ახლადმოწვეული მასწავლებლები დამტკიცებინათ ადმინისტრაციულად. ამის გამო ფიშიაძინი გააკრიტიკა სომეხურმა გაზეთმა „ორიზონმა“. ამ გაზეთის დაშვებული შეცდომების გასწორება დააპირა მეორე სომეხურმა გაზეთმა „მშაქმა“. სომეხთა აზრით ცარიზმი რყვნის სომეხურ საეკლესიო სკოლას.

რუსეთის მთავრობის მოთხოვნა სიების წარდგენაზე გამოწვეული იყო სურვილით, რომ როგორმე თავიდან აეცილებინათ დაშნაკელთა გავლენა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. „მშაქის“ აზრით

მხოლოდ ის სკოლაა კარგი, სადაც ვერ შეაღწევს მთავრობის ზედამხედველობა. ასეთი იყო სომხური სკოლის იდეალი. ავტორი შემდეგ ეხება ნ. მარის მოღვაწეობას ანისში და წერს, რომ ნ. მარმა ანისის ნანგრევების შესწავლის დროს აღმოაჩინა ძველი ტაძარი და შესწავლა წარწერები. ამ მეცნიერის აზრით, რაც აქ აღმოჩნდა საქართველოს ეკუთვნის. როგორ ფიქრობთ — კითხულობს ავტორი — რა მოუტანა ამ აღმოჩენამ ნ. მარს? მას სომხეთის ყველა ქალაქში ბოიკოტი გამოუცხადეს, წაართვეს მუშები, იარაღები, ჩამოართვეს ყველაფერი და საჭმელზეც კი უარი უთხრეს. მის წინაშე დაიხურა ყველა სხსტუმროს კარები. ისე რომ დიდის გაჭირვებით ძლივს ჩააღწია თბილისში. „აი ესეც თქვენი კულტურისანი სომხეთი — წერს იგი. ნ. მარს რომ მოეტყუებია ყველა და ქართული წარწერები სომხურად გამოეცხადებინა, „განათლებული“ ქალაქის თავი ხატისოვი მის საპატივცემულოდ ბრწყინვალე სიტყვას წარმოთქვამდა. ესეც თქვენი ეგრეთწოდებული „სოლომის ცოდვის“ თავყვანისცემელთა „პროგრესი“

✓ 574. იგულისხმება „ხელმწიფის კარის გარიგება“.

✓ 575. იგულისხმება „ხელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანი.

✓ 576. მხედველობაში აქვს „ხელმწიფის კარის გარიგების“ წინასიტყვაობა.

✓ 577. იგულისხმება „ხელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონი.

✓ 578. იგულისხმება „ხელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანი.

579. იგულისხმება ნ. მარის წერილი: „Один вид грузинского криптографического письма“, ХВ, т. III, 1914.

580. იგულისხმება 1914—1917 წლის ამბები, როდესაც აჭარაში ოსმალებმა გააქტიურება დაიწყეს, შემოუტიეს მთას და შემოზიდენ დიდძალი იარაღი. ოსმალებმა მიაღწიეს მიზანს; ააჯანყეს მთიელები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და მოახერხეს აჭარის ხელში ჩაგდება.

581. იგულისხმება „ძველი საქართველოს“ მე-4 ტომი, რომელიც გამოვიდა 1915 წელს.

582. იგულისხმება 1) Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, ამონაბეჭდი „Известия“-ს I ნაკვეთიდან (1905 წ.)

2) Арх. экскурсии...-ს III ნაკვეთი, ამონაბეჭდი „Известия“-ს II ნაკვეთიდან (1907 წ.).

3) Арх. экскурсии-ს მე-4 ნაკვეთი, ამონაბეჭდი „Сборник материалов для описания местностей...“ XLIII, 1913.

4) Арх. экскурსიის მე-5 ნაკვეთი ამონაბეჭდი „Сборник“-ის XLIV ნაკვეთიდან (1915 წ.).

583. გულისხმობს ექვთიმეს სტატიას „Тквирская церковь в Мингрелии и ее древности“ — „Христианский Восток“, т. IV, вып. III, Петроград, 1915.

584. სუმბათ ვართანის ძე ტერ-ავეტისიანი — სომეხი არქეოლოგი, კავკასიის მუზეუმის მცველი.

585. იხ. კომ. № 583.

586. ექვთიმეს სტატია „Суджунская церковь и ее древности“ დაიბეჭდა „Христианский Восток“-ის მე-5 ტომში, ნაკვეთი I, პეტროგრადი, 1916 წ., 14 ტაბულით (XXIV—XXXVII), ხოლო მეორე სტატია „Древности Гулекарской церкви“ — „Христианский Восток“-ის მე-6 ტომში, III ნაკვეთი, 1922 წელს, 8 ტაბულით (II—IX).

587. 1914 წელს ექვთიმემ გამოსცა „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“, რომელიც შევიდა მისი „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნების“ მეორე წიგნში. ამ ნაშრომის რუსულად გამოცემაზეა წერილში საუბარი. 1927 წელს გამოვიდა «Церкви и церковные древности Мингрелии», — «Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе», т. II, Ленинград, 7 ტაბულით (I—VII).

588. ექვთიმეს ეს სტატიები არ დაბეჭდილა.

589. იგულისხმება ექვთიმეს სტატია «Церковь в Ване в Имерии и ее древности», რომელიც დაიბეჭდა 1927 წელს — «Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе», т. II.

590. იხ. კომ. № 589.

591. 1916 წელს იური შარმა, ჯერ კიდევ სტუდენტმა, იქორწინა ეკატერინე პანკრატოვაზე.

592. კავკასიაში სამეცნიერო ცენტრის გახსნის საკითხი ბევრჯერ იდგა, მაგრამ შეფის მთავრობა ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამ წამოწყებისა. ნ. მარის თაოსნობით თბილისში დაარსდა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი. ნ. მარმა ჯერ კიდევ ინსტიტუტის დაარსებამდე შეიმუშავა სამუშაო გეგმა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოებებთან ერთად. ახალი ცენტრი გაიხსნა 1917 წ. 27 ივნისს. დირექტორად დაინიშნა ნ. მარი, მოადგილედ ე. თაყაიშვილი.

593. ნ. მარის დედა იყო ალათი შარაშიძე-მალულარი.

594. იგულისხმება ნ. მარის წერილი „Грузинская поэма «Витязь

ხ ბარსოვი შურე» შოტის იზ რუსტავა ი ნოვაა კულტურნო-ისტორიკესკაა პრობლემა», იან, 1917 გ.

595. 1917 წელს ექვთიმე ხელმძღვანელობდა სამხრეთ საქართველოში ექსპედიციას, რომლის შედეგები გამოიცა რუსულად 1952 წელს ა. შანიძის რედაქტორობით: «Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии» (საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა), ხოლო ქართულად 1960 წელს ა. შანიძისავე რედაქტორობით: „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემა.

596. დიმიტრი გორდევი — რუსი ხელოვნებათმცოდნე, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის აღიუნქტი:

597. იგულისხმება ლადო დავითის ძე გუდიაშვილი (1896—1985) ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი.

598. სტეფანე კრუკოვსკი — პოლონელი არქეოლოგი, ერთხანს მუშაობდა საქართველოში.

599. ვალოდია მარი (1902—1921) ნ. მარის უმცროსი ვაჟი.

600. ანდრია იაკობის ძე ბელობოროდოვი — რუსი ხუროთმოძღვარი, მუშაობდა წრომში.

601. ეხლანდელი პ. ინგოროყვას ქუჩა.

602. ა. ს. შჩეპოტიევი — რუსი ბოტანიკოსი, მეაბრეშუმეობის საცდელი სადგურის დირექტორი, შემდეგში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

603. კავკასიის მუზეუმი დაარსდა 1852 წელს. ის შედიოდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებაში. კავკასიის მუზეუმმა 1863 წლამდე იარსება. მომდევნო წლებში ის თანდათანობით დაიშალა, ვინაიდან მისი არსებობა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებაში აღარ ჩათვალეს საჭიროდ.

გ. რადეს ინიციატივით და ხელმძღვანელობით კავკასიის მუზეუმში განახლდა 1867 წელს. იმ დროისათვის იგი შედგებოდა 4 განყოფილებისაგან: ეთნოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური და გეოლოგიური. საქართველოს ეხლანდელი სახელმწიფო მუზეუმი აღმოცენდა კავკასიური მუზეუმის საფუძველზე.

604. სომხური საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა ე. ლალიანციის ინიციატივით 1905 წელს; საზოგადოების თავმჯდომარე იყო ა. მელიქ-აზარიანი, მდივანი — წევრი ე. ლალიანცი. ამ საზოგადოების მიზანი იყო კავკასიისა და მეზობელ ხალხთა ეთნოგრაფიის შესწავლა.

605. ჩუბინაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (1885—1973) — ცნობილი ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ნამდვილი წევრი; ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი ნაშრომების ავტორი: „ქართული ხელოვნების ისტორია“, „Архитектура Кахетии“, „Вопросы теории искусства“, „Грузинское чеканное искусство“, Памятники типа Джвари“, „Пещерные монастыри Давид-Гареджи“, „Разыскания по армянской архитектуре“ და სხვა.

606. მიხეილ კალაშნიკოვი (1886—1969) — რუსი საბჭოთა ხელომძღვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მუშაობდა საქართველოში ქართული ძეგლების შესწავლაზე.

607. ნ. ოკუნევი — რუსი არქეოლოგი. 1917 წელს იგი მივლინებული იყო კავკასიაში აღმოსავლური ხელოვნების ძეგლების დასაცავად.

608. გულისხმობს მოახლოებულ რევოლუციას.

609. იგულისხმება კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის თანხები.

610. ნ. მარმა თბილისის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისათვის მეცნიერულ ბაზად ანისის არქივის მასალების გაგზავნა გადაწყვიტა. არქივში იყო დღიურები, გათხრების ანგარიშები, გეგმები, მონახაზები, წიგნები, ფოტო სურათები — ყველა ეს მასალა მან მოათავსა ერთ ვაგონში და პეტროგრადიდან თბილისში გამოაგზავნა. ვაგონი ანისის მასალებით გზაში დაიკარგა. ამგვარად დაიკარგა ნ. მარის 16 წლის ნამუშევარი. ანისის სამუშაოებიდან გადარჩა მხოლოდ დღიურების ნაწილი და ლექციები გათხრების შესახებ.

611: „სახალხო საქმე“ — ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1917—1921 წლებში; რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.

612. არც 1917 წელს და არც შემდგომ ნ. მარსა და ე. თაყაიშვილს ნოქალაქევეში გათხრები არ უწარმოებიათ.

613. აკაკი მეთოდესძე ხოშტარია (1873—1939) — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცენატი და ქველმოქმედი, პროფესიით აკრონომი. წლების მანძილზე იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სპარსეთში, ფლობდა ნავთობის კონცესიებს, თევზის სარეწებს და სხვა. პარიზში ცხოვრებისას ის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ეროვნულ განძს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ე. თაყაიშვილთან და ემიგრირებული მთავრობის ლიდერებთან.

614. ქართული უნივერსიტეტის „გამართვის“ ცდას ნ. მარი აღიქვამდა როგორც დიდ წინააღმდეგობას, დაბრკოლებას კავკასიის მეცნიერული შესწავლის გზაზე. უთანხმოება ქართველ ეროვნულ მოღვა-

წეთა და ნ. მარს შორის, რომელიც დაიწყო ნიკო მარის მეცნიერული მოღვაწეობის თითქმის პირველივე წლებიდან, უფრო საგრძნობი განხა თებერვლის რევოლუციის შემდეგ. განსაკუთრებით გამწვავდა იგი თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით. 1917 წელს ნ. მარი საჯაროდ ილაშქრებს ამ წინადადების წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ასეთი უნივერსიტეტის გახსნა წმინდა ნაციონალისტური გამოვლინებაა. მისი აზრით ასეთი მოთხოვნა გამართლებული იყო მეფის რუსეთის რეჟიმის პერიოდში და სრულიად გაუმართლებელია „დღეს, როცა ქართველ მუშათა და გლეხთა შეგნებული ნაწილი გამოდის საქართველოს სეპარატიზმისათვის მებრძოლად“. მისი აზრით ქართული უნივერსიტეტის შექმნა მხოლოდ ქართველი ერის ჰეგემონიას, კავკასიის ხალხთა გაუცხოების გაღრმავებას მოემსახურებოდა.

პრინციპულად ნ. მარი არ იყო წინააღმდეგი უნივერსიტეტის გახსნისა თბილისში, მაგრამ ეს უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო კავკასიური და არა მარტო ქართული. მაშინ ის იქნებოდა მოწოდებული განემტკიცებინა კავკასიელ ხალხთა სოლიდარობა და არა სეპარატიზმი.

ქართველ პატრიოტთა ბანაკში აღმოჩნდნენ ნ. მარის მოწაფეები და თანამზრახველები. მათ რიცხვში იყო ექვთიმე თაყაიშვილიც.

615. ნ. მარის „Грамматика древнелитературного грузинского языка“, МЯЯ, т. XII. გამოვიდა 1925 წელს.

616. იგულისხმება კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ადგილ-სამყოფელი. შენობა რომ ვერ იშოვნა ექვთიმემ თავისი ბინის ერთი ოთახი დაუთმო ინსტიტუტს და ზედ აბრაც გააკრა.

617. იგულისხმება ე. თაყაიშვილის სტატია: „Древности Гулекарской церкви“, ХВ, т. VI, вып. 3, 1922.

618. იგულისხმება ნ. მარის სტატია: „Яфетические элементы в языках Армении...“ ИАН, 1918.

619. იგულისხმება ოლივერ უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვისრამიანი“; გამოიცა ლონდონში, 1919 წ.

620. იგულისხმება „ხელმწიფის კარის გარიგება“.

621. ნოქალაქევის ბერძნული სახელწოდება.

622. გ. გ. ევანგულოვი — კავკასიაში ტურიზმის ხელშემწყობი კომიტეტის წევრი.

623. ლაპარაკია ანისის მუზეუმის ევაკუაციაზე.

624. 1906 წელს ანისის არქეოლოგიური გათხრების დროს ნ. მარმა იპოვა გაგიკის ტაძრის ნანგრევები. ჩრდილოეთის კედელთან იდგა ტაძრის აღმშენებლის მეფე გაგიკის ქანდაკება. მეფეს გულზე ჭვარი

ჰქონდა დაკიდებული, თავზე კი ჩაღმა ეხურა. 1918 წ. ანისში გადიოდა ფრონტის ზაზი, რის გამოც დანგრეული იქნა შენობები, მათ შორის ანისის მუზეუმი; დაიშხვრა გაგიკის ქანდაკებაც.

625. იგულისხმება დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სასახლე. ნაციონალიზაციის შედეგად მას ჩამოართვეს მდიდარი ბიბლიოთეკა და სამუზეუმო ნივთები, რომლებიც ე. თაყაიშვილმა თან წაიღო საფრანგეთში. მერე ეს ბიბლიოთეკა გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

626. 1916 წელს მეფის მთავრობამ გამოიტანა დადგენილება რუსეთის იმპერიაში უმაღლესი სასწავლებლის ქართულ ენაზე დაარსების შესახებ. უნივერსიტეტის დაარსება მოწინავე ქართველი საზოგადოების დიდი ხნის ოცნება იყო. ქართული უნივერსიტეტის გახსნის ინიციატივა იკისრა ივ. ჯავახიშვილმა. 1917 წლის 12 მაისს თბილისში გამართულმა კრებამ დაადგინა 1918 წლის დამდეგიდან ქართულ უნივერსიტეტში გაიხსნას ჯერ ერთი ფაკულტეტი, ზოლო შემდეგ დანარჩენები. უნივერსიტეტი უნდა მოთავსებულიყო ქართული გიმნაზიის შენობაში, რომელიც თავიდანვე უნივერსიტეტისათვის იყო გამოზნული მისი მშენებლის ნ. ცხვედაძის მიერ. 1918 წლის 13 იანვარს უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივ. ჯავახიშვილი, პროფესორთა საბჭოს მდივნობდა ი. ყიფშიძე. 1918 წლის 28 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გახსნილად გამოცხადდა.

627. ზ. დ. ავალიშვილი (1874—1944) პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო სამართლის მაგისტრი, ავტორი რიგი სამეცნიერო წერილებისა და გამოკვლევებისა სახელმწიფოებრივ წყობასა და საქართველოს შუა საუკუნეთა ისტორიის შესახებ; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში გაემგზავრა (1921). მისი პირველი ნაშრომია „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ (1901); იკვლევდა ძველი ქართული მწერლობისა და ფილოსოფიის საკითხებს. ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (პარიზი 1931) იგი განიხილავს რუსთაველის კოსმოგონიურ შეხედულებებს.

628. ა. ვ. ლუნაჩარსკი (1875—1933) — ცნობილი საბჭოთა საზოგადო მოღვაწე, ორატორი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა სახალხო განათლების კომისრად.

629. რობერტ ბლეიკი (1886—1950) — ამერიკელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, ნ. მარის მოწაფე, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მივლინებული იყო თბილისში ქართული ხელნაწერების შესასწავლად. თვით რუსეთ-

ში იგი გამოგზავნილი იყო ამერიკიდან ნ. მართან და ივ. ჯავახიშვილთან სამეცადინეოდ. მას ეკუთვნის ათონისა და იერუსალიმის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, გამოკვლევები ქართული ბიბლიისა და აგიოგრაფიის შესახებ.

630. იგულისხმება დ. გორდეევი და მისი ნაშრომი ზარზმის ფრესკაზე, რომელიც დაიბეჭდა 1923 წელს პეტერბურგში სათაურით: „Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 г. Росписи в Чуле, Сапаре и Зарзме“.

631. ე. პახომოვი (1880—1965) — ცნობილი რუსი არქეოლოგი და ნუმიზმატი. აღმოსავლური და ქართული ნუმიზმატიკის გამოჩენილი მკვლევარი. 1910 წელს მან პეტერბურგში დაბეჭდა ნაშრომი, რომლის I ნაწილისათვის 1911 წელს იგი დაჯილდოვდა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ვერცხლის მედლით.

632. უდალენკოვი — რუსი მხატვარი და არქიტექტორი.

633. ვაგონი წიგნებით გზაში დაიკარგა (იხ. კომ. № 610).

634. მ. კერნი — რუსი მხატვარი და არქიტექტორი.

635. თევდორე უსპენსკი (1845—1928) — ცნობილი რუსი ისტორიკოსი და ბიზანტოლოგი.

636. ა. თაყაიშვილის ეს აღწერილობები გამოიცა 1952 წ. „Археологическая экспедиция 1917 года...“

637. დ. გორდეევის სტატია ქართული მინიატურების შესახებ დაიბეჭდა ე. „Arg“-ის № 2—3-ში 1918 წ.

638. ჟურნალ „Arg“-ის ამავე ნომერშია დაბეჭდილი ე. თაყაიშვილის სტატია „Диван абхазских царей. Что заключала в себе так называемая „История Абхазии царя Баграта“, которою пользовался иерусалимский патриарх Досифей для своей „Истории Иерусалимских патриархов“.

639. იგულისხმება კ. კეკელიძის ქართული აგიოგრაფიული ძეგლები (კიმენი) I ტ., ტფილისი, 1918.

640. იგულისხმება „Известия Кавказского Историко-Археологического Института“, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის პერიოდული სერია.

641. იგულისხმება გელათის ბიბლიის ხელნაწერი A—1108, ამაჟამად დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

642. მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძე (1870—1937) — რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი. 1921 წელს ბათუმის რევკომის თხოვნით თურქებისაგან გაათავისუფლა ქ. ბათუმი, აჭარის სხვა რაიონები და

წითელი არმიის ნაწილებს ჩააბარა. იმავე წელს დაინიშნა ქართული წითელი არმიის დივიზიის მეთაურად.

643. იგულისხმება ნ. მარის წერილი „Надпись Сардура II, сына Аргиштия в Даш-Керпи на Чалдырском озере“, Записки Кавказского Музея, Серия В, I, СПб, 1919 г.

644. იგულისხმება „Кавказский Историко-Археологический Институт“.

645. რუსეთის რევოლუციის შემდეგ ნ. მარი პირველად 1920 წლის 12 სექტემბერს მიემგზავრება მივლინებით ევროპის ქვეყნებში. 1921—22 წლებში იგი პარიზსა და ბერლინში სწავლობს კავკასიის, წინა-აზიის, მცირე აზიის და ხმელთაშუა ზღვის ხალხთა კულტურული ნათესაობის საკითხებს.

646. 1921 წლის დასაწყისში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გახიზნა ქართულ მუზეუმებსა და ეკლესიებში დაცული ძვირფასი ძეგლები. განძეულობის მეთვალყურედ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დანიშნა ე. თაყაიშვილი, რომელიც უცხოეთში 25 წლის განმავლობაში იცავდა მას. ქართული განძი საფრანგეთში ჯერ მარსელის ბანკში ინახებოდა, ხოლო შემდეგ გადატანილ იქნა პარიზში. 1945 წლის აპრილში ე. თაყაიშვილი დაბრუნდა საქართველოში და თან ჩამოიტანა განძეულობა.

647. დავით ნესტორის ძე კაკაბაძე (1889—1952) — ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი.

648. 1922 წელს ნ. მარი მეორე მივლინებით მიემგზავრება საზღვარგარეთ 8 თვით. დროის უმეტესი ნაწილი ესპანეთის ვიზის მოლოდინში მან პარიზში გაატარა. პირველად იგი გაჩერდა ლაიპციგში, შემდეგ გადავიდა პარიზში.

649. უსახსრობის გამო ე. თაყაიშვილს მოუხდა საფრანგეთის დედაქალაქის დატოვება და ლევილში გადასახლება.

650. ე. პახომოვის ქართული ნუმისმატიკის მეორე ნაწილი პუბლიკაციისათვის მზად იყო ჯერ კიდევ 1912 წელს, მაგრამ მისი გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო შეყოვნდა. იგი გამოქვეყნდა თბილისში მხოლოდ 1970 წელს.

651. ამ ცნობამ საქართველომდეც მოაღწია, გაზ. „ლომისის“ რედაქციამ საბერძნეთიდან მიიღო „სენსაციური წერილი“, რომელიც დაიბეჭდა 1921 წლის 8 ოქტომბერს. იგივე მასალა გამოაქვეყნა გაზ. „ბახტრიონმა“ 1922 წლის 10 დეკემბერს. ქართველი საზოგადოება

ამ ცნობას ეჭვით შეხვდა. მეცნიერებმა ღუმილი არჩიეს. ინტერესი ამ საკითხისადმი გაიზარდა 80-იან წლებში, მას შემდეგ, რაც გამოვიდა მ. თოდუას წერილი „კვალი იმედიანი“, რომელშიც ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს არაბული წყაროს არსებობას. გამოითქვა მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმად ამ „სენსაციური წერილის“ ავტორი „ყალბისმქმნელია და რომ მასში მოტანილი ქართული მასალა თარგმნილია არა არაბულიდან, არამედ ფრანგული ტექსტიდან (დაწერილებით ამის შესახებ იხ. მ. თოდუა, „კვალი იმედიანი“, 1983, აღმ. „კრიტიკა“; ლ. მენაბდე, „რუსთაველის „არაბული ლექსების გამო“, ლიტერატურული საქართველო, 1965, 8 თებერვალი, თ. მარგველაშვილი, ნ. წაქაძე, „ისევ და ისევ რუსთაველის არაბული ლექსების გამო“, „კომუნისტი“, 1986, 13 თებერვალი).

652. 1830 წელს მ. ბროსემ გამოთქვა აზრი, რომელიც შემდეგ ნ. მარმაც გაიზიარა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ და „თამარიანის“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს, სახელდობრ შ. რუსთაველი-ჩახრუხაძე. 1917 წელს ნ. მარმა უარყო თავისი აზრი, ხოლო უკანასკნელ წლებში კვლავ მიუბრუნდა მას.

653. 1924 წელს ნ. მარი დაინიშნა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად.

654. დასახელებული სტატია ჩანგლის ეკლესიის წარწერების შესახებ რუსულად არ გამოქვეყნებულა. 1938 წ. პარიზში გამოიცა ქართულ ენაზე ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლაოლთისში და ჩანგლში 1907 წ.“

655. რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის ბაზაზე შეიქმნა ახალი დაწესებულება „მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია“, რომელიც დაარსდა 1919 წლის 18 აპრილს. 1920 წლიდან გამოდის ГАИМК-ის პერიოდული სერია.

656. Н. Кондаков, Д. Бакрадзе „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“, 1890 г. С. Петербург.

657. „იაფეტური კრებული“ იბეჭდებოდა 1922 წლიდან. მასში ქვეყნდებოდა ნ. მარის შრომები იაფეტური ენებისა და საზოგადოლო იაფეტოლოგიის შესახებ.

658. გელათის წარწერების შემოწმებული ტექსტი არ დაბეჭდილანახება ე. თაყაიშვილის არქივში.

659. იხ. „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერების“ ნაწ. I, პარიზი, 1929 წ.

660. პარიზის საზოგადოება დაარსდა 1882 წელს. „საზოგადოება“ სენ-მარტენის რედაქტორობით აქვეყნებდა ყო-

ველთვიურ მეცნიერულ ჟურნალს „სააზიო ჟურნალს“. აქ იბეჭდებოდა მასალები საქართველოს შესახებაც. მოგვიანებით ჟურნალის ფურცლებზე მ. ბროსე ათავსებდა არმენოლოგიური და ქართველოლოგიური ხასიათის შრომებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს „სააზიო საზოგადოების“ პერიოდულ ორგანოში.

661. ივანე ბართოლომეი (1813—1870) — პოლკოვნიკი, ცნობილი ნუმისმატი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. 1851 წელს ის მოავლინეს საქართველოში აღმოსავლური ენების შესასწავლად. 1855—1863 წლებში იგი მუშაობდა მოსკოვის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმის დირექტორად.

662. ეხება ნ. მარის სტატიას! „Трон“ или „икона“?, რომელიც დაიბეჭდა ХВ-ის VI ნომერში 1922 წელს.

663. კუმურდოს ეკლესიის წარწერები დაიბეჭდა „Материалы по археологии Кавказа“ вып. XII, გრაფინია პ. უეაროვას რედაქციით, მოსკოვი, 1909 წ.

664. იგულისხმება ნ. მარის წერილი: „Об армянской иллюстрированной рукописи из халкедонитской среды“, ИАН, 1911 г.

665. 1924 წლის გაზაფხულზე ნ. მარი მეცნიერული და ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად მიემგზავრება კავკასიაში (მახაჩკალა, ბაქო, თბილისი, ერევანი).

666. ე. თაყაიშვილის ეს სტატია დაიბეჭდა წიგნში: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“.

667. ნ. მარი განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა ბასკურ ენას. იგი მას აკუთვნებდა იაფეტურ ენათა ჯგუფს; ყველაზე ახლოს თვლიდა სომხურთან, შემდეგ სვანურსა და აბხაზურთან. 1922 წელს ნ. მარი პირველად მიდის მივლინებით ესპანეთის ბასკეთში. 3 კვირა დაჰყო მან ერთ-ერთ ბასკურ სოფელში, სადაც განაგრძობდა ბასკური ენის შესწავლას. 1927 წელს ნ. მარი მეორეჯერ მიემგზავრება ბასკეთში.

668. იროდიონ სონდულაშვილი (1880—1958) — ქართველი ხელოვნებათმცოდნე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხაზინადარი, შემდეგ ხელოვნების მუზეუმის მცველი, ე. თაყაიშვილის მოწაფე და თანამებრძოლი; მისი შრომები ეხება უმეტესად ქართულ დეკორატიულ ხელოვნებას და ეთნოგრაფიის საკითხებს.

669. ნ. მარის წერილი „Талыши“ დაიბეჭდა 1922 წელს—ТКИПС, вып. IV, с. 1—24.

670. ნ. მარის ნაშრომი „Племенной состав населения Кавказа“ დაიბეჭდა ТКИПС-ში, вып. III, с 1—68, 1920 г.

671. გულისხმობს ანისის გათხრების დროს მოპოვებულ მასალას, იმ ვაგონის ამბავს, რომელიც დატვირთული იყო გათხრების მთლიანი მასალით.

672. გულისხმობს ნ. მარის მიერ 1925 წ. გამოქვეყნებულ „Грамматика древнелитературного грузинского языка“, МЯЯ, т. XII.

673. გრაფენი რ. — აღმოსავლეთის აგიოგრაფიული ძეგლების ცნობილი პარიზელი გამომცემელი, ნ. მარის „ქართული ენის კურსის“ დაბეჭდვის ორგანიზატორი. 1928 წელს გრაფენი ბეჭდავს ნ. მარის ქართული ენის გრამატიკას.

674. ნ. მარის სტატია: „Термины из абхазо-русских этнических связей. Термины „Лошадь“ и „Тризна“ (К вопросу о племенном происхождении средиземноморского населения), Л., 1924.

675. იგულისხმება ესპანეთის ბასკეთი.

676. 1927—29 წლებში პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ნაციონალურ სკოლაში წაკითხული ქართული ენის ლექციების კურსით შევსებული ქართული გრამატიკა ნ. მარმა ბრიერთან თანაგვტორობით გამოსცა 1932 წელს.

677. იგულისხმება იური მარის წერილი: „Газель Низами в рукописи Азиатского Музея“, ДАН, 1924.

678. მიხეილ როსტოვეცივი (1870—1952) — ცნობილი რუსი ისტორიკოსი და არქეოლოგი, ანტიკური ისტორიის სპეციალისტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში.

679. იური მარი სპარსეთში 1925 წელს გაემგზავრა.

680. ე. თაყაიშვილის ეს ნაშრომი გამოვიდა პარიზში 1937 წელს წათაურით: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“.

681. იგულისხმება 1924 წელს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“, შედგენილი ე. თაყაიშვილის მიერ (80 ტაბულითურთ).

682. ა. შანიძის წერილი: „ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, № 1, 1921 წ.

683. 1925 წელს აღინიშნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და-
არსების 200 წლისთავი.

684. იგულისხმება ნ. მარის მიერ 1925 წელს გამოცემული „Гра-
мматика древнелитературного грузинского языка“.

685. 1925 წელს გამოვიდა მ. როსტოვეცის ნაშრომი: «Очерк
истории древнего мира».

686. ე. თაყაიშვილის ყველა ზემოთ დასახელებული სტატია გა-
მოქვეყნებულია. წერილი «Церковь в Ване в Имерии и ее древно-
сти» დაიბეჭდა 1927 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური
ინსტიტუტის „Известия“-ს II ტ. „ჩანგლის ეკლესიის აღწერა“ მო-
თავსებულია: „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლ-
ში 1907 წ.“, პიტარეთის მონასტრის, ტანძიის ეკლესიისა და თევდორე
წმ. მონასტრის აღწერა დაბეჭდილია მის ნაშრომში „სომხით-საორბე-
ლოს ძეგლების წარწერები“; „ციხე და ეკლესია ქვეშში“ გამოქვეყ-
ნებულია МАК-ში, ტ. XII; „ვერცხლის დოქი და მისი წარწერა“
დაიბეჭდა წიგნში: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში,
1910 წ.“, რომელიც გამოქვეყნდა 1937 წელს.

687. 1927—29 წლებში ნ. მარი პარიზის ცოცხალი აღმოსავლუ-
რი ენების ნაციონალურ სკოლაში კითხულობდა ლექციების კურსს
ძველი ქართული ენის გრამატიკის შესახებ.

688. ნ. მარის აზრით, „ტრისტან და იზოლდა“ და „ვის ორამინ“ —
ორივე იაფეტური ეპოსის ნიმუშია, ორივე წინარე ისტორიული ხანის
თქმულებას წარმოადგენს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ნ. მარის
„ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“,
მნათობი, 1925, №№ 4—5—6).

689. იგულისხმება ი. მეშჩანინოვის წიგნი: „Новое учение о
языке“, 1936.

690. იგულისხმება ნ. მარის „Описание грузинских рукописей
Синайского монастыря“, М.-Л., 1940. გამოსაცემად მოამზადა ი. მე-
ტრელიძემ. ნ. მარის იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღ-
წერილობა გამოქვეყნდა ელ. მეტრეველმა, თბ., 1955 წ.

საძიებლები*

ა) პირთა სახელები

ბ

• აბულაძე იუსტ. ი. — 156, 213, 235, 243, 256—58, 376, 379, 396, 399

• აბუკურა, ავეუკურა — იხ. თეოდორე აბუკურა

• აგათანგელი — 143

• აღონცი ნ. გ. — 178, 184, 191, 385

• ავაგ მხარგრძელი — 115

• ავალიშვილი ზ. — 304, 406

• ავთანდილი — 163

• ალავედინი — 308

• ალექსანდრე III — 196, 343, 367

• ალექსანდრე მაკედონელი — 73, 141

• ალექსი — 61

• ალექსი-მესხიშვილი დავით — 63, 161, 344, 350, 356, 361, 381

• ალექსიშვილი — იხ. ალექსი-მესხიშვილი დავით

• ა-ლი — იხ. სარაჯიშვილი ალექსანდრე ალიხანოვი — 388

• ამირანაშვილი შ. — 348

• ანდრონიკაშვილი სალომე — 68

• ანტონ II კათალიკოსი — 88, 89, 359

• არსენ ვაჩეს ძე იხ. არსენ იყალთოელი

• არსენი — იხ. არსენ იყალთოელი

• არსენ იყალთოელი — 87, 88, 358, 359

• არგუთინსკი, არლუთინსკი — დოღგორუკი — 91, 360

• არტემი (წმ.) — 223

• არქიმედი — 302

• არჩილ მეფე — 87, 358

• ასკალოს ამფილოქე — 60

• ასტარტა — 157

• აფრიდონი — 260

• აშინოვი ი. — 176, 384, 385

• ახპეტელოვი მ. — 68, 70, 352

ბ

• ბაგრატ IV — 77, 88, 126, 358, 369, 371

• ბაგრატ ბატონიშვილი — 61, 351

• ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი — 178

• ბალაძე — 177

• ბარათაშვილი მამუკა — 378

• ბარათოვი — 120

• ბართოლომეი ი., ბარტოლომეი — 319, 410

• ბარტოლოდი ვ. ვ. — 157, 158, 178, 181, 242, 344, 380

• ბაქარ ბატონიშვილი — 373, 397

• ბაქარი — 351

• ბაქრაძე ალექსი — 141, 143, 375

• ბაქრაძე დიმიტრი — 52, 56, 59, 64, 65, 73, 75, 76, 78, 79, 87, 90, 93—95,

111, 114, 176, 345—47, 349—51, 353, 355, 356, 359, 360, 361, 367, 409

• ბაქრაძე მღვდელი — იხ. ბაქრაძე ალექსი

• ბეგიჩევი კ. — 109, 120, 154, 367

• ბელოზოროვოვი ა. ი. — 286, 287, 403

• ბენეშევიჩი ვ. ნ. — 233, 259, 260, 255, 278, 394, 399, 400

• ბერი ბაქრაძე — იხ. ბაქრაძე ალექსი

• ბერი სფირიდონ — იხ. გრძელიძევი სიმონ

• ბლივი რ. — 305, 306, 313, 337, 397, 406

* შეადგინა ნელი ქავთარაძემ

ბოლოტოვი ვ. — 155, 379
ბრიერი მ. — 411
ბროსე ლორან — 47, 48, 51, 52, 343
ბროსე მარი — 57, 69, 106, 119, 137,
146, 156, 170, 176, 317, 319, 328,
342, 343, 347, 348, 352, 374, 383,
409
ბუტკოვსკი — 308

გ

გაბაშვილი მ. 296
გაბინიანი ვ. — 194, 388
გაბრიელ ეპისკოპოსი — იხ. ქიქოძე გა-
ბრიელ
გაბუნია ვ. — 241
გაგიი — 255, 301, 306, 307, 364, 405,
406
გა, გაიმ — 155; 156
გალიცინი — 243
გატი, გაცი — 155, 156
გელოვანი იასონ — 249
გეხტმანი — 161
გიორგი (წმ.) — 144, 223
გიორგი III — 320, 324
გიორგი XI — 164, 351
გიორგი (კათალიკოსი) — 77
გიორგი ბრწყინვალე — 227, 348
გიორგი მთაწმინდელი — 223
გოგებაშვილი ი. — 94, 104, 186, 187,
345, 362, 386
გოგითძე ნ. — 388
გომელაური ი. — 399
გორგიჯანიძე ფარსადან — 63, 64, 66 —
69, 71, 175, 177, 350—53
გორდევი დ. — 283—85, 289, 301,
305, 311, 312, 403, 407
გოცირიძე ნ. — 47, 194, 195, 208, 212,
215, 216, 218, 220, 221, 234, 244,
247, 248, 342
გრაფენი რ. — 321, 333, 336, 411
გრიგოლ XV (პაპი) — 372
გრიგოლ ბაკურიანის ძე — 387
გრიგოლ განმანათლებელი — 107, 186,
192, 366
გრიგოლ ეპისკოპოსი — იხ. დადიანი

გრიგოლ (ეპისკ.)
გრიგოლ ხანძთელი — 146, 173, 176,
178, 182, 184, 185, 189, 191—94, 208,
215, 221, 234, 324, 384
გრიგორიანი კ. ნ. 341
გრძელიევი, გძელიევი სიმონ — 59—
63, 348—350
გუდიაშვილი ლადო — 283, 403
გურიელი გრიგოლ — 45, 46, 48, 51,
52, 54, 78, 79, 92, 93, 100, 170, 341,
342—44, 363, 383
გურიელი დათა — 342
გურიელი ვანო — 58, 341, 342
გურიელი ლევან — 52, 341, 342
გურიელი მამია — 341, 342
გუსენი ჰ. — 191, 193, 194, 387

დ

დადეშკელიანი თათარხან — 242, 396
დადიანი გრიგოლ — 291
დადიანი გრიგოლ, ეპისკოპოსი — 103,
104, 364, 365
დავით (წმ.) — 144, 376
დავით აღმაშენებელი — 88, 144, 146,
148, 255, 257, 376
დავით პეტრიწონელი — 88, 358
დავით რექტორი — იხ. ალექსი-მესხი-
შვილი დავით
დავით ტბელი — 223, 293
დათეშიძე — 323
დაფქვიევი ა. ზ. — 59, 349—51
დემეტრე, დიმიტრი დავითის ძე — 148,
150, 257, 258, 376
დილარგეთ — 154
დიმიტრი (წმ.) — 61
დიმიტრი ეპისკოპოსი — 199, 200, 388
დიოკლეტიანე — 70, 353
დირი ა. — 222, 393
დოდაშვილი ს. — 133, 372
დომენტი კათალიკოსი — 126
დორნი ბ. ა. — 153, 378.
დრუჟინინი — 121
დუმბაძე ი. — 351
დურნოვო მ. — 388.

ევანგულოვი გ. გ. — 300, 304, 306, 405
 ევლოგი, ევლუგი — 147
 ევსები (მონაზონი) — 87
 ევსტათი (მცხეთელი) — 165
 ეზიდ ბოზიდი — 144
 ეზოვი, იეზოვი — 91, 138—40, 360, 374, 375

ელევთერი (წმ.) — 223
 ელეპსი (წმ.) — 176
 ეპიფანე (კათალიკოსი) — 319, 398
 ერეკლე I — 49
 ერეკლე II — 359
 ერისთავი ტ. — 76, 354, 355
 ერმაკოვი დ. — 193, 246, 247, 387
 ეფთვიმე, ექვთიმე გრძელი — 88, 359
 ეფთვიმე იერუსალიმელი — იხ. ეფთვი-
 მე გრძელი
 ეფრემ ასური — 63, 159, 180
 ეფრემ დიდი, ეფრემ ოშკელი — 223, 224, 393
 ეფრემ მცირე — 77, 135, 221, 223, 242, 373, 396
 ექვთიმე (წმ.) — 223
 ექვთიმე ათონელი, ექვთიმე მთაწმინ-
 დელი — 87, 358

3

ვარდან აიგიკელი — 136, 137, 141, 143, 353, 374
 ვარდანი — 50
 ვარლამი — იხ. თაყაიშვილი ვარლამ
 ვასილიევი ა. ა. — 189, 192, 194, 380, 387
 ვასილიევი ვ. — 156, 379
 ვატაი ე. — 250, 398
 ვახტანგ VI — 86, 123, 133, 147, 164, 176, 226, 378, 390, 393
 ვახუშტი ბაგრატიონი — 345
 ვეიდენბაუმი ე. — 199, 388
 ველიჩკო ვ. — 135, 165, 197, 373, 382, 383
 ვესელოვსკი ა. ნ. — 166, 167

ვესელოვსკი ნ. ი. — 79, 166, 305, 355
 ვინდელბანდი — 366
 ვირზოვი რ. — 133, 371, 372
 ვლადისლავლევი მ. ი. — 356
 ვორონცოვი, ვორონცოვ-დაშკოვი ი. — 200, 382, 388
 ვოსტორგოვი ი. — 202, 389, 390

ზ

ზავადსკი მ. — 161, 162, 381
 ზალემანი კ. კ. — 51, 75, 79, 89, 90, 139, 154, 344, 356, 362, 375
 ზურაბ — 257

თ

თამაშუევი მ. ი. — 91, 113, 114, 127, 130, 213, 217, 360, 391
 თამარი, თამარ მეფე — 77, 115, 124, 146—48, 153, 154, 222, 317, 393
 თაყაიშვილი (გენერალი) — 256
 თაყაიშვილი ვარლამ — 200
 თაყაიშვილი იოსებ — 76, 79, 354
 თაყაიშვილი-პოლტორა-ცკაია ნ. — იხ. პოლტორა-ცკაია ნინო, ივანეს ასული
 თევდორე (წმ.) — 334
 თეიმურაზ II — 49, 50, 53, 343, 344, 352
 თეიმურაზ ბატონიშვილი — 347, 353
 თეოგნოსტა, თეოგნოსტა — 153, 155, 374
 თეოდორე (წმ.) — 223
 თეოდორე აბუეურა — 87, 88, 183, 193, 358
 თეოდორიტე კვირელი — 373
 თეოქისტე ლეზღელი — 223
 თეოფანე ხუცესმონაზონი — 351
 თეოფილონ — 135
 თოდუა მ. — 409
 თორამანიანი ტ. — 201, 206, 389
 თუმაა (იერუსალიმის პატრიარქი) — 87
 თუმანიშვილი გ. — 217, 391, 392
 თუმანიშვილი პ. — 246, 397
 თუმანიშვილი — წერეთლისა ინასტა-
 სია — 362, 364, 381
 თუსუნოვი — 214

ბაკობ დაჭრილი — 61, 149
 ბაკობ ნიზიბელი (ნისიბელი) — 143, 150, 377
 ბანოვსკი კ. — 103, 104, 106, 122, 362, 364, 365
 ბეზოვი — იხ. ეზოვი
 ბეაშკევიჩი — 157
 ბორუჯან — 155, 157
 ბიმ პუტინი — 118
 ბმნაიშვილი გ. — 399
 ბნგოროუვა პ. ი. — 262, 400, 403
 ბოაკიმე მთაწმინდელი — 60
 ბოანე (წმ.) — 179
 ბოანე (მამა) — 61
 ბოანე დამასკელი — 358
 ბოანე კათალიკოსი — 116
 ბოანე მახარებელი — 61, 71
 ბოანე ნათლისმცემელი — 260
 ბოანე პეტრიწი — 181, 184, 190, 208, 395
 ბოანე ურბნელი — 115
 ბოანე ღვთისმეტყველი — იხ. ბოანე მახარებელი
 ბოანე შავთელი — 146—49, 151, 155, 257
 ბოანე ჭირჭიშვილი — 181
 ბოანე ხანტელი (მოწამე) — 178, 179
 ბოანისიანი — 84
 ბოვანე ერისთავთ-ერისთავი — 77
 ბოსებ არიმთიელი — 156, 379
 ბოსელიანი პ. — 69, 72, 93, 353
 ბოლიტი — 161, 162, 163, 165, 182
 ბოაკლი (მეფე) — 50, 118
 ბსაკ (მამა) — 60

ბ

ბაზნაკოვი ა. — 190, 192, 193, 195, 242, 387
 ბაკაბაძე დ. — 316, 408
 ბაკაბაძე ს. — 398
 ბალაშნიკოვი მ. — 289, 312, 404
 ბალაჩოვი ი. ა. — 251
 ბალგინი ა. — 209, 391

ბარაკაში ნ. — 212, 214, 392
 ბარბელაშვილი პ. გ. — 93, 97, 399
 ბარბიერი ა. — 123, 368, 369
 ბარბიშვილი დ. — 172, 173, 181, 190, 234, 235, 383, 385, 399
 ბატონიძე, ბატონიძე — 255, 256
 ბეკელიძე კ. ს. — 190, 221, 234, 313, 346, 348, 351, 352, 355, 378, 387, 392
 ბერი მ. — 312, 407
 ბესბოვლი ლ. — 367
 ბიკნაძე რ. — 352
 ბირონ ეპისკოპოსი — 160, 161, 380
 ბლდიაშვილი ს. — 206, 262, 246, 390
 ბლემენტოსი — 223
 ბნოლი — 243
 ბონდაკოვი ნ. ა. — 85, 101, 142, 233, 236, 318, 356, 357, 409
 ბონიბირი ფ. — 134, 372
 ბოპლატაძე პ. — 250
 ბორინტელი — 164
 ბრაჩკოვსკი ე. ი. — 344
 ბრუკოვსკი ს. — 284, 403

ლ

ლახარევი — 181, 385
 ლალაიანი, ლალაიანცი ე. — 175, 180, 188, 235, 246, 384, 403
 ლატიშვილი ვ. ვ. — 73, 167, 169, 170, 353
 ლეკიშვილი — 249
 ლემი ო. ე. — 75, 89, 153, 154, 157, 354, 374
 ლეყავა ვ. — 367
 ლერხი პ. ი. — 70, 353
 ლესერი — 133
 ლიოზენი ე. — 209, 289, 295, 391
 ლოპატინსკი, ლაპატინსკი ლ. — 153, 161, 203, 204, 206, 235, 242, 294, 377—79, 390, 393
 ლორთქიფანიძე ი. მ. — 54, 75, 78, 79, 83, 84, 346
 ლორთქიფანიძე ნ. — 346
 ლოლოთეტი — იხ. სიმეონ ლოლოთეტი
 ლუკა (მახარებელი) — 71
 ლუნაჩარსკი ა. ე. — 304, 406.

მაზნიაშვილი გ. — 314, 407
 მათევოს II — 234, 394
 მაიკოვი ლ. — 155
 მალხასიანი ს. — 213, 392
 მანანდიანი — 251
 მანსვეტაშვილი ი. — 346.
 მარგველაშვილი თ. — 409
 მარგიანი ბ. — 250
 მარგიანი ივ. — 249
 მართა — 223
 მარი-ეუკოვსკაია ა. ა. — იხ. ეუკოვ-
 სკაია-მარი ა. ა.
 მარი ა. — 100, 363
 მარი ვ. — 186, 280, 298, 299, 300,
 304, 307, 309, 310, 314, 403
 მარი გ. (იური) — 130, 131, 134, 142,
 154, 156, 175, 177, 184, 221, 222,
 252, 282, 298, 299, 302, 307, 310,
 313, 315, 371, 402, 411
 მარიამ დედოფალი — 56, 66, 123, 146,
 147, 148, 153, 158, 164, 165, 378
 მარიამ მეგვიპტელი (წმ.) — 61
 მარკოვი — 203, 204, 206, 214
 მარუშიანი — 168, 383
 მაქსიმე — 249
 მალულარია-მარაშიძე ა. — 219, 282
 მახარებლები — 387
 მეგრელიძე ი. — 412
 მედნიკოვი — 166
 მეიე ა. — 231, 394
 მელეპსი (წმ.) — 176
 მელიკ-აზარიანი ა. — 403
 მელიქიშვილი პ. — 406
 მელიკოვი — 111, 120
 მელიქსეთ-ბეგი ლ. — 366
 მელიქ-შაპი — 376
 მენაბდე ლ. — 409
 მესხი ი. — 236
 მესხიშვილი — იხ. ალექსი-მესხიშვილი
 დავით
 მეშჩანინოვი ი. — 336, 412
 მთვარელიშვილი ნ. — 56, 93, 94, 96,
 346, 347, 385
 მინგრელსკი, იხ. დადიანი ნიკო დავი-
 თის ძე
 მირზა ალი — 45
 27. ნ. მარი, ექვ. თაყაიშვილი.

მირიან (მეფე) — 303
 მიქელაძე — 308
 მიქელ (მიქაელ) მოღრეკლი — 178,
 385
 მიტევიჩი — 336, 337
 მიხაელ ხუცესი — 87
 მიხანკოვა ვ. — 373
 მომეტელიძე ტ. — 179, 182—84, 187,
 385
 მორგანი ყ. — 110—11, 367
 მორფილი უ. რ. — 92, 361
 მოსე ზონელი — 370
 მოსე ხორენელი — 80, 109, 110, 130,
 134, 355, 368, 369
 მურავიოვი — 255

ნ

ნაკაშიძე გ. — 335—337.
 ნაკაშიძე ე. — 76, 116, 355
 ნაკაშიძე ივ. — 199, 200
 ნაკაშიძე ი. (ილიკო) — 67, 68, 70, 91,
 108, 109, 113, 121, 123—124, 352
 ნაკაშიძე პ. — 79, 355
 ნანა დედოფალი — 303
 ნარიშკინი — 363
 ნასყიდაშვილი ს. — 49
 ნესტან-დარეჯანი — 50
 ნესტორი — 61
 ნიკიტა მონაზონი — 87, 88
 ნიკიტა ხარტოფილაკი — 87, 88
 ნიკოლოზ არქიმანდრიტი. — 111, 112,
 361
 ნიკოლოზ მიხეილისძე, დიდი მთავარი —
 396, 406
 ნინო (წმ.) — 59, 72, 85, 86, 95, 101,
 105, 155, 156, 303, 377, 378
 ნიქარეძე ბ. — 250, 398
 ნიქარაძე ივ. — 184, 190, 193, 233,
 246, 250, 252, 282, 293, 386
 ნიქარაძე მიხ. — 250
 ნოელდეკე — 366
 ნონა (წმ.) — 378
 ნოსელი (გრიგოლ) — 88

ოკუნევი ნ. — 283, 302, 319, 404
 ოლდენბურგი ს. თ. — 74, 190, 216,
 219, 349, 354, 362, 375
 ონოფრე (წმ. მამა) — 61
 ორბელი ი. — 211, 316, 317, 391
 ორბელი რ. რ. — 350—52
 ორბელიანი — 97
 ორბელიან ლიპარიტ — 77
 ორბელიანი ს. ს. — 74, 176, 348
 ორლოვი ა. პ. — 121
 ოქრომქედლიშვილი ი. ლ. — 46, 77, 342

პ

პაეღე (ბერი) — 396
 პალადი — 360, 364, 365
 პალმიერი ა. — 383
 პანკრატოვა ე. — 402
 პაპანდოპულო, პოპანდოპულო — ქერა-
 მეხი ა. — 103, 367
 პასასკევა (წმ.) — 61
 პატარაია გ. — 387
 პატკანოვი ქ. — 51, 168, 340, 344, 363
 პახომოვი ე. — 307, 316, 407, 408
 პეეტერსი პ. — 231, 394
 პეტრე ივერიელი, პეტრე ივერი — 161,
 370
 პეტრე მაიუმელი — 129, 130, 132, 134,
 370
 პობედონოსევი კ. — 189, 364, 365
 პოლტორაკიაი-თაყაიშვილი ნ. ი. — 125,
 259, 260, 261, 271, 272, 273, 315,
 316, 338, 369
 პოლტორაკი ივ. — 207, 209, 390, 393
 პოლტორაკი ს. ნ. — 203, 204, 206,
 212, 251, 254, 283
 პონიატოვსკი — 337
 პორფირი მღვდელმთავარი — იხ. უსპენ-
 სკი პორფირი
 პროკლე დიადოხოსი — 221, 234
 პროკოპი (წმ.) — 223
 პუნდიტი ა. — 394, 395

უორდანი თ. — 56, 59, 91, 93—95,
 104, 110—12, 118, 135, 146, 181,
 188, 200, 313, 346, 347, 349, 357,
 359—61, 365, 367, 368, 376, 389
 უორჟოლიანი ა. — 317, 320, 325, 327,
 331
 უუკოვსკიაი-მარი ა. ა. — 84, 142, 145,
 154, 178, 181, 198, 236, 297, 356
 უუკოვსკი ე. ა. — 84, 99, 224, 297, 303,
 356

რ

რადე გ. — 403
 რადლოვი კ. ვ. — 109, 131—33, 366
 რეგელი ე. — 214, 218, 219, 392
 რიფსიმე (წმ.) — 107
 როზენი გ. რ. — 51, 74, 75, 77, 79,
 80—81, 87, 101, 104—08, 111, 112,
 115, 117, 120, 122—26, 132, 134,
 137, 151, 153, 166, 207, 219, 222,
 224, 339, 344, 346, 365, 368
 როინაშვილი ა. — 105, 193, 365
 როსტევეან — 163
 როსტოვევი მ. — 326, 411, 412
 როსტომი — 257
 რუდოლფი ნ. — 392
 რუმიანცევი — 127, 172
 რუსთაველი შოთა — 89, 149, 283, 317,
 382, 395, 396, 403, 406, 409

ს

საბა თუხარელი — 223, 393
 სარაჯიშვილი ალ. — 140, 302, 375
 სარაჯიშვილი დ. — 397
 სარდურ II — 408
 სარიდანი — 50
 სამაგლიშვილი კირიონ — იხ. კირიონ
 ეპისკოპოსი
 სენ მარტენი ე. — 347, 409
 სერაპიონ (მამა) — 176, 178
 სერებრიაკოვი — იხ. ოქრომქედლიშვი-
 ლი ლ.

სიმეონ ლოლოთეტი — 223, 242, 393, 396

სიმეონ საკვირველმოქმედი — 223

სიარბილი — 51

სიჩქევი ნ. პ. — 305

სლავეცი — 189, 387

სმირნოვი ი. — 236, 395

სონდულაშვილი ი. — 321, 410

სოსთენი — 359

სოფრონ პალესტინელი — 60

სპირიდონ, სფირიდონ ბერი — იხ. გრძელევი სიმონ

სტეფანე სანანოისძე — 223, 393

სტოიანოვი ა. — 122, 368

სტრეიგოროსკი, სტრუგოროსკი ი. — 206, 390

სუვორინი — 167

სულთან სანჯარი — 376

სულხან-საბა ორბელიანი — იხ. ორბელიანი ს. ს.

სუმბატი — 123

სურხავი — 118

სხირტლაძე დ. 327

ბ

ბაბიძე სვ. — 353

ბარიკან (წმ.) — 144, 376

ბატიშვილი მ. — 115, 121, 368

ბერ-აგეტისიანი ს. ვ. — 274, 302, 402

ბერ-მკრტიჩიანი გ. — 156, 379

ბეცა ე. — 113, 183, 368

ბიბო (აბატი) — 261, 262, 400

ტიგრანოიანი ს. თ. — 235, 303, 311, 395

ტიგრანოვი ნ. — 130, 289

ტიჩინკინი კ. ს. — 52

ტიხონი (არქიმანდრიტი) — 361

ტლაშაძე თესე — 67, 126, 351, 369

ტოლსტოი დ. ა. — 392

ტომსონი ა. — 91, 92, 97, 99, 360, 362

ტურაევი ბ. ა. — 240, 396

უ

უდალენკოვი — 308

უეაროვა პ. ი. — 127, 191, 210, 220,

243, 246, 247, 281, 369, 370, 397, 410

უეაროვი ა. — 369

უორდროპი მარჯორი — 348

უორდროპი ოლივერ — 58, 297, 348, 405

უსენსკი თ. — 312, 335, 407

უსენსკი პორფირი — 259, 400

ფ

ფარსადი — 343

ფირდოუსი — 366

ფოტი — 102

ფრიდრიხ ბარბაროსა — 125

ფუთურიძე ვ. ს. — 350

ფურცელაძე ა. — 90, 360

ჟ

ჟალანთარი ა. ა. — 208, 235, 386

ჟართველიშვილი გ. — 95, 362

ჟართველიშვილი მ. — 100

ჟორჟაშვილი გ. — 49, 343

ჟიქოძე გაბრიელ — 76, 103, 121, 355, 365

ჟიქოძე გერასიმე — იხ. ჟიქოძე გაბრიელ

ჟობულიები — 97

ჟორიძე — 116

ჟსენოფორე (წმ. მამა) — 61

ჟუთათელაძე ა. — 96, 362

ჟუთათელაძე დავით, დათიკო — 54, 58, 65, 66, 70, 72—74, 78, 79, 100, 102, 108, 346, 362, 363

ლ

ლოლობერიძე ნ. — 168, 252, 383

ყ

ყიფიანი დ. — 345

ყიფშიძე ი. — 235, 283, 395, 406

ყორდანოვი ვ. — 145, 154, 376

ყუბანეიშვილი ს. — 370

შანიძე ა. გ. — 348, 355, 387, 403, 411
 შარაძე გ. — 352
 შარაშიძეები — 162
 შარაშიძე ალ. — 381
 შარაშიძე დ. — 381
 შარაშიძე ე. — 381
 შარაშიძე — მალულარია ა. — 402
 შპ-ისმაილ I — 352
 შპ-ნადირი — 119
 შვარცი ალ. — 233, 394
 შოი (მღვიმელი) — 113, 115
 შლაახნინი — 305
 შჩეპოტიევი ა. ს. — 288—97, 303, 311, 403

ჩ

ჩარკვიანი გრ. — 54, 203, 346
 ჩაჩიკაშვილი ნ. — 343
 ჩახრუხაძე — 100, 153—55, 353, 363, 409
 ჩოჩუა — 311
 ჩუბინაშვილი გ. ნ. — 289, 290, 292—97, 302, 303, 305, 306, 308, 311, 312, 404
 ჩუბინაშვილი დ. ი. — 46, 52, 58, 64, 69, 72, 78, 119, 164, 341, 342, 348, 352, 355, 383
 ჩუბინოვი — იხ. ჩუბინაშვილი

ც

ცაგარელი ა. ა. — 45—48, 50—52, 57—59, 62—65, 68, 73, 74, 84, 85, 89, 91, 97, 99, 124, 132, 135, 141, 161, 340, 341, 343, 344, 346, 348, 349, 354, 356, 375
 ციციშვილი ი. — 88
 ცხეველაძე ნ. — 406

ძ

ძნელაძე — 36, 355.

წაქაძე ნ. — 409
 წერეთელი აკაკი — 138, 144, 374

ჭ

ჭავეჭავეძე ილია — 58, 68, 92, 95, 104, 342, 345, 348, 359, 372, 373, 388, 390
 ჭარაია პ. — 252, 381, 398
 ჭიჭინაძე ა. — 101, 116, 120, 122, 368
 ჭიჭინაძე ზ. — 342, 364

ხ

ხალატიანცი ა. — 130, 131, 371
 ხატისოვი — 400, 401
 ხახანაშვილი ა. — 72, 86, 91, 92, 99, 105, 122, 127, 134, 156, 182, 184, 210, 212, 214, 215, 217, 218, 247, 319, 353, 357, 370, 372, 379, 391, 397
 ხორენელი მოსე — იხ. მოსე ხორენელი
 ხოშაქ ერისთავი — 260
 ხოშტარია ა. მ. — 291, 304, 352, 404
 ხურსიძე — 176, 178

ჯ

ჯაეახიშვილი ივანე — 129, 132, 165, 174, 193, 199, 208, 209, 212, 214, 224, 225, 227, 242, 263, 268, 302, 370, 371, 380, 382, 386, 390, 406, 407
 ჯაკობია გ. — 343
 ჯალალ-ოღლი მიხრან ბაგდასაროვი — 107
 ჯანაშვილი მოსე — 90, 93—96, 127, 129, 138, 150, 162, 175, 178, 186, 193, 195, 234, 243, 247, 248, 350, 359, 361, 362, 370, 377, 386, 396
 ჯაყელი — 162, 367
 ჯიმშელი — 378
 ჯიმშერაი — 151

ჯონსი დ. — 51
ჯორჯაძე დ. — 404
ჯულელი ს. — 367

3

პარნაკი ა. — 165, 382
პერაკლე (მეფე) — 61
პიუტშმანი — 366

ბ) გეოგრაფიული სახელები

ა

ბ

აბასთუმანი — 105, 126, 175, 176
ადერბეიჯანი — 319, 321
ადიში — 255, 259, 260
აზია — 390
ათენი — 304, 394
ათონი, ათონის მთა, ათონის მონასტერი — 203, 236, 244, 259, 260, 319, 375, 380, 399, 407
ალექსანდრეპოლი — 107, 188, 201, 204, 205, 236, 250, 251, 264, 301, 308, 386
ალის საყდარი — 175, 177
ამერია — 407
ამიერკავკასია — 291, 309, 311, 367
ანი, ანისი — 101, 105, 107, 187, 188, 201, 203, 204, 206—211, 215, 217, 219, 220, 230, 232—236, 239, 264, 272, 306—309, 314, 319, 321, 330, 353, 354, 365, 367, 370, 386, 398, 401, 404—406, 411
ანჩი — 178
არაგანი (მთა) — 147
ართვინი — 188
არმავირი — 808
არტანუჯი — 359
არქეოპოლი — 299, 300
ატენის ხეობა — 226, 394
აფხაზეთი — 261, 264, 277, 279, 280
აღმოსავლეთი — 157, 158, 181, 206, 218, 354, 360, 380, 411
აღმოსავლეთ საქართველო — 330, 359
აღსუს, ახსუს ციხე — 118, 119
აჭარა — 271, 276, 330, 341, 345, 401, 407
ახალი სენეთი — 321
ახალქალაქი — 83, 125
ახალციხე — 83, 125
ახალქალა — 249

ბაგრატიის ტაძარი — 368
ბათუმი — 110, 162, 168, 171, 271, 301, 407
ბათუმის ოლქი — 271, 345
ბანა — 201, 203, 205, 206, 209, 211, 220, 391
ბასკეთი — 320, 327, 410
ბაქო — 168, 215—217, 301, 410
ბაღდადი — 196
ბელგია — 372
ბელი-კლუჩი — 104, 105, 127
ბერთა — 178
ბერლინი — 74, 81, 133, 158, 165, 215, 381, 394, 408
ბზიფი — 304
ბიზანტია — 167
ბოდლეს ბიბლიოთეკა — 348
ბორჩალო — 105—108, 111, 114, 116, 120, 284, 365, 368
ბორჯომი — 52, 256, 302, 313
ბრიუსელი — 325, 327
ბულგარეთი — 387
ბურტუისი, ბურკუისი, ბორცოისი — 113, 115
ბუხარა — 120

გ

გაბაანთ ეკლესია — იხ. ლურჯი ეკლესია
გარნი, გარნისი — 236, 251, 395
გელათი — 148, 203, 223, 268, 319, 376, 407, 409
გერმანია — 129, 158, 316, 366—368, 370
გომი — 290, 291

გორავში (უღელტეხილა) — 250
გორხანი — 118
გრაცი — 136
გუდაუთა — 304
გულეკარი — 276, 277
გუმბი — 164
გუნათლე — 178
გურია — 51, 52, 76—78, 92, 102, 121,
122, 162, 194, 195, 198, 200, 211,
220, 296, 298, 307, 310, 330, 341,
344, 345, 365, 380, 383, 384, 386,
388, 389

დ

დასავლეთი — 157, 206
დასავლეთ ევროპა — 354
დასავლეთ საქართველო — 364
დაღესტანი — 110, 277
ღვინი — 106, 107, 366
დიდოეთი — 268
ღმანისი — 276
ღუმეთი — 125, 313

ე

ედესა — 88
ევროპა — 191, 347, 390, 400, 408
ენგური — 250
ერევანი — 272, 388, 410
ესენტუკი — 273
ესპანეთი, ისპანია — 320, 321, 408
ესპანეთის ბასკეთი — 410, 411
ეწერი — 250
ეჩმიადინი — 74, 79, 82, 83, 106, 107,
172, 175, 239, 355, 363, 365 400

ვ

ვალე — 127
ვანი — 122
ვანის ეკლესია — 278, 280, 281, 318,
334, 336, 368
ვარშავა — 335—337
ვარძია — 239, 260
ვატიკანი — 133

ვაჩიძორი — 328
ვაჩნარი — 123
ვენა — 369, 370
ვენეცია — 370
ვიახმა — 293
ვიხიკარი — 319
ვლადიკავკაზი — 120
ვირონევი — 101, 142

ზ

ზარზმა, ზარზმის ეკლესია — 127, 175—
178, 184, 194, 200, 239, 407
ზაქესი — 391
ზემო ქალა — 355

თ

თბილისი, ტფილისი — 92, 101, 102,
105—107, 116, 119, 123, 127, 130,
131, 135, 146, 149, 157, 160—162,
165, 172, 174—178, 181, 183, 184,
186—188, 200, 203, 206, 208—210,
212, 215,—217, 219—221, 227, 232,
234, 236, 238, 241, 258, 263—267,
272, 279, 281, 284, 285, 288—292,
295, 296, 298, 301, 304—307, 309—
312, 314—316, 321, 329, 333—336,
345—347, 351, 353, 354, 356, 360—
362, 368, 372, 379, 383, 384, 386,
387, 390, 391, 394, 397, 400, 401,
402, 405, 406, 408, 410
თეველარწმიდის მონასტერი — 334, 412
თეთრიწყარო — 365
თელავი — 380
თოპრაქ-კალა — 366
თორთუმბი, თორთუმის ხეობა — 283,
284, 287, 289
თურქეთის ლაზისტანი — 394
თურქისტანი — 157, 158

ი

იაპონია — 386
იბერია — 324
იერუსალიმი, ერუსალიმი — 87, 161,
173, 190, 319, 337, 375, 380, 383,

384, 407, 412
იკორთა — 276
იმერეთი — 80, 116, 195, 285, 344, 358, 400
ინგლისი — 158, 330, 331
იოპე — 60
ისპირ — თორთუმი — 319
იტალია — 371
იურიევი — 240
იფარი — 250
იშხანი — 178, 302, 312

კ

კაეკაევი — 313
კაეკასია — 58, 108, 110, 126, 129, 145, 157, 158, 169, 174, 195, 197, 198, 200, 214, 215, 217, 218, 223, 228, 240, 262, 267, 274, 285, 288, 289, 292, 293, 295, 298, 299, 305, 327, 328, 331, 344, 360, 362, 365, 376, 380, 385—393, 395, 398, 402—405, 407, 408, 410, 412
კახრეთი — 276
კალა — 250
კალმახი, კალმახი (ციხე და მონასტერი) — 319, 328, 391
კალობანი — 49
კაპადოკია — 378
კახეთი — 283, 284, 358
კიევი — 326
კისლოვოდსკი — 286, 287
კლარჯეთი — 173, 185
კობერი — 124
კოლა — 208, 209
კოლხიდა — 121
კონსტანტინოპოლი — 67, 126
კუმურდო — 319, 410

ლ

ლაზისტანი — 233, 234, 236, 283
ლაიფციგი — 132, 316, 331, 392
ლატფარი — 250
ლეველი — 408
ლენინაკანი — 366, 386

ლენინგრადი — 336, 341, 343, 347, 351, 378, 409
ლელტა — იხ. ლენტეხი
ლენტეხი — 249
ლენხუმი — 76, 77, 285, 313, 327, 328
ლენხუმსკვანეთი — 261
ლურჯი ეკლესია (ვაზაანთ ეკლესია) — 313

მ

მადრიდი — 336
მაკედონია — 236
მანგლისი — 105, 131
მარსელი — 315, 408
მახაჩკალა — 410
მეგრელია, მენგრელია — იხ. სამეგრელო
მერვი — 356
მესტია — 250
მისრაი — 50
მიუნხენი — 74, 81, 222
მოსკოვი — 108, 122, 125, 127, 131, 135, 151, 168, 179, 209, 220, 244, 247, 248, 276, 285, 291, 306, 344, 369, 385, 410
მტკვარი — 291
მულახი — 250
მცხეთა — 59, 116, 175, 330, 349, 391

ნ

ნასტავისი — 73, 74
ნაქალაქევი, ნოქალაქევი — 291, 405
ნახიჩევანი — 108
ნეკრესი — 283
ნეძე — 178
ნიკოთი — 344
ნიკორწმინდა — 107, 126, 366, 369
ნილოსი — 141
ნოვოროსიისკი — 82

ო

ოზურგეთი — 76, 79, 130, 174, 307
ოთხთა ეკლესია — 312
ოლთისი — 208, 209, 391

ოპიზა — 178, 188

ორბელი — 249

ორპირი — 295

ოსეთი — 327

ოსმალეთი — 344, 373

ოქროყანა — 172, 200, 206, 283, 284

ოქსფორდი — 361

ოშკი — 289, 303, 312

ოძრხე — 147

პ

პალუა — 368

პალესტინა — 166, 196, 224, 236, 358, 380.

პარიზი, პარიეი — 70, 315, 323, 379, 408, 409, 411, 412

პარხალი — 78, 121, 164, 167, 312, 387

პეტერბურგი — 53, 55, 68, 72, 84, 97, 102, 112, 124, 133, 151—153, 161, 163, 172, 184, 206, 211, 213, 215, 226, 227, 236, 240, 315, 339, 342—347, 354—357, 360, 363, 367, 368, 371, 374, 379—386, 390—392, 395, 396, 406, 407

პეტროგრადი — 275, 281, 285, 289, 292, 302, 308, 310, 312, 313, 315, 316

პეტრიწონი — 358, 387

პიატიგორსკი — 391

პიტარეთი — იხ. ფიტარეთი

პოლონეთი — 372

პრალა — 335

რ

რაჭა — 125

რიონი — 295

რიფსიმეს საყდარი — 212

რომი — 129, 132, 133, 141, 304, 353, 371, 383

რუსეთი — 128, 151, 190, 194, 197, 199, 202, 295, 296, 313, 326, 344, 347, 354, 355, 366, 374, 378, 380—382, 386, 391, 392, 394, 397, 399, 400, 403, 406—409, 412.

ს

საბარათიანო — 209.

საგურამო — 116

საღალიანო სენეთი — 249

სათათრეთი — 187, 209

სამარა — 135

სამეგრელო — 56, 57, 195, 200, 276, 277, 279, 281, 284, 313, 342, 364, 365, 388, 389

სამტრედია — 388

სამშვილდე — 131

სამცხე — 178

სამხრეთ საქართველო — 403

სანაინი — 307

საოსმალე საქართველო — 208

სარაკაშიში — 301

სარკინე — 74

სასომხეთი — იხ. სომხეთი

საფარა — 175, 176, 200, 389

საფრანგეთი — 158, 316, 330, 372, 406, 408

საქართველო — 56, 60, 80, 98, 103, 108, 110, 116, 122, 151, 157, 167, 168, 171, 202, 205, 214, 216, 221, 222, 225, 242, 257, 267, 280, 288, 309, 311—313, 317, 342, 343, 345—348, 352, 353, 356, 357, 360—362, 365, 368, 369, 372, 374, 376, 378, 380—383, 385, 389, 390, 391, 395, 398, 399, 401—405, 408, 410

საჯავახო — 116, 121

სევენი — 355, 363, 365

სენეთი — 57, 244, 248—250, 260, 281, 284, 285, 327, 328, 364, 396—398

სინას მთა — 170, 173, 224, 225, 319, 337, 380, 383, 386, 387

სიონის მუზეუმი — 188

სირია — 168, 276

სიღნაღი, სიგნაღი — 78

სმადის ეკლესია — 127

სოლოლაკი — 291

სომხეთი — 80, 87, 100, 125, 129, 206, 264, 267, 297, 303, 363, 365, 366, 401

სოხუმი — 264, 313

სპარსეთი — 80, 168, 326, 332, 355,
401, 411

სტავროპოლი — 271, 272

სტამბოლი — 126

სტრასბურგი — 366, 394

სურამი — 355

სუჯუნა — 276, 277

ბ

ბანძია — 334

ბაო — 289, 307, 328, 329

ბაო-კლარჯეთი — 80, 221

ბაოსკარი — 391

ბრაპიზონი — 57, 312

ბროა — 372

ბუასე — 314

ბფილისი — იხ. თბილისი

ბუვირი — 274, 278

უ

უშგული — 250

ფ

ფანასკერტი — 211, 334

ფეთხაინის ეკლესია — 313

ფერსათი — 178

ფიტარეთი — 276, 319, 334, 336

ქ

ქართლი 80, 158, 184, 195, 398

ქართლ-კახეთი — 301

ქვათახევი, ქვაბთახევი — 63

ქობულეთი — 92

ქსანი — 73, 74, 227, 393

ქსნის ხეობა — 224

ქუთაისი — 49, 77, 131, 168, 171, 174,
239, 249, 250, 291, 313, 342, 343,
355, 368

ყ

ყარსი — 301, 302, 308, 386

ყარსის მხარე — 209, 285

ყირიმი — 344

ზ

ზავი ზღვა — 385

ზეშეთ-კლარჯეთი — 341

ზამხია — 119

ზატბერდი — 120, 150, 151, 171, 173,
182, 185, 328, 355, 377, 398

ზიო-მღვიმე — 148, 376

ზორაპანი — 313

ჩ

ჩალდირი — 305

ჩანგლი, ჩანგლის ეკლესია — 211, 318,
334, 336, 409

ჩინეთი — 225

ჩოლური — 249, 250

ჩოხატაური — 160, 172, 174, 220

ჩულუ — 175, 176

ჩრდილოეთ კავკასია — 285

ც

ცაგერი — 249

ციხე — 168

ცხინვალი — 301

წ

წალკა — 260, 400

წინა აზია — 408

წინამძღვრიანთკარი — 355

წრომი — 285, 288, 290—292, 403

წყალტუბო — 284

პ

პალა — 121, 124, 125

პელიში — 398

პიათურის ხეობა — 285

პიმ-კიმი — 319

პოროხი — 178, 188

პოროხის აუზი — 386

პოროხის ხეობა — 171, 187, 222

ხალკიდონი — 87
ხანთა — 178, 185
ხაშმი — 123
ხახულა — 312
ხონი — 279, 291

ჯ

ჯაყი — 175

ჰ

ჰარვარდი — 406

ბ) თხზულებანი და სამეცნიერო ლიტერატურა

ბ

აბდულმესია — 149, 154, 377, 378
ადონის სახარება — 246, 247
Адышское Евангелие 897 года, фототипическое издание под редак. П. С. Уваровой, А. С. Хаханова и Е. С. Такайшвили — 397, 399
Агиографические Материалы по грузинским рукописям Ивера (ბ. მარი) — 359, 380

ათონის დაბადება — 244
ათონის ივერთა მონასტრის სიგელები (პ. უსპენსკი) — 400
ათონის ივერთის მონასტრის 1079 წ. ხელნაწერი ალაპებით (საეკლესიო მუზეუმის საიუბილეო გამოცემა) — 203
ათონის მრავალთავი — 376
ამირანდარეჯანიანი — 107, 129, 152, 347

Analyse nouvelle du term ἰ Pyrénés (ბ. მარი) — 332

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (ლორან ბროსე) — 52, 343

ანისის წარწერები — (ქართული და სომხური) — 186, 207

Антиох Стратиг. Пленение Иерусалима персами в 614 г. (ბ. მარი) — 190, 191, 234, 387

არაბულ-სპარსულ-ქართული ლექსიკონი (ფარსადან გორგიჯანიძე) — 352

Армянские и грузинские материалы для истории душеполезной повести о Варлааме и Иоасафе (ბ. მარი) — 134

Армянский термин arq-ay (ბ. მარი) — 324, 326

Армянский эпос (ხალკიანცი) — 130, 371

არჩილიანი — 87

არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს (ე. თ.) — 400, 410, 411

1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში (ე. თ.) — 403

არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (ე. თ.) — 211, 383, 390, 392, 400—02

Археологическая экскурсия по Лечхумским церквям (ე. თ.) — 327, 328

Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии (ე. თ.) — 403, 407

Археологическое путешествие по Сирии и Палестине 1904 г. (კონდაკოვი) — 236

Архитектура Кахетии (გ. ჩუბინაშვილი) — 404

Астрономические и этнические значения двух племенных названий армян (ბ. მარი) — 324

„აღვადგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო (მ. ჯანაშვილი) — 92, 362
აღუევსავირქი („მელისა წიგნი“) — 136
აღწერა მეწინავე დროშისა საბარათა-შვილოსი სომხითისა (ე. თ.) — 390

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა (ე. თ.) — 349, 357
ახალი სპარსული ენის გრამატიკა (ზალმანო, უუკოვსკი) — 356
ახლად აღმოჩენილი შესანიშნავი მანუსკრიპტი (დ. ბაქრაძე) — 349

ბ

ბაგრატ IV გუჯარი — იხ. გუჯარი მეფის ბაგრატ IV-ისა
ბალაეარიანი — იხ. სიმბრძნე ბალაეარისი ბაქარის ბიბლია — 373, 397
ბაქრაძის ისტორია — იხ. ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკუნის დასასრულამდე)
Биетский монастырь в Карталинни (ე. თ.) — 276, 277
Боги языческой Грузии (ბ. მარი) — 160, 166—68, 379, 383
ბ-ნ თ. უორდანიას წერილის გამო (იგრეკი) — 365
ბროსეს ბიბლიოგრაფია — იხ. ანალიტიკური ბიბლიოგრაფია
ბუნება და თვისება ქართული ენისა (ბ. მარი) — 339, 370
ბუნებისათვის კაცისა (ნემესიოს ემესელი) — 182—84, 189, 191, 385, 386
ბურჯი ეროვნებისა (ი. გოგებაშვილი) — 386

ბ

Газель Низами в рукописи Азиатского Музея (ი. მარი) — 411
განგება მეფის კარისა — იხ. ხელმწიფის კარის გარიგება
Где сложилась легенда о св. Грале (ა. ვესელოვსკი) — 166, 167
გიორგი სააკაძე (მ. ჩანაშვილი) — 359
გორგიჯანიძის ისტორია — იხ. საქართველოს ისტორია (ფ. გორგიჯანიძე)
Грамматика древнеармянского языка (ბ. მარი) — 179, 181, 385

გრამატიკა — იხ. Грамматика древнегрузинского литературного языка
Грамматика древнегрузинского литературного языка (ბ. მარი) — 321, 323, 333, 405, 411, 412
Грамматика чанского (лазского) языка (ბ. მარი) — 397

Грезы и действительность (პუნდუტი) — 394

გრიგოლ განმანათლებლის არაბული ცხოვრება — იხ. Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, „გრიგორის ცხოვრება“, „გრიგორ ხანძთელის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — 146, 176, 178, 182, 188, 200, 215, 384

Грузинская повесть «Висрамиани» и персидская поэма «Вис о Рамин» (ხახანაშვილი) — 372

Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема (ბ. მარი) — 402, 403

Грузинские рукописи Института Востоковедения (რ. ორბელი) — 350, 351, 352

Грузинские рукописи Румянцевского Музея (ხახანაშვილი) — 370

Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из Русуданнаш (ბ. მარი) — 370

Грузинский поэт Шавтели (ბ. მარი), — 376

Грузинское чеканное искусство (გ. ჩუბინიშვილი) — 404

Грузия и Армения (მურავიოვი) — 255
გუჯარი მეფის ბაგრატ IV-ისა (ე. თ.) — 349, 357, 369

დ

დაბადება — 129, 134, 135, 173, 177
დასტურლამალი (დასტურლამალი) — 227

Два акта католикоса Домения III, данные в Константинополе (ე. თ.) — 126, 371
 Два древнегрузинских одописца. I Шавтели Иоанн (წ. მარი) — 376
 დედა-ენა (ი. გოგებაშვილი) — 104, 187
 Деяние трех святых близнецов-мучеников Спесипа, Еласипа и Меласипа (ბ. მარი) — 387
 Диван абхазских царей (ე. თ.) — 407
 დილარგეთიანი — 153, 154
 დილარიანი — 152—54, 377, 380
 დოღმატიკონი — 88
 Древнегрузинские одописцы (ბ. მარი) 162, 164, 165, 169, 171, 182, 324, 329, 380, 383
 Древности Гулекарской церкви (ე. თ.) — 402, 405
 დღისა და ღამის გაბაასება (თეიმურაზ I) — 49

9

ეგტათი (მცხეთელის) ცხოვრება — 165
 ეზრაა — 179
 ე. თაყაიშვილი და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები (რ. კვიციანი) — 358
 ელასიბე და მელასიბე, ელესიბე, ელეპსის და მელეპსის ცხოვრება — იხ. წამებაა წმ. მოწამეთა სპევისიპსისი, ელასიპსისი და მელასიპსისი
 ეპისტოლე... წარკეჭული ნეტარისა თუ-მას მიერ იერუსალიმელ პატრიარქისა სასომხეთოსა მწველებელთა მიმართ (თეოდორე აბუქურა) — 87
 ერთი დღი საკითხის გამო (ბ. მარი) — 399
 Еще один из источников «Истории Грузин» царевича Вахушти. Гуджар Баратовых из Бетанни (ე. თ.) — 365, 366
 Еще о слове «челеби» (წ. მარი) — 324
 «Еще о термине ხატი — образ (ბ. მარი) — 324
 Ефрем Сирий (ბ. მარი) — 159

Экспедиция на Кавказ в 1892—93 и 1895 гг. (ხახანაშვილი) — 353
 Этимология «челеби» (К вопросу о культурном значении курдской народности) (ბ. მარი) — 220

3

ენის ეკლესიის სიძველეთა აღწერა — იხ.
 Церковь в Ване, в Имерии и ее древности
 ენის სახარება — 281
 Ванская церковь — იხ. Церковь в Ване, в Имерии и ее древности
 ვარდანის არაკები, ვარდანის არაკთა კრებული, ვარდანის იგავთა კრებული — იხ. Сборники притч Вардана
 ვარლამი — იხ. სიბრძნე ბალავარისი
 ვარშაყიანი — 352
 ვახტანგის რედაქცია ქართლის ცხოვრებისა — იხ. ქართლის ცხოვრება
 ვახტანგის სამართალი — 226
 ვერცხლის დოქი და მისი წარწერა (ე. თ.) — 334, 412
 ვეფხისტყაოსანი — 68, 163, 226, 348, 362, 379, 381, 393, 395, 396, 409
 ვეფხისტყაოსნის საკითხები (ზ. ავალი-შვილი) — 406
 Византийская царская Миня (ლატიშვილი) — 354
 Византия и арабы (ვასილიევი) — 167
 ვისრამიანი — 50, 182, 342, 348, 379, 405
 ვის ო რამინ — 412
 ვიხიკარის სახარება — 319
 Вишалаჲ (ბ. მარი, სპირინოვი) — 895
 Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы (ბ. მარი) — 377
 Вопросы теории искусства (გ. ჩუბინაშვილი) — 404
 Восточное серебро — 318, 320, 324
 Вступительная и заключительная часть Барсовой Кожы — იხ. Вступительные и заключительные стро-

ფი «Витязя в Барсовой коже»
Шоты из Рустава
Вступительные и заключительные
строфы «Витязя в Барсовой ко-
же» Шоты из Рустава (б. მარი) —
324, 329

3

Завешание царя Давида Возобло-
вителя, данное Шпомгвинской
лавре в 1123 г. (თ. უორღანია) —
376

Заметки о Никорцминдских древно-
стях (ე. თ.) — 115

Заметки по яфетическим клинопи-
сьям (б. მარი) — 326

Зарэмский монастырь. ეგა რე-
სტავრაცია ი ფრესკა (ე. თ.) — 385

თ

თამარიანი — 317, 353, 409

თამარ მეფე (მ. ჭანაშვილი) — 359

თამარის გურჯი, თამარ მეფის გუჯარი
(ე. თ.) — 89, 124, 222, 393

თეიმურაზის ვარიანტი — იხ. ქართლის
ცხოვრება

თეოფილონ ისტორია (თეოდორიტე კვი-
რელი) — 135

თიმსარიანი (თეიმურაზ II) — 50, 70,
73—75, 107, 113, 123, 161, 175—77,
344, 352, 354, 355, 384, 385, 389

თიმსარიანი ანუ შვიდეზირიანი (ახე-
ტელოვის გამოცემა) — 68, 70

თხრობა სულიერი ფედ სარგებელი სულ-
თა ღმრთის-მოყვარეთა — 61

ო-

იაკობ ნიზბელის ცხოვრება — 149, 150
Иберо-этруско-италская скрещен-
ная племенная среда образования
индо-европейских языков (б. მარი)
— 332

ივერთა ვაჭრისტიანების ისტორიისათვის —
იხ. Zur Geschichte der Bekehrung de
Iberer zum christenthume (ო. ლეში)
Известия древних писателей грече-
ских и латинских о Скифии и
Кавказе (ლათიშვი) — 357

Из грузинно-персидских литератур-
ных связей (б. მარი) — 332

Издание свода греческих и латин-
ских надписей, найденных на
юге России (ლათიშვი) — 354

Из истории русско-армянских свя-
зей и литературных отношений
(გრიგორიანი) — 341

Из поездки в Сванию (б. მარი) —
330

Из поездки на Афон (б. მარი) — 143,
144, 146, 374

Изследование о составе армянского
языка (პატკანოვი) — 344

Икортский монастырь (ე. თ.) — 276,
277

Иоанн Петрицкий, Грузинский нео-
платоник XI—XII века (б. მარი)
— 234, 392

იოანე კირკიშელის (კიშკიშელის) ცხოვ-
რება — 181

იოსებ არმიათელი — იხ. Иосиф Ари-
мафейский. Сказание о построении
первой церкви в городе Лнаде
(б. მარი) — 379

იპოლიტეს ქებათა-ქება — იხ. Иппо-
лит — Толкование Песни Песней
Ипполит — Толкование Песни Пес-
ней (б. მარი) — 161, 162, 169,
182, 380

ისევ და ისევ რუსთაველის არაბული
ლექსების გამო (მარგველაშვილი, წა-
ქაძე) — 409

История Афона. Путешествие по
Афонским монастырям (უსპენსკი)
— 400

История Грузии (б. მარი) — 202, 389

История Грузии собрания Горги-
джанова (რ. ობზელი) — 352
История русского археологического
общества (ვენელოვსკი) — 355
ისტორია საქართველოს (უძველეს დრო-
იდან მე-X საუკუნის დასასრულამდე)
(დ. ბაქრაძე) — 64, 87
ისტორიკოსებს — არქეოლოგებს (კარ-
ბელაშვილი) — 361
История халифов Вардапета Гевон-
да (პატკანელი) — 194
Историческая грамматика современ-
ного армянского языка города
Тифлиса (ტომსონი) — 360
Исторические приписки двух кин-
клов и хронологический пере-
чень событий по некоторым дру-
гим источникам (ე. თ.) — 123, 126,
371, 373
Источники грузинских летописей.
Три хроники (ე. თ.) — 377

ბ

Кабардинская грамматика со слова-
рем (ლოპატინსკი) — 378
Кавказ, Абхазия, Аджария, Шав-
шетия (უეაროვა) — 370
Кавказ и памятники духовной куль-
туры (ბ. მარი) — 398
კავშირი — იხ. კავშირნი ღვთისმეტყვე-
ლებისანი
კავშირნი ღვთისმეტყველებისანი (პრო-
კლე დიადოხოსი) — 185, 221, 386,
392
კათალიკოზ-ბაქარიანი (იესე ტლაშიძე) —
67, 73, 74, 126, 351, 369
კარაბადინი — 75, 77, 81
კარის გარიგება — იხ. ხელშეწყობის კარის
გარიგება
კატალოგი იხ. Описание рукописей
«Общества распространения гра-
мотности...»
კატალოგი ქართული ხელნაწერებისა — იხ.
Краткий каталог собрания грузин-
ских рукописей...

К вопросу об яфетидях в герман-
ских языках (ბ. მარი) — 322
К вопросу о влиянии персидской
литературы на грузинскую
(ბ. მარი) — 134
К вопросу о происхождении пле-
менных названий «Этруски» и
«Пеласги» (ბ. მარი) — 324
К грузинским надписям из Месхия
(ბ. მარი) — 332
Quelques termes d'architecture désig-
nant „voute“ ou „arc“ (ბ. მარი) — 322
კვალი იმედინი (მ. თოღუა) — 419
К изучению современного грузинско-
го языка (ბ. მარი) — 324
К истории грузинской церкви
(პალმეიერი) — 383
К истории передвижения яфетиче-
ских народов с юга на север Кав-
каза (ბ. მარი) — 324
К истории христианства на Кавказе
(ლატიშვილი) — 354
К критике «Истории Моисея Хорен-
ского». Г. А. Халатянц: Армян-
ский эпос в Истории Моисея Хо-
ренского (ბ. მარი) — 366
К столетию присоединения Грузии
(ველისკო) — 381
კლასიკური სომხურის გრამატიკა (სირ-
ბილი) — 51
Kleine Koptische Studien (ლეში) — 377
Книжная легенда об основании Ки-
ева на Руси и Куара в Арме-
нии — 326
Краткий каталог собрания грузин-
ских рукописей, приобретенных
Имп. Публичной библиотекой в
1896 г. (ბ. მარი) — 53, 56, 182,
378
Крещение армян, грузин, абхазов и
аланов св. Григорием (ბ. მარი) —
186, 192, 386
Кувшин грузинского царя Георгия III
(ე. თ.) — 320, 334
Культурно-исторический набросок —
იხ. История Грузии (ბ. მარი)

Культурность прогрессивных армян (Веда) — 400

ლ

La Seine, la Saône, Lutèce et les premiers habitants de la Gaule Etrusques et Pélasges (ბ. მარი) — 322

Латинская грамматика (ლოპატინსკი) — 378

Летопись Грузии, Горгиджанова (დ. ჩუბინაშვილი) — 352

ლექსიკონი (ჩუბინოვი) — 52

Литургическая литература — იხ. Литургические грузинские памятники...

Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение (ე. აკელიძე) — 221, 392

«Лошадь и тризна» — იხ. Термины из абхазско-русских этнических связей...

8

Македония. Археологическое путешествие, 1909 г. (კონდაკოვი) — 236

მართლა მოადწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტებმა თუ არა? (ე. თ.) — 378

მარიამ დედოფლის ვარიანტი — იხ. ქართლის ცხოვრება

Материалы по хемшинскому наречию армянского языка (ბ. მარი) — 332

მღებარეობა სოფლისა და მონასტრისა თეოდორე წმიდისა (ე. თ.) — 334

მეგრელების ვარიანტი — იხ. ქართლის ცხოვრება

მეგრული ენა (ბ. მარი) — 389

მელის, მელის წიგნი — 136, 137, 141, 143, 144, 374—76

მესხური დავითნი — იხ. სამი ისტორიული ხრონიკა

Mission Scient au Caucase (მორგანე) — 110

მოთხრობა სსკულის ულთოთა მაკმადიანთა (ბაგრატ ბატონიშვილი) — 61, 65, 120, 351

Мой сборник (თ. ჟორდანი) — 94

მოკლე კატალოგი — იხ. Краткий каталог собрания грузинских рукописей...

მოსახვენებელი მცირე სუმეონისათვის ლოლოთებისა (ეფრემ მცირე) — 396

მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანისა (ჯანაშვილი) — 370

მოქცევა ქართლისა — იხ. ქართლის მოქცევა

«Мудрость Балавара», грузинская версия «Душеполезной истории о Варлааме и Иоасафе» (ბ. მარი) — 348

Музаффариз, сборник, в честь бар. Розена — 166, 167

ბ

Надпись Сардура II, сына Аргистия, в Даш-Керпи на Чалдырском озере (ბ. მარი) — 408

Нарицательное значение термина *ჭერა* в митанских женских именах (ბ. მარი) — 326

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ (ხახანაშვილი) — 353

„ნემესიოს წიგნი“ — იხ. ბუნებისათვის კაცისა

Непочатый источник Истории Кавказского мира (ბ. მარი) — 324

ნეშტა — 135, 173, 175, 179

„ნინოს ცხოვრება“ — 59, 72, 85, 86, 101, 105, 155, 156, 349, 357, 359, 362

ნინოს ხრონიკა — იხ. ნინოს ცხოვრება
Новое учение о языке (მეშჩანინოვი) — 412

Nouvelles sources de Maisie de Khoren (კარბერი) — 369

- Об Иоанне Петрицонском, грузинском неоплатонике XI—XII века (ბ. მარი) — 208
- Об источнике введения христианства в Грузию (ხახანაშვილი) — 86, 87, 358
- Об отношении абхазского языка к яфетическим (ბ. მარი) — 398
- Об яфетической теории (ბ. მარი) — 322
- Один вид грузинского криптографического письма (ბ. მარი) — 401
- Одописцы — იხ. Древнегрузинские одописцы
- О возвращении креста — 190, 379
- О житии Григория Хандзтийского, деятеля грузинской церкви VIII—IX веков (ბ. მარი) — 208
- О начальной истории Армении Анонима (ბ. მარი) — 371
- О новом способе приготовления эстампов с надписей на камнях (რადლოვი) — 366
- Описание грузинских рукописей Синайского монастыря (ბ. მარი) — 412
- Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения» (ე. თ.) — 70, 75, 175, 179, 180, 183, 184, 189, 191, 200, 207, 209—212, 253, 358, 378, 384—386, 392, 393, 398
- Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии (კონდაკოვი, ბაქრაძე) — 318, 324, 409
- Опыт истории династии Сасанидов по сведениям армянских источников (პატკანოვი) — 168, 194, 344
- ორი ეკლესია სოფ. ტანძიაში (ე. თ.) — 334
- ორიოდ სიტყვა შაჰ-ნამეს ქართული თარგმანის შესახებ (ბ. მარი) — 380
- О Сасанидах по армянским источникам — Опыт истории дина-

- стии Сасанидов по сведениям армянских источников
- ოსმანთა მეფეთა ცხოვრება (ფ. გორგიჯანიძე) — 350
- Основные таблицы — იხ. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими
- Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими (ბ. მარი) — 180, 186, 215, 219, 220, 231, 323, 370, 373, 385, 394
- Ответ Акакия Церетели Н. Я. Марру (აკაკი წერეთელი) — 374
- О трудах Л. Лопатинского — 324
- Очерки грузинских древностей (ლატიშვი) — 326
- Очерки истории древнего мира (როსტოვეცი) — 326
- Очерки по истории грузинской словесности (ხახანაშვილი) — 379, 391
- О халдском pu-li — «камень» // pil-i [«камень», «каменная труба»] «водопровод, «канал» (ბ. მარი) — 324

3

- Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае (ღეგარელი) — 340, 343
- Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией (ბ. ვესელოვსკი) — 355
- Памятники типа Джвари (გ. ჩუბინაშვილი) — 404
- Памятники христианского искусства на Афоне (კონდაკოვი) — 236
- პარალიპომენი — იხ. ნეშტთა
- პარხლის სახარება — 78, 122, 164, 355
- პარხლის მრავალთავი — 387

Переписка Фокия с армянским великим князем Ашотом и армянским патриархом Захариею

(ბ. მარი) — 367

Персидский извод (ოლღენბურგი) — 349

პეტრე მათეუმელის ცხოვრება — იხ.

Житие Петра Ивера

Пещерные монастыри Давид-Гареджи (გ. ჩუბინაშვილი) — 404

პიტარეთის მონასტერი და მისი წარწერანი (ე. თ.) — 334

Плененный состав населения Кавказа (ბ. მარი) — 321, 411

Пленение Иерусалима — იხ. Антиох Стратиг. Пленение Иерусалима...

Поездка на Синай в 1902 г. Путевые наброски (ვასილევ) — 387

По поводу русского слова «сало» (ბ. მარი) — 322

Пособие для изучения живого грузинского языка (ბ. მარი) — 411

Предварительное сообщение с родстве грузинского языка с семитическими — იხ. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка...

Предварительный отчет — იხ. Предварительный отчет о работах из Синае

Предварительный отчет о работах на Синае (ბ. მარი) — 173, 319, 384

XI—XII სს-ის პროზად დაწერილი ქართული მოთხრობების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა (ბ. მარი) — 341.

პროკლის კევირი — იხ. კევირნი ღვთისმეტყველებისანი

Пять актов из Тао (ე. თ.) — 328

შ

Житие Петра Ивера, царевича — подвижника и епископа Майумского V в. (ბ. მარი) — 129, 130, 370, 471

Разбор надписей надгробных камней, найденных в 1886 г. внутри текни Шах-Али Хана в Касимове (რადლოვი) — 366

Разыскания в области духавности (ვესელოვსკი) — 166

Разыскания по армянской архитектуре (გ. ჩუბინაშვილი) — 404

რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველ მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენი ხელნაწერებისა (თ. ჟორდანი) — 357, 367

რიფსიმეანთა ცხოვრება — 107

როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი (თ. ჟორდანი) — 357, 360

როზენის კრებული — იხ. Музаффария... როსტომიანი — 91, 161, 175, 177, 350, 360

რუმინაეცის „ქართლის ცხოვრება“ — იხ. ქართლის ცხოვრება

რუსთაველის „პრაბული“ ლექსების გამო (ლ. მენაბდე) — 409

Русское слово (ი. გოგებაშვილი) — 104.

რუსუდანიანი — 129, 371

საბას მოგზაურობა — 105, 106

საინგილო (მ. ჭანაშვილი) — 359

საკითხავი დაუქდომელთა და ცხოვრება თეოკრისტე ლეზფელისა (სტეფანე-სანანოსძე) — 223

საკითხავნი ლოლოთებისა მეტაფრასთაგან (ეფრემ მცირე) — 223

სამი ისტორიული ხრონიკა (ე. თ.) — 66, 72, 78, 123, 150, 351, 353, 356, 357, 361, 362, 377, 379, 380

სამი ისტორიული ხრონიკა (რუსული გამოცემა) — 151, 152

სარკე — თქმულთა (თეიმურაზ II) — 49, 50, 53, 343

Сафарский монастырь, его надписи и остатки стеновой росписи (ე. თ.) — 389

საქართველოს ზოგიერთ ტაძარსა და მონასტერში დატული სიძველეთა ძეგ-

ლების აღწერილობა (კონდაკოვი, ბაქრაძე) — 356, 357

საქართველოს დედაქალაქი ტფილისი (მ. ჭანაშვილი) — 359

საქართველოს ისტორია (ვახუშტი ბაგრატიონი) — 345

საქართველოს ისტორია (ფ. გორგიჯანიძე) — 63, 64, 66, 68, 69, 350—53

საქართველოს ისტორია (მ. ჭანაშვილი) — 359

საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეზოვი (ალ. სარაჯიშვილი) — 375

საქართველოს შეერთება რუსეთთან (ზ. ავალიშვილი) — 406

სახარება — 77, 129, 281

სახარება იოანესი — 71

სახარება ლუკასი — 71

Сборники притч Вардана (ბ. მარი) 136, 137, 156, 355, 364, 374, 375

სვანური სახარება — 244

სვანურ-ქართული ლექსიკონი (ბ. ნიჟარაძე) — 250

Сведения о памятниках грузинской словесности (ა. ცაგარელი) — 89, 124, 340, 348, 356

სიბრძნე ბალაგარისა — 57—62, 64, 68, 74, 104, 108, 126, 130, 134, 135, 346, 349, 350, 354, 364, 365, 371, 372

სიბრძნე ბალაგარისა (რუსული თარგმანი) — 134

სიბრძნე სიცრუის წიგნი — 50, 348

Сигель грузинского царя Баграта IV (ე. თ.) — 368, 371

სიმართლე ქართულ ეკლესიაზე (ბ. მარი) — 388

სინდბადი — 352

სიტყვის გეზა სარკინოსთა მიმართ (თეოდორე აბუკურა) — 88

სიტყვისგეზა ქრისტიანეთა მიმართ — 65

Сношения Петра Великого с армянским народом (ეზოვი) — 374

Сношения с Персией (ბ. ვესელოვსკი) — 166

სომეხთა ისტორია (მოსე ხორენელი) — 356

სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (ე. თ.) — 409, 412

სომხური „ბალაგარი“ — 106

სომხური გრამატიკა — იხ. Грамматика древнеармянского языка

სოფელ ჩანგლის ეკლესიის აღწერა (ე. თ.) — 334, 412

სპარსული გრამატიკა (დ. ჯონსი) — 51

Суджунская церковь и ее древности (ე. თ.) — 402

სუმბათის ისტორია — იხ. სამი ისტორიული ხრონიკა

ტ

Таблицы — იხ. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка...

Талыши (ბ. მარი) — 321, 324, 325, 411

Термины из абхазо-русских этнических связей. Термины «лошал» и «тризна» (ბ. მარი) — 322, 324, 411

Тквирская церковь в Мингрелии и ее древности (ე. თ.) — 402

ტრისტან და იზოლდა — 412

«Трон» или «КХИ?» (ბ. მარი) — 410

Туркистан в эпоху монгольского нашествия (ბარტოლდი) — 380

ფ

ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარაიანდელთანი“ (რ. კიკნაძე) — 352

ფარსადან გორგიჯანიძე, და მისნი შრომანი (მ. ჭანაშვილი) — 350

ფიზიოლოგი — 156, 159, 161, 379, 380

Филистимляне, палестинские пеласги и расены или этруски (ბ. მარი) — 332

Фрагмент халдской надписи из Алешкерта (ბ. მარი) — 324

ჭ

ქართველები და ქართველური ენა (მ. ჭანაშვილი) — 359

ქართველთა ეროვნება (ბ. მარი) — 390

- ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ა. შანიძე) — 387
- ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები (კ. აკეპლიძე) — 378
- ქართველი ერის ისტორია (ივ. ჭავჭავაძე) — 371
- ქართველი ერის კულტურული მუშლი ენათმეცნიერების მიხედვით (ნ. მარი) — 412
- ქართლის მოქცევა — 63, 64, 66, 73, 77, 105, 126, 155, 254, 349, 362, 367
- ქართლის მოქცევის შატბერდული რედაქცია — 350
- ქართლის ცხოვრება — 22, 155, 156
- ვახტანგის რედაქცია: 86, 126, 133, 347, 353
- მეგრელიის (დადიანისული) ვარიანტი: 56, 66, 184, 342, 351, 353
- თეიმურაზის ვარიანტი: 57, 67, 72, 78, 85, 86, 89, 133, 341, 347, 354—56, 359, 360, 374, 375, 378, 379
- რუმინანციის: 127, 376
- მარია დედოფლის ვარიანტი: 56, 66, 72, 123, 133, 146, 147, 148, 153, 165, 210, 346, 353, 378
- ქართლის ცხოვრება (ბროსეს გამოცემა) — 374
- ქართლის ცხოვრება (ე. თაყაიშვილის გამოცემა) — 158
- ქართულ-არაბულ-სპარსული „ლექსიკონი“ (ფ. გორგიჯანიძე) — 350
- ქართულ ზმათა ტაბლიცები — იხ.
- Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка...
ქართული გრამატიკა — იხ. Основные таблицы...
- ქართული გრამატიკა (მ. ჭანაშვილი) — 359
- ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკ. (ილ. აბულაძე) — 376
- ქართული დიდი ნომოკანონი თბილისის საეკლესიო მეუზეუმის ხელნაწერთა მიხედვით (ბენეშვიჩი) — 394
- ქართული ეკლესია მონასტრების ისტორიული საბუთები (თ. ცორდანი) — 347
- ქართული ეკლესიის დევნის გძლიერება (დურნოვო) — 388
- ქართული ენის შედარებითი ლექსიკონი (პ. ჭარია) — 380
- ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები (ა. შანიძე) — 411
- ქართული ლექსიკონი (მ. ჭანაშვილი) — 359
- ქართული მწერლობა (მ. ჭანაშვილი) — 359, 377
- ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (ა. შანიძე) — 355
- ქართული პალეოგრაფია (ივ. ჭავჭავაძე) — 371
- ქართული ხალხური ზღაპრები (ეორდროპები) — 348
- ქართული ხუროთმოძღვრების აღმომი (ე. თ.) — 411
- ქვემო ქართლი, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში (ი. ლორთქიფანიძე) — 346
- ქილია და დამანა — 175
- ქრონიკები (თ. ცორდანი) — 347, 365, 367
- ქსნის საერისთაოს სტატისტიკური აღწერილობა (ე. თ.) — 393

ლ

ლეთივ თხრობანი სულისა ფ'დ სარგებელნი, რომელსა ეწოდება ვარგვიანი — 60

შ

ყალბი დილარიანი — 152

ყისა ჩაპარ დერეში — 343

შ

შატბერდის კრებული — 122, 149—51, 153, 156, 182, 376, 379, 380

შაპ-ნამე — 379

შემსმელნი — იხ. Древнегрузинские одонисцы
შვიდეუ ბირიანი — 352

ჩ

ჩარდავიშიანი — 49, 343
Чем живет яфетическое языкознание (ნ. მარი) — 324
Четверостишие Хакави (ზალემანი) — 344

ძ

ძეგლის დება (გიორგი ბრწყინვალესი) — 227, 348
ძველი აღთქმა — იხ. დაბადება
ძველი საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება (ივ. ჭავჭავიძე) — 390
ძველი სომხური საისტორიო მწერლობა (ივ. ჭავჭავიძე) — 371
ძველი ქართველი მებრძოლები (დ. კარიჭავიძე) — 384
ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ცხრილები და წინასწარი მოხსენება ქართულის და სემიტურის ნათესაობის შესახებ (ი. ყიფშიძე — რეცენზია ნ. მარის ნაშრომზე) — 395
ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (ივ. ჭავჭავიძე) — 371

ც

Церковь в Ване в Имернии и ее древности (ე. თ.) — 279, 402, 412
Церкви и церковные древности Мингрелии (ე. თ.) — 402
ციხე და ეკლესია სოფელ ქვეშში (ე. თ.) — 334, 412
Zur Geschichte der Bekehrung de Iberer zum Christenthume (ო. ლემი) — 377, 378
ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა — 61

ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდა ეფრემ კებულისა იოვანე ღვთისმეტყველისა — 61

ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. მამისა ჩუბუკისა ქსენოფორესი — 61
ცხოვრება და მოღვაწეობა ონოფრესი და სხვათა მეუღაბნეთა მამათა — 61
ცხოვრება და წამება წმინდა დიმიტრისა და ნესტორისა — 61
ცხოვრება მარიამ მეგვიპტელასი — 61
ცხოვრება წმიდისა არტემისი და კრიტელთა და ელევთერისი (დავით ტბეშელი) — 223
ცხოვრება წმიდა გიორგისა და თეოდორესი და სასწაული წმიდისა თეოდორესი (გიორგი მთაწმინდელი) — 223
ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა (ლ. მელიქსეთ-ბეგი) — 366
ცხოვრება წმინდისა და ნეტარისა მამისა იოანესი — 61

წ

წამება წმინდა მოწამისა იაკობ დაქრილისა — 61
წამება წმინდა მოწამისა პარასკევასი — 61
წამება წმინდა მოწამეთა სპევსიპოსისი, ელასიპოსისი და მელასიპოსისი — 176, 177, 179, 183, 189, 191, 192, 201, 387
წარტყმენანი იმრუსალიმისა, ქმნილი ნეტარისა სტრატეიკი მონაზონისა — 387
წერაკითხვის საზოგადოების წიგნებისა და ხელნაწერების ძველი მოკლე კატალოგი — 191
წერილი პეტერბურგიდამ (ნ. მარი) — 357
წერილი რედაქციის მიმართ (ე. თ.) — 357
წიგნი თეოდორე სულელ-ქმნილისა (იოანე მთაწმინდელი) — 60
წიგნი ბალავარისა — იხ. სიბრძნე ბალავარისი

ხელმწიფის კარის გარიგება — 227,
252—54, 256—60, 262, 264, 265, 268,
270—74, 276, 280, 282, 294, 298,
394, 401, 405

ხილვად გრიგორი განმანათლებელისა და
საუბარი მისი ანგელოზთან — 107

Храм в Чанглы и его грузинские
надписи (გ. თ.) — 318

ხრონიკა — იხ. სამი ისტორიული ხრო-
ნიკა

Хронографическая история Мехита-
ра Айриванского (პატკანოვი) — 194

ხუთი სიტყვა ნიკიტა მონაზონისა და
ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტი-

თატისაჲ განსაქიქებელ-მგმობარისა მის
წვალეებისა სომეხთაჲსი — 87

ჯ

ჯიმშელიანი — 153, 154, 378

Я

Яфетические элементы в языках
Армении (ბ. მარი) — 322, 324, 405

Яфетический Кавказ и третий эт-
нический элемент в создании
средиземноморской культуры (ბ.
მარი) — 331

Яфетические названия красок и
плодов в греческом (ბ. მარი) — 324

ՀԱՅԿԱՆՔԱԳԻՏՈՒՄ ԵՎ

- АН — Академия наук
ВВ — Византийский Временник
ВВ — Восточный Вестник
ВЗ — Восточные Заметки
ГАИМК — Государственная Академия Истории Матеральной культуры
ДАН — Доклады Академии Наук
ЖМНП — Журнал Министерства Народного Просвещения
ЗАН — Записки Академии Наук
ЗВО—ЗВОРАО — Записки Восточного отделения Русского Археологического Общества
ИАН — Известия Академии Наук
ИГАИМК — Известия Государственной Академии Истории Матеральной Культуры
ИВАН — Институт Востоковедения Академии Наук
ИР — Избранные работы
ИЯМ — Институт Языка и Мышления (АН)
КВ — Кавказский Вестник
КИАИ — Кавказский Историко-Археологический Институт
КК — Кавказский Календарь
МАК — Материалы по Археологии Кавказа
МЯЯ — Материалы по Яфетическому Языкознанию
ПС — Палестинский Сборник
СМОМПК — Сборник Материалов для Описания Местностей и Племен Кавказа
СПО — Сборник Палестинского Общества
ТКИПС — Труды Комиссии по Изучению Племенного Состава
ТР — Тексты и Разыскания по Армяно—Грузинской Филологии
ХВ — Христианский Восток
ЯС — Яфетический Сборник
BAG — Bibliotheka Armena-Georgica

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის.
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით.

სბ 4253

გამომცემლობის რედაქტორები: ნ. ბათიაშვილი, გ. გოგიაძე.
მხატვარი შ. თაყაიძე
მხტვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბოკერიძე
კორექტორი ნ. მაჩაიძე

გადაეცა წარმოებას 17.4.1990; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.3.1991;
ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆; ქალაქი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 27.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22.83;

ტირაჟი 4400; შეკვეთა № 1164;

უასი 5 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19